

კ.რ.მაკკონელი, ს.ლ.ბრიუ

# ეკონომიკსი

პრინციპები, პრობლემები და  
პოლიტიკა

ოთხ ნაწილად

ნაწილი მეორე

**მთარგმნელები:**

**პროფ. კ.ღურწკაია** – XII, XVI, XVII, XVIII, XIX, XX და XXI  
თავები.

**პროფ.თ.დემეტრაშვილი** – XIII და XIV თავები.

**პროფ.გ.გოშაძე** – თავი XV.

**სარედაქციო კოლეგია:** პროფ. კ.ღურწკაია, დოც. დ. ჯანგულაშვილი,  
უფ. მასწ. ნ.ჩიკვილაძე, ბ. კიწმარიშვილი, ა. სომხიშვილი.

**პასუხისმგებელი რედაქტორები:** პროფ. კ. ღურწკაია  
პროფ. რ.გოგოხია

# თავი მეორე მუხა

## დასაქმების კლასიკური და კეინსური თეორიები

წინა თავებში ჩვენ დავიწყეთ მაკროეკონომიკური თეორიის და მასთან დაკავშირებული პრობლემების გაცნობა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების კატეგორიების გამოყენებით მოცემულ და მომდევნო თავებში ერთობლივ მოთხოვნას ჩვენ განვიხილავთ სხვა კუთხით. ეს საშუალებას მოგვცემს ვუპასუხოთ მნიშვნელოვან კითხვას: რატომ გააჩნია ერთობლივ მოთხოვნას (შესაბამისად წარმოების მოცულობას, შემოსავალს და დასაქმებასაც) უფრო მეტი სიდიდით შეცვლის ტენდენცია, ვიდრე დანახარჯების თავდაპირველ შეცვლას?

ამ თავის მიზანია, ჯერ ერთი, - დასაქმების კლასიკური და კეინსური თეორიის შედარება წმინდა სახით. ეს შედარება თვალნათლივად იქნება შემოწმებული. კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში მოცემულია მტკიცება, რომ სრული დასაქმება საბაზრო ეკონომიკის ნორმალური მდგომარეობაა, ხოლო ყველაზე საუკეთესო ეკონომიკური პოლიტიკა Laissez faire-ის (სახელმწიფოს ჩაურევლობის) პოლიტიკაა. კეინსური თეორიის თანახმად წმინდა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია უმუშევრობა, და, თუ ჩვენ გვინდა თავიდან ავიცილოთ რესურსების დანაკარგები, აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური პოლიტიკა. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ საბაზრო სისტემას შეუძლია უზრუნველყოს რესურსების საეფექტო ეფექტიანი განაწილება (თავი 5). ახლა კი იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა მას არსებული რესურსების სრული გამოყენების მიღწევა?

მეორე, ამ ორი აშკარად განსხვავებული მიდგომების შედარების შემდეგ ჩვენი მიზანია იქნება დასაქმების კეინსური თეორიის ინსტრუმენტარიების განხილვა. კეინსური თეორია გაბატონდა მაკროეკონომიკაში “დიდი დეპრესიის” დროიდან მოყოლებული და მნიშვნელოვანი მოდიფიცირებისა და შეცვლის შემდეგ თანამედროვე მაკროეკონომიკის საფუძველია მე -13

თავში გამოიყენება ინსტრუმენტარიები, რომლებიც შემუშავებულია იმისათვის, რათა ვაჩვენოთ წარმოების რეალური მოცულობისა და დასაქმების წინასწორობითი დონეები. მე-13 თავის ბოლოს კეინსურ ანალიზს ჩვენ უშუალოდ დავაკავშირებთ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მე-11 თავში შემოტანილ მოდელთან.

## დაშვებები

ჩვენი ამოცანის შესამსუბუქებლად უნდა გაკეთდეს სამი დაშვება:

1. თუმცა ჩვენი ანალიზი ფაქტობრივად “ღია ეკონომიკას“ მოიცავს, რომელსაც სავაჭრო ოპერაციები საგარეო ბაზრებზე ახასიათებს, მაგრამ, ჩვენ იქიდან გამოვალთ, რომ არსებობს “დახურული ეკონომიკა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ანალიზი შეეხება მხოლოდ საშინაო ეკონომიკას, ხოლო ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებული საკითხები განხილული იქნება მე-13 თავში.

2. მე-12 და მე-13 თავში ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ სახელმწიფოს ეკონომიკურ საქმიანობას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ავხსნათ, შესაძლოა თუ არა სრული დასაქმების მიღწევა *Laissez faire* -ს პირობებში.

3. თუმცა დანაზოგები არსებობენ როგორც მეწარმეობით სექტორში, ისე საოჯახო მეურნეობებში, მაგრამ მოხერხებულობისათვის ჩვენ ვივარაუდებთ, რომ ყველა დანაზოგი მხოლოდ პირადია.

განსაკუთრებით უნდა ითქვას ამ დაშვებათა ორი ასპექტის შესახებ. ჯერ ერთი, მე-9 თავში ჩვენ ვნახეთ, რომ არსებობს ერთობლივი დანახარჯთა ოთხი შემადგენელი ნაწილი: მოხმარება, ინვესტიციები, სახელმწიფო შესყიდვები და წმინდა ექსპორტი. პირველი და მეორე დაშვება ნიშნავს, რომ მოცემულ მომენტში ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ მოხმარებასა და ინვესტიციებთან. მე-2 და მე-3 დაშვებები საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ წმინდა ეროვნული პროდუქტი (წეპ), ეროვნული შემოსავალი, პირადი შემოსავალი და შემოსავალი გადასახადის გადახდის შემდეგ, რომლებიც ერთმანეთის შესატყვისია, ვინაიდან ყველა მათი განსხვავებები დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკაზე ( გადასახადები და ტრანსფერტული მისაცემლები) და მეწარმეობით დანაზოგებზე. (იხ. ცხრილი 9-5). ეს ნიშნავს, რომ თუ წეპ-ი წარმოებულ საქონელთა და მომსახურების ტოლია (500 მლრდ დოლ.), მაშინ იმისათვის, რომ არ

გამოყვით მოხმარება და დანახოვები, ვუშვებთ, რომ საოჯახო მეურნეობები გადასახადების გადახდის შემდეგ მიიღებენ შემოსავალს 500 მლრდ დოლ. ოდენობით.

ყველა ამ დაზუსტებათა შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ ძირითადი კითხვა: შეუძლია თუ არა Laissez faire -ს უზრუნველყოს და შეინარჩუნოს ერთობლივი მოთხოვნის საკმარისი დონე, რათა განახორციელოს წარმოება სრული დასაქმების პირობებში?

## დასაქმების კლასიკური თეორია

მოცემულ კითხვებზე პასუხი დროთა განმავლობაში იცვლება. “დიდ დეპრესიამდე” XIX და XX საუკუნის მრავალი ცნობილი ეკონომისტი, რომლებსაც კლასიკოსებს<sup>1</sup> უწოდებენ, ვარაუდობდა, რომ საბაზრო ეკონომიკას შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკაში რესურსების სრული გამოყენება. ამტკიცებდნენ, რომ ხანდახან შესაძლოა წარმოიშვას არანორმალური გარემოებები, ისეთები, როგორცაა ომები, პოლიტიკური გადატრიალებები, გვალვა, საბირჟო კრაზი, ოქროს ციებ-ციხელება და ა.შ., რომლებიც ეკონომიკას სრული დასაქმებიდან სხვა გზით წაიყვანს (იხ. ცხრილი 10-1). ამასთან, აღნიშნავდნენ, რომ საბაზრო სისტემის დამახასიათებელი თვითრეგულირების შესაძლებლობები ავტომატურად სწრაფად აღადგენს სრული დასაქმების დროის წარმოების დონეს ეკონომიკაში.

ანალიზის დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების კლასიკური თეორია არ უნდა განვიხილოთ როგორც ეკონომიკური აზროვნების რუდიმენტი. ზოგიერთმა თანამედროვე ეკონომისტმა სახე შეუცვალა და განაახლა XIX და XX საუკუნის დასახელებულ ეკონომისტთა თეორიული დებულებები, გააგრძელა მათი მუშაობა და შექმნა “ახალი” კლასიკური ეკონომიკური თეორია. მე-18 თავში მოტანილი მონეტარიზმისა და რაციონალური მოლოდინის თეორიები, მაკროეკონომიკაზე თანამედროვე შეხედულების წარმოდგენას იძლევა, რომლის ფესვები კლასიკურ თეორიაში უნდა ვეძებოთ. მას მიეკუთვნება მოკლევადიანი

---

1. ეკონომისტ-კლასიკოსებს შორის ყველაზე ცნობილი არიან დავით რიკარდო, ჯონ სტიუარტ მილი, ფ. ეჯუორტი, ალფრედ მარშალი და ა.პიგუ.

და გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდების გამიჯვნაც, რომელიც მე-19 თავშია წარმოდგენილი.

დასაქმების კლასიკური თეორიის საფუძველია ორი ძირითადი ცნება.

ჯერ-ერთი, ამტკიცებდნენ, რომ სიტუაცია, რომლის დროსაც დანახარჯთა დონე არასაკმარისი იქნება სრული დასაქმების პირობებში წარმოებული საქონლის შესასყიდად, საეჭვოა შესაძლებელი იყოს. მეორე, თუ საერთო ხარჯების დონე არასაკმარისი აღმოჩნდება, საკმაოდ სწრაფად ჩაირთვება ისეთი ბერკეტები და მარეგულირებლები, როგორცაა ფასი, ხელფასი (მათ შორის სარგებლის განაკვეთი), რის შედეგადაც საერთო ხარჯების შემცირება არ გამოიწვევს წარმოების რეალური მოცულობის, დასაქმების და რეალური შემოსავლების შემცირებას.

## სეის კანონი

დანახარჯების არასაკმაოდ დონის შესაძლებლობის უარყოფა კლასიკური თეორიის მიერ ნაწილობრივ სეის კანონს ეყრდნობა. სეის კანონი სრულიად მარტივი იდეაა იმის შესახებ, რომ თვით საქონელია წარმოების პროცესი ქმნის შემოსავალს, რომელიც წარმოებულ საქონელთა ღირებულების ტოლია. ეს ნიშნავს, რომ პროდუქციის ნებისმიერი მოცულობის წარმოება ავტომატურად უზრუნველყოფს შემოსავალს, რომელიც აუცილებელია ბაზარზე მთელი პროდუქციის შესასყიდად. მიწოდება წარმოშობს თავის საკუთარ მოთხოვნას.<sup>1</sup> სეის კანონის არსი შეიძლება ყველაზე უფრო მარტივად წარმოვიდგინოთ გაცვლითი ვაჭრობის მაგალითზე. მეწაღე, მაგალითად აწარმოებს ან სააგახობს ფეხსაცმელს როგორც ყოველს ანუ მოთხოვნას ობიექტს, რომლებიც წარმოებულია სხვა ხელისნების მიერ. მეწაღის მიერ ფეხსაცმლის მოწოდება არის მოთხოვნა სხვა საქონელზე, და ასეა თითქოსდა ყველა საქონელმწარმოებელია და მთელი ეკონომიკისათვის: მოთხოვნა ისეთივე უნდა იყოს, როგორც მიწოდებაა. მართლაც, როგორც დახურული ნაკადის ეკონომიკის მოდელი, ისე ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდი ითვალისწინებს რაღაც ასეთნაირს. პროდუქციის ნებისმიერი მოცულობის წარმოებით

1. მიეკუთვნება XIX საუკუნის ფრანგ ეკონომისტს.

ს.

მკვლევარი შემოსავალი დახარჯვის შესახებ, სავსებით საყმარისი უნდა იყოს ადეკვატური საერთო მოთხოვნის უსრულველსაყოფად. მიმხმარებელთა მოთხოვნებისადმი ბაზრის სჭრუქურის შესაბამისობის პირობებში ყველა ბაზრები იწმინდება პროდუქციისაგან. შეიძლება მოგვეყენოს, რომ ყველაფერი რაი გაცეობაც მოეთხოვებთ საწარმოს მესაჭურეებს პროდუქციის გასაყდად სრული დასაქმების პირობებში - ესაა მოცემული პროდუქციის წარმოება; სეს კანონი იმის გარანტიის იძლევა, რომ მინსარების დახარჯები საყმარისი იქნება მისი წარმატებული რეალიზებისათვის.


**დანახოზები-ბამართულაქალი შადტორი.** მაგრამ სეს კანონის ასეი მარტივ გარებაში ბშკრა ხატლი(ვათე) ფაქტარომ პროდუქციის წარმოება უსრულველყოფს ფულადი შემოსავლის შესაბამის ოდენობას (თავი 9), მაგრამ საყოველთაოდ (ხობილას ისე, რომ შემოსავლის მამებთა მიერ მისი მიღსახად დახარჯვის გარანტიას ბრსებობს. შემოსავლის რადაც ნაწილი შეიძლება დაზოგულ იქნას (არ დაიხარჯოს) და ამიტომ ასახვა ვერ აქოვს მოთხოვნაში. დანახოები იწვევენ დარღვევებს, შემოსავალ-გახაულების ნაკადების გადენას და შესაბამისად ბრს უოხრის სეს კანონის ეფექციის მოქმედებას. დანახოები წარმოადგენს შემოთხელურის ნაკადებიდან სახსრების ამოღებას, რაც იმას იწვევს რომ მიმხმარებელთა დახარჯებთ არასაყმარისი აღმოსნდება მოვლი წარმოებული პროდუქციის შესასყდად, თუ საოჯახო მკურნეობები სოჯავს თაყანთა შემოსავლის რადაც ნაწილს, მიწოდება ვერ ქნის თავის ხატყთარ მოთხოვნას. დანახოებთ იწვევენ მიმხმარების უყმარისობას. ამით შედეგა გოჯავთ ხატონელი წარმოების შესყრებთ, უმეყრობა და შემოთხელურის შესყრება.

**დანახოზები, ინვესტიციები და ხარბაქლის ნორმა.** მაგრამ უკონომიკა-კლასიკონები ბქყ(ებ)ბრომ დანახოებთ სონადვილემი არ იწვევს მოთხოვნის უყმარისობას, ვინაიდან ყოველი დაზოგილი დოლარი ინვესტირებული იქნება მეწარმეთა მიერ. ინვესტირება თითქოსდა ხდება ხამომხმარებლო ხარჯების ნებისმიერო უყმარისობის კომპენსირებისათვის. ინვესტიციები ავსებენ ნებისმიერ "ხარვესს" მოხმარებაში, რომელიც დაგროვებთაა გამოწვეული. ბოლოსდაბოლოს ფირმები არ ფიქრობენ მთელი თავიანთი პროდუქციის მოხმარებლებზე რეალიზებას, არამედ მის მნიშვნელოვან ნაწილს აწარმოებენ წარმოების საშუალებათა სახით ერთმანეთისე მისაყიდად. მეწარმეთა საინვესტიციო დანახარჯები შემოსავალ-გასავლის ნაკადის დამატება ან შევსებაა, რომელიც შეუძლია დაზოგვით გამოწვეული მოხმარების ნებისმიერი "ხარ-

ვეზის შევსება. ამრიგად, თუ მეწარმეები ვარაუდობენ იმდენივეს ინვესტირებას, რამდენსაც საოჯახო მეურნეობები დაზოგავენ, სეის კანონი იმოქმედებს და წარმოებისა და დასაქმების დონე მუდმივი დარჩება. შეძლებს თუ არა ეკონომიკა პროდუქციის წარმოებისა და შემოსავლების უზრუნველსაყოფი ხარჯების დონის მიღწევას და შენარჩუნებას სრული დასაქმების პირობებში, დამოკიდებული იქნება იმაზე, - განახორციელებენ თუ არა მეწარმეები საკმაო ინვესტირებას საოჯახო მეურნეობათა დანახოვის საკომპენსაციოდ.

ეკონომისტი-კლასიკოსები ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმის დროს არსებობს ერთობ სპეციფიკური ბაზარი ფულის ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს დანახოვითა და ინვესტიციების ტოლობას და აქედან გამომდინარე სრულ დასაქმებას. ეს ნიშნავს, რომ ფულის ბაზარი (უფრო კონკრეტულად სარგებლის განაკვეთი - ფულის სარგებლობისათვის გადასახდელი საფასური) თვალყურს მიადევნებს იმას, რომ დოლარები, რომლებიც გამოვიდნენ შემოსავლები-დანახარჯების ნაკადიდან როგორც დანახოვები, კვლავ ავტომატურად გამოჩნდნენ როგორც საინვესტიციო საქონელზე დახარჯული დოლარები. დანახოვითა და ინვესტიციების თვითრეგულირების დასაბუთება სარგებლის განაკვეთის დახმარებით მარტივი და სარწმუნო იყო. ეკონომისტი-კლასიკოსები აღნიშნავდნენ, რომ სხვა თანაბარ პირობებში საოჯახო მეურნეობები ჩვეულებრივ ამჯობინებენ მოიხმარონ და არა დაზოგონ. საქონელთა და მომსახურების მოხმარება ადამიანურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, გამოუყენებელი დოლარები კი - არა. აქედან კეთდება დასკვნა იმის თაობაზე, რომ მომხმარებლები დაზოგავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ სარგებლის განაკვეთს გადაუხდიან მომჭირნეობის საზღაურად. რაც უფრო მაღალია სარგებლის განაკვეთი, მით უფრო მეტი დოლარი დაიზოგება და საოჯახო მეურნეობათა დანახოვების მრუდი (დოლარების მიწოდება) აღმავალი იქნება (მრუდი S იხ. ნახ 12-1ა). ვინ გადაიხდის დანახოვითა გამოყენების საზღაურს? არავინ, თუ არა ინვესტორები - საწარმოთა მესაკუთრეები, რომლებიც ცდილობენ მოძებნონ (მოთხოვნას აყენებენ) ფულადი კაპიტალი, ან წარმოებრივ მოწყობილობათა პარკი თავიანთ საწარმოთა განახლებისა და გაფართოებისათვის. რამდენადაც სარგებლის ნორმა გავლენას ახდენს მეწარმე - მოსესხეთა დანახარჯებზე, ეს უკანასკნელები უფრო ხალისით ისესხებენ და დააბანდებენ დაბალი და არა მაღალი განაკვეთის პირობებში. ეს ნიშნავს, რომ მეწარმეთა ინვესტიციების მრუდი (დოლარებზე მოთხოვნა) დაღმავალი იქნება ( I მრუდი 12-1 ა ნახაზზე).





ნახ.12-1 ფულადი ბაზრის კლასიკური განმარტება.

ეკონომისტი-კლასიკოსები ვარაუდობენ, რომ ფულის ბაზარზე საოჯახო მეურნეობათა დანაზოგები დოლარების მიწოდების  $S$  მრუდზე აისახება, ხოლო მეწარმეთა საინვესტიციო გეგმები - დოლარებზე მოთხოვნის  $I$  მრუდზე. 12-1 ა. ნახაზე სარგებლის წონასწორობითი  $r$  განაკვეთი ფულის გამოყენებისათვის გადახდილი ფასი გააწონასწორობს სიდიდეებს რომლის დაზოგვასაც საოჯახო მეურნეობები, ხოლო ინვესტირებას-მეწარმეები ვარაუდობენ. რაც დანახარჯთა დონის გარანტიას იძლევა სრული დასაქმების პირობებში. 12-1 ბ ნახაზე დანაზოგთა გადიდება სარგებლის ნებისმიერი განაკვეთის ბროს გამოიწვევს დოლარების მიწოდების მრუდის მარჯვნივ,  $S'$  -სკენ გადაადგილებას. შესაძამისად, სარგებლის წონასწორობითი განაკვეთი მცირდება  $r'$  -მდე, ხოლო დანაზოგებისა და ინვესტიციების ახალი, წონასწორობითი სიდიდე გაიზრდება  $q'$  -მდე.  $q'$  წერტილზე დანაზოგთა და ინვესტიციების სიდიდეები ისე ტოლია და მიიღწევა სრული დასაქმების პირობების დანახარჯთა დონე.

ეკონომისტი-კლასიკოსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფულის ბაზარი, რასაც დანაზოგების მფლობელები დოლარებს სთავაზობენ, ხოლო ინვესტორები ამ დოლარებზე მოთხოვნას აყენებენ, წონასწორობით ფასს აწესებს ფულის გამოყენებაზე - სარგებლის წონასწორობით განაკვეთზე. რომლის დროსაც დაზოგვლი (მიწოდებული) დოლარების რაოდენობა ინვესტირებული დოლარების ტოლია (რომელზედაც იყო მოთხოვნა). როგორც 12-1ა ნახაზზე ნახვენები, სარგებლის განაკვეთი  $r$ -ის ტოლია, ხოლო დანაზოგთა და ინვესტიციებისა  $q$ -სი. დანაზოგები, როგორც კლასიკოსები აღნიშნავენ, უაქტობრივად არ იწვევს დარღვევებს შემოსავლები-დანახარჯების ნაკადში (სუის კანონის მიხედვით - აუცილებელ ნაკადზე), ვინაიდან ფულის ბაზარი, ანუ, უფრო სწორედ სარგებლის განაკვეთი ხელს უწყობს იმას, რომ ყოველი დაზოგვლი დოლარი ინვესტორთა ხელში მოხვდეს და დაიხარჯოს წარმოებრივ მოწყობილობაზე. ამიტომ მომჭირნეობის გაძლიერება სოციალური შეფიქრანების საბაბს არ წარმოადგენს, ვინაიდან იგი დანაზოგების მიწოდების მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ  $S$  მრუდიდან  $S'$  მრუდისაკენ (იხ. ნახ. 12-1 ბ.). თუმცა, დანაზოგები მომერქალურად გადაატარებენ ინვესტიციებს და შესაძლოა, დროებითი უმუშევრობა გამოიწვიონ, მაგრამ დანაზოგთა სიტარბე გამოიწვევს სარგებლის განაკვეთის შემცირებას ახალ წონასწორობით უფრო დაბალ  $r$  დონემდე. ხოლო სარგებლის ეს უფრო დაბალი განაკვეთი გამოიწვევს დანახარჯების ზრდას ინვესტიციებში, მანამ, სანამ ისინი დანაზოგებს არ გაუტოლდებიან  $q'$  წერტილში, ამასთან სრული დასაქმების შენარჩუნებით.

მოკლედ რომ ვთქვათ, სარგებლის განაკვეთის შეცვლა უსრუნველყოფს სუის კანონის მოქმედებას მრამუნელოვანი დანაზოგების მქონე ეკონომიკაში (კი. როგორც ეკონომისტი-კლასიკოსებს წარმოედგინათ, ეკონომიკა გიგანტური აბაზანის მსგავსია, რომელშიც წყლის დონე პროდუქციის გამოშვებასა და დასაქმებას შეესაბამება. წყლის ნებისმიერი გადენა ჩამოსაშვები მილის მეშვეობით, აბაზანას უბრუნდება ონკანის ქმვეობით. ასეთი უნდა იყოს ეს პროცესი, რამდენადაც სარგებლის განაკვეთი აერთებს ჩამოსაშვებ მილს და ონკანს.

## ფასების და ხელშასის თანაფარდობის ელასტიურობა

ეკონომისტმა-კლასიკოსებმა თავიანთი დასკვნა იმის შესახებ, რომ სრული დასაქმება კაპიტალიზმისათვის ჩვეულებრივი წესია, დამატებით კიდევ სხვა არგუმენტებთან ერთად დაასაბუთეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ პროდუქციის წარმოების დონე, რომლის რეალიზაციაც მეწარმეებს შეუძლიათ, არა მხოლოდ საერთო დანახარჯების დონეზეა დამოკიდებული, არამედ პროდუქციის ფასების დონეზეც. ეს ნიშნავს, რომ თუ კი სარგებლის განაკვეთს რაღაც მიზეზით დროებით არ შეუძლია საოჯახო მეურნეობათა დანახარჯებისა და მეწარმეთა ინვესტიციების თანაფარდობაში მოკვანა, საერთო დანახარჯების ნებისმიერი შემცირება კომპენსირებული იქნება ფასების დონის პროპორციული შემცირებით. სხვა სიტყვებით, თუ თავდაპირველად 40 დოლარად შეიძლებოდა პერანგის ყიდვა (თითოეულის 10 დოლარად), მათზე ფასის 5 დოლარამდე შემცირების შემდეგ 20 დოლარად იყიდის იმდენსავე პერანგს, რამდენსაც ადრე ყიდულობდნენ. ამრიგად, თუ საოჯახო მეურნეობებმა დროებით მეტი დანახარჯი, კიდრე მეწარმეებს უნდა დაებანდებინათ, მაშინ საერთო დანახარჯების ამით გამოწვეული შემცირება არ გამოიწვევს წარმოების რეალური მოცულობის, შემოსავლისა და დასაქმების დონის ხანგრძლივ შემცირებას, იმ პირობით, რომ პროდუქციის ფასები დანახარჯების შემცირების პროპორციულად შემცირდებიან.

ეკონომისტ-კლასიკოსთა მოსაზრებით ასეც უნდა მოხდეს. გამყიდველებს შორის კონკურენცია უზრუნველყოფს ფასების ელასტიურობას. რამდენადაც პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება საერთო გახდება, კონკურენტი მეწარმეები შეამცირებენ ფასებს პროდუქციის ნამეტის დაგროვების თავიდან ასაცილებლად. სხვა სიტყვებით, "ჭარბ" დანახარჯთა წარმოშობა გამოიწვევს ფასების შემცირებას, ხოლო უფრო დაბალი ფასები, დოლარის რეალური ღირებულების ანუ მსყიდველობითი უნარის გადიდებით, დანახარჯის არმქონე პირებს საშუალებას მისცემს მეტი საქონელი და მომსახურება შეიძინონ მიმდინარე ფულადი შემოსავლებით. ამიტომ დანახარჯთა ფასების შემცირებას იწვევენ და არა პროდუქციის წარმოების მოცულობისა და დასაქმების შემცირებას.

სკეპტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ - ხომ არ უგულებელყოფა ამახთან რესურსების ბაზარი? მართალია, მეწარმეებს კიდევაც შეუძლიათ თავიანთი პროდუქციის გაყიდვის მოცულობის შენარჩუნება მოთხოვნის დაკემის პირობებში ფასების შემცირების გზით, მაგრამ ივა ხომ არ

იქნება მათთვის ზარალიანი? რამდენადაც პროდუქციის ფასები მცირდება, განა მნიშვნელოვნად არ უნდა შემცირდეს რესურსების ფასები კერძოდ ხელფასის განაკვეთები, - რათა მეწარმეებისათვის ხელსაყრელი იყოს პროდუქციის წარმოება ფასების დონის ხელახალი დაწესების პირობებში? ეკონომისტი-კლასიკოსები პასუხობდნენ, რომ ხელფასის განაკვეთები უნდა შემცირდეს და შემცირდება კიდევაც, პროდუქციაზე მოთხოვნის საერთო შემცირება ასახვას ქპოვებს შრომისა და სხვა რესურსებზე მოთხოვნის შემცირებაში. ხელფასის განაკვეთების შენარჩუნების პირობებში ეს მაშინათვე სამუშაო ძალის სიტარბეს, ანუ უმუშევრობას გამოიწვევს. მაგრამ არ სურთ რა ყველა მუშის ხელფასის თავდაპირველი განაკვეთებით დაქირავება, მეწარმეები ხელსაყრელად ჩათვლიან ხელფასის უფრო დაბალი განაკვეთებით მათ დაქირავებას. შრომაზე მოთხოვნა, სხვა სიტყვებით, ნელ-ნელა ეცემას; ის მუშები, რომლებიც ვერ შეძლებენ ხელფასის ძველი, უფრო მაღალი განაკვეთებით დაქირავებას, იძულებული შეიქმნებიან დათანხმდნენ ახალი, უფრო დაბალი განაკვეთებით მუშაობას.

მუშები ხალისით დათანხმდებიან თუ არა შემცირებული განაკვეთებით მუშაობას? ეკონომისტ-კლასიკოსთა მოსაზრებით უმუშევართა მხრივ კონკურენცია აიძულებს მათ ამისათვის. თავისუფალი სამუშაო ადგილებისათვის კონკურენციით, უმუშევრები ხელს შეუწყობენ ხელფასის განაკვეთების შემცირებას მანამ, სანამ ეს განაკვეთები (დამქირავებელთა დანახარჯები ხელფასზე) იმდენად დაბალი არ იქნება, რომ მეწარმეებს ხელსაყრელი არ მოეჩვენებათ არსებული ყველა მუშის დაქირავება. ეს მოხდება ხელფასის ახალი, უფრო დაბალი წონასწორობითი განაკვეთის პირობებში. ამიტომ ეკონომისტ-კლასიკოსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იძულებითი უმუშევრობა შეუძლებელია. ხელფასის, ბაზრით განსაზღვრული განაკვეთით მუშაობის ნებისმიერ მსურველს, ადვილად შეუძლია სამუშაოს პოვნა. კონკურენცია შრომის ბაზარზე გამორიცხავს იძულებით უმუშევრობას.

## კლასიკური თეორია და სახელმწიფოებრივი ჩაურევლობა

კლასიკოსთა შეხედულებით, საბაზრო რეგულირების ისეთ ბერკეტებს, როგორცაა, ერთი მხრივ, სარგებლის განაკვეთის მერყეობა, და ხელფასისა და ფასების თანაფარდობის ელასტიურობა, მეორე

მხრივ, შეუძლიათ სრული დასაქმების შენარჩუნება კაპიტალისტურ ეკონომიკაში. ეკონომისტი-კლასიკოსები ვარაუდობენ, რომ ერთად მოქმედებით რეგულირების ამ ორმა მექანიზმმა სრული დასაქმება გარდუვალობად გადააქცია. ისინი კაპიტალიზმს თვითრეგულირებად ეკონომიკად მიიხსენებდნენ, რომელშიც სრული დასაქმება ჩვეულებრივი წესია. კაპიტალიზმს შეუძლია „თავისთავად განვითარდეს“. სახელმწიფოს დახმარება ეკონომიკის ფუნქციონირებაში ზედმეტად, უფრო მეტიც, მავნედ ითვლებოდა. ეკონომიკას, რომელსაც წარმოების სრული მოცულობის და სრული დასაქმების მიღწევა შეუძლია, სახელმწიფოს ჩარევა ზიანს მიაყენებს. კლასიკური თეორიის ლოგიკას იმ დასკვნამდე მიყვავართ, რომ ყველაზე უფრო მისაღებია სახელმწიფოებრივი ჩაურევლობის ეკონომიკური პოლიტიკა.

## კეინსური ეკონომიკური თეორია

დასაქმების კლასიკური თეორიის დებულებებს მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა ერთი არსებითი ფაქტი ხანგრძლივი უმუშევრობისა და ინფლაციის განმეორებადი პერიოდები. თუ წარმოების მოკლევადიანი დაქვეითება 1924 და 1927 წლებში ომებით და ანალოგიური საგარეო გარემოებებით აიხსნებოდა, 30-იანი წლების “დიდი დეპრესიის” დრმა და ხანგრძლივი დაქვეითებები არავითარ ახსნას არ ექვემდებარებოდა. არსებობს საოცარი შეუსაბამობა თეორიას, რომლის თანახმად უმუშევრობა არსებითად შეუძლებელია და ეკონომიკის ფაქტობრივ ათწლიან “ალყას” შორის ერთობ მნიშვნელოვანი უმუშევრობით. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთმა ეკონომისტმა დასაქმების კლასიკური კონცეფციის თეორიული პოსტულატებისა და ფუძემდებლური პრინციპების კრიტიკა იწყო.

1936 წელს ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მენარდ კეინმა, რომელსაც თქვენ მე-11 თავში გაეცანით, დასაქმების დონის ახალი ახსნა წამოაყენა კაპიტალისტურ ეკონომიკაში. თავის ნაშრომში “დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია”, კეინსი თავს დაესხა კლასიკური თეორიის საფუძვლებს, რითაც უდიდესი რევოლუცია

---

1 იხ. Кейнс Дж. М. Общая теория занятости, процента и денег. М., 1987.

მოახდინა ეკონომიკურ აზროვნებაში მაკროეკონომიკურ საკითხებზე, კენისა დასაქმების თანამედროვე თეორიის მამამთავარია. მრავალი სხვა ეკონომისტი ცდილობდა სრულყო და განეციოთარებინა მისი მოძღვრება. ამ და შემდგომ თაგებში ჩვენ განვიხილავთ დასაქმების კენისურ თეორიას ანუ კენისურ ეკონომიკურ თეორიას მისი თანამედროვე სახით.

დასაქმების კენისური თეორია მკვეთრად განსხვავდება კლასიკური მიდგომისაგან. ამ თეორიის მკაცრი დასკვნა ისაა, რომ კაპიტალიზმის დროს უბრალოდ არ არსებობს არავითარი მექანიზმი, რომელიც სრული დასაქმების გარანტიას იძლევა. ამტკიცებენ, რომ ეკონომიკა შეიძლება დაბალანსებულიც იყოს - ე.ი. შეიძლება წარმოების საერთო მოცულობის წონასწორობას მიღწიოს უმუშევრობის მნიშვნელოვანი დონისა და არსებითი ინფლაციის პირობებში. სრული დასაქმება უფრო შემთხვევითია, ვიდრე კანონზომიერი. კაპიტალიზმი არაა თვითრეგულირებადი სისტემა, რომელსაც შეუძლია უსახლოდ აყვავება; არ შეიძლება ვივქროთ, რომ კაპიტალიზმი "თავისთავად ვითარდება". უფრო მეტიც, არ შეიძლება ეკონომიკური შერყევები მხოლოდ საგარეო ფაქტორებს დავუკავშიროთ, ისეთებს, როგორცაა ომები, გვალვა და სხვა ანომალიები. პირიქით, უმუშევრობისა და ინფლაციის მიზეზები მნიშვნელოვანწილად ზოგიერთ ეკონომიკურ კერძოდ, დანაზოგებისა და ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებაში სრული სისქრონულობის არარსებობაში იმალება. გარდა ამისა, პროდუქციის ფასები და ხელფასი შემცირების ტენდენციას ინარჩუნებენ - ფასების და ხელფასის მნიშვნელოვან შემცირებას წინ უძღვის, ამრიგად, საშინაო ფაქტორები, რომელთაც საგარეოსთან დამატებით თავიანთი წვლილი შეაქვთ ეკონომიკის არასტაბილურობაში.

კენისელები თავიანთ მოსახრებას იმითაც განამტკიცებენ, რომ უარყოფენ თვით იმ მექანიზმს, რომელსაც კლასიკური პლაცფორმა ემყარება სარგებლის განაკვეთის და ფასებისა და ხელფასის უთანაფარდობის ავტომატურ რეგულირებას.

## საინფესტიციო გეგმებისა და ღახოგვის გეგმების შეუსაბამობა

კენისური თეორია უარყოფს სეის კანონს, საოჯახო მეურნეობათა დანაზოგებისა და მეწარმეთა საინვესტიციო გეგმების სარგებლის

განაკვეთით თანაფარდობაში მოყვანის დებულების ეჭვის ქვეშ დაყენებით .ის ფაქტი,რომ თანამედროვე კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია გამარსული ფულადი ბაზარი და ფინანსური ინსტიტუტების ფართო მრავალგვარობა,არ ამკირებს სკეპტიციზმს სარგებლის განაკვეთის, როგორც იმ მექანიზმის მიმართ,რომელსაც შეუძლია შეაერთოს დანახოვით ნამოსაშვები მილი და ინვესტიციების ონკანი.კონსულები უსაფუძლოდ მიიჩნევენ კლასიკოსთა მტკიცებებს იმის შესახებ,რომ ფირმები მეტის ინვესტირებას შესძლებენ,თუ საოჯახო მეურნეობები გაადიდებენ დაზოგვის დონეს.ბოლოსდაბოლოს, დაზოგვის გადიდება ხომ არ ნიშნავს მოხმარების შემცირებას? შეიძლება მართლაც ვიფიქროთ,რომ მეწარმეები გააფართოვებენ თავიანთ წარმოებრივ სპიხლავრეებს,როდესაც მათი პროდუქციის ბაზარი ვიწროვდება?მთლიანად კონსულები ვარაუდობენ,რომ დანახოვით სუბიექტები და ინვესტირება არსებითად სხვადასხვა ჯგუფებია,რომლებიც თავიანთი დანახოვით და ინვესტიციების გეგმებს სხვადასხვა საფუძველზე შეიმუშავენ.კერძოდ,დანახოვების დონე სუსტადაა დამოკიდებული სარგებლის განაკვეთზე.

**1. დანახოვით სუბიექტები და ინვესტორები - სხვადასხვა ჯგუფებია.** ვინ განსაზღვრავს კაპიტალისტურ ეკონომიკაში რამდენი უნდა დაიზოგოს და რამდენი იქნას ინვესტირებული?(ჩვენს ანალიზში მხვედველობაში არ ვიღებთ სახელმწიფოს ზემოქმედებას). კვლევა სახის საწარმოები და განსაკუთრებით კორპორაციები საინვესტიციო გადაწყვეტილებათა უსვალავ რაოდენობას ღებულობენ.ხალხი ვინ იღებს გადაწყვეტილებას დაზოგვის შესახებ?აქ სურათი უფრო გაურკვეველია. ჯანსაღი ეკონომიკის პირობებში,როგორიც ამერიკულია, საოჯახო მეურნეობები მნიშვნელოვან თანხას ზოგავენ.განსაკუთრებით,როცა აკვაყების სჭადია დგება.კორპორაციებსაც გაანიათ დიდი დანახოვები გაუნაწილებელი მოგების სახით.მთავარია,რომ დაზოგვისა და ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებები,არსებითად ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების მიერ მიიღება.

**2. დანახოვით სუბიექტები და ინვესტორები სხვადასხვა მოტივებით ხელმძღვანელობენ.** განსხვავება დანახოვით სუბიექტებსა და ინვესტირებს შორის კლასიკური თეორიისათვის ასეთი ფაქტალური არ იქნებოდა , რომ მათი გადაწყვეტილებები ერთი და იგივე ფაქტორით მოტივირდებოდეს და შესაბამისობაში მოიყვანებოდეს, ისეთით, როგორიცაა სარგებლის განაკვეთი, მაგრამ, კონსულები ამტკიცებენ,რომ რომ ეს ასე არაა. დაზოგვის შესახებ გადაწყვეტილებები სხვადასხვა მოსაზრებებით მოტივირდება.ზოგიერთები ზოგა-

ვენ,რათა იყიდონ ძვირადღირებული საგნები,რომელთა ღირებულება ხელფასის მოკულობას აჭარბებს;საოჯახო მეურნეობები ზოგავენ,რათა შეამცირონ საცხოვრებელი ბინებისათვის შენატანების სიმძიმე, შეიძინონ ავტომანქანები და ტელევიზორები.ზოგიერთი დანაზოგი ხორციელდება მხოლოდ ხელსაყრელობისათვის: იმისათვის,რომ პქონდეთ სალიკვიდო (ნაღდი ფულის) სახსრების მარაგი და შესაძლებელი იყოს გაუთვალისწინებელი ყიდვა ნებისმიერ მომენტში. დანაზოგები ხორციელდება ინდივიდუუმებისა და მათი ოჯახების მომავალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით. საოჯახო მეურნეობები დანაზოგებს აგროვებენ ოჯახის უფროსის პენსიაზე გასვლის უზრუნველსაყოფად ან ბავშვებისათვის კოლეჯში განათლების მისაღებად.დანაზოგები გამოდის ისეთი მოულოდნელი შემთხვევებისაგან დაცვის მიზნით სიფრთხილის ღონისძიებად, როგორიცაა ხანგრძლივი უმუშევრობა თუ ავადმყოფობა. დაზოგვა ხდება ღრმად დამკვიდრებული ჩვეულებების გამოც,რომელიც თითქმის ავტომატურად მოქმედებს;ან დანაზოგი კეთდება რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გარეშე.მრავალი დანაზოგი მჭიდროდაა დაკავშირებული დამკვიდრებულ ტრადიციებთან და დადებულ კონტრაქტებთან: მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევის,რენტისა და პენსიის დაზღვევის გადასახდელები ან. "ობლიგაცია ამ სვეში"- პროგრამაში მონაწილეობა. ცხადია,რომ დაზოგვის არც ერთი ამ მოტივთაგანი არ წარმოადგენს განსაკუთრებით "მგრძობიარეს" სარგებლის განაკვეთისადმი.კეინსელები ვარაუდობენ,რომ შესაძლოა ადვილად წარმოვიდგინოთ სიტუაცია, რომელშიც კლასიკოსთა წარმოდგენის საპირისპიროდ (ნახ.12-1) დანაზოგები უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში იყოფებიან სარგებლის განაკვეთთან. მოვახდინოთ მისი ილუსტრირება:თუ ოჯახს გამიზნული აქვს დაზოგვის შედეგად უზრუნველყოს წლიური შემოსავალი პენსიის სახით 6000 დოლარის სიდიდით,მან უნდა დააგროვოს 100 ათასი დოლარი სარგებლის განაკვეთის 6%-ის პირობებში და მხოლოდ 50 ათასი დოლარი სარგებლის ნორმის 12%-ის პირობებში.

ბოლოსდაბოლოს რა განსაზღვრავს დანაზოგის დონეს კეინსელთა მოსაზრებით? აბსოლუტურად ცხადია,რომ, როგორც დაზოგვის,ისე ინვესტიციების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია ეროვნული შემოსავალი.

რატომ ყიდულობენ მეწარმეები წარმოების საშუალებებს? ინვესტიციებზე დანახარჯების მოტივაცია,როგორც ჩვენ დავინახეთ,ერთობ რთულია. სარგებლის განაკვეთი - ინვესტირებისათვის ფულადი კაპიტალის შექმნის საფასური- გაითვალისწინება ინვესტიციების გეგმის



შედგენისას. მაგრამ სარგებლის განაკვეთი არ წარმოადგენს ერთადერთ ფაქტორს. ინვესტიციის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოგების ნორმატივების მიღებასაც ფირმები ინვესტიციისაგან ვარაუდობენ. წარმოების დაქვეითების დროს მოგების იმედი იმდენად მოსვენებითია, რომ ინვესტიციების დონე დაბალი იქნება, ხოლო შესაძლოა დაეკეს კიდევაც მიუხედავად სარგებლის განაკვეთის მნიშვნელოვანი შემცირებისა. და პირიქით, როდესაც ინვესტიციებზე მოთხოვნა უკიდურესად დიდია, სარგებლის ნორმის გადიდება მთავარი სტიმული როდია.


**3. ფულადი დაბროშება და ბანკები.** დასაქმების კეინსური თეორიით ფულის ბაზრის შესახებ კლასიკოსთა წარმოდგენები (ნახ. 12-1) შეფასებულია, როგორც ძალზე გამარტივებული და გარკვეული ზომით არასწორი. კერძოდ, კლასიკოსთა თანახმად, ფულის ბაზარი ფულის ხმოვანობის, რომ ინვესტიციების დაფინანსების ერთადერთი წყაროა მიმდინარე დანახოვები. კეინსურ თეორიაში კი ითვლება, რომ ფულის ბაზარზე არის სახსრების ორი სხვა წყარო: 1) საოჯახო მეურნეობათა ნაღდი ფულის დანახოვები და 2) საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც ფულის მიწოდებას აღიძვებენ.

კეინსურ თეორიაში განსაკუთრებით დათქმულია, რომ მოსახლეობა ფულს ხელზე ინახავს არა მხოლოდ ყოველდღიურ გარიგებათა განსახორციელებლად, არამედ სიმდიდრის დაგროვებისათვისაც ფულადი ფორმით (არა ბანკებში). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ფულადი სახსრების ნაწილის შემცირებისა და ინვესტირებისათვის მათი გადაცემით ფულის ბაზარზე შესაძლოა სახსრების სიჭარბე შეიქმნას მიმდინარე დანახოვებთან შედარებით. ანალოგიურად, როგორც ჩვენ მე-16 თავში დავინახეთ, როდესაც საკრედიტო დაწესებულებები სესხებს სთავაზობენ, ისინი აღიძვებენ ფულის მიწოდებას. კრედიტები, რომლებსაც ბანკები და სხვა საფინანსო დაწესებულებები სთავაზობენ, ასევე მიმდინარე დანახოვების გადიდების საშუალებაა, რომლებიც ინვესტირების წყაროთა სახით გამოიყენება. ამის შედეგად ფულადი სესხების შემცირებამ საოჯახო მეურნეობათა ხელში და ბანკების მიერ სახსრის შეთავაზებამ შეიძლება ინვესტიციების გადამეტება გამოიწვიოს მიმდინარე დანახოვების თანახმად. ეს ნიშნავს, რომ სეის კანონი არ მოქმედებს და წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონეები შეიძლება მერყეობდეს. მალე ჩვენ დავინახავთ, რომ ინვესტიციების დანახოვებზე გადამეტების გამო ხდება საერთო დანახარჯების გადიდება, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ეკონომიკის გამოცოცხლებას. თუ ეკონომიკა თავდაპირველად ეკონომი-

კური დაქვეითების სტადიაზე იმყოფებოდა, წარმოების მოცულობა და დასაქმების სიდიდე გაიზარდება; თუ ეკონომიკამ უკვე მიაღწია სრულ დასაქმებას, მაშინ დამატებითი დანახარჯები მოთხოვნის ინფლაციას წარმოშობს.


პირიქით, კლასიკური თეორია არასწორად ამტკიცებს, რომ მთელი მიმდინარე დანაზოგები ფულის ბაზარზე აღმოჩნდება. თუ (1) საოჯახო მეურნეობები მიმდინარე დანაზოგთა რაღაც ნაწილს ხელზე იტოვებს, არ უშუქებს მათ ფულის ბაზარზე და (2) თუ მიმდინარე დანაზოგები გამოიყენება საბანკო დავალიანებათა დასაფარავად, მაშინ სახსრების ჯამი ფულის ბაზარზე ნაკლები იქნება 12-1 ნახაზზე დანაზოგთა მრუდით გამოსახულ თანხაზე<sup>1</sup>. აქედან გამომდინარეობს, რომ მიმდინარე დანაზო-

1. შენიშვნა. კენისეულია მოცემული კრიტიკული შენიშვნები შედარებით მარტივად შეიძლება ეარეოთ, ფულის ბაზრის კლასიკური გაგების გამოყენებით. პირველ შემთხვევაში (ნახ. ა) ერთდროულად საოჯახო მეურნეობებიც გადაიტანენ ფულის ბაზარზე დაზოგილ ნაღდ ფულს, და ბანკებიც შესთავაზებენ სესხებს. თუ ჩვენ ამ თანხას დაეუმატებთ (ისინი ორდინატა ღერძზეა) S მიმდინარე დანაზოგებს, მაშინ მივიღებთ სახსრების მიწოდების მრუდს. ამის შედეგად მიღებული სარგებლის F1 წონასწორობითი განაკვეთის პირობებში ინვესტიციები შეადგენს I1 -ს, ხოლო მიმდინარე დანაზოგთა ნამეტი S1 -ს. მეორე შემთხვევაში (ნახ. ბ) სახსრების მიწოდების F მრუდი მოკლე იქნება, ვიდრე მიმდინარე დანაზოგთა მრუდი, ეინაიდან მიმდინარე დანაზოგთა ნაწილი დარჩა საოჯახო მეურნეობათა ხელში და გამოყენებულია ბანკის ვალდებულებათა დასაფარავად. S მრუდის შემცირება გვაძლავს F2 მრუდს სარგებლის წონასწორობითი F2 განაკვეთის პირობებში ინვესტირება მხოლოდ I2-ის ტოლი იქნება, ხოლო მიმდინარე დანაზოგები გაიზარდება S2 -სიდიდით. დასკვნა: ფულის ბაზარი ვერ უზრუნველყოფს დანაზოგებისა და ინვესტიციების ტოლობას; ამიტომ სეის კანონი არ მოქმედებს; ეკონომიკა ექვემდებარება მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას.



დანაზოგები და ინვესტიციები (დოლ.)

(ა) ფულად მოთხოვნათა შემცირება და საბანკო სესხების შეთავაზება



დანაზოგები და ინვესტიციები (დოლ.)

(ბ) ფულადი მარაგების გადიდება და საბანკო სესხების დაფარვა (დოლ.)

გების თანხა ინვესტიციებს გადააჭარბებს. ისევე არ მოქმედებს სეის კანონი და დადგება მაკროეკონომიკური არასტაბილურობა. ამ შემთხვევაში დანაზოგების ინვესტიციებზე გადამეტება ერთობლივი მოთხოვნის შემცირების დანქარების მაუწყებელი იქნება. ვაჯამებთ: კეინსელების პოზიცია ისაა, რომ დანაზოგთა და ინვესტიციების გეგმები არ შეესაბამება ერთმანეთს და ამიტომ შეიძლება მოხდეს წარმოების საერთო მოცულობის, შემოსავლის, დასაქმებისა და ფასების დონის შერყევები. საოჯახო მეურნეობები და მეწარმეები მხოლოდ შემთხვევით ვარაუდობენ ერთი და იგივე თანხის დაზოგვას და ინვესტირებას. კეინსელები თავიანთ თავს უფრო მოხერხებულ “მეწყალსადენედ” თვლიან, ვიდრე მათი წინამორბედები-კლასიკოსები, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ დანაზოგთა ჩამომშვები მილი და ინვესტიციათა ონკანი ერთმანეთს არ უერთდება.

## შასეპისა და ხელფასის თანაფარდობის ელასტიურობის დისკრიმინაცია

რა მოუხერხით კლასიკოსთა თეორიული დებულების მეორე ასპექტს, რომლის თანახმადაც ფასებისა და ხელფასის რეგულირება მათი შემცირების მიმართულებით აღმოფხვრის უმუშევრობის ზეგავლენას საერთო დანახარჯებზე.

**მოვლენის არსებობა.** ფასებისა და ხელფასის თანაფარდობათა ელასტიურობა, ამტკიცებენ კეინსელები, უბრალოდ არ არსებობს იმ ზომით, რაც აუცილებელია სრული დასაქმების აღსადგენად ერთობლივი მოთხოვნის შემცირების პირობებში. საბაზრო სისტემა კაპიტალიზმის დროს არასოდეს ყოფილა მთლად კონკურენტული, ხოლო თანამედროვე პერიოდში, მას ბაზრის გაუმართაობა, არასრულყოფილება; პრაქტიკული და პოლიტიკური სიძნელები ეტყობა, რომლებიც აბრკოლებენ ფასებისა და ხელფასის თანაფარდობის ელასტიურობას. “მბრუნავის” ეფექტის შესაბამისად, რომელიც განხილულია მე-11 თავში, მონოპოლისტ-მეწარმეებს, რომლებიც მრავალ მნიშვნელოვან პროდუქტთა ბაზარზე დომინირებენ, შესაძლებლობა და სურვილიც გააჩნიათ წინ აღუდგნენ პროდუქციაზე ფასების შემცირებას მოთხოვნის დაცემის პირობებში. რესურსების ბაზრებზეც ძლიერი პროფკავშირები ასევე დაუინებით ატარებენ ხელფასის შემცირების საწინააღმდეგო ხაზს. პროფკავშირთა კოლექტიური

ხელშეკრულებები თავიდან აიცილებენ ხელფასის დაცემას მოცემულ ხელშეკრულებათა მოქმედების ორ-სამწლიანი ვადის მანძილზე. პროფკავშირებში გაუწევრიანებულ მუშათა შრომის ბაზარზე მიღებული ხელფასის რეგულირება მხოლოდ წელიწადში ერთხელ. გარდა ამისა, დამქირავებლები ერთობ ფრთხილად ეკიდებიან ხელფასის შემცირებას, ითვალისწინებენ რა მის უარყოფით ზემოქმედებას კოლექტივში ურთიერთდამოკიდებულებასა და მუშათა მწარმოებლურობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ვთქვათ, პრაქტიკულად არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ფასებისა და ხელფასის თანაფარდობის ელასტიურობა ერთობლივი მოთხოვნის შემცირების დაქვეითებაზე, უმუშევრობის ზეგავლენის კომპენსირებას ახდენს.<sup>1</sup>

**სარბმპლობა.** უფრო მეტიც, მაშინაც კი თუ ფასების და ხელფასის შემცირებას თან ახლავს საერთო ხარჯების შემცირება, საეჭვოა, რომ ეს ხელს შეუწყობს უმუშევრობის შემცირებას. რატომ? ფულზე ერთობლივი მოთხოვნის მოცულობა არ შეიძლება მუდმივი დარჩეს, როცა ფასები ეცემა და ხელფასი მცირდება. უფრო დაბალი ფასები და ხელფასი აუცილებლად გამოიწვევს უფრო ნაკლებ ფულად შემოსავლებს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ საერთო ხარჯების შემდგომ შემცირებას. ამის შედეგად მოსალოდნელია მცირე ან საერთოდ ნულოვანი ცვლილებები წარმოებისა და დასაქმების შემცირებულ დონეში.

კეინსელები ხაზს უსვამენ, რომ კლასიკოსები ჩიხში მოექცნენ თავიანთ დასაბუთებაში თეორიული მსჯელობის მცდარობის გამო. რამდენადაც მუშათა განსაზღვრული კატეგორია, როგორც წესი, ყიდულობს მის მიერ წარმოებულის, მხოლოდ მცირე ნაწილს, ამ პროდუქტის, და, შესაბამისად, ცალკეული ფირმათა შრომაზე მოთხოვნის მრუდი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოცემული ფირმის მუშათა მიერ მიღებული ხელფასის (შემოსავლის) რაიმე ცვლილებებისაგან დამოუკიდებელი. სხვა სიტყვებით, მართებულია მტკიცება, რომ ხელფასის განაკვეთის შემცირება ცალკეულ ფირმაში ნიშნავს მოძრაობას ქვემოთ შრომაზე მოთხოვნის მრუდზე, რის შედეგადაც ფირმა დაიქირავებს მეტ

---

1. მაგრამ, ეს როდი ნიშნავს, რომ ხელფასი ხავერდით არაელასტიურია შემცირების მიმართულებით. 30-იანი წლების დასაწყისში მუშათა დიდი ნაწილი იძულებული იყო შერიგებოდა ხელფასის გაყინვას, მის შემცირებას და ასევე დამატებითი მისაცემლების შემცირებას. მისი მიზეზი გახდა შემდეგი ფაქტორები: ა) განმეორებადი კრიზისები (ერთ-ერთი მათგანი ისეთი ღრმა იყო, რომ გამოიწვია 30-იანი წლებიდან მოყოლებული უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე) ბ) კონკურენციის გაძლიერება ამერიკულ ბაზარზე; გ) რეგულირებისაგან უარის თქმა ზოგიერთ დარგებში (ავიახაზები და ავიაგაფანჯირები).

მუშას, ანუ დასაქმება გაიზრდება. მაგრამ ასეთი მსჯელობები, ამტკიცებენ კეისელები, მიუღებელია ეკონომიკისათვის მოტივანად, ხელფასის საერთო შემცირებისათვის. რატომ? იმიტომ, რომ ხელფასი შემოსავლების მთავარი წყაროა ეკონომიკაში. ხელფასის საყოველთაო შემცირება შესაბამისად გამოიწვევს შემოსავლების შემცირებას და ასევე პროდუქციაზე მოთხოვნისა და მისი წარმოებისათვის გამოყენებული შრომის შემცირებას. ამის შედეგად ხელფასის საერთო შემცირების პირობებში მეწარმეები დაიქირავებენ მუშათა მცირე ნაწილს ან საერთოდ არ დაიქირავებენ ახალ მუშებს. ის, რაც მართებულია ცალკეული ფირმისათვის, როცა ხელფასის შემცირება მისი მუშებისათვის ხელისშემშლელ ზემოქმედებას არ ახდენს შრომაზე მოთხოვნაზე, მართებული არაა მთელი ეკონომიკისათვის, როცა ხელფასის საერთო შემცირება შეკვეცავს ფულად შემოსავლებს და პროდუქციასა და შრომაზე მოთხოვნას საერთოდ აღარ გამოიწვევს.

ამრიგად კეისელები ამტკიცებენ, რომ, ჯერ ერთი, ფასები და ხელფასი ფაქტობრივად ელასტიური არაა შემცირების მიმართულებით. მეორე, თუ ისინი ასეთი იქნებოდა, მაშინ ერთობ საეჭვოა, რომ ფასებისა და ხელფასის შემცირება შეარბილებდა ფართოდ გავრცელებულ უმუშევრობას.

## **კლასიკოსები და კეინსი: ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების თანაფარდობის ახალი ფორმულირება**

ახლა განვიხილოთ წმინდა სახით მაკროეკონომიკური სამყაროს ორივე კონცეფცია - კლასიკური და კეინსური, მე-11 თავში მოტანილი ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდთა ანალიზიდან გამომდინარე.

# კლასიკოსთა თვალსაზრისი

ეკონომისტი-კლასიკოსები ამტკიცებენ, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი ვერტიკალური ხაზია და განსაზღვრავს მხოლოდ წარმოების რეალური მოცულობის დონეს. მეორე მხრივ, ერთობლივი მოთხოვნის დადამავალი მრუდი სტაბილურობისაკენ მიისწრაფის და განსაზღვრავს მხოლოდ ფასების დონეს. ეს ორი განმაზოგადებელი დებულება გულდასმით განხილვას იმსახურებს.

**1. ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური მრუდი.** ეკონომისტ-კლასიკოსთა მოსაზრებით ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალური ხაზია, როგორც გამოსახულია 12-2 ა ნახაზზე. სწორედ ამიტომ ეუწოდეთ მე-11 თავში ერთობლივი მიწოდების მრუდის ვერტიკალურ მონაკვეთს “კლასიკური მონაკვეთი”. გავიხსენოთ, რომ ერთობლივი მიწოდების მრუდის ვერტიკალური ნაწილი შეესაბამება უმუშევრობის ბუნებრივ დონეს, ანუ უმუშევრობის დონეს სრული დასაქმების პირობებში. ეკონომისტ-კლასიკოსთა მოსაზრებით ეკონომიკა ფუნქციონირებს სრული დასაქმების პირობებში წარმოების მოცულობის დონეზე ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო: სეის კანონით, სარგებლის მოქნილი განაკვეთით, ელასტიური ფასებით და ხელფასის კანონით. მნიშვნელოვანია ხაზი გაუსვას ეკონომისტ-კლასიკოსების ვარაუდს, რომ  $Q_f$  არ იცვლება ფასების დონის შეცვლის ადეკვატურად. ასე მაგალითად, თუ ფასების დონე ეცემა  $P_1$  - დან  $P_2$  - მდე როგორც 12-2 ა ნახაზზე ნაჩვენებია, წარმოების რეალური მოცულობა უცვლელი რჩება  $Q_f$  დონეზე.

მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ წარმოების ამგვარი სტაბილურობის დონე არ შეესაბამება მე-4 თავში განხილულ ცალკეულ პროდუქტთა მიწოდების აღმავალ მრუდებს. მაშინ ჩვენ ავხსენით, რომ უფრო დაბალი ფასები გამოიწვევს წარმოების ნაკლებ ხელსაყრელობას და მწარმოებლებს აიძულებს ნაკლები პროდუქცია შესთავაზონ და, შესაძლოა, ნაკლები მუშები დაიქირაონ. კლასიკოსთა პასუხი ასეთ შეპასუხებაზე ისაა, რომ დანახარჯები წარმოების შემოტანის ფაქტორებზე შემცირდება პროდუქციის ფასების პარალელურად, რის შემდეგაც რეალური მოგება და, შესაბამისად წარმოების მოცულობა უცვლელი დარჩება.


განვიხილოთ მარტივი მაგალითი. დავუშვათ, რომ საქმე გვაქვს ერთი ფირმისაგან შემდგარ ეკონომიკასთან, რომლის მულობელმაც უნდა მიიღოს 20 დოლარი რეალური მოგება, რათა მისთვის ხელსაყრელი იყოს ვთქვათ 100 ერთეული პროდუქციის წარმოება სრული დასაქმების პირობებში. გავიხსენოთ მე-10 თავიდან, რომ მთავარია ბოლოსდაბოლოს

რეალური ვაშაგარის მიღება და არა ფასების დონე. დავეუშვათ, რომ წარმოების ერთადერთი შემოტანილი ფაქტორია (გარდა ფირმის მფლობელის მეწარმეობითი ტალანტისა) შრომის 10 ერთეული, რომელთაც იგი ქირაობს 8-8 დოლარად თითოეულს და მთლიანი დანახარჯები ხელფასზე 80 დოლარია ( $= 100 \times 8$  დოლ.) ასევე ვივარაუდოთ, რომ 100 ერთეული პროდუქცია იყიდება თითო დოლარად (ერთეული), ასე რომ საერთო ამონაგები უდრის 100 დოლარი ( $= 100 \times 1$  დოლ.). ფირმის ფულადი მოგება 20 დოლარი იქნება ( $= 100$  დოლ.  $- 80$  დოლ.). თუ ერთ დოლარს მივიღებთ ფასების საბაზისო ინდექსად, რომელიც 100% ია, რეალური მოგება ასევე 20 დოლარი ( $20$  დოლ.  $\times 1,00$ ) იქნება.

კეთილი, სრული დასაქმება მიღწეულია. მაგრამ ახლა დავეუშვათ, რომ ფასების დონე სანახევროდ დაეცა. ჩვენი საქონელმწარმოებელი ახლა მოახდენს თუ არა 20 დოლარი რეალური მოგების რეალიზაციას, რომელიც საჭიროა 100 ერთეული პროდუქციის წარმოების სტიმულირებისათვის სრული დასაქმების პირობებში?

კლასიკოსთა პასუხი იქნება: დიახ. ახლა, როცა პროდუქციის ფასი მხოლოდ 50 დოლარია ( $= 100 \times 0,5$  დოლ.), საერთო ამონაგები მხოლოდ 50 დოლარი იქნება. ხოლო დანახარჯები შრომის 10 ერთეულზე შემცირება 40 დოლარამდე ( $= 10 \times 4$  დოლ.), რამდენადაც ხელფასის განაკვეთი შემცირდა სანახევროდ. მართალია, ნომინალური მოგება დაეცა 10 დოლარამდე ( $= 50$  დოლ.  $- 40$  დოლ.), მაგრამ, რეალური მოგება იგივე რჩება 20 დოლ. სხვა სიტყვებით, ფულადი მოგების თანხის (10 დოლ.) გაყოფით ფასების ახალ ინდექსზე, მივიღებთ რეალურ მოგებას 20 დოლარის რაოდენობით, ( $= 10 \times 0,50$ ). დასკვნა; ხელფასის სრულიად ელასტიური ფორმის პირობებში ცვლილებები რეალურ ხელფასსა და, შესაბამისად, მეწარმეთა ქვევაში პროდუქციის წარმოებისა და გამოშვების თვალსაზრისით არ მოხდება. სრულიად ელასტიური ხელფასის პირობებში ფასების დონის ცვლილებები ვერ გამოიყვანს ეკონომიკას სრული დასაქმების მდგომარეობიდან.

**2. სტაბილური პართოგლივი მოთხოვნა.** ეკონომისტი-კლასიკოსები მიიჩნევენ, რომ ერთობლივი მოთხოვნის საფუძველია ფული, სახელდობრ: წარმოების რეალური მოცულობის რეალიზაცია დამოკიდებულია: (1) ფულის რაოდენობაზე, რომელიც გაანჩიათ მეწარმეებსა და საოჯახო მეურნეებს, და (2) მსყიდველობით უნარზე, ანუ იმ ფულის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც ფასების დონით განისაზღვრება. გავიხსენოთ, რომ დოლარის მსყიდველობითი უნარი ნიშნავს, თუ რა რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შეძენა შეიძლება დოლარით.



ნახ.12-2 მაკროეკონომიკის კლასიკური და კეინსური განმარტებები.

კლასიკური თეორიის თანახმად (ნახ.12-2 ა) ერთობლივი მიწოდება განსაზღვრავს წარმოების რეალური მოცულობის დონეს სრული დასაქმების პირობებში, ხოლო ერთობლივი მოთხოვნა - ფასების დონეს. ერთობლივი მოთხოვნა, როგორც წესი, სტაბილურია, მაგრამ თუ კი იგი უცქეპაი, დაეცემა, როგორც მოცემულ ნახაზზე ნაჩვენებია,  $AD_1$ -დან  $AD_2$ -მდე, მაშინ ფასების დონე სწრაფად შემცირდებოდა  $P_1$  -დან  $P_2$  -მდე, რის შედეგადაც მიწოდების დროებითი  $AB$  გადაიტემა ისპობა და აღიღვინება დასაქმება  $C$  წერტილში. კეინსური თეორიის თანახმად (ნახ.12-2 ბ.) ერთობლივი მოთხოვნა არასტაბილურია, ფასი და ხელფასი არაეფექტურად შემცირების მიმართულებით. ერთობლივი მოთხოვნის დაცემა  $AD_1$ -დან  $AD_2$ -მდე არ მოახდენს გავლენას ფასების დონეზე. უფრო მეტიც, წარმოების რეალური მოცულობა მცირდება  $Q_f$ -დან  $Q_k$ -მდე და შეიძლება ამ წონასწორობით დონეზე განუსაზღვრელი დროით დარჩეს.

შესაბამისად, როგორც 12-2 ა ნახაზიდან ჩანს, თუ ჩვენ ქვემოთ გადავინაცვლებთ ვერტიკალურ ღერძზე, მაშინ ფასების დონე ეცემა. ეს ნიშნავს, რომ ყოველი დოლარის მსყიდველობითი უნარი გაიზრდება, და ამიტომ ფულის მოცემული რაოდენობით შეიძლება ფაქტობრივად პროდუქციის მეტი რაოდენობის შექმნა. თუ ფასების დონე სანახევროდ დაეცემოდა, ფულის მოცემული რაოდენობით ფაქტობრივად შეიძლებოდა 2-ჯერ მეტი პროდუქციის შექმნა. ფულის მოცემული ფიქსირებული მაწოდების პირობებში ფასების დონე და წარმოების რეალური მოცულობა უკუფარდობით მდგომარეობაში არიან.

როგორია ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მდებარეობა? ეკონომისტ-კლასიკოსთა თანახმად სახელმწიფო ფინანსური ორგანოები ინარჩუნებენ ფულის მიწოდებას მუდმივ დონეზე, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის



ზრდა სტაბილურია. მაგრამ ერთობლივი მიწოდების მოცემული დონის პირობებში ფულის მიწოდების გადიდება გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას მარჯვნივ და მოთხოვნის ინფლაციას; ფულის მიწოდების შემცირება გამოიწვევს მრუდის მარცხნივ გადაადგილებას და დეფლაციის პროოცირებას. ამიტომ, ეკონომისტი-კლასიკოსების მოსაზრებით ფასების სტაბილიზაციის საფუძველია ფულის მიწოდების კონტროლი ქვეყანაში, რათა თავიდან ავიცილოთ დაუშვებელი ძვრები ერთობლივ მოთხოვნაში. ადრე, ეკონომისტი-კლასიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ფულის მიწოდების ოქროს მიწოდებასთან დაკავშირება არ გამოიწვევდა ერთობლივი მიწოდების უზომო გაფართოებას. მე-18 თავში ჩვენ დავინახეთ, რომ თანამედროვე მონეტარიზმი თავისი ფესვებით კლასიკოსთა ეკონომიკურ თეორიას უკავშირდება. ამის ერთ-ერთი დასტურია, ის რომ, როგორც ეკონომისტი-კლასიკოსებს, ისე თანამედროვე მონეტარისტებს ფულის მიწოდება ერთობლივი მოთხოვნისა და ფასების დონის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორად მიაჩნიათ.

ბოლო შენიშვნა. თუ ფულის მიწოდება, და შესაბამისად ერთობლივი მოთხოვნა შემცირდება, ეკონომიკა, როგორც 12-2 ა ნახაზზე ნაჩვენებია, არ დაექვემდებარება უმუშევრობას. ცხადია ერთობლივი მოთხოვნის  $AD_1$ -დან  $AD_2$ -მდე შემცირების შედეგად უმაღლესი გამომწვევა პროდუქციის მიწოდების სიჭარბე იმ გაგებით, რომ საქონელთა და მომსახურების ერთობლივი მოცულობა გადაატარებს საერთო დანახარჯებს  $AB$  სიდიდით. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ პროდუქციასა და რესურსებზე ფასების ელასტიურობის შესახებ ვარაუდს შემცირების მიმართულებით, პროდუქციის მიწოდების ეს სიჭარბე გამოიწვევს ფასების დაწევას პროდუქციაზე, მუშათა ხელფასის შემცირებასთან და სხვა შემოტანილ რესურსებზე ფასების გადიდებასთან ერთად. ამის შედეგად ფასების დონე სწრაფად დაიწევს  $P_1$ -დან  $P_2$ -მდე, მანამ არ დამყარდება წონასწორობა პროდუქციის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის, ამჯერად  $C$  წერტილში. რამდენადაც ფასების დონე შემცირდა  $P_1$ -დან  $P_2$ -მდე, წარმოების რეალური მოცულობა სრული დასაქმების შესაბამის დონეზე დარჩება.

## კეინსური თალსაზრისი

როგორც ხემათ აღინიშნა, კეინსურ თეორიაში ფუძემდებლურია დებულება იმის შესახებ, რომ პროდუქციის ფასები და ხელფასი, უკიდურეს შემთხვევაში ხანმოკლე ვადით, არაელასტიურია შემცირების მიმართულებით, და მაშასადამე, ერთობლივი მიწოდების მრუდი პორიზონტალურ ხაზს წარმოადგენს. გარდა ამისა, ერთობლივი მოთხოვნა პერიოდულ ცვლილებებს ექვემდებარება, რომლებიც გამოწვეულია ერთობლივი მოთხოვნის ერთი ან რამდენიმე არასაფასო ფაქტორის ცვლილებებით (ცხრილი II-1). განვიხილოთ ეს ორი მომენტი 12-2 ბ. ნახაზის გამოყენებით.

**1. ერთობლივი მიწოდების პორიზონტალური მრუდი (სრული დასაქმების პირობებში წარმოებაამდე).** ფასებისა და ხელფასის არაელასტიურობა შემცირების მიმართულებით (გაანალიზებულია მე-11-თავში) გამოიწვევს იმას, რომ ერთობლივი მიწოდების მრუდი პორიზონტალურად განლაგდება, როგორც 12-2 ბ. ნახაზზეა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში წარმოების რეალური მოცულობის შემცირება, ვთქვათ  $Q_f$ -დან  $Q_u$ -მდე ზეგავლენას არ მოახდენს ფასების დონეზე. და პირიქით, წარმოების მოცულობის გადიდება  $Q_u$ -დან  $Q_f$ -მდე არ გამოიწვევს ცვლილებებს ფასების დონეში. ამიტომ, ერთობლივი მიწოდების მრუდის კეინსური მონაკვეთი განლაგდება მარჯვნივ, წარმოების რეალური მოცულობის ნულოვანი დონიდან სრული დასაქმების პირობების დონეზე, ანუ წარმოების პოტენციური  $Q_f$  მოცულობის დონეზე. კეინსელთა თანახმად, როგორც კი მიიღწევა სრული დასაქმების დონე, ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალად გადაიქცევა. ეს ნაჩვენებია ვერტიკალური წრფით, რომელიც მაღლა იწევს ერთობლივი მიწოდების პორიზონტალური მრუდიდან  $Q_f$  ვერტიკლში.

**2. არასტაბილური ერთობლივი მოთხოვნა.** კეინსელები თვლიან, რომ ერთობლივი მოთხოვნა არასტაბილურია მაშინაც კი, როცა არავითარი ცვლილებები არ ხდება ფულის მიწოდებაში. კერძოდ, ერთობლივი მოთხოვნის ისეთი კომპონენტი, როგორიცაა ინვესტიციები, მერყეობს ჩრის გამოც იცვლება ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მდებარეობა, და ვთქვათ, მაგალითად, რომ ერთობლივი მოთხოვნა (ნახ. 12-2 ბ.) ეცემა  $AD_1$ -დან  $AD_2$ -მდე. შევნიშნავთ, რომ ერთობლივი მოთხოვნის ასეთი ცვლილება ზეგავლენას მოახდენს მხოლოდ წარმოების მოცულობასა და დასაქმებაზე. შესაბამისად, წარმოების რეალური მოცულობა შემცირ-

დება  $Q_f$  -დან  $Q_u$ -მდე. ხოლო ფასების დონე მუდმივი  $P_1$  დარჩება. უფრო მეტი ცკეინსელები ვარაუდობენ, რომ სანამ არ მოხდება ერთობლივი მოთხოვნის შემოხვევითი ურთიერთგამაწონასწორებელი გაფართოება, წარმოების რეალური მოცულობა მუდმივი იქნება  $Q_u$  წერტილში, რაც სრული დასაქმების პირობებში წარმოების  $Q_f$  მოცულობის დონეზე ნაკლებია.

განსხვავება კლასიკური თვალსაზრისისაგან სახეზეა. ეკონომისტი-კლასიკოსებისათვის ერთობლივი მოთხოვნა სტაბილურია, სანამ არ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები ფულის მიწოდებაში. თუ ერთობლივი მოთხოვნა შემცირდება კიდევაც, ფასების და ხელფასის ელასტიურობა უზრუნველყოფს ავტომატური ჩაშენებული მექანიზმის მუშაობას, რომლის დახმარებითაც შენარჩუნებული იქნება კაპიტალისტური ეკონომიკის ფუნქციონირება წარმოების პოტენციური მოცულობისა და უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე. ამიტომ სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა ზედმეტი და არაეფექტიანი გეჟინება. კეინსელები-სათვის ერთობლივი მოთხოვნის ცვალებადობა და ფასების არაელასტიურობა შემცირების მიმართულებით ნიშნავს, რომ უმუშევრობა შეიძლება საბაზრო ეკონომიკაში გაიზარდოს ან შენარჩუნებული იქნას დიდი ხნის მანძილზე. დაქვეითებისა და კრიზისებისაგან გიგანტური დანაკარგების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების აქტიური მაკროეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფოს მხრივ. ამ მიზეზით კეინსელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ერთობლივ მოთხოვნას. თავიანთ ყველაზე მარტივ მოდელებში კეინსელები ვარაუდობენ, რომ ფასების დონე უცვლელია ანუ ერთობლივი მიწოდების მრუდი პორიზონტალურ ხაზს წარმოადგენს შესაბამის დიაპაზონში (როგორც ნაჩვენებია 12-2 ბ. ნახაზზე). ისინი თვლიან, რომ ერთობლივი მოთხოვნის უკეთ გაგებისათვის აუცილებელია ანალიზში შემოვიტანოთ ეკონომიკის ოთხი კომპონენტი, რომელიც განხილულია მე-9 თავში: მოხმარება, ინვესტიციები, სახელმწიფო შესყიდვები და წმინდა ექსპორტი.

ახლა ჩვენი ამოცანაა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს კომპონენტები მოხმარებისა და ინვესტიციებიდან დაწყებით.

## დასაქმების კეინსური თეორიის ინსტრუმენტარები

როგორ განისაზღვრება წარმოებისა და დასაქმების დონეები თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში, კეინსური ეკონომიკური თეორიის თანახმად? ამ კითხვაზე პასუხის სისწორის კრიტერიუმია შემდეგი დებულება: წარმოებულ საქონელთა და მომსახურების რაოდენობა და, შესაბამისად, დასაქმების დონე პირდაპირ დამოკიდებულია იმყოფებიან საერთო ანუ ერთობლივი დანახარჯების დონესთან. წარმოებრივი პოტენციალისაგან დამოკიდებულებით, რომელიც იშვიათი რესურსების არსებობით განისაზღვრება, მეწარმეები პროდუქციის ისეთ მოცულობას დააშადებენ, რომლის მომგებიან გაყიდვასაც შეძლებენ. როგორც მუშები, ისე მოწყობილობა გამოყენებას ვერ ჰპოვებს თუ არ იქნება იმ საქონელთა და მომსახურების ბაზარი, რომლის წარმოებაც მათ შეუძლიათ. ერთობლივი დანახარჯები, წარმოების საერთო მოცულობა და დასაქმება იცვლებიან ერთმანეთისაგან პირდაპირი დამოკიდებულებით.

თეორიას ჩვენ გავეცნობით შემდეგი თანმიმდევრობით: ამ თავის დარჩენილ ნაწილში გავაანალიზებთ ერთობლივი დანახარჯების ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა მოხმარება და ინვესტიციები; მე-13 თავში განვიხილავთ წმინდა ეროვნული პროდუქტის წონასწორობის კეინსურ მოდელს და კერძო სექტორში დასაქმების მოდელს, წმინდა ექსპორტის ჩათვლით. მე-14 თავში მოდელი შეივსება სახელმწიფო დანახარჯებით და გადასახადებით.

ჩვენს ანალიზს დავასწოროთ ორიოდ შენიშვნით: ჯერ ერთი, თუ განსაკუთრებით არ იქნება მითითებული, ჩავთვლით, რომ ეკონომიკა ფუნქციონირებს ერთობლივი მიწოდების მრუდის ჰორიზონტალურ კეინსურ მონაკვეთზე. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკაში, ალბათ, არსებობს წარმოებრივი სიმძლავრეებისა და უმუშევრების სიჭარბე, ასე რომ ერთობლივი მოთხოვნის გაფართოება გამოიწვევს წარმოების რეალური მოცულობისა და დასაქმების გადიდებას და არა ფასების დონის გადიდებას. მეორე შენიშვნა ეხება ტერმინოლოგიას. კეინსურ მოდელში ჩვენ გავადრმავებთ ცნებას “ერთობლივი დანახარჯები”, რომელიც ასახავს ურთიერთკავშირს წარმოების რეალურ მოცულობასა და შემოსავალს შორის. ეს ძირითადად განსხვავდება იმ მაკრომოდელისაგან, რომელსაც ჩვენ აქამდე ვიყენებდით. მასში ერთობლივი მოთხოვნა ასახავს ურთიერთდამოკიდებულებას წარმოების რეალურ მოცულობასა და ფასების დონეს შორის. მე-13 თავში შესაბამისობაში იქნება მოყვანილი მე-11 თავი წარმოდგენილი

ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების მოდელი დანახარჯებისა და წარმოების მოცულობის კეინსურ მოდელთან, რომლის აგებასაც ჩვენ შევუღლებით.


## მოხმარება და დანახოვები

მოხმარება ერთობლივ დანახარჯთა ძირითადი კომპონენტია (თავი 9). ამიტომ მნიშვნელოვანია იმ ძირითადი ფაქტორების გაგება, რომლებიც განსაზღვრავენ მოხმარების ხარჯებს. შეიძლება ასევე გავიხსენოთ, რომ ეკონომისტები პირად დანახოვებს განსაზღვრავენ, როგორც “იმას, რაც არ დანახარჯულა“, ან როგორც “გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებული შემოსავლის იმ ნაწილს (DI), რომელიც არ მოიხმარება“. სხვა სიტყვებით, შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ მოხმარებისა და დანახოვების ჯამია. მაშასადამე, მოხმარების განმსაზღვრელ ფაქტორთა განხილვისას, ჩვენ იმავდროულად ვსწავლობთ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს დანახოვებს.

## ურთიერთდამოკიდებულება შემოსავალი-მოხმარება და შემოსავალი-დანახოვები

არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სამომხმარებლო დანახარჯთა დონეზე. მაგრამ სალი აზრი და სტატისტიკური მონაცემები გვკარნახობს, რომ ყველაზე მთავარი ფაქტორია შემოსავალი. აერძოდ, შემოსავალი გადასახადის გადახდის შემდეგ, ხოლო რამდენადაც დანახოვები, უდავოდ შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც არ მოიხმარება, შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ ის მთავარი ფაქტორია, რომელიც პირად დანახოვებსაც განსაზღვრავს.

განვიხილოთ უკანასკნელი წლების ზოგიერთი მონაცემი. 12-3 ნახაზზე ყოველი წერტილი გვიჩვენებს ურთიერთდამოკიდებულებას მოხმარებასა და შემოსავალს შორის გადასახადების გადახდის შემდეგ ყოველ წელს (დაწყებული 1960 წლიდან). ამ წერტილებმა განსაზღვრეს C წრფის ტრაექტორია. დააკვირდით ამასთან, რომ მოხმარება უშუალოდ და დაკავშირებული შემოსავალთან გადასახადების გადახდის შემდეგ



ნახ.12-3 მოხმარება და შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ (1960-1988 წწ).

მოცემულ გრაფიკზე ყოველი წერტილი გვიჩვენებს მოხმარებისა და გადასახადების გადახდის შემდეგ შემოსავლების პროპორციებს მოცემულ წელს. ხაზი განაოგადებს თანაფარდობას მოხმარებისა და გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებულ შემოსავალს შორის. იგი ასახავს მათ უშუალო ურთიერთდაპოკიდებულებას და ისაე მართითებს, რომ საოჯახო მეურნეობები მოიხმარენ საკუთარი შემოსავლების დიდ ნაწილს.

და მართლაც საოჯახო მეურნეობები, როგორც წესი, თავიანთი შემოსავლის დიდ ნაწილს ხარჯავენ. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. გრაფიკზე, ათევის ხაზის სახით გატარებულია ბისექტრისა. რამდენადაც ეს წრფე

კოორდინატთა ლერძებით შექმნილ მართ კუთხეს შუაზე აყოფს, ყოველი წერტილი ამ წრფეზე თანაბრად უნდა იყოს დაშორებული ორივე ღერძისაგან. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მანძილი პორიზონტალური ღერძის ნებისმიერი წერტილიდან ვერტიკალურ ბისექტრისამდე განვიხილოთ, როგორც მოხმარება ან როგორც შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ. თუ ჩვენ ვიხილავთ მას, როგორც შემოსავალს გადასახადების გადახდის შემდეგ, მაშინ განსხვავება (მანძილი ვერტიკალის მიხედვით) ფაქტობრივი მოხმარების სიდიდესა, ნებისმიერ კონკრეტულ წელს და ბისექტრისაზე შესაბამის მნიშვნელობას შორის განსაზღვრავს დანახოვითა სიდიდეს მოკლეულ წელს. მაგალითად, 1988 წელს მოხმარებამ შეადგინა 3226 მლრდ დოლ.; შემოსავალმა გადასახადების გადახდის შემდეგ 3473 მლრდ დოლ. მაშასადამე, დანახოვებმა 1988 წელს 247 მლრდ დოლ. შეადგინა. ამრიგად, გადასახადების გადახდის შემდეგ შემოსავალს მინუს მოხმარება, უდრის დანახოვებს. 12-3 ნახაზზე ვერტიკალური მონაკვეთების გაზომვით, მარჯვნივ გადაადგილებით, ჩვენ შევჩვენავთ, რომ დანახოვები გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებული შემოსავლის დონის ცვლილებათა ადეკვატურად იცვლებიან. 12-3 ნახაზზე არაა ნაჩვენები, რომ ძალზე დაბალი შემოსავლების წლებში, მაგალითად “დიდი დეპრესიის” ზოგიერთ ეველაზე მძიმე წლებში, მოხმარება აჭარბებდა შემოსავალს გადასახადების გადახდის შემდეგ. წერტილები ამ წლებისათვის მოთავსდებოდა ბისექტრისის ზემოთ. საოჯახო მეურნეობათა მოხმარება ფაქტობრივად ჰარბობდა მათ მიმდინარე შემოსავლებს, ანუ ისინი ვალით ცხოვრობდნენ, და ადრე დაგროვილი ანიაყებდნენ.

ვაჯამებთ: 12-3 ნახაზიდან ჩანს, რომ საოჯახო მეურნეობები მოიხმარენ (1) გადასახადის გადახდის შემდეგ თავიანთი შემოსავლების ზემეტეს ნაწილს და (2) როგორც მოხმარება, ისე დანახოვები უშუალოდ ამოკიდებულებათა შიგნით შემოსავლის დონესთან.

## მოხმარების ბრავიკი

12-3 ნახაზზე წარმოდგენილია რიგი წლების მონაცემები. მათი დახმარებით ნაჩვენებია, ფაქტობრივად რამდენს მოიხმარდნენ (დაზოგავდნენ) საოჯახო მეურნეობები დროის რაღაც პერიოდში გადასახადების გადახდის შემდეგ, შემოსავლის სხვადასხვა დონის პირობებში. ანალოგიური მიზნით ჩვენ დაგვჭირდება შემოსავლისა და მოხმარების ურთიერ-

ოღამოკიდებულების - მოხმარების გრაფიკის ჩვენება, რომელიც ასახავს სხვადასხვა თანხების თანაფარდობას, რომლის მოხმარებასაც საოჯახო მეურნეობები გეგმავენ, გადასახადის გადახდის შემდეგ შემოსავლის სხვადასხვა შესაძლო დონეების პირობებში ღროის განსაზღვრულ მიმენჯში. მოხმარების გრაფიკის ანალიზისათვის საჭიროა სავარაუდო მონაცემები, რომლებიც წარმოადგენილია 12-1 ცხრილის პირველ და მეორე სვეტებში. თვით იგი გამოსახულია 12-4ა ნახაზზე. ეს გრაფიკი ასახავს ურთიერთკავშირს მოხმარებასა და შემოსავალს შორის გადასახადების გადახდის შემდეგ 12-3 ნახაზის ემპირიულ მონაცემთა საფუძველზე და დამყარებულია ოჯახების ბიუჯეტთა მრავალრიცხოვან ემპირიულ გამოკვლევებზე. ეს ურთიერთკავშირი პირდაპირია, რაც შეიძლება ლოგიკურად ვივარაუდოთ. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ საოჯახო მეურნეობები გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებული მცირე შემოსავლის დიდ ნაწილს დახარჯავენ.

## დანაზოგების ბრაზიკი

დანაზოგების გრაფიკის შედგენა ძნელი როდია. რამდენადაც შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ მოხმარებისა და დანაზოგების ჯამის ტოლია ( $DI = C + S$ ) დანაზოგების სიდიდის  $DI$  -ს ყოველ დონეზე განსაზღვრისას (სვეტი - 3) შესაბამისი შემოსავლიდან (სვეტი 1) უნდა გამოირიცხოს მოხმარება (სვეტი -2). მაშასადამე  $DI - C = S$ . შესაბამისად, 12-1 ცხრილის პირველი და მესამე სვეტის სიდიდეები წარმოადგენს მონაცემებს დანაზოგთა გრაფიკის აგებისათვის. თვით გრაფიკი გამოსახულია 12-4 ბ ნახაზზე. აღვნიშნავთ, რომ დანაზოგებსა და  $DI$  -ს შორის არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება. მაგრამ დანაზოგები მცირე  $DI$  -ს ნაკლებ ნაწილს (წილს) შეადგენს, ვიდრე დიდი  $DI$  -სა. თუ  $DI$  -ს გადიდებისას საოჯახო მეურნეობები მის სულ უფრო ნაკლებ წილს მოიხმარენ, მათ  $DI$  -ს სულ უფრო მეტი ნაწილი უნდა დაზოგონ.

თუ გავიხსენებთ, რომ ბისექტრისის ყოველი წერტილი არის ის წერტილი, სადაც  $DI$  მოხმარების ტოლია, ჩვენ დავინახავთ, რომ “ვალებში ცხოვრება” დადგება  $DI$  შედარებით დაბალი სიდიდის, ვთქვათ, 379 მლრდ. დოლ. პირობებში. მაშასადამე, საოჯახო მეურნეობები მოიხმარენ თავიანთი მიმდინარე შემოსავლების მეტს, დანაზოგების შემცირების




ცხრილი 12-1. მოხმარებისა და დანაზოგების კეინსური გრაფიკები(პიპოთეზური მონაცემები; (1) - (3) სვეტებში - მლრდ დოლ.)

(1) წარმოების და შემოსავლის დონე (წეკ = DI )	(2) მოხმარება, C	(3) დანაზოგები, T (1)- (2)	(4) მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება, მსმ. (2)/(1)	(5) დანაზოგებისადმი საშუალო მიდრეკილება (დსმ) (3)/(1)	(6) მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება (მზმ) $\Delta (2)/\Delta (1)$ *	(7) დანაზოგებისადმი ზღვრული მიდრეკილება (დზმ) $\Delta (3)/\Delta (1)$ *
(1)370	375	- 5	1,01	- 0,01	0,75	0,25
(2)390	390	0	1,00	0,00	0,75	0,25
(3)410	405	5	0,99	0,01	0,75	0,25
(4)430	420	10	0,98	0,02	0,75	0,25
(5)450	435	15	0,97	0,03	0,75	0,25
(6)470	450	20	0,96	0,04	0,75	0,25
(7)490	465	25	0,95	0,05	0,75	0,25
(8)510	480	30	0,94	0,06	0,75	0,25
(9)530	495	35	0,93	0,07	0,75	0,25
(10)550	510	40	0,93	0,07	0,75	0,25

\* ბერძნული ასო  $\Delta$ - (დელტა) ნიშნავს ნამატს.

ან ვალების აღების გზით. 12-4 ა გრაფიკზე სიდიდერომლითაც მოხმარება ბისექტრისაზე მაღლაა, იმ სიდიდის ტოლია, რომლითაც დანაზოგები აბსცისის ღერძზე დაბლაა 12-4 ბ გრაფიკზე, წარმოების მოცულობისა და შემოსავლის 370 მლრ დოლ.დონის პირობებში (იხ.ნახ.12-4 ა. და 12-4 ბ.). ამ შემთხვევაში ყოველი ამ ორი მონაკვეთთაგანი ვერტიკალზე



ნახ.12-4 მოხმარებისა (ა) და დანაზოგთა (ბ) გრაფიკები

ამ ორ გრაფიკზე გამოსახულია ურთიერთკავშირი შემოსავლებსა და მოხმარებას და შემოსავლებსა და დანაზოგებს შორის 12-4 ა. ნახაზზე ბისექტრისის ყოველ წერტილზე შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ მოხმარების ტოლია. მაშასადამე, რამდენადაც დანაზოგები DI -ს მონუს მოხმარების ტოლია, დანაზოგების გრაფიკი (ნახ.12-4 ბ.) აიგება მოხმარების მნიშვნელობაზე, ბისექტრისის შესაბამისი მნიშვნელობიდან გამოკლებით. მოხმარებლები მთლიანად მოიხმარენ შემოსავალს ანუ მოხმარება უდრის DI -ს (ხოლო დანაზოგები, შესაბამისად, წულის ტოლია), როდესაც DI 390 მლრდ დოლარია (ამ პიპოთეზური მონაცემებისათვის).

5 მლრდ დოლ. თანხით "ვალებში ჩავარდნის" ტოლია. ეს ხდება 370 მლრდ. დოლ. შემოსავლების პირობებში. შემოსავლის 390 მლრდ. დოლ. დონე (მე-2 სტროფი) „საწყისი შემოსავალია“. ამ დონის

პირობებში საოჯახო მეურნეობები თავიანთ შემოსავლებს მოლიანად მოიხმარენ. გრაფიკულად, ამ დონეზე მოხმარების წრფე გადაჭრის ბისექტრისას, ხოლო დანაზოგების წრფე კი - აბსცისთა ღერძს (დანაზოგები ნულის ტოლია). საოჯახო მეურნეობები შემოსავლების ყველა სხვა, უფრო მაღალი დონის პირობებში დაგეგმავენ თავიანთი შემოსავლების ნაწილის დაზოგვას. სიდიდე, რომლითაც მოხმარების წრფე ბისექტრისაზე დაბლაა, დანაზოგთა დონეს გვიჩვენებს, ზუსტად ისევე, როგორც სიდიდე, რამდენითაც დანაზოგთა წრფე აბსცისთა ღერძის ზემოთაა. მაგალითად, შემოსავლის 410 მლრდ დოლ. დონის პირობებში (მესამე სტროფი) ორივე ეს მანძილი ასახავს დანაზოგების სიდიდეს 5 მლრდ დოლარის ოდენობით (იხ. ნახ. 12-4 ა. და 12-4 ბ. ).

## დაზოგვისა და მოხმარებისადმი საშუალო და ზღვრული მიდრეკილება

12-1 ცხრილის 4-7 სვეტებში მოჭანილია მოხმარებისა და დანაზოგთა გრაფიკების დამატებითი მახასიათებლები.

**მოხმარებისა და დაზოგვისადმი საშუალო მიდრეკილება.** ნებისმიერი მოცემული საერთო შემოსავლის წილს, რომელიც მოხმარებისათვის წარიმართება, გამოხატულს პროცენტებში, მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილებას ( მსმ) უწოდებენ. ხოლო საერთო შემოსავლის იმ წილს, რომელიც დაზოგვას ემსახურება, დაზოგვისადმი საშუალო მიდრეკილებას უწოდებენ (დსმ). ანუ:

$$მსმ = \frac{\text{მოხმარება}}{\text{შემოსავალი}} \quad \text{და} \quad \text{დსმ} = \frac{\text{დანაზოგები}}{\text{შემოსავალი}}$$

მაგალითად, შემოსავლის 470- მლრდ დონის პირობებში (მე-6 სტროფი) 12-1 ცხრილში მსმ შეადგენს  $450 / 470 = 45 / 47$ , ანუ დაახლოებით 96%, ხოლო დსმ, ცხადია,  $20 / 470 = 2 / 47$ , ანუ დაახლოებით 4%. გავიანგარიშებთ რა მსმ და დსმ -ს 10 DI -ს ყოველი დონისათვის, რომელიც 12-1 ცხრილშია ნაჩვენები, დავინახავთ, რომ DI-ს გადიდებით დსმ მცირდება და მსმ იზრდება. ამით, რაოდენობრივად დასტურდება ახლახანს გაკეთებული დასკვნა: გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი საერთო შემოსავლის ნაწილის მოხმარებული წილი მცირდება

და იზრდება მისი გადიდების კვალობაზე. მართლაც, რამდენადაც შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ ან მოიხმარება ან დაიზოგება, მოხმარებული და დაზოგილი (მოუხმარებელი) ნაწილების ჯამმა უნდა შთანთქმას ნებისმიერი დონის შემოსავლის მთელი რაოდენობა. მოკლედ,  $დსმ + მსმ = 1$ . 12-1 ცხრილის მე-4 და 5 სვეტებში ეს პირობა დაცულია.

**მოხმარებისა და დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება.** ის, რომ საოჯახო მეურნეობები მოცემული საერთო შემოსავლის განსაზღვრულ წილს, მაგალითად, გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი შემოსავლის - 470 მლრდ დოლ. 45/ 47 ნაწილს მოიხმარენ ჯერ კიდევ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ისინი მოიხმარენ იმავე ნაწილს შემოსავლის სიდიდის შეცვლის პირობებში. შემოსავლის ნამატის ( შემცირების) ნაწილს ანუ წილს, რომელიც მოიხმარება, მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას უწოდებენ (მზმ). ანუ, სხვა სიტყვებით, ეს არის მოხმარებაში ნებისმიერი ცვლილებების თანაფარდობა შემოსავლის სიდიდის იმ ცვლილებასთან, რომელმაც მოხმარების ცვლილებები გამოიწვია:

$$მზმ = \frac{\text{ცვლილებები მოხმარებაში}}{\text{ცვლილებები შემოსავალში}}$$

ანალოგიურად: შემოსავლის ნებისმიერი ნამატის (შემცირების) წილს, რომელიც იზოგება, დაზოგვისადმი ზღვრულ მიდრეკილებას უწოდებენ. (დზმ). დზმ ესაა თანაფარდობა დანაზოგებისა და შემოსავლების ცვლილებებში, რომელსაც იგი გამოიწვევს:

$$დზმ = \frac{\text{ცვლილებები დანაზოგებში}}{\text{ცვლილებები შემოსავალში}}$$

ასე, მაგალითად, თუ გადასახადების გადახდის შემდეგ მიმდინარე შემოსავალი და საოჯახო მეურნეობათა შემოსავალი, 470 მლრდ დოლ. (სტროფი 6), 20 მლრდ დოლარით გაიზარდა და 490 მლრდ დოლ. მიაღწია (სტროფი 7), გასაგებია, რომ ისინი მოიხმარენ 15/ 20 ანუ 3/ 4 და დაზოგავენ 5/ 20 ანუ 1/ 4 -ს შემოსავლის მოცემული ნამატისაგან (იხ. 12-1 ცხრილის სვეტი 6 და 7). სხვა სიტყვებით, მზმ შეადგენს 3/ 4 ანუ 0,75%, ხოლო დზმ - 1/ 4 ანუ 0,25%. მზმ და დზმ -ის ჯამი შემოსავალში ნებისმიერი ცვლილებისათვის გადასახადების გადახდის შემდეგ, ყოველთვის ერთი ტოლია. ანუ შემოსავლის ნამატი შეიძლე-

ბა მოხმარებაზე ან დაზოგვაზე წავიდეს; შემოსავლის სიდიდეში ნებისმიერი ცვლილებების ის წილი, რომელიც არ მოიხმარება, არსებითად იზოგება. ამიტომ (მზმ)-ის მოხმარებულმა და (დზმ)-ის დაზოგილმა ნაწილებმა უნდა შთანთქან შემოსავლის მთელი ნაშატი:

$$mzm + dzm = 1$$

$$ჩვენს მაგალითში: 0,75 + 0,25 = 1$$

მათემატიკურად მზმ- მოხმარების წრფის დახრილობის კუთხის რიცხვითი მნიშვნელობაა, ხოლო დზმ - დანაზოგების წრფის დახრილობის კუთხის რიცხვითი მნიშვნელობა. როგორც პირველი თავის დანართშია ნაჩვენები, ნებისმიერი მრუდის დახრილობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაადგილების შეფარდება, რომლებიც მოცემულ წრფეზე ერთი წერტილიდან მეორეზე გადაადგილებით ხდება. ამრიგად, 12-1 ცხრილსა და 12-4 ა. ნახაზის მონაცემებიდან ჩანს, რომ მოხმარება იცვლება 15 მლრდ დოლარით (ვერტიკალური გადაადგილება), გადასახადების გადახდის შემდეგ შემოსავლში 20 მლრდ დოლარით ყოველი ცვლილებების პირობებში (ჰორიზონტალური გადაადგილება), ანუ მოხმარების წრფის დახრილობის კუთხე 0,75-ის ტოლია (= 15:20), რაც მზმ-ის სიდიდეს წარმოადგენს. 12-1 ცხრილისა და 12-4 ბ. ნახაზის მონაცემებიდან ასევე ჩანს, რომ დანაზოგები 5 მლრდ დოლარით იცვლება (ვერტიკალური გადაადგილება), გადასახადების გადახდის შემდეგ შემოსავლის 20 მლრდ დოლარით ყოველი შეცვლის პირობებში, (ჰორიზონტალური გადაადგილება). ამიტომ დანაზოგების წრფის დახრილობის კუთხე 0,25-ს შეადგენს (= 5:20), რაც დზმ-ის სიდიდეა.

ყველა ეკონომისტი როდი ეთანხმება მზმ და დზმ-ის ცვლილებათა მსგავს დამოკიდებულებებს შემოსავლის გადიდებისაგან. მრავალი წლის მანძილზე ამტკიცებდნენ, რომ შემოსავლის გადიდებით მზმ მცირდება, ხოლო დზმ იზრდება. ანუ ითვლებოდა, რომ მოიხმარება შემოსავლის ნაშატის კლებადი ნაწილი, ხოლო იზოგება მზარდი. ეხლა კი მრავალი ეკონომისტი ვარაუდობს, რომ ეკონომიკისათვის მთლიანად მზმ და დზმ შეფარდებით მუდმივი სიდიდეა. სტატისტიკური მონაცემები და მათ შორის 12-3 ნახაზზე მოტანილიც ადასტურებენ ამ თვალსაზრისს. ჩვენ მზმ და დზმ მუდმივად მივიჩნევთ არა მხოლოდ ამ გარემოების გამო, არამედ იმიტომაც, რომ იგი მნიშვნელოვნად აადვილებს ჩვენს ანალიზს.

# მოსხარებისა და დაზოგვის შაქტორები, რომლებიც შემოსავალთან არ არიან დაკავშირებული

შემოსავლის დონე გადასახადების გადახდის შემდეგ საოჯახო მეურნეობათა და დანაზოგების სიდიდის განსაზღვრის ძირითადი ფაქტორია,ზუსტად ისევე როგორც ფასი წარმოადგენს ცალკეულ პროდუქტზე მოთხოვნის განსაზღვრის ძირითად ფაქტორს. გავიხსენოთ,რომ სხვა ფაქტორთა (ცვლილებები გარდა ფასისა,ისეთების, როგორიცაა მომხმარებელთა გემოვნება,შემოსავლები და ა.შ.(თავი 4) არ იწვევენ მოცემულ პროდუქტზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას. ანალოგიურად,შემოსავლის გარდა არსებობს სხვა ფაქტორებიც,რომლებიც საოჯახო მეურნეობებს ნაკლები ან მეტის მოხმარებისაკენ უბიძგებენ ყოველი მოცემული დონის პირობებში.ამასთან,მოხმარებისა და დაზოგვის გრაფიკების მდებარეობა შეიცვლება.ეს ფაქტორები ჩვენთვის უკვე ნათელია: ჩვენ მათ შესახებ აღვნიშნეთ სხვა კონტექსტში, ერთობლივი მოთხოვნის ანალიზის დროს (თავი 11).იქ, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის უარყოფით დახრილობაზე და იმ ფაქტორებზე,რომლებიც ამ მრუდის გადაადგილებას იწვევს. აქ კი გვინტერესებს თუ როგორ ზემოქმედებს ეს ფაქტორები მოხმარებასა და შემოსავალს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე გადასახადების გადახდის შემდეგ,და ასევე, დანაზოგებსა და შემოსავალს შორის, - გადასახადების გადახდის შემდეგ.

**1. სიმდიდრე.** ზოგადად,რომ ვთქვათ,რაც უფრო მეტია საოჯახო მეურნეობათა დაგროვილი სიმდიდრე, მით მეტია მოხმარება და ნაკლებია დანაზოგები, მიმდინარე შემოსავლის ნებისმიერი დონის პირობებში. სიმდიდრეში ჩვენ ვგულისხმობთ, როგორც უძრავ ქონებას (სახლი,ავტომანქანა,ტელევიზორი და ხანგრძლივი გამოყენების სხვა საგნები), ისე ფინანსურ სახსრებს (ნაღდი ფული, ანაბრები ანგარიშებზე,აქციები,ობლიგაციები,სადაზღვევო პოლისები,პენსია),რომელიც საოჯახო მეურნეობებს გააჩნია.საოჯახო მეურნეობები ზოგავენ სიმდიდრის დასაგროვებლად , მოხმარებისაგან თავის შეკავებით. სხვა თანაბარ პირობებში,რაც მეტ სიმდიდრეს დააგროვებს საოჯახო მეურნეობები,დაზოგვის მით უფრო ნაკლები სტიმული ექნებათ დამატებითი სიმდიდრის დასაგროვებლად. სხვანაირად რომ ვთქვათ,სიმდიდრის გადიდება დანაზოგების გრაფიკს გადაადგილებს ქვევით,ხოლო მოხმარებისას-ზევით.

მაგალითი: 1929 წელს გათამაშებული დრამის - საფონდო ბირჟაზე კრიზისის შედეგად მრავალი ოჯახის ფინანსური კეთილდღეობა მნიშვნელოვნად შეირყა სულ რაღაც ერთ ღამეში.ეს,უდაოდ,მოხმარების დონის შემცირების ფაქტორი გახდა 30-იანი წლების კრიზისულ პერიოდში.ძირითადად კი,საოჯახო მეურნეობათა სიმდიდრის მოცულობა, ცხადია, წლითიწლობით უმნიშვნელოდ იცვლება იმიტომაც,რომ ჩვეულებრივ, სერიოზულ ძვრებს არ იწვევს მოხმარებისა და დანახოვების გრაფიკებში.

**2. შასპბის ღონე.** ფასების დონის გადიდება იწვევს მოხმარების გრაფიკის გადაადგილებას ქვევით,ხოლო ფასების დონის შემცირება კი მის გადაადგილებას ზევით.ამ დასკვნას პირდაპირი კავშირი აქვს სიმდიდრის ანალიზთან,როგორც მოხმარების ფაქტორთან,რამდენადაც ფასების დონის მერყეობები ცვლიან სიმდიდრის ზოგიერთი სახეობების რალურ ღირებულებას, ანუ მსყიდველობით უნარს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ,ფინანსური საშუალებების რეალური ღირებულება,რომელთა ნომინალური ღირებულება ფულთ გამოიხატება,ფასების დონის ცვლილებების უკუპროპორციული იქნება.ეს არის სიმდიდრის ეფექტი, ანუ რეალური, საკასო ნაშთების ეფექტი, რომელსაც ჩვენ უკვე შევხვდით მე-11 თავში. მაგალითი: დავუშვათ, თქვენ გაქვთ 10 ათასი დოლარის სახელმწიფო ობლიგაცია. თუ ფასების დონე გაიზრდება, ვთქვათ, 10%-ით, მაშინ თქვენი ფინანსური სახსრების რეალური ღირებულება შემცირდება დაახლოებით 10%-ით. რამდენადაც,თქვენი რეალური ფინანსური სიმდიდრე შემცირდა, ნაკლებად იქნებით გატაცებული მიმდინარე წლის შემოსავლის მოხმარებით.პირიქით,ფასების დონის შემცირება გაზრდის თქვენს რეალურ ფინანსურ სიმდიდრეს და გაიძულებთ მეტი მოიხმართ მიმდინარე შემოსავლიდან.

აქედან გამომდინარეობს ყურადსაღები დასკვნა: 12-4 ნახაზზე, სადაც არ უნდა გავავლოთ (მოვათავსოთ) მოხმარებისა და დაზოგვის დონის მრუდები, ჩვენ ვთვლით,რომ ფასების დონე მუდმივია.ეს ნიშნავს,რომ მოცემულ გრაფიკზე ორდინატთა ღერძზე მოთავსდება რეალური და არა ნომინალური (ფულადი) შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ.<sup>1</sup>

---


1. მე-13 თავში ჩვენ შესაბამისობაში მოვიყვანთ ფასების უცვლელ დონეს,რომელიც გამოყენებულია კინისურ ანალიზში,ფასების ცვალებად დონესთან,რომელიც "ზამონტაჟებულია" ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების მოდელში, რომელიც მე-11 თავ-

**3. მოლოდინი.** საოჯახო მეურნეობათა მოლოდინმა, რომელიც დაკავშირებულია მომავალ ფასებთან, ფულადი შემოსავლებისა და საქონელთა არსებობასთან ერთად, შეიძლება არსებითი ზეგავლენა მოახდინოს მიმდინარე დანახარჯებსა და დანაზოგებზე. ფასების გადიდებისა და საქონელთა დეფიციტის მოლოდინი მიმდინარე ხარჯების გადიდებას და დანაზოგების შემცირებას იწვევს, ანუ მოხმარების გრაფიკის ზევით გადაადგილებას, ხოლო დანაზოგების გრაფიკისას - ქვევით. რატომ? იმიტომ, რომ მომხმარებლებისათვის, ბუნებრივია უფრო მაღალი ფასის გადახდისგან თავის არიდება ანუ ცხოვრება პრინციპით - "ამის გარეშეც იოლას გავალთ". მოსალოდნელი ინფლაცია და საქონელთა მოსალოდნელი დეფიციტი ადამიანებს აიძულებს "იყიდონ მარაგად" უფრო მაღალი მომავალი ფასებისა და ცარიელი დახლების თავიდან ასაკილებლად. ფულადი შემოსავლების მომავალში გადიდების მოლოდინი თავის მხრივ იწვევს მომხმარებელთა უფრო თავისუფალ მიდგომას თავიანთი მიმდინარე შემოსავლებისადმი. პირიქით, ფასების მოსალოდნელმა დაცემამ, შემოსავლების შემცირების წინასწარ განჭვრეტამ, იმის შეგნებამ, რომ საქონელი უხვად იქნება, შეიძლება მომხმარებლები წააქეზოს, რომ შეამცირონ მოხმარება და გაზარდოს დაზოგვა.

**4. სამომხმარებლო დაპალიანება.** შეიძლება ველოდოთ, რომ სამომხმარებლო დავალიანებათა დონეც შეიძლება საოჯახო მეურნეობებში გამოიწვევს მიმდინარე შემოსავლების მომხმარებაზე ან დაზოგვაზე გამოყენების სურვილს. თუ საოჯახო მეურნეობათა დავალიანება ისეთ სიდიდეს მიაღწევს, რომ მათი მიმდინარე შემოსავლების ვთქვათ, 20 ან 25% გადაირიცხება ადრინდელი შესყიდვების გადახდის მორიგი შენატანების სახით, მომხმარებლები იძულებული გახდებიან შეამცირონ მიმდინარე მოხმარება, დავალიანების შესამცირებლად. პირიქით, თუ სამომხმარებლო დავალიანება შედარებით დაბალია, საოჯახო მეურნეობათა დანაზოგების დონე შესაძლოა უჩვეულოდ გაიზარდოს, რაც მათი დავალიანების გადიდებას გამოიწვევს.

**5. ბაღასახადით დაპაპრა.** მე-14 თავში, სადაც განხილული იქნება მოხმარებისა და გადასახადების გადახდამდე შემოსავლების ურთიერთკავშირი, ჩვენ დავინახავთ, რომ გადასახადები გადაიხდება ნაწილობრივ მოხმარების ხარჯზე და ნაწილობრივ კი დანაზოგების ხარჯზე. ამიტომ გადასახადების ზრდა გადაადგილებს, როგორც მოხმარების, ისე დანაზოგების გრაფიკს ქვევით. პირიქით, შემოსავლების წილი, რომელიც გადასახადების შემცირებით მიიღება, ნაწილობრივ მოიხმარება და ნაწილობრივ დაგროვდება საოჯახო მეურნეობათა მიერ. ამ





**ნახ.12-5. მოსხმარების (ა) და დანაზოგების (ბ) გრაფიკების გადაადგილება**

ერთ ან რამდენიმე ფაქტორთა ცვლილება, რომელიც დაკავშირებული არ არის შემოსავალთან, გამოიწვევს მოსხმარებისა და დანაზოგების გრაფიკების გადაადგილებას. თუ საოჯახო მეურნეობები მოიხმარენ მეტს DI -ის მოცემული დონის პირობებში, მაშინ ისინი იძულებით მეტს დაზოგავენ. გრაფიკულად ეს იმაში გამოიხატება, რომ მოსხმარების გრაფიკის ზევით გადაადგილება (C<sub>0</sub> -დან C<sub>1</sub> -მდე) გამოიწვევს დანაზოგთა გრაფიკის ქვემოთ გადაადგილებას (S<sub>0</sub> -დან S<sub>1</sub> -მდე), და პირიქით, თუ საოჯახო მეურნეობები ნაკლებს მოიხმარენ DI -ს მოცემული დონის პირობებში, მაშინ მეტს დაზოგავენ. მოსხმარების გრაფიკის გადაადგილებას ქვევით (C<sub>0</sub> -დან C<sub>2</sub> -მდე) თან ახლავს დანაზოგების გრაფიკის გადაადგილება ზევით (S<sub>0</sub> -დან S<sub>2</sub> -მდე).

რიგად, გადასახადების შემცირება გამოიწვევს, როგორც მოსხმარების, ისე დანაზოგების გრაფიკის გადაადგილებას ზევით.

# ბრაშიკმპის ბადააღბილება და სტაბილურობა

მოხმარებისა და დანაზოგების გრაფიკების ანალიზისათვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კიდევ სამი ურთიერთდაკავშირებული მომენტი.

**1. ტარმინოლოგია.** მუდმივი მოხმარების მოტანილ გრაფიკზე ერთი წერტილიდან მეორეზე გადაადგილებას (მაგალითად, A -დან B წერტილამდე C წრფეზე, ნახ.12-5 ა.) მოხმარების მოცულობაში ცვლილებას უწოდებენ. ამ ცვლილების ერთადერთი მიზეზია ცვლილება შემოსავალში, გადასახადების გადახდის შემდეგ. მეორე მხრივ, მოხმარების გრაფიკში ცვლილებებში იგულისხმება მთელი წრფის გადაადგილება ქვევით და ზევით, მაგალითად C<sub>0</sub> -დან C<sub>1</sub> -მდე ან C<sub>2</sub> - მდე, ნახ.12-5 ა.-ზე. მოხმარების გრაფიკის გადაადგილება გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე ფაქტორის (ცვლილებით, რომლებიც დაკავშირებული არაა შემოსავალთან. ანალოგიური ტერმინოლოგიური გამოიხსნება შეეხება დანაზოგების გრაფიკსაც (12-5 ბ ნახაზზე).

**2. ბადააღბილებაში ბრაშიკმა.** მოცემული ასექტის არსი ისაა, რომ მოხმარების პირველი ოთხი ფაქტორის შეცვლით, რომლებიც დაკავშირებული არ არიან შემოსავალთან, მოხმარებისა და დანაზოგების გრაფიკები უთუოდ გადაადგილდებიან საპირისპირო მიმართულებით. თუ საოჯახო მეურნეობები გადაწყვეტენ მეტი მოხმარებას გადასახადის გადახდის შემდეგ მიღებული შემოსავლის ყოველ შესაძლო დონეზე, ეს ნიშნავს, რომ მათ ნაკლების დაზოგვა უნდათ, და პირიქით. გრაფიკზე ეს შემდეგნაირად გამოიყურება: თუ მოხმარების გრაფიკი გადაადგილება ზევით C<sub>0</sub> -დან C<sub>1</sub> -მდე ნახ.12-5-ზე, მაშინ დანაზოგების გრაფიკი გადაადგილება ქვევით S<sub>0</sub> -დან S<sub>2</sub> -მდე. ანალოგიურად, მოხმარების მრუდის ქვევით გადაადგილება C<sub>0</sub> -დან C<sub>1</sub> -მდე ნიშნავს დანაზოგების მრუდის გადაადგილებას ზევით S<sub>0</sub> დან S<sub>2</sub> -მდე. როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე ფაქტორის ზეგავლენა, რომელიც დაკავშირებული არაა შემოსავალთან - ესაა გადასახადით დაბეგრვა. მე-14 თავში დავინახავთ, რომ საოჯახო მეურნეობები ნაკლებს მოიხმარენ და დაზოგავენ უფრო მაღალი გადასახადების გადახდის გამო. მაშასადამე, გადასახადების გაღილება ქვევით გადაადგილებს როგორც მოხმარების, ისე დანაზოგების გრაფიკსაც, მაშინ

როცა გადასახადების შემცირება ორივე გრაფიკს ზევით გადაადგილებს.

**3. სტაბილურობა.** ყველა სკოლის წარმომადგენელ ეკონომისტებს ერთიანი მოსაზრება გააჩნიათ, რომ მოხმარებისა და დანახოვების გრაფიკები უცვლელია თუ სახელმწიფო წინასწარ მოფიქრებულ ქმედებებს არ ღებულობს მათ შესაცვლელად. შესაძლოა-მოიხმარონ ან დაზოგონ, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შესაბამისი ჩვევა-გარდა ამისა, იგულისხმება, რომ ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებული არაა შემოსავალთან, მრავალფეროვანია და მათი ცვლილებები ხშირ შემთხვევაში საპირისპიროდ მოქმედებენ და ამიტომ ურთიერთ წონასწორდებიან.

## ინვესტიციები

ახლა მიეუბრუნდეთ ინვესტიციებს - წმინდა დანახარჯების მეორე კომპონენტს. გავიხსენოთ, რომ ინვესტიციები ნიშნავს დანახარჯებს ახალი ქარხნების მშენებლობაზე, ჩარხებსა და მოწყობილობაზე ხანგრძლივი სამსახურის ვადით და ა.შ. რა განსაზღვრავს წმინდა დანახარჯების დონეს ინვესტიციებში? ორი ძირითადი ფაქტორი: 1) წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა, რომლის მიღებასაც ვარაუდობენ მეწარმეები ინვესტიციებიდან, და 2) სარგებლის განაკვეთი.

## წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა

ინვესტიციებზე დანახარჯების მამოძრავებელი მოტივია მოგება. მეწარმეები წარმოების საშუალებებს მხოლოდ მაშინ იძენენ, როცა მოსალოდნელია ასეთ შესყიდვათა მომგებიანობა. განვიხილოთ მარტივი მაგალითი. დაეუშვათ, სერვანტის მწარმოებელი მცირე სახელოსნოს მფლობელი იღებს გადაწყვეტილებას ახალ სახეხ ჩარხში 1000 დოლარის ინვესტირების შესახებ, რომლის სამსახურის ვადა ერთი წელია. ახალი დანადგარი, როგორც წესი, გაზრდის პროდუქციის წარმოებას და ფირმის ამონაგებს. მაგალითად, დაეუშვათ, რომ წმინდა მოსალოდნელი შემოსავალი (ანუ შემოსავალი საექსპლუატაციო დანახარჯების გარეშე, ისეთების როგორიცაა ენერჯის, მანქანის, საპოშო ძალის თანახარ-

ჯები, გადასახადები და ა.შ.) 1100 დოლარია. სხვა სიტყვებით, საქ-სპლუატაციო ხარჯების გათვალისწინების შემდეგ დარჩენილი მოსალოდნელი წმინდა შემოსავალი დაფარავს მანქანის ღირებულებას-1000 დოლარს და მოიტანს 100 დოლარ შემოსავალს. ამ შემოსავლის ანუ მოგების (100 დოლარის) მანქანის ღირებულებასთან შეფარდებით (1000 დოლარი) აღმოჩნდება, რომ მანქანის გამოყენებისაგან მოსალოდნელი წმინდა მოგების ნორმა 10%-ის ტოლია (100 დოლ/1000 დოლ.).

## სარგებლის რეალური განაკვეთი

მაგრამ არის დანახარჯების კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც ინვესტირებასთანაა დაკავშირებული და გათვალისწინებული არაა ჩვენს მაგალითში. ცხადია, იგი სარგებლის განაკვეთია - ფასი, რომელიც ფირმამ უნდა გადაიხადოს ფულადი კაპიტალის შესხებისათვის, რეალური კაპიტალის (სახეხი დანადგარის)<sup>1</sup> შესაძენად. ჩვენი დასკვნაა: თუ წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა (10%) აჭარბებს სარგებლის განაკვეთს (ვთქვათ, 2%), ინვესტირება მომგებიანი იქნება. მაგრამ, თუ სარგებლის განაკვეთი (ვთქვათ 12%) აჭარბებს წმინდა მოგების მოსალოდნელ ნორმას (10%), მაშინ ინვესტირება არახელსაყრელი იქნება.

ზაზი უნდა გაესვას, რომ სარგებლის რეალური და არა ნომინალური განაკვეთი თამაშობს არსებით როლს საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღებაში. გავიხსენოთ მე-10 თავიდან, რომ სარგებლის ნომინალური განაკვეთი გამოისახება მიმდინარე ფასებით, ხოლო სარგებლის რეალური განაკვეთი ანუ ინფლაციის გათვალისწინებით კორექტირებული ფასებით. სხვა სიტყვებით, სარგებლის რეალური განაკვეთია - ნომინალური განაკვეთი ინფლაციის დონის გამოკვეთით. სახეხი ჩარხის მაგალითში ჩვენ შეგნებულად დავუშვით ფასების უცვლელი დონე.

---

1. სარგებლის განაკვეთის, როგორც რეალურ კაპიტალში ინვესტირების დანახარჯების რეალური მაშინაც კი ნარჩუნდება, როცა ფირმა არ შესხულობს, არამედ, პირიქით ინვესტიციებს აფინანსებს უწინდელი მოგებიდან დაგროვილი სახსრებით. ამ ფულის სახეხ ჩარხში ინვესტირებასთვის გამოყენებით ფირმა ეწყვეა დაკარგულ შესაძლებლობათა დანახარჯებს იმ გაგებით, რომ უარს ამბობს შემოსავალზე სარგებლის სახით, რომელსაც იგი მიიღებდა სახსრების სხვაზე გასაცხებით.

მაგრამ თუ ადგილი აქვს ინფლაციას? დაეუშვათ, 1000 დოლ. ინვესტიციებმა უნდა მოიტანონ მოსალოდნელი წმინდა მოგების (ინფლაციის გათვალისწინებით კორექტირებული) რეალური ნორმა 10%, ხოლო სარგებლის ნომინალური განაკვეთი, ვთქვათ, 15%-ია. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ინვესტიციები არ არის მომგებიანი და ისინი არ უნდა განვახორციელოთ. მაგრამ, დაეუშვათ, რომ არსებული ინფლაცია წლიური 10%-ია. ეს ნიშნავს, რომ ინვესტორი გადაიხდის დოლარებით, რომლის მსყიდველობითი უნარი 10%-ით შემცირდა. თუ სარგებლის ნორმა 15%-ია, სარგებლის რეალური ნორმა მხოლოდ 5% -ს შეადგენს (=15%-10%). სარგებლის ამ 5%-იანი რეალური განაკვეთის შედარებით, მოსალოდნელი წმინდა მოგების 10%-იან ნორმასთან, დავინახავთ რომ ინვესტიციები ხელსაყრელია და ისინი უნდა განვახორციელოდეს.


## ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი

ახლა უნდა გადავიდეთ მიკროდან მაკროეკონომიკაზე, ანუ ცალკეული ფირმის საინვესტიციო გადაწყვეტილებებიდან, მთელი მეწარმეობითი სექტორის საინვესტიციო საქონელზე საერთო მოთხოვნის გაგებაზე. დაეუშვათ, ყოველმა ცალკეულმა ფირმამ შეაფასა მოსალოდნელი წმინდა მოგების ნორმა ყველა შესაბამისი საინვესტიციო ობიექტებიდან და ყველა ეს მონაცემი ერთადაა თავმოყილი. ახლა ეს შეფასებები შეიძლება შევაჯამოთ, ანუ თანმიმდევრულად შევკრიბოთ და დავსვათ კითხვა: როგორი უნდა იყოს საინვესტიციო პროდუქტების ჯამობრივი ღირებულება, რომელთაც შეუძლია მოსალოდნელი წმინდა მოგების ნორმის მოტანა, რომელიც, ვთქვათ, 16% და მეტი; ან 14% და მეტი; ან 120%ის და მეტის ტოლია? და ა.შ.

დაეუშვათ, რომ საერთოდ არ არსებობს პერსპექტიული ინვესტიციები, რომლებიც მოგვცემდა წმინდა მოგების მოსალოდნელ ნორმას 16% ან მეტს მოგვცემდა. მაგრამ არის შესაძლებლობა 5 მლრდ დოლ. ინვესტირებული იქნას წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმის პირობებში - 14 და 16% -ს შორის; და კიდევ დამატებითი 5 მლრდ დოლ. 10-დან 12%-ს შორის; ხოლო ნებისმიერი შემდგომი დამატებითი 5 მლრდ დოლ. 0-დან 2%-მდე ინტერვალამდე -2%-ზე ნაკლებს. ამ სიდიდეთა შეჯამებით მი-

ცხრილი 12-2. მოსალოდნელი მოგება და ინვესტიციები (ჰიპოთეზური მონაცემები)

წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა (%)	ინვესტიციების სიდიდე (მლრდ.დოლ.წელიწადში)
16	0
14	5
12	10
10	15
8	20
6	25
4	30
2	35
0	40



ნახ. 12-6. ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი.

ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდს მთელი ეკონომიკისათვის აგებენ, მთელი საინვესტიციო ობიექტების მოსალოდნელი წმინდა მოგებასთან დაღმაეალი დამოკიდებულებით განლაგების გზით. ამასთან, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ინვესტირება უნდა მოხდეს იმ მომენტამდე, როდესაც სარგებლის განაკვეთი მოსალოდნელი წმინდა მოგების ნორმის ტოლია. ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი დამრეცად ეშეება ქვემოთ და უკუპროპორციულ დამოკიდებულებას ასახავს განაკვეთს (ინვესტირების ფასს) და საინვესტიციო საქონელთა სერთო სპირო სიდიდეს შორის.

ვილებთ 12-2 ცხრილის მონაცემებს, რომლებიც გრაფიკულად წარმოდგენილია 12-6 ნახაზზე ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის სახით.

მაკაცით ყურადღება, მაგალითად, რომ 12-2 ცხრილში ციფრი, რომელიც 12-ის პირდაპირ დგას, მიუთითებს, რომ არსებობს 10 მლრდ დოლარის ინვესტირებისა და 12% და მეტი მოგების მიღების შესაძლებლობა; სხვა სიტყვებით, 10 მლრდ დოლარი მიიკავს 5 მლრდ დოლარი ინვესტიციებს, რომელიც მოგვცემს 14% და მეტ მოსალოდნელ მოგებას, პლიუს 5 მლრდ დოლ., რომელიც, როგორც მოსალოდნელია, 12 და 14% შორის მოიქანს მოგებას.

ყველა პოტენციურ საინვესტიციო ობიექტზე მოსალოდნელი წმინდა მოგების ნორმის შესახებ ამ განმარტავებელი ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, ჩვენ შემოგვაქვს სარგებლის რეალური განაკვეთი (ანუ ინვესტიციების ფასი). სახეხი ჩარხის მაგალითიდან წვენ ვიცით, რომ ინვესტირება მხოლოდ მაშინ მოხდება თუ მოსალოდნელი წმინდა მოგების ნორმა აჭარბებს სარგებლის რეალურ ნორმას. მოცემული არგუმენტი გამოვიყენოთ 12-6 ნახაზზე მოტანილი გრაფიკის ანალიზის დროს. დავეშვათ, სარგებლის განაკვეთი 12%-ია. ინვესტიციებზე 10 მლრდ. დოლარი დანახარჯები ხელსაყრელი იქნება, ე.ი. 10 მლრდ. დოლარის საინვესტიციო პროექტი მოიქანს 12% და მეტ მოსალოდნელ წმინდა მოგებას. სხვა სიტყვებით, 10 მლრდ. დოლარის საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნა იქნება 12%-ის ტოლი „ფასის“ პირობებში. ანალოგიურად, თუ სარგებლის განაკვეთი უფრო დაბალი, ვთქვათ, - 10% -ია, მაშინ საინვესტიციო პროექტები ხელსაყრელი იქნება კიდევ 5 მლრდ დოლარისთვის და საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნის ოდენობა 15 მლრდ დოლარს მიაღწევს (= 10 მლრდ + 5 მლრდ). სარგებლის განაკვეთის 8%-ის პირობებში მომგებიანი იქნებოდა კიდევ 5 მლრდ დოლარი და საინვესტიციო საქონელი 20 მლრდ.-ს გაუტოლდებოდა. 6%-ის შემთხვევაში საინვესტიციო საქონელი 25 მლრდ. დოლარს მიაღწევდა და ა.შ. იმის დამახსოვრებით, რომ ყველა საინვესტიციო პროექტი განხორციელდება იმ წერტილამდე, რომელზედ მოსალოდნელი წმინდა მოგების ნორმა სარგებლის განაკვეთს გაუტოლდება, დავინახავთ, რომ მრუდი 12-6 ნახაზზე წარმოადგენს ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდს. ანუ ინვესტიციების “ფასების” სხვადასხვა შესაძლო მნიშვნელობები (სარგებლის რეალური განაკვეთის სხვადასხვა მნიშვნელობები) მოცემულია აბსცისთა ლერძზე, ხოლო საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნის შესაბამისი მნიშვნელობები განლაგდება ორდინატთა ლერძზე. არსებითად, ნებისმიერი წრფე ან მრუდი, რომელიც ამ მონაცემთა გათვალისწინებითაა აგებული,

ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდს წარმოადგენს. თუ ჩვენ მას შევადარებთ პროდუქციასა და რესურსებზე მოთხოვნის მრუდს, რომელიც მე-4 თავშია მოტანილი, დავინახავთ, უკუფარდობით დამოკიდებულებას სარგებლის განაკვეთსა (ფასს) და საინვესტიციო საქონელზე დანახარჯების სიდიდეს შორის (საჭირო რაოდენობა).

საინვესტიციო გადაწყვეტილებათა ასეთი მოდელი მაკროეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინების საშუალებას იძლევა. საკრედიტო-ფულად პოლიტიკის ანალიზის დროს მე-17 თავში დავინახავთ, რომ სახელმწიფოს შეუძლია სარგებლის განაკვეთის შეცვლა ფულის მიწოდების შეცვლით. ეს ძირითადად ინვესტიციებზე დანახარჯების დონის შესაცვლელად კეთდება. მოდით ვიმსჯელოთ შემდეგი სახით: ნებისმიერ მომენტში ყველა ფირმის განკარგულებაშია საინვესტიციო პროდუქტების ფართო არჩევანი. სარგებლის მაღალი განაკვეთისას განხორციელდება მხოლოდ ის საინვესტიციო პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს წმინდა მოგების ყველაზე უფრო მაღალ მოსალოდნელ ნორმას. მაშასადამე, ინვესტიციების დონე დაბალი იქნება. სარგებლის განაკვეთის შემცირებისას კომერციულად ხელსაყრელი ხდება ის პროექტებიც, რომელთა მოსალოდნელი წმინდა მოგების ნორმა უფრო დაბალია. შესაბამისად, ინვესტიციების დონე გაიზრდება.

ბოლო შენიშვნა: ფულის ფიქსირებული მიწოდების შემთხვევაში ფასების დონის ცვლილებები ინვესტიციის სიდიდეზე ზემოქმედებენ სარგებლის განაკვეთის ეფექტის მოქმედების შედეგად, რომელიც აღწერილია მე-11 თავში. ფასების დონის გადიდებით იზრდება ფულის რაოდენობა, რომელსაც მომხმარებლები და მეწარმეები ისურვებდნენ პროდუქციის მომატებული ფასებით შესაძენად. ამრიგად, თუ ფასები 10%-ით გაიზრდება, ადამიანები მოისურვებენ 10%-ით მეტ ფულს თავიანთ საფულეებსა და ანგარიშებზე. ფულის ფიქსირებული მიწოდების დროს გამოუყენებელ ფულზე მოთხოვნის ასეთი გაფართოება გამოიწვევს ფულის ფასის - სარგებლის განაკვეთის შემცირებას, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს ინვესტიციებს, ამის მსგავსად, ფასების უფრო დაბალი დონეზე გამოიწვევს გამოუყენებელ ფულზე, მოთხოვნის შემცირებას სარგებლის განაკვეთის დაწევას და ინვესტიციების ზრდას.



# ინვესტიციებზე მოთხოვნების ცვლილებები

მოხმარების გრაფიკის განხილვისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მართალია, გადასახადების გადახდის შემდეგ შემოსავალი საკვანძო ფაქტორია, რომელიც მოხმარების მოცულობას განსაზღვრავს, მაგრამ არის სხვა ფაქტორებიც, რომლებიც გავლენას ახდენს მოხმარებაზე. როგორც თქვენ განხილეთ, ეს “შემოსავალიდან დაუკავშირებელი ფაქტორები” მოხმარების გრაფიკის გადაადგილებას იწვევენ. იგივე მოხდის ინვესტიციებზე მოთხოვნის გრაფიკსაც. 12-6 ნახაზზე ნაჩვენებია სარგებლის განაკვეთის, როგორც მოსალოდნელი ინვესტიციების განსაზღვრული ძირითადი ფაქტორის დინამიკა, მოგების მოსალოდნელი წმინდა ნორმის პირობებში ინვესტიციათა სხვადასხვა შესაძლო სიდიდისათვის. მაგრამ, ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდზე ზემოქმედობენ სხვა ფაქტორებიც ანუ ცვლადები. მოკლედ, განვიხილოთ რამდენიმე. „შემოსავალიდან დაუკავშირებელი“ ცვლადზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ინვესტიციებზე მოთხოვნას და გავარკვიოთ თუ როგორ შეუძლიათ ამ ფაქტორების ცვლილებებს ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილება. როგორც ნანს, ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც ინვესტიციების მოსალოდნელი წმინდა შემოსავლიანობის მატებას გამოიწვევს, ამ მრუდს მარჯვნივ გადაადგილებს. პირიქით, ცვლადური, რაც ინვესტიციათა მოსალოდნელი წმინდა შემოსავლიანობის შემცირებას გამოიწვევს, მოკლებულ მრუდს მარცხნივ გადაადგილებს.

**1. დანახარჯები მოწოდებლობის შექმნაზე, მასალა-აჭარბისა და მომსახურებაზე.** როგორც ჩარხის მაგალითმა გვჩვენა, ძირითადი კაპიტალის თავდაპირველი დანახარჯები მისი ტექნიკური მომსახურების, მიმდინარე რემონტისა და ექსპლუატაციის დანახარჯებთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია ნებისმიერი განსაზღვრული პროექტისაგან მოსალოდნელი მოგების ნორმის გაანგარიშებისას. ამ დანახარჯების გადიდების კვალობაზე სავარაუდო საინვესტიციო პროექტის მოსალოდნელი წმინდა მოგების ნორმა შემცირდება და ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი მარცხნივ გადაადგილდება. და პირიქით, თუ დანახარჯები ეცემა, მოსალოდნელი წმინდა მოგების ნორმა გაიზრდება და ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ პროფკავშირების მიერ ხელფასის გატარებულმა პოლიტიკამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ინვესტიციებზე მოთხოვნ-

ნის მრუდზე, ვინაიდან ხელვათა ფორმათა უმრავლესობის წარმოების დანახარჯთა ძირითადი ელემენტია.

**2. მწარმის გადსახელები.** საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღებისას საწარმთა მუდობელები გადასახადის გადახდის შემდეგ მოსალოდნელ მოგებაზე ასყარებენ იმელებს. მაშასადამე, წარმოთა გადასახადების გადაღება გაითავსებს შემოსავლების შემცირებას და ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის მარცხნივ გადაადგილებას; ხოლო გადასახადების შემცირება კი მას გადაადგილებს მარჯვნივ.

**3. ტექნოლოგიური ცვლილებები.** ტექნიკური პროგრესი-ახალი პროდუქციის შემუშავება და ძველის სრულყოფა, ახალი ტექნიკისა და ახალი წარმოებრივი პროცესების შექმნა - ინვესტიციების მთავარი სწრაფობაა. უფრო მწარმოებლური მოწყობილობის შემუშავება, მაგალითად, ამქარებს წარმოების დანახარჯებს ან ამაღლებს პროდუქციის ხარისხს, რითაც აღადებს მოსალოდნელს წმინდა მოგების ნორმას მოცუ- მულ მოწყობილობაზე ინვესტიციებისაგან. რენკაბელური პროდუქციის ასალი სახეების შეიება, როგორცაა სამთო ველოსიპედები, პერსონალური კომპიუტერები, წამლების ახალი სახეები და ა.შ. იწვევს ინვესტიციათა მკვეთრ გადაღებას, რამდენადაც ფორმები წარმოების გაფართოებას ცდილობენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ტექნიკური პროგრესის დამქარება ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდს გადაადგილებს მარ- ჯვნივ, და ძირითა.

**4. არსებული ძირითადი კაპიტალი.** 'ხუჩრად სხვევ, როგორც არსებული სამომხმარებელი საქონელი ზემოქმედებს საოჯახო მკურნე-ობათა გადაწყვეტილების მიღებაზე მოხმარებისა და დახოვევის შესა- ხებზე, თუ არსებული ძირითადი კაპიტალიც ზემოქმედებს დამარცებითი ინ- ვესტიციების მოგების მოსალოდნელ ნორმაზე წარმოების ნებისმიერ დარგში. თუ მოცულობის დარგი კარგადაა უზრუნველყოფილი წარმოებ-რივი სიმძლავრეებით და მსა პროდუქციის მარაგებით, მაშინ ამ დარგში ინვესტირება შეწყობება. მიხეცა სათქვამა; ასეთი დარგი საკმაოდაა აღ- ჭურთხილი, რათა უზრუნველყოფილი იქნას მომდინარე და მომავალი მოთ- ხონა საშუალო მოგების უზრუნველყოფილი იქნას მომდინარე და მო- მავალი მოთხოვნა საშუალო მოთხოვნის უზრუნველყოფილი ფასე- ბით. თუ არსებობს საკმარისი ან ჭარბი სიმძლავრეებიც კი დარგში ინვესტიციათა მაღლებით მოგების მოსალოდნელი ნორმა დაბალი იქნება და ამიტომ ინვესტირება უმნიშვნელი ან საერთოდ არ იქნება. ჭარბი წარმოებრივი სიმძლავრეები ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდს მარ-

ცხნივ გადაადგილებენ; ძირითადი კაპიტალის შეფარდებითი უმარო-  
სობა - მის გადაადგილებს მარჯვნივ.

**5. მოლოდინები.** ადრე ჩვენ აღვნიშნავდით, რომ პროექტის სა-  
ფუძველია მოსალოდინელი მოგება. ძირითადი კაპიტალი ხანგრძლივ გა-  
მოყენებაშია, მისი სამსახურის ვადა შეიძლება 10 ან 20 წლით განისაზ-  
ღვრებოდეს და ამიტომ ყოველი კაპიტალდაბანდების შემოსავლიანობა  
დამოკიდებული იქნება მომავალი გაყიდვების პროგნოზებსა და პროექ-  
ტის მომავალ რენტაბელობაზე, რომელიც ამ ძირითადი კაპიტალის  
დახმარებით იწარმოება. მეწარმეთა მოლოდინი შეიძლება მომავალი პი-  
რობების შემუშავებულ პროგნოზებს ემყარებოდეს, რომლებიც მთიკაცენ  
„მეწარმეობის რიგ მსარგებლებს“. ამასთან ერთად, ისეთი გადაულახავი  
და წინასწარგანუჭრეტიკები ფაქტორები, როგორცაა საშინაო პოლიტიკურ-  
ი კლიმატის ცვლილებები, საერთაშორისო ვითარების გართულებე-  
ბი, მოსახლეობის ზრდა, საფონდო ბირჟის პირობები და ა.შ. უნდა გავთო-  
ვალისწინოთ სუბიექტურ და ინტუიციურ საფუძველზე. ამასთან დაკავში-  
რებით აღვნიშნავთ, რომ თუ საწარმოთა ხელმძღვანელები ოპტიმისტურ-  
ად არიან განწყობილი მეწარმეობის მომავალი პირობების თვალსაზ-  
რისით, ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ;  
პესიმისტური განწყობილება კი მრუდს გადაადგილებს მარცხნივ.


## ინვესტიციები და შემოსავალი

მეწარმეთა საინვესტიციო გადაწყვეტილებების, საოჯახო მეურნეობა-  
თა მოხმარების გეგმების შედარებისას (სხვათა 13) აუჯობებულია  
ინვესტიციითაა გეგმები გამოვსახით შემოსავლის დონის მემკვიდრით გა-  
დასახადების გადახდის შემდეგ DI -ით ან წებ-ით. ეს ნაშნავს, რომ  
უნდა ავავთო ინვესტიციების გრაფიკი, რომელიც გვიჩვენებს იმ სახსრე-  
ბის მოცულობას, რომელია ინვესტირებასაც ფორმები გეგმავენ (ვარა-  
უდოდენ) შემოსავლის ნებისმიერი პორცენტაჟური დონის ან წარმოების  
მოცულობის დროს. ასეთი გრაფიკი ასახავს ფარმათა მგლობლებსა  
და მმართველობის საინვესტიციო გეგმებს ან განზრახვებს, ისევე რო-  
გორც მოსმარებისა და დანაზოგთა გრაფიკები ასახავენ საოჯახო მეურ-  
ნეობათა მოხმარებისა და დანაზოგის გეგმებს.

დავუშვათ, რომ მეწარმეები ინვესტირებას იწყებენ მოგების დედა  
ხნის განმავლობაში მდებებს მოლოდინში, რეკონსტრუქციური პროგრესის, მო-  
სახლეობის ზრდის და ა.შ. შედეგად, ამიტომ ინვესტირება ავტონომიურაა

ცხრილი 12-3. ინვესტიციების გრაფიკი, ჰიპოთეზური მონაცემები; მლრდ დოლ.)

(1) წარმოებისა და შემოსავლების დონე	(2) ინვესტიციები $I_n$	(3) ინვესტიციები $I'_n$
370	20	10
390	20	12
410	20	14
430	20	16
450	20	18
470	20	20
490	20	22
510	20	24
530	20	26
550	20	28



ნახ.12-7 ინვესტიციათა გრაფიკი: ორი ვარიანტი.

ჩვენი ანალიზის გაადვილებისათვის ვთავაზობთ ინვესტიციათა  $I_n$  გრაფიკს. ამასთან დაიშვება, რომ შეწარმეთა საინვესტიციო გეგმები დამოკიდებული არაა შემოსავლის მიმდინარე დონეზე. სინაქტილუში ინვესტიციების გრაფიკს ოდნავ აწევა შეუძლია, როგორც ეს  $I'_n$  კრუდის დახმარებითაა ნაჩვენები.

(დამოუკიდებელია) მიმდინარე შემოსავლის დონისაგან. შემდეგ, ვივარაუდოთ, რომ ინვესტიციებზე მოსახონის მრუდს ისეთი სახე აქვს, როგორც 12-6 ნახაზზეა წარმოდგენილი და, რომ სარგებლის მიმდინარე ნორმა უდრის 8%. ეს ნიშნავს, რომ მეწარმეობითი სექტორისათვის მომგებიანი იქნება 20 მლრდ ლოლ. დახარჯვა საინვესტიციო საქონლისათვის. 12-3 ცხრილის პირველი და მეორე სვეტიდან ჩანს, რომ ინვესტირებათა ასეთი დონე მოსალოდნელია შემოსავლის ნებისმიერი დონის დროს. გრაფიკულად ეს წარმოდგენილია I // წრფით 12-7 ნახაზზე.

ინვესტიციებისა და შემოსავლების დამოუკიდებულების მსგავსი დაშვება, რა თქმა უნდა, გამარტივებაა. საქმიანი აქტიურობის დონის გადიდება შესაძლოა დამატებითი დანახარჯები გამოიწვიოს ძირითად კაპიტალზე, რაც ნახევნებია 12-3 ცხრილის პირველი და მესამე სვეტში და 12-3 ნახაზის I' // გრაფიკზე (ნახ. 12-9). უკიდურეს შემთხვევაში, იმის ორი მიზეზი მაინც არსებობს, თუ რატომ შეიძლება შეიცვალოს ინვესტიციები უშუალოდ შემოსავლის ცვლილებით. ჯერ ერთი, ინვესტიციები დაკავშირებულია მოგებასთან; მსხვილი ინვესტიციები ფინანსდება მეწარმეობითი მოგებიდან. ამიტომ, ერთობ მარაუებულია ვამტკიცოთ, რომ გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი შემოსავლების და წეპ-ის გადიდებით, გაიზრდება მოგება და, შესაბამისად, ინვესტირების დონეც. მეორე, შემოსავლისა და წარმოების მოცულობის დაბალი დონის პირობებში მეწარმეობითი სექტორში გამოუყენებელი ანუ ჭარბი აღმოჩნდება წარმოებრივი სიმძლავრეები, ე.ი. მრავალ საწარმოში გაჩერებული იქნება მოწყობილობა. ხოლო ეს კი ნიშნავს, რომ დამატებითი ძირითადი კაპიტალის შესყიდვის სტიმული უმნიშვნელი იქნება. მაგრამ, როგორც კი შემოსავლის დონე გაიზრდება, სიმძლავრეთა ეს სიჭარბე გაქრება და ფირმებს თავიანთი ძირითადი კაპიტალის შევსების სტიმული მიეცემა. ჩვენს გამარტივება, ცხადია, არც ისე ძლიერ შორდება სინამდვილეს და მნიშვნელოვნად აადვილებს შემდგომ ანალიზს.

## ინვესტიციათა არასტაბილურობა

მოხმარების გრაფიკთან შედარებით ინვესტიციების გრაფიკი უკვლელი როდია. ეს ბუნებრივია, რამდენადაც ინვესტიციები საერთო დანახარჯების კველაზე ცვალებადი კომპონენტია. 12-8 ნახაზი ნათლად ადასტურებს ინვესტიციათა ამ ცვალებადობას და გვიჩვენებს, რომ იგი მნიშვნელოვნად უფრო დიდია, ვიდრე ეეპ-ის ცვალებადობა. მოტანილი


მონაცემები ასევე მოწმობენ, რომ ინვესტიციებისადმი როგორც წარმოების მოცულობაზე დამოუკიდებლობისადმი, ჩვენი გამარჯვებული მიდგომა როდი წარმოადგენს ისეთ არარეალურს. ინვესტიციების დანახარჯები მკაცრ შესაბამისობაში როდი იმყოფება ექპ-თან.

განვიხილოთ 'ხოგაერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომლებიც ინვესტიკიათა ცვალებადობას ნათელყოფენ.

**1. მომსახურების ხანგრძლივი ვაჭარი.** საინვესტიციო საქონელს თავისი ბუნებით მომსახურების საქმიან განუახლებველი ვადა გააჩნია. რაღაც ფარგლებში საინვესტიციო საქონელთა შესყიდვა დისკრეტულ ხასიათს ატარებს და ამიტომ შეიძლება გადაიდოს. ძველი მოწყობილობა ან შენობები შეიძლება ან მოლიანად მოისპოს, ან შეკეთდეს და გამოყენებულ იქნას კიდევ რამდენიმე წელს. ოპტიმისტურ პროგნოზებს შეუძლიათ საწარმოთა მგებნებებს უბიძგონ მოქმედებული მოწყობილობის შეკვლის გადაწყვეტილება მიიღონ, ე.ი. მოახდინონ წარმოების მოდერნიზება, რაც გაზრდის ინვესტიციების დონეს. ცოტა უფრო ნაკლებად ოპტიმისტურმა შეხედულებამ, ცხადია, შეიძლება გამოიწვიოს ძალზე ცოტა ინვესტირება.

**2. ინფლაციითა არარეგულარობა.** ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტექნიკური პროგრესი ინვესტირების ძირითადი ფაქტორია. ახალი პროდუქტია და ახალი ტექნოლოგია ინვესტირების მთავარი სტიმულია. მაგრამ ისეა, როგორც მოწმობს, რომ დიდი სიახლეები-რკინიგზები, ელექტრობა, ავტომობილები, კომპიუტერები და ა.შ. არც ისე რეგულარულად ჩნდებიან. მაგრამ როდესაც ეს მოხდება, მნიშვნელოვნად იზრდება საინვესტიციო დანახარჯები, რომელიც დროთა განმავლობაში შეორდება. კლასიკური მაგალითი: ავტომობილების ფართო გავრცელებამ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში არა მხოლოდ ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაზრდა გამოიწვია, თვით საავტომობილო მრეწველობაში, არამედ ინვესტიციების უზარმაზარი ზრდა განაპირობა ისეთ მომიჯნავე დარგებშიც, როგორცაა ფოლადსამსხმელო, ნავთობგადამამუშავებელი, მინისა და რეზინოტექნიკური ნაგებობათა წარმოება, რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფო ინვესტიციებზე გზებისა და მაგისტრალების მშენებლობაზე. მაგრამ, როდესაც ინვესტიციები მომიჯნავე დარგებში საბოლოოდ "დამთავრდა", ე.ი. როდესაც მათ უზრუნველყვეს საავტომობილო მრეწველობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის საკმარისი ძირითადი კაპიტალი, ინვესტიკიათა საერთო დონე სტაბილური გახდა.

**3. მოგებათა ცვალებადობა.** ცნობილია, რომ მომავალი შემოსავლიანობის მოლოდინზე მნიშვნელოვანწილად ზემოქმედებს მიმდინა-



ნახ.12-8. ინვესტიციების ცვალებადობა.

ინვესტიციებზე დასაბუთებულ ძალზე ცვალებადან ფაქტობრივ ინვესტიციების ფაქტობრივ ექსპლანატაციას უზღვევს სექტორული, რაში ინვესტიციები წაღვან წაღვანე უფრო ძლიერ ცვალებადობად რეაგირებენ.

რე მთავრების სიდიდე გარდა ამისა, საწარმოთა მფლობელები და მმართველები ინვესტიციებს მხოლოდ მაშინ ახდენენ, როცა გრძობენ, რომ იგი მომგებიანი იქნება. მიმდინარე მოგება, (ხაზია თვისობა ძალზე მერყევიანა (გარეკანის შიდა გვერდის ცხრილის მე-12 სტრიქონი წარმოდგენას იძლევა კორპორაციათა გაუნაწილებელი მოგების შესახებ). მაშასადამე მოგების არასტაბილურობა საინვესტიციო სტიმულებს ცვალებად ხასიათს ანიჭებს. უფრო მეტიც, მოგების არასტაბილურობამ შეიძლება გამოიწვიოს საინვესტიციო მერყეობები, რამდენადაც მოგება მეწარმეობითი ინვესტიციების ძირითადი წყაროა. ამერიკელი მეწარმეები უპირატესობას დაჟინანსების ამ წყაროს ანიჭებენ, ვიდრე საგარეო დავალიანების ხრდას და აქციების გამოშვებას. მოკლედ რომ ვთქვათ, მოგების გადიდება ფირმის მგებმაყებს როგორც მეტ სტიმულს, ისე ინვესტიციების მეტ საშუალებებსაც აძლევს; მოგების შემცირებას უდიდესი სასიროსხარო

ეფექტი გაანჩნია. მოგების არასტაბილურობა ზრდის ინვესტიციათა არასტაბილურობასაც.

**4. მოსალოდნელობათა ცვალებადობა.** ჩვენ ავხსენით, რომ რამდენადაც ძირითადი კაპიტალს სამსახურის ხანგრძლივი ვადა გაანჩნია, საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღება ხორციელდება მოსალოდნელი წმინდა მოგების საფუძველზე. მაგრამ ფირმები ცდილობენ მეწარმეობის პირობების პროგნოზირებას დღევანდელი დღის რეალობების გათვალისწინებით. ამიტომ მართებულია ვივარაუდოთ, რომ რაიმე მოვლენებმა ან მოვლენათა შეხამებამ შეიძლება მომავალში გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები მეწარმეობის პირობებში, რისთვისაც საჭიროა მოსალოდნელობათა რადიკალური გადასინჯვა. რა სახის მოვლენებს შეუძლიათ შეარყიონ მეწარმეთა გულდაჯერებულობა? მეწარმეთა ოპტიმიზმზე ან პესიმიზმზე არსებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ შინაპოლიტიკური ვითარების შეცვლას, “ცივი ომის” გაძლიერებას, ენერჯის ახალი წყაროების შემუშავებას, მოსახლეობის ზრდის ცვლილებებს და მასთან დაკავშირებით ბაზარზე მოთხოვნის შეცვლას, სასამართლოს გადაწყვეტილებებს ძირითად შრომით და ანტიტრესტულ საკითხებზე, ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს, გაფიცვებს, სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლას და მრავალ სხვა ფაქტორს.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საფონდო ბირჟა. ფირმის მგეგმავები, ხშირ შემთხვევაში, საფონდო ბირჟას განიხილავენ, როგორც საზოგადოების საერთო გულდაჯერებულობის მაჩვენებელსა და ბარომეტრს მეწარმეობის მომავალ სტაბილურობაში; ბირჟაზე აქციათა კურსის მომატება რწმენას მატებს მომავალში, და პირიქით, აქციის კურსის დაქვეითება ამ რწმენას უკარგავს. საფონდო ბირჟა, ცხადია, მეტისმეტ სპეკულაციას ექვემდებარება, და აქციების კურსის თავდაპირველი უმნიშვნელო ცვლილებები შეიძლება სერიოზულად გაძლიერდეს მებირჟეების მიერ, რომლებიც ხელს ითბობენ აქციათა შესყიდვასა და გაყიდვაზე. უფრო მეტიც, აქციების კურსის მკვეთრი ცვლილებები ზემოქმედებს რა ამონაგების სიდიდეზე, რომელიც მისი გაყიდვიდან მიიღება, ზეგავლენას ახდენს ინვესტიციათა დონეზეც, ანუ ძირითადი კაპიტალის შესყიდვის სიდიდეზე.

ამ და სხვა მსგავსი მიზეზებით, სავსებით სამართლიანია ვამტკიცოთ წარმოების მოცულობისა და დასაქმების მერყეობათა დამოკიდებულება ინვესტიციებში ცვლილებებზე. გრაფიკზე (იხ. ნ.ხ. 12-7) ეს ცვლილებები გამოსახულია ინვესტიციების მრუდის გადაადგილებით ზევით და ქვევით.



## რეზიუმე

1. დასაქმების კლასიკური თეორიის თანახმად წმინდა კაპიტალიზმის პრაქტიკულად მუდმივი სრული დასაქმების უზრუნველყოფა შეუძლია. ეს დასკვნა ეყრდნობა სეის კანონს და ფასებისა და ხელფასის ელასტიურობის ვარაუდს.

2. ეკონომისტი კლასიკოსები ამტკიცებდნენ, რომ რამდენადაც მიწოდება წარმოშობს მოთხოვნას, საერთო ჭარბწარმოება შეუძლებელია. ეს დასკვნა, როგორც მაშინაც მიიჩნევდნენ, მოქმედებს, როდესაც ადგილი აქვს დაზოგვას, ვინაიდან ფულის ბაზარი, კერძოდ, სარგებლის განაკვეთი ავტომატურად მოიყვანს შესაბამისობაში საოჯახო მეურნეობათა დანაზოგებსა და საწარმოთა საინვესტიციო გეგმებს.

3. დასაქმების კლასიკური თეორიის თანახმად, მაშინაც კი თუ საერთო დანახარჯები დროებით შემცირდება, იგი კომრენსირებული იქნება ფასებისა და ხელფასის შემცირებით, ასე რომ წარმოების რეალური მოცულობა, დასაქმება და რეალური შემოსავალი არ შემცირდება.

4. დასაქმების კეინსური თეორია უარყოფს დებულებას იმის შესახებ, რომ სარგებლის განიკვეთი აწონასწორებს დანაზოგებსა და ინვესტიციებს, რამდენადაც ითვლება, რომ დანაზოგთა სუბიექტები და ინვესტორები სრულიად სხვადასხვა ჯგუფებია, რომლებიც დაზოგვისა და ინვესტიციის შესახებ იმ გადაწყვეტილებას ღებულობენ, რომლებიც ძირითადად დანაზოგთა სუბიექტებისათვის დაკავშირებული არაა სარგებლის განაკვეთთან. გარდა ამისა, ა) მოსახლეობის ხელში ფულის სიდიდის ცვლილებების და ბ) ბანკებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებების მიერ შეთავაზებული სესხების ცვლილებების გამო სახსრების მიწოდება შეიძლება აჭარბებდეს ან ნაკლები იყოს მიმდინარე დანაზოგებზე, იმასთან დაკავშირებით, რომ დანაზოგები და ინვესტიციები ტოლი არაა.

5. კეინსელები ეჭვქვეშ აყენებენ დებულებას ფასებისა და ხელფასის ელასტიურობის შესახებ. ისინი ამტკიცებენ, რომ: ა) პროფკავშირებისა და მონოპოლიების, ხელფასის მინიმალური

განაკვეთის შესახებ კანონმდებლობისა და სხვა ფაქტორების არსებობა არსებითად სმოხს ფასებისა და ხელფასის მნიშვნელოვანი შემცირების შესაძლებლობას და რომ 3) ფასებისა და ხელფასის შემცირება კვცავს საერთო შემოსავალს, და მაშასადამე, შრომაზე მოთხოვნასაც.

6. კლასიკოსთა და კეინსელების მოსაზრებები შეიძლება ვაჩვენოთ ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების მოდელზე. ეკონომისტ-კლასიკოსებს თანახმად, ა) ერთობლივი მიწოდების მრუდი ვერტიკალურია, რაც განსაზღვრავს წარმოების მოცულობის დონეს; ბ) ერთობლივი მოთხოვნის მრუდი უცვლელია, რაც ფასების დონეს განსაზღვრავს. კეინსელები თვლიან, რომ: ა) ერთობლივი მიწოდების პორიზონტალური მრუდი იმ მრუდზე დაბლა გადის, რომელიც პროდუქციის წარმოების მოცულობას შეესაბამება სრული დასაქმების პირობებში და, ბ) ერთობლივი მოთხოვნის მრუდი არასტაბილურია.

7. დასაქმების კეინსური თეორიის მთავარი ინსტრუმენტებია მოხმარების, დანაზოგების და ინვესტიციების გრაფიკები, რომლებიც გვიჩვენებენ თუ რა თანხის მოხმარება და დაზოგვა სურთ საოჯახო მეურნეობებს, ხოლო მეწარმეებს კი - ინვესტირება, შემოსავლისა და წარმოების სხვადასხვა შესაძლო დონეებზე დამოკიდებულებით, ფასების განსაზღვრული დონის პირობებში.

8. მოხმარებისა და დანაზოგთა მრუდის მდებარეობა განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: ა) საოჯახო მეურნეობათა სიმდიდრის მოცულობა; ბ) ფასების დონე; გ) მომავალი შემოსავლის, ფასების და პროდუქციის მოლოდინი; დ) სამომხმარებლო დავალიანების შესაბამისი სიდიდე; ე) გადასახადით დაბეგრვა. მოხმარებისა და დანაზოგთა გრაფიკები შედარებით სტაბილურია.

9. მოხმარებისა და დაზოგვისადმი საშუალო მიდრეკილება ახასიათებს საერთო შემოსავლის ნებისმიერი დონის ნაწილს ან წილს, რომელიც მოიხმარება ან იზოგება. მოხმარების ან დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება ახასიათებს საერთო შემოსავალში ნებისმიერი ცვლილებების ნაწილს ან წილს, რომელიც მოიხმარება ან იზოგება.

10. ინვესტიციის განმსაზღვრელი უშუალო ფაქტორებია: ა) წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა და ბ) სარგებლის რეალური განაკვეთი. მთლიანად ეკონომიკაში ინვესტიციებზე

მოთხოვნის მრუდი შეიძლება ავადგომთ საინვესტიციო ობიექტების შეერთებით და მათი დაღმავალი განლაგებით მათგან მოსალოდნელი წმინდა შემოსავლიანობის შესაბამისად, იმ წესის გამოყენებით, რომ ინვესტიციები ხელსაყრელი იქნება იმ წერტილამდე, რომელზეც სარგებლის რეალური განაკვეთი მოსალოდნელი წმინდა მოგების ნორმის ტოლია. ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი ასახავს უკუფარდობით დამოკიდებულებას სარგებლის განაკვეთისა და ერთობლივი ინვესტიციების დონეს შორის.

11. ინვესტიციაზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილებები შეიძლება მოხდეს (ცვლილებათა შედეგად: ა) ძირითადი კაპიტალის შექმნის, ექსპლუატაციისა და მომსახურების დანახარჯებში; ბ) მეწარმეთა გადასახადებში; გ) ტექნოლოგიაში; დ) არსებულ ძირითად კაპიტალში; ე) მოლოდინებში.

12. ნვენ ვაშარცივებთ, რომ ინვესტიციათა დონე განისაზღვრება სარგებლის მიმდინარე განაკვეთით და ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი ერთობლივი შემოსავლის დონის ცვლილებით არ იცვლება.

13. ძირითადი კაპიტალის მომსახურების ხანგრძლივი ვადები, დიდ სიახლეთა არარეგულარობა, მოგების ცვალებადი ბუნება და მოლოდინის არამუდმივობა განსაზღვრავს ინვესტიციებზე დანახარჯების არასტაბილურობას.

## ტერმინები და ცნებები

დასაქმების კლასიკური თეორია  
სვის კანონი  
ფასებისა და ხელფასის ელასტიურობა  
კენისის ეკონომიკური თეორია  
მოხმარებისა და დანაზოგების გრაფიკები  
„საწყისი“ შემოსავალი  
მოხმარებისა და დაზოგვისადმი საშუალო მიდრეკილება  
ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი  
ინვესტიციების გრაფიკი

# პითხვები და სასწავლო ღვაწლები

1. ახსენით კლასიკოსთა თეორიული დებულება იმის შესახებ, რომ სეის კანონი მარიცხული იქნება (ჩიშენელოვანი დანასოგების მქონე ეკონომიკისათვისაც კი, რა არგუმენტები იყენებდნენ კეინსელები კლასიკოსების თვალსაზრისით უარსაყოფად იმის შესახებ, რომ სეის კანონს მყარ სრულ დასაქმებაზე მიუყვართ)?

2. "უბუშუერობა შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ შეწარმენი შეთანხმდებიან პრიადექციის ფასების შემცირებაზე, ხოლო მეშები ხელფასის განაკვეთების შემცირებაზე". კრიტიკულად

წარმოებისა და შემოსავლის დონე $Y = DI$ (დოლარი)	მოხმარება (დოლ.)	დაგროვება (დოლ.)	მსმ	დსმ	შსმ	დ'სმ
240	—	- 4	—	—	—	—
260	—	0	—	—	—	—
280	—	4	—	—	—	—
300	—	8	—	—	—	—
320	—	12	—	—	—	—
340	—	16	—	—	—	—
360	—	20	—	—	—	—
380	—	24	—	—	—	—
400	—	28	—	—	—	—

შეაფასეთ ეს მტკიცება.

3. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელის გასოკენებით შეადარეთ კლასიკოსებისა და კეინსელების ინტერპრეტაცია ა) ერთობლივი მიწოდების მრუდის და ბ) ერთობლივი მოთხოვნის მრუდისა. რომელი მოდელია თქვენი მოსაზრებით უფრო რეალური?

4. რითი განსხვავდებიან მსმ და შსმ? რატონაა მსმ-იასა და დსმ-ის ჯამი ერთი ტოლი? როგორაა ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განასაზღვრავს მოხმარებისა და დანასოგების გრაფიკებს? კრძოდ, თქვენი მოხმარების დონეს?

5. ახსენით როგორ დასკვდებოდნენ გუბერნებს ა) მოხსარების გრაფიკი; ბ) დანაშოგების გრაფიკი; გ) ინვესტიციებზე მოსახლეობის გრაფიკი; დ) ინვესტიციების გრაფიკი.

რახსენით, როგორ შეგაუფლანს შიდადენის მოხსარებასა და დანაშოგების გრაფიკებზე ან ინვესტიციის გრაფიკზე შეხედვით ფაქტორებს:

ა) ასევე დაწყო იგივე ობიექტების რაოდენობის შესწორება მოხსარებლების ხელში;

ბ) არაბრწყინვალე იმის შესახებ, რაც იქვე მოსახლეობის მიერ ხანგრძლივი მოხსარების საჭიროება დეფიციტის მხოლოდგინა;

გ) სარგებლის ფაქტორული განაკვეთის შესწორება;

დ) აქტივების კურსის მკვეთრი დატეხვა;

ე) მოსახლეობის ზრდის ტენდენციის გადგენა;

ვ) იოჯის, რკინის მადნისაგან დანადგების უფრო ახალი ტერხის შექმნა;

ზ) სოციალური უსრულელოების პროგრამით გათვალისწინებული მასშტაბების სიდიდის შესწორების შესახებ შეტყობინება;

თ) მოსალოდნელი აქტიულობის უზრუნველყოფის ინტენსივობის შენარჩუნების მიზნად;

ი) უახლესი დონის 8%-ით შესწორება;

7. ახსენით, რატომ იქვე მოხსარების მრუდის წიკით გადაადგილება დანაშოგით მრუდის იხეთავე გადაადგილებას მკვეთრ. გაიხსენით გამოთვლის ან წესიდან.

8. შეაყისო მოტანილი ცხრილი.

ა) დანაშოგის მოხსარებისა და დანაშოგების გრაფიკი;

ბ) განსაყირეთი შეხოსავლის "საწყისი" დონე, როგორ ხარჯავენ საოჯახო მეურნეობები დანაშოგების შესოსავლის მინისსალოთი დონის პირობებში?

გ) შესოსავლის ზრდის პირობებში უსრულელო შესოსავლის წილი რისხედაც მოხსარებაზე მადის, მკვდრება, ხოლო დანაშოგის წილი იზრდება. ახსენით, მათი ზორის გრაფიკის დანაშარებისა, როგორ შეიძლება უცულო დარჩეს (მა და დ) შესოსავლის სიყვადისხეა დონის პირობებში.

9. დაასახელოთ ინვესტიციის მითარი ფაქტორები. ახსენით უსრულელო კეზის სარგებლის რეალური განაკვეთის და ინვესტიციის დონის ზორის რატონდა ინვესტიციის გრაფიკი ნაკლებსაბალოთი, ვიდრე მოხსარებისა და დანაშოგის გრაფიკები?

10. დეუშეთით, რისი ეკონომისკან არ არის საინვესტიციო ობიექტები, რომელმაც მოსალოდნელა წინდა მოგების სორის 25 და მუტი პროცენტო ექნებოდა. სგრან არის 10 მლრდ. დოლ. საინვესტიციო ობიექტები, რომელმაც მოსალოდნელა წინდა მოგების სორის 20 და 25% ზორის განწინა; კიდე 10 მლრდ დოლ. რომელმაც მოგების სორის 15 და 20% ზორის განწინა; კიდე 10 მლრდ. დოლ. - 10 და 15% ზორის და ა.შ. შეაჯახეთ ის მინაქტები და წარსიდაგინეთ გრაფიკულად. ასისთან წინდა მოგების მოსალოდნელი სორის განაკვეთი ევრტიკალური ღერძზე, ხოლო ინვესტიციების სიდიდე - პორიონტალურზე, როგორი იქნება ერობილითი ინვესტიციების წინასწორობის დონე თუ სარგებლის რეალური განაკვეთი შეაგდინს: 1) 15%; ბ) 10%; გ) 5%. ახსენით, მოცუბული მრუდა რატომ წარსიდაგინს ინვესტიციებზე მოსახლეობის მრუდს.

11. ხალოთანი განტოლებები (იხ. პირელი იათის დანართი) მოხსარებისა და დანაშოგების გრაფიკისათვის ზოგად უორნის დებულობენ:  $C = a + bY$  და  $S = -a + (1 - b)Y$  სადაც  $C$ ,  $S$ ,  $Y$  - შესაბამისად მოხსარება, დანაშოგები და ეროერული შესოსავალია.  $a$  მუდმივი განსაყირავს მრუდის გადაადგილებას ევრტიკალზე, ხოლო  $b$  - კი მოხსარების გრაფიკის დანარბლობა.

ა) გამოაყენეთ შეხედვით მონაცემები მოხსარებისა და დანაშოგების მოტანილი განტოლებებიდან ზუსტი ციფრობრივი მნიშვნელობების მისაღებად.

ეროვნული შემოსავალი (მლრდ ლალი.) $Y$	მთხმარება $C$ (მლრდ ლალი.)
0	80
100	140
200	200
300	260
400	320

ბ) როგორია  $b \cdot (1 - b)$  -ს ეკონომიკური შინაარსი?

გ) დაუქმდით, რისი დაწახოვების მიცეულობა ეროვნული შემოსავლის მიცეულები მიცეულობის დროს 20 მლრდ ლალიანი ვცევა, სიკალი  $b$  და  $(1 - b)$  სიდედეები უცეულები რეეება. შედეგინეო მთხმარებისა და დაწახოვების განტელება და მთხმენეო ფაქტორი, რისელებეც შეეულებე ან ცეულებების განტეეეეა.

12. დაუქმდით, რისი მთხმარების სასოეან განტეულების პასოიეუსერ ეკონომიკაში გააწეა შედეგი საეე:  $C = 40 + 0,8 Y$ . დაუქმდით, საეეე რისი  $Y = 400$  მლრდ ლალი. გამსახეერეო: ა) მთხმარებისადეი 'დეერეული' მლრეეეელება; ბ) დაწახოვებისადეი 'დეერეული' მლრეეეელება; გ) მთხმარებისადეი 'დეერეული' მლრეეეელება; დ) დაწახოვებისადეი 'დეერეული' მლრეეეელება; ე) დაწახოვებისადეი 'დეერეული' მლრეეეელება.

## ბოლო შტრიხი

**წილ(ობრივი) მონაწილეობა: რ(ობ)ორ ბავზახლ(ოთ) ხელშახსი ელახსტიური**

შეიდეება თე არა მიედეაწოთ ხელფახსის უფრო მეეე ელახსტიურობახს შემეცირების მიმართეულებით, რათა შეეარბე-ლოთ ერთობლივი მთხოვნის შემეცირების 'ემოქმედეება უმეუმევერობახე?' მარტინ ვეიციმანმა მახახეხეეეხის 'ეეეე-ლოგიური ინსტიტეეეეიდან ამახწინათ შემოეეეეეეეე ადნიმ-სეული მიხნის მიდეწეეის ხერხი.<sup>1</sup>

1. Martin L. Weitzman. *The Share Economy*. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1984.

მაკრეკონომიკის კლასიკურ და კეინსურ კატეგორიათა შედარებას აშკარად მივყავართ იმ მოსაზრებამდე, რომ თუ ხელუფასის სტაბილურია, არასტაბილური იქნება დასაქმება, და პირიქით. თანამედროვე ეკონომისტთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ პროფკავშირთა ხანგრძლივადიანი ხელშეკრულებები სხვა მიზეზებთან ერთად ხელუფასის არაელასტიურს ხდიან შემცირების მიმართულებით, უკიდურეს შემთხვევაში მოკლევადიან პერიოდში. მაშასადამე, შრომისადმი მოთხოვნის შემცირება, რომელთაც თან ახლავს წარმოების დაქვეითება, პირველ რიგში ელასტიურობაზე ზემოქმედებს. ვეიცმანის წინადადებაში მოცემულია ხელუფასის ელასტიურობის ამაღლების ცდა შემცირების მიმართულებით იმისათვის, რათა შრომის ბაზრების ფუნქციონირება უფრო მეტად შეესაბამებოდეს კლასიკური მოდელის მოთხოვნებს და ამით დასაქმების სტაბილურობის გადიდება გამოიწვიოს.

არსებითად ვეიცმანის წინადადება ისაა, რომ ხელუფასის ნაწილი უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული ფირმის რენტაბელობასთან; მუშათა ჯამაგირის რაღაც ნაწილი უნდა წარმოადგენდეს მოგების წილს. მაგალითად, ხელუფასის გარანტირებული განაკვეთის (10 დოლარი საათში) ნაცვლად ვეიცმანი გთავაზობს, რომ მუშებისათვის გარანტირებული იყოს საათში 5 დოლარი (ხელუფასის ძირითადი განაკვეთი) და დამატებითი საზღაური ფირმის მიღებული მოგების წინასწარ დადგენილი პროცენტის მოცულობით (წილობრივი ხელუფასი). საერთო ჯამაგირი (ძირითადი განაკვეთით პლუს წილობრივი განაკვეთი) შეიძლება 10 დოლარზე მეტი იყოს ან მასზე დაბლა დაეცეს ფირმის ეკონომიკურ მდგომარეობაზე დამოკიდებულებით.

რა ზეგავლენას მოახდენს ასეთი პერსპექტივა დასაქმებაზე? მუშებმა მიიღონ საათში 10 დოლარი: 5 დოლარი ხელუფასის გარანტირებული განაკვეთის სახით, ხოლო სხვა 5 დოლარი მოგებაში წილობრივი მონაწილეობის საზღაური. ახლა დავეშვათ, რომ ხდება წარმოების დაქვეითება და პროდუქციის რეალიზაციისა და მეწარმეთა მოგების შემცირება. ამის შედეგად, შემოსავალი მოგებაში მონაწილეობისაგან შეიძლება შემცირდეს და 5 დოლარიდან ნულამდე დაეცეს, ასე რომ ფირმის მიერ ფაქტობრივად გაცემული ხელუფასი 10 დოლარიდან 5 დოლარამდე შემცირდება. შრომაზე მოცემული ახალი შემცირებული მოთ-

ხოვნის პირობებში, როცა ხელფასი 5 დოლარამდე დაეცა, და არ დარჩა ფიქსირებული 10 დოლარის დონეზე, ფირმა ვეიცმანის ვარაუდით ამჯობინებს მეტი მუშის დაქირავებას. ვეიცმანი ამტკიცებს, რომ ხელფასის შესახებ მისი წინადადება მეწარმეებს შეაგულიანებს მეტი სამუშაო ძალა დაიქირავოს, ვიდრე უწინ და იმავდროულად ციკლური უმუშევრობის შემცირებას გამოიწვევს. ხელფასის ჩვეულებრივი სისტემის პირობებში მუშა სამუშაოს მიიღებს მხოლოდ მაშინ, როცა იგი უფრო მეტ პროდუქციას აწარმოებს, ვიდრე 10 დოლარი გარანტირებული ხელფასია. მოგებაში წილობრივი მონაწილეობის სისტემის პირობებში ხელსაყრელი იქნება დამატებით მუშათა დაქირავება, ვინაიდან ისინი შექმნიან დამატებით პროდუქციას 5 დოლარზე მეტი ღირებულებით.

მოგებაში წილობრივი მონაწილეობის ხელფასის სისტემას სერიოზულად აკრიტიკებენ. აღნიშნავენ, მაგალითად, რომ იგი საფრთხის ქვეშ აყენებს მუშათა ისტორიული მონაპოვარს და ხელფასის გაყინვამდე მიგვიყვანს. გარდა ამისა, აკრიტიკებენ აგრეთვე იმ ვარაუდს, რომ ხელფასის შემცირებული გარანტირებული განაკვეთის პირობებში მეწარმეები ხალისით გამოიყენებენ ტექნოლოგიებს შედარებით ნაკლები მოცულობის კაპიტალის გამოყენებითა და შედარებით მეტი მოცულობის შრომის გამოყენებით. რამდენადაც ერთ მომუშავეზე წარმოების საშუალებათა მოცულობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობასა და ეკონომიკურ ზრდაზე, ხანგრძლივ პერიოდში რეალური ეეპ-ის გადიდება შეიძლება შენელდეს უფრო პრაგმატული თვალსაზრისით იბადება პრინციპული კითხვა: აწყობთ თუ არა მუშებს დიდი რაოდენობის სამუშაო ადგილების გამოჩენისა და უფრო მაღალი სტაბილური დასაქმების პერსპექტივა შემცირებული გარანტირებული ხელფასის სანაცვლოდ? უნდა აღინიშნოს, რომ 80-იან წლებში გაიზარდა პროფკავშირულ და არაპროფკავშირულ შრომით შეთანხმებათა რაოდენობა, რომლებიც მოიცავდა მოგებაში წილობრივი მონაწილეობის პირობებს. ამრიგად იდეა ყოველს მომცვლელი წილობრივი მონაწილეობის შესახებ დაუჯერებლად გვეჩვენება, მაგრამ რაღაც ზომით იგი სულ უფრო მეტ გავრცელებას პოულობს.



# თავი მეცამეტი

## წარმოების წონასწორობითი მოცულობა კეინსურ მოდელში

მოცემული თავის დასაწყისში ჩვენ გამოვიყენებთ მე-12 თავში შემოტანილ მოხმარების, დანაზოგებისა და ინვესტიციების კეინსურ გრაფიკებს, წარმოების მოცულობის, შემოსავლისა და დასაქმების წონასწორობითი დონეების ასახსნელად. შემდგომში ჩვენ გავაანალიზებთ წარმოების მოცულობის, შემოსავლისა და დასაქმების წონასწორობითი დონეების ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია ინვესტიციებზე დანახარჯთა ცვალებადობით. ამის შემდეგ ექსპორტისა და იმპორტის, წარმოების მოცულობის, შემოსავლისა და დასაქმების წონასწორობით დონეებზე ზემოქმედების საჩვენებლად მოდელში შემოტანილი იქნება საგარეო ეკონომიკური საქმიანობა. მანამ, სანამ ანალიზში არ ჩაერთვება სახელმწიფოს საქმიანობა (თავი 14) ჩვენ ვიგულისხმებთ სახელმწიფოს ზემოქმედებისა და მეწარმეთა დანაზოგების არარსებობას. გავიხსენოთ, რომ ასეთი ვარაუდი საშუალებას იძლევა წეშ და შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ თანატოლად ჩავთვალოთ. გარდა ამისა, სპეციალურ შენიშვნაში, ჩვენ ვიგულისხმებთ ფასების დონის უცვლელობას. სხვა სიტყვებით, იგულისხმება, რომ ეკონომიკა ფუნქციონირებს ერთობლივი მიწოდების მრუდის კეინსური (პორიზონტალური) მონაკვეთის ფარგლებში. ამიტომ ჩვენი ანალიზი დაეყრდნობა წარმოების რეალურ და არა ნომინალურ მოცულობას.

ამ თავის უკანასკნელ განყოფილებაში ერთობლივი დანახარჯების ხელახლა დამუშავებული მოდელი შესაბამისობაში მოიყვანება ერთობლივი მიწოდებისა და მოთხოვნის მე-11 თავში მოცემულ მოდელთან.

წინასწარი შენიშვნები: მოცემულ და შემდგომ თავებში ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკის მოდელს, რომელიც შემუშავებულია იმისათვის, რათა წარმოდგენა მოგეცეს წარმოებისა და დასაქმების დონეთა განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებზე. მაგალი-

თებში გამოყენებული რიცხობრივი სიდიდეები პირობითია; ისინი არ შეესაბამებიან სინამდვილეს.

## დანახარჯებისა და წარმოების მოცულობის შედარების პრინციპი

წარმოების წონასწორობითი დონის განსაზღვრისა და ახსნისათვის გამოიყენება ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, წარმოების მოცულობისა და ერთობლივი დანახარჯების შედარების მეთოდი (ანუ  $C + I_n = \text{წმკ}$ ) და “ამოღებისა და ინექციების” მეთოდი (ანუ „როგორც შევთანხმდით,  $S = I_n$ “). თავდაპირველად განვიხილოთ ერთობლივი დანახარჯებისა და წარმოების მოცულობის შედარების (ანუ შემოკლებით, დანახარჯები-წარმოების მოცულობის) მეთოდი, როგორც მარტივი არითმეტიკული მონაცემების, ისე გრაფიკული ანალიზის გამოყენებით.

## ანალიზი ცხრილების დახმარებით

13-1 ცხრილში, მონაცემები “შემოსავალი-მოხმარება” და შემოსავალი-დანაზოგები“ გადმოტანილია 12-1 ცხრილიდან და 12-3 ცხრილის პირველი და მე-2 სვეტის გამარტივებული მონაცემები “შემოსავალი-ინვესტიციები“.

**წარმოების მოცულობა.** 13-1 ცხრილის მე-2 სვეტში მოცემულია მთელი ეკონომიკის წარმოების საერთო მოცულობის რიცხვითი მნიშვნელობები. ისინი გვიჩვენებენ წარმოების საერთო მოცულობის სხვადასხვა პოტენციურ შესაძლებლობებს, ე.ი. წეპ-ის სხვადასხვა პოტენციურად შესაძლო რეალურ მოცულობებს, რომელთა წარმოებაც შესაძლებელია ეკონომიკაში. მწარმოებლები შზად არიან მოგვაწოდონ წარმოების მოცულობის ამ 10 დონიდან ნებისმიერი, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან ადექვატური სიდიდის შემოსავლის მიღების მოსალოდნელობის პირობებში. ანუ მეწარმეთა სექტორი აწარმოებს 370 მლრდ დოლ. პროდუქციას ამავე თანხის დანახარჯების პირობებში

(ხელფასზე, რენტაზე, სარგებელსა და მოგებაზე). მხოლოდ მაშინ, როდესაც მეწარმეები მოელიან ამ მოცულობის საქონლის რეალიზაციას და 370 მლრდ დოლ. ამოღებას, მეწარმეები მიაწვდიან 390 მლრდ დოლ. პროდუქციას თუ ისინი იგრძნობენ, რომ იგი შეიძლება გაიყიდოს 390 მლრდ დოლარად და ასე შემდგომ, წარმოების პოტენციურად შესაძლო დონეთა ყველა სხვა მნიშვნელობისათვის.

**პრობლემა და ნახარჯი.** საერთო ანუ ერთობლივი დანახარჯის რიცხვითი მნიშვნელობები მოცემულია 13-1 ცხრილის მე-ნ სვეტში. ისინი გვიჩვენებენ საერთო თანხას, რომელიც დაიხარჯება წარმოებისა და შემოსავლის ყოველ პოტენციურად შესაძლო დონეზე. ეკონომიკის დახურულ, კერძო სექტორში ერთობლივი დანახარჯების მნიშვნელობები გვიჩვენებს მოხმარების სიდიდეს და წმინდა ინვესტიციებისათვის ( $C + I_n$ ) შემოთავაზებული დანახარჯების ჯამს, რომელსაც ადგილი ექნება წარმოებისა და შემოსავლის ნებისმიერ დონეზე. ჩვენ ვიყენებთ წმინდა და არა მთლიან ინვესტიციებს, რადგანაც წარმოების საერთო მოცულობის გასაანგარიშებლად ვიყენებთ წეპ-ს და არა ეეპ-ს. გავიხსენოთ, რომ წეპ ეს არის ეეპ-ს გამოკლებული საამორტიზაციო ანარიცხები (ამორტიზაცია). აღსანიშნავია, ისიც, რომ ჩვენ აქ ვეხებით გეგმურ ანუ წინასწარგანზრახულ ინვესტიციებს, რომელიც წარმოდგენილია 13-1 ცხრილის მე-ნ სვეტში. ჩვენს ანალიზში გამოვლინდება, რომ წონასწორობის დარღვევა ერთობლივ დანახარჯებსა და წარმოების ფაქტობრივ მოცულობას შორის წარმოშობს დაუგეგმავ ინვესტიციებს საქონლურ-მატერიალური მარაგების შეცვლის სახით (სვეტი 7).

**წეპ-ის წონასწორობა.** ახლა იბადება კითხვა: 13-1 ცხრილში მითითებული იმ წეპ-ის 10 მნიშვნელობიდან, რომელია წონასწორობითი; ე.ი. წარმოების საერთო მოცულობის რომელი დონის სტაბილური უზრუნველყოფის უნარი გააჩნია ეკონომიკას? პასუხი: წარმოების წონასწორობითი დონე-წარმოების ისეთი მოცულობაა, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის მოცემული მოცულობის შესაძენად საჭირო საერთო ხარჯებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წეპ წონასწორობითი დონის პირობებში წარმოებული საქონლის საერთო რაოდენობა (წეპ) ზუსტად შესყიდული საქონლის საერთო რაოდენობის ტოლია ( $C + I_n$ ). მე-2 სვეტში წარმოების მოცულობის გრაფიკისა და მე-ნ სვეტში ერთობლივი დანახარჯების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ასეთი წონასწორობა არსებობს მხოლოდ 470 მლრდ დოლ. წეპ-ის დონეზე (სტროფი 6). ეს წარმოების ერთადერთი დონეა, რომლის დროსაც ეკონომიკაში ზუსტად იმდენი დაიხარჯება, რამდენიც აუცილებელია ბაზარზე მთელი პროდუქტის გა-

**ცხრილი 13-1. დასაქმების, წარმოების მოცულობის და შემოსავლის წონასწორობითი დონეების განსაზღვრა (დახურული კერძო სექტორი. შიპოთეზური მონაცემები)**


(1) დასაქმების შესაძლო დონეები (მლნ ადამიანი)	(2) წარმოების (და შემოსავლის) ფაქტობრივი მოცულობა $\Sigma_{j=1}^n DI^*$	(3) მოხმარება C (მლრდ დოლ)	(4) დანაზოგები S (მლრდ დოლ)	(5) ინვესტიციები $I_{II}$ (მლრდ დოლ)	(6) ერთობლივი დანახარჯები $C + I_{II}$ (მლრდ დოლ)	(7) გაუთვალისწინებელი ინვესტიციები საკონსურმარაგებში (+) ან მისგან ინვესტიციების ამოღება (-)	(8) დასაქმების, წარმოების და შემოსავლის ტენდეციები
1. 40	370	375	- 5	20	395	- 25	ზრდა
2. 45	390	390	0	20	410	- 20	ზრდა
3. 50	410	405	5	20	425	- 15	ზრდა
4. 55	430	420	10	20	440	- 10	ზრდა
5. 60	450	435	15	20	455	- 5	ზრდა
6. 65	470	450	20	20	470	- 0	წონასწორობა
7. 70	490	465	25	20	485	+ 5	დაკემა
8. 75	510	485	30	20	500	+ 10	დაკემა
9. 80	530	495	35	20	515	+ 15	დაკემა
10. 85	550	510	40	20	530	+ 20	დაკემა

\*. თუ მოვახდენთ სახელმწიფოს ჩარევისაგან აბსტრაქტიზებას და დაუშვებთ, რომ ყველა დანაზოგი განხორციელდება მხოლოდ საოჯახო მეურნეობის მიერ, მაშინ წმკ როგორც წარმოების მოცულობის მატრეცული, ეროვნული შემოსავლის, პირადი შემოსავლის და გადასახდების გადახდის შემდეგ შემოსავლის ტოლია ეს ნიშნავს, რომ საოჯახო მეურნეობები ებუღებენ შემოსავლს, რომელიც გადასახდების გადახდის შემდეგ მთლიან წარმოებული პროდუქციის ღირებულების ტოლია.

მოსყიდვისათვის. ასეთ შემთხვევაში პროდუქციის წლიური ნამეტი და დანახარჯები წონასწორობაში იმყოფებიან. არ არსებობს არც ჭარბწარმოება, რომლის დროსაც გროვდება გაუყიდავი საქონელი და ეცემა წარმოების ზრდის ტემპები, არც საერთო ხარჯების ნამეტი, რაც მარაგების რაოდენობის შემცირებას და წარმოების ზრდის ტემპების გადიდებას იწვევს. მოკლედ რომ ვთქვათ, მეწარმეებისათვის უაზროა წარმოების ასეთი მდგომარეობის შეცვლა; 470 მლრდ დოლ-წეპ-ის წონასწორობითი დონეა.

**წონასწორობის დარღვევა.** წეპ-ის წონასწორობითი დონის უფრო ღრმად გაგებისათვის განვიხილოთ წეპ-ის სხვა შესაძლო დონეები, მათი არასტაბილურობის მიზეზის გასარკვევად. მაგალითად, 410 მლრდ.დოლ.დონეზე (სტროფი 3) მეწარმეები თვლიან, რომ ასეთი მოცულობის პროდუქციის წარმოებისას მიღებული შემოსავალი ხარჯებს 405 მლრდ დოლარამდე გაზრდის. დაგეგმილ 20 მლრდ დოლ ინვესტიციებთან ერთად საერთო ხარჯი ( $C + I_n$ ) იქნება 425 მლრდ დოლ., როგორც ეს მე-6 სვეტშია ნაჩვენები. ეკონომიკაში ყალიბდება ხარჯების უფრო მაღალი წლიური მოცულობა, ვიდრე საჭირო 410 მლრდ დოლ. პროდუქციის შესაძენად. რადგანაც მწარმოებლები საქონელს იმაზე უფრო ნელი ტემპებით აწარმოებენ, ვიდრე მყიდველები აცარიელებენ საქონლის თაროებს, შესაძლოა წარმოიშვას საქონლურ-მატერიალური მარაგების 155 მლრდ დოლ. გაუთვალისწინებელი შემცირების შესაძლებლობა, თუ კი ასეთი მდგომარეობა შემდგომშიც გაგრძელდება. მაგრამ მეწარმეები იწყებენ ერთობლივ დანახარჯებსა და წარმოების მოცულობას შორის ამ უწონასწორობასთან შეგუებას წარმოების გადიდების გზით. ხოლო წარმოების უფრო მაღალი ტემპი ნიშნავს სამუშაო ადგილების რაოდენობას და საერთო შემოსავლის უფრო მაღალ დონეს. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ ერთობლივი ხარჯები წარმოების სიდიდეს აჭარბებენ, მაშინ უკანასკნელი გაიზრდება. თუ ამის შესაძლებლობა არ არის, მაშინ წეპ-ს (სვეტი 2) და  $C + I_n$ -ს (სვეტი 6) ყველა სხვა დონეზე წეპ-ი წონასწორობითზე დაბალი იქნება, რომელიც 470 მლრდ დოლ.ტოლია. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ეკონომიკაში ხარჯები ჭარბობდეს იმ დონეს, რომელზეც ფირმები ვარაუდობენ პროდუქციის წარმოებას. წეპ-ის ყველა ამ დონეებზე საერთო ხარჯების სიჭარბე გამოიწვევს წეპ მისწრაფებას 470 მლრდ დოლ.დონემდე.

საპირისპირო მოხდება წეპ-ის წონასწორობითზე მაღალ ყველა დონეზე, რომელიც 470 მლრდ დოლ. ტოლია. ამ შემთხვევაში მეწარმეები დაინახავენ, რომ პროდუქციის მოცემული საერთო მოცულობის წარმო-



ნახ. 13-1. წონასწორობითი წეპ-ის განსაზღვრა „ერთობლივი ხარჯები-წარმოების მოცულობა“ მეთოდის დახმარებით.

ერთობლივი ხარჯების მრუდს,  $C + I_n$ -ს, აგებენ დამრეცად აღმართულ მოხმარების მრუდზე ინტენსივობის ფიქსირებული სიდიდის დამატების გზით. წეპ-ის წონასწორობითი დონე განისაზღვრება წერტილში, სადაც ერთობლივი ხარჯების მრუდი კვეთს ბისექტრისას, მოცემულ შემთხვევაში კი - 470 მლრდ დოლ. დონეზე.

ება ვერ უზრუნველყოფს ბაზრის გაწმენდისათვის აუცილებელ დანახარჯთა დონეებს. რადგანაც ასეთი მოცულობის პროდუქციის წარმოების დანახარჯების დაფარვის შესაძლებლობა არ გააჩნიათ, მეწარმეები შეევეცავენ წარმოებას. მოვახდინოთ ამის ილუსტრირება: 510 მლრდ დოლ. პროდუქციის წარმოების პირობებში (სვეტი 8) იმედგაცრუებული მმართველობა, დაინახავს რომ ხარჯები აშკარად არასაკმარისია მოცემული რაოდენობის პროდუქციის რეალიზების უზრუნველსაყოფად. მოცემული რაოდენობის პროდუქციის წარმოებიდან მიღებული 510 მლრდ დოლ.

შემოსავლიდან 480 მლრდ დოლ. კვლავ უბრუნდება მეწარმეებს სამომხმარებლო ხარჯების სახით. მიუხედავად 20 მლრდ დოლ. დაგეგმილი საინვესტიციო ხარჯებისა, საერთო ხარჯები (500 მლრდ დოლარი) 10 მლრდ დოლარით ნაკლები იქნება, ვიდრე წარმოებული პროდუქტის მოცულობა (510 მლრდ.დოლრ.). თუ ასეთი უწონასწორობა შენარჩუნდება საქონლურ-მატერიალური მარაგები გაიზრდება 10 მლრდ დოლარით (სვეტი 7). მაგრამ მეწარმეები გაუყიდავი პროდუქტის ასეთ გაუთვალისწინებელ დაგროვებაზე წარმოების მოცულობის შემცირებით უპასუხებენ. წეპ-ის ასეთი შემცირება ნიშნავს საშუალო ადგილების შეკვეცას და შემოსავლის საერთო ოდენობის შემცირებას. მკითხველმა თვითონ უნდა შეამოწმოს, რომ საერთო ხარჯების ნაკლებობა არსებობს 470 მლრდ დოლარზე მეტ წეპ-ის ყველა სხვა დონეებზე.

წეპ წონასწორობითია მაშინ, როცა წარმოების საერთო დონე და ერთობლივი ხარჯები ( $C + I_n$ ) ტოლია. საერთო ხარჯების ნებისმიერი გადამეტება წარმოების საერთო მოცულობაზე იწვევს უკანასკნელის ზრდას. საერთო ხარჯების ნებისმიერი უკმარისობა ამცირებს წეპ-ს.

ერთობლივი ხარჯების მრუდს, აგებენ დამრეცად აღმართულ მოხმარების მრუდზე ინვესტიციების ფიქსირებული სიდიდის დამატების გზით. წეპ წონასწორობითი დონე განისაზღვრება წერტილში, სადაც ერთობლივი ხარჯების მრუდი კვეთს ბისექტრისას, მოცემულ შემთხვევაში კი-470 მლრდ დოლ. დონეზე.

## ბრაფიკული ანალიზი

იგივე ანალიზი შეიძლება ადვილად ჩატარდეს მარტივი გრაფიკის დახმარებით. 13-1 ნახაზზე (რომელიც მე-12 თავში გამოიყენებოდა გადასახადების გადახდის შემდეგ, შემოსავლების მოხმარებასა და დანაზოგს შორის განაწილების გრაფიკული გამოხატვისათვის) განსაკუთრებულ როლს ასრულებს ბისექტრისა. გავიხსენოთ: მოცემული ხაზის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ მის ყველა წერტილში პორიზონტალურ ღერძზე განლაგებული სიდიდე (მოცემულ შემთხვევაში -წეპ) ვერტიკალურ ღერძზე განლაგებული სიდიდის ტოლია (აქ-ერთობლივი ხარჯები, ანუ  $C + I_n$ ). ცხრილის შესწავლისას აღმოჩნდება, რომ წარმოების მოცულობის წონასწორობითი დონე იქ იმყოფება, სადაც  $C + I_n$  წეპ-ის ტოლია, შეიძლება ითქვას, რომ 13-1 ნახაზზე ბისექტრისა გრაფიკულად მარტივად ასახავს წონასწორობის ამ მდგომარეობას.

შემდგომ, 13-1 ცხრილი უნდა შევავსოთ ერთობლივი ხარჯების გრაფიკით. ამისათვის ავიღოთ 12-4 ა. ნახაზზე გამოსახული მოხმარების გრაფიკი და მას ვერტიკალურზე დაეუმატოთ მუდმივი სიდიდე 20 მლრდ დოლ. (12-7 ნახაზიდან), რომელსაც, როგორც ჩვენ ვუშვებდით, მეწარმეები გეგმავენ ინვესტირებისათვის წეპ-ის ნებისმიერ შესაძლო დონეზე. ზუსტად რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია გრაფიკულად წარმოვიდგინოთ  $C + I_n$ -ის სიდიდე 13-1 ცხრილის მე-6 სვეტიდან. შევნიშნავთ, რომ ერთობლივი ხარჯების ეს ხაზი გვიჩვენებს საერთო ხარჯების ზრდას წარმოებისა და შემოსავლის მოცულობის ზრდასთან ერთად. მაგრამ ხარჯები ისეთივე ზომით არ იზრდება, როგორც შემოსავალი. ეს იმის გამო ხდება, რომ მოხმარებისაკენ ზღვრული მიდრეკილება წარმოადგენს წილადურ სიდიდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროდუქციის და შემოსავლის ნებისმიერი ნამატის ნაწილი დაიზოგება. ჩვენს შემოხვევაში ერთობლივი ხარჯები იზრდება 15 მლრდ დოლარით, პროდუქციისა და შემოსავლის მოცულობის ყოველ 20 მლრდ დოლ. ნამატზე, რადგან ყოველი 20 მლრდ დოლ. შემოსავლის ნამატზე 5 მლრდ დოლ. იზოგება.

კითხვა: როგორია წეპ-ის წონასწორობითი დონე? პასუხი: წონასწორობა მიიღწევა წეპ-ის ისეთი სიდიდის დროს, რომელიც ერთობლივი ხარჯების გრაფიკის ბისექტრისასთან გადაკვეთას შეესაბამება. მოცემული ხაზის თავისებურებათა გათვალისწინებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს გადაკვეთა ერთადერთი წერტილია, რომელშიც ერთობლივი ხარჯები (ვერტიკალურ ღერძზე) წეპ-ის ტოლია (ჰორიზონტალურ ღერძზე), და ეს ტოლობა წონასწორობის მდგომარეობაა. რამდენადაც ერთობლივი ხარჯების ჩვენი გრაფიკი 13-1 ცხრილის მონაცემებს ემყარება, ჩვენ კვლავ ვხედავთ, რომ წარმოების წონასწორობა 470 მლრდ დოლ. დონეზე მიიღწევა. 13-1 ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ წეპ-ს წონასწორობითზე მაღალი არცერთი დონე სტაბილური არაა, ვინაიდან  $C + I_n$  წეპ-ზე ნაკლებია; ამასთან, გრაფიკზე ერთობლივი ხარჯების მრუდი ბისექტრისის ქვევითაა. მაგალითად, 510 მლრდ დოლ. დონეზე  $C + I_n$  მხოლოდ 500 მლრდ დოლ. შეადგენს. გაუყიდავი საქონლის მარაგი არასასურველ დონემდე იზრდება. ასეთი წარუმატებელი მდგომარეობა მეწარმეებს თავისი საქმიანობის კორექტირებისაკენ უბიძგებს 470 მლრდ დოლ. დონემდე წარმოების მოცულობის შემცირების მიმართულებით.

და პირიქით, წეპ-ის 470 მლრდ დოლ. ქვევით ყველა პოტენციურად შესაძლო დონეებზე ეკონომიკა იმაზე მეტს ხარჯავს (კდილობს, ვიდრე მეწარმეები აწარმოებენ.  $C + I_n$  აჭარბებს წარმოების შესაბამის მოცუ-



ლობას. ერთობლივი ხარჯების მრუდი გრაფიკზე ბისექტრისაზე მაღლა მდებარეობს. მაგალითად, 410 მლრდ დოლ. წეკ-ის შემთხვევაში  $C + I_n = 425$  მლრდ დოლ. შეადგენს. მარაგები მცირდება, რადგანაც ხარჯვის ტემპები წარმოების ტემპებზე მეტია, რითაც მეწარმეებს წარმოების მოცულობის 470 მლრდ დოლ.დონემდე გაზრდის სტიმული ეძლევათ. თუ საოჯახო მეურნეობებში არ წარმოებს გეგმების რაიმე ცვლილებები მოხმარებისა და დაზოგვის ან მეწარმეთა ინვესტიური გეგმების თვალსაზრისით, 470 მლრდ დოლ. წეკ-ის დონე განუსაზღვრელად დიდხანს იქნება შენარჩუნებული.

## ამოღებისა და ინექციის მეთოდი

წეკ-ის განსაზღვრის მეთოდი წარმოების ხარჯებისა და წარმოების მოცულობის შედარების გზით, შესაძლებლობას იძლევა მკაფიოდ წარმოვიდგინოთ საერთო ხარჯები, როგორც წარმოების, დასაქმების და შემოსავლის დონეების უშუალოდ განმსაზღვრელი ფაქტორი. თუმცა „ამოღების და ინექციის“ მეთოდი ნაკლებად სწორხაზოვანია, მაგრამ მისი უპირატესობა ისაა, რომ ამასთან ყურადღება გამახვილებულია  $C + I_n$  და წეკ-ის უტოლობაზე წარმოების ყველა დონეების პირობებში, გარდა წონასწორობითისა.

მეთოდის არსი შემდეგშია: ჩვენი დაშვების მიხედვით ვიცით, რომ პროდუქციის ნებისმიერი მოცულობის წარმოება შემოსავლის ადეკვატურ რაოდენობას იძლევა გადასახადების გადახდის შემდეგ. ასევე ცნობილია, რომ შემოსავლის ნაწილი შესაძლოა საოჯახო მეურნეობებმა დაზოგონ, ე.ი. არ მოიხმარონ. დაზოგვა, ამრიგად, წარმოადგენს პოტენციური ხარჯის ამოღებას, გადენას ანუ მოშორებას შემოსავალ-ხარჯების ნაკადიდან. დაზოგვის შედეგად მოხმარება წარმოების საერთო მოცულობაზე ანუ წეკ-ზე ნაკლები ხდება. ამასთან დაკავშირებით თავისთავად მოხმარება არასაკმარისია იმისათვის, რომ ბაზრიდან ამოღებულ იქნას წარმოებული პროდუქციის მთელი მოცულობა, და ეს გარემოება, როგორც ჩანს, წარმოების საერთო მოცულობის შემცირებას გამოიწვევს. მაგრამ მეწარმეობითი სექტორი არ ითვალისწინებს მთელი პროდუქციის მიყიდვას მხოლოდ საბოლოო მომხმარებლებზე. პროდუქციის ნაწილი წარმოების საშუალებების ანუ ინვესტიციური საქონლის ფორმას ღებუ-

ლობს, რომლის რეალიზაცია თვით მეწარმეობით სექტორში მოხდება. ამიტომ ინვესტიციები შეიძლება განვიხილოთ როგორც ხარჯების ინექციები, შემოსავალი-ხარჯების ნაკადში, რაც აესებს მოხმარებას; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინვესტიციები დაზოგვისათვის სახსრების ამოღების პოტენციურ კომპენსაციას, ანუ ანაზღაურებას წარმოადგენს.

თუ დაზოგვისათვის სახსრების ამოღება ჭარბობს ინვესტიციების ინექციას, მაშინ  $C + I_n$  წეპ-ზე ნაკლები იქნება, ხოლო წეპ-ის მოცემული დონე-ძალზე მაღალი, სიმყარის შესანარჩუნებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა დანაზოგი ჭარბობს ინვესტიციებს წეპ-ის ნებისმიერი დონე წონასწორობითზე მაღალი იქნება. და პირიქით, თუ ინვესტიციების ინექციები ჭარბობს დაზოგვისთვის სახსრების ამოღებას, მაშინ  $C + I_n$  მეტი იქნება, ვიდრე წეპ-ი და უკანასკნელი უნდა გაიზარდოს. გავიმეოროთ: როცა ინვესტიციები ჭარბობს დანაზოგს, წეპ-ის ნებისმიერი რაოდენობა წონასწორობითზე ნაკლები იქნება. მაშინ როცა  $N = I_n$ , ე.ი. როცა დაზოგვისათვის სახსრების გადენა მთლიანად კომპენსირდება ინვესტიციების ინექციით, ერთობლივი ხარჯები წარმოების მოცულობის ტოლია. ჩვენ კი ვიცით, რომ ასეთი ტოლობა განსაზღვრავს წეპ-ის წონასწორობას.

მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ მოცემულ თავში განხილულ დახურულ, კერძო ეკონომიკაში არსებობს გადენისა (დანაზოგი) და ინექციების (ინვესტიციები), მხოლოდ ერთი სახეობა, რომელიც ყურადღებას იმსახურებს. მთლიანობაში კი გადენა შემოსავლის ნებისმიერი გამოყენებაა, არა ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის შესაძენად. ამრიგად, უფრო რეალისტურ მოდელეებში, რომლებიც წარმოდგენილი იქნება მოცემული თავის საგარეო ვაჭრობისადმი მიძღვნილ განყოფილებასა და მე-14 თავში, ჩვენ ვნახავთ, რომ დამატებითი ამოღებანი იმპორტზე და გადასახადები უნდა შევიტანოთ ჩვენს ანალიზში. ანალოგიურად: ინექცია-კი ნებისმიერი დაბატებაა ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის სამომხმარებლო ხარჯებზე. ისე რომ, ქვემოთ მოტანილ მოდელეებში ჩვენ დამატებით უნდა გავითვალისწინოთ ინექცია სამთავრობო შესყიდვის ან ექსპორტის სახით. ამჟამად კი ამოღება-ინექციის მეთოდის ასამოქმედებლად, უბრალოდ უნდა შევადაროთ მხოლოდ ერთი გადენა დანაზოგის სახით, ერთადერთ ინექციას-ინვესტიციის სახით წეპ-ზე მათი ზემოქმედების გამოსავლენად.


## ანალიზი ცხრილების დახმარებით

ამისთვის შესაფერისია 13-1 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები დანახოებისა (სვეტი 2 და 4) და ინვესტიციების (სვეტი 2 და 5) შესახებ. ჩვენმა ( $C + I_n = \text{წეპ}$ ) მეთოდმა ეს ესაა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ 470 მლრდ.დოლ.ქვევით წეპ-ის ყველა დონეები არასტაბილურია, რადგანაც  $C + I_n$  შესაბამისი თანხა ჭარბობს წეპ-ის ამ მნიშვნელობებს და მის ზრდას იწვევს. საოჯახო მეურნეობების დანახოებისა და მეწარმეთა ინვესტიციების სიდიდეთა შედარება წეპ-ის ყოველ დონეზე წონასწორობის ქვევით, ავლენს საერთო ხარჯების ნამეტს. კერძოდ, წეპ-ის ყოველ ამ შედარებით დაბალ დონეზე მეწარმეები გეგმავენ მეტის ინვესტირებას, ვიდრე საჯახო მეურნეობებს სურთ დაზოგონ. მაგალითად, წეპ-ის 410 მლრდ დოლ. დონეზე (სტრიქონი 3) საოჯახო მეურნეობები დაზოგავენ მხოლოდ 5 მლრდ დოლ., დახარჯავენ კი 405 მლრდ დოლარს, 410 მლრდ დოლ. შემოსავლიდან. 20 მლრდ დოლ. ინვესტიციასთან ერთად ერთობლივი ხარჯები შეადგენს ( $C + I_n$ ) 425 მლრდ დოლ. ერთობლივი ხარჯები ჭარბობს წეპ-ს 15 მლრდ დოლარით (= 425 მლრდ დოლ. 410 მლრდ დოლ.), იმიტომ რომ თანხა, რომლის ინვესტირებასაც მეწარმეები წეპ-ის ამ დონეზე გეგმავენ, 15 მლრდ დოლარით ჭარბობს საოჯახო მეურნეობების მიერ დაზოგილ თანხას. მაშასადამე, შემოსავლის მოცემულ, შედარებით დაბალ დონეზე სახსრების მეტად უმნიშვნელო ამოღება დანახოებისათვის მრავალგზის იქნება კომპენსირებული ინვესტიციებისათვის ხარჯების შედარებით დიდი ინექციით, რაც წეპ-ზე  $C + I_n$ -ის თანხის გადაჭარბებას და წეპ-ის გადიდებას იწვევს.

ანალოგიურად: წეპ-ის ყველა დონე 470 მლრდ დოლ. ზევით ასევე მერყევია, რადგან წეპ-ი ჭარბობს  $C + I_n$ -ს. ერთობლივი ხარჯების უმარისობა იმაშია, რომ წეპ-ის ყველა დონეზე 470 მლრდ დოლ. ზევით საოჯახო მეურნეობები შეეცდებიან იმაზე მეტი დაზოგონ, ვიდრე მეწარმენი გეგმავენ ინვესტირებას. ე.ი. სახსრების ამოღება დაზოგვისათვის არ ნაზღაურდება ანუ არ კომპენსირდება ინვესტიციების ინექციებით. მაგალითად, საოჯახო მეურნეობები ამჯობინებენ -30 მლრდ დოლ.—ით მეტის დაზოგვას 510 მლრდ დოლ. წეპ-ის პირობებში. (სტროფი 8). მაგრამ მეწარმეები ასეთი სიდიდის წეპ-ის პირობებში დაგეგმავენ მხოლოდ 20 მლრდ დოლ. ინვესტიციებს. დანახოების გადაჭარბება დაგეგმილ ინვესტიციებზე 10 მლრდ დოლ.—ით გამოიწვევს, საერთო ხარჯების

შემცირებას 10 მლრდ დოლარით პროდუქციის საერთო მოცულობის ღირებულებასთან შედარებით, რასაც წეპ-ის შემცირება მოჰყვება.

კვლავ დასტურდება, რომ წეპ-ის წონასწორობა 470 მლრდ დოლ. დონეზე იმყოფება და მხოლოდ ამ წერტილზე ემთხვევა ერთმანეთს საოჯახო მეურნეობების მოთხოვნილება დაზოგვაზე და მეწარმეთა საინვესტიციო გეგმები. და მხოლოდ როცა მეწარმეები და საოჯახო მეურნეობები ცდილობენ თანაბარი რაოდენობით ინვესტირებასა და დაზოგვას, ე.ი. როცა ამოღება და ინექცია ტოლია მაშინ  $C + I_n = წეპ$ . მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება წარმოებისა და ხარჯების სიდიდე წლის მანძილზე წონასწორობაში; მხოლოდ მაშინ არ იქნება გაუთვალისწინებელი ცვლილებები საქონლურ-მატერიალურ მარაგებში. მაგანსა და მაგანს შეუძლია ასეც განსაჯოს: თუ დანაზოგები ნულის ტოლი იქნება, მაშინ სამომხმარებლო ხარჯები მუდამ საკმარისი უნდა იყოს ბაზრის „გასაწმენდად“ წეპ-ის ნებისმიერი სიდიდის დროს. ე.ი. მოხმარება გაუტოლდებოდა წეპ—ს. მაგრამ დანაზოგებს შეიძლება პქონდეს და აქვს კიდევაც ადგილი, და შესაბამისად, მოხმარება ჩამორ-



ნახ. 13-2. წეპ-ის განსაზღვრა „ამოღება-ინექციის“ მეთოდის დახმარებით

მეორე მეთოდი მდგომარეობს წეპ-ის წონასწორობის განსაზღვრაში დაზოგვის მრუდისა (S) და დაგეგმილი ინვესტიციების ( $I_n$ ) გადაკვეთის წერტილში. საოჯახო მეურნეობები მხოლოდ წონასწორობის წერტილში ვარაუდობენ იმდენივეს დაზოგვას, რამდენის ინვესტირებაც განსრულებული აქვთ მეწარმეებს. სწორედ ამ გეგმების შესაბამისობა იწვევს წეპ და  $C + I_n$  -ის წონასწორობას.

ჩება წეპ-ს. მაშასადამე, მეწარმეები მხოლოდ მაშინ ვარაუდობენ ისეთი-ვე ზომის ინვესტირებას, როგორსაც საოჯახო მეურნეობები-დაზოგვას, როდესაც, ის თანხა, რითაც მოხმარება ჩამორჩება წეპ-ს კომპენსირებული იქნება.

## ბრაზიკული ანალიზი

ამოღება-ინექციის დახმარებით წონასწორობითი წეპ-ის განსაზღვრის მეთოდის ილუსტრირება ადვილია გრაფიკულად. 13-2 ნახაზზე ჩვენ უბრალოდ შევავრთეთ 12-4 ნახაზზე მოცემული დანაზოგების გრაფიკი და 12-7 ნახაზზე მოცემული ინვესტიციების გამარტივებული გრაფიკი. ამ გრაფიკებისათვის ციფრობრივი მნიშვნელობები მეორდება 13-1 ცხრილის მე-2, მე-4 და მე-5 სვეტებში. ცხადია, წეპ-ის წონასწორობით დონე 470 მლრდ დოლარია, სადაც იკვეთებიან დანაზოგებისა და ინვესტიციების გრაფიკები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ახდენენ თანაბარი რაოდენობით ინვესტირებას და დაზოგვას მეწარმეები და საოჯახო მეურნეობები; მაშასადამე, მხოლოდ მაშინ იქნება ტოლი წეპ და  $C + I_n$ . წეპ-ის ყველა დანარჩენ უფრო მაღალ დონეზე საოჯახო მეურნეობების დანაზოგი მეტი იქნება მეწარმეთა ინვესტიციებზე. დაზოგვისათვის სახსრების ამოღების გადამეტება ინვესტიციების ინექციებზე გამოიწვევს იმას, რომ  $C + I_n$  ნაკლები იქნება წეპ-ზე, რაც შეამცირებს უკანასკნელს. მაგალითად, 510 მლრდ დოლ. წეპ-ის დროს 30 მლრდ დოლ. დანაზოგი 20 მლრდ დოლ. ინვესტიციებს, გადააჭარბებს 10 მლრდ დოლარით, რის შედეგადაც  $C + I_n$ -ის თანხა 500 მლრდ დოლარია, რაც 10 მლრდ დოლარით ნაკლებია წეპ-ზე. წეპ-ის ყველა დონეზე 470 მლრდ დოლ. წონასწორობითი დონის ქვევით მეწარმეები ინვესტიციებს დაგეგმავენ იმ რაოდენობით, რაც გადააჭარბებს საოჯახო მეურნეობებში დაზოგულ თანხას. ამ ინვესტიციების ინექციები აჭარბებენ დაზოგვისათვის ამოღებულ სახსრებს, ასე რომ  $C + I_n$ -ის ჯამი წეპ-ზე მეტი იქნება, რაც მის გადიდებას გამოიწვევს. ილუსტრირება! 410 მლრდ დოლ. ოდენობის წეპ-ის დროს 5 მლრდ დოლ. ამოღება და-ზოგვისათვის, მრავალჯნის იქნება კომპენსირებული მეწარმეების მიერ 20 მლრდ დოლ. დაგეგმილი ინვესტიციებით. ამის შედეგად  $C + I_n$  აჭარბებს წეპ-ს 15 მლრდ დოლარით, რაც მეწარმეებში წარმოქმნის წეპ-ის მეტი რაოდენობით გაზრდის მისწრაფებას.

## დაბეზმილი და შაქტობრივი ინვესტიციების შეღარება

ჩვენ უკვე ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ, რადგანაც დაზოგვისა და ინვესტირების სუბიექტები არსებითად სხვადასხვა ჯგუფებია და განსხვავებული მოტივები გააჩნიათ, ამიტომ დანაზოგებისა და ინვესტიციების სიდიდეები შეიძლება განსხვავდებოდნენ. ეს კი იწვევს წეპ-ის წონასწორობის შეცვლას. მაგრამ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მეორე მხრივ, დანახარჯები და ინვესტიციები ყოველთვის ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს! დანაზოგებისა და ინვესტიციების ტოლობას შორის ასეთი აშკარა წინააღმდეგობა გადაიჭრება თუ ჩვენ გავმიჯნავთ დაგეგმილ ინვესტიციებს და დანაზოგებს, (რომლებიც ტოლი არ უნდა იყვნენ) და შაქტობრივ ინვესტიციებს და დანაზოგებს (რომლებიც თავისი არსით ტოლი უნდა იყვნენ). მართლაც, შაქტობრივი ინვესტიციები მოიცავენ როგორც დაგეგმილ, ისე დაუგეგმავ ინვესტიციებს (ინვესტიციების გაუთვალისწინებელი ცვლილებები საქონლურ-მატერიალურ მარაგებში); გაუთვალისწინებელი ინვესტიციები ფუნქციონირებენ როგორც გამაწონასწორებელი ელემენტები, რომელთაც მუდამ შესაბამისობაში მოჰყავს დანაზოგებისა და ინვესტიციების შაქტობრივი სიდიდეები დროის ნებისმიერ პერიოდში.

## წონასწორობის არარსებობა და საქონლურ-მატერიალური მარაბები

განვიხილოთ, მაგალითად წეპ, რომელიც აჭარბებს წონასწორობით დონეს და შეადგენს 490 მლრდ დოლ. (ცხრილი 13-1, ხაზი 7). რა მოხდება თუ მეწარმეები ისეთი მოცულობის პროდუქციას გამოუშვებენ, რომლის რეალიზაციის შესაძლებლობასაც ვარაუდობენ? მოცემულ დონეზე საოჯახო მეურნეობები დაზოგავენ 25 მლრდ დოლარს თავიანთი შემოსავლებიდან გადასახადების გადახდის შემდეგ, რომელიც 490 მლრდ დოლ. ტოლია, ასე რომ მოხმარება შეადგენს მხოლოდ 465 მლრდ დოლ. დაგეგმილი ინვესტიციები (სვეტი 5) შეადგენს 20 მლრდ დოლ., ე.ი. მეწარმეები გეგმავენ 20 მლრდ დოლ. საინვესტიციო საქონლის შექმნას. ეს ნიშნავს, რომ ერთობლივი ხარჯები ( $C + I_n$ ) შეადგენს 425 მლრდ დოლ., რეალიზაცია კი-შესაბამისად, წარმოებული პროდუქციის მოცუ-

ლობაზე 5 მლრდ დოლარით ნაკლებს. საქონელთა ეს 5 მლრდ დოლ. ნაჭარბი დარჩებათ მეწარმეებს როგორც საქონლურ-მატერიალური მარაგების გაუთვალისწინებელი ანუ დაუგეგმავი ნამატი (სვეტი 7). ისინი გაუთვალისწინებელია, რადგანაც ამის შედეგად დავინახავთ, რომ საერთო ხარჯებს არ შეუძლიათ ბაზრიდან მთელი წარმოებული საქონლის ამოქაჩვა. როგორც გახსოვთ, ჩვენ დავადგინეთ, რომ საქონლურ-მატერიალური მარაგების ცვლილება ინვესტიციების ნაწილია. აღვნიშნავთ, რომ 25 მლრდ დოლ. ფაქტობრივი ინვესტიციები (დაგეგმილ 20 მლრდ დოლ. პლუს 5 მლრდ დოლ. გაუთვალისწინებელი ანუ დაუგეგმავი) 25 მლრდ დოლ. დანაზოგების ტოლია, მაშინაც კი, თუ დანაზოგები დაგეგმილ ინვესტიციებს 5 მლრდ დოლ. აჭარბებენ. მეწარმეებს არ სურთ რა წლის განმარვლობაში ასეთი რაოდენობის ზედმეტი მარაგების დაგროვება, ამას უპასუხებენ პროდუქციის წარმოების შეკვეცით.

ახლა შევხედოთ წონასწორობით დონეზე ნაკლები 450 მლრდ დოლ. პროდუქციის მოცულობას (სტროფი 5 ცხრილი 13-1). რამდენადაც საოჯახო მეურნეობები ზოგავენ მხოლოდ 15 მლრდ დოლ., 450 მლრდ დოლ. შემოსავლიდან გადასახადების გადახდის შემდეგ, მოხმარება 435 მლრდ დოლ. შეადგენს. მეწარმეთა მიერ დაგეგმილი ინვესტიციები შეადგენს 20 მლრდ დოლ., ე.ი. ერთობლივი ხარჯები 455 მლრდ დოლარია. მაშასადამე, რეალიზაცია აჭარბებს წარმოების მოცულობას 5 მლრდ დოლარით. როგორ შეიძლება მოხდეს ეს? პასუხი: მოხდა საქონლურ-მატერიალური მარაგების დაუგეგმავი შემცირება. უფრო გარკვევით-მეწარმეებმა გაუთვალისწინებლად არ დახარჯეს 5 მლრდ დოლ. ინვესტიციებისათვის საქონლურ-მატერიალურ მარაგებზე (სვეტი 7). ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ, რომ ფაქტობრივი ინვესტიციები შეადგენენ 15 მლრდ დოლ. (დაგეგმილ 20 მლრდ დოლ. მინუს გაუთვალისწინებელი ანუ დაუგეგმავი 5 მლრდ დოლ.) და 15 მლრდ დოლ. დანაზოგების ტოლია, დაგეგმილი ინვესტიციების, დანაზოგებზე 5 მლრდ დოლარით გადაჭარბების პირობებში. საქონლურ-მატერიალურ მარაგებში ინვესტიციების ასეთი დაუგეგმავი შემცირება წარმოების მოცულობაზე რეალიზაციის გადაჭარბების გამო მეწარმეებს უბიძგებს გაზარდონ წეწ წარმოების გაფართოების გზით.

ვაჯამებთ: წეწ-ის ყველა წონასწორობითზე მაღალ დონეზე (როცა დანაზოგი სჭარბობს დაგეგმილ ინვესტიციებს) ფაქტობრივი ინვესტიციები და დანაზოგები ერთმანეთის ტოლია საქონლურ-მატერიალური მარაგების გაუთვალისწინებელი ნამატის გამო, რომლებიც განმარტებიდან გამომდინარე, განიხილება როგორც ფაქტობრივი ინვესტიციების ნაწი-

ლი. გრაფიკზე (ნახ.13-2) მარაგების გაუთვალისწინებელი ნამატი ვერტიკალური მონაკვეთის ტოლია, რომელზეც დანაზოგების მრუდი სჭარბობს ინვესტიციების (დაგეგმილი) მრუდს. წეპ-ის ყველა წონასწორობითზე დაბალ დონეზე (როცა დაგეგმილი ინვესტიციები სჭარბობს დანაზოგებს) ფაქტობრივი ინვესტიციები დანაზოგების ტოლი იქნება გაუთვალისწინებელი საქონლურ-მატერიალური მარაგის შემცირების გამო, რომლის სიდიდე უნდა გამოვსკოთ დაგეგმილ ინვესტიციებს, ფაქტობრივი ინვესტიციების მისაღებად. გრაფიკზე გაუთვალისწინებელი მარაგის შემცირება ვერტიკალზე იმ მონაკვეთის ტოლია, რომლითაც დაგეგმილი ინვესტიციების გრაფიკი მეტია დანაზოგების გრაფიკზე.

## წონასწორობის მიღწევა

ეს გამიჯვნა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ სწორედ დაგეგმილი ინვესტიციებისა და დანაზოგების ტოლობა განსაზღვრავს წეპ-ის წონასწორობით დონეს. ასეთი წონასწორობის ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

1. სხვაობა დანაზოგებსა და დაგეგმილ ინვესტიციებს შორის წარმოშობს განსხვავებას წარმოების გეგმებსა და დანახარჯების გეგმებს შორის მთლიანწად ეკონომიკაში.

2. სხვაობა ერთობლივი წარმოების გეგმასა და დანახარჯების გეგმებს შორის იწვევს გაუთვალისწინებელ ინვესტიციებს ანუ ინვესტიციების შეკვეცას საქონლურ-მატერიალურ მარაგებში.

3. ვიდრე შენარჩუნებული იქნება გაუთვალისწინებელი ინვესტიციების ზრდის ტენდენცია საქონლურ-მატერიალურ მარაგებში, მეწარმეები გადასინჯავენ წარმოების გეგმებს შემცირების მიმართულებით, რის გამოც შემცირდება წეპ. და პირიქით, ვიდრე იარსებებს ინვესტიციების გაუთვალისწინებელი შემცირება საქონლურ-მატერიალურ მარაგებში, ფირმები გადასინჯავენ წარმოების გეგმებს მისი გაფართოების მიმართულებით, რაც წეპ-ის გადიდებას გამოიწვევს. წეპ-ის ცვლილების ორივე სახე მიმართულია წონასწორობის დადგენისაკენ იმ გაგებით, რომ ისინი აძყარებენ ტოლობას დაგეგმილ ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის.

4. მხოლოდ მაშინ, როცა დაგეგმილი ინვესტიციები და დანაზოგები ტოლია, წეპ-ის დონე სტაბილური, ანუ წონასწორობითი იქნება. ე.ი. მხოლოდ იქ, სადაც დაგეგმილი ინვესტიციები დანაზოგების ტოლია, გაუთვალისწინებელ ინვესტიციებს საქონლურ-მატერიალურ მარაგებში



ან მათ შემცირებას (რაც გამოიწვევდა წეპ-ის ზრდას ან მატებას) ადგილი არ ექნება. მიაქციეთ ყურადღება (სვეტი 7, ცხრილი 13-1), რომ მხოლოდ 470 მლრდ დოლ. წონასწორობით დონეზე არ აქვს ადგილი გაუთვალისწინებელ ინვესტიციებს საკონსტრუქციო-მატერიალურ მარაგებში ან მათ შემცირებას.

## წონასწორობითი წეპ-ის ცვლილებები და მულტიპლიკატორი

ამრიგად, აქამდე ჩვენ წარმოებისა და შემოსავლის საერთო მოცულობის დონეთა ახსნაზე ვმსჯელობდით. მაგრამ მე-10 თავში ჩვენ ვნახეთ, რომ ფაქტობრივად წეპ-ი ამერიკის ეკონომიკაში იშვიათადაა სტაბილური; უფრო მეტიც, მისთვის დამახასიათებელია ხანგრძლივი ზრდისა და ციკლური მერყეობის პერიოდები. ახლა შევეცადოთ ვუპასუხოთ კითხვას: რატომ და როგორ მერყეობს რეალური წეპ-ის წონასწორობითი დონე.


წეპ-ის წონასწორობითი დონე შეიცვლება ინვესტიციების გრაფიკის ან დანახოებისა და მოხმარების გრაფიკების ცვლილებების შესაბამისად. რადგანაც ინვესტიციებზე დანახარჯები ჩვეულებრივ ნაკლებ სტაბილურია, ვიდრე მოხმარებისა და დანახოების გრაფიკები, ჩვენ ვუშვებთ, რომ ცვლილებები მიმდინარეობს ინვესტიციების გრაფიკშიც. ინვესტიციებში ცვლილებების გავლენა ადვილი გასაგებია 13-3 ა და 13-3 ბ ნახაზების დახმარებით. დავეუშვათ, რომ ინვესტიციებიდან მოსალოდნელი წმინდა მოგება იზრდება (12-6 ნახაზზე ნაჩვენები ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის გადაადგილებით) ან ეცემა სარგებლის განაკვეთი (მრუდის ქვევით გადაწევით). ამის შედეგად დანახარჯები ინვესტიციაზე იზრდება, დავეუშვათ 5 მლრდ დოლ. ეს ასახულია 13-3 ა ნახ-ზე ერთობლივი ხარჯების გრაფიკის  $(C + I_n)_0$ -დან  $(C + I_n)_1$ -მდე ზევით გადაწევით, ხოლო 13-3 ბ-ზე ინვესტიციების გრაფიკის  $I_{n0}$ -დან  $I_{n1}$ -მდე ზევით გადაადგილებით. წეპ-ის წონასწორობითი დონე ამ ორივე გრაფიკზე შესაბამისად გაიზრდება 470 მლრდ დოლარიდან 490 მლრდ დოლარამდე.

და პირიქით, თუ შემცირდება ინვესტიციებიდან მოსალოდნელი წმინდა მოგების ნორმა ან გაიზრდება სარგებლის განაკვეთი, მაშინ შემცირდება ინვესტიციებზე დანახარჯები, დავეუშვათ 5 მლრდ დოლარით. ეს

ნაწევნება 13-3 ბ ნახაზზე, ინვესტიციების გრაფიკის  $I_{110}$ -დან  $I_{112}$  - მდე გადაწევით და 13-3 ა ნახაზზე ერთობლივი ხარჯების გრაფიკის  $(C + I_n)_0$  -დან  $(C + I_n)_2$  - მდე გადაადგილებით. ყველა შემთხვევაში მოცემული გადაადგილებები წეპ-ის წონასწორობით დონის დაცვამდე მიგიყვანს 470 მლრდ დოლარიდან 450 მლრდ დოლარამდე. მკითხველმა თვითონ უნდა შეამოწმოს ეს დასკვნები 13-1 ცხრილის გამოყენებით, ცხრილის მე-5 სვეტში თავდაპირველად 25 მლრდ დოლარი, ხოლო შემდგომ 15 მლრდ დოლარის, დაგეგმილი 20 მლრდ დოლ. ინვესტიციებით შეცვლით.

სხვათაშორის, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიციების აღნიშნული 5 მლრდ დოლარით შეცვლა შეიძლება ეკონომიკური პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო. თუ დავუბრუნდებით 12-2 ცხრილს, ჩვენ ვნახავთ, რომ 20 მლრდ დოლ. ინვესტიციების ამოსავალი დონე განისაზღვრება 8%-ის ტოლი სარგებლის განაკვეთით. თუ ეკონომიკა დაქვეითების სტადიაზეა, მაშინ ეკონომიკური აქტიურობის სტიმულირებისათვის ფინანსურ-საკრედიტო უწყებათა ხელმძღვანელობას შეუძლია სპეციალურად შეამციროს სარგებლის განაკვეთი 6%-მდე (გაზრდის რა ფულის მიწოდებას), რაც გამოიწვევს ინვესტიციების დანახარჯების გადიდებას. და პირიქით, თუ ინვესტიციების თავდაპირველ, 20 მლრდ დონეზე ეკონომიკა მოთხოვნის ინფლაციის პრობლემას აწყდება, მაშინ ფინანსურ-საკრედიტო უწყებებს შეუძლიათ სარგებლის განაკვეთის 10%-მდე გადიდება (ფულის მიწოდების შემცირებით) და ამით ინვესტიციებისა და ერთობლივი დანახარჯის შემცირება ინფლაციის შეკავებისათვის. საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა — ფულის მიწოდების შეცვლა საგებლის განაკვეთისა და ერთობლივი დანახარჯების შეცვლის მიზნით მე-17 თავის განხილვის საგანია.

როდესაც მოხმარება-დანაზოგების გრაფიკებში ცვლილებები მიმდინარეობს, ისინი მსგავს ზეგავლენას ახდენენ. თუ საოჯახო მეურნეობებს სურთ მეტის მოხმარება (ნაკლების დაზოგვა) წეპ-ის ყოველ დონეზე, მაშინ ერთობლივი დანახარჯების გრაფიკი (შესაბამისად 13-3 ა და 13 3 ბ ნახ-ზე), ზევით გადაინაცვლებს, დანაზოგების გრაფიკი კი — ქვევით. ყოველ ამ შემთხვევაში გადაადგილებები წეპ-ის წონასწორობითი დონის ზრდის მანიშნებელი იქნება. თუ საოჯახო მეურნეობები (მეტის დაზოგვას) წეპ-ის ყოველ პოტენციურად შესაძლო დონეზე ნაკლების მოხმარებას მოინდომებენ, მაშინ, აქედან გამომდინარე მოხმარების გრაფიკის გადაადგილება ქვევით და დანაზოგების გრაფიკის გადაადგილება



ნახ.13-3., წონასწორობითი წეპ-ის ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია გადაადგილებით: ა. ერთობლივი დანახარჯების გრაფიკში და ბ. ინვესტიციების გრაფიკში

ერთობლივი დანახარჯების მრუდის მაღლა გადაწევა, დაეშვათ  $(C + In)_0$ -დან  $(C + In)_1$ -მდე გამოიწვევს წეპ-ის წონასწორობითი დონის გადიდებას. და პირიქით, ერთობლივი დანახარჯების მრუდის გადაწევა ქვევით, დაეშვათ  $(C + In)_0$ -დან  $(C + In)_2$ -მდე გამოიწვევს წეპ-ის წონასწორობითი დონის შემცირებას. დანაზოგებისა და ინვესტიციების ურთიერთკავშირი გრაფიკზე, ინვესტიციების მრუდის ზევით გადაადგილება  $In_0$ -დან  $In_1$ -მდე გამოიწვევს ზრდას, ქვევით გადაადგილება კი  $In_0$ -დან  $In_2$ -მდე - წეპ-ის წონასწორობითი დონის დაცემას

ზევით, თავის მხრივ გამოიწვევს წეპ-ის წონასწორობითი დონის დაქვეითებას.

## მულტიპლიკატორის ეფექტი

ცხადია, ამ მაგალითებში თქვენ შენიშნეთ საინტერესო თავისებურებები, საინვესტიციო ხარჯების 5 მლრდ დოლ. შეცვლამ გამოიწვია წარმოების მოცულობისა და შემოსავლის დონეთა ზრდა 20 მლრდ დოლარით. ამ განსაკვიფრებელ შედეგს მულტიპლიკატორის ეფექტი, ან უბრალოდ მულტიპლიკატორი ეწოდება. უფრო გარკვევით, მულტიპლიკატორი-ესაა თანაფარდობა წონასწორობითი წეპ-დან გადახრასა და დანახარჯებში ამოსავალ ცვლილებებს (ინვესტიციებისათვის) შორის, რომელმაც რეალური წეპ-ის ეს ცვლილება გამოიწვია, ე.ი.

$$\text{მულტიპლიკატორი} = \frac{\text{ცვლილებები რეალურ წეპ-ში}}{\text{თავდაპირველი ცვლილებები დანახარჯებში}}$$

მოცემულ შემთხვევაში მულტიპლიკატორი უდრის 4-ს (წეპ-ის ცვლილება 20-ით, გაყოფილი ინვესტიციებში ცვლილებებზე 5-ზე). ანუ ტოლობის გარდაქმნით შეიძლება ითქვას, რომ:

$$\frac{\text{ცვლილებები წეპ-ში}}{\text{წეპ-ში}} = \text{მულტიპლიკატორი} \times \text{თავდაპირველ ცვლილებებზე დანახარჯებში}$$

დასაწყისშივე უნდა გაკეთდეს სამი შენიშვნა:

1. „თავდაპირველი ცვლილებები დანახარჯებში“ ჩვეულებრივ ეწოდება გადაადგილებას ინვესტიციურ დანახარჯებში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ინვესტიციები ერთობლივი დანახარჯების ყველაზე უფრო ცვალებადი კომპონენტია (ნახ.12-8). მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ცვლილებები მოხმარებაში, სახელმწიფო შესყიდვებში ან ექსპორტში ასევე განიცდიან მულტიპლიკატორის ეფექტის გავლენას.

2. „თავდაპირველი ცვლილებები დანახარჯებში“ ნიშნავს ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის გადაადგილებას ზევით ან ქვევით, რაც დაკავშირებულია გრაფიკის ერთ-ერთი კომპონენტის გადაადგილებასთან ზევით ან ქვევით. 13-3 ბ ნახ-ზე ვხედავთ, რომ რეალური წეპ გაიზარდა 20 მლრდ დოლარით, რადგანაც ინვესტიციების გრაფიკი გადაადგილდა ზევით 5 მლრდ დოლარით,  $I_{10}$ -დან  $I_{11}$ -მდე. ანალოგიურად: მოხმარე

ბის გრაფიკის გადაადგილება ზევით ან ქვევით იმის გამო, რომ შემოსავალთან დაუკავშირებელი მოხმარების ერთ-ერთი ფაქტორის-სიმდიდრის, ფასების დონის, მოსალოდნელობის, სამომხმარებლო დავალიანების და ა.შ.-ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს რეალური წეპ-ის მრავალჯერადი ცვლილება.

3. მეორე შენიშვნიდან გამომდინარეობს, რომ მულტიპლიკატორი ორპირა ხმალია, რომელიც ორივე მიმართულებით მოქმედებს. ე.ი. ხარჯების უმნიშვნელო ზრდას შეუძლია წეპ-ის მრავალჯერადი ნამატის მოცემა; მეორე მხრივ ხარჯების მცირე რაოდენობით შეკვეცამ შეიძლება მულტიპლიკატორის მეშვეობით გამოიწვიოს წეპ-ის მნიშვნელოვანი შემცირება. ყურადღებით შეხედეთ გადაადგილების ეფექტს 13-3 ა და 13-3 ბ ნახაზებზე ( $C + I_n$ )<sub>0</sub> - დან ( $C + I_n$ )<sub>1</sub> -ში ან ( $C + I_n$ )<sub>2</sub> -ში და ასევე  $I_{n0}$ -დან  $I_{n1}$ -ში ან  $I_{n2}$ -ში.

**ლოგიკური დასაბუთება.** მულტიპლიკატორი ემყარება ორ ფაქტს: პირველი, ეკონომიკისათვის დამახასიათებელია შამოსავლებისა და დანახარჯების განმეორებადი, უწყვეტი ნაკადები, სადაც სმიტის მიერ დახარჯულ დოლარებს შემოსავლის სახით ჯონსი ღებულობს. მეორე, შემოსავლის ნებისმიერი ცვლილება გამოიწვევს ცვლილებებს მოხმარებასა და დანახარჯებში, იმავე მიმართულებით, როგორცაც შემოსავალში ცვლილებები, ამასთან მოხმარებისა და დანახარჯების პროპორციულობა შენარჩუნებულია შემოსავლის ნებისმიერი ცვლილების დროს. ამ ორი ფაქტიდან უნდა დავასკვნათ, რომ დანახარჯების სიდიდის ამოსავალი ცვლილება წარმოშობს ჯაჭვურ რეაქციას, რომელიც თუმცა ყოველი მომდევნო ციკლით ქრება, მაგრამ წეპ-ის მრავალჯერადი ცვლილებას იწვევს.

მულტიპლიკატორის ეფექტის ლოგიკური დასაბუთება შეიძლება 13-2 ცხრილის რიცხვით მაგალითზე ვაჩვენოთ, სადაც დანახარჯები და ინვენსტიციები იზრდება 5 მლრდ დოლარით. გრაფიკზე ეს გამოიხატება ინვენსტიციების მრუდის ზევით გადაწევით 20 მლრდ-დან 15 მლრდ დოლარამდე, როგორც ეს ჩანს 13-3 ბ ნახაზიდან. ჩვენ ძველებურად ვთვლით, რომ მზმ 3/4-ის ტოლია, ხოლო, შესაბამისად, ღზმ 1/4 -ის. ასევე ვუშვებთ, რომ ეკონომიკა წონასწორობით მდგომარეობაში იყოფება 470 მლრდ დოლ. პირობებში.

ინვენსტიციების თავდაპირველი გადიდება ხელფასის, რენტის, სარგებლისა და მოგების თანატოლი სიდიდის შემოსავალს ქმნის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დანახარჯები და შემოსავლის მიღება-ერთი და იგივე გარიგების ორი მხარეა. როგორ შეიცვლება მოხმარება საოჯა-

**ცხრილი 13.2. მულტიპლიკატორი: ანალიზი ცხრილის დახმარებით (პიპოთეზური მონაცემები, მლრდ დოლ.)**

	(1) ცვლილებები შემოსავალში	(2) ცვლილებები მოხმარებაში	(3) ცვლილებები დანაზოგებში
ინვესტიციების სავარაუდო ზრდა	5,00	3,75	1,25
მეორე (კიკლი)	3,75	2,82	0,94
მესამე (კიკლი)	2,81	2,11	0,70
მეოთხე (კიკლი)	2,11	1,58	0,53
მეხუთე (კიკლი)	1,58	1,19	0,39
სხვა ყველა ცვლილება	4,75	3,56	1,19
ჯამი	20,00	15,00	5,00

ხო მეურნეობის შემოსავლის 5 მლრდ დოლ. გადიდებისას? პასუხი შეიძლება ვიპოვოთ მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების გამოყენებით, რომელიც მოცემული ცვლილების — 3/4-ის ტოლია. მაგალითად, შემოსავლის 5 მლრდ დოლარით გაზრდა მოხმარებას გააძლიერებს 3,75 მლრდ დოლარით (= 5 მლრდ დოლ.-ის 3/4) და დანაზოგებს 1,25 მლრდ დოლარით (= 5 მლრდ დოლ.-ის 1/4). ამ დახარჯულ 3,75 მლრდ დოლარს შემოსავლის სახით ღებულობენ საოჯახო მეურნეობები. ისინი თავის მხრივ ამ 3,75 მლრდ დოლარიდან მოიხმარენ 3/4-ს ანუ 2,81 მლრდ დოლ., ხოლო დაზოგავენ 1/4-ს, ანუ 0,94 მლრდ.დოლ. და ანალოგიურად, ზოგი საოჯახო მეურნეობის მიერ მოხმარებული 2,81 მლრდ.დოლ. შემოსავლის სახით გადადის სხვა საოჯახო მეურნეობებში. თუმცა ინვესტიციების ნამატის ამოსავალი, თავდაპირველი და შემდგომი დანახარჯების ეფექტი დანახარჯების ყოველი მორიგი ციკლით მცირდება, მაგრამ თუ პროცესი უკანასკნელ დოლარამდე წარიმართება წარმოება — შემოსავლის მოცულობის დონის საერთო ნამატი 20 მლრდ დოლარს მიაღწევს. ინვესტიციების ნავარაუდები ნამატი 5 მლრდ

დოლარით, შესაბამისად გაზრდის წეპ-ის წონასწორობით დონეს 20 მლრდ დოლარით. 470-დან 490 მლრდ დოლარამდე. აქედან გამოძვინარე მულტიპლიკატორი 4-ის ტოლია (= 20 მლრდ დოლ.: 5 მლრდ დოლ.).

შემთხვევითი როდია, რომ მულტიპლიკატორის ეფექტის მოქმედება მაშინ მთავრდება, როცა ინვესტიციების 5 მლრდ.დოლარით ამოსავალი გადიდების შედეგად გამოწვეული დანახოების შეჯამებული სიდიდე ინვესტიციების მოცუბული ნამეტის კომპენსაციას იძლევა. შხოლოდ ასე ხდება ინვესტიციების ზრდით გამოწვეული უწონასწორობის კორექტირება. ამ შემთხვევაში წეპ და საერთო შემოსავლები უნდა გაიზარდოს 20 მლრდ დოლარით, რათა სტიმული მისცეს დამატებით დანახოებს 5 მლრდ დოლ. ოდენობით, რომელიც გამოიწვევს 5 მლრდ დოლ. საინვესტიციო ხარჯების ნამატის კომპენსაციას.

შემოსავალი უნდა გაიზარდოს 4-ჯერ დანახოებზე ინვესტიციების ამოსავალ გადამეტებასთან შედარებით, რადგანაც საოჯახო მურუნეობები ზოგავენ თავისი შემოსავლის ნებისმიერი ნამეტიდან  $1/4$  ნაწილს (ე.ი.  $ღზმ = 1/4$ ). როგორც ადრე აღინიშნა, მოცუბულ მაგალითში მულტიპლიკატორი — რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს თუ შემოსავლის შეჯამებული ნამეტი რამდენჯერ აჭარბებს ამოსავალ საინვესტიციო ხარჯების ნამატს, 4-ის ტოლია.

**მულტიპლიკატორი და ღზომვისა და მოხმარებისაღმი ზღვრული მიღრეკილება.** 13-2 ცხრილიდან თქვენ ალბათ უკვე გაიგეთ, რომ, რაღაც კავშირი უნდა არსებობდეს  $ღზმ$ -ს და მულტიპლიკატორის სიდიდეს შორის. ასეთი კავშირი მართლაც არსებობს: დანახოებისათვის გამიზნული შემოსავლის ნამატის ნაწილი ანუ  $ღზმ$  განსაზღვრავს ხარჯების თანმიმდევრული ციკლების შეჯამებულ ეფექტს, რომელიც გამოწვეულია ამოსავალი ციკლებით  $I_n, G, X_n$ -ში ანუ  $C$ -ში და, მაშასადამე, მულტიპლიკატორში. უფრო ზუსტად,  $ღზმ$  -ისა და მულტიპლიკატორის სიდიდე უკუპროპორციული არიან. რაც უფრო ნაკლებია ნებისმიერი ცვლილების წილი შემოსავალში, რომელიც დაზოგვისათვისაა გამიზნული, მით მეტია მორიგი დანახარჯები ყოველ ციკლში და შესაბამისად, მით მაღალია მულტიპლიკატორი. თუ  $ღზმ$   $1/4$ -ის ტოლია, როგორც ჩვენს მაგალითში, მაშინ მულტიპლიკატორი უდრის 4-ს. თუ კი  $ღზმ$   $1/3$ -ის შესაბამისი იქნებოდა, მაშინ მულტიპლიკატორი 3-ის ტოლი იქნებოდა. თუ კი  $ღზმ$  ტოლი იქნებოდა  $1/5$ -ის მაშინ მულტიპლიკატორი 5-ს გაუტოლდებოდა. კვლავ მიემართოთ 13-1 ცხრილსა და 13-3 ბ ნახაზს თავდაპირველად გეონომიკა იმყოფება წონასწორობაში წეპ 470 მლრდ დოლ. დონეზე. შემდეგ მეწარმეები

ზრდიან ინვესტიციებს 5 მლრდ დოლარით, ასე რომ 470 მლრდ დოლ. დონეზე დაგეგმილი ინვესტიციები (25 მლრდ დოლ.) ჭარბობს 20 მლრდ დოლ. დანაზოგებს. ეს ნიშნავს, რომ 470 მლრდ დოლ. უკვე აღარაა წონასწორობითი. იბადება კითხვა: რამდენით უნდა გაიზარდოს წმინდა ეროვნული პროდუქტი ან შემოსავალი წონასწორობის აღსადგენად? პასუხი: იმდენით, რომ სტიმული მიეცეს 5 მლრდ დოლ. დამატებით დანაზოგებს 5 მლრდ დოლ. ინვესტიციების ნამატის კომპენსირებისათვის. რამდენადც საოჯახო მეურნეობები დამატებითი შემოსავლიდან მიღებული ყოველი 4 დოლარიდან ერთ დოლარს ზოგავენ (მზმ = 1/4), იმდენად წეპ უნდა გაიზარდოს 20 მლრდ.დოლარით- ინვესტიციათა ნავარაუდევ ნამატზე 4-ჯერ მეტად-რათა უზრუნველყოს წონასწორობის აღსადგენად აუცილებელი 5 მლრდ დოლ. დამატებითი დაზოგვა. შესაბამისად, მულტიპლიკატორი 4-ის ტოლია. თუ დზმ გაუტოლდებოდა 1/3-ს, მაშინ წეპ უნდა გაზრდილიყო მხოლოდ 15 მლრდ.დოლარით (ინვესტიციების ნამეტზე 3-ჯერ მეტად), რათა უზრუნველყოს 5 მლრდ დოლარის რაოდენობის დამატებითი დაზოგვა, წონასწორობის აღსადგენად; შესაბამისად მულტიპლიკატორი 3-ის ტოლი იქნებოდა. და თუ დზმ 1/5-ს გაუტოლდებოდა, მაშინ წეპ უნდა გაზრდილიყო 25 მლრდ დოლარით, რათა მას მოჰყოლოდა 5 მლრდ დოლარით დანაზოგის ზრდა და წონასწორობის აღდგენა; მულტიპლიკატორი 5-ის ტოლი იქნებოდა. შეიძლება განვაზოგადოთ ეს და სხვა შესაძლო მაგალითები და ვთქვათ, რომ მულტიპლიკატორი დზმ-ის შებრუნებული სიდიდეა, ნებისმიერი რიცხვითი მნიშვნელობის შებრუნებული სიდიდე-განაყოფია, რომელიც მიიღება ერთის შეფარდებით მოცემულ რიცხვზე. მოკლედ რომ ვთქვათ,

$$\text{მულტიპლიკატორი} = \frac{1}{\text{დზმ}}$$

მოცემული ფორმულა მულტიპლიკატორის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ყველაფერი ეს ჩვენთვის აუცილებელია მულტიპლიკატორის სწრაფად გამოთვლისათვის, ეს დზმ-ის სიდიდეა. გავიხსენოთ მე-12 თავიდან, რომ, რადგან მზმ + დზმ = 1, დზმ = 1 - მზმ. შესაბამისად მულტიპლიკატორის ფორმულა შეიძლება შემდეგნაირად ჩაიწეროს:<sup>1</sup>



ჩაწეროს:<sup>1</sup>

$$\text{მულტიპლიკატორი} = \frac{1}{1 - \text{მზმ}}$$

მართალია ჩვენ ლოგიკურად გამოვიყვანეთ მულტიპლიკატორის ორი ფორმულა, მაგრამ მათ ადვილად შეიძლება მიეცეს მათემატიკური დასაბუთება<sup>2</sup>.

**მულტიპლიკატორის მნიშვნელობა.** მულტიპლიკატორის მნიშვნელობა შემდეგში მდგომარეობს. შედარებით მცირე ცვლილებამ მეწარმეთა საინვესტიციო გეგმებში ან საოჯახო მეურნეობის დანაზოგების გეგმებში შეიძლება გაცილებით დიდი ცვლილებები გამოიწვიოს წეპ-ის წონასწორობით დონეში. მულტიპლიკატორი აძლიერებს ხარჯების ცვლილებით გამოწვეულ მეწარმეობითი საქმიანობის მერყეობას.

შეგნიშნავთ, რომ, რაც უფრო მეტია მზმ (ნაკლებია დზმ), მით მეტი იქნება მულტიპლიკატორი. მაგალითად თუ მზმ უდრის 3/4 და,

1. გარდა ამისა, გაეხსენოთ, რომ დზმ-ის დახმარებით განისაზღვრება დანაზოგების გრაფიკის დახრილობა. ამოღებისა და ინექციის ( $S = I/n$ ) მეთოდის გამოყენებისას ეს ნიშნავს, რომ დზმ შეუარდებით დიდაა (დაეუშვათ, უდრის 1/2-ს) და შესაბამისად, დაზოგვის გრაფიკის დახრილობა შეუარდებით ციცაბოა (ასევე 1/2), მაშინ ინვესტიციური ხარჯების ნებისმიერი ზევით წაწვეა შეესაბამება მულტიპლიკატორის მცირე მნიშვნელობას. მაგალითად, ინვესტიციების 5 მლრდ.დოლ. ნაშტი მოგვეცემს S და I/n გრაფიკების გადაკეთების ახალ წერტილს, რომელიც მათავესებულა მხოლოდ 10 მლრდ დოლარით მარჯვნივ წეპ-ის თავდაპირველი წონასწორობითი დონიდან. მულტიპლიკატორი უდრის მხოლოდ 2-ს. მაგრამ თუ დზმ შედარებით მცირეა (დაეუშვათ, უდრის 1/6), მაშინ დანაზოგის გრაფიკის დახრილობა შედარებით მცირე იქნება. შესაბამისად ინვესტიციების გრაფიკის ზევით გადაადგილება 5 მლრდ.დოლარით გადაკეთების ახალ წერტილს მოგვეცემს, რომელიც წეპ-ის თავდაპირველ წონასწორობით დონეს და მორეზულა 30 მლრდ დოლარით მარჯვნივ. ასეთ შემთხვევაში მულტიპლიკატორი 6-ის ტოლია. მკითხველმა თითონ უნდა შეამოწმოს ეს ორი მაგალითი დანაზოგებისა და ინვესტიციების შესაბამისი გრაფიკების დახაზვით.

2. ალგებრული მულტიპლიკატორი წარმოადგენს „უხასრულო გეომეტრიულ პროგრესიას“ ან მარტივად რომ ეთქვას, რიცხვთა უხასრულო მწკრივს, რომელთაგან თითოეული წინა რიცხვის ზუსტად განსაზღვრული წილადია თუ ამ წილადს  $b$ -ით აღვნიშნავთ, მაშინ გეომეტრიული პროგრესია მიიღებს შემდეგ ხასხს:

$$k = 1 + b + b^2 + b^3 + \dots + b^4, \quad (1)$$

ხადაც  $k$  — პროგრესიის ჯამია.

ეს ტოლობა ადვილად შეიძლება გარდაიქმნას იმის დასამტკიცებლად, რომ

$k = \frac{1}{1-b}$  ტოლობის (1) ორივე მხარის  $b$  -ზე გამრავლებით მივიღებთ:

(სქოლიოს გაგრძელება ის შემდეგ გვერდზე)

შესაბამისად, მულტიპლიკატორი 4-ს, მაშინ დაგეგმილი ინვესტიციების შემცირება 10 მლრდ დოლარით გამოიწვევს წეპ-ის წონასწორობითი მოცულობის შემცირებას 40 მლრდ დოლარით. მაგრამ თუ შპ მხოლოდ 2/3-ია, მულტიპლიკატორი კი-3, მაშინ ინვესტიციების შემცირება იმავე 10 მლრდ.დოლარით, გამოიწვევს წეპ-ის დაცემას მხოლოდ 30 მლრდ დოლარით. ეს ბადებს აზრს: შპმ-ის მეტი სიდიდე ნიშნავს, რომ 13-2 ცხრილის მე-2 სვეტში წარმოდგენილი მოხმარების თანმიმდევრული ციკლის ჯაჭვში რიცხვითი მნიშვნელობები ნელა მცირდება, რის შედეგადაც დიდი ცვლილებები გროვდება შემოსავალში. და პირიქით, შპმ-ის მცირე სიდიდე (დიდი ღზმ) იწვევს იმას, რომ იძულებითი მოხმარება მალე მცირდება, ისე რომ ჯამობრივი ცვლილებები შემოსავალში უმნიშვნელოა.

სხვათაშორის, მე-14 თავში ე.წ. ჩაშენებული სტაბილიზატორის განხილვისას ჩვენ ვნახავთ, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკაა გადასახადებისა და ტრანსფერტული გადასახდელების სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა შპმ-ის მულტიპლიკატორის სიდიდის შემცირებას, რითაც დასწევდა ინვესტიციების, მოხმარების, სახელმწიფოს ხარჯების ან ექპორტის ცვლილებით გამოწვეულ მადესტაბილიზებელ ეფექტს.

**ბანზომბაღბა.** მულტიპლიკატორს, აქ წარმოდგენილი სახით, მარტივ მულტიპლიკატორს უწოდებენ მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ იგი

$$bk = b + b^2 + b^3 + b^4 + \dots + b^n + 1, \quad (2)$$

ახლა გამოთვალეთ განტოლება (2), (1) განტოლებისაგან და ვნახავთ, რომ განტოლების (1) ყველა წევრი მარჯვენა მხრიდან მცირდება გარდა პირველისა (1), და რომ მარჯვენა მხარეს რჩება მხოლოდ განტოლების (2) უკანასკნელი წევრი. ამრიგად მივიღებთ:  $k - bk = 1 - b^n + 1$

მარცხენა ნაწილში ფრჩხილებს გარეთ გამოვიტანოთ კოეფიციენტი:  $k(1 - b) = 1 - b^n + 1$

იხლა გაჯყოთ:  $(1 - b)$ -ზე:  $k = \frac{1 - b^n + 1}{1 - b}$

რადგანაც  $b$  წილადია, ხოლო  $n$  ძალიან დიდი რიცხვი, მაშინ  $b^n + 1$  მნიშვნელოა უახლოვდება ნულს და ის შეიძლება უგულებელვყოთ. საბოლოოდ მივიღებთ:  $k = \frac{1}{1-b}$

თავისი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით  $k$  ნიშნავს მულტიპლიკატორის ხიდიდეს, ხოლო  $b$  - შპმ-ს. მკითხველმა უნდა იმუშაოს განტოლებაზე (1), გამოიყენოს შპმ, რომელიც, ვთქვათ, უდრის 0,5, 0,6, 0,8, რათა უჩვენოს, რომ ხარჯების ნამატი ერთ დოლარზე, შესაბამისად, იძლევა შემოსავლის ნამატს 2; 2,5 და 5 დოლარს.

ემყარება ეკონომიკის მეტად მარტივ მოდელს. 1/დზმ, ფორმულით გამოხატული მარტივი მულტიპლიკატორი ასახავს მხოლოდ დანაზოგების ამოღებას. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სინამდვილეში შემოსავლების მიღებისა და ხარჯვის ციკლების თანმიმდევრულობა შეიძლება ჩაქრეს გადასახადებისა და იმპორტის სახით ამოღების შედეგად. ე.ი. დანაზოგებისათვის გადენის გარდა, შემოსავლის ერთი ნაწილი უოველ ციკლში ამოიღება დამატებითი გადასახადების სახით, მეორე ნაწილი კი გამოიყენება დამატებითი საქონლის შესაძენად საზღვარგარეთ. ამ დამატებით ამოღებათა გათვალისწინებით შეიძლება 1/ დზმ მულტიპლიკატორის ფორმულის სახის შეცვლა, დზმ-ის ნაცვლად მნიშვნელში ერთერთი შემდგომი მომდევნო მაჩვენებლის ჩასმით: “შემოსავალში ცვლილებების წილი, რომელიც არ იხარჯება ქვეყნის შიგნით საქონლის წარმოებაზე“, ან „ შემოსავალში ცვლილების წილი, რომელიც “გაედინება“ ან ამოიღება ნაკადიდან , შემოსავალი- დანახარჯები“. უფრო რეალურ მულტიპლიკატორს, რომელსაც ღებულობენ ყველა ამ ამოღება-დანაზოგების, გადასახადების, იმპორტის-გათვალისწინებით, რთულ მულტიპლიკატორს უწოდებენ. ეკონომიკურ კონსულტანტთა საბჭოს შეფასებით, რომელიც ეკონომიკურ საკითხებში რეკომენდაციებს აძლევს პრეზიდენტს, აშშ-სათვის რთული მულტიპლიკატორი დაახლოებით 2-ს უდრის.

## მომჭირნეობის პარადოქსი

წეპ-ის განსაზღვრა “ამოღება-ინექციის“ მეთოდის დახმარებით და მულტიპლიკატორის ჩვენეული ანალიზი წარმოშობს აზრს კურიოზული პარადოქსის არსებობის შესახებ, რომელსაც მომჭირნეობის პარადოქსი ეწოდება. პარადოქსი ისაა, რომ საზოგადოების მცდელობამ მეტის დაზოგვის შესახებ, ფაქტობრივად შეიძლება დანაზოგის იგივე ან ნაკლები დონეც კი გამოიწვიოს. 13-4 ნახაზი ამის ილუსტრაციას იძლევა. დავეუშვათ,  $I_n$  და  $S_1$  -მიმდინარე ინვესტიციების და დანაზოგების მრუდებია, რომელიც განსაზღვრავს წეპ-ის წონასწორობით დონეს 470 მლრდ დოლ.სიდიდით. ახლა, დავეუშვათ, რომ საოჯახო მეურნეობები

წარმოების დაცემის მოლოდინში ცდილობენ დაზოგონ, დაეუშვათ, 5 მლრდ დოლარით მეტი, შემოსავლის მოცემულ დონეზე, რათა თავისი თავი უზრუნველყონ “პურით შავი დღისათვის“. ეს მეტის დაზოგვის მცდელობა დაზოგვის მრუდის ზევით გადაწევით აისახება N1 -დან N2-ში. მაგრამ თვით გადაწევა ქმნის დანაზოგის ნაჭარბს დაგეგმილ ინვესტიციებზე, 470 მლრდ დოლარის ტოლი წარმოების მოცულობის, წონასწორობის მიმდინარე დონის პირობებში. ჩვენ კი ვიცით, რომ მულტიპლიკატორის ეფექტი გამოიწვევს იმას, რომ დანაზოგების ეს უმნიშვნელო ნამატი (მომხმარებლის შემცირება) გამოიხატება წონასწორობითი წეკ-ის გაცილებით მეტი შემცირებით, მოცემულ შემთხვევაში 20 მლრდ დოლარით (= 5X4).

ეს პარადოქსი სხვადასხვა ფორმით ვლინდება.

1. შევნიშნავთ, რომ წეკ-ის ახალ 450 მლრდ დოლ. წონასწორობით დონეზე საიჯახო მეურნეობები იმავე თანხას დაზოგავენ, რასაც წეკ 470 მლრდ დოლ. თავდაპირველი დონის დროს საზოგადოების მისწრაფება მეტის დაზოგვისათვის მარცხით დამთავრდა თვით ამ მისწრაფებით გამოწვეული წეკ-ის წონასწორობითი დონის მრავალგზის შემცირების გამო.

2. მოცემული ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ მომჭირნეობა, რომელსაც ამერიკულ საზოგადოებაში ყოველთვის დიდი პატივისცემით ეპყრობიან, შეიძლება სოციალური ბოროტებაც გახდეს. ინდივიდის თვალსაზრისით, დაზოგილი ცენტრი გამომუშავებული ცენტრია საზოგადოების თვალსაზრისით, დაზოგილი ცენტრი-ჯერ კიდევ დაუხარჯავია, და შესაბამისად, ვიღაცის შემოსავალს რომ ამცირებს ის ცენტრია. დანაზოგი შეიძლება სიკეთეს წარმოადგენდეს ინდივიდის თვალსაზრისით, მაგრამ შეიძლება უბედურებად იქცეს საზოგადოების არასასურველი ზემოქმედების გამო.

3. თუ პარადოქსი არა, სულ ცოტა კუროზი მაინცაა ის, რომ საიჯახო მეურნეობებში ჩნდება მეტის დაზოგვის (ნაკლებების მოხმარების) მნიშვნელოვანი სტიმულები სწორედ იმ დროს, როცა დანაზოგების ზრდა ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელი და ეკონომიკურად არასასურველია; ე.ი. როცა ეკონომიკა, წარმოების დაცემის სტადიაში შედის. ინდივიდს, რომელსაც საშუაოს დაკარვის ეშინია, საექტოა მხიარულებისათვის ფულის ხარჯვის გაგრძელების სურვილი ჰქონდეს. ჩვენს სცენარში დიდი დანაზოგებისაკენ ლტოლვა წარმოების მოსალოდნელ დაცემას რე-


ალობად აქცევს.<sup>1</sup>

მაგრამ მომჭირნეობის პარადოქსი, რომლის მიხედვითაც დანაზოგები სოციალურად არასასურველია, დაზუსტებას საჭიროებს. პირველი, დაწვრივით, რომ ეკონომიკა თავდაპირველად მკვეთრად გამოხატულ მოთხოვნის ინფლაციას განიცდის. სხვა სიტყვებით, ეკონომიკა ფუნქციონირებს არა კეინსურ (პორიზონტალურ) ჩარჩოებში, არამედ, ერთობლივი მიწოდების მრუდის კლასიკურ (ვერტიკალურ) მონაკვეთში. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკაში წარმოება ხორციელდება სრული დასაქმების პირობებში და ერთობლივი მოთხოვნის ნამეტი ფასებს ზევით ასწევს. თუ ასეთ სიტუაციაში საოჯახო მეურნეობები დაიწყებენ მეტის დაზოგვას (ნაკლების მოხმარებას), მაშინ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდებოდა მარცხნივ და ინფლაციის ტემპი შემცირდებოდა. კვლავ შეხედეთ 11-6 ბ ნახაზს. დაგუშვით, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი თავდაპირველად  $AD_6$  მდგომარეობაში იმყოფება ფასების  $P_6$  დონის დროს. დანაზოგების ნამატი იწვევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირე-

1. დამრეცად აღმაველ ინვესტიციების გრაფიკს (ცხრილი 12-3, ნახაზი 12-7) თუ შეცვლით ახლახანს გამოყენებული ინვესტიციების გამარტივებულ გრაფიკზე ჩვენ ვნახეთ, რომ საოჯახო მეურნეობების მცდელობა მეტის დაზოგვის შესახებ, არა მარტო მარცხს განიცდის, არამედ აგრეთვე დანაზოგების რაოდენობის შემცირებასაც გამოიწვევს. გარდა ამისა, ინვესტიციების გრაფიკი დადებითი დახრილობით, ნიშნავს მულტიპლიკატორის ზრდას და ექტობრივად მის „სუპერმულტიპლიკატორად“ გადაქცევას. შესაბამისი წერტილების პოვნის მსურველმა ცნობისმოყვარე მკითხველმა უნდა: 1) 12-3 ცხრილის პირველი და მესამე სვეტების რიცხვითი შნიშვნელობები შეცვალოს 13-1 ცხრილის მე-5 სვეტით; 2) ივარაუდოს, რომ დანაზოგის ნამატი შეადგენს 5 მლრდ დოლ. 3) გამოთვალოს (განსაზღვროს) წონასწორობის ახალი წერტილი, სადაც დაგეგმილი ინვესტიციები დანაზოგების ტოლია; 4) შეადაროს დანაზოგების თავდაპირველი და ახალი სიდიდეები; 5) გაიანგარიშოს მულტიპლიკატორის სიდიდე, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მულტიპლიკატორის სიდიდე მეტი იქნება, რადგანაც ყოველი მომდევნო ციკლით შეიცვლება შემოსაველი და აღმოცენდება არა მარტო დამატებითი მოხმარება, როგორც მარტივი მულტიპლიკატორის დროს, არამედ, აგრეთვე დამატებითი ინვესტირებაც. მულტიპლიკატორების პროცესი ჩაითრევს არა მარტო 0,75-ის ტოლ მოხმარებისათვის ზღვრულ მიდრეკილებას (მზმ), არამედ აგრეთვე 0,10-ის ტოლ ინვესტიციებისადმი ზღვრულ მიდრეკილებასაც (იზმ); უკანასკნელი იანგარიშება როგორც ინვესტიციების ცვლილებების შეუარდება წეპ-ის ცვლილებებთან, რაც გამოწვეულია, ან მიღებულია ინვესტიციებში ამ ცვლილებების შედეგად. ამრიგად, მარტივი მულტიპლიკატორის ფორმულას  $\frac{1}{1 - \beta\theta}$  მნიშვნელში უნდა დაემატოს იზმ და იგი გარდაიქმნება

$\frac{1}{1 - (\beta\theta + \theta\beta)}$  . ასეთ შემთხვევაში „სუპერმულტიპლიკატორი“ უდრის

$$\frac{1}{1 - (0.75 + 0.10)} = \frac{1}{0.15} = 6.67$$



### ნახ. 13-4 მომჭირნეობის პარადოქსი

თუ დავეგმილი ინვესტიციების მრუდის ზევით გადაადგილება არ მოხდება, საოჯახო მურწრობათა ცდა მეტის დაზოგვის შესახებ (გადაადგილება S1-დან S2-ში) ფუჭი აღმოჩნდება წეპ-ის წონასწორობითი დონის მრავალჯის შემცირებასთან დაკავშირებით.

ბას, დაეუშვათ,  $AD_5$  დონემდე, ფასების დონე კი ეცემა  $P_5$ -მდე. მოცემულ შემთხვევაში დანაზოგების ზრდა წარმოადგენს სოციალურად სასურველს, რადგანაც ხელს უწყობს ინფლაციის ალაგმევას.

მეორე მომენტი მჭიდრო კავშირშია პირველთან. 2-4 ნახაზიდან გავიხსენოთ, რომ სხვა თანაბარ პირობებში ეკონომიკა, სადაც ეროვნული პროდუქტის დიდი ნაწილის დაზოგვასა და ინვესტირებას ახდენენ, ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალ ტემპებს აღწევენ. უფრო მაღალი დანაზოგებისას მოხმარებიდან გამოთავისუფლდებიან რესურსები, ასე რომ მათი გამოყენება შეიძლება მეტი მოცულობის ინვესტიციური საქონლის წარმოებისათვის. დამატებითი რაოდენობის მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვება ხელს უწყობს ქვეყნის მომავალი წარმოებითი სიმძლავრეების ზრდას. ამრიგად, თუ ჩვენთვის მისაღებია კლასიკოსების დაშვება იმის თაობაზე, რომ ფულის ბაზარი ეფექტიანად აკავშირებს გადაწყვეტილებებს დანაზოგებისა და ინვესტიციების შესახებ (გაეხსენოთ ნახ.12-1), მაშინ დანაზოგების მრუდის გადაადგილება ზევით S1-დან S2-ში 13-4 ნახაზზე და შეესაბამება ინვესტიციების გრაფიკის ასეთსავე გადაადგილებას ზევით ისე, რომ წეპ-ის წონასწორობითი მდგომარეობა შენარჩუნებულია 470 მლრდ დოლ. დონეზე. ასეთ შემთხვევაში წარმოების და დასაქმების ფაქტობრივი მოცულობა არ იცვლება, მაგრამ წარმოების სტრუქტურაში ჩაერთვება მეტი ინვესტიცი-

ური და ნაკლები სამომხმარებლო საქონელი. ამით მომავალში დაჩქარდება ეკონომიკური ზრდის ტემპები. თუ ზრდა საზოგადოების სასურველი მიზანია, მაშინ დამატებითი დანაზოგები, რომელსაც თან ახლავს ინფესტიციათა ანალოგიური მატება, მოცემულ სცენარში ეფექტიანი აღმოჩნდება.


## წონასწორობა და წეპ - ი სრული დასაქმების პირობებში

ახლა წეპ-ის წონასწორობის განმარტებიდან გადავიდეთ ამ წონასწორობის შეფასებაზე.

არ ღირს დიდი მნიშვნელობის მინიჭება იმაზე, შეუძლია თუ არა სრული დასაქმების უზრუნველყოფა ჩვენს ანალიზში ჩართულ წონასწორობით წეპ-ს 470 მლრდ დოლ.დონეზე (ცხრილი 13-1, ნახ. 13-1., 13-2). გახსოვდეთ: კეინსური ეკონომიკური თეორიის ძირითადი დებულება წმინდა სახით ისაა, რომ კაპიტალიზმს ისეთი მექანიზმი არ გააჩნია, რომელსაც უნარი ექნება ავტომატურად შექმნას ერთობლივი დანახარჯების ისეთი დონე, რაც მეწარმეებს შეაგულიანებდა ინფლაციის გარეშე და სრული დასაქმების პირობებში პროდუქციის აუცილებელი მოცულობის წარმოებით. ერთობლივი დანახარჯების მრუდი შეიძლება იმ მრუდის ქვევით ან ზევით იმყოფებოდეს, რომელიც გადაკვეთს ბისექტრისას წარმოების არაინფლაციურ დონეზე სრული დასაქმების პირობებში. სინამდვილეში, ჩვენ ადრევე ვივარაუდეთ, რომ წარმოება ხორციელდება ერთობლივი მოთხოვნის მრუდის იმ კეინსურ მონაკვეთზე, რაც შეესაბამება წარმოების დონეს არასრული დასაქმების დროს.

## რეცესიული ბარჯევა

დავუშვათ, (ნახ.13-4) რომ ინფლაციური წარმოების დონე სრული დასაქმების პირობებში 490 მლრდ დოლარია. ასევე დავუშვათ, რომ  $(C + I_n)$  ერთობლივი დანახარჯების გრაფიკია, რომელიც მოცემულ თავში უკვე გამოვიყენეთ. ამ მრუდის ბისექტრისასთან გადაკვეთის წერტილი წარმოების დონიდან მარცხნივ იმყოფება სრული დასაქმების



### ნახ. 13-5. რეცესიული და ინფლაციური გარღვევა

წეპ-ის წონასწორობითი დონე შეიძლება დამთხვევს წეპ-ის დონეს სრული დასაქმების პირობებში. როგორც ნაჩვენებია 13-5 ა ნახაზზე, რეცესიული გარღვევა წარმოადგენს სიდიდეს, რომლითაც ერთობლივი დანახარჯები ნაკლებია წეპ-ის არაინფლაციური დონეზე სრული დასაქმების პირობებში ის წარმოშობს რეალური წეპ-ის მრავალჯის შემცირებას. 13-5 ბ ნახაზზე ნაჩვენებია ინფლაციური გარღვევა წარმოადგენს სიდიდეს, რომლითაც ერთობლივი დანახარჯები ჭარბობს არაინფლაციური დონეს სრული დასაქმების დროს. მოცემული გარღვევა იწვევს წეპ-ის ზრდას.

პირობებში, რაც ერთობლივი პროდუქტის 20 მლრდ დოლარით დაცემას მოწმობს წარმოებითი სიმძლავრეების სრული დასაქმების პირობების დონეზე დაბლა. 13-1 ცხრილის მონაცემების თანახმად, ეკონომიკას არ შეუძლია არსებული 70 მილიონიდან 5 მლნ.მუშის დასაქმების უზრუნველყოფა, ამის შედეგად კი კარგავს 20 მლრდ დოლ.პროდუქციას.

სიდიდეს, რომლითაც ერთობლივი დანახარჯები სრული დასაქმების პირობებში ნაკლებია წეპ-ის დონეზე, რეცესიული გარღვევა ეწოდება, რადგანაც ხარჯების ეს დანაკლისი შემავიწროებელ ან დეპრესიულ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე. როგორც 13-1 ცხრილიდან ჩანს, ჩვენს შემთხვევაში წეპ-ი სრული დასაქმების პირობებში 490 მლრდ დოლ. ტოლია, მაშინ საერთო ხარჯების შესაბამისი დონე მხოლოდ 485 მლრდ დოლ. იქნება. მაშასადამე, რეცესიული გარღვევა 5 მლრდ დოლარი იქნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეცესიული გარღვევა-ის



სიდიდეა, რომლითაც ერთობლივი დანახარჯების გრაფიკმა უნდა გადაინაცვლოს ზევით, რათა უზრუნველყოს წეპ-ის არაინფლაციური დონე სრული დასაქმების პირობებში. გრაფიკულად რეცესიული გარღვევის მანძილია ვერტიკალზე, რომელზეც ერთობლივი დანახარჯების მრუდი  $(C + I_1)_1$  დაშორებულია ბისექტრისაზე განლაგებული სრული დასაქმების წერტილიდან. რამდენადაც შესაბამისი მულტიპლიკატორი 4-ის ტოლია, ჩვენ ვხედავთ, რომ სხვაობა წონასწორობით წეპ-სა და სრული დასაქმების პირობების წეპ-ს შორის 20 მლრდ დოლარია, რაც რეცესიული გარღვევის (5 მლრდ დოლ.), მულტიპლიკატორზე (4) ნამრავლის ტოლია. სწორედ ეს 20 მლრდ დოლ. არის ეეპ-ის გარღვევა (აქ წეპ-ის გარღვევა) რომელსაც ჩვენ გავეცანით 10-4 ნახაზზე.

## ინფლაციური ბარღვევა

ერთობლივი დანახარჯების  $(C + I_1)_2$  გადაადგილება (ნახ.13-5 ბ) ნიშნავს მოთხოვნის ინფლაციურ გარღვევას. უფრო გარკვევით, სიდიდეს, რომლითაც ერთობლივი დანახარჯები ჭარბობს წეპ-ის დონეს სრული დასაქმების პირობებში, ინფლაციური გარღვევა ეწოდება. მოცემულ შემთხვევაში ინფლაციური გარღვევა 5 მლრდ დოლარია, რაც ვერტიკალზე  $(C + I_1)_2$  -სა და ბისექტრისაზე სრული დასაქმების წერტილს შორის მონაკვეთითაა ნაჩვენები. ე.ი. ინფლაციური გარღვევის სიდიდეა, რომლითაც ერთობლივი დანახარჯების გრაფიკმა უნდა გადაინაცვლოს ქვევით, რათა უზრუნველყოს არაინფლაციური წეპ-ი სრული დასაქმების დროს.

მოცემული ანალოგიური ინფლაციური გარღვევის-ჭარბი მოთხოვნის-შედეგი იქნება პროდუქციის უცვლელი ფიზიკური მოცულობის ფასების ზრდა ეკონომიკაში. მეწარმეებს არ შეუძლიათ უპასუხონ 5 მლრდ დოლ. ჭარბ მოთხოვნას, წარმოების რეალური მოცულობის გადიდებით, და ამიტომ, წარმოიქმნება მოთხოვნის ინფლაცია.

# პარაშდები, სიმნელეები და კოლიტიკა

გონიერი მკითხველი შეიძლება მიხვდა კიდევ, რომ რეცესიული და ინფლაციური გარღვევის ჩვენეული განმარტება იმ ვარაუდს ეყრდნობა, რომ შესაძლებელია წეპ-ის არაინფლაციური დონე სრული დასაქმების დროს ერთობლივი მიწოდების მრუდის (ნახ.11-3) ადრინდელი ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ასეთი შესაძლებლობა საეჭვოა. მრუდის შუალედურ მონაკვეთზე არსებობს დაბრკოლებები წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისათვის სრული დასაქმებისა და ინფლაციის პირობებში. რეცესიული და ინფლაციური გარღვევის განმარტებებში გაურკვეველობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ ვეყრდნობოდით მოსაზრებას, რომ არსებობს ერთობლივი მიწოდების ისეთი მრუდი, რომელსაც არ გააჩნია შუალედური მონაკვეთი, არამედ არსებობს მხოლოდ კეინსური და კლასიკური მონაკვეთები (ისეთი, როგორიცაა *P1aAS* 11-7 ნახაზზე).

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ ჩვენი მიდგომა ინფლაციური გარღვევისადმი კეინსური ერთობლივი დანახარჯების პოზიციიდან გაერკვეულ სიმნელეებს ქმნის. მაგალითად, 13-5 ბ ნახაზიდან გამომდინარეობს, რომ 5 მლრდ დოლ. ინფლაციური გარღვევა 4-ის ტოლი მულტიპლიკატორის გავლენით გამოიწვევს ფულადი ანუ ნომინალური წეპ-ის 20 მლრდ დოლარით (510 მლრდ დოლარამდე) გადიდებას, ხოლო რეალური წეპ შენარჩუნებელი იქნება 490 მლრდ დონეზე. 13-5 ბ ნახაზზე ასეთი შედეგის წარმოსადგენად აუცილებელია სახე ისე შეეცვალოს პორიზონტალურ ღერძს, რომ მასზე განლაგდეს რეალური წეპ-ი 490 მლრდ დოლარამდე, რომელიც შეესაბამება პროდუქციის წარმოებას სრული დასაქმების პირობებში და ნომინალური წეპ-ი, წეპ-ის ყველა, 490 მლრდ-ზე მეტი სხვა მნიშვნელობისათვის. სხვა სიტყვებით, გრაფიკის მარცხენა მხარე ასახავს წეპ-ის რეალურ ცვლილებებს, მარჯვენა მხარე კი- წეპ-ის ნომინალურ ცვლილებებს.<sup>1</sup>

1. ანალიზის პროცესში ჩვენ აბსტრაქტიზება მოვახდინეთ გამართლებელი მოვლენებისაგან. „სრული დასაქმების“ (ან წარმოებითი სიმძლავრეების) ცნება თავისთავად ელასტიურია, რადგან მუშების გარკვეულ რაოდენობას შეუძლიათ ზედმეტი საათების მუშაობით გაზარდონ თავისი სამუშაო დროის ხანგრძლივობა; გარდა ამისა, ადამიანებს, რომლებიც ჩვეულებრივ არ არიან ჩართული სამუშაო ძალის შემადგენლობაში, შეიძლება თავისი მომსახურების მიწოდების სტიმულები გაუჩნდეთ სამუშაო ადგილების სიჭარბის პირობებში. ამ გარემოებათა უზულებელყოფით ჩვენ მთლიანობაში არ ვამცირებთ ჩვენი ანალიზის საეჭვოქლიანობას.

# საბარემო ვაჭრობა და წარმოების წონასწორობითი მოცულობა

აქამდე ერთობლივი დანახარჯების მოდელში ჩვენ მივმართავდით საგარეო ვაჭრობისაგან აბსტრაქტიზაციას და ვვარაუდობდით დახურულ ეკონომიკას. მოდით, ახლა მოვხსნათ ეს ვარაუდი და მხედველობაში მივიღოთ ექსპორტისა და იმპორტის არსებობა, ასევე ის ფაქტიც, რომ წმინდა ექსპორტი (ექსპორტი მინუს იმპორტი) შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. საკმარისია შევხედოთ მოცემული წიგნის ყდის შიგნით მოთავსებული ცხრილის მე-4 სტრიქონს და დავინახავთ, რომ გარკვეულ წლებში წმინდა ექსპორტი დადებითი იყო (ექსპორტი მეტია იმპორტზე), ხოლო რომელიღაც წლებში უარყოფითი (იმპორტი მეტია ექსპორტზე). შევნიშნავთ, რომ, მაგალითად, წმინდა ექსპორტი 1980 წ. დადებითი იყო (+32 მლრდ დოლ.), ხოლო 1988 წ. დაეცა და უარყოფითი გახდა (—93 მლრდ დოლ.).

როგორია თანაფარდობა წმინდა ექსპორტსა, ე.ი. ექსპორტს მინუს იმპორტი, და ერთობლივ დანახარჯებს შორის?

## წმინდა ექსპორტი და ერთობლივი დანახარჯები

უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ ექსპორტი. გავიხსენოთ მე-9 და მე-11 თავებიდან, რომ მოხმარების, ინვესტიციების და სახელმწიფო შესყიდვების მსგავსად, ექსპორტი (X) ზრდის წარმოების მოცულობას, შემოსავალს და დასაქმებას ქვეყნის შიგნით. თუმცა საქონელი და მომსახურება, რომელთა წარმოებაც გარკვეულ ხარჯებს მოითხოვს, მიეძინება საზღვარგარეთ, მაგრამ სხვა ქვეყნების ხარჯები ამერიკული საქონლისათვის გააფართოებს წარმოებას, ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და ზრდის შემოსავალს. ამიტომ ექსპორტი, ახალი კომპონენტის სახით, უნდა დავამატოთ ერთობლივ დანახარჯებს. და პირიქით, როცა ეკონომიკა ღიაა საერთაშორისო ვაჭრობისათვის, ჩვენ უნდა ვაღიაროთ,

რომ მოხმარებისა და ინვესტიციებისათვის გამიზნული ხარჯების ნაწილი იმპორტზე (M) წავა, ე.ი. საზღვარგარეთისთვის და არა შეერთებული შტატებისათვის გამიზნულ საქონელსა და მომსახურებაზე. მაშასადამე, ქვეყნის შიგნით რომ არ გავზარდოთ წარმოების მოცულობის ღირებულება, მომსახურებისა და ინვესტირების ხარჯების რაოდენობა უნდა შემცირდეს იმ ნაწილით, რომელიც იხარჯება იმპორტულ საქონელზე. მაგალითად, ქვეყნის შიგნით წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლივი დანახარჯების გაზომვისას აუცილებელია იმპორტის დანახარჯების გამოკლება. მოკლედ რომ ვთქვათ, კერძო, საგარეო ვაჭრობის არმქონე ანუ დახურული ეკონომიკისათვის ერთობლივი დანახარჯები შეადგენს  $C + I_{II}$ -ს, ხოლო მოვაჭრე, ანუ ღია ეკონომიკისათვის ერთობლივი დანახარჯები იქნება  $C + I_{II} + (X - M)$ . ანუ, გავიხსენოთ, რომ წმინდა ექსპორტი ( $X_{II}$ ) უდრის ( $X - M$ ) -ს, შეიძლება ითქვას, რომ ერთობლივი დანახარჯები კერძო, ღია ეკონომიკისათვის  $C + I_{II} + X_{II}$ -ის ტოლია.

### წმინდა ექსპორტის ბრაშიკი

13-3 ცხრილში მოტანილია პოტენციური წმინდა ექსპორტის სხვადასხვა მნიშვნელობები ჰიპოთეზურ ეკონომიკაში, რომლის მახასიათებლები ადრე იყო განხილული 13-1 ცხრილის მონაცემებით. მოხმარებისა და ინვესტიციების გრაფიკის მსგავსად, წმინდა ექსპორტის გრაფიკი ასახავს კონკრეტული ხარჯების სიდიდეს, ამ შემთხვევაში წმინდა ექსპორტისას, წეპ-ის ყოველ დონეზე. წმინდა ექსპორტის სიდიდეები ( $X_{II}$ ) (სვეტი პირველი და მე-2) მოწმობენ, რომ ექსპორტი ჭარბობს იმპორტს 5 მლრდ დოლარით წეპ-ის ყველა დონეზე. მაგალითად, ექსპორტი შეადგენს 15 მლრდ დოლ., ხოლო იმპორტი-10 მლრდ დოლ.  $X_{II}$ -ის მნიშვნელობა (სვეტები 1 და 2) გვიჩვენებს, რომ

1. თუმცა ამერიკული ექსპორტი დამოკიდებულია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შემოსავლებისაგან და შესაბამისად არაა დამოკიდებული წეპ-ზე, მაგრამ თვლიან, რომ იმპორტი პირდაპირპროპორციულია საკუთარი ეროვნული შემოსავლის ცვლილებებისა. ე.ი. ზუსტად ისე, როგორც საშინაო მოხმარება იცვლება საშინაო წეპ-ის პირდაპირპროპორციულად, ასევე იცვლება საზღვარგარეთული საქონლის ამერიკული შესყიდვები. საშინაო წეპ-ის ზრდის კვალობაზე, ამერიკული საოჯახო მეურნეობები შეისყიდნიან არა მხოლოდ მეტ „პონტიაკებს“ და „კეპსის“, არამედ მეტ „პორშეს“ და „პერის“. მაგრამ გამარტივების მიზნით ჩვენ მოვიხსენებთ იმ გამართლებულ გარემოებათაგან აბსტრაქციებას, რომლებიც დაკავშირებულია ექსპორტისა და საშინაო წეპ-ს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებასთან.

იმპორტი მეტია ექსპორტზე 5 მლრდ დოლარით. ე.ი. მაგალითად, იმპორტი შეადგენს 15 მლრდ.დოლ ექსპორტი კი-10 მლრდ დოლ. ანალიზის გამარტივებისათვის ჩვენ ორივე შემთხვევაში ვუშვებთ, რომ წმინდა ექსპორტი ავტონომიური, ანუ დამოუკიდებელია წეპ-ისაგან.<sup>1</sup>

წმინდა ექსპორტის 13-3 ცხრილის მონაცემები გრაფიკულად წარმოდგენილია 13-6 ბ ნახაზზე.  $X_{11}$  მრუდი გვიჩვენებს, რომ 5 მლრდ დოლ. დადებითი წმინდა ექსპორტი შეესაბამება წეპ-ის ნებისმიერ დონეს. პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ  $X_{12}$  იმყოფება პორიზონტალური ღერძის ქვევით და უჩვენებს, რომ წმინდა ექსპორტი უარყოფითია (-5 მლრდ დოლ.).

ცხრილი 13-3 წმინდა ექსპორტის ორი სახე (მლრდ დოლ.)


(1) წეპ დონე	(2) წმინდა ექსპორტი $X_{11}$	(3) წმინდა იმპორტი $X_{12}$
370	+5	-5
390	+5	-5
410	+5	-5
430	+5	-5
450	+5	-5
470	+5	-5
490	+5	-5
510	+5	-5
530	+5	-5
550	+5	-5

# წმინდა ექსპორტი და წონასწორობითი წეკ

ახლა ყურადღება მივაპყროთ 13-6 ა ნახაზს. ერთობლივი დანახარჯების  $C + I_n$  გრაფიკი იდენტურია 13-1 ნახაზზე გამოსახული გრაფიკისა (რიცხვითი მნიშვნელობები წარმოდგენილია 13-1 ცხრილში). ე.ი.  $C + I_n$  ასახავს მოხმარებასა და წმინდა ინვესტიციებზე დანახარჯების შეჯამებულ სიდიდეს, რომელსაც ადგილი ექნება წეკ-ის ყველა დონეზე. წონასწორობითი წეკ გაუტოლდება 470 მლრ დოლ. როცა არ არსებობს საგარეო ეკონომიკური საქმიანობა. გავიხსენოთ, რომ პროდუქციის წარმოების ეს წონასწორობითი დონე განისაზღვრება  $C + I_n$  წრფის და ბისექტრისის გადაკვეთით; მხოლოდ ამ წერტილში იქნება ერთობლივი დანახარჯები წეკ-ის ტოლი.

ჩვენ უკვე ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ სინამდვილეში წმინდა ექსპორტი შეიძლება დადებითი იყოს ან უარყოფითი. მაშასადამე, ექსპორტსა და იმპორტს არ შეუძლიათ ნეიტრალური ზემოქმედება წეკ-ის წონასწორობით დონეზე. რა ზეგავლენას ახდენს წმინდა ექსპორტის ყოველი გრაფიკი, რომელიც წარმოდგენილია 13-6 ბ ნახაზზე წეკ-ის წონასწორობაზე?

დადებითი წმინდა ექსპორტი. დასაწყისში, დავუშვათ, რომ წმინდა ექსპორტის გრაფიკი ჩვენს ჰიპოთეზურ ეკონომიკაში წარმოდგენილია  $X_{II}$  მრუდით. სხვა ქვეყნების დამატებითი ხარჯები ამერიკის წმინდა ექსპორტზე, მხედველობაში მიიღება 5 მლრდ დოლ. დამატების გზით 13-6 ა ნახაზზე გამოსახულ  $C + I_n$  მრუდზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სინამდვილეში ერთობლივი დანახარჯები წეკ-ის ნებისმიერ დონეზე 5 მლრდ დოლარით მეტია იმაზე, რომლებიც შეესაბამება  $C + I_n$  მრუდს. ღია ეკონომიკისათვის ერთობლივი დანახარჯების გრაფიკი მიიღებს შემდეგ სახეს  $C + I_n + X_{II}$ . შევნიშნავთ, რომ საერთაშორისო ვაჭრობამ გამოიწვია წეკ-ის წონასწორობითი დონის ზრდა გამარტივებულ დახურულ ეკონომიკაში 470-დან 490 მლრდ დოლარამდე უფრო რეალისტურ ღია ეკონომიკაში. მკითხველმა სავითონ უნდა შეამოწმოს, რომ ახალი წონასწორობითი დონე 490 მლრდ დოლარია ერთობლივი დანახარჯების თითოეული დონისათვის 5 მლრდ დოლარის მატებით 13-1 ცხრილში, შემდეგ კი იპოვოს მდგომარეობა, რომლის დროსაც  $C + I_n + X_n$  წეკ-ის ტოლია.



ნახ. 13-6 წმინდა ექსპორტი და ნონასნორობითი წებ-ი.

დადებითი წმინდა ექსპორტი, როგორც ნაჩვენებია 13-6 ბ ნახაზზე  $X_{n1}$  წმინდა ექსპორტის მრუდის დახმარებით, იწვევს ერობლლივი დანახარჯების მრუდის გადაადგილებას დახურული ეკონომიკის  $C + I_n$  დონიდან და ეკონომიკის  $C + I_n + X_{n1}$  დონეზე. უარყოფითი წმინდა ექსპორტი, როგორც წარსილდენილია 13-6 ბ ნახაზზე, წმინდა ექსპორტის მრუდი  $X_{n2}$  იწვევს ერობლლივი დანახარჯების მრუდის გადაადგილებას ქვევით (ნახ.13-6 ა) დახურული ეკონომიკის  $C + I_n$  დონიდან და ეკონომიკის  $C + I_n + X_{n2}$  დონეზე.

დასკვნა: დადებითი წმინდა ექსპორტი ერობლლივი დანახარჯების ზრდას იწვევს მათ სიდიდესთან შედარებით დახურულ ეკონომიკაში და, მაშასადამე, ზრდის საშინაო წეს-ს. მოცემულ შემთხვევაში 5 მლრდ

დოლ დამატება წმინდა ექსპორტზე გაზრდის წეპ-ს 20 მლრდ დოლ.; ამასთან, მულტიპლიკატორი 4-ის ტოლია.

**უარყოფითი წმინდა ექსპორტი.** ჩვენი მსჯელობის ლოგიკური გაგრძელებით, შეიძლება განისაზღვროს უარყოფითი წმინდა ექსპორტის ზემოქმედება წონასწორობით წეპ-ზე. თუ წმინდა ექსპორტი  $X_{12}$  -ის ტოლია, როგორც ნაჩვენებია 13-6 ბ ნახაზზე და არა  $X_{11}$  -ის, მაშინ, სხვა ქვეყნების მიერ ამერიკის წმინდა ექსპორტზე დახარჯული 5 მლრდ დოლ. უნდა გამოაკლდეს ერთობლივი დანახარჯების  $C + I_n$  გრაფიკს, ღია ეკონომიკისათვის ერთობლივი დანახარჯების დასადგენად. რატომ სწორედ ასე? 5 მლრდ დოლ. უარყოფითი წმინდა ექსპორტი ნიშნავს, რომ ამერიკის კიპოთეზური ეკონომიკა 5 მლრდ-ზე მეტი საქონლის იმპორტს ახდენს, ვიდრე ყიდის საზღვარგარეთ. შესაბამისად, ერთობლივი დანახარჯების  $C + I_n$ -ით გამოხატული მრუდი 13-6 ა ნახაზზე ქვეყნის შიგნით აპროდუქციის წარმოების დანახარჯების დონეზე ზევით იმყოფება წეპ-ის მოცემული მნიშვნელობის დროს. ჩვენ არსებობდა შევამცირებთ მოხმარებაზე და ინვესტიციებზე დანახარჯების თანხას 5 მლრდ დოლარით, ე.ი. წმინდა იმპორტის თანხით. მაგალითად, თუ იმპორტი 15 მლრდ დოლარია, ექსპორტი კი-10 მლრდ, მაშინ ჩვენი უნდა გამოვაკლოთ 5 მლრდ დოლ. წმინდა ექსპორტი (= -5 მლრდ.დოლ. წმინდა ექსპორტს) მოხმარებაზე და ინვესტიციებზე საშინაო დანახარჯების ვაშს.

13-6 ნახაზზე  $C + I_n$  გრაფიკიდან 5 მლრდ-ს გამოკლების შემდეგ, ერთობლივი დანახარჯების გრაფიკი შესაბამისად მიიღებს  $C + I_n + X_{12}$ -ის სახეს, ხოლო წეპ-ის წონასწორობითი დონე შემცირდება 470-დან 450 მლრდ დოლარამდე. კვლავ 5 მლრდ დოლ. წმინდა ექსპორტის გადიდებით გამოწვეული წეპ-ის ოთხჯერადი შეცვლა იმას მოწმობს, რომ მულტიპლიკატორი 4-ის ტოლია. წეპ-ის წონასწორობითი დონის ახალი მნიშვნელობის მიღება შეიძლება 5 მლრდ დოლ.გამოკლებით წეპ-ის ყოველ დონეზე ერთობლივი დანახარჯებიდან 13-1 ცხრილში და წეპ-ის ახალი წონასწორობითი დონის დამყარებით.

ჩვენს მიერ წინათ მიღებული დასკვნის დამატება შემდეგია: უარყოფითი წმინდა ექსპორტი იწვევს ერთობლივი დანახარჯების შემცირებას დახურულ ეკონომიკაში ხარჯების დონესთან შედარებით, და შესაბამისად, ავიწროებს საშინაო წეპ-ს იმპორტი ზრდის საქონელთა მასას ეკონომიკაში, მაგრამ იგი ამცირებს საშინაო წეპ-ს, ქვეყნის შიგნით წარმოების ხარჯების დაცემის გამო.



ჩვენი დასკვნები დადებითი და უარყოფითი წმინდა ექსპორტის და წონასწორობითი წეპ-ის შესახებ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ წმინდა ექსპორტის შემცირება, ე.ი. ექსპორტის შეკვეცა ანუ იმპორტის გაზრდა იწვევს ერთობლივი დანახარჯების დაცემას და საშინაო წეპ-ის შემცირებას და პირიქით, წმინდა ექსპორტის ზრდა-ექსპორტის გადიდების ან იმპორტის შემცირების შედეგად-იწვევს ერთობლივი დანახარჯების ზრდას და აფართოებს საშინაო წეპ-ს. ეს ცვლილებები შეიძლება აისახოს რეალური წეპ-ის, ნომინალური წეპ-ის ან მათი შეხამების მეშვეობით, იმისაგან დამოკიდებულებით, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა ეკონომიკა თავდაპირველად წარმოების პოტენციური მოცულობის თვალსაზრისით. მაგალითად, თუ წეპ-ის დონე სრული დასაქმების პირობებში 470 მლრდ დოლარია (ნახ.13-6 ა), მაშინ წმინდა ექსპორტის ზრდა ნულიდან 5 მლრდ დოლარამდე, ქმნის 5 მლრდ დოლ. ინფლაციურ გარღვევას, მაგრამ არ ზრდის რეალურ წეპ-ს 20 მლრდ დოლ - ით, როგორც ადრე ვვარაუდობდით.

## საბარეო ეკონომიკური კავშირები

წმინდა ექსპორტისა და საშინაო წეპ-ის ანალიზი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ თუ როგორ ზემოქმედებს საბარეო ეკონომიკური მდგომარეობა საშინაო წეპ-ზე.

პირველი მაგალითი: ამერიკის სავაჭრო პარტნიორების ეროვნული შემოსავლის მაღალი დონე საზღვარგარეთ მეტი საქონლის გაყიდვის და ამრიგად, წმინდა ექსპორტის, და შესაბამისად, საშინაო წეპ-ის გაფართოების საშუალებას იძლევა. ჩვენ დაინტერესებული უნდა ვიყოთ სავაჭრო პარტნიორების აყვავებაში, რადგან ეს მათ შეაგულიანებთ მეტი იმპორტული საქონლის შექენაში. ასეთი შესყიდვები სტიმულს აძლევენ ამერიკის ექსპორტს, მათი აყვავების შედეგების გამოყენებით.

მეორე მაგალითი: დავუშვათ, რომ სავაჭრო პარტნიორებს ამერიკულ საქონელზე მაღალი ტარიფები შემოაქვთ იმპორტის შემცირებისა და თავის ქვეყანაში წარმოების სტიმულირების მიზნით. მაგრამ მათი იმპორტი ამერიკის ექსპორტია. ამრიგად, როცა ისინი ამცირებენ თავიანთ იმპორტს თავისი ეკონომიკის სტიმულირების მიზნით, ისინი ამცირებენ ამერიკის ექსპორტს და ამით იწვევენ მისი წარმოების დაცემას.ამერიკა ამაზე უპასუხებს მათ საქონელზე სავაჭრო შეზღუდვების გაძლიერებით. თუ ეს ასეა, მაშინ მათი ექსპორტი დაეცემა, და შესაბა-

მისად, წმინდა ექსპორტი შეიძლება უცვლელი დარჩეს, ან შემცირდეს კოდექსი "დიდი დეპრესიის" წლებში სხვადასხვა სახელმწიფოებმა, მათ შორის აშშ-მაც შემოიღო სავაჭრო შეზღუდვები თავის ქვეყანაში უმუშევრობის შემცირების იმედით. მაგრამ საპასუხო ღონისძიებათა ვაჭვემა უბრალოდ დაანგრია მსოფლიო ვაჭრობა და გააძლიერა დეპრესია.

უკანასკნელი მაგალითი: დოლარის დევალვაცია სხვა ვალუტებთან მიმართებაში (თავი 4 და 11) ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებში მეტი დოლარის მიღება შეიძლება ეროვნული ვალუტის ერთ ერთეულზე. ფასები ამერიკულ საქონელზე ეროვნულ ვალუტათა კურსის მიხედვით, შესაბამისად დაეცემა, რაც ამერიკული საქონლის შექმნის სტიმული იქნებოდა. და პირიქით, ამერიკელი მომხმარებლები შეამჩვენენ, რომ მათ მეტი დოლარები ესაჭიროებათ უცხოური საქონლის შესაძენად, და მათსადაამე, შეამცირებენ თავის ხარჯებს იმპორტზე. ამის შედეგად უფრო მაღალი ამერიკული ექსპორტი და უფრო დაბალი იმპორტი ხელს შეუწყობს მისი წმინდა ექსპორტისა და წეპ-ის ზრდას. იმოქმედებს თუ არა დოლარის დევალვაცია რეალური წეპ-ის ზრდაზე, ან ამის გამო განვითარდება თუ არა ინფლაცია, ეს ძირითადად დამოკიდებული იქნება ეკონომიკის საწყის მდგომარეობაზე წარმოების მოცულობის დონესთან მიმართებაში სრული დასაქმების დროს. თუ თავდაპირველად ეკონომიკა ფუნქციონირებდა თავისი საწარმოო სიმძლავრეების დონეზე დაბლა, მაშინ დოლარის დევალვაციას და ამით გამოწვეული წმინდა ექსპორტის ზრდას მოჰყვება რეალური წეპ-ის გადიდება. და პირიქით, თუ თავდაპირველად ეკონომიკა იმყოფება სრული დასაქმების მდგომარეობაში, მაშინ დოლარის დევალვაცია და წმინდა ექსპორტის უფრო მაღალი დონე გამოიწვევს ინფლაციას ქვეყნის შიგნით. და ბოლოს, შეგახსენებთ, რომ უკანასკნელ მაგალითში ამოსავალი წანამძღვარი იყო დოლარის დევალვაცია. თქვენთვის სასარგებლო იქნებოდა გაგეანალიზებინათ დოლარის კურსის გადიდების გავლენა ექსპორტზე და წონასწორობით წეპ-ზე.

## ორი მაკრომოდელის შესაბამისობაში მოყვანა


ჩვენს წინაშე დგება უკანასკნელი, მაგრამ საკმაოდ რთული ამოცანა: შესაბამისობაში მოვიყვანოთ ამ თავში გადმოცემული კინსური მოდელი, რომელიც ასახავს უროთიერკავშირის ერთობლივ დანახარჯებსა და

ფასების უკველელი დონის დროს რეალურ წეპ-ს შორის, მე-11 თავში განხილულ მოხელთან, რომელიც გამოხატავს ურთიერკავშირს რეალურ წეპ-სა და ფასების დონეს შორის. მასობრივი უმუშევრობის 30-იანი წლების პერიოდში დაბეჭდვითი კენსური მოდელი ითვალისწინებს, რომ ერთობლივი დანახარჯების ზრდა იწვევს წარმოების მოცულობის გადიდებას არსებულ ან მიმდინარე ფასების დონის პირობებში. პირიქით, ერთობლივი მოთხოვნის და მიწოდების მოდელი გეინვენებს, რომ ფასების დონე იზრდება ერთობლივი მოთხოვნის ზრდასთან ერთად, ერთობლივი მიწოდების მრუდის შუალედურ და კლასიკურ მონაკვეთზე. ვიძიებთ: წარმოების ხარჯებისა და მოცულობის ურთიერთდამოკიდებულების კენსური ანალიზი-მოდელია უკველელი ფასების პირობებში; ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის ანალიზი-ესაა მოდელი კვალეზადი ფასების დონით.

## მართლმადი მოთხოვნის მრუდის აბეზა

ჩვენათვის უკვე ნაცნობი კატეგორიებისა და და კრებების გამოყენებით შეგვიძლია დავადგინოთ მნიშვნელოვანი კავშირი ორ მოდელს შორის იმის ჩვენებით, რომ ძვრები ერთობლივი დანახარჯების გრაფიკში, რაც ფასების დონის ცვლილებითაა გამოწვეული, საშუალებას გვაძლევს თვალყური ვადევნოთ დამრეკად დაქვეითებადი მრუდით განსახლვრულ ერთობლივ მოთხოვნას.

ჯერ ერთი, მე-12 თავიდან ჩვენ ვიკით, რომ მოხმარების მრუდის განლაგებასა და ფასებს შორის არსებობს უკუდამოკიდებულება. უფრო გარკვევით, ფასების დონის ზრდა მოხმარების, და შესაბამისად, დანახარჯების გრაფიკისა ცქვევით გადაადგილების მიხეზია, და პირიქით. ამოსავალ მიხეზს კი რეალური საკაო ნაშთების ეფექტი, ანუ მე-11 თავში შემოტანილი სიმდიდრის ეფექტი წარმოადგენს. ფასების დონის ზრდა იწვევს სიმდიდრის რეალური ღირებულების, მოსახლეობის მსკადველობითი უნარის შემცირებას. თავისი სიმდიდრის ღირებულების აღსადგენად ადამიანებმა მეტი უნდა დაზოგონ, და შესაბამისად, ნაკლები მოიხმარონ ფასების დონის ზრდისას მოხმარების გრაფიკი, და, შესაბამისად, ერთობლივი დანახარჯების გრაფიკიც გადაიწევა ქვევით, ხოლო წეპ-ის რეალური დონე ეკემა. და პირიქით, ფასების დონის შემცირება ზრდის მოსახლეობის სიმდიდრის რეალურ ღირებულებას.



ნახ. 13.7. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის აგება "დანახარჯები-წარმოების მოცულობა"- მოდელის მიხედვით

მოხმარება, ინვესტიციები, წმინდა ექსპორტი, და შესაბამისად, ერთობლივი დანახარჯები გაიზარდა ფასების დონის შემცირებისას და დაეცემა ფასების დონის ზრდის დროს. ეს დაკავშირებულია სიმდიდრის ეფექტის გამოყოფენასთან, სარგებლის განაკვეთის დინამიკასთან და უცხოური შესყიდვების მოცულობასთან. თუ ერთობლივი დანახარჯების მრუდი  $(C + I_n + X_n)_2$ -ის დონეზე იშვოფება, ფასები  $P_2$  დონის პირობებში, მაშინ ჩვენ შეგვიძლია შევფარდეთ ფასების მოცულებული დონე და წარმოების წონასწორობითი მოცულობა, წებ2 რათა განესაზღვროთ წერტილი 2' ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე. ფასების უფრო დაბალი, დაუშვით,  $P_1$  დონის დროს, ერთობლივი დანახარჯების მრუდი გადაადგილდება  $(C + I_n + X_n)_1$ -ში, რაც იძლევა 1' წერტილს ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე. ანალოგიურად, უფრო მაღალი ფასების,  $P_3$  დონისას, ერთობლივი დანახარჯების მრუდი გადაინაცვლებს ქვეით  $(C + I_n + X_n)_3$  მდგრალობაში, ხოლო  $P_3$  და წებ3-ი ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე კიდევ ერთ -3' წერტილს მოგვცემს.

როცა ინდივიდები მდიდრები არიან, მათ მეტი მიდრეკილება აქვთ მოხმარებისაკენ და ნაკლები, დაზოგვისაკენ მიმდინარე რეალური შემოსავლიდან. უფრო დაბალი ფასების დონეზე მოხმარებისა და ერთობლივი დანახარჯების მრუდები გადაინაცვლებენ ზევით და რეალური წეპ-ი გაიზრდება.

მეორე, მე-12 თავიდან ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ არსებობს უკუპროპორციული კავშირი ინვესტიციების გრაფიკის განლაგებასა (ცხრილი 12-3 და ნახ.12-7) და ფასების დონეს შორის. ფასების დონის ზრდასთან ერთად, სხვა თანაბარ პირობებში, იზრდება სარგებლის განაკვეთი, რაც, თავის მხრივ, ქვევით გადაინაცვლებს ინვესტიციებისა და ერთობლივი მოთხოვნის გრაფიკებს. გავიხსენოთ, რომ ეს ე.წ. სარგებლის განაკვეთის ეფექტი მოქმედებს შემდეგნაირად: ფასების უფრო მაღალი დონის პირობებში მეტი ფულია საჭირო საყიდლებისათვის, ხოლო ფულის ფიქსირებული მიწოდებისას ფულზე მოთხოვნის გაფართოება მკვეთრად ზრდის სარგებლის განაკვეთს და ამცირებს დანახარჯებს ინვესტიციებზე. პირიქით, ფასების დონის დაცემა იწვევს ფულზე მოთხოვნის შემცირებას, სარგებლის განაკვეთის დაცემას და ინვესტიციებისა და ერთობლივი დანახარჯების გრაფიკების ზევით გადაადგილებას. უფრო დაბალი ფასების დონისათვის არსებითად, დამახასიათებელი იქნება ერთობლივი დანახარჯების ზრდა და რეალური წეპ-ის უფრო მაღალი წონასწორობითი დონეები.

ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება ფასების დონესა და წმინდა ექსპორტის გრაფიკს შორის. ფასების დონის ამაღლება წმინდა ექსპორტის გრაფიკს გადასწევს ქვევით, და შესაბამისად, შეამცირებს ეთობლივ დანახარჯებს და წეპ-ის წონასწორობით დონეს. სხვა თანაბარ პირობებში, ამერიკულ საქონელზე უფრო მაღალი ფასები შეამცირებს მის გაყიდვას საზღვარგარეთ და გაზრდის შედარებით იაფი უცხოური საქონლის ამერიკულ იმპორტს. ამერიკის წმინდა ექსპორტი, ამერიკულ საქონელზე ერთობლივი დანახარჯები და აშშ-ს წეპ-ი შემცირდება საზღვარგარეთ შესყიდვათა ეფექტის შედეგად. უფრო დაბალი ფასები ამერიკულ საქონელზე, უკუპროპორციულ ზეგავლენას მოახდენს.

განმარტებიდან გამომდინარე, ცვალებადი ფასების დონის მოდელში, ერთობლივი მოთხოვნის მრუდი, ასახავს ფასების ამ სხვადასხვა დონის შეფარდებას ფაქტობრივი წეპ-ის შესაბამის წონასწორობით დონესთან. განვიხილოთ 13-7 ნახაზი. თავდაპირველად შევნიშნოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვერტიკალურ ღერძზე "შევათავსოთ" კეინსური მოდელი 13-7ა

ნახაზიდან და ერთობლივი მოთხოვნა-ერთობლივი მიწოდების მოდელი 13-7 ბ ნახაზიდან, რადგანაც წარმოების ფაქტობრივი მოცულობის მნიშვნელობები ორივე მოდელში ჰორიზონტალურ ღერძზეა განლაგებული. ჩვენი ანალიზი დაეიწყოთ ზედა გრაფიკის ( $C + I_n + X_n$ )<sub>2</sub> მრუდსა. ერთობლივი დანახარჯების ამ გრაფიკის შესაბამისი ფასების დონე  $P_2$ -ის ტოლია. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება დავაწყოთ ეროვნული პროდუქტის წონასწორობითი დონე, წეპ, ფასების შესაბამისი  $P_2$  დონე. მათი გადაკვეთა ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე მოგვცემს ერთადერთ წერტილს, სახელდობრ -2'-ს (ნახ.13-7 ბ).

შემდეგ ვაკეთებთ იგივეს, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ფასების დონე დაბალია და  $P_1$  -ში იმყოფება. ცნობილია, რომ სხვა თანაბარ პირობებში უფრო დაბალი ფასები იწვევს: (1) სიმდიდრის ღირებულების ზრდას და ამით მოხმარების დანახარჯების მკვეთრ გადიდებას; (2) სარგებლის განაკვეთის დაცემას, და შესაბამისად, საინვესტიციო ხარჯების სტიმულირებას; (3) იმპორტის შემცირებას და ექსპორტის გაფართოებას, რაც ხელს უწყობს ხარჯების ზრდას წმინდა ექსპორტისათვის. მაშასადამე, ერთობლივი დანახარჯების მრუდი გადაინაცვლებს ზევით ( $C + I_n + X_n$ )<sub>2</sub> მდგომარეობიდან, ვთქვათ, ( $C + I_n + X_n$ )<sub>1</sub>-ში, ეს კი იძლევა წონასწორობას წეპ<sub>1</sub>-ის დროს. 13-7ბ ნახაზზე ჩვენ აღვნიშნავთ, ფასების დონის ახალი მნიშვნელობის და ეროვნული წარმოების რეალური მოცულობის,  $P_1$  -სა და წეპ<sub>1</sub>-ის გადაკვეთას  $1'$  წერტილში.

ანალოგიურად ვივარაუდოთ, რომ ფასების დონე  $P_2$  ამოსავალიდან მიაღწევს  $P_3$  -მდე. სიმდიდრის რეალური ღირებულება ეცემა, სარგებლის განაკვეთი იზრდება, ექსპორტი მცირდება, იმპორტი კი ფართოვდება. შესაბამისად, მცირდება მოხმარების, ინვესტიციების და წმინდა ექსპორტის მნიშვნელობები, რაც ერთობლივი დანახარჯების მრუდის გადაინაცვლებას იწვევს ( $C + I_n + X_n$ )<sub>2</sub> მდგომარეობიდან ( $C + I_n + X_n$ )<sub>3</sub> მდგომარეობაში, სადაც რეალური ეროვნული პროდუქტი წეპ<sub>3</sub> ის ტოლია. ეს საშუალებას გვაძლევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე აღვნიშნოთ (ნახ13-7) წერტილი-3', რომელიც შესაბამეა ფასების  $P_3$  დონისა და რეალური პროდუქტის წეპ<sub>3</sub> ის გადაკვეთას.

ვაჯამებთ: ფასების დონის შემცირება ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის ზევით გადაადგილების და ამით რეალური წეპ-ის ზრდის მიზეზია. ფასების დონის გადიდებისას ერთობლივი დანახარჯების გრაფიკი გადაინაცვლებს ქვევით, ხოლო რეალური წეპ შემცირდება. ღერ-

ქებზე ფასების დონისა და რეალური წყ-ის სხვადასხვა მნიშვნელობების განლაგებით, გადაკეთებზე მივიღებთ 1', 2', 3' წერტილებს, რომლებზედაც აიგება მოცემული, დამრეცად დაქვეითებადი ერთობლივი მოთხოვნის მრუდი.

## ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილება

მე-12 თავიდან, ჩვენ ვიცით, რომ ფასების დონე (და მისი გავლენა სიმდიდრის რეალურ ღირებულებაზე, სარგებლის განაკვეთისა და წმინდა ექსპორტზე) მრავალთაგან მხოლოდ ერთ გრაფიკს წარმოადგენს, რომელთაც შეუძლიათ ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის გადაადგილება. მაგალითად, ერთობლივი დანახარჯების ისეთ შემადგენელზე, როგორცაა მოხმარება, ზეგავლენას ახდენს სამომხმარებლო დავალიანება ან გადასახადით დაბეგრვის ცვლილებები. ინვესტიციები კი, მაგალითად, იცვლება მოსალოდნელი მოგების, ტექნიკური პროგრესის, მეწარმეთა გადასახადების და ა.შ. ცვლილებით.

ამის მსგავსად ერთობლივი დანახარჯების ისეთი შემადგენელი, როგორცაა წმინდა ექსპორტი, შეიძლება შეიცვალოს ვალუტის კურსის, სატარიფო პოლიტიკის, წყ-ის დონეების და სხვა ქვეყნებში შემოსავლების ცვლილებით. რა მოხდება, თუ ფასების დონეს მავილებით მუდმივად და ვივარაუდებთ, რომ ერთობლივი დანახარჯების მრუდი გადაადგილდა ისეთი ფაქტორების შეცვლით, რომლებიც დაკავშირებული არაა ფასების დონესთან, მოხმარების ფაქტორებთან, ინვესტიციებთან და წმინდა ექსპორტთან? პასუხი ასეთია: ერთობლივი მოთხოვნის მთელი მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ, ან მარცხნივ. შეგახსენებთ, რომ ფასების დონესთან დაკავშირებული ეს ფაქტორები, რომლებიც იწვევენ ერთობლივი მოთხოვნის გადაადგილებას, განვიხილეთ მე-11 თავში და განზოგადებული სახით მოტანაშია 11-1 ცხრილში.

განვიხილოთ 13-8 ნახაზი. ანალიზი დავიწყეთ ერთობლივი დანახარჯების მრუდით ( $C + I_n + X_n$ )<sup>1</sup> ზემო გრაფიკზე; ამასთან წარმოების ფაქტობრივი მოცულობა წყ-ის ტოლია. ახლა დავუშვათ, რომ მეწარმეთა ოპტიმისტური ვარაუდი ხელს უწყობს ინვესტიციების ზრდას, რის გამოც ერთობლივი დანახარჯების მრუდი ( $C + I_n + X_n$ )<sup>1</sup> მდგომარეობიდან გადაინაცვლებს ზევით ( $C + I_n + X_n$ )<sup>2</sup> მდგომარეობაში.


( $P_1$  ფრჩხილებში ჩვენ შეგვახსენებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ვვარაუდობთ ფასების მუდმივ დონეს). ამის შედეგი, როგორც ვიცით რეალური წყ-ის ზრდა იქნება წყ-დან წყ-მდე. ქვედა გრაფიკზე ეს აისახება ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაადგილებით  $AD_1$ -დან  $AD_2$ -ში, რაც რეალური წყ-ის ანალოგიურ მრავალჯერად ზრდას მოწმობს წყ-დან წყ-მდე. ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ რეალურ წყ-ში მოცემული ცვლილება მიმდინარეობს მუდმივი  $P_1$  ფასების დროს, რადგანაც ჩვენ გავაანალიზეთ ერთობლივი მიწოდების მრუდი კეინსურ (ჰორიზონტალურ) მონაკვეთზე.

## მულტიპლიკატორი და ფასების დონის ცვლილება

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენი ორი მიკრომოდელი სავსებით შეთავსებადია. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის აგება შეიძლება კეინსური მოდელის საფუძველზე (ნახ.13-7), ხოლო ერთობლივი დანახარჯების რომელიც კომპონენტის თავდაპირველი ცვლილების მრავალჯერადი გაძლიერების ეფექტის დაკვირვება შეიძლება ორივე მოდელზე (ნახ.13-8). მაგრამ ორივე მოდელი იდენტური იქნება, როცა ერთობლივ დანახარჯებში და ერთობლივ მოთხოვნაში ცვლილებები გამოიწვევს ფასების დონის ცვლილებას.

განვიხილოთ 13-9 ნახაზი, რომელიც მხოლოდ იმეორებს და აესებს 13-8 ბ ნახაზს. ჩვენ ვნახავთ, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდის აღნიშნული გადაწევა  $AD_1$  მდგომარეობიდან  $AD_2$ -ში, ერთობლივი მიწოდების მრუდის ჰორიზონტალური (კეინსურ) მონაკვეთში მიმდინარეობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ივარაუდება, რომ ეკონომიკა იმყოფება წარმოების დაცემის სტადიაზე წარმოების სიმძლავრეების დიდი დაუტვირთაობით და უმუშევრობის მაღალი დონით. ამიტომ, მეწარმეებს უფრო მეტი პროდუქციის წარმოების მიდრეკილება გააჩნიათ არსებული ფასების პირობებში. ერთობლივი მოთხოვნის ნებისმიერი ცვლილება მრუდის მოცემული მონაკვეთის გარეთ, მთლიანად აისახება რეალურ წყ-სა და დასაქმების ცვლილებებზე, მაშინ, როცა ფასების დონე უცვლელი რჩება. მაშასადამე, ერთობლივი მიწოდების მრუდის კეინსურ მონაკვეთზე მულტიპლიკატორი მთელი სიმძლავრით მოქმედებს.






ნახ. 13.8. ძვრები ერთობლივი დანახარჯების გრაფიკში და ერთობლივი მოთხოვნის მრუდში

13-8 ა ნახაჩივე ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ გარდა ფასების დონის ასეთი ფაქტორების, როგორცაა მოხსარება, ინვესტიციები ან წმინდა ექსპორტი, ერთობლივი დანახარჯების მრუდს გადასწევს  $(C + I_n + X_n)_1$  სდგომარეობიდან  $(C + I_n + X_n)_2$  სდგომარეობაში. ახსიან წარმოების რეალური მოცულობა იზრდება  $წეპ_1$ -დან  $წეპ_2$  - ძვე. 13-8 ბ ნახაჩივე ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ასახება ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაწევიან მარჯვნივ  $AD_1$  მდგომარეობიდან  $AD_2$ -ში, რაც ხსენებით საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ, ეს წარმოების რეალური მოცულობის ასეთივე ზრდაა, როგორც მოდელში "დანახარჯები-წარმოებას მიცულობა". ერთობლივი მოთხოვნის ძვრების გასაჩვენებელი ფაქტორები ჩვენ უკვე განვაზოგადეთ 11-1 ცხრილში.

ახლა ხაზი გავუსვათ, რომ თუ ეკონომიკას განვიხილავთ ერთობლივი მიწოდების მრუდის შუალედურ ან კლასიკურ მონაკვეთებზე, მაშინ ერთობლივი მოთხოვნის ნებისმიერი თავდაპირველი ნამაქის ნაწილი ან მთელი სიდიდე .ნულამდე დაიკვანება ინფლაციით და, ამიტომ, წარმოების რეალური მოცულობისა და დასაქმების ზრდას აღვიღოთ არ ექნება. 13-9 ნახაზზე ერთობლივი მოთხოვნის გადაწევა  $AD_2$ -დან  $AD_3$ -ში იგივე სიდიდისაა, რაც  $AD_1$  -დან  $AD_2$  -ში გადაადგილება. მაგრამ შეხედეთ რა ხდება. რამდენადაც ამჟამად ერთობლივი მიწოდების მრუდის შუალედურ მონაკვეთაზე ვიმყოფებით, ერთობლივი მოთხოვნის ნამაქის ნაწილს შიარითიკვს ინფლაცია, რადგან ფასების დონე იზრდება  $P_1$  -დან  $P_2$ -მდე. მაშასადამე, რეალური წეპ-ი გაიზრდება მხოლოდ წეპ'-მდე. თუ ერთობლივი მიწოდების მრუდი ჰორიზონტალური იქნებოდა,  $AD_2$ -დან  $AD_3$ -ში გადაადგილება გამოსწვევდა წარმოების ფაქტობრივი მოცულობის ზრდას წეპ - მდე. მაგრამ ინფლაციამ დაასუსტა მულტიპლიკაციონის მოქმედება, ასე რომ ფაქტობრივი ნამაქი მდის მხოლოდ წეპ' - მდე რაც დაასლოებით ნახევარს შეადგენს.

**ნახ. 13-9. ინფლაცია და მულტიპლიკატორი**



მოდელი "ერთობლივი მოთხოვნა-ერთობლივი მიწოდება" - მულტიპლიკატორის სახადის შესტარებაზე ინფლაციის შეტყულების დაკვირვების საშუალებას აძლევს. ერთობლივი მოთხოვნის გადაადგილებისას  $AD_1$  -დან  $AD_2$  -მდე ფასების დონე იზრდება და მულტიპლიკატორის მიუღის სასსდადართო მოქმედებს. თუცა ერთობლივი მოთხოვნის ზრდა  $AD_2$  -დან  $AD_3$  -მდე ისეთივე სიდიდის მსდმარეობს, მაგრამ იგი ნაწილობრივ ინფლაციით სულამდე დაიკვანება ( $P_1$  დან  $P_2$ -მდე), და შესაბამისად, წარმოების ფაქტობრივი მოცულობა იზრდება მხოლოდ წეპ2 -დან წეპ'-მდე.

აქედან გამოდის ორი დასკვნა: ჯერ ერთი, ერთობლივი მოთხოვნის ყოველი მოცემული ამოსავალი ნამაჟისათვის, ამასთან დაკავშირებული რეალური წეპ-ის ზრდა მით ნაკლები იქნება, რაც შეემა ფასების დონის ზრდას. ეს უკანასკნელი ასუსტებს მულტიპლიკატორის მოქმედებას. სქე-მატურად გამოსახეთ მოთხოვნის ზრდა, რომელიც  $AD_2$  -დან  $AD_3$  - მდე გადაადგილების ტოლია ვერტიკალურ მონაკვეთზე, რათა დაამტკიცოთ, რომ ხარჯების მოცემული ნამაჟი, ინფლაციით, ნულამდე დაიყვანება მულტიპლიკატორის ეფექტი არ იმუშავებს, რადგანაც ფაქტობრივი წეპ-ი არ შეიცვლება. მეორე და უფრო ზოგადი დასკვნა იმაში მდგომარე-ობს, რომ მოდელი "ერთობლივი დანახარჯები-წარმოების მოცულობა" საკმარისი არაა იმ სიჭრუჭის ასახსნელად, როცა ცვლილებები ერთობ-ლივ დანახარჯებში (და აქედან ერთობლივ მოთხოვნებშიც) იწვევს ფასების დონის შეცვლას.

## მომავალზე შიქრიტ

რა მოხდება შემდგომ? მე-14 თავში ჩვენ სახეს შევუკვლით კეინსურ მოდელებს "დანახარჯები-წარმოების მოცულობა" და "ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდება". წმინდა კერძი ეკონომიკიდან შერეულ ეკონომიკა-ზე გადახვლით, სადაც განხილული იქნება სახელმწიფო დანახარჯები და გადასახადები. ჩვენ ძირითადად ავხსნით სახელმწიფოს თუ როგორ შეუძლია შეცვალოს თავისი ხარჯები და გადასახადით დაბეგვრა ინ-ფლაციის შემსუბუქებისა და უმუშევრობის შემცირების მიხნით.

## რეზიუმე

1. დახურულ ეკონომიკაში, რომელზეც არ ზემოქმედებს სა-ხელმწიფო, წეპ-ის წონასწორობითი დონის პირობებში ერთობ-ლივი დანახარჯები და წარმოების მოცულობა ტოლია, რაც გრა-ფიკზე შეესაბამება წერტილს, სადაც  $C + I_n$  წრფე კვეთს ბისექ-ტრისას. წეპ-ის წონასწორობითზე ზევით ნებისმიერ დონეზე წარმოების მოცულობა გადააჭარბებს ერთობლივ დანახარ-ჯებს, რაც საქონლურ-მატერიალურ მარაგებში გაუთვალისწი-ნებელ ინვესტიციებს, მოგების დაცემას და საბოლოო ანგარი-

შით-წარმოების, დასაქმებისა და შემოსავლის მოცულობის შემცირებას გამოიწვევს. წეპ-ის ნებისმიერ დონეზე წონასწორობითზე ქვევით, ერთობლივი დანახარჯები გადაამეტებს წარმოების მოცულობას და ამით საქონლურ-მატერიალურ მარაგებში ინვესტიციების გაუთვალისწინებელ შეკვეცას, მოგების მნიშვნელოვან გადიდებას და საბოლოო ანგარიშით წეპ-ის ზრდას გამოიწვევს

2. „ამოღება-ინექციის ტოლობის“ დამატებითი მეთოდი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ წეპ-ის წონასწორობა იმ წერტილში, სადაც საოჯახო მეურნეობების დანახარჯების ჯამი დაგეგმილი ინვესტიციების ჯამის ტოლია. ეს სწორედ ის წერტილია, რომელშიც ერთმანეთს კვეთენ დანახარჯებისა და დაგეგმილი ინვესტიციების გრაფიკები. დანახარჯების ნებისმიერი გადამეტება დაგეგმილ ინვესტიციებზე, იწვევს საერთო ხარჯების უკმარისობას და ხელს უწყობს წეპ-ის დაცემას. დაგეგმილი ინვესტიციების ნებისმიერი გადამეტება დანახარჯებზე, გამოიწვევს საერთო ხარჯების სიჭარბეს, რაც ხელს შეუწყობს წეპ-ის ზრდას. წეპ-ში ასეთი ცვლილებები ორივე შემთხვევაში დანახარჯებსა და დაგეგმილ ინვესტიციებს შორის აღნიშნული დაშორების კორექტირებას მოახდენს.

3. ძვრები დანახარჯებისა და მოხმარების თანაფარდობის ან ინვესტიციების გრაფიკებში, გამოიწვევს წარმოებისა და შემოსავლის მოცულობის წონასწორობითი დონის ისეთ ცვლილებას, რომელიც რამდენიმეჯერ აღემატება ხარჯების ამოსავალ ცვლილებებს. ამ ფენომენს, რომელიც თან სდევს ხარჯების როგორც ზრდას, ისე შემცირებას, მულტიპლიკატორის ეფექტი ეწოდება. მარტივი მულტიპლიკატორი დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილების შებრუნებული სიდიდეა.

4. მომჭირნეობის პარადოქსი იმაშია, რომ საზოგადოების მცდელობა მეტის დაზოგვის შესახებ (რაც გამოსატყულებას პოულობს დანახარჯების გრაფიკის ზევით გადაწევაში) შეიძლება ფუჭი აღმოჩნდეს წონასწორობითი წეპ-ის მრავალჯერად შემცირებასთან დაკავშირებით. ამასთან, თუ არსებობს მოთხოვნის ინფლაცია, დანახარჯების ზრდა იმოქმედებს ფასების დონის დაცემაზე. მაგრამ, თუ დამატებითი დანახარჯები გამოიყენება ინვესტირებისათვის, წეპ-ის წონასწორობა არ შეიცვლება და ეკონომიკა დაჩქარებული ტემპებით განვითარდება.

5. წეპ-ის წონასწორობითი დონე შეიძლება არც კი დაემთხვეს სრული დასაქმების პირობებში წეპ-ის არაინფლაციურ დონეს. სიდიდეს, რომლითაც ერთობლივი დანახარჯები ნაკლებია წეპ-ზე სრული დასაქმების პირობებში, რეცესიული გარღვევა ეწოდება; ეს გარღვევა, ამცირებს წეპ-ის რეალურ დონეს. სიდიდე, რომლითაც ერთობლივი დანახარჯები ჭარბობს წეპ-ს სრული დასაქმების პირობებში, ინფლაციური გარღვევა ეწოდება; იგი წარმოშობს მოთხოვნის ინფლაციას.

6. დადებითი წმინდა ექსპორტი ზრდის ერთობლივ დანახარჯებს და ამით შინაგან წეპ-ს, უარყოფითი კი-ამცირებს ერთობლივ დანახარჯებს, და, შესაბამისად, შინაგან წეპ-საც. ექსპორტის ზრდას ან იმპორტის შემცირებას მასტიმულულებელი გავლენა აქვს წეპ-ზე, ხოლო ექსპორტის დაცემას და იმპორტის ზრდას კი შებრუნებული ეფექტი გააჩნია.

7. “ხარჯები-წარმოების მოცულობა“ მოდელიდან გამომდინარე შეიძლება აიგოს დამრეცად დახრილი ერთობლივი მოთხოვნის მრუდი, ფასების დონის შეცვლით და იმის განსაზღვრით, თუ ერთობლივი დანახარჯების მომდევნო ძვრები როგორ აისახება წარმოების ფაქტობრივი მოცულობის წონასწორობითი დონის ცვლილებაზე. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის გადაწევა ურთიერთკავშირშია ერთობლივი დანახარჯების მრუდის ძვრებთან, რომელიც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, რომლებიც არ ზემოქმედებენ ფასების დონეზე, არ იწვევენ მოხმარებაზე, ინვესტიციებსა და წმინდა ექსპორტზე დანახარჯების ცვლილებებს.

8. ფასების დონის უცვლელობისას მოდელი “ერთობლივი მოთხოვნა-ერთობლივი მიწოდება“ რეალური წეპ-ის ისეთსავე მრავალჯერად ცვლილებას იძლევა, როგორსაც მოდელი-“დანახარჯები-წარმოების მოცულობა“.

9. ერთობლივი მიწოდების მრუდის შუალედურ და კლასიკურ მონაკვეთებზე “ერთობლივი მოთხოვნა-ერთობლივი მიწოდების“ მოდელი გვიჩვენებს, რომ მულტიპლიკატორის მოქმედება შესუსტდება, ვინაიდან ერთობლივი მოთხოვნის ნებისმიერი ნამატის ნაწილი ნულზე დაიყვანება ინფლაციის მიერ.

## ტიპიური და ცნებები

ერთობლივი დანახარჯებისა და წარმოების მოცულობის შედარების მეთოდი  
 ამოღებისა და ინექციის მეთოდი  
 წონასწორობითი წეპ-ი  
 ბისექტრისა  
 დაგეგმილი და უაქტობრივი ინვესტიციები  
 მულტიპლიკატორის ეფექტი  
 მომჭირნეობის პარადოქსი  
 რეცესიული და ინფლაციური გარღვევა  
 წმინდა ექსპორტი

## პითხვები და სასწავლო ღაკვალეები

1. გრაფიკის დახსრებით ახსენით როგორ განისაზღვრება წონასწორობითი წეპ. განიხილეთ:

ა) ერთობლივი დანახარჯებისა და ერთობლივი წარმოების შედარების მეთოდი

დასაქმების პოტენციურად შესაძლო დონეები (მლრდ კაცთ)	წეპ - ის წარმოების რეალური მოცულობა = შესოსაქაღის გადასახდების გადასდის შედეგ (მლრდ დოლ.)	მოსწარება (მლრდ დოლ.)	დანაშოგები (მლრდ დოლ.)
40	240	244	-
45	260	260	-
50	280	276	-
55	300	292	-
60	320	308	-
65	340	324	-
70	360	340	-
75	380	356	-
80	400	372	-

ბ) ახლებსა და ინექციის მეორედი კერძო სექტორის დახურულ ეკონომიკაში; ყოველი ივის რატომ ახლებს ეს ორი მეორედი წესის ერთადრომ წინასწარობის დონეს? ახსენათ, რატომ გეაქვს ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის ბაიექტორის გადკევა წინასწარობის წესს.

2. დაუშვათ, რომ ინექციების დონე შეადგენს 16 მლრდ დოლ. დასოკედებულს არაა წარსოების მოცულობის საერთო დონეზე. შეავსეთ შექდეგი ცხრილი და განსაიდრეთ, წარსოებისა და შესისავლის მოცულობის წინასწარობის დონე დახურული ეკონომიკის კერძო სექტორში.

ა) არსებობს თუ არა ინფლაციური ან რეცესიული გარდევა, თუ საშუაო ძალა 70 მლრ, კაცს შეადგენს? ახსენათ მოცუბული გარდევის შედეგები.

ბ) იარსებებს თუ არა ინფლაციური ან რეცესიული გარდევა, თუ საშუაო ძალა მხოლოდ 55 მლრ კაცს შეადგენს? გაანალიზეთ შედეგა.

გ) როგორაა (მ) და ღმ) სიდედე?

დ) განსოიენეთ, მუდგადა კატორი წინასწარობისი წესის ზრდის ასახნულად დგებ-მად ინექსიციებზე დანახარჯების 16-დან 20 მლრდ დოლარანდე გაადების შედეგად.

3. მახსარებისა და დანაოების შესახებ მე-2 კთხეაში მოტანილ მონაცემების განოიენებითა და ამ ვარაუდით, რომ ინექსიციებზე შეადგენს 16 მლრდ დოლ. განსაიდრეთ, როგორი იქნება დანაოება და დგეგმვა ინექსიციებზე 380 მლრდ დოლ. წარსოების მოცულობის დროს, როგორაა იქნება დანაოება და დგეგმვა ინექსიციები 300 მლრდ დოლ. ოდენობის წარსოების მოცულობისა? როგორი იქნება დანაოება და ფაქტობრივი ინექსიციები? გა-მნიენეთ გარდავალისქნებულს ინექსიციების ცნება და ახსენათ, თუ როგორ ეკლბდება 380 და 300 მლრდ დოლ. წინასწარობისი დონე?

4. დასტებისა კათე: დახურული ეკონომიკისათვის მოხსარებისა და დანაოების შესახებ მე-2 კთხეაში მოტანილ მსაღების განოიენებითა განსაიდრეთ შესისავლის წინასწარობისი დონე, თუ დგეგმვა ინექსიციებზე შეადგენს 2 მლრდ დოლ. 240 მლრდ დოლ. ტოლ წესის დონეზე და ასრდება 2 მლრდ დოლარით, თუკათი წესის 20 მლრდ დოლარით მატებისას, ევარაუდით, რომ მეწარმეები ფაქტობრ, კდედე 4 მლრდ დოლ. ინექსიციებს წესის ყოველ დონეზე. იპოვეთ წესის ასალი წინასწარობისი დონე, როგორაა "სექტორულტადაკატორის" სიდედე (იხ. შენიშვნა 3)? ახსენათ, რატომაა იგი მე-2 კთხეასზე ასოქათა მკლებულ მულტადაკატორზე მქტი?

5. დგეგმვა ინექსიციები დანაოების ტოლა წესის ყველა დონეზე: ფაქტობრივი ინექსიციები დანაოების ტოლა მხოლოდ წესის წინასწარობისი დონის პარობებში-ეიანქებთ? ახსენათ, კრატეკულად შეფავით შექდეგი: "ის რომ საოჯახო მეურნეობებს შეუკლათ იზოზე მტის დასოგვა, კადრე მეწარმეი ვარაუბენ ინექსიციებას, არ ასრულბენ არავითარ რიგის, რადგან დროთა მსვლელობაში საოჯახო მეურნეობების და მეწარმეების გარე-მოება ათტლებს დასოგარ და ინექსიციება მოახდართ ერთადროი სიდედათ.

6. რა შენიქნებდება მოახდენს წინასწარობისი წესის დონეზე მე-12 თავის ბოლის მე-6 კთხეაში: მათიიბებულს ყოველს ცვლდაება? ახსენათ მათხებთ.

7. რა არის მარტევი მულტადაკატორის ეყექტი? როგორაა დასოკედებულება მშს-სა და მულტადაკატორის სიდედეს შორი? ღმ? როგორი იქნება მულტადაკატორი თუ ღმ ტო-

(1) წებ - ის წარმოების რეალური მოცულობა = შემოსავა ლს გადა- სახადების გა- დახდის შე- ძლებ (მლრდ დოლ.)	(2) ერთობლივი დანახარჯები, დახურული ეკონომიკა (მლრდ დოლ.)	(3) ექსპორტი (მლრდ დოლ.)	(4) იმპორტი (მლრდ დოლ.)	(5) წმინდა ექსპორტი (მლრდ დოლ.)	(6) ერთობლივი დანახარჯები, ღია ეკონომი- კა (მლრდ დოლ.)
200	240	20	30	-	-
250	260	20	30	-	-
300	280	20	30	-	-
350	300	20	30	-	-
400	320	20	30	-	-
450	340	20	30	-	-
500	360	20	30	-	-
550	380	20	30	-	-

ღია 0: 0.4; 0.6; 1-ს? თუ მსმ შეადგენს 1; 8/9; 2/3; 1/2: 0-ს? როგორ შეიცვლება წებ-ი. თუ მეწარმეებს გაიარდეს ინვესტიციების დონე 8 მლრდ დოლარით, მსმ კა ტოლია 4/5-ის? თუ მსმ = 2/3? ახსენით განსხვავება მართე და რაულ მულტიპლიკატორს შორის.

8. ახსენით მომჭარნიების პარადოქსი. როგორია მისი მნიშვნელობა? "ნებისმიერი ადამიანის შეხედულება მომჭარნიების სოციალური მნიშვნელობის შესახებ დამოკიდებულია იმაზე, თუ ზაქროეკონომიკის რომელი თვალსაზრისის მომხრეა იგი-ეკონისურის თუ კლასიკურის". თქვენ თანახმა ხართ?

9. ქვემოთ მოყვანილი ცხრილის პირველი და მე-2 სვეტების რიცხვითი მნიშვნელობა მოცემულია დახურული ეკონომიკისათვის

ა) გამოიყენეთ პირველი და მე-2 სვეტის მონაცემები წონასწორობითი წებ-ის განსაზღვრისათვის დახურულ ეკონომიკაში.

ბ) ახლა ეკონომიკა ღიაა თქვენი საგარეო ვაჭრობისათვის; შესაბამისად გამოიყენეთ მე-3 და მე-4 სვეტის მნიშვნელობები. გაიანგარიშეთ წმინდა ექსპორტი და განსაზღვრეთ წებ-ის წონასწორობითი დონე ღია ეკონომიკისათვის. ახსენით, წებ-ის წონასწორობითი დონე რით განსხვავდება დახურული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი დონისაგან?

გ) დაუშვით, ექსპორტის ამოსავალი დონე 20 მლრდ დოლარია; როგორი იქნება წებ-ის წონასწორობითი დონე, თუ იმპორტი გადააჭარბებდა ექსპორტს 10 მლრდ დოლარით წებ-ის ყველა დონეზე? არე იქნება თუ არა 10 მლრდ დოლარით ნაკლები? როგორი დასკვნის გაკეთება შეიძლება ამ მაგალითებიდან იმპორტისა და წონასწორობითი წებ-ის დონის შესახებ?



დ) როგორია მულტიპლიკატორების სიდიდე ამ მაგალითებში?

10. შესაბამისი გრაფიკების გასმოკენებით შეაქეთ ერთობლივი დანახარჯების კენსური მოდელი და "ერთობლივი მოახლოვნა-ერთობლივი მიწოდება" მოდელი. განმარტეთ შესდეგი ორი მტყაცება:

ა) "კენსური მოდელი-ესაა მოდელი უქუშეერობით": "ერთობლივი მოახლოვნა-ერთობლივი მიწოდება"- მოდელი ინფლაციით!."

ბ) კენსური მოდელის დანახარჯთა შეიძლება მოახლოვნის ინფლაციის ახსნა. ხოლო "ერთობლივი მოახლოვნა-ერთობლივი მიწოდება"- მოდელი საჭიროა ინფლაციის ხარჯების ასახვასწევად."

11. ახსენათ, თუ აღსაყად ერთობლივი მიწოდების მრუდს როგორ შეუქვლა მულტიპლიკატორის შესუსტება.

12. დასაბუთეთა დაახლად დაქუშეთ, რომ მოხმარების გრაფიკი ეკონომიკაში ღებულობს  $C = 50 + 0,8$  სათეს. ასევე ეიკარადლოთ, რომ ინვესტიციები და წინადა ექსპორტი დამოუკიდებელი არ არიან ( $I_{II}$  და  $X_{II}$ ) . ე.ი. დაგებხელი ინვესტიციები და წინადა ექსპორტი არ არიან დამოკიდებულნი შესოსაყადლზე და უტოლდებან:  $I_{II} = I_{II} = 30$  და  $X_{II} = X_{II} = 10$  . გაახსენეთ ასევე, რომ წონასწორობათა მდგომარეობაში წარსიშობხელი პროდუქციის სიდიდე ( $Y$ ) ტოლთა ერთობლივი დანახარჯებისა ( $C + I_{II} + X_{II}$ ) . არე  $Y = C + I_{II} + X_{II}$

ა) განსაყდერეთ წონასწორობათა შესოსავლის დონე ამ ეკონომიკისა. შეამოწმეთ შედეგი. მოხმარების, ინვესტიციების და წინადა ექსპორტის მნიშვნელობების ცხრაღების სახით წარმოდეგათ და წონასწორობათა შესოსავლის გაანგარაშებათ.

ბ) რა სოუეა  $Y$  წონასწორობათა თუ  $I_{II} = I_{II} = 10$  ? მოცუბულ შესახეეეაში რა სიდიდასა მულტიპლიკატორთა?

13. დასაბუთეთა დაახლად: თუ  $I_{II} = I_{II} = 50$ ,  $X_{II} = X_{II} = 0$  ხოლო  $C = 30 + 0,5 Y$ . მანა, როგორთა იქნება შესოსავლის წონასწორობათა დონე? თუ  $I_{II} = 10 + 0,1 Y$ ,  $X_{II} + X_{II} = 0$  ხოლო  $C = 50 + 0,6 Y$  მანა როგორთა შესოსავლის წონასწორობათა დონე? როგორთა მულტიპლიკატორის მნიშვნელობა მიცუბული ეკონომიკისათვის?

# ბოლო შტრინი

## ეკონომიკური წრის კვადრატურა

სემორისტი ბუხვალდი აღგვიწერს მულტიპლიკატორის მოქმედებას

ვაშინგტონი. კრიზისი ისე სწრაფად დაგვატყდა თავს, რომ არავინ იცოდა როგორ მოხდა იგი. ამერიკა ახლახანს იყო რძის მდინარეებისა და კისელის ნაპირების ქვეყანა და უცბად გადაიქცა ამჟავებული რძისა და საკვების ტალღების ქვეყნად. აი, ერთ-ერთი ახსნა იმისა, თუ რა მოხდა.

ვაშინგტონის საგარეუბნო ქალაქიდან გამყიდველმა ჰოფბერგერმა დაურეკა ფირმა „მამაკაცის ტანსაცმელი და მამაკაცის ტუალეტის ნივთების“ მფლობელს ლიტლტონს და უთხრა, „მახარობელი ვარ! ეს - ესაა მივიღეთ ახალი ავტომანქანების „ნოვას“ პარტია. მე ერთი გადაგინახეთ თქვენ და თქვენ მეუღლეს“

ლიტლტონმა უპასუხა: „ჰოფბერგერ, არ შემიძლია, მე და ჩემი მეუღლე განქორწინებას ვაპირებთ. სამწუხაროა, განაგრძო მან, მაგრამ მე ვერ შევძლებ ამ წელს ახალი მანქანის ყიდვას. როგორც კი მოვაგვარებ საქმეებს მეუღლესთან, მე მოხარული ვიქნები ვიყიდო ველოსიპედი“.

ჰოფბერგერმა დაკიდა ყურმილი. რამდენიმე წუთის შემდეგ მის ტელეფონში კვლავ გაისმა ზარი. „ეს ბედნიეკია, მღებავი, გაისმა ხაზის ბოლოდან,-როდის გასურთ, რომ დავიწყოთ თქვენი სახლის შეღებვა?“

მე გადავიფიქრე,-უთხრა ჰოფბერგერმა,-მე აღარ ვფიქრობ სახლის შეღებვას“ - „მაგრამ მე შეგუკვეთე საღებავი“, -წამოძახა ბედნიეკმა, -რატომ შეცვალეთ თქვენი გადაწყვეტილება?-იმიტომ, რომ ლიტლტონი მეუღლესთან განქორწინებას აპირებს და არ შეუძლია ახალი მანქანის ყიდვა“.

იმავე საღამოს, როცა ბედნიეკი სახლში დაბრუნდა, ცოლმა შეატყობინა: „გამოგზავნეს ახალი ფერადი ტელევიზორი გლედსტონის ტელევიზორების მაღაზიიდან“-“გაგზავნე უკან“-

ამოიხვნეშა ბედნიეკმა. “რატომ?” - აღშფოთდა ცოლი. “რადგანაც ჰოფბერგერს აღარ სურს სახლის შეღებვა იმის გამო, რომ ლიტლტონი ეყრება ცოლს”.

მეორე დღეს მისის ბედნიეკმა ტელევიზორი დააბრუნა მაღაზიაში: - „ჩვენ ეს არ გეჭირდება“.

გლედსტონს სახე შეეცვალა. მან დაუყონებლივ გამოიძახა სატრანსპორტო აგენტი სენდსტრომი: “თუ გახსოვთ თქვენ ჩემი მოგზაურობის შესახებ ვირჯინიის კუნძულებზე?”

„რა თქმა უნდა, ბილეთები უკვე შეუკვეთე“ - “გააუქმეთ შეკვეთა, მე აღარ შემიძლია წასვლა. ბედნიეკმა ეს ესაა დააბრუნა ფერადი ტელევიზორი იმიტომ, რომ ჰოფბერგერმა ვერ მიჰყიდა ლიტლტონს მანქანა, რადგანაც იგი ეყრება ცოლს, რომელიც სთხოვს ფულს“.

სენდსტორმმა დახია ავიაბილეთები და წავიდა ბანკირ გრიპშოლმთან: “მე არ შემიძლია კრედიტის გასტუმრება ამ თვეში, რადგან გლედსტონი აღარ მიფრინავს ვირჯინიის კუნძულებზე“.

გრიპშოლმი აღელდა. როდესაც რუდმიეკერი მოვიდა თავისი რესტორნისათვის ახალი სამზარეულოს შესაქმნად ფულის სასესხებლად გრიპშოლმმა ცივად უპასუხა: „როგორ გასესხოთ ფული, თუ სენდსტორმმა არ დამიბრუნა ვალი?“

რუდმიეკერმა დაურეკა მოიჯარე იგლტონს და უთხრა, რომ არ შეუძლია ახალი სამზარეულოს აშენება. იგლტონმა დაითხოვა რვა კაცი.

იმ ხანებში “ჯენერალ მოტორზიმა“ გამოაცხადა, ახალი მოდელების ფასდაკლებით გაყიდვის თაობაზე. ჰოფბერგერმა ლიტლტონს დაურეკა დაუყონებლივ, “მახარობელი ვარ! თუ თქვენ გინდათ ცოლთან გაყრა, მაინც შეგიძლიათ გქონდეთ ახალი მანქანა“.

მე არ ვეყრები ცოლს-თქვა ლიტლტონმა-ეს ყველაფერი გაუგებრობა იყო, ყველაფერი მოგვარდა“.

„კეთილი,-წამოიძახა ჰოფბერგერმა-ახლა შეგიძლიათ შეიძინოთ “ნოვა““.

„არავითარ შემთხვევაში! საქმე ისე ცუდადაა, რომ საცაა ჩავიძირები“.

„ეს არ ვიცოდი შენიშნა ჰოფბერგერმა. ალბათ გამიგებთ, თვეზე მეტია არ მინახავს ბედნიეკი, არც გლედსტონი, სენ-

დსტორში, გრიპშოლში, რუდმეიკერი და არც იგლტონი. როგორ შეიძლება საქმის წარმოება, თუ ისინი არ გამოჩნდებიან ჩემს მაღაზიაში?“

# თავი მეთოთხმეტი

## ფისკალური პოლიტიკა

მე-14 თავის ძირითადი ამოცანაა — წონასწორობითი წმინდა ეროვნული პროდუქტის (წეპ) შესახებ წინა ორ თავში ჩატარებული კვლევის შევსება სახელმწიფო სექტორის ანალიზით. აუცილებელია შეგახსენოთ, რომ მეწარმეთა და საოჯახო მეურნეობათა სამომხმარებლო, საინვესტიციო და საგარეო სავაჭრო გადაწყვეტილებები კერძო ინტერესებს ეყრდნობა და, რომ ამ საბოლოო შემაჯამებელმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება დაქვეითებაც და ინფლაციაც გამოიწვიოს. მთავრობა კი პირიქით, საზოგადოების ინსტრუმენტს წარმოადგენს მთლიანობაში და ამიტომ, ცნობილი შეზღუდულობის პირობებში მისი გადაწყვეტილებები ხარჯებისა და გადასახადების ამოღების თვალსაზრისით შეიძლება ისე იყოს კორექტირებული, რომ ზეგავლენა მოახდინოს წონასწორობით წეპ-ზე საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდისათვის. კერძოდ, მე-6 თავში ვნახეთ, რომ სახელმწიფო სექტორის უპირველესი ამოცანა ეკონომიკის სტაბილიზაციაა. ასეთი სტაბილიზაცია ნაწილობრივ ფისკალური პოლიტიკის, ე.ი. სახელმწიფო ბიუჯეტის მანიპულაციების — სამთავრობო ხარჯებისა და გადასახადით დაბეგვრის საშუალებით — წარმოებისა და დასაქმების ზრდის ან ინფლაციის შენელების დასახული მიზნების მისაღწევად ხორციელდება. მართლაც, კენისური ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთ ძირითად დებულებას წარმოადგენს პოსტულატი იმის შესახებ, რომ მთავრობა ვალდებულია სწორედ ამგვარად მოიქცეს.

მოცემული თავის უფრო კონკრეტული ამოცანებია:

1) წონასწორობით წეპ-ზე, სამთავრობო შესყიდვებისა და გადასახადების ზემოქმედების ანალიზი; 2) იმის ახსნა თუ გარკვეული ეკონომიკური სტაბილურობა, როგორ „ჯდება“ ამერიკის საგადასახადო სისტემაში; 3) ზოგიერთი ნაკლოვანების დახასიათება და ფისკალური პოლიტიკის პრობლემები.

# კანონმდებლური საფუძველი

მთავრობის ფისკალური მოქმედების მნიშვნელოვანმა მასწავლებლობებმა ზეგავლენამ ეკონომიკაზე, სულ უფრო ფართო აღიარება მოიპოვა 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ პერიოდში. დასაქმების კეისური თეორია საკვანძო როლს ასრულებდა მიზნობრივი ფისკალური ღონისძიებებისათვის ასეთი მნიშვნელობის მინიჭებაში.

**1. 1946 წ. კანონი დასაქმების შესახებ.** 1946 წ. როდესაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებასთან დაკავშირებით გამწვავდა უმუშევრობის პრობლემა, ფედერალურმა მთავრობამ კანონით განამტკიცა თავისი პასუხისმგებლობა ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის. 1946 წ. კანონში დასაქმების შესახებ ვკითხულობთ: „აღნიშნულით აშშ-ს კონგრესი აცხადებს, რომ მიუღმივად განახლებადი პოლიტიკური ამოცანებისა და ფედერალური მთავრობის პასუხისმგებლობის სფეროში შედის ყველა ხელმისაწვდომი საშუალების გამოყენება, რომელიც შეთანხმებულია მის საერთო მიზნებთან და მოვალეობებთან, აგრეთვე ეროვნული პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვან ასპექტებთან, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მოელი მომუშავე მოსახლეობის, შრომების მთავრობის და ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანიზაციების დახმარებითა და ურთიერთმოქმედებით, თავიანთი გეგმების ფუნქციონირება და რესურსების კოორდინაციისა და იქითკენ წასამართავად, რათა შეიქმნას და შენარჩუნებული იქნას პირობები, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო შესაძლებლობები დასაქმებისათვის, თვისდასაქმების ჩათვლით იმათთვის, ვისაც შეუძლია, სურს და ეძებს სამუშაოს და უზრუნველყოს მაქსიმალური დასაქმება, წარმოება და მსყიდველობითი უნარიანობა, მოქმედებს რა იმ ხერხებით, რომლებიც გამიზნულია თავისუფალი კონკურენტული მეწარმეობის გამოყენებისა და განვითარებისათვის და საერთო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.“

დასაქმების შესახებ 1946 წლის კანონი წარმოადგენს ამერიკული სოციალურ-ეკონომიკური კანონმდებლობის მნიშვნელოვან ელემენტს იმ გაგებით, რომ იგი ფედერალურ მთავრობას ავალდებულებს იმოქმედოს კონკრეტულად, გამოიყენოს ფულადი და ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

**2. ეკონომიკური კონსულტანტთა საბჭო და ბაირთიანებაული ეკონომიკური კომიტეტი.** კანონის მიზნების რეალიზებაზე

პასუხისმგებლობა აღმასრულებელ ხელისუფლებას ეკისრება. აშშ-ს პრეზიდენტი ვალდებულია ყოველწლიურად გააკეთოს მოხსენება ეკონომიკის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ, სადაც ჩამოყალიბებულია შესაბამისი პოლიტიკური რეკომენდაციებიც. ამ კანონის შესაბამისად შეიქმნა ასევე აშშ-ს კონგრესის ეკონომიკურ კონსულტანტთა საბჭო (ეკს) ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტისათვის დახმარებისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად და აშშ კონგრესის გაერთიანებული ეკონომიკური კომიტეტი (გეკ), რომელიც საერთო ეროვნული მნიშვნელობის ეკონომიკურ პრობლემათა ფართო წრეს იხილავს. პრეზიდენტის მრჩევლის და „ეკონომიკური ციკლის წინააღმდეგ მუდმივ ომში სადაზვერვო ქვეყანაყოფილების სახით“ ეკს და მისი აპარატი აგროვებს და აანალიზებს ეკონომიკურ ინფორმაციას და იყენებს მას,ჯერ ერთი, პროგნოზის შესადგენად, მეორე, დასაქმების შესახებ კანონის პროგრამების ფორმულირებისა და მისი მიზნების რეალიზაციაზე მიმართული პოლიტიკის შემუშავებისათვის, მესამე, აფართოებს პრეზიდენტის, კონგრესის და ფართო საზოგადოებრიობის თვალსაწიერს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და საკითხებზე.<sup>1</sup>

**3. ჰემპრი-ჰოუპინსის 1978 წ. კანონი.** სრული დასაქმებისა და დაბალანსებული ზრდის შესახებ 1978 წ. კანონმა, რომელიც ფართოდაა ცნობილი როგორც ჰემპრი-ჰოუპინსის კანონი, დაადასტურა და გააფართოვა ფედერალური მთავრობის ამოცანები ეკონომიკის სტაბილიზაციის დარგში. კანონი მთავრობისაგან მოითხოვს ეკონომიკის მიზნების შემუშავებას მომდევნო ხუთი წლისათვის და პროგრამებისა და გეგმის ფორმულირებას მათი რეალიზებისათვის. უფრო მეტიც, კანონმდებლებმა დაიწყეს დასაქმების შესახებ 1944 წ. კანონის მეტად ფართოდ ფორმულირებული ამოცანების დაკონკრეტება. გამოყოფილი მიზნები ამბიციური და არარეალური იყო, დგებოდა 4%-იანი უმუშევრობის დონისა და

---

1. ვ. ჰელერის ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის ახალი განზომილებები“ (Walter W. Heller. *New Dimensions of Political Economy*. New-York: W.W. Norton & Company, Inc., 1967 წ.) იხლევა ეკს-ს ფუნქციათა დაწვრილებით ახსნას და საბჭოს საინტერესო დახასიათებას დრ. ჰელერის ხელმძღვანელობით 1961-1964 წწ. საინტერესო ასევე. ა. ოკუნის წიგნები „აყვავების პოლიტიკური ეკონომია“ (Artur M. Okun. *The Political Economy of Prosperity & New York: W.W. Norton & Company, Inc., 1970*), გ. სტეინის საპრეზიდენტო ეკონომიკური თეორია: ეკონომიკური თეორიის ფორმირება რუზველტიდან რეიგანამდე და შემდგომ“ (Herbert Stein. *Presidential Economics: The Making of Economic Policy from Roosevelt to Reagan and Beyond*. New York: Simonand and Schuster, 1984)

ინფლაციის ტემპების ნულამდე შემცირების ამოცანა. სხვა პრიორიტეტები მოიცავდნენ მსოფლიო ბაზრებზე აშშ-ს პოზიციების გაუმჯობესებას, კერძო ინვესტიციების ზრდის სტიმულირებას და სახელმწიფო სექტორის სიდიდის შემცირებას.<sup>1</sup>

## დისკრეტული ფისკალური პოლიტიკა

პირველ რიგში განვიხილოთ დისკრეტული ფისკალური პოლიტიკა, რომელიც კონგრესის მიერ გადასახადებისა და სამთავრობო ხარჯებით შეგნებულ მანიაულირებას წარმოადგენს ეროვნული წარმოების რეალური მოცულობისა და დასაქმების შეცვლის, ინფლაციაზე კონტროლის და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით.

## გამამარტივებელი წანამკვრები

პოტენციურად რთული მსჯელობების მაქსიმალური გაგების მიზნით შემოგვაქვს შემდეგი გამამარტივებელი წანამკვრები:

1. ჩვენ ვაგრძელებთ ინვესტიციებისა და წმინდა ექსპორტის გამარტივებული მოდელის გამოყენებას, რომელშიც კაპიტალდაბანდებისა და წმინდა ექსპორტის სიდიდე დაკავშირებული არაა წმინდა ეროვნული პროდუქტის სიდიდესთან. უფრო მეტიც, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თავდაპირველი წმინდა ექსპორტი ნულის ტოლია.

2. ჩვენ ასევე ვვარაუდობთ, რომ სამთავრობო შესყიდვები თავდაპირველად არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს კერძო ხარჯების სიდიდეზე — არც მისი გაზრდისა და არც შემცირების მიმართულებით, ე.ი. სამთავრობო ხარჯები არ გამოიწვევს მოხმარებისა და ინვესტიციების არავითარ გადაადგილებებს.

3. ვივარაუდოთ, რომ მთავრობის წმინდა საგადასახადო შემოსავლები<sup>2</sup> მთლიანად ყალიბდება ინდივიდუალური გადასახადების აკრეფის

---

1. Economic Report of the President, 1979. გვ. 106-134

2. წმინდა გადასახადში იგულისხმება საერთო საგადასახადო შემოსულობა „უარყოფითი გადასახადების“ გამოკლებით, ტრანსფერტული მისაცემლების ფორმებით.



ხარჯზე. ამ შეზღუდულობის მნიშვნელობა ისაა, რომ თუმცა შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ ( DI ) პირად შემოსავალზე ( P ) ნაკლები იქნება მთავრობის საგადასახადო შემოსულობათა სიდიდით, მაგრამ წმინდა ეროვნული პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი და პირადი შემოსავალი ერთმანეთის ტოლი დარჩება.

4. თავდაპირველად ჩვენ ვუშვებთ, რომ წმინდა ეროვნული პროდუქტის სიდიდისაგან დამოუკიდებლად მთავრობა გადასახადების ფიქსირებულ სიდიდეს დებულობს.

5. თავდაპირველად, ასევე ვვარაუდობთ, რომ ფასების დონე უცვლელია. ეს ნიშნავს, რომ ცვლილებები ერთობლივ ინვესტიციებში ან ერთობლივ მოთხოვნებში სრულად ზემოქმედებენ რეალურ წარმოებასა და დასაქმებაზე და არ დაიქსაქსება ნაწილ-ნაწილ ან მთლიანად ფასების დონის ცვლილებებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ივარაუდება, რომ ეკონომიკა ფუნქციონირებს ერთობლივი მიწოდების კენისური მრუდის პორიზონტალურ მონაკვეთზე.

6. და ბოლოს, ვივარაუდოთ, რომ ფისკალური პოლიტიკა ზემოქმედებს მხოლოდ მოთხოვნის ფაქტორებზე მაკროეკონომიკაში. გამორიცხულია ფისკალური პოლიტიკის წინასწარგანზრახული ან შემთხვევითი გავლენა ერთობლივ მიწოდებაზე.

ეს წანამძღვრები საშუალებას გვაძლევს მარტივი და სისტემატიზებული წარმოდგენა შეგვექმნას იმის შესახებ, თუ სამთავრობო ხარჯების და გადასახადების ცვლილებები როგორ ზემოქმედებენ ეკონომიკაზე. ამ წანამძღვრების დიდი ნაწილი ძალას დაკარგავს მაშინ, როცა ჩვენ შევისწავლით იმ სირთულეებს და ნაკლოვანებებს, რომელთაც რეალურ სამყაროში აწყდება ფისკალური პოლიტიკა.

ეკონომიკის კერძო სექტორის კანონზომიერებათა განხილვისას ჩვენ არაპირდაპირ ვვარაუდობთ, რომ საქონელსა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები ( 3 ) და საგადასახადო შემოსულობები ( 2 ) ნულს გაუტოლდებოდა. ეხლა მოდით ვივარაუდოთ, რომ 3 და 2 გაიზარდა ნულიდან, ვთქვათ 20 მლრდ დოლარამდე, და განვიხილოთ ამ ცვლილებათაგან თითოეულის ცალკეული ზემოქმედება, და შემდეგ მათი საერთო, ერთობლივი ეფექტი. როგორც წინათ, ისე ახლაც, ჩვენს ანალიზს თან ახლავს გრაფიკები და ცხრილები.

# სამთავრობო შესყიდვები და წონასწორობითი წეკ-ი

ვიკარაუდოთ, რომ მთავრობამ გადაწყვიტა შეისყიდოს 20 მლრდ დოლ. საქონელი და მომსახურება იმისგან დამოუკიდებლად თუ როგორია წეკ-ის სიდიდე. 14-1 ცხრილში ნაჩვენებია მისი ზეგავლენა წონასწორობით წეკ-ზე .1-დან 4-მდე სვეტები გადმოტანილია 13-1 ცხრილიდან, სადაც დახურული, კერძო ეკონომიკისათვის, როგორც თქვენ გახსოვთ, წონასწორობითი წეკ შეადგენდა 470 მლრდ დოლარს. ერთადერთი ახალი ნიშანია წმინდა ექსპორტის დამატება (ექსპორტს მინუს იმპორტი) მე-5 სვეტში და წინასწარი შესყიდვები მე-6 სვეტში. კერძო ხარჯებზე ( $C + I_{II} + X_{II}$ ) სამთავრობო შესყიდვების დამატებით მივიღებთ ერთობლივი დანახარჯების უფრო მაღალ დონეს, როგორც ეს მე-7 სვეტშია ნაჩვენები. პირველი და მე-7 სვეტების შედარებით, ჩვენ ვნახავთ, რომ ერთობლივი დანახარჯები და ეროვნული პროდუქტი ტოლია წეკ-ის უფრო მაღალი დონის დროს, კერძოდ კი წონასწორობითი წეკ 470 მლრდ დოლარიდან (სტრიქონი 6) გაიზარდა 550 მლრდ დოლარამდე (სტრიქონი 10). სახელმწიფო ხარჯების ზრდა, როგორც კერძო ხარჯების ზრდა, იწვევს ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის გადაადგილებას ბისექტრისასთან შედარებით და გამოიწვევს წეკ წონასწორობითი სიდიდის ზრდას. ასევე შევნიშნავთ, რომ სამთავრობო ხარჯები მულტიპლიკატორის ეფექტს ექვემდებარება. 20 მლრდ დოლარით სამთავრობო შესყიდვების გადიდება გამოიწვევს წონასწორობითი წეკ-ის გადიდებას 80 მლრდ დოლარით (= 550 მლრდ დოლ. მინუს 470 მლრდ დოლ.) ე.ი. მოცემულ შემთხვევაში მულტიპლიკატორი 4-ის ტოლია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამთავრობო ხარჯების ეს ზრდა 20 მლრდ დოლარით ფინანსდება არა საგადასახადო შემოსულობათა ხარჯზე. ჩვენ მაშინათვე დავინახავთ, რომ გადასახადების ზრდა იწვევს წონასწორობითი წეკ-ის შემცირებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ მასტიმულელები ზემოქმედებისათვის, რომელსაც ჩვენ ეხლა განვიხილავთ, სახელმწიფო ხარჯებს თან უნდა ახლდეს ბიუჯეტის დეფიციტი. კეინსის ფუნდამენტური რეკომენდაციები მოიცავენ სწორედ დეფიციტური დაფინანსების ზრდას დაცემისა და დეპრესიების დასაძლევად.

გადენა — ინექციების ნაკადების ტერმინებით სამთავრობო შესყიდვები, ისევე როგორც ინვესტიციები, წარმოადგენენ დანახარჯების გადიდებას. დანაზოგების გადინებისა და იმპორტის შედეგად ეცემა საშინაო პროდუქტის მოხმარება შემოსავლის საშინაო მოცულობის ქვევით,

ცხრილი 14-1. სახელმწიფო შესყიდვების ზემოქმედება ნონასწორობით ნმინდა ეროვნულ პროდუქტზე (პირობითი მონაცემები)

(1) რეალური ეროვნული პროდუქტი და შემოსავალი, $V_{\text{კ}}=DI$ , (მლრდ დოლ.)	(2) მოხმარება, $C$ (მლრდ დოლ.)	(3) დანაზოგები, $S$ (მლრდ დოლ.)	(4) ინვესტიციები, $I_{\text{II}}$ (მლრდ დოლ.)	(5) წმინდა ექსპორტი, $X_{\text{II}}$ (მლრდ დოლ.)		(6) სახელმწიფო შესყიდვები $G$ (მლრდ დოლ.)	(7) ერთობლივი დანახარჯები $C + I_{\text{II}} + X_{\text{II}} + G$ (მლრდ დოლ.) ანუ $(2)+(4)+(5)-(6)$
				ექსპორტი $X$	იმპორტი $M$		
(1) 370	375	- 5	20	10	10	20	415
(2) 390	390	0	20	10	10	20	430
(3) 410	405	5	20	10	10	20	445
(4) 430	420	10	20	10	10	20	460
(5) 450	435	15	20	10	10	20	475
(6) 470	450	20	20	10	10	20	490
(7) 490	465	25	20	10	10	20	505
(8) 510	480	30	20	10	10	20	520
(9) 530	495	35	20	10	10	20	535
(10) 550	510	40	20	10	10	20	550


გადასახადების გადახდის შემდეგ შეიქმნება რა პოტენციური გარღვევა შემოსავლებში. ეს გარღვევა შეიძლება დაიფაროს ინვესტიციების ინექციით, ექსპორტით ან სამთავრობო შესყიდვებით. ჩაინიშნეთ, რომ 14-1 ცხრილში  $V_{\text{კ}}$ -ის წონასწორობითი დონე 550 მლრდ დოლ. (სტრიქონი 10) წესდება  $S + M = I_{\text{II}} + X + G$  პირობებში. ე.ი. იმის გათვალისწინებით, რომ გადასახადები ნულის ტოლია  $40+10=20+10+20$ . ნახაზი 14-1 გრაფიკულად გვიჩვენებს სახელმწიფო ხარჯების ზემოქმედებას.

14-1ა ნახაზზე ჩვენ მარტოოდენ ვუმატებთ სამთავრობო შესყიდვებს ( $G$ ) — კერძო ხარჯების ( $C + I_n + X_n$ ) დონეს. ამის შედეგად ერთობლივი დანახარჯების სიდიდე (კერძოს პლუს სახელმწიფო) გაიზრდება ( $C + I_n + X_n + G$ ) — მდე და გამოიწვევს წონასწორობითი წეპ-ის გადიდებას 80 მლრდ დოლარით. 14-1 ბ ნახაზი გვიჩვენებს წონასწორობითი წეპ-ის იმავე ცვლილებებს გადენა-ინექციების ნაკადთა მიდგომის ტერმინებში. როგორც ინვესტიციები და ექსპორტი, ასევე სამთავრობო შესყიდვები წარმოადგენს დანახოგების და იმპორტის გადენის აღდგენას. შესაბამისად, ჩვენს ანალიზში  $G$  სიდიდის ჩართვით, წონასწორობითი წეპ-ის დონე ახლა განისაზღვრება იმ წერტილში, სადაც საოჯახო მეურნეობათა დანახოგების სიდიდეს პლუს იმპორტი ზუსტად კომპენსირდება სიდიდით, რომელთა ინვესტირებასა და ექსპორტს ვარაუდობენ მეწარმეები, პლუს მთავრობის მიერ საქონელსა და მომსახურებაზე დახარჯული სიდიდე. ე.ი. გადასახადების არარსებობის პირობებში წონასწორობითი წეპ განისაზღვრება ( $S + M$ ) და ( $I_n + X_n + G$ ) გრაფიკების გადაკვეთის წერტილში.

როგორია სახელმწიფო ხარჯების შემცირების შედეგები? ცხადია,  $G$  სიდიდის შემცირება გამოიწვევს ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის ქვეით გადაადგილებას 14-1 ა ნახაზზე და ( $I_n + X_n + G$ ) გრაფიკისა 14-1 ბ ნახაზზე. ნებისმიერ შემთხვევაში შედეგი წონასწორობითი წეპ-ის ჯერადი შემცირება იქნება. თქვენ უნდა შეამოწმოთ, რომ თუ სამთავრობო ხარჯები 20-დან 10 მლრდ დოლარამდე შემცირდება, მაშინ წონასწორობითი წეპ შემცირდება 40 მლრდ დოლარით, ე.ი. 550-დან 510 მლრდ დოლარამდე. ეს ნიშნავს, რომ მულტიპლიკატორი 4-ის ტოლია.

## გადასახადით დაგეგვრა და წონასწორობითი წეპ

მაგრამ მთავრობა ასევე გადასახადებსაც აკრეფს როგორ მოქმედებს გადასახადების ამოღება წონასწორობითი წეპ-ის სიდიდეზე? ამ კითხვაზე უმარტივესი პასუხის გასაცემად ჩვენ ვუშვებთ, რომ მთავრობა შემოიღებს გადასახდელ აკორდულ (საერთო) გადასახადს, რაც განმარტების თანახმად წარმოადგენს უკვლელი სიდიდის გადასახადს, ანუ უფრო ზუსტად, გადასახადს, რომელიც საგადასახადო შემოსულობათა ერთი და იგივე თანხას მოგვეკემს ნებისმიერი სიდიდის წეპ-ის პირობებში



**ნახ. 14-1. სახელმწიფო ხარჯები და წონასწორობითი წმინდა ეროვნული პროდუქტი (წეპ)**

ა) ერთობლივი გამოშვება — ერთობლივი დანახარჯების ნაკადისა და ანალიზის პოზიციები და მიდგომა. ჩვენს ანალიზში სახელმწიფო ხარჯების ( $G$ ) ჩართვა ერთობლივი დანახარჯების ( $C + I_n + X_n + G$ ) გრაფიკს გადაადგილებს ზევით და გამოიწვევს წონასწორობითი წეპ-ის ზრდას, ისევე როგორც  $G$ ,  $T$  და  $X_n$ -ის ზრდის შემთხვევებში. ჩაინიშნეთ, რომ სახელმწიფო ხარჯების ცვლილებები მულტიპლიკატორის ეფექტის მოქმედებას ექვემდებარება.

ბ) მთავრობა გადაიღეს — ინექციების ნაკადის ანალიზის საფუძველზე. გადაიღეს — დანაკარგები — ინექციების ნაკადის ანალიზის ტერმინებში სახელმწიფო ხარჯები აესებს კერძო ინვესტიციებს და წმინდა საექსპორტო ხარჯებს ( $I_n + X_n + G$ ), იწვევს რა წონასწორობითი წეპ-ის გადიდებას.

ცხრილი 14-2 დასაკმების, გამოშვებისა და შემოსავლის ნონასნორებითი დონის განსაზღვრა: კერძო და სახელმწიფო სექტორი (პირობითი მონაცემები)

(1) რეალური ეროვნული პროდუქტი და შემოსავალი, $\Sigma P = NI = PI$ (მლრდ დოლ.)	(2) გადასახადები, $T$ , (მლრდ დოლ.)	(3) შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ, $DI$ (მლრდ დოლ.)	(4) მომარება $C_a$ (მლრდ დოლ.)	(5) დანახვები, $S_a$ (მლრდ დოლ.) (3)-(4)	(6) ინვესტიციები, $I_{II}$ (მლრდ დოლ.)	(7) წმინდა ექსპორტი, $X_{II}$ (მლრდ დოლ.)		(8) სახელმწიფო შესყიდვები, $G$ (მლრდ დოლ.)	(9) ერთობლივი დანახვები $C_a + I_{II} + X_{II} + G$ (მლრდ დოლ.) (4)+(6)+(7)+(8)
		(1) - (2)			ექსპორტი $X$	იმპორტი $M$			
(1) 370	20	350	360	- 10	20	10	10	20	400
(2) 390	20	370	375	- 5	20	10	10	20	415
(3) 410	20	390	390	0	20	10	10	20	430
(4) 430	20	410	405	5	20	10	10	20	445
(5) 450	20	430	420	10	20	10	10	20	460
(6) 470	20	450	435	15	20	10	10	20	475
(7) 490	20	470	450	20	20	10	10	20	490
(8) 510	20	490	465	25	20	10	10	20	505
(9) 530	20	510	480	30	20	10	10	20	520
(10) 550	20	530	495	35	20	10	10	20	535

ში. მოდით ვივარაუდოთ, რომ ჩვენს შემთხვევაში ამ გადასახადების სიდიდე 20 მლრდ დოლარია, ისე, რომ მთავრობა მიიღებს 20 მლრდ

დოლ. საგადასახადო 'შენატანს წეპ-ის'<sup>1</sup> ყოველ და ნებისმიერ სიდიდებზე. როგორია სახელმწიფო საგადასახადო მისაკრებლების ზრდის გავლენა ნულიდან 20 მლრდ დოლარამდე წეპ-ის ყოველი სიდიდის დროს?

აქ მართებულია 14-2 ცხრილის განხილვა. შემოიტანება გადასახადები (სვეტი 2), და მე-3 სვეტის მონაცემებიდან ჩანს, რომ შემოსავლის სავარაუდო სიდიდე (გადასახადების გადახდის შემდეგ) წეპ-ისაგან განსხვავდება გადასახადების ოდენობით. შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდეგ ( $DI$ ) შემცირდა 20 მლრდ დოლარით გადასახადების სიდიდით — წეპ-ის ყოველი დონისათვის. და რადგანაც  $DI$  საშობმხარებლო ხარჯებისა და ინვესტიციებისაგან შედგება, ჩვენ შეიძლება მოველოდეთ, რომ შემოსავლი სავარაუდო შემცირება გამოიწვევს მოხმარების და დანაზოგების შეკვეცას. მაგრამ როგორი იქნება ეს შემცირება? პირადი მოხმარებისა და პირადი დანაზოგების მულტიპლიკატორები ( მზმ და ღზმ ) დაგვეხმარება ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. მზმ გვინვირებს თუ შემოსავლის დაცემის რომელი ნაწილი მოხდება მოხმარების ხარჯზე გადასახადების გადახდის შემდეგ ( $DI$ ), ხოლო ღზმ კი გვინვირებს თუ  $DI$  -ს დაცემის რომელი ნაწილი მოვა დანაზოგების დაქვეითებაზე. თუ ჩავსვლით, რომ მზმ  $3/4$  ( $15/20$ ) -ის ტოლია, ღზმ კი —  $1/4$  ( $5/20$ ) — სა, შეიძლება დავასკვნათ: თუ მთავრობა აკრეფს 20 მლრდ დოლ. გადასახადებს წეპ-ის ნებისმიერი სიდიდის დროს, მოხმარების მოსალოდნელი სიდიდე წეპ-ის ყოველ მნიშვნელობაზე შემცირდება 15 მლრდ დოლარით (20 მლრდ დოლარის  $3/4$ ), ხოლო დანაზოგების სიდიდე ყოველი წეპ-ის დროს შემცირდება 5 მლრდ დოლარით. ჩაინიშნეთ, რომ 14-2 ცხრილის 4 და 5 სვეტებში მოხმარებისა და დანაზოგების რაოდენობა წეპ-ის ნებისმიერი სიდიდის დროს შესაბამისად, 15 და 5 მლრდ დოლარით ნაკლები იყო, ვიდრე 14-1 ცხრილში. ამრიგად, მაგალითად, გადასახადით დაბეგვრის შემოღებამდე, ე.ი. წეპ-სა და  $DI$  -ს ტოლობის შემთხვევებში მოხმარება შეადგენდა 420 მლრდ დოლარს, დანაზოგები კი — 10 მლრდ დოლ. წეპ-ის 400 მლრდ დოლარის ტოლობისას. (სტრუქტონი 4, ცხრილი 14—1). დაბეგვრის შემოღების შემდეგ სავარაუდო შემოსავალი შეადგენს 410 მლრდ დოლარს, რაც 20 მლრდ დოლარით ნაკლებია 430

1. ეს აშკარად რეგრესული საგადასახადო სისტემაა, ვინაიდან გადასახადის საშუალოზანაყვით,  $T / წეპ$ , ეცემა წეპ-ის შემცირების კვალობაზე. მრეწველურად განვითარებული ქვეყნების უმეტესობას პროგრესული ანუ პროპორციული საგადასახადო სისტემები გააჩნია. ამ ორი უკანასკნელი სისტემის მიერ ჩვენს სქემაში შემოტანილ მნიშვნელოვან თავისებურებებს ჩვენ ძალე შეეხებით.


მლრდ დოლარის წეპ-ზე. და მოხმარებამ ამის შედეგად შეადგინა 405 მლრდ დოლ., დანაზოგებმა კი — 5 მლრდ (სტრიქონი 4, ცხრილი 14-2).

შევაჯამოთ: გადასახადით დაბეგვრა იწვევს გადასახადების გადახდის შემდეგ შემოსავლის შემცირებას წეპ-თან შედარებით გადასახადის სიდიდით. DI -ს ეს შემცირება თავის მხრივ, იწვევს მოხმარებისა და დანაზოგების მოცულობის შემცირებას წეპ-ის ყოველ დონეზე. C და N -ის შემცირების სიდიდე განისაზღვრება მზმ და ღზმ-ს მოცულობით. კერძოდ, მოხმარების შემცირების სიდიდის დასადგენად საჭიროა გადასახადების ნამატის ჯამი (20 მლრდ დოლ.) გაეამრავლოთ მზმ (3/4)-ზე. ანალოგიურად: გადასახადების ნამატის ჯამის გამრავლებით ღზმ (1/4)-ზე მცირდება დანაზოგების სიდიდე (5 მლრდ. დოლ.)

როგორ იცვლება წონასწორობითი წეპ ასეთ შემთხვევებში? გამოვთვალოთ ერთობლივი დანახარჯები როგორც ეს ნაჩვენებია 14-2 ცხრილის მე-9 სვეტში. ჩაინიშნეთ, რომ ერთობლივი დანახარჯები 15 მლრდ დოლარით ნაკლებია წეპ-ის ყოველი სიდიდის დროს, ვიდრე ეს იყო 14-1 ცხრილში. მიზეზი, რა თქმა უნდა ისაა, რომ მოხმარება გადასახადების გადახდის შემდეგ, რომელიც აღნიშნულია  $C_a$ -თი, მცირდება 15 მლრდ დოლარით წეპ-ის ყოველი მნიშვნელობის დროს. ეროვნული პროდუქტის ერთობლივ დანახარჯებთან შედარებისას პირველ და მე-9 სვეტში, ნათლად ჩანს, რომ წარმოების და მოხმარების ერთობლივი სიდიდეები გათანაბრდებიან მხოლოდ წეპ-ის ისეთი მოცულობის დროს, როცა იგი 420 მლრდ დოლარს შეადგენს (სტრიქონი 7). ჩაინიშნეთ, რომ აკორდული გადასახადის შემოღებამ გამოიწვია წონასწორობითი წეპ-ის შემცირება 60 მლრდ დოლარით, 550-დან (ცხრილი 14-1, სტრიქონი 10). 490 მლრდ დოლარამდე (ცხრილი 14-2, სტრიქონი 7).

ამ დასკვნებს ასაბუთებს გადენა — ინექციების ნაკადთა ანალიზის პრინციპზე დამყარებული ჩვენი ალტერნატიული მიდგომა. გადასახადები, ისევე როგორც დანაზოგები და იმპორტი, წარმოადგენს გადენას საშინაო შემოსავლებისა და ხარჯების ნაკადიდან. დანაზოგები, იმპორტი და გადასახადების გადახდა წარმოადგენს შემოსავლის ისეთ გამოყენებას, რომელიც არ ეხება საშინაო მოხმარებას. მოხმარება ახლა ეროვნულ წარმოებაზე ნაკლები იქნება, შექმნის რა ამგვარად ხარჯებიდან პოტენციურ გარღვევას იმ სიდიდით, რაც შეადგენს დანაზოგებს გადასახადების გადახდის შემდეგ და იმპორტს კლუს გადასახადები. ეს გარღვევა შეიძლება შეივსოს დაგეგმილი ინვესტიციებით, ექსპორტით და სახელმწიფო შესყიდვებით. შესაბამისად, წონასწორობის ჩვენი ახალი





### ნახ.14-2. გადასახადები და წონასწორობითი წეპ

ა) ეროვნული დანახარჯები — ეროვნული გამოშვების ნაკადის პოზიციური მიზლოპ. ოუ მოხმარებისადმი ზღერული მიდრეკილება (შზმ) 3/4-ის ტოლია, მაშინ 20 მლრდ. დოლარის გადასახადის შემოღება მოხმარების გრაფიკს დაქვეითებს 15 მლრდ. დოლარით, და მასასადა-მე, შეამცირებს წონასწორობითი წეპ-ის მოცულობას.

ბ) გადასახადების ნაკადის არათოვის საფუძველზე მიზლოპ. აქ გადასახადის ორმაგი ეფექ-ტი გააჩნიათ. ჯერ ერთი, ოუ მოხმარებისადმი ზღერული მიდრეკილება 1/4-ის ტოლია, 20 მლრდ დოლ. გადასახადის შემოღება შეამცირებს შემოსავალს გადასახადების გადახდის შემ-დეგ 20 მლრდ დოლარით და დანაზოგებს 5 მლრდ დოლარით წეპ-ის ყოველ დონეზე. ეს ნაწე-ნებია გადაადგილებით  $S$  (დანაზოგები გადასახადის გადახდაზე) +  $M$  - დან  $S_a$  (დანაზოგები გადასახადების გადახდის შემდეგ) +  $M$  -მდე მუორე, 20 მლრდ დოლ. გადასახადი წარმოადგენს დამატებით 20 მლრდ. დოლ დამატებით. დანაკარგს წეპ-ის ყოველ დონეზე, რაც გვაძლევს  $S_a + M + T$  -ს. სამთაურობო ხარჯების წონასწორობის პირობები იცვლება და ახლა გამო-იყურება არა როგორც  $S + M = I_n + X$  -ის სახით, არამედ  $S_a + M + T = I_n X + G$  -ს სახით.

პირობები დანაკარგები-ინექციების ნაკადთა ანალიზთან შესაბამისობაში შექმდენარად გამოიყურება: დანახოები გადასახადების გადახდის შემდეგ პლუს იმპორტი, პლუს გადასახადები ეწოდება დაგეგმილ ინვესტიციებს პლუს სახელმწიფო შესყიდვები. სიმბოლოებში:

$S_a + M + T = I_n + X + G$ , თქვენ შეგეძლოთ შეგემოწმებინათ 14-2 ცხრილის მიხედვით, რომ გადენისა და ინექციების ეს ტოლობა სრულდება მხოლოდ 490 მლრდ დოლარის ტოლი წეპ-ის პირობებში (სტრუქტონი 7).

20 მლრდ დოლარით გადასახადების გადიდების ზემოქმედება გრაფიკულად ნაჩვენებია 14-2 ა და 14-2 ბ ნახაზებზე. 14-2 ა ნახაზზე 20 მლრდ დოლარით გადასახადების გადიდება გამოიყურება როგორც  $(C_a + I_n + X_n + G)$  ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის გადანაცვლება ქვევით 15 მლრდ დოლარით (და არა 20 მლრდ-ით). ჩვენი გამარტივებული ვარაუდის პირობებში — რომ ყველა გადასახადი, პრდადი შესოსავლის გადასახადებია — ერთობლივი დანახარჯების ასეთი გადაადგილება წარმოადგენს მხოლოდ ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის სამომხმარებლო კომპონენტის შემცირების შედეგს. წონასწორობითი წეპ გადაინაცვლებს 550 მლრდ წერტილიდან 490 მლრდ დოლარისაკენ და ამის შედეგად გადასახადები გამოიწვევს მოხმარების დაკემას.

შევაჯამოთ: გადასახადების ზრდა გამოიწვევს ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის გადანაცვლებას ბისექტრისასთან დამოკიდებულებაში და წონასწორობითი წეპ-ის სიდიდის შემცირებას.


ახლა გასვიხილოთ გადადენა-ინექციის ნაკადთა ანალიზის შედეგები. აქ ანალიზი რამდენადმე რთულია, რამდენადაც 20 მლრდ დოლ. გადასახადის შემოღებას 14-2ბ ნახაზზე ორმხრივი ეფექტი გააჩნია. ჯერ ერთი, გადასახადები იწვევს შემოსავლების შემცირებას გადასახადების გადახდის შესდეგ და დზმ-ის 1/4-ის ტოლობისას განაპირობებს დანახარჯების შემცირებას 5 მლრდ დოლარით წეპ-ის ნებისმიერი დონის დროს. 14-2ბ ნახაზზე ეს ნაჩვენებია გადაადგილებით (დანახოები გადასახადების შემოღებამდე პლუს იმპორტი)  $S+M$  - დან (დანახოვი გადასახადების შემოღების შემდეგ პლუს იმპორტი)  $S_a+M$  -მდე. მეორე, 20 მლრდ დოლარი გადასახადი, როგორც ასეთი, ჩნდება როგორც 20 მლრდ დოლ. დამატებითი გადადენა სისტემიდან წეპ-ის ყოველ დონეზე, რომელიც უნდა დაემატოს  $S_a+M$  -ს (და არა  $S+M$  -ს) მოგვეცემს რა  $S_a+M+T$ -ს. ახლა წონასწორობა მიიღწევა 490 მლრდ დოლ. წეპ-ის დროს, როცა მომხმარებლის მიერ დაზოგილი საერთო თანხა პლუს

იმპორტი, პლუს მთავრობის მიერ მოსაგროვებელი გადასახადების სავარაუდო თანხა, გადასახადების სახით კოლია იმ საერთო თანხისა, რომელთა ინვესტირებასაც გეგმავენ იეწარმეები, პლუს ექსპორტი, პლუს სახელმწიფო შესყიდვები. წონასწორობის პირობა გადადენა — ინექციების მიდგომისათვის ახლა გამოიყურება შემდეგნაირად:  $S_a + M + T = I_n + X + G$  გრაფიკულად წეპ-ის წონასწორობის წერტილი წარმოადგენს  $S_a + M + T$  და  $I_n + X + G$  გრაფიკების ურთიერთგადაკვეთის წერტილს.

არსებული გადასახადების შემცირება იწვევს ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის ზევით გადაადგილებას 14-2ა ნახაზზე მოხმარების გრაფიკის გადაწევის შედეგად. 14-2ბ ნახაზის ტერმინებში გადასახადების შემცირება იწვევს  $S_a + M + T$  გრაფიკის დონის შემცირებას. ნებისმიერ შემთხვევაში შედეგი წონასწორობითი წეპ-ის სიდიდის ხანმოკლე ზრდა იქნება. თქვენ უნდა გამოიყენოთ ორივე ხერხი (ხარჯები — გამოშვება და გადენა — ინექციები). იმის დასამტკიცებლად, რომ 10 მლრდ. დოლარით გადასახადების შემცირება (არსებული 20) მლრდ. დოლარიდან 10 მლრდ დოლარამდე) გამოიწვევს წონასწორობითი წეპ-ის გადიდებას 490-დან 520 მლრდ დოლარამდე.

## დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი

ჩაინიშნეთ მნიშვნელოვანი და საინტერესო ფაქტი ჩვენს ცხრილურ და გრაფიკულ ილუსტრაციებში. სამთავრობო ხარჯებისა და გადასახადით დაბეგრის თანაბარი გადიდება გამოიწვევს წონასწორობითი წეპ-ის გადიდებას, ე.ი. თუ  $G$  და  $T$  გარკვეული სიდიდით იზრდება, მაშინ ეროვნული წარმოების წონასწორობითი დონე ასევე იმავე სიდიდით იზრდება: ჩვენს მაგალითში  $G$  და  $T$  -ს გადიდება 20 მლრდ დოლარით გამოიწვევს წონასწორობითი წეპ-ის გაზრდას 20 მლრდ დოლარით 470-დან 490 მლრდ დოლარამდე. ე.ი. ასეთი ე.წ. დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორის საფუძველი ჩვენს მაგალითში ახსნილია. სამთავრობო ხარჯების ცვლილებებს ბევრად უფრო ძლიერი ზეგავლენა გააჩნიათ ერთობლივ დანახარჯებზე, ვიდრე ასეთივე მასშტაბის გადასახადების სიდიდის შეცვლას. სამთავრობო ხარჯები პირდაპირ და უშუალოდ ხემოქმედებენ



ნახ. 14-3. დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი

დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი უდრის ერთს. გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების თანაბარი გადიდება გამოიწვევს წეპ-ის ისეთი სიდიდით ნამატს, რომელიც სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების მოცულობის ტოლი იქნება. მოხმარებისა კენ 3/4 — ის ტოლი ზღვრული (შპ) მიღრეკილების დროს, გადასახადების გადიდება 20 მლრდ დოლარით გამოიწვევს შემოსავლების შემცირებას გადასახადების გადახდის შემდეგ 20 მლრდ დოლარით და სამომხმარებლო ხარჯების შეკვეცას 15 მლრდ დოლარით. რადგანაც მულტიპლიკატორი 4-ის ტოლია, წეპ შემცირდება 60 მლრდ. დოლარით, მაგრამ სახელმწიფო ხარჯების ნაწილი 20 მლრდ დოლარით გამოიწვევს წეპ-ის უფრო მეტად გაძაწონასწორებელ გადიდებას 80 მლრდ დოლარით. მაშასადამე, წეპ-ის წმინდა ნამატი 20 მლრდ დოლარს შეადგენს, რაც სამთავრობო გადასახადებისა და ხარჯების ნამატის სიდიდის ტოლია.

ერთობლივ დანახარჯებზე. სამთავრობო ხარჯები — ერთობლივი დანახარჯების კომპონენტია, და თუ სახელმწიფო შესყიდვები იზრდება 20 მლრდ დოლარით, როგორც ჩვენს მაგალითში, ერთობლივი დანახარჯების გრაფიკი გადაინაცვლებს ზევით მთელი 20 მლრდ დოლარით. მაგრამ გადასახადების ჯამის შეცვლა არაპირდაპირ ზემოქმედებს ერთობლივ დანახარჯებზე გადასახადების გადახდის შემდეგ შემოსავლების ცვლილებით და ამის მეოხებით-მოხმარების შეცვლით. კერძოდ, ჩვენი აკორდული გადასახადის ზრდა გამოიწვევს ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის გადაადგილებას ქვევით, მხოლოდ გადასახადის სიდიდით, გამრავლებული მშმ-ს კოეფიციენტზე სიდიდით. ე.ი. გადასახადების გადიდება 20 მლრდ დოლარით გადაინაცვლებს ერთობლივი დანახარჯების გრაფიკს ქვევით 15 მლრდ დოლარით (20 მლრდ დოლ.  $\times$  3/4). საერთო შედეგი — ესაა ერთობლივი დანახარჯების გრაფიკის წმინდა გადაწევა ზევით, 5 მლრდ დოლარით,

რაც (4-ის ტოლი მულტიპლიკატორისას) იწვევს წეპ-ის ზრდას 20 მლრდ დოლარით. წეპ-ის ეს გადიდება 20 მლრდ დოლარით სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების თავდაპირველი ნამატის ტოლია. ე.ი. დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი ერთის ტოლია.

ის ფაქტი, რომ დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი ერთის ტოლია, ნაჩვენებია 14-3 ნახაზზე. მოხმარებისაკენ  $3/4$ -ის ტოლი ზღვრული მიდრეკილებისას, 20 მლრდ დოლარით გადასახადების გადიდება შეამცირებს შემოსავალს გადასახადების გადახდის შემდეგ 20 მლრდ დოლარით და გამოიწვევს სამომხმარებლო ხარჯების შემცირებას 15 მლრდ დოლარით. თავის მხრივ სამომხმარებლო ხარჯების შემცირებას 15 მლრდ დოლარით მოჰყვება წეპ-ის შემცირება 60 მლრდ დოლარით. ( 15 მლრდ დოლ. X მულტიპლიკატორი - 4-ზე ). მაგრამ 14-3 ნახაზზე ჩაინიშნეთ, რომ სახელმწიფო ხარჯების ნამატი 20 მლრდ. დოლარით წეპ-ს გაზრდის 80 მლრდ დოლარით. (20 მლრდ დოლ. X მულტიპლიკატორი 4). მაშასადამე, გადასახადებისა და სამთავრობო ხარჯების თანაბარი ზრდა 20 მლრდ დოლარით მოიტანს წეპ-ის 20 მლრდ დოლ. წმინდა ნამატს (80 მლრდ დოლ. — 60 მლრდ დოლ.). G-ს და T-ს თანაბარი ზრდა გამოიწვევს წეპ-ის მომატებას G და T-ს ნამატის სიდიდით.

მკითხველმა უნდა ჩაატაროს ექსპერიმენტი იმ დასკვნის დასამტკიცებლად, რომ დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი მოქმედებს მოხმარებისა და დანაზოგებისადმი ზღვრული მიდრეკილების სიდიდისაგან დამოუკიდებლად.

## ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკური ციკლის მსვლელობაში

ჩვენი მსჯელობა არაორაზროვნად გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ფისკალური პოლიტიკის გამოყენება ეკონომიკის სტაბილიზებისათვის. ფისკალური პოლიტიკის ფუნდამენტური მიზანია უმუშევრობის თუ ინფლაციის ლიკვიდაცია. დაქვეითების პერიოდში დღის წესრიგში დგება საკითხი მასტიმულეზელი ფისკალური პოლიტიკის შესახებ. იგი მოიცავს: (1) სახელმწიფო ხარჯების ზრდას, ან (2) გადასახადების შემცირებას, ან (3) ორივეს შეხამებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ამოსავალ პუნქტში ადგილი აქვს დაბალანსებულ ბიუჯეტს, ფისკა-

ლური პოლიტიკა უნდა მოძრაობდეს სამთავრობო ბიუჯეტური დეფიციტისაკენ დაცემის ან დეპრესიის პერიოდში.

და პირქით, თუ ეკონომიკაში ადგილი აქვს ჭარბი მოთხოვნით გამოწვეულ ინფლაციას, ასეთ შემთხვევას შეესაბამება შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკა. შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკა მოიცავს: (1) სამთავრობო ხარჯების შემცირებას, ან (2) გადასახადების ზრდას, ან (3) ორივეს შეხამებას. ფისკალური პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს სამთავრობო ბიუჯეტის დადებით სალდოზე, თუ კი ეკონომიკის წინაშე დგას ინფლაციაზე კონტროლის პრობლემა.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ წეპ-ის სიდიდე დამოკიდებულია არა მხოლოდ განსხვავებაზე სამთავრობო ხარჯებსა და გადასახადებს შორის (ე.ი. დეფიციტის ან დადებითი სალდოს სიდიდესზე), არამედ ბიუჯეტის აბსოლუტურ მოცულობაზეც. დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორის ჩვენს ილუსტრაციაში G და T-ს ზრდამ 20 მლრდ დოლარით გაზარდა წეპ 20 მლრდ დოლარით. თუ კი G და T გაიზრდებოდა მხოლოდ 10 მლრდ დოლარით, მაშინ წონასწორობითი წეპ-იც გაიზრდებოდა მხოლოდ 10 მლრდ დოლარით.

## დეფიციტის დაზინანსება და ბიუჯეტური ნამეტისაბან თავის დაღწევის ხერხები

სახელმწიფო ბიუჯეტის მოცემული დეფიციტის პირობებში ეკონომიკაზე მისი მასტიმულეზელი ზემოქმედების მნიშვნელობა დამოკიდებულია დეფიციტის დაზინანსების მეთოდებზე. ანალოგიურად: ბიუჯეტური დეფიციტის მოცემული სიდიდის დროს მისი დეფლაციური ზემოქმედება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიხდება მისი ლიკვიდაცია.

---

1. ჩვენს ცხრილურ და გრაფიკულ ილუსტრაციებში დავიხსენოთ, რომ G და T სიდიდების ერთგვარ ნაწატებს თან სდევს დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორის მასტიმულეზელი ზემოქმედება. რაგუნადაც სამთავრობო ხარჯების შეცვლას ერთობლივ ხარჯებზე უფრო ძლიერი მასტიმულეზელი ეფექტი გააჩნია გადასახადების ანალოგიურ ცვლილებებთან შედარებით, შესაძლოა მცირე დადებითი სალდოთი გაზრდილ ბიუჯეტს უმნიშვნელო მასტიმულეზელი ეფექტი გააჩნდეს. პართადაც, თუკი სასურველია შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკა, ბიუჯეტის ნაწატის ოდენობა ერთობ მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რათა გადაფაროს დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორის მოქმედება.

დების გაქიდვის მეშვეობით) ან მისი კრედიტორებისათვის ახალი ფულის გამოშვების ხარჯზე<sup>1</sup> ერთობლივ დანახარჯებზე სემოქმედება ყოველ შემთხვევაში განსხვავებული იქნება.

1. ნახესხობანი. თუ ეს მთავრობა გამოიღოს ფულის ბახარჯე და აქ აგრეგლებს თავის სესხებს, იგი კონკურენციაში შედის კერძო მეწარმეებთან ფინანსური სახსრებისათვის. სახსრების ეს დამატებითი მოთხოვნა გამოიწვევს სარგებლის განაკვეთის წონასწორობითი დონის ზრდას. მე-12 თავიდან ცნობილია, რომ ინვესტიციური ხარჯები სარგებლის განაკვეთის უკუპროპორციულია. მაშასადამე, სამთავრობო ხესებს სარგებლის განაკვეთის გადილების ტენდენცია ექნება და ამრიგად "ამოგდებს" კერძო ინვესტირების სოფიერთ ხარჯებს და სარგებლის ხიდი-სადმი მგრძნობიარე სამომხმარებლო ხარჯებს.

2. ფულის შექმნა. თუ დევიციტური ბიუჯეტის სახელმწიფო ხარჯები ახალი ფულის გამოშვების ხარჯზე ფინანსდება, კერძო ინვესტიციების ამოგდება შეიძლება თავიდან ავიცილოთ. ფედერალური ხარჯები შეიძლება ისე გაიზარდოს, რომ დამლუპველი სემოქმედება არ მოახდინოს ინვესტიციებზე ან მოხმარებაზე. ამრიგად, ჩვენ იმ დასკვნამდე მივღვართ, რომ ახალი ფულის შექმნა თავისი ხასიათით დევიციტური ხარჯების დაფინანსების უფრო მასწავლებელ საშუალებას წარმოადგენს ხესების გაფართოებასთან შედარებით.

ვალის დაფარვა ანუ უმოქმედო ბიუჯეტური ნამატი. ჭარბი მოთხოვნით გამოიწვეული ინფლაცია სამთავრობო ფისკალურ ქმედებებს საჭიროებს, რომელთაც შეეძლებათ ბიუჯეტის ნამატის ჩამოყალიბება. მაგრამ ასეთი ნამატის ანტიინფლაციური ეფექტი იმაზე დაიკადებული, თუ როგორ გამოიყენებს მას მთავრობა.

1. სესხის დაფარვა. რადგანაც ფედერალურ მთავრობას დაახლოებით 2,6 ტრილიონი დოლარი დაგროვილი დავალიანება გააჩნია, ლოგიკურია ვალის დასაფარავად მან დამატებითი საშუალებები გამოიყენოს. ამ ღონისძიებას შეუძლია თანდენადმე შეამციროს ბიუჯეტური ნამატის ანტიინფლაციური სემოქმედება. მოსახლეობისაგან თავისი სავალი ვალდებულებების გაძოსიდივით

---

1. ეს გასოიქს ნაშთს, რომ მთავრობა უბრალოდ ბეჭდავს დოლარის ახალი კუპონურებს თავისი ხარჯების დასაფინანსებლად. მე-19 თავში ჩვენ ვჩანათ, რომ ფინანსთა სახანოტრო უფრო მოხდენილად აღწევს ასეთსავე შედეგს სახესხობების (კრედიტების მკვების) საშუალებით (ფედერალური სარეზერვო სისტემის) ცენტრალური ბანკისაგან. ფინანსთა სახანოტრო ამ კრედიტების საუკუთვლზე გასცემს ჩეკებს სარგებლის დასაფინანსებლად. თუცა მსხვებზე ნა ამ ჩეკების დეპონირებას მთავრდენენ თავის საკუთარ ანგარიშებზე, კონკრეტულ ბანკებში გა ისრდება მოსიფინანსებ დეპონიტების მიწოდება, რაც ჩეკების მასოქმედებას უფლის მასის გადილების იდენტურა.

მთავრობა თავის ჭარბ საგადასახადო შემოსულობებს უკან უბრუნებს ფულის ბაზარს და სარგებლის განაკვეთის დაცემას იწვევს, რითაც სტაბილურ აძლევს ინვესტიციებს და მოხმარებას.

2. მიმოქცევიდან ამოღება. მეორე მხრივ, მთავრობას შეუძლია თავისი ბიუჯეტური ნამატის დიდ ანტიინფლაციურ ზემოქმედებას მოაღწიოს ამ ნამეტი თანხის უბრალოდ ამოღებით და მათი შემდგომი, ნებისმიერი გამოყენების შენეებით. ნამეტის ამოღება ნიშნავს, რომ მთავრობა ამოიღებს გარკვეული სიდიდის მსყიდველუნარიანობას შექმისავლისა და ხარჯების საერთო ნაკადიდან და ინარჩუნებს მას. თუ ჭარბი საგადასახადო შემოსავლები კვლავ არ შეემატება ეკონომიკას, მაშინ აღარ იქნება არც ბიუჯეტის ნამეტის გარკვეული ნაწილის ხარჯვის შესაძლებლობაც კი. ე.ი. უკვე არაერთარი იმის შანსი არ არსებობს, რომ ეს საშუალებები ინფლაციურ ზემოქმედებას წარმოქმნიან ნამეტის როგორც ასეთის, დეფლაციური გავლენის საწინააღმდეგოდ. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიუჯეტის ნამეტის მთლიანი ამოღება უფრო შემაკავებელი ღონისძიებაა, ამ საშუალებების სახელმწიფო ვალის დასაფარავად გამოყენებასთან შედარებით.

## კოლიტიკის ვარიანტები: სამთავრობო ხარჯები თუ გადასახადები?

რა შეიძლება იყოს ინფლაციური კრიზისული წყვეტების აღმოფხვრის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საშუალება — სამთავრობო ხარჯები თუ გადასახადები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ავტორის ინდივიდუალურ შეხედულებებსა და იმაზე, თუ რამდენად დიდია სახელმწიფო სექტორი. ამრიგად, იმ „ლიბერალ“ ეკონომისტებს, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო სექტორი უნდა გაფართოვდეს საბაზრო სისტემის სხვადასხვა შეცდომის კომპენსირებისათვის (თავი 6), შეუძლიათ შემოგვთავაზონ ერთობლივი დანახარჯების გაფართოება დაქვეითების პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების ზრდის ხარჯზე და ერთობლივი ხარჯების შეზღუდვა ინფლაციის გადიდებისას, გადასახადების გადიდების ხარჯზე. და პირიქით, „კონსერვატორ“ ეკონომისტებს, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო სექტორი მეტისმეტადაა გაბერილი და არაეფექტიანია, შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ეროიობლივი დანახარჯების ზრდას გადასახადების შემცირებით დაცემის პერიოდში



და ინფლაციის ზრდის პერიოდში შემოგვთავაზონ ერთობლივი დანახარჯების შემცირება სახელმწიფო ხარჯების შეკვეცით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომიკის სტაბილიზაციისაკენ მიმართული ფისკალური პოლიტიკა შეიძლება დაეყრდნოს, როგორც გაფართოებად, ისე შემცირებად სახელმწიფო სექტორს.

## არაღისკრემტული ფისკალური პოლიტიკა: ჩაშენებული სტაბილიზატორები

სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების შეფარდებით დონეებში აუცილებელი ცვლილებები გარკვეულწილად ავტომატურად შეიტანება. ეს ე.წ. ავტომატური ანუ ჩაშენებული სტაბილიზატორები ჩართული არაა დისკრეტული ფისკალური პოლიტიკის განხილვაში. ასე იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ვივარაუდეთ აკორდული გადასახადების არსებობა, რაც უზრუნველყოფს ერთნაირი საგადასახადო თანხების ამოღებას წეპ-ის სხვადასხვა სიდიდის პირობებში. ჩაშენებული სტაბილიზატორები იმასთან დაკავშირებით აღმოცენდება, რომ ამერიკული საგადასახადო სისტემა რეალურად უზრუნველყოფს ისეთი წმინდა გადასახადის <sup>1</sup> ამოღებას (წმინდა გადასახადი უფრის გადასახადის საერთო რაოდენობას გამოკლებული ტრანსფერტული გადასახადები და სუბსიდიები), რომლებიც წეპ-ის სიდიდის პროპორციულად იცვლება. თითქმის ყველა გადასახადი გაზრდის საგადასახადო შემოსულობებს წეპ-ის ზრდის კვალობაზე. კერძოდ, ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადს გააჩნია პროგრესიული განაკვეთები და წეპ-ის ზრდის კვალობაზე პროპორციულზე უფრო მეტ საგადასახადო შემოსულობას იძლევა. უფრო მეტიც, წეპ-ის გადრდებისა და საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიცულობის ზრდის კვალობაზე გაიზრდება შემოსულობანი კორპორაციასა შემოსავლების გადასახადებისაგან, ბრუნვის გადასახადისა და აქციზებისაგან. და, ანალოგიურად, იზრდება ხელფასის გადასახადები იმის კვალობაზე, თუ ეკონომიკური აღმავლობის მსვლელობაში როგორ შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. პირიქით, წეპ-ის დაკუმის შემთხვევაში საგადასახადო შემოსულობანი ყველა ამ წყაროდან შემცირდება. ტრანსფერტულ გადასახადებს (ანუ „უარყოფით გადასახადებს“)

1. ამ მომენტიდან ტერმინი „გადასახადები“ გულისხმობს წმინდა გადასახადებს.


პირდაპირ საწინააღმდეგოდ მოქმედება გააჩნიათ. უმუშევრობის სუბსიდიები, ღარიბთა დახმარებები, ფერმერების სუბსიდიები და ა.შ. — მცირდება ეკონომიკური აღმავლობის დროს და იზრდება წარმოების დაცემის პერიოდში.

## ავტომატური ანუ ჩაშენებული სტაბილიზატორები

14-4 ნახაზი იმის კარგი ილუსტრაცია იქნება, თუ საგადასახადო სისტემა როგორ ზრდის ჩაშენებულ სტაბილიზატორებს. სამთავრობო ხარჯები (G) ამ სქემაში წეპ-ის მოცემულ და დამოუკიდებელ სიდიდედ ითვლება; ხარჯებს ამტკიცებს კონგრესი მუდმივ ფიქსირებულ დონეზე. მაგრამ კონგრესი არ განსაზღვრავს საგადასახადო შემოსულობათა სიდიდეს, იგი უფრო განსაზღვრავს საგადასახადო განაკვეთებს. საგადასახადო შემოსულობანი შემდგომ პერიოდებში იმავე მიმართულებით, როგორც წეპ-ის დონე, რასაც ეკონომიკა მიაღწევს. პირდაპირი კავშირი საგადასახადო შემოსულობებსა და წეპ-ს შორის დაფიქსირებულია დამრეცად ამართულ T წრეზე.

საგადასახადო შემოსულობებსა და წეპ-ის სიდიდეს შორის ეს პირდაპირი ურთიერთკავშირები განსაკუთრებულ ეკონომიკურ მნიშვნელობას იძენს, როცა ჩვენ ვიხსენებთ ორ გარემოებას. ანუ ერთი, გადასახადები წარმოადგენს გადენას ანუ დანაკარგს ეკონომიკის პოტენციურ მსყიდველობით უნარიანობაში. მეორე, სტაბილიზატორის თვალსაზრისით სასურველია გაიზარდოს ასეთი დანაკარგების (ამოღების) მოცულობა იმ პერიოდებში, როცა ეკონომიკა ინფლაციისკენ მოძრაობს, და, პირიქით, მსყიდველობითი უნარიანობის ამოღების სიდიდე მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ზრდის შენელების პერიოდში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 14-4 ნახაზზე გამოსახული საგადასახადო სისტემა ქმნის ეკონომიკაში სტაბილიზატორის ზოგიერთ ელემენტს, ავტომატურად იწვევს რა საგადასახადო შემოსულობებსა და, მაშასადამე, სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებებს, რომლებიც ინფლაციისა და უმუშევრობის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. უფრო ზოგადი განმარტებით, ჩაშენებული სტაბილიზატორი — ეს ნებისმიერი ღონისძიებაა, რასაც დაქვეითების პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის

დეფიციტის გაზრდის (ან მისი დადებითი სალდოს შემცირების) და ინფლაციის პერიოდში მისი დადებითი სალდოს გადიდების (ან მისი დეფიციტის შემცირების) ტენდენცია გააჩნია, პოლიტიკოსების მიერ რაიმე სპეციფიკური ღონისძიებების მიღების აუცილებლობის გარეშე. და როგორც 14-4 ნახაზზე ნათლად ჩანს ეს სწორედ ისაა, რასაც ამერიკული საგადასახადო სისტემა აკეთებს. წეპ-ის ზრდის კვალობაზე აყვავების პერიოდებში საგადასახადო შემოსულობანი ავტომატურად იზრდება და —რამდენადაც ისინი დანაკარგს წარმოადგენენ — აფერხებენ ეკონომიკურ აღმავლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წეპ-ის უფრო მაღალი დონისაკენ ეკონომიკის მოძრაობის კვალობაზე, საგადასახადო შემოსულობანი ავტომატურად იზრდებიან და ბიუჯეტური



ნახ. 14-4. ჩაშენებული სტაბილურობა.


თუ საგადასახადო შემოსულობანი მერჯეობენ იმავე მიმართულებით, საითაც წეპ, მაშინ დეფიციტები, რომლებიც, როგორც წესი, ავტომატურად ჩნდებიან დაცემის დროს, დაქვითვებს დაიკლებაში გვეხმარებიან. პირიქით, ბიუჯეტის ნამეტები, რასაც ეკონომიკური აღმავლობისას ავტომატური წარმოშობის ტენდენცია გააჩნია, ხელს შეუწყობს შესაძლო ინფლაციის დაძლევას.

ნამეტის შექმნის ტენდენციას წარმოქმნიან. პირიქით, როცა დაცემის პერიოდში წეპ მცირდება, საგადასახადო შემოსულობებიც ავტომატურად მცირდება, და ეს შემცირება არბილებს ეკონომიკურ

დაქვეითებას. ე.ი. წეპ-ის დაცემასთან ერთად კლებულობს საგადასახადო შემოსულობანიც და სახელმწიფო ბიუჯეტს ბიუჯეტური ნამეტობიდან დეფიციტისაკენ უბიძგებენ. 14-4 ნახაზის მაჩვენებლების გამოყენებით ეროვნული პროდუქტის (წეპ 3) დაბალი დონე ავტომატურად წარმოშობს ბიუჯეტის მასტიმულებელ დეფიციტს; მაღალი და, შესაძლოა, (წეპ-ის 2), ინფლაციასთან დაკავშირებული დონე ავტომატურად წარმოშობს ბიუჯეტური ნამეტის შემაკავებელს.

14-4 ნახაზიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ბიუჯეტური დეფიციტისა და ნამეტის ავტომატურად აღმოცენებადი სიდიდე, და მაშასადამე, ჩაშენებული სტაბილურობაც დამოკიდებულია გადასახადებში ცვლილების უნარზე, გამოიწვიოს წეპ-ის ცვლილებები. თუ საგადასახადო შემოსულობანი მკვეთრად იცვლება წეპ-ის ცვლილების კვალდაკვალ, მაშინ ნახაზზე T წრფის დახრილობა მკვეთრი იქნება და T -სა და G -ს შორის ვერტიკალური დაშორება — ე.ი. დეფიციტი თუ სიჭარბე მეტი იქნება. და პირიქით, თუ საგადასახადო შემოსულობანი მეტად უმნიშვნელოდ შეიცვლება წეპ-ის ცვლილების დროს, დახრილობა ციცაბო იქნება და ჩაშენებული სტაბილურობის ელემენტები უმნიშვნელო იქნება. სახელმწიფო პოლიტიკისა თუ კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც შეცვლიან წმინდა საგადასახადო სისტემის (გადასახადები ტრანსფერტებისა და სუბსიდიების გამოკლებით) პროგრესულობის ხარისხს, ამრიგად, გავლენას მოახდენენ ჩაშენებული სტაბილურობის ხარისხზეც. ფედერალური მთავრობის მიერ პირადი საშემოსავლო გადასახადის „ინდექსირებისა“ და 80-იან წლებში გადასახადების ზღვრული განაკვეთების შემცირებამ გამოიწვია T წრფის დახრილობის შემცირება 14-4 ნახაზზე. 80-იან წლებამდე ინფლაციას გადასახადის გადამხდელები გადაჰყავდა იმ ჯგუფებში, რომლებიც გადასახადს უფრო მაღალი ზღვრული განაკვეთებით იხდიდნენ, და, ამრიგად, ადიდებდა მთავრობის საგადასახადო შემოსულობებს. ახლა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების საზღვრები „ინდექსირდება“ ანუ ფართოვდება ინფლაციის ტემპებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, 1986 წლის კანონმა საგადასახადო რეფორმის შესახებ მკვეთრად შეამცირა ზღვრული განაკვეთები და რამდენიმე ჯგუფად გაამსხვილა ისინი. ამრიგად, წეპ-ის ცვლილებები არ იწვევს საგადასახადო შემოსულობათა ისეთსავე მსხვილ ავტომატურ ცვლილებებს, როგორსაც წინათ, და ეკონომიკის ჩაშენებული სტაბილურობის ხარისხი რამდენადმე ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე წინათ.

ეჭვს არ იწვევს, რომ ამერიკული საგადასახადო სისტემით უზრუნველყოფილმა ჩაშენებულმა სტაბილურობამ შეარბილა ეკონომიკურ მერყეობათა სიმძიმე. მაგრამ ჩაშენებულ სტაბილიზატორებს არ შეუძლიათ წონასწორობითი წეპ-ის არასასურველი ცვლილებების კორექტირება. ყველაფერი, რასაც სტაბილიზატორები აკეთებენ — ესაა ეკონომიკურ მერყეობათა გაქანების ანუ სიღრმის შეზღუდვა. ამიტომ კეინსელი ეკონომისტები



### ნახაზი 14-5. ბიუჯეტი სრული დასაქმების დაშვებისას და ფაქტობრივი ბიუჯეტი

სრული დასაქმების დაშვების დროს ბიუჯეტის ნაშტი ან დეფიციტი წარმოადგენს სახელმწიფოს ფასკალური პოლიტიკის მიმართულების უფრო ზუსტ მარეგულვლას. ფაქტობრივი ბიუჯეტის ნაშტთან ან დეფიციტთან შედარებით, ფაქტობრივი ბიუჯეტი უფრო ხშირადაა დეფიციტური, ვიდრე სრული დასაქმების ბიუჯეტი, რადგანაც წეპ-ის დონე სრული დასაქმებისასუ დაბალი იყო. უკანასკნელი რაზღვრივე წლის მანძილზე ბიუჯეტს სრული დასაქმების დაშვების პირობებში ძლიერ დიდი დეფიციტი გააჩნდა.

მიიჩნევენ, რომ რამდენადმე მნიშვნელოვანი მასშტაბის ინფლაციის ან დაცემის კორექციისათვის საჭიროა კონგრესის დისკრეტული ფისკალური ღონისძიებები, ე.ი. საგადასახადო განაკვეთების, საგადასახადო სტრუქტურისა და ხარჯების სიდიდის შეცვლა. სხვადასხვა შეფასებებით აშშ-ში ჩაშენებულ სტაბილიზატორებს-ახლა

ეროვნული შემოსავლის მერყეობის დაახლოებით მესამედით შემცირება შეუძლიათ.

## ბიუჯეტი სრული დასაქმების დაშვებით

ჩაშენებული სტაბილურობა — ე.ი. წეპ-ის პროპორციულად საგადასახადო შემოსულობათა ცვლილება სარისკოს ხდის მიმდინარე ბიუჯეტური ნამეტის ან დეფიციტის შესახებ მონაცემების გამოყენებას მთავრობის ფისკალური მდგომარეობის მანვენებელთა სახით. ამის საილუსტრაციოდ ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკა 14-4 ნახაზზე სრული დასაქმების მდგომარეობაში იმყოფება წეპ1 წერტილზე და როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, ბიუჯეტი დაბალანსებულია. ახლა მოდით ვივარაუდოთ, რომ წლის განმავლობაში მიმდინარეობს  $C_a$  ან  $I_n$  ან  $X_n$ -ის შემცირება, იწვევს რა წარმოების დაცემას და შემცირებას წეპ3-მდე. დავუშვათ, რომ მთავრობა არ ღებულობს არავითარ დისკრეტულ ფისკალურ ღონისძიებებს, მაშასადამე,  $G$  და  $T$  წრფეები სქემაზე აღნიშნულ მდგომარეობაში რჩებიან. ცხადია, რომ ეკონომიკის წეპ3 წერტილისაკენ მოძრაობის კვალობაზე მცირდება საგადასახადო შემოსულობანი. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს ციკლური დეფიციტი, როგორც ვხედავთ მთავრობის მიერ გადადგმულ ფისკალურ ანტიციკლურ ნაბიჯებს არ წარმოადგენს, მეტადრე იგი ფისკალური უმოქმედობის. თანამდევი პროდუქტია, რაც გამოწვეულია ეკონომიკის დაცემისაკენ დაქანებით.

მთავარი იდეა ისაა, რომ მთავრობის ფისკალური მდგომარეობის შესახებ აქ შეუძლებელია რაიმე არსებითის თქმა — ე.ი. კონგრესი სწორად მანიუულირებდა თუ არა გადასახადებითა და ხარჯებით — როდესაც შეფასებას აძლევდა ბიუჯეტური ნამეტის და დეფიციტის წინამორბედ მონაცემებს. კონკრეტული ბიუჯეტური ნამეტი ან დეფიციტი ასახავს არა მარტო შესაძლო მიმდინარე გადაწყვეტილებებს ხარჯებისა და გადასახადების შესახებ (როგორც ნაჩვენებია  $G$  და  $T$  წრფეების გადაადგილებით 14-3 ნახაზზე), არამედ წონასწორობითი წეპ-ის დონესაც (ე.ი. წერტილს, სადაც ეკონომიკა იმყოფება ჰორიზონტალურ ღერძზე 14-4 ნახაზზე). მაშასადამე, საგადასახადო შემოსულობათა წეპ-ის პროპორციულად ცვლილების პირობებში დეფიციტების ან ბიუჯეტის ნამეტის პირველ ან მეორე წელს შედარების ფუძემდებლური პრობლემა

ისაა, რომ წეპ-ის სიდიდე თითოეულ ამ პერიოდში შეიძლება სავსებით განსხვავებული იყოს.

ეკონომისტებმა ეს პრობლემა სრული დასაქმების პირობების ბიუჯეტის ცნების შემოტანით გადაჭრეს (სრული დასაქმების ბიუჯეტი). მარტივად რომ ვთქვათ, სრული დასაქმების ბიუჯეტი გვიჩვენებს თუ როგორი იქნებოდა ფედერალური ბიუჯეტის ნამეტი ან დეფიციტი, თუ კი ეკონომიკა სრული დასაქმებით იმოქმედებდა წლის მანძილზე. 14-5 ნახაზი ერთმანეთთან ადარებს სრული დასაქმების ბიუჯეტს და ფაქტობრივ ბიუჯეტს სამი ათწლეულის მანძილზე. გამოიყოფა ორი თავისებურება.

ჯერ ერთი, მართალია, ფაქტობრივი ბიუჯეტი ჩვეულებრივ დეფიციტით დგებოდა, მაგრამ სრული დასაქმების ბიუჯეტისათვის დამახასიათებელი იყო ნამეტობისადმი, უკიდურეს შემთხვევაში კი დაბალანსებისაკენ მიდრეკილება. შეადარეთ 1961 და 1962 წლები, როცა ქვეყანაში ნორმალურზე მაღალ უმუშევრობას და მოდუნებულ ეკონომიკურ 'ხრდას' ჰქონდა ადგილი. ამ წლების ფაქტობრივ ბიუჯეტურ დეფიციტზე შეხედულება ნიშნავს, რომ მთავრობა ახორციელებდა მასტიმულებელ ფისკალურ პოლიტიკას. მაგრამ სრული დასაქმების ბიუჯეტის მონაცემები მოწმობენ, რომ ეს ასე არაა. სრული დასაქმების ბიუჯეტის მონაცემები გვიჩვენებს, რომ თუ ეკონომიკაში ადგილი ექნებოდა სრულ დასაქმებას, მაშინ ადგილი ექნებოდა ბიუჯეტის ნამეტსაც. 1961 და 1962 წლებში ამერიკული ფისკალური პოლიტიკა სინამდვილეში შემაკავებელი იყო და ნაწილობრივ ამიტომაც წეპ-ის დონე ქვეყანაში არ შეესაბამებოდა სრული დასაქმების წეპ-ს, რამაც წარმოშვა დაბალი საგადასახადო შემოსულობანი და დეფიციტები 1961 და 1962 წლების ფაქტობრივ ბიუჯეტებში.

მეორე, ჩაინიშნეთ უკანასკნელი წლების მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ბიუჯეტური დეფიციტებისა და სრული დასაქმების ბიუჯეტის დეფიციტების წარმოშობა. კერძოდ, ყურადღება მიაქციეთ 1987 წლის მდგომარეობას, როცა ეკონომიკა სრული დასაქმების ანუ პროდუქციის პოტენციური გამოშვების დონეს მიუახლოვდა. 1987 წლის ფაქტობრივი დეფიციტის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოიშვა როგორც სამთავრობო ხარჯებისა და გადასახადების რაოდენობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების და არა როგორც ავტომატურად აღმოცენებულ საგადასახადო შემოსულობათა უკმარისობის შედეგი, რაც გამოწვეული იყო წეპ-ის სრული დასაქმების პირობებთან შედარებით უფრო დაბალი დონით. ეს სტრუქტურული დეფიციტი — განსხვავებით ციკლური

დეფიციტებისაგან — ნიშნავს, რომ საგადასახადო შემოსულობანი ნაკლები იქნებოდა, ვიდრე სახელმწიფო ხარჯები, თუ კი ეკონომიკა მიაღწევდა წარმოების დონეს სრული დასაქმების პირობებში მაინც. ამის შედეგად 1987 წელს სრული დასაქმების ბიუჯეტს მნიშვნელოვანი დეფიციტი გააჩნდა, რაც მასტიმულბეელი ფისკალური პოლიტიკის გატარებას ნიშნავდა. ლოგიკურად შეიძლება წამოჭრილიყო კითხვა იმის შესახებ რომ, თითქმის სრული დასაქმებისა და მასტიმულბეელი ფისკალური პოლიტიკის ეს შეხამება რატომ არ შეეხო მოთხოვნის ინფლაციას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ის იყო, რომ წმინდა ექსპორტი (X-IM) 1987 წელს მკვეთრად უარყოფითი იყო. საშინაო წეპ-ზე ერთობლივი დანახარჯების შემცირებით, უარყოფითმა წმინდა ექსპორტმა ნაწილობრივ გადაფარა სრული დასაქმების ბიუჯეტის ესოდენ დიდი დეფიციტის მასტიმულბეელი ზემოქმედება.

## პრობლემები, კრიტიკა და ბართულებები

სამწუხაროდ, დიდი განსხვავება არსებობს ქალაქებზე ფისკალურ პოლიტიკასა და პრაქტიკაში ფისკალურ პოლიტიკას შორის. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის განხორციელების პროცესში აღმოცენებული ზოგადი განსაკუთრებული პრობლემის განხილვა.

## დროის პრობლემები

ფისკალური პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს დროის ზოგიერთი პრობლემის გადაჭრას.

1. შეცნობის დროში გარღვევა. შეცნობის დროში გარღვევა მიეკუთვნება დროის იმ შუალედს, რაც გადის დაცემის ანუ ინფლაციის დასაწყისსა და იმ მომენტს შორის, როცა შეიცნობა მათი არსებობის ფაქტი. განსაკუთრებით რთულია ეკონომიკური აქტიურობის მომავალი მსვლელობის წინასწარგანჭვრეტა. თუმცა ეკონომიკური პროგნოზირების ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა გამსწრები ინდიკატორების სისტემა (იხ. ამ თავის „ბოლო შტრიხი“), წარმოდგენას იძლევა ეკონომიკის განვითარების მიმართულების შესახებ, მაგრამ ეკონომიკას შეიძლება



უკვე გაანდეს სამი-ან ექვსთვიანი დაკეზა (კი ან ინფლაცია, ვიდრე ეს ფაქტი გამოძღვანდება შესაბამის სტატისტიკაში და შეიცნობა.

2. ადმინისტრაციული შეფერხება. დემოკრატიული მთავრობის ბორბალი ხშირად მეტად ნელა ბრუნავს. ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი დრო გადის, ფისკალური პოლიტიკის ღონისძიებების მიღების აუცილებლობის აღიარებიდან იმ მომენტამდე, როცა ამ ღონისძიებებს მართლა მიიღებენ. 11 მლრდ დოლარით გადასახადების შემცირება, რაც კანონად 1964 წ. თებერვალში იქცა, პრეზიდენტ კენედის ეკონომიკურ კონსულტანტთა საბჭომ შესთავაზა 1961 წ., ხოლო, თავის მხრივ კი პრეზიდენტმა კონგრესს წარუდგინა 1962 წლის ბოლოს! დამატებითი გადასახადები პირად და კორპორაციულ შემოსავლებზე 1968 წ. მიიღეს პრეზიდენტ ჯონსონის მიერ მისი წარდგენიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. კონგრესი ზოგჯერ მართლაც ისეთ დიდ დროს მოითხოვს ფისკალური პოლიტიკის კორექტირებისათვის, რომ ამ დროის მანძილზე ეკონომიკური სიტუაცია მთლიანად იცვლება და ნაგარაუდები ღონისძიებები ხავესებით მიუღებელი ხდება.

3. ფუნქციური დაყოვნება. გარდა ამისა, ადგილი აქვს ასევე დროით გარღვევას იმ მომენტიდან, როცა კონგრესი მიიღებს ფისკალური ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილებას იმ დრომდე როცა ეს ღონისძიებები იწყებენ ზემოქმედებას წარმოებაზე, დასაქმებასა და ფასების ღონეზე. მართალია, საკმაოდ სწრაფი ცვლილებების შეტანა შეიძლება გადასახადების განაკვეთებში, მაგრამ სამთავრობო ხარჯები და საზოგადოებრივი სამუშაოები — ისეთები როგორცაა კაშხლების აგება, გზების მშენებლობა და სხვა — მოიცავს ხანგრძლივ გეგმიურ პერიოდებს, და მშენებლობის კიდევ უფრო ხანგრძლივ ვადებს. ამიტომ, ასეთ ხარჯებს მეტად საეჭვო ეფექტი გააჩნიათ ხანმოკლე, — დაუშვავათ, 6-დან 18 თვემდე დაქვეითებაზე უკუქმედებისათვის. მსგავსი პრობლემების აღმოცენების გამო დისკრეტული ფისკალური პოლიტიკა ორიენტაციას ძირითადად გადასახადების შეკვლაზე იღებს.

## პოლიტიკური პრობლემები

ფისკალური პოლიტიკა ყალიბდება პოლიტიკურ სფეროში და ეს მნიშვნელოვანწილად აძნელებს მის გამოყენებას ეკონომიკის სტაბილიზების მიზნებისათვის.

1. სხვა (დანარჩენი) მიზნები. განიხილეთ, რომ ეკონომიკური სტაბილურობა არაა მთავრობის პოლიტიკის ერთადერთი მიზანი ხარჯებისა და გადასახადით დაბეგერის დარგში. მთავრობა ჩართულია აგრეთვე საერთო მოხმარების საქონელთა და მომსახურებით უზრუნველყოფის და შემოსავლების განაწილების ამოკანების გადაწყვეტაში (თავი 6). კლასიკური მაგალითი: მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში სამთავრობო ხარჯები სამხედრო დანიშნულების საქონელზე მკვეთრად გაიზარდა, რამაც გამოიწვია ძლიერი და მყარი ინფლაციური ზემოქმედება 40-იანი წლების დასაწყისის ეკონომიკაზე. ნაციონალური გერმანიაზე და იაპონიაზე გამარჯვება უბრალოდ უფრო პრიორიტეტული მიზანი იყო ფასების სტაბილურობის შენარჩუნებასთან შედარებით.

ჩაინიშნეთ ასევე, რომ შტატების მთავრობებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფისკალური პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში პროციკლური ხასიათისაა. ამრიგად, შტატების მთავრობები და ადგილობრივი ორგანოები, ისევე როგორც საოჯახო მეურნეობები და კერძო მეწარმეები, ცდილობენ ხარჯების გადიდებას აკვავების პერიოდში და მათ შეკვეცას დაცემის პერიოდში. 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ დროს ფედერალური ხარჯების ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი ნულზე დავიდა შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების ხარჯების შემცირებით.

2. მასტიმულბელი ღონისძიებებისადმი ძლიერი მიდრეკილება. დეფიციტებს პოლიტიკური მიზნიდევლობის ტენდენცია განიხილეთ, ხოლო ბიუჯეტური ნამეტები პოლიტიკურ პლანში მეტად მკვივნეულად აღიქმება. ე.ი. შეიძლება არსებობს პოლიტიკური ვარაუდი დეფიციტების სასარგებლოდ, სხვა სიტყვებითა რომ ვთქვათ, ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია განასახიეროს ეკონომიკისა და ინფლაციისადმი მიდრეკილება. რატომ? გადასახადების შემცირება მეტად პოპულარულია პოლიტიკური თვალსაზრისით ასევე პოპულარულია სახელმწიფო ხარჯების მატებაც, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ კონკრეტული პოლიტიკოსების ამომრჩეველი ოლქები აქედან მოგებას ღებულობენ. გადასახადების ზრდა ჩვეულებრივ აწუხებს ამომრჩეველებს, ხოლო სახელმწიფო ხარჯების შემცირება შეიძლება პოლიტიკურად სარისკო აღმოჩნდეს. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო შტატის წარმომადგენელი სენატორისათვის ხმის მიცემა გადასახადების გადიდებისა და აგრარული სუბსიდიების წინააღმდეგ, პოლიტიკური თვისიშველლობის ტოლფასა იქნება. 14-5 ნახაზი მეტად ყურადსაღებია.

ჩვენ ვხედავთ, რომ 1965-1967 წწ. სრული დასაკმების ბიუჯეტი დეფიციტურია, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი მასტიმულელ პოლიტიკას ვარაუდობდა. მაგრამ თითოეული ამ საში წლიდან უმუშევრობის დონე 4%-ზე ნაკლები იყო და ადგილი ჰქონდა ფასების დონის ამაღლებას. ამ სიტუაციაში უფრო მისაღები იქნებოდა შეხედვის პოლიტიკა და სრულიადაც არა ეკონომიკის სტიმულირება.

3. პოლიტიკური მოტივებით განპირობებული საქმიანი ციკლი? ზოგი ეკონომისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ მოღვაწეთა ყოველსმომცველი მიზანია არა უცილობლად ეროვნული ეკონომიკის ინტერესებისათვის მოქმედება, არამედ მათი ხელახლა არჩევსაკენ მისწრაფება. ზოგიერთმა ეკონომისტმა ახლახანს წამოაყენა დებულება იმის თაობაზე, რომ არსებობს პოლიტიკური მოტივებით განპირობებული საქმიანი ციკლი. ე.ი. ისინი ვარაუდობენ, რომ პოლიტიკურ მიღწევებს შეუძლიათ ფისკალური პოლიტიკით მანიპულირება ამომრჩეველთა მხარდაჭერის მაქსიმიზების მიზნით, თუნდაც მათ ფისკალურ გადაწყვეტილებებს ეკონომიკის დესტაბილიზაციის ტენდენცია გააჩნდეს. ამ შეხედულებათა შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკა, როგორც ეს ჩვენ აღვწერეთ, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება კორუმპირებული იყოს და ეკონომიკური მერყეობის მიზეზი გახდეს.

შესაძლო სცენარები, მაგალითად, შემდგენიარად გამოიყურება. მოსახლეობა ხმის მიცემისას მხედველობაში იღებს ეკონომიკურ პირობებს. ხელისუფლება დაისჯება საამომრჩეველო უბნებზე, თუ ეკონომიკა დეპრესიულ მდგომარეობაშია; თუ კი ეკონომიკა აყვავების პროცესშია, ისინი დაჯილდოვდებიან. შესაბამისად, არჩევნების ვადის მოახლოების კვალაობაზე, ხელისუფლების სათავეში მყოფი ადმინისტრაცია, ვისაც კონგრესი უკერს მხარს და მომავალი არჩევნებისათვისაა განწყობილი, გადასახადების შემცირებას და სამთავრობო ხარჯების ზრდას მიმართავს. ეს ნაბიჯები მეტად პოპულარული იქნება არა მხოლოდ თავისთავად, არამედ როგორც მოკმეული ეკონომიკის შედეგობრივი სტიმული, რაც წახალისებს ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინდიკატორს საჭირო მიმართულებით. გაიზრდება წარმოება და რეალური შემოსავლები; ხოლო ფასების დონე შედარებით სტაბილური იქნება. ამის შედეგად ხელისუფლების სათავეში მყოფი პოლიტიკოსები ისარგებლებენ ძალიან „გულთბილი“ ეკონომიკური მდგომარეობის უპირატესობით, რაც ხელს შეუწყობს მათ ხელახალი არჩევსათვის ბრძოლაში.

მაგრამ არჩევნების შემდეგ გაგრძელებადი ეკონომიკური ზრდა სულ უფრო მეტად იჩენს თავს ფასების ზრდაში და უფრო ნაკლებად — რეალური შემოსავლების გადიდებაში. მზარდი საზოგადოებრივი შემუშოება პოლიტიკოსებს ამ სიტუაციაში შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკის გატარებას უპარნახებს. უხეშად რომ ვთქვათ, დაქვეითებას შტამპით „დამზადებული ვაშინგტონში“ — თავისი მექანიზმის ელემენტებად კლებადი სამთავრობო ხარჯები და მზარდი გადასახადები ექნება ინფლაციის შეკავების მიზნით. მაგრამ ეს დაქვეითება ხომ არ დააზიანებს მას, ვინც ხელისუფლების სათავეში იმყოფება? სინამდვილეში არა, რადგანაც მომდევნო არჩევნები მოსალოდნელია ორი ან სამი წლის შემდეგ, ხოლო ამომრჩეველთა უმეტესობა კი ადმინისტრაციასთან თავის დამოკიდებულებას აყალიბებს არჩევნებამდე ეკონომიკის მდგომარეობის მიხედვით თითქმის 12 თვის მანძილზე. მართლაც, დაქვეითება ქმნის ახალ სასტარტო მოედანს, საიდანაც კვლავ შეიძლება ფისკალური პოლიტიკის გამოყენება იმისათვის, რათა ახალი ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვიოს მომდევნო საარჩევნო კამპანიის პერიოდში.

ფისკალური პოლიტიკის ეს შესაძლო დამახინჯება იმავდროულად ძლიერ შემაშფოთებელს და თავისი ბუნებით ძნელად დასამტკიცებელს წარმოადგენს. თუმცა ემპირიული მონაცემები მეტად არაერთმნიშვნელოვანი და არათანმიმდევრულია, მაგრამ არსებობს ზოგიერთი მტკიცება ეკონომიკური ციკლის ამ პოლიტიკური თეორიის მხარდასაჭერად.

## შენაცვლების ეფექტი

მოდით ახლა ჩვენი ყურადღება გადავიტანოთ ფისკალური პოლიტიკის მიერ გამოყენებული პრაქტიკული საკითხებიდან ფისკალური პოლიტიკის, როგორც ასეთის, უფრო სერიოზული კრიტიკის პრობლემებზე. **შენაცვლების ეფექტის** არსი ისაა, რომ მასტიმულბელი (დეფიციტური) ფისკალური პოლიტიკა გამოიწვევს სარგებლის განაკვეთის ზრდის და საინვესტიციო ხარჯების შეცდირების ტენდენციას და ამით დაასუსტებს ან მთლიანად მოსპობს ფისკალური პოლიტიკის მასტიმულბელ ეფექტს. უფრო დაწვრილებით სცენარი შემდეგნაირად გამოიყურება. დაეუშვათ, რომ გუბერნიკა დაცემის სტადიაში იმყოფება და მთავრობა მიმდინარე ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი ღონისძიების სახით ზრდის სახელმწიფო ხარჯებს. მთავრობა

ახლა ფულის ბაზარზე გამოდის დეფიციტის დაფინანსების მიზნით. ამის თანმდევი ფულზე მოთხოვნის გადიდება ზრდის სარგებლის განაკვეთს, ე. ი. ნასესხები ფულისათვის გადასახდელ ფასს. რადგან ხარჯები იცვლება სარგებლის განაკვეთის უკუპროპორციულად (იხ. ნახ. 12-6), ზოგიერთი ინვესტიცია უარყოფილი ან შენაცვლებული<sup>1</sup> იქნება. 14-2 ნახაზის ტერმინებში, ერთობლივი დანახარჯების სამთავრობო კომპონენტების ზრდამ (გადაადგილება ქვევით) შეიძლება შეამციროს (გადაადგილება ზევით) კერძო ინვესტიციების კომპონენტები. თუ კი ინვესტიციები შემცირდება იმავე სიდიდით, როგორითაც სამთავრობო ხარჯები გაიზრდება, მაშინ ასეთი ფისკალური პოლიტიკა მსლიანად არაეფექტიანი იქნებოდა.

თუმცა, მხოლოდ ზოგიერთებს თუ დააეჭვებს აღწერილი ლოგიკური სქემა, მაგრამ შენაცვლების ამ ეფექტის მასშტაბები გაცხოველებული დისკუსიის საგანია. მაგალითად, ზოგიერთი ეკონომისტი თვლის, რომ მაღალი უმუშევრობის შემთხვევაში ეს შენაცვლება უმნიშვნელო იქნება. აქ რაციონალური მარცვალი იმაშია, რომ დაცემის პირობებში სამთავრობო ხარჯების გადიდებით წარმოქმნილ სტიმულებს შეუძლიათ გააუმჯობესონ მეწარმეთა მომგებიანობის მოსალოდნელობა, რაც ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის კოორდინატების მნიშვნელოვანი დეტერმინანტია ( იხ. 12-6 ნახ.). თუ ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი გადაინაცვლებს მარჯვნივ, მაშინ ინვესტიციური ხარჯები არ უნდა დაეკვს — ის შეიძლება გაიზარდოს კიდევ — თუმცა სარგებლის ნორმა იზრდება.

საქმესთან დაკავშირებული სხვა მოსაზრებები ეხება ფულად პოლიტიკას, რასაც დეტალურად ჩვენ მომდევნო თავებში გავაანალიზებთ. ფულადი პოლიტიკის წარმმართველ ორგანოებს შეუძლიათ სათანადოდ გაზარდონ ფულის მიწოდება, დეფიციტით გამოწვეული, ფულის დამატებითი მოთხოვნის გასაწონასწორებლად. ასეთ შემთხვევაში სარგებლის წონასწორობითი განაკვეთი არ უნდა შეიცვალოს, ხოლო შენაცვლების ეფექტი მოლიანად თავიდან იქნება მოშორებული. 80-იან წლებში ფულადი პოლიტიკის ორგანოებმა მთლიანად შეზღუდეს ფულის მიწოდება, და როგორც ამის შედეგი, ამ წლების დიდი დეფიციტით წარმოშობილი შენაცვლების ეფექტი შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი ყოფილიყო. ამასთან შედარებით, 60-იან წლებში ეკონომიკური ორგანოები ცალსახად იყენებდნენ განწყობილნი

1. შენაცვლებულია შორის შეიძლება აღმოჩნდეს აგრეთვე სარგებლ. საღმ. მკრძნ. ბაზარზე ზოგიერთი სამომხმარებლო ხარჯებიც, მაგალითად ავტომობილების შექსა.

სარგებლის განაკვეთის სტაბილიზებისათვის. მაშასადამე, მათ უნდა გაეხარდათ ფულის მიწოდება მთავრობის ნაესხობებით გამოწვეული სარგებლის განაკვეთის გადიდების საპასუხოდ. ამის შედეგად შენაცვლებები, შესაძლოა, მეტად უმნიშვნელო ყოფილიყო.


## **ერთობლივი მიწოდება და ინფლაცია**

აქამდე მიყვანილი ჩვენი მსჯელობა მხოლოდ მოთხოვნის საკითხებს ეხებოდა. ახლა შევეხებით მიწოდების პრობლემებს. პირდაპირ რომ ვთქვათ, პრობლემა ისაა, რომ მზარდი დახრილობის მქონე ერთობლივი მიწოდების მოცემული მრუდის დროს, რეალურ წარმოებასა და დასაქმებაზე ფისკალური პოლიტიკის მასტიმულირებელი პოტენციალი ზემოქმედების გარკვეული ნაწილი შეიძლება დაიქსაქსოს ინფლაციის ფორმით. ამ საკითხის არსი ხაზგასმით აღვნიშნეთ 13-9 ნახაზზე და ჩვენსთვის იგი ახალი როდია.

## **შენაცვლების ეფექტისა და ინფლაციის ბრაზიკული გამოსახვა.**

მოცემულ ეტაპზე შეიძლება სასარგებლო იყოს ფისკალური პოლიტიკის და მის თანამდევ სირთულეთა გრაფიკული გამოსახვა „ერთობლივი მოთხოვნა-ერთობლივი მიწოდება“ მოდელის ჩარჩოებში. მოდით ვევარაუდოთ, რომ ინფლაციის სრული უქონლობის პირობებში წეპ-ის სიდიდე სრული დასაქმების დროს შეადგენს 490 მლრდ დოლ. ჩაინიშნეთ, რომ ერთობლივი მიწოდების მრუდი აქ გამოირიცხავს გარდამავალ მონაკვეთს და ამიტომ სრული დასაქმების წერტილამდე ფასების დონე საეხებით არ იცვლება. მაგრამ ამ წერტილის მიღწევის შემდეგ მკაცრად ყალიბდება კლასიკური ტიპის მონაკვეთი, და ერთობლივი მოთხოვნის შემდგომი ზრდა წმინდა ინფლაციური იქნება.

დასაწყისში ჩვენ მივიღებთ  $AD_1$  — ის ტოლ ერთობლივ მოთხოვნას, რაც არასრული დასაქმების დროს წონასწორობას იძლევა 470 მლრდ დოლ. წეპ-ის პირობებში. ეს, როგორც თქვენ გახსოვთ, კერძო სექტორის წონასწორობის წერტილი იყო 13-1 ცხრილში. ახლა ვივარაუდოთ, რომ ტარდება მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა, რაც ერთობლივი



ნახ. 14-6 ფისკალური პოლიტიკა: შენაცვლების, წმინდა ექსპორტის და ინფლაციის ეფექტები

ერთობლივი მსწოდების გამარტყეებული მრუდის პირობად მიღებით, ჩვენ წმინდა სახით უსედათ ფისკალური პოლიტიკის მოქმედების (ა) შეისიყვას. (ბ) შეისიყვავა ნაგარაუდევა. რომ წმინდა ინვესტიციების ნაწილი შენაცვლებული იქნება მასტყულებული ფისკალური პოლიტიკით, ისე, რომ ავით ამ პოლიტიკის ეფექტი სუსტდება. დაბოლოს (გ) შემთხვევაში ერთობლივი მსწოდების უფრო რეალური მრედი შეგვახსენებს იმის თაობაზე, რომ, როცა ეკონომიკა ახალსაა სრული დასაქმების ზღვომარეობასთან, მასტყულებული ფისკალური პოლიტიკის სუსტიქმედების ნაწილი გამოელაჩება ინფლაციის დაქარებაში, და არა რეალური წარსიების და დასაქმების ზრდაში. დაბოლოს V. (დ) შემთხვევაში – გრაფიკულად ივა (ბ) შემთხვევის იდენტულად განსაყვრება – იყენ ვვარაუდობთ, რომ ფისკალური პოლიტიკა გამოიყვეს სარგებლას განაკვეთის ზრდას. ეს კი იზადავს უცხოურ ფინანსურ კაპიტალს შეერთებულ შტატებში. ამის შედეგად იზრდება დოლარის ფასი და ამერიკის წმინდა ექსპორტი, ამგვარად მცირდება ფისკალური პოლიტიკის შედეგები.

მოთხოვნის მრუდს გადაანაცვლებს მარჯვნივ 20 მლრდ დოლარით  $AD_2$  -სკენ, და, ამგვარად, ეკონომიკა მიაღწევს სრულ დასაქმებას ინფლაციის გარეშე 490 მლრდ დოლ წეკ-ის დროს. ჩვენი წინა მხჯელობებიდან ფისკალური პოლიტიკის მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, ცნობილია, რომ 14-1 და 14-2 ცხრილების და 14-3 ნახაზის ტერმინებში დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორის მა-სკომპულებელი ზემოქმედება G და T -ს 20 მლრდ დოლ. ტოლობისას საკმარისი იქნება წონასწორობით წეკ-ზე ამ 20 მლრდ დოლ. ნამატის მისაღებად. თქვენთვის აუცილებელია შეამოწმოთ, რომ G -ს 5 მლრდ დოლარით გადიდება ამ T-ს 6 2/3 მლრდ დოლარით შემცირებამ, შეიძლება მოგვეცეს ასეთივე მასტიმულებელი შედეგი. ნებისმიერ

შემოხვევაში მაკომპლ.სირებელი და საქმის გამართლებელი ფაქტორების არარსებობის პირობებში „ფისკალურ პოლიტიკას წმინდა სახით“, ეკონომიკა და ცემის მდგომარეობიდან სრული დასაქმების მდგომარეობისაკენ მიჰყავს.

14-6 ბ ნახაზზე მდგომარეობა ჩვენ ცოტა შევარბილეთ განხილვაში შენაცვლების ეფექტის შეტანით. მაშინ როცა ფისკალური პოლიტიკა მასტიმულატორულია და განკუთვნილია ერთობლივი მოთხოვნის გადასაადგილებლად  $AD_1$  -დან  $AD_2$ -მდე, ინვესტიციების ნაწილი შეიძლება შენაცვლებული იქნას, და ერთობლივი მოთხოვნა დადგება  $AD_2$  -ის დონეზე. მაშასადამე, წონასწორობითი წეპ-ი გაიზრდება მხოლოდ, დაეუშვათ 480 მლრდ დოლარამდე და არა სასურველ 490 მლრდ დოლ. დონემდე. საქმე იმაშია, რომ შენაცვლების ეფექტს შეუძლია გაურკვეველ ზომამდე შეასუსტოს ფისკალური პოლიტიკის მოქმედება.

4-6 ნახაზზე ჩვენ გადავდივართ ერთობლივი მიწოდების უფრო რეალურ მრუდზე, რომელიც გარნდამავალ მონაკვეთს მოიცავს ჩვენს მიერ აქ უგულებელყოფილია შენაცვლების ეფექტი და ვვარაუდობთ, რომ მასტიმულატორული ფისკალური პოლიტიკა თავის მიზანს აღწევს ერთობლივი მოთხოვნის გადაადგილებაში  $AD_1$  -დან  $AD_2$  -სკენ. თუ კი ერთობლივი მიწოდების მრუდი ისეთი იქნებოდა, როგორც ეს 14-5ა და 6 ნახაზზეა გამოსახული, მაშინ სრული დასაქმება მიიღწეოდა 490 მლრდ დოლ. წეპ-ის დროს, და, ამასთან, ფასების დონე  $P_1$  -ის ეოლი დარჩებოდა. მაგრამ ჩვენ დავინახავთ, რომ ერთობლივი მიწოდების მრუდზე მზარდი დახრილობის შუალედური მონაკვეთის არსებობა გამოიწვევს იმას, რომ ერთობლივი მოთხოვნის ნამატის ნაწილი გაიფანტება უფრო მაღალ ფასებში, რის შედეგადაც რეალური წეპ-ის ნამატი შემცირდება. კერძოდ, ფასების დონე გაიზრდება  $P_1$  -დან  $P_2$  -მდე და რეალური ერთეული პროდუქტი გადიდდება მხოლოდ 480 მლრდ დოლარამდე.

ერთობლივი დანახარჯების მოდელის ჩვენს ტერმინებში (ნახ. 14-1 და 14-2) ვამტკიცებთ, რომ მასტიმულატორული ფისკალური პოლიტიკას შეუძლია უზრუნველყოს ერთობლივი დანახარჯების ზრდა სახელმწიფო ხარჯების ნამატის არა მთლიან რაოდენობაზე (ანუ მოხმარების სიდიდით, რომელიც დაკავშირებულია გადასახადების საერთო შემცირებასთან). თუ ფასების დონე იზრდება — როგორც ეს ხდება ერთობლივი მიწოდების მზარდი მრუდის შემთხვევაში — სამთავრობო ხარჯების ნამატი ნაწილობრივ კომპენსირებული იქნება მოხმარების,



ინვესტიციების და წმინდა ექსპორტის ხარჯების შემცირებით. ეს შემცირებები კეთილდღეობის, სარგებლის განაკვეთების შეცვლის და უცხოური შესყიდვების ეფექტის მოქმედების შედეგია, რაც განპირობებულია საშინაო ფასების უფრო მაღალი დონით. ე.ი. 14-ნგ ნახაზზე ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება  $AD_1$  -დან  $AD_2$  -მდე, მაგრამ ჩვენ გადავინაცვლებთ ზევით  $AD_2$  მრუდზე წონასწორობითი ფასისა და რეალური ერთეული პროდუქტის ახალი დონეებისაკენ, რადგანაც ერთობლივი მიწოდების მრუდი დამრეცად იწვევს ზევით. მოთხოვნაზე ორიენტირებულ ფისკალურ პოლიტიკას არ შეუძლია თავიდან აიცილოს ერთობლივი მიწოდების მრუდით წარმოშობილი რეალობები.

## ფისკალური პოლიტიკა ღია ეკონომიკაში

აქამდე ჩვენი მსჯელობა იზღუდებოდა დახურული ეკონომიკის ფისკალური პოლიტიკის სიძნელეებით. დამატებითი სიძნელეები აღმოცენდება მაშინ, როცა მხედველობაში ვიღებთ იმ გარემოებას, რომ ამერიკის ეკონომიკა ფართო მსოფლიო ეკონომიკის ნაწილია.

სახლვარგარეთ ფესვგადგმული შოკები. ადრინდელი განხილვიდან ცნობილია, რომ სახლვარგარეთ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის მოვლენები და ღონისძიებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ამერიკის წმინდა ექსპორტზე, ზემოქმედებს მის ეკონომიკაზეც. ჩვენი დღევანდელი ანალიზის ტერმინებში ამის ფორმულირებით შეიძლება ერთობლივი მოთხოვნის გაუსთვალისწინებელი საერთაშორისო შოკების მოქმედებაში მოვხვდეთ, რომელთაც შეუძლიათ შეამცირონ ამერიკის წეკ და გააუფასურონ ფისკალური პოლიტიკის ღონისძიებები. მაგალითად, დაუშვათ, რომ დაკუმის მოლოდინში ჩვენ სამთავრობო ხარჯები და გადასახადები იმ 'სიომამდე შევცვალეთ, რომელიც საკმარისია იმისათვის, რათა გაიზარდოს ერთობლივი მოთხოვნა და წეკ, ინფლაციის გამოწვევის გარეშე (როგორც 14-ნა ნახაზზე  $AD_1$  -დან  $AD_2$  -ზე გადასვლის დროს). ახლა დაუშვათ, რომ ამერიკის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკა მოულოდნელად და ენერჯულად იწყებს ზრდას. მზარდი დასაქმება და გადიდებული შემოსავლები ამ ქვეყნებში გაზრდის ამერიკული საქონლის გაყიდვას. ამერიკის წმინდა ექსპორტი გაიზრდება, ერთობლივი მოთხოვნა გადიდდება ძალზე სწრაფად და

აიერიკა დადგება მოთხოვნის ინფლაციის პრობლემის წინაშე. თუ კი ჩვენთვის ადრევე იქნებოდა ცნობილი, რომ ამერიკის წმინდა ექსპორტი ასე მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, მაშინ შემოვიღებდით უფრო ნაკლებად მასტიმულიბელ ფისკალურ პოლიტიკას. საკითხი ისაა, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ამერიკის სულ უფრო მზარდ მონაწილეობას მოჰყვება ურთიერთდამოკიდებულებათა განსაკუთრებული გართულებები სპეციალიზაციასა და ვაჭრობაში მონაწილეობის უპირატესობასთან ერთად.

წმინდა ექსპორტის ეფექტი. ეფექტი, რომელსაც წმინდა ექსპორტის ეფექტს ვუწოდებთ, მოქმედებს საერთაშორისო ვაჭრობის მეშვეობით და ძირს უთხრის ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობას. შენაცვლების ეფექტის განხილვა ჩვენ დავამთავრეთ დასკვნით, მასტიმულიბელი ფისკალური პოლიტიკით, სარგებლის განაკვეთის შესაძლო ამალღების შესახებ, რაც ინვესტიციების შემცირებას იწვევს და, მაშასადამე, ძირს უთხრის ფისკალურ პოლიტიკას. ახლა უნდა დავრწმუნდეთ, თუ როგორი იქნება სარგებლის განაკვეთების ასეთი ზრდის ზემოქმედება ამერიკის წმინდა ექსპორტზე. მოდიოთ, ვივარაუდოთ, რომ ვატარებთ მასტიმულიბელ ფისკალურ პოლიტიკას, რომელსაც ეკონომიკაში სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთები შემოაქვს. სარგებლის ასეთი განაკვეთები ფინანსურ კაპიტალს საზღვარგარეთიდან მოიზიდავს, სადაც სარგებლის განაკვეთები, სავარაუდოდ ძველ დონეზე რჩებიან. მაგრამ საზღვარგარეთელმა ფინანსურმა ინვესტორებმა, ძიებული ამერიკული ფასიანი ქაღალღების ყიდვამდე, თავის განკარგულებაში უნდა მიიღონ აშშ-ს დოლარები. ჩვენ ვიცით, რომ საქონელზე მოთხოვნის გადიღება—მოცემულ შემთხვევაში დოლარებზე — გაზრდის მის ფასს. ამრიგად, სხვა ქვეყნის ვალუტებით გამოხატული დოლარის ფასი გაიზრდება, ანუ, დოლარი გაძვირდება. როგორ იმოქმედებს დოლარის ასეთი გაძვირება ამერიკის წმინდა ექსპორტზე? რადგანაც საქონლის საყიდლად საჭირო იქნება უცხოური ვალუტის მეტი ერთეულები, უცხოელებისათვის ამერიკული ექსპორტი უფრო ძვირი იქნება; მაშასადამე, იგი შემცირდება. პირიქით, ამერიკელები, რომლებიც თავის დოლარებს ახლა უცხოური ვალუტების მეტი ერთეულებზე გადაცვლიან, მეტი იმპორტს შეიძენენ. ამ რთული სცენარის აუცილებელი შედეგი ისაა, რომ აშშ-ში წმინდა ექსპორტის ხარჯები შემცირდება და ამერიკის მასტიმულიბელი ფისკალური პოლიტიკა ნაწილობრივ განეიტრალღება.

ცხრილი 14-3. ფისკალური პოლიტიკა და წმინდა ექსპორტის ზემოქმედება

(1)	(2)
მასტიმულებელი ფისკალური პოლიტიკა	შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკა
↓	↓
პრობლემა: დაქვეითება, ნელი ზრდა	პრობლემა: ინფლაცია
↓	↓
მასტიმულებელი ფისკალური პოლიტიკა	შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკა
↓	↓
სარგებლის უფრო მაღალი საშინაო განაკვეთი	სარგებლის უფრო დაბალი საშინაო განაკვეთი
↓	↓
საგარეო შხარდი მოთხოვნა დოლარზე	საგარეო მოთხოვნის დაქვეითება დოლარზე
↓	↓
დოლარის გაძვირება	დოლარის გაუფასურება
↓	↓
წმინდა ექსპორტის შემცირება (ერთობლივი მოთხოვნა ეკემა, ნაწილობრივ ეწინააღმდეგება რა მასტიმულებელ ფისკალურ პოლიტიკას)	წმინდა ექსპორტის გადიდება (ერთობლივი მოთხოვნა იზრდება, ნაწილობრივ ეწინააღმდეგება რა შემაკავებელ ფისკალურ პოლიტიკას)

ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების ჩვენეული ანალიზისაკენ მიბრუნება 14-ნბ ნახაზზე, რომელიც ახლა უკვე აღნიშნულია, როგორც დ) შემთხვევა, დაგვეხმარება ამ. პუნქტის გარკვევაში. ერთობლივი მოთხოვნის  $AD_1$  -დან  $AD_2$  -მდე გაზრდისათვის გამიზნულ მასტიმულებელ ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია სარგებლის განაკვეთის საშინაო დონის ამაღლება და საბოლოო ანგარიშით ამერიკის წმინდა ექსპორტის ახლახანს ახსნილი მექანიზმის მოქმედებით შემცირება მაშასადამე, ამერიკის წმინდა ექსპორტის, როგორც ერთობლივი მოთხოვნის კომპონენტის შემცირება ნაწილობრივ


მასტიმულებელი ფისკალური პოლიტიკის საპირისპიროდ იმოქმედებს. ერთობლივი მოთხოვნის მრუდი გადაადგილდება  $AD_1$  -დან  $AD_2'$  -სკენ და არა  $AD_2$  -კენ და წონასწორობითი წეპ გაიზრდება 470 <sup>4</sup>-დან 480 მლრდ დოლარამდე და არა 490 მლრდ დოლარამდე. მაშასადამე, წმინდა ექსპორტის გავლენა ფისკალურ პოლიტიკაზე ერთ რიგში იმყოფება დროის, პოლიტიკური პრობლემის, შენაცვლებისა და ინფლაციის უკვე აღნიშნულ ფაქტორებთან, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს ერთობლივი მოთხოვნის „მართვას“.

14-3 ცხრილში შეჯამებულია ფისკალური პოლიტიკით გამოწვეული წმინდა ექსპორტის ზემოქმედება. სახელდობრ, პირველ სვეტში განზოგადებულია მსჯელობანი, რომლებიც ეს ეს არის მოვიტანეთ (იხილეთ ასევე ნახ. 14-ნდ). მაგრამ, ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ წმინდა ექსპორტის ზემოქმედება ხორციელდება ორივე მიმართულებით. სარგებლის საშინაო განაკეთის შემცირებით შემაკავებელ ფისკალურ პოლიტიკას წმინდა ექსპორტის გადიდების ტენდენცია გააჩნია. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია მიჰყევთ 14-3 ცხრილის მე-2 სვეტში ასახული მსჯელობის მსვლელობას და შეეუფარდოთ იგი „ერთობლივი მოთხოვნა — ერთობლივი მიწოდება“ მოდელს.

## მიწოდებაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა

ჩვენი ანალიზი ამგვარად ითვალისწინებს, რომ ფისკალური პოლიტიკა განსაკუთრებით მოთხოვნაზე, ე. ი. ერთობლივი დანახარჯებისა და ერთობლივი მოთხოვნის სიდიდეზე ზემოქმედებს. მაგრამ ეკონომისტებმა ასევე აღიარეს, რომ ფისკალურ პოლიტიკას — განსაკუთრებით გადასახადების ცვლილებებს — შეუძლია შეცვალოს ერთობლივი მიწოდება, და ამრიგად, ზეგავლენა იქონიოს იმ ცვლილებებზე, რომლებიც ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია გამოიწვიოს ფასების დონე — რეალური წარმოება, თანაფარდობაში.

დათუშვათ, რომ 14-7 ნახაზზე ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება წარმოდგენილია შესაბამისი  $AD_1$  და  $AS_1$  მრუდებით ისე, რომ წონასწორობითი წეპ-ის წერტილი არის  $Q_1$ . წერტილი, ფასების  $P_1$  დონის დროს. ვივარაუდოთ ასევე, რომ წეპ= $Q_1$  -ის შესაბამისი უმუშევრობის დონე, მეტად მნიშვნელოვანია,



ნახ. 14-7 ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედება მინოღებაზე

ტრადიციულად მიღებულია, რომ გადასახადების გაღიძება ზრდის აგრეგირებულ მოთხოვნას  $AD_1$ -დან  $AD_2$ -კენ; ერთდროულად იზრდება ეროვნული წარმოების რეალური მოცულობა ( $Q_1$ -დან  $Q_2$ -მდე) და ფასების დონე ( $P_1$ -დან  $P_2$ -მდე). თუ გადასახადების შემცირება გამოიწვევს სასურველ შედეგებს მიწოდების მხრივ, მაშინ აგრეგირებული მიწოდება გადაადგილდება მარჯვნივ  $AS_1$ -დან  $AS_2$ -კენ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მივაღწიოთ წარმოების უფრო მეტ მოცულობასაც კი ( $Q_3$ -ნაცვლად  $Q_2$ -სა) და ფასების უფრო დაბალი დონეს ( $P_3$ -ნაცვლად  $P_2$ -ს).

და ამიტომ ინერგება მასტიმულაციური ფისკალური პოლიტიკა გადასახადების შემცირების ფორმით. ჩვენ ვიცით, რომ ამ ღონისძიების შედეგი მოთხოვნის მხარეს, იქნება ერთობლივი მოთხოვნის გაღიძება  $AD_1$ -დან, დაეშუვათ,  $AD_2$ -მდე. ეს გადაწევა გაზრდის წეპ-ის სიდიდეს  $Q_2$ -მდე, მაგრამ ასევე გაზრდის ფასებს  $P_2$ -ის დონემდე.

კითხვა: რა ზეგავლენა იქონია გადასახადების შემცირებამ ერთობლივი მიწოდების სიდიდეზე? ზოგიერთი ეკონომისტი, — შესაბამისად, როგორც მიწოდების ეკონომიკის მომხრეებად წოდებულნი — დარწმუნებულია, რომ გადასახადების შემცირება გამოიწვევს ერთობლივი მიწოდების მრუდის მნიშვნელოვან გადაწევას მარჯვნივ.

მაგრამ რას ნიშნავს ეს? უფრო დაბალი გადასახადები ზრდის შემოსავლების ოდენობას გადასახადების გადახდამდე, და ამრიგად, ადიდებს საოჯახო მეურნეობის დანაზოგებს. ანალოგიურად, მეწარმეთა გადასახადების შემცირება გაზრდის ინვესტიციების მომგებიანობას. მოკლედ, შემცირებული გადასახადები გაზრდის დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობას, და ამგვარად, გააღიძებს კაპიტალის

დაგროვების ნორმას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკის „ეროვნული ფაბრიკის“ — მისი საწარმოო სიმძლავრეების — მასშტაბები წინანდელზე უფრო სწრაფი ტემპით გაიზრდება. უფრო მეტიც, შემცირებული ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადები ასევე გაზრდის ხელფასს გადასახადების გადახდის შემდეგ, ე.ი. იმ ფასს, რომელსაც იხდიან მუშაობისათვის, და შაშასადამე, გააძლიერებს შრომის სტიმულებს. ბევრი მათგანი, რომელიც ჯერ კიდევ არ შედის სამუშაო ძალის შემადგენლობაში, ეცდება თავისი სამსახური შესთავაზოს უფრო მაღალი ხელფასის პირობებში გადასახადების გადახდის შემდეგ. მათ კი, ვინც სამუშაო ძალის შემადგენლობაშია, სტიმული ექნებათ უფრო ხანგრძლივი სამუშაო კვირა იმუშაონ და შეამცირონ კიდევაც თავიანთი შვებულება. გადასახადის განაკვეთების შემცირება — ასევე კარგი ბიძგია მათთვის, ვისაც რისკის გაწევა შეუძლია. კერძო პირებსა და მეწარმეებს უფრო მეტი სურვილი ექნებათ გარისკონ თავისი ენერჯია და ფინანსური კაპიტალი ახალი საწარმოო მეთოდებისა და ახალი საქონლის დანერგვისათვის, თუ კი შემცირებული საგადასახადო განაკვეთები მათ უფრო მნიშვნელოვანი ანაზღაურების გარანტიას მისცემს გადასახადების გადახდის შემდეგ. მოკლედ რომ ვთქვათ ყველა ამ არხებით გადასახადების შემცირება ერთობლივი მოთხოვნის მრუდს 14-7 ნახაზზე გადაადგილებს მარჯვნივ,  $AS_1$  —დან  $AS_2$  —მდე, რაც შეამცირებს ინფლაციას და უზრუნველყოფს რეალური წყ-ის შემდგომ ზრდას. მიწოდებაზე ორიენტირებული ერთობლივი მიწოდების გადიდების ეს ლოგიკა წარმოადგენდა გადასახადების შემცირების საფუძველს რეიგანის ადმინისტრაციის დროს 80-იანი წლების დასაწყისში.

მიწოდების ეკონომიკის კონცეფციის მომხრენი ასევე აღიარებენ, რომ არაა აუცილებელი გადასახადების უფრო დაბალმა განაკვეთებმა გამოიწვიოს საგადასახადო შემოსულობების შემცირება. სინამდვილეში შეიძლება ისეც მოხდეს, რომ გადასახადების განაკვეთების შემცირებამ უზრუნველყოს საგადასახადო შემოსულობათა გადიდება ეროვნული გამოშვებისა და შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდის ხარჯზე. ეს გაფართოებადი საგადასახადო ბაზა უზრუნველყოფს საგადასახადო შემოსავლების ზრდას უფრო დაბალი განაკვეთების დროსაც კი. ამრიგად, მაშინ როცა ტრადიციული კეინსური მიდგომის თვალსაზრისით გადასახადების განაკვეთების შემცირება გამოიწვევს საგადასახადო შემოსულობათა შემცირებას და ბიუჯეტში გაზრდის დეფიციტს, მიწოდების ეკონომიკის მიდგომა ვარაუდობს, რომ

გადასახადების განაკვეთის შემცირება შეიძლება ისეთნაირად იყოს ორგანიზებული, რომ მან უზრუნველყოს საგადასახადო შემოსულობათა ზრდა და დეფიციტის შემცირება.

ეკონომისტთა უმეტესობა დიდი სიფრთხილით ეკიდება გადასახადების შემცირების ზემოთ აღწერილ გაგებას მიწოდების ეკონომიკის პოზიციებიდან. ჯერ ერთი, ისინი გრძნობენ, რომ გადასახადების შემცირების მოსალოდნელი პოზიტიური ზემოქმედება შრომის, დანაზოგებისა და ინვესტიციების, ასევე რისკის სტიმულაზე შესაძლოა სინამდვილეში ისე ძლიერი არ იყოს, როგორც იმედოვნებენ მიწოდების მიმდევრები. მეორე, ერთოდლივი ზომების მრუდის ნებისმიერ გადაწევას მარჯვნივ თავისი ბუნებით გრძელვადიანი ხასიათი გააჩნია, მაშინ როდესაც მოთხოვნაზე ზემოქმედება ეკონომიკაში გაცილებით უფრო ჩქარა იქნება საგრძნობი. მიწოდების ეკონომიკის ირგვლივ პოლემიკას კიდევ ერთხელ შევხებით მე-19 თავში.

## რეზიუმე

1. მთავრობის პასუხისმგებლობა სრული დასაქმების მისაღწევად და შესანარჩუნებლად ფორმულირებულია 1946 წ. კანონში დასაქმების შესახებ. შეიქმნა ეკონომიკურ კონსულტანტთა საბჭო (ეკს) პრეზიდენტისათვის რეკომენდაციების მოსამზადებლად ამ კანონის მიზნების განხორციელების პოლიტიკის რეალიზებისათვის. 1978 წ. ჰემფრი-პოუკინსის კანონი მოიცავს განსაკუთრებულ მიზნებს ინფლაციისა და უმუშევრობის კონტროლის თაობაზე.

2. სამთავრობო ხარჯების ზრდა იწვევს წონასწორობითი წყ-ის ოდენობის ზრდას, ხოლო ამ ხარჯების შემცირება კი მისი სიდიდის დაქვეითებას. პირიქით, გადასახადების ზრდა იწვევს წყ-ის შემცირებას, გადასახადების შემცირება კი მის გაფართოებას. შესაბამისად, უმუშევრობასთან ბრძოლაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა ითვალისწინებს სამთავრობო ხარჯების ზრდას და გადასახადების შემცირებას — ე.ი. ბიუჯეტურ დეფიციტებს. თავის მხრივ, მოთხოვნის ინფლაციის კორექტირებაზე გამიზნული ფისკალური პოლიტიკის ელემენტი ხდება სამთავრობო ხარჯების შემცირება

გადასახადების გადიდების პირობებში, ე.ი. ბიუჯეტური ნამეტის წარმოშობა.

3. დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი გვიჩვენებს, რომ სამთავრობო ხარჯებისა და გადასახადების თანაბარი ნამატი წონასწორობითი წეპ-ის მოცულობას ზრდის სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების ნამატის სიდიდით.

4. ჩაშენებული სტაბილურობა მიეკუთვნება იმ ფაქტს, რომ წმინდა საგადასახადო შემოსულობანი წეპ-ის დონის პროპორციულად იცვლება. შესაბამისად, დაქვეითების მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტში ავტომატურად ყალიბდება დღეფიცითი, რაც მასტაბილიზებელ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე; პირიქით, აღმავლობის პერიოდში ბიუჯეტში ავტომატურად წარმოიქმნება ანტიინფლაციური ნამეტი. ჩაშენებული სტაბილურობა არბილებს, მაგრამ არ ასწორებს არასასურველ ცვლილებებს წეპ-ში;

5. სრული დასაქმების ბიუჯეტი გვიჩვენებს როგორი იქნებოდა ფედერალური ბიუჯეტის დეფიცითი ან ნამეტი, თუ კი ეკონომიკა იფუნქციონირებდა სრული დასაქმებით წლის მანძილზე. სრული დასაქმების ბიუჯეტი სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის ორიენტაციის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, ვიდრე ფაქტობრივი ბიუჯეტური დეფიცითი ან ნამეტი.

6. შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის კანონმდებლური მოწონება და შემდგომი რეალიზაცია მთელ რიგ კითხვებს იწვევს და გარკვეულ პრობლემებს აყენებს. მათგან ყველაზე სერიოზული შემდეგია: ა) შესაძლებელია თუ არა უფრო თანამედროვე ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და რეალიზება მისი მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, ეკონომიკურ მერყეობათა საწინააღმდეგოდ? ბ) შეიძლება თუ არა ეკონომიკას იმედი ჰქონდეს, რომ კონგრესი კანონმდებლობით მხარს დაუჭერს სიტუაციის შესაბამის ფისკალურ პოლიტიკას? გ) ფისკალური პოლიტიკის მასტიმულებელი უფექტი შეიძლება მნიშვნელოვნად შესუსტდეს, თუ იგი მოახდენს კერძო კაპიტალდაბანდებების ნაწილის შენაცვლებას; დ) მასტიმულებელი ფისკალური პოლიტიკის დადებითი ზემოქმედების ზოგიერთი ნაწილი შეიძლება გაიფანტოს ინფლაციით; ე) ფისკალური პოლიტიკა



შესაძლოა არაეფექტიანი ან შეუსაბამო აღმოჩნდეს მსოფლიო ეკონომიკაში გაუთვალისწინებელი მოვლენების შედეგად. გარდა ამისა, ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია დააჩქაროს ვალუტის კურსის ცვლილებები, რაც დაასუსტებს ამ პოლიტიკის ეფექტს; ე) მიწოდებაზე ორიენტირებულ ფისკალურ პოლიტიკას არ შეუძლია გაითვალისწინოს გადასახადების ცვლილებების ზემოქმედება ერთობლივ მიწოდებაზე.

## ტერიმინები და ცნებები

1946 წლის კანონი დასაქმების შესახებ

ეკონომიკურ კონსულტანტთა საბჭო (ეკს)

პემფრი-ჰოუკინსის 1978 წლის კანონი

დისკრეტული ფისკალური პოლიტიკა.

საერთო (პაუშალური) გადასახადი (მიღებული შემოსავლის სიდიდისაგან დამოუკიდებლად)

დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი

მასტიმულელებელი და შემაკავებელი ფისკალური პოლიტიკა

ჩაშენებული სტაბილიზატორები

ფაქტობრივი ბიუჯეტი და ბიუჯეტი სრული დასაქმების დაშვებისას (სრული დასაქმების ბიუჯეტი)

პოლიტიკური მოტივებით განპირობებული საქმიანი ციკლი

შენაცვლების ეფექტი

წმინდა ექსპორტის ზემოქმედება

## კითხვები და სასწავლო დავალებები

1. გრაფიკულად გვიჩვენეთ წონასწორობითი წეპ-ის ოდენობის განსაზღვრა კერძო სექტორში ერთობლივი დანახარჯები — ეროვნული გამოშვება ნაკადის მეთოდით და გადენა-ინექციის ნაკადის მეთოდით. ამაში მოემატებთ სახელმწიფო ხარჯები და გადასახადები და გვიჩვენეთ თითოეული ამ ფაქტორის ზემოქმედება წონასწორობითი წეპ-ის სიღრმეზე. ახსენით, როგორ შეიძლება დისკრეტული ფისკალური პოლიტიკის გამოყენება ინფლაციის შერბილებისა და დაქვეითების დასაქმევადა.

2. აიღეთ მე-13 თავის ბოლო მე-2 კითხვის ცხრილის მონაცემები. ახლა, იმ ვარაუდით რომ ინვესტიციები 16 მლრდ დოლარია ცხრილში შეიტანეთ სახელმწიფო სექტორი, იმ დაშვებით, რომ გადასახადების ოდენობა შეადგენს 20 მლრდ დოლ. წეპ-ის ყოველ დონეზე. დაუშვათ, რომ წმინდა ექსპორტი ნულის ტოლია, ყველა გადასახადი ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადია, სახელმწიფო ხარჯები კი არ იწვევენ მოხმარებისა და ინვესტიციების

გრაფიკების გადაწევას ახსენით წონასწორობითი წეპ-ის ცუდილებები, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიმართულებასთან ეკონომიკაში.

3. რა არის დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი? გვიჩვენეთ დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორის მოქმედება მე-2 კითხვაზე თქვენი პასუხის ტერმინებით. ახსენით შედეგი მტკიცება: „სახელმწიფო ხარჯებისა და საგადასახადო შემოსულობათა თანაბარი გადიდება ი დოლარით გამოიწვევს წეპ-ის ზრდას ი დოლარით“. სამართლიანია თუ არა ეს მტკიცება დასოგისაკენ ზღვრული მიდრეკილების სიდიდის მიხედვით?

4. ახსენით, როგორ შეიძლება მოხდეს, რომ „კონსერვატორი“ და „ლიბერალი“ ეკონომისტები მხარს უჭერდნენ აქტიურ ფისკალურ პოლიტიკას?

5. ახსენით ჩამოთვლილი სტაბილიზატორების მოქმედების მექანიზმი. შეგიძლიათ თუ არა შეიტანოთ რაიმე წინადადება ჩამოთვლილი სტაბილიზატორის გასაძლიერებლად?

6. მოგვეცით „სრული დასაქმების ბიუჯეტის“ განსაზღვრა და ახსენით მისი მნიშვნელობა. რით განსხვავდება იგი „ფაქტობრივი ბიუჯეტისაგან“? რა განსხვავებაა ციკლურ დეფიციტსა და სტრუქტურულ დეფიციტს შორის?

7. ჩამოთვალეთ და მოკლედ შეაფასეთ ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისა და გატარების ძირითადი პრობლემები. ახსენით პოლიტიკური მოტივებით გამოწვეული საქმიანი ციკლის იდეა. რაში მდგომარეობს შენაცვლების ეფექტი და რატომაა იგი დაკავშირებული ფისკალურ პოლიტიკასთან? რა ასრითაა მსგავსი წმინდა ექსპორტის ეფექტი შენაცვლების ეფექტთან?

8. კომენტარი გაუკეთეთ შემდეგ მტკიცებებს:

ა) „ინფლაციასთან შეჯახებისას, კეისელი ეკონომისტები მოთხოვნიან შეზღუდვისათვის გეოგრაფიკულ მდებარეობასთან დაკავშირებული პრობლემების შემოღებას, მაშინ როცა მიწოდების თეორიის მომხრენი გვირგვინს გადასახადების შემცირებას ერთობლივი მიწოდების გასაძლიერებლად“;

ბ) „კეისელი ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ მოთხოვნა ქმნის თავის საკუთარ მიწოდებას, მიწოდების თეორიის მომხრენი კი ვარაუდობენ, რომ მიწოდება თავისთვის ქმნის საკუთარ მოთხოვნას“;

9. გვიჩვენეთ გრაფიკულად გადასახადების პოტენციური ზემოქმედება ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებაზე;

წეპ (მლრდ დოლ.)	მოხმარება (მლრდ დოლ.)
100	120
200	200
300	280
400	360
500	440
600	520
700	600

10. თქვენი პასუხის საფუძველად 14-4 ნახაზის გამოყენებით, ახსენით ფისკალური პოლიტიკის მასტაბილიზებელი და მადესტაბილიზებელი გავლენა კონსტიტუციური შესწორების მიზნების შემოხვევაში, ბიუჯეტის კოეფიციენტი დაბალანსების შესახებ.

11. 14-4 ნახაზის გამოყენებით ახსენით, თუ რატომ შეიძლება დეფიციტის გადიდება, რაც ეკონომიკაზე მასტაბილიზებელ ზემოქმედებას ახდენს, თეთლიკიდიარებადი იქოს. პრეზიდენტმა კენედიმ 60-იანი წლების დასაწყისში, როცა კონგრესს სთხოვდა გადასახადების შემცირებას, განაცხადა: „პარადიკსული სინაძვლიერ ისაა, რომ გადასახადების განაკეთები დღეს მეტად მაღალია, საგადასახადო შემოსულობანი კი ძალზე დაბალი და საგადასახადო შემოსულების გადიდების ყველაზე გონიერული ხერხი გრძელვადიან თვალსაზრისით, გადასახადების განაკეთების დღევანდელი შემცირებაა“. სწორი იყო თუ არა ეს ლოგიკა?

12. გარიგებები ამოცანა: დავეშვათ, რომ გადასახადების სრული არარსებობის პირობებში მოხსარების გრაფიკი შემადგენიად გამოიყურება:

ა) გამოსახეთ მოხსარების გრაფიკი და აღნიშნეთ მოხსარებისადმი ზღერული მიდრეკილების სიდიდე.

ბ) ახლა ვივარაუდოთ, რომ შემოღებული საერთო (რეგრესიული) გადასახადების სისტემა მთავრობას უსრუტყველყოფს 10 მლრდ დოლ. გადასახადებით წეპ-ის ნებისმიერ დონეზე. გაანგარიშეთ საგადასახადო განაკვეთი წეპ-ის ყველა მნიშვნელობის დროს. დასაზეთ მოხსარების შემადგენიად გრაფიკი და შეადარეთ მოხსარებისადმი ზღერული მიდრეკილება და მულტიპლიკატორის სიდიდე მათ მნიშვნელობებს მოხსარების გრაფიკზე, გადასახადების შემოღებამდე.

გ) ახლა ვივარაუდოთ, რომ რეგრესიული სისტემის ნაკვლად შემოღებულია პროპორციული საგადასახადო სისტემა 10 პროცენტური საგადასახადო განაკვეთით. გამოთვალეთ მოხსარების ახალი გრაფიკი, გამოსახეთ და აღნიშნეთ მოხსარებისაკენ ზღერული მიდრეკილების სიდიდე და მულტიპლიკატორი.

დ) და ბოლოს, შემოღებულია პროგრესული საგადასახადო სისტემა, რომელშიც გადასახადის განაკვეთი წელის ტოლია წეპ-ის 100 მლრდ დოლ. დროს, 5%-ს — 200 მლრდ დოლ. დროს, 10% — 300 მლრდ დოლ. დროს, 15% — 400 მლრდ დოლარის პირობებში და ა. შ. განასაზღვრეთ და გამოსახეთ მოხსარების ახალი გრაფიკი, გამოყენით ამ საგადასახადო სისტემის ზეიქიქედება მოხსარებისაკენ ზღერული მიდრეკილებისა და მულტიპლიკატორის სიდიდეზე:

ე) ახსენით, რატომ უწყობს ხელს ეკონომიკის სიმტკიცის ზრდას პროპორციული და პროგრესული საგადასახადო სისტემა რეგრესული სისტემისაგან განსხვავებით. ეს აწვერეთ გრაფიკზე;

13. გარიგებები ამოცანა. მე-13 თავის ბოლო მე-12 კითხვას შემდგენიად დაუგმატოთ სახელმწიფო ხეკტორი. ვივარაუდოთ, რომ  $G = G_0 = 28$  და  $T = T_0 = 30$ . გადასახადების უეიქიქედებით მოხსარების გრაფიკი  $C = 50 + 0,8Y$  უნდა გამოიყურებოდეს  $C_0 = 50 + 0,8(Y - T)$ , სადაც  $(Y - T)$  სიდიდე წარმოადგენს არსებულ (გადასახადების გადახდის შემდეგ) შემოსავალს. ისეთ პირობებში, როცა ყველა გადასახადი ინდივიდუალური საშუქოსაველი გადასახადია, ინვესტიციები დარჩება  $I_1 = I_0 = 30$ . წმინდა ექსპორტი კვლავ დამოუკიდებელია შემოსავლის დონისაგან, ე.ი.  $X_1 = X_0 = 10$ . წონასწორობის პირობის  $Y = C_0 + I_1 + X_1 + G$ , გამოყენებით განასაზღვრეთ შემოსავლის წონასწორობითი სიდიდე. ახსენით სახელმწიფო ბიუჯეტის ბოდელებში მცირე ნაძატის შეტანა რატომ იწვევს წონასწორობისაი შემოსავლის ზრდას. ეხლა  $T = T_0 = 30$  ნაკვლად ჩასეთი მნიშვნელობა  $T = 0,2Y$  და კვლავ ამოხსენით შემოსავლის სიდიდის პოენის ამოცანა.

## ბოლო შტრიხი

### ბამსწრები ინდიკატორები

პოლიტიკურ მოდელებების მიერ რეალური ეეპ-ის მომავალი ცვლილებების მიმართულებათა პროგნოზირებისათვის გამოყენებული ერთერთი ინსტრუმენტი ცვლადთა ჯგუფის თვიური ინდექსია, რაც წარსულში ეეპ-ის ცვლილების შესახებ გაფრთხილებას იძლეოდა.

„ბამსწრები ინდიკატორების ინდექსი მესამე თვეა ზედიზედ მცირდება — გაჩნდა დაქვეითების საშიშროება“. „ბამსწრები

ინდიკატორების ინდექსი კვლავ ზევით მიცოცავს“. „ბაზარზე აქციების დაცემა დაბლა სწევს გამსწრები ინდიკატორების ინდექსს“. ამგვარი სათაურები რეგულარულად ჩნდება ამერიკის მთავარი გაზეთების საქმიან განყოფილებებში. ამ სტატიების ცენტრშია ვაჭრობის სამინისტროს საშუალო შეწონილი ანუ კრებისთი ინდექსი, რაც 11 ეკონომიკურ ცვლადს მოიცავს, რომლებიც თავის პიკს ანე მინიმალურ მნიშვნელობას საქმიანი ციკლის შესაბამისი შემობრუნების გასწრებით აღწევდნენ. მაშასადამე „გამსწრები ინდიკატორების ინდექსის ცვლილებები უზრუნველყოფენ ინფორმაციებს ეკონომიკის განვითარების მომავალი მიმართულების შესახებ, და, ამგვარად, შეუძლიათ შეამცირონ მაკროეკონომიკური პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებული „შეცნობის დროის გარღვევის“ ხანგრძლივობა.

მოდით განვიხილოთ გამსწრები ინდიკატორების ეს 11 შემადგენელი ინდექსი ეეპ-ის სიდიდის სავარაუდო შემცირების ტერმინებით, იმის დაშვებით, რომ საწინააღმდეგო მიმართულების ცვლილებები წინასწარ განტკრეტენ ეეპ-ის მატების.

1. სამუშაო კვირის საშუალო ხანგრძლივობა. დამმუშავებელ მრეწველობაში წარმოებრივი მუშების საშუალო სამუშაო კვირის ხანგრძლივობის შემცირება მიუთითებს მომავალში დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციისა და ეეპ-ის გამოშვების შემცირებაზე.

2. პირველადი განაცხადები უმუშევრობის დაზღვევის მიღების შესახებ. უმუშევრობის დახმარების მისაღებად მოთხოვნის რიცხვის ზრდა უკავშირდება დაქვეითებად დასაქმებას და ამის კვალობაზე შემცირებად წარმოებასაც.

3. ახალი შეკვეთები სამომხმარებლო საქონლის მიწოდებაზე. მწარმოებელთა მიერ მიღებული შეკვეთების რიცხვის შემცირება წინ უსწრებს მომავალი წარმოების, ე. ი. ეეპ-ის შემცირებას.

4. აქციების ბაზრის ფასები. აქციების ფასების შემცირება ხშირად კორპორაციების გაყიდვათა მოსალოდნელი შემცირებისა და მოგების დაცემის ანარეკლს წარმოადგენს. უფრო მეტიც, აქციათა უფრო დაბალი ფასი აქვეითებენ მომხმარებელთა კეთილდღეობას, იწვევენ რა ათი ხარჯების

შემცირებას. აქციათა შემცირებული საბაზრო ღირებულებითი შუფასებები ასევე ნაკლებ მიმზიდველს ხდიან ფირმებისთვის ახალი აქციების გამოშვებას ინვესტიციებისათვის საჭირო სახსრების მიღების მიზნით. შესაბამისად, აქციების ფასების შემცირებას შეუძლია გამოიწვიოს ერთობლივი მოთხოვნისა და ექპ-ის დაცემა;

5. კონტრაქტები და შეკვეთები ახალ მანქანებსა და მოწყობილობებსზე. საწარმოო მოწყობილობებსა და სხვა ინვესტიციურ საქონელზე შეკვეთების მოცულობის შემცირება ნიშნავს მომავალში ერთობლივი მოთხოვნისა და ეროვნული წარმოების შეკვეცას.

6. საბინაო მშენებლობის ლიცენზიების რიცხვი. ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ლიცენზიების შემცირება მოასწავებს ინვესტიციების მომავალ შემცირებას, და შესაბამისად, ექპ-ის შემცირების თვალნათლივ შესაძლებლობას.

7. ბითუმიად ვაჭრობის ფუნქციონირება. თუმცა ეს რამდენადმე პარადოქსულად ელერს, მაგრამ ბითუმიად მოვაჭრეთა საქმიანობის გაუმჯობესება მყიდველებისათვის დასახარჯი ფაქტორების თავისდროულად მიწოდებისათვის, ბიზნესის მხრივ შემცირებადი მოთხოვნისა და პოტენციურად დაქვეითებადი ექპ-ის დასტურია.

8. ხანგრძლივი მოხმარების საქონლის შეკვეთების პორტფელის ცვლილება. დამუშავებელი მრეწველობის ხანგრძლივი მოხმარების პროდუქციაზე შეკვეთების პორტფელის ღირებულების შემცირება ნიშნავს ერთობლივი მოთხოვნისა და, შესაბამისად, ექპ-ის შემდგომ შემცირებას.

9. ზოგიერთი სახეობის ნედლეულის ფასების შეცვლა. ზოგიერთი სახეობის ნედლეულის ფასების შემცირება წინ უსწრებს ეროვნული წარმოების დაცემას.

10. ფულის მიწოდება. ფულის მიწოდების შემცირებას ჩვეულებრივ უკავშირებენ ექპ-ის დაცემას. ფულის მიწოდების კომპონენტები და მათი როლი მაკროეკონომიკაში, 15-18 თავების შესწავლის საგანია.

11. სამამხმარებლო მოლოდინების ინდექსი. მიჩიგანის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის მიერ შემუშავებული მომხმარებლის რწმენის ინდექსის დაცემა მოასწავებს

სამომხმარებლო ხარჯებისა და ეროვნული წარმოების მომდევნო შემცირებას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ არც ერთ ამ ფაქტორს ცალკე აღებულს, არ შეუძლია თანმიმდევრულად წინასწარ განჭვრიტოს ეკონომიკის მომავალი განვითარება. გამონაკლისს არ წარმოადგენს ის თვეები, როცა, მაგალითად, ამ ინდიკატორთაგან ერთი ან ორი მცირდება, მაშინ როცა ყველა სხვა დანარჩენი იზრდება. მეტადრე საშუალო შეწონილის ან 11 კომპონენტის კრებისთი ინდექსის ცვლილებები უფრო იმას წარმოადგენს, რაც წარსულში ეკპ-ს მიმართულებებში ცვლილებების შესახებ წინასწარ შეტყობინებას იძლეოდა. მიღებულია, რომ თუ ერთიმეორის მიყოლებით სამი თვის მანძილზე მცირდება ან იზრდება მოცემული ინდექსი, ეს ნიშნავს, რომ მალე მთელი ეკონომიკა იმავე მიმართულებით განვითარდება.

თუმცა, კრებისთი ინდექსი მრავალ შემთხვევაში საკსებით სწორად გვაფრთხილებდა ეკონომიკის მერყეობის შესახებ, მაგრამ იგი უნაკლო ბარომეტრს როდის წარმოადგენდა. დროდადრო ინდექსი იძლეოდა ყალბ გაფრთხილებას დაქვეითებათა შესახებ, რომლებიც ცხოვრებაში არ ხდებოდა. სხვა შემთხვევებში დაქვეითებები ისე ახლოს მისდევდნენ ინდექსის მოძრაობის გარდატეხას, რომ პოლიტიკურ მოღვაწეებს დრო არ ჰყოფნიდათ ამ „აღრეულ“ გაფრთხილებათა გამოსაყენებლად. უფრო მეტიც, ეკონომიკის სტრუქტურული ნიშნების ცვალებადობა იმას იწვევდა, რომ არსებული ინდექსები არ მუშაობდა და გადასინჯვის აუცილებლობას საჭიროებდა.

ამ დათქმების გათვალისწინებით გამსწრები ინდიკატორების ინდექსი, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება განვიხილოთ როგორც სასარგებლო, მაგრამ არასაკმაოდ სამიედო ინფორმაციული ინსტრუმენტი, რაც დიდი სიფრთხილით უნდა გამოიყენოს მთავრობამ მაკროეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას.

# ნაწილი მესამე

## ფული. საბანკო საქმე და ფულადი პოლიტიკა თავი მეთხუთმეტე

### ფული და საბანკო საქმე

ფული ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოგონება ეკონომიკური მეცნიერების მეტად მომხიბლავი ასპექტია. „ფული აჯადოებს ადამიანებს. მისთვის იტანჯებიან და შრომობენ ისინი. ისინი იგონებენ მისი შოვნისა და დახარჯვის კარგად გაწაფულ ხერხებს. ფული ერთადერთი საქონელია, რომლის გამოყენებაც მისგან განთავისუფლების გარეშე შეუძლებელია. იგი თქვენ ვერ დაგაპურებთ, ჩაგაცმევთ, თავშესაფარს ვერ მოგცემთ და ვერ გაგართობთ მანამ, სანამ მას არ დახარჯავთ ან ინვესტირებას არ მოახდენთ. ადამიანები ყველაფერს აკეთებენ ფულისთვის, და ფული თითქმის ყველაფერს აკეთებს ადამიანებისათვის. ფული - მომხიბლავი, განმეორებადი, ცვალებადნიღბიანი გამოცანაა“.

ფული, გარდა ამისა, ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განყოფილებაა. ის გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიკური სისტემის პასიური კომპონენტი, ეკონომიკის ფუნქციონირებისადმი ხელისშემწყობი უბრალო ინსტრუმენტი. გამართულად მოქმედი ფულადი სისტემა სასიცოცხლო ძალას მატებს შემოსავლებისა და გასავლების წრებრუნვას, რომელიც მთელს ეკონომიკას განასახიერებს. კარგად მომუშავე ფულადი სისტემა ხელს უწყობს როგორც სიმძლავრეების სრულ გამოყენებას, ისე სრულ დასაქმებასაც. და პირიქით, ცუდად ფუნქციონირებადი ფულადი სისტემა შეიძლება ეკონომიკაში წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონის მკვეთრი მერყე-

ობის მთავარი მიზეზი გახდეს, დაამახინჯოს რესურსების განაწილება.

ამ თავში განხილული იქნება ფულის ბუნება და ფუნქციები, აგრეთვე ამერიკული საბანკო სისტემის სხვა ძირითადი ინსტრუმენტები. მე-16 თავი ეძღვნება მეთოდებს, რომლებითაც ცალკეულ კომერციულ ბანკსა და მთლიანად საბანკო სისტემას შეუძლია ფულის მიწოდების შეცვლა. მე-17 თავში ჩვენ განვიხილავთ თუ როგორ ცდილობენ ცენტრალური ბანკები ეკონომიკაში ფულის მიწოდების რეგულირებას, იმისათვის, რომ უზრუნველყონ სრული დასაქმება და ფასების დონის სტაბილურობა. დაბოლოს, მე-18 თავი ეძღვნება მონეტარიზმს - კეინსური მაკროეკონომიკური თეორიის ალტერნატივას, რაც განხილული იყო 12-14 თავებში. მონეტარიზმის თანახმად, ფულის მიწოდება წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონის განმსაზღვრელი ფაქტორია.

ამ თავის სტრუქტურა შემდეგია: ჩვენ ვიწყებთ ფულის ფუნქციების მიმოხილვით. შემდეგ ყურადღებას გადავიტანთ ფულის მიწოდებაზე, დავსვამთ რა მეტად რთულ კითხვას: რას წარმოადგენს ფული ამერიკის ეკონომიკაში? მესამე, ჩვენ განვიხილავთ ფულის მიწოდების საფუძველს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეოთხე, ავხსნით ფულზე მოთხოვნას. მეხუთე, ჩვენ შევეუთავსებთ ფულის მიწოდებასა და იმ ფულზე მოთხოვნას, რომელიც საჭიროა ფულის ბაზრის გამოსახვისა და ახსნისათვის. დაბოლოს, გავაანალიზებთ ამერიკული ფინანსური სისტემის ინსტიტუციონალურ სტრუქტურას.

## ფულის ფუნქციები

რა არის ფული? ფული-ისაა, რასაც იგი აკეთებს. ყველაფერი ის, რაც ფულის ფუნქციებს ასრულებს, ფულია. არსებობს ფულის სამი ფუნქცია:

1. მიმოქცევის საშუალება. ჯერ ერთი, და უპირველეს ყოვლისა, ფული დღეისათვის მიმოქცევის საშუალებაა; ფულის გამოყენება შეიძლება საქონლისა და მომსახურების ყიდვისა და გაყიდვის დროს. პურის საცხობის მუშას არ სურს რომ კვირაში, მაგალითად, მას 200 ფუნთუშას უხდიდნენ. საცხობის მეპატრონეს ასევე არ უნდა თავისი



ფუნთოშებისათვის, კოქეათ, კოქეხალი თევზის მიღება. ფული კი ადვილად გამოიყენება გაღებვის საშუალების სახით. ეს მოხერხებული სოციალური გამოგონებაა, რომლის მეხებითაც შესაძლებელი ხდება რესურსების მკვლობელებსა და მწარმოებლებს „საქონლით“ (ფულით) გადაუხადონ, რომელიც შეიძლება გამოიყენებული იქნას ბაზარზე არსებული ნებისმიერი საქონლებისა და მომსახურების საყიდლად. ფული, როგორც გაცვლის საშუალება საზოგადოებას თავიდან აცხლებს ბარჯერული გაცვლის ბევრ უხერხულობას და იძლევა რა საქონელითა გაცვლის მოხერხებულ წესს, საზოგადოებას საშუალებას აძლევს ისარგებლოს გეოგრაფიული სპეციალიზაციისა და ადამიანებს შორის შრომის დანაწილების ნაყოფით(იხ. თავი მე-3. განსაკუთრებით ნახ. 3-1).

2. ღირებულების საზომი. ფული ასევე გამოდის ღირებულების საზომად. საზოგადოება მოხერხებულად თვლის ფულადი ერთეულის გამოყენებას მასშტაბის სახით სხვადასხვა დოვლათისა და რესურსების შედარებითი ღირებულების თანამესომისათვის, ისევე როგორც დისქანკიებს კსომავთ მიღებასა თუ კლომენტრებში და ერთმანეთს ვუდარებთ, წყენ ასევე კსომავთ დოვლათისა და მომსახურების ღირებულებას ფულად გამოსახულებაში. ამას აშკარა უპირატესობა გააჩნია. ფულადი სისრქემის წყალობით წყენ არ გგქრდება თითოეული პროდუქტის ფასის გამოსახვა ყველა სხვა პროდუქტით, რომელზედაც შესაძლებელი იქნება მისი გაცვლა; წყენ არ უნდა გამოვსახოთ პირუტყვის ფასი ხორბლით, ყვარადი ფასტუბით, სიგარეტებით, ავტომობილ „მეგროლეით“ ან რომელიმე სხვა პროდუქტით. ფულის გამოყენება საერთო მნაშენელის სახით ნაშნავს, რომ ნებისმიერი პროდუქტის ფასი საკმარისია გამოსახვის მხლოდ ფულადი ერთეულით. ფულის ასეთი გამოყენება გარეგების მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს ადვილად შეუდარონ ერთმანეთს სხვადასხვა საქონელსა და რესურსების შეფარდებითი ღირებულებები. მსგავსი შედარებები აადვილებს რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას. გაისხენეთ რა ითქვა მე-9 თავში ფულის როგორც ღირებულების საზომის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, ეეპ-ის მოცულობის გასომვის დროს, ღირებულების საზომის სახით ფული გამოიყენება მთავალი გადასახდელების გარეგებშიც; ყველა სახის სავალო ვალდებულება ფულად გამოსახულებაში იზომება.

3. დასოგვის საშუალება. ფული გამოიყენება დაზოგვის საშუალებად. რამდენადაც ფული ყველაზე უფრო ლიკვიდურია ე.ი. ისეთი ქონებაა, რომლის დახარჯვა ყველაზე ადვილი საქმეა - იგი სიმდიდრის შენახვის ძალზე მოსახერხებელი ფორმაა. ფულის ფლობის იშვიათი

გამონაკლისის გარდა, არ მოაქვს ფულადი შემოსავალი, რომელიც მიიღება სიმღირის შენახვის დროს, მაგალითად უძრავი ქონების(საკუთრების) ან ფასიანი ქაღალდების(აქციები, ობლიგაციები და ა.შ.) ფორმით. მაგრამ ფულს ის უპირატესობა განიხილავს, რომ იგი შეიძლება გადაუღებლად იქნას გამოყენებული ფირმის ან საოჯახო მეურნეობის მიერ ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების დასაკმაყოფილებლად.

### **ფულის მიწოდება**

მოდით ახლა მივხართ ფულის მიწოდებას. საერთოდ რომ ვთქვათ, ყველაფერი ის, რაც პრინციპში მიმოქცევის საშუალების სახით მისაღებად არის ფული. ისეთი საგნები, როგორცაა ვეჰაპის უღვაში, სპილოს კუდის ჯაგარი, მრგვალი ქვები, ლურსმანი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ლუდი, სიგარეტები, ლითონის ნაჭერი, და ადამიანებიც კი, ისკორიაში მიმოქცევის საშუალების როლს ასრულებდნენ. როგორც ჩვენ დავრწმუნდებით, ამჟამად სახელმწიფოს, კომერციული ბანკებისა, და სხვა საფინანსო დაწესებულების ვალდებულებანი ჩვენს ეკონომიკაში გამოიყენება როგორც ფული

### **ფულის ბანსაზღვრა: M1**

არც ეკონომისტთა, არც სახელმწიფო თანამდებობის პირთა შორის არ არსებობს ერთიანი შეხედულება იმაზე, თუ რა ცალკეული ელემენტებისაგან შედგება ფულის მიწოდება ეკონომიკაში. ვიწრო გაგებით ფულის მიწოდება, რომელიც *M1* -ით აღინიშნება, ორი ელემენტისაგან შედგება:

(1) ჩაღდი ფულისაგან, ე.ი. მიმოქცევაში არსებული ლითონისა და ქაღალდის ფულისაგან.

(2) საჩეკო ანაბრებისაგან, ე.ი. ანაბრებისაგან კომერციულ ბანკებში, სხვადასხვა შემნახველ საღაროებსა და შემნახველ დაწესებულებებში, რომლებზედაც შესაძლებელია ჩეკების გამოწერა.

ლითონისა და ქაღალდის ფული წარმოადგენს სახელმწიფოსა და სახელმწიფო აგენტების ვალდებულებებს. მიმდინარე ანგარიშები კი კომერციული ბანკებისა და შემნახველი დაწესებულებების ვალდებულებებია. მოდით, მოკლედ შევჩერდეთ ფულის მიწოდების (ცხრილი 15-1) კომპონენტებზე.

---

1. ფულის განსაზღვრის შესახებ მომავალი მსჯელობის დროს რიგი, რაოდენობრივი თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანი კომპონენტები დაწერილებით არ განიხილება წერილმანებში არეუ-დარევის თავიდან აცილებისათვის.

ნაღდი ფული: ლითონის ფული + ქაღალდის ფული. ლითონის ფული, ბრინჯაოს პენიდან ვერცხლის დოლარამდე, ჩვენი ფულადი მიწოდების მკარე ნაწილია. ამჟამად იგი ფულის საერთო M1 -ის 784 მილიარდიანი მიწოდების სულ რაღაც 2 ან 3%-ს შეადგენს ლითონის ფული არსებითად „მოხერხებული ფულია“ ამ გაგებით, რომ მისი დახმარებით შესაძლებელი ხდება ნებისმიერი მკარე შესყიდვები.

უნდა შევნიშნათ, რომ ლითონის მთელი ფული, რომელიც აშშ-ში მიმოიქცევა სიმბოლური ფულია. ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ ნამდვილი ღირებულება ანუ ლითონის ზოდის ღირებულება, რასაც

ცხრილი 15-1. ფულის ალტერნატიული განსაზღვრა აშშ-სათვის: M1, M2, M3

ფულის განსაზღვრა	აბსოლუტური რაოდენობა მლნ დოლ.	% -ში		
		M1	M2	M3
ნაღდი ფული (ლითონისა და ქაღალდის ფული)	210	27	7	5
პლუს საჩეკო ანაბრები	574	73	19	15
უდრის M1 -ს	784	100		
პლუს ანაბრები უჩეკო შემნახველ ანგარიშებზე	434		14	11
პლუს მკირევადიანი ანაბრები	1836*		60	47
უდრის M2 -ს	3054		100	
პლუს მსხვილი ვადიანი ანაბრები	835*			22
უდრის M3 -ს	3889			100

\* ეს ციფრები მოიცავენ რაოდენობრივ თვალსაზრისით მკარე სხვა კომპონენტებსაც  
 წყარო: *Federal Reserve Bulletin. February, 1989* გვ 13  
 1988 წლის ნოემბრის მონაცემები.

თვით მონეტა შეიცავს, ამ მონეტაზე გამოსახულ ღირებულებაზე ნაკლებია. ეს სპეციალურად კუთვნილია, რომ არ მოხდეს სიმბოლური ფულის გადადნობა ოქროს ან ვერცხლის ზოდებად მისი მომგებიანად გაყიდვის მიზნით. თუ მაგალითად, 50 (ენჯიანი მონეტას 75 (ენჯის ვერცხლის ღირებულება ექნებოდა, მაშინ მომგებიანი იქნებოდა მისი გადადნობა და ზოდის სახით გაყიდვა. მოუხედავად მსგავსი ქმედების უკანონობისა, 50 (ენჯიანი მონეტები გაქრებოდა მამოქცევიდან. ამასია საქონლური ფულის ერთ-ერთი პოტენციური უარყოფითი მხარე. თუ კი მისი, როგორც საქონლის, ღირებულება გადააჭარბებს ფულის სახით მის ფასეულობას, მაშინ იგი შეწყვეტს ფუნქციონირებას მამოქცევის საშუალებების სახით.

ქალაქის ფული, რომელიც გაცემებით უფრო მნიშვნელოვანია რაოდენობრივი თვალსაზრისით, ვიდრე ლითონისა, ეკონომიკაში ფულის M1 მაწოდების თითქმის 25%-ს შეადგენს. მოკლი 2(X) მლრდ დოლარი, ანუ მასთან მიახლოებული ქალაქის ფული წარმოდგენილია ფედერალური სარეზერვო ბანკის ბანკნოტების სახით, ე.ი. ბანკნოტებისა, რაც გამოიშვებულა ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ კონგრესის ნებართვით. თუ თვალს გადავგვლებთ ამერიკულ ფულს თქვენი საფულეში, შეამჩნევთ წარწერას ბანკნოტის წინა, შემოთა მარცხენა მხარეს „ფედერალური სარეზერვო ბანკის ბანკნოტა“ და სარეზერვო ბანკის ნიშანს წარწერიდან მარცხენა წრეში.

სანამკო ანაბრამბი. ფულის შენახვაში მიმდინარე ანგარიშებზე ფართო გავრცელება ჰქონდა აშშ-ში, რადგანაც იგი მოხერხებულია და უსაფრთხოც. მართლაც, თქვენ არასოდეს არ მოგვით ახრად გაავსოთ კონკრეტი, ვთქვათ 4896.47 დოლარი ბანკნოტებითა და მონეტებით და ნააგლოთ საფოსტო ყუთში, ვალის გადასახდელად; ამის მაგივრად უბრალოდ გამოიწერება ნაკი მოკლეული თანხით და ფოსტით აგზავნება. ნაკი უნდა იყოს ინდოსამენტირებული (ხელმოწერილი მკორე მხარეს) იმ პირის მიერ, ვინც ამით უნდა მიიღოს ნაღდი ფული. პირი, რომელმაც ეს ნაკი გამოწერა, შემდგომ ნაღდად იღებს მას დამოწმებული ქვითრის სახით, რაც ვალდებულების შესრულებას ამჩვიცებს. რადგანაც ნაკის გაცემა ასევე მოითხოვს გადასაცემ ხელმოწერას, ხანკო წიგნაკის დაკარგვა არც ისე ტრაგაკულია, როგორც იმავე რაოდენობის ნაღდი ფულის დაკარგვა. გარდა ამისა, ბევრ შემოსევევაში უფრო მოხერხებულია ნაკის გამოწერა, ვიდრე ტრანსპორტირება და ლიდი რაოდენობის ნაღდი ფულის დათვლა. ყველა ამ მიხეხის გამო უნაღდი ანგარიშსწორების

ფული, ფულის ძირითადი ფორმა გახდა ამერიკის ეკონომიკაში. დოლარებით მიყლი გარიგების 90% ჩვეებით ხორციელდება.

შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ მიმდინარე ანგარიშები ფულის მასის ნაწილია. მაგრამ ეს ადვილი ასახსნიელია: ჩვეები, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა საკუთრების გადაცემა ანგარიშებზე, ბანკებსა და სხვა საფინანსო დაწესებულებებში, ფართოდ გამოიყენება მიმოქცევის საშუალების სახით. ამის გარდა, ასეთი ანაბრები შეიძლება მოთხოვნის საფუძველზე დაუკონსტიტუციო გადაიქცეს ქალაქისა და ლითონის ფულად; ჩვეები, რაც ამ ანგარიშებზე გამოიწერება, ნებისმიერი პრაქტიკული გამოყენების დროს ცვლის ფულს.

*M1* ფული = ნაღდ ფულის + სანკო ანაბრები.

სანკო ანაბრების ევოლუცია. (ხრილი 15-1 გვჩვენებს, რომ სანკო ანაბრები, უდავოდ ფულის მასის მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამიტომ, ერთობ მნიშვნელოვანია გავსაზოთ თუ როგორ ევოლუციას განიცდის ანაბრების ეს სექტორი.

ნახაზი 15-4-დან ჩანს საფინანსო დაწესებულებათა სიმრავლე აშშ-ში. კომერციული ბანკები, მართლაც სიხვედრის საფუძველია. ისინი იღებენ საოჯახო მუქურნეობებსა და საწარმოების ანაბრებს და, თავის მხრივ, ამ საფინანსო რესურსებს სხვადასხვა სესხის გასაცემად იყენებენ. კომერციული ბანკების სესხი მოკლევადიან საბრუნავო კაპიტალია. იგი გაიცემა საწარმოებსა და ფერმერებზე. ასეთი სესხის ანგარიშზე ფინანსდება ავტომობილების და ხანგრძლივი მომხარების სხვა საქონელთა შეძენა. კომერციულ ბანკებს ავსებს მრავალი უფრო სპეციალიზებული საფინანსო დაწესებულება - გამსესხებელ-შემნახველი ასოციაციები, ურთიერთშემნახველი ბანკები და საკრედიტო კავშირები, - რომლებსაც ერთად აღებულს ეწოდებათ შემნახველი დაწესებულებანი. გამსესხებელ-შემნახველი ასოციაციები და ურთიერთშემნახველი ბანკები ღებულობენ საოჯახო მუქურნეობების დანახოვებს, რაც შემდგომში ბევრ სხვა რამესთან ერთად გამოიყენება, საბინაო იმოთქვის დასაფინანსებლად. საკრედიტო კავშირები იღებენ „წევრების“ ჩვეულებრივ ადამიანთა ჯგუფების ანაბრებს, რომლებიც ერთ კომპანიაში მუშაობენ, და ამ ფონდებს გასცემენ განვადებით შესყიდვების დაფინანსებისათვის.

---

1. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ ნებისმიერ გამხაროველ სადგურთან გაწერებისას იმაში, რომ ჩვეები მაინც ნაკლებად არის გავრცელებული მიმოქცევის საშუალების სახით, ვიდრე ნაღდი ფული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 20 წლის წინათ მხოლოდ კომერციული ბანკები ხსნიდნენ მიმდინარე ანგარიშებს. შემდგომში 70-იან წლებში სხვადასხვა შემნახველმა დაწესებულებებმა შემოიღეს მიმდინარე ანგარიშების ახალი სახეები. მაგალითად, გამოსხივებულ-შემნახველმა ასოციაციებმა შექმნეს ე.წ. შემნახველი ანაბრების საბრუნავი ანგარიშები (NOW accounts). ეს ანგარიშები არსებითად მიმდინარე ანგარიშებს წარმოადგენს, რომლებიც დაფუძნებულია გამოსხივებულ-შემნახველი ასოციაციების შემნახველ ანაბრებზე. ანალოგიურად, საკრედიტო კავშირებში შემოიღეს „შეირ დრაფტის“ ანგარიშები, რომლებიც წარმოადგენენ მიმდინარე ანგარიშებს და ეფუძნებიან საკრედიტო კავშირების ანაბრებს. შემნახველი ანაბრების საბრუნავი ანგარიშები და „შეირ დრაფტის“ ანგარიშები სოციალური საშუალებები იყო, რაც გამოსხივებულ-შემნახველ ასოციაციებს და საკრედიტო კავშირებს საშუალებას აძლევდა კონკურენცია გაეწიათ კომერციული ბანკებისათვის საბანკო საქმეში. შემნახველი ანაბრების საბრუნავი ანგარიშები და „შეირ დრაფტის“ ანგარიშები ნამდვილად ძალიან მიშაღველი იყო მეანაბრებისათვის, რადგანაც ასეთ ანგარიშებზე ნებადართული იყო სარგებლის გადახდა, მაშინ, როდესაც კომერციულ ბანკებს კანონი უკრძალავდა სარგებლის გადახდას მათ საჩუკო ანგარიშებზე (უვადო ანაბრებზე). მათთვის რომ გვერდი აეგლოთ, კომერციულმა ბანკებმა შექმნეს ტრანსფერტული მომსახურების ავტომატური ანგარიშები (ATS accounts). ამ დონისთვის შედეგად ბანკი ავტომატურად გადაიტანდა ფონდებს თქვენს სარგებლის მომჩანი შემნახველი ანგარიშებიდან, თქვენს საჩუკო ანგარიშზე ან უვადო ანაბრების ანგარიშზე (როდესაც საჭირო იქნებოდა მისი შევსება). ამით ტრანსფერტული მომსახურების ავტომატურმა ანგარიშებმა ბანკებს შესაძლებლობა მისცა „გვერდი აეგლოთ“ იურიდიული შეზღუდვებისათვის მიმდინარე ანგარიშებზე სარგებლის გადახდასაგან. დემოხიტიური დაწესებულებების დერეგულირებისა და მონეტარული კონტროლის შესახებ 1980 წელს მიღებულმა კანონმა მიმდინარე ანგარიშის გახსნის საჩუკია მისცა ყველა დემოხიტიურ ორგანიზაციას და კომერციულ ბანკებს ინდივიდუალურ საჩუკო ანგარიშებზე სარგებლის გადახდის ნება დართო. 1986 წელს ყველა შეზღუდვა სარგებლის განაკვეთებისა და ამ ანგარიშებზე ფულის განსახლვრული მინიმუმის მოთხოვნები გაუქმდა. ამ სახლის შედეგად აღრინდელი განსხვავება კომერციული ბანკების მიმდინარე ანგარიშებსა (უვადო ანაბრებზე) და შემნახველი დაწესებულებების შემნახველ ანაბრებს შორის პრაქტიკულად გაქრა. თუ ერთნახევარი ათეული წლის წინ ფული შეიძლებოდა გან-

სახელმწიფო, როგორც „ნაღდ ფულს პლუს კომერციული ბანკების უკიდო ანაბრები“, ამჟამად ეს განსახლვრა ასე უნდა უღერდეს: „ნაღდ ფულს პლუს ყველა საჩუკო ანაბარი“. საჩუკო ანაბრები მოიცავს არა მხოლოდ უკიდო ანაბრებს (მომდინარე ანგარიშებს) კომერციულ ბანკებში, არამედ ასევე საბრუნავ ანგარიშებსაც შემსახველ ანაბრებზე, ცრანსფერტიული მომსახურების აკრედიტორ ანგარიშებს და „შეირ დრაფტის“ ანგარიშებს.

**ღაოტმზა.** ფულის ჩვენულ განსახლვრას უნდა დაემაროს ტექნიკური შენიშვნა: ნაღდი ფული და საჩუკო ანაბრები, რაც სახელმწიფოს (ფინანსთა სამინისტროს) და ყველაღურ სარეზერვო ბანკებს, კომერციულ ბანკებს ან სხვა საფინანსო დაწესებულებებს ეკუთვნის, მხედველობაში არ მთიდება. ნაწილობრივ ეს იმთხავის კეიდება, რომ თავიდან ავიცილოთ ფულის მერქსმერქა მწოდება, და ნაწილობრივ კი იმთხრომ, რომ ფულს, რომელთაც საოჯახო მკურნეობათა და საწარმოების განკარგულეებაში - ე.ო. „მთხოქკევაში“ იმყოფება- მერქი ურთიერთობა აქვს ხარჯების დონესთან კონომთხვაში.<sup>1</sup>

## M2 ღაM3 : „ოოოტმმის ფული“

„ოოოტმმის ფული“ - ისეთი განსახლვრული მადალთკეიდური აქტივთა, როგორც უჩუკო შემსახველი ანგარიშები, ვადითანი ანაბრები და მოკლევადითანი სახელმწიფო ფინანსი ქაღალდები, რომლებიც თუშტა არც კი ფუნქციონირებს უმუღაღოდ, როგორც მთხოქკევის საწუღალება, მადრამ აღვუღად და ფინანსური დანაკარგების რსკის გარეშე გადაიყვანება ნაღდ ფულში ან საჩუკო ანგარიშებში. მადგალითად, თქვენ შეიძ-

---

1. ხახებთათ ნათუღაა, რომ ქაღალდის დოღარა ჯონ დოუს ხელში ფულის მწოდებების სწორედ 1 დოღარს შეაღერეს. მადრამ თუ წვენ მოგთხედებოღა ბანკების დოღარების ფულის იმწოდების ნაწილის ხახთი შეჯაბება, მამონ ბანკში დაბანდებული იგივე ერთი დოღარო 2 დოღარად გადათქკეოღა. იგი ანგარიშში იქნებოღა მადებული როგორც დოუს მამდინარე ანგარიშის 1 დოღარა, და თმავე დროს როგორც 1 დოღარო ნაღდი ფული, რომელთაც ბანკის სეთში იმყოფება. ორთხავ ანგარიშის პრობლემა შეიძლება გადაწყდეს, თუ ფულის საერთო მთხოქკევიდან გაბოურთცხავთ ბანკში შენახულ ნაღდ ფულს (ასევე ნაღდ ფულს, რომელთაც გადატანიღა ყველაღურ სარეზერვო ხისტემაში ან კომერციულ ბანკებში). უფრო თეთანებურ სასიათს ატარებს ნაღდი ფულის გამორთხება, რომელთაც სახელმწიფოს გაანათა და მის უკიდო ანაბრებს მთეუთხვენება. ეს საწუღალებას მოგვცემს უფრო ზუსტად მოუახდინათ ფულის მწოდების თანამეწომევა ეკონომთხის კრძო სექტორში ხარჯვის სორმებთან სახელმწიფოს პოღითიკით გაბოწვეული ხარჯებისაგან დამოუკიდებლად.

ღებუბა მოითხოვით ნადდი ფულის მოხსნას უნეკო შემნახველი ანგარიშებიდან კომერციულ ბანკში, ან შემნახველ დაწესებულებებში, ან სხვა შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ მოითხოვით ფონდების გადაყვანა უნეკო შემნახველი ანგარიშებიდან მიმდინარე ანგარიშზე. ვადიანი ანაბრები, როგორც მათი სახელწოდება ითვალისწინებს, შეანაბრებისათვის მხოლოდ ვადის გასვლის შემდეგ ხდება ხელმისაწვდომი. მაგალითად, შეანაბრებს შეუძლია ჯარისის გადახდის გარეშე ამოიღოს 90 დღიანი ან 6 თვიანი ანაბრები მხოლოდ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ. თუმცა ვადიან ანაბრებს აშკარად ნაკლები ღირებულება (დახარჯვის უნარი) გააჩნია, ვიდრე უნეკო შემნახველ ანგარიშებს, მაგრამ ისინი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ნადდი, ან ვადის გასვლისთანავე გადაეყვანოთ იქნას მიმდინარე ანგარიშზე. ამიტომ ხელმძღვანელი საკრედიტო-ფულადი დაწესებულებები ითვალისწინებს ფულის მეორე, უფრო ფართო განმარტებას:

ფული  $M 2 = M 1 +$  უნეკო შემნახველი ანგარიშები  $+ \text{წვრილი (რომელიც არ აჭარბებს 100 ათას დოლარს) ვადიანი ანაბრები.}$

სხვა სიტყვებით,  $M 2$  მოიცავს მიმოქცევის საშუალებათა ელემენტებს (ნადდი ფული და სახეუო ანაბრები), რომელიც შეესაბამება  $M 1$  ს პლუს სხვა ელემენტები, რომლებიც შეიძლება საკმაოდ სწრაფად და უდანაკარგოდ გადაიქცეს ნადდ ფულად და სახეუო ანაბრებად. 15-1 ცხრილი გვიჩვენებს, რომ უნეკო შემნახველი ანაბრებისა და მცირე, ვადიანი ანაბრების დამატებით  $M 2$  ფულის მიწოდება გაიზარდა 3054 მლრდ დოლარამდე,  $M 1$  -ის 784 მლრდ დოლარის ტოლობის პირობებში.

მესამე,  $M 3$  -ის „ოფიციალური“ განსაზღვრა იქიდან გამომდის, რომ მსხვილი (100 ათასი დოლ. და მეტი) ვადიანი ანაბრები, რასაც საწარმოები, ჩვეულებრივი დემონსტრირი სერვისოვოვოვოების სახით ფლობენ, ასევე ადვილად გადაიქცევა სახეუო ანაბრებად. ასეთი სერვისოვოვოების მოქმედი ბაზარი ნამდვილად არსებობს და ამიტომ ისინი შეიძლება ნებისმიერ დროს გაიყიდოს (ლიკვიდირებული იქნეს), თუმცა დანაკარგთა შესაძლო რისკით. ამ მსხვილი, ვადიანი ანაბრების დამატება  $M 2$  -სადმი ფულის კიდევ უფრო ფართო განსაზღვრას იძლევა:

ფული,  $M 3 = M 2 +$  მსხვილი, (100 ათასი და მეტი დოლ.) ვადიანი ანაბრები. თუ 15-1 ცხრილს ისევ მივმართავთ, დავინახავთ, რომ ფულის მიწოდება გაიზარდა 3889 მლრდ დოლარამდე.

დაბოლოს, არის სხვა, რამდენაღმე ნაკლებ სალიკვიდო აქრისები, ისეუები, როგორიცაა განსაზღვრული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები



(მაგალითად, სახა'სინო ანგარიშები და აშშ შემსახველი ობლიგაციები), რომლებიც; შესაძლოა ადვილად გარდაიქმნას *M1* ფულად. ხა'ხი უნდა გავუხვავთ, რომ არსებობს აქტივების მთელი სპექტრი, რომლებიც; მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ლიკვიდობის ხომით ან ფულის ოვისებებით.

სკენ რომელ განმარტებას მივიღებთ? თუმცა ყოველ მათგანს აქვს მომხრეები, მაგრამ ეკონომისკეთა უმეტესობა უპირატესობას *M1* -ის მარტივ განმარტებას ანიჭებს. რა'ნომ? ავა მოიცავს ყველაფერს, რაც პირდაპირ და უშუალოდ გამოიყენება მიმოქცევის საშუალების სახით. თუ განმარტებას გავაფართოვებთ ნაღდი ფულისა და ხა'ნგო ანაბრების ჩათვლის 'ხეკით, მას უბრალოდ აღარ ექნება ლოგიკური 'ხღვარი, რამდენადაც; *M2*, *M3* და ა.შ. ყველა დამატებითი ელემენტი სხვადასხვა 'სომითაა ლიკვიდური. შექმდომ განხილვასა და ანალიზში ვისარტებლებთ *M1* ფულის ვა'რო განმარტებით, რამდენადაც; მისი კომპონენტები შეიძლება გადაუღებლად დაიხარჯოს. მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთო, რომ ფულის განსახლვრის საკითხი საკამათო და გადაუჭრელია.

## „თითქმის ფული“: ძველმქსტი

იმის გამოკლებით, რომ „თითქმის ფული“ ფულის 'ხეხუ' განმარტებას ამჩელებს, მისი არსებობა მნიშვნელოვანია ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე გარემოების გამო.

1. ის, ვაქ'ეთი, რომ აღამიანებს თავანთ განკარგულებაში ასეთი მძაღლიკვიდური აქტივები გაანჩიათ, 'ხეგავლენას ახდენს მათ ქცევა-ზე მოხიარებისა და დახოგვის დროს. საერთოდ რომ ვაქცავთ, რაც უფრო მეტი ფინანსური სიმდიდრე გაანჩიათ აღამიანებს „თითქმის ფულის“ სახით, მათ მეტია მათი მხაღყოფნა ფულადი შემოსავლების დასახარჯავოდ.

2. „თითქმის ფულის“ და ფულის ურთიერთშექცევადობამ შეიძლება 'ხეგავლენა მოახდინოს ეკონომისკის სტაბილურობაზე. მაგალითად, როდესაც ეკონომისკური ციკლი საინფლაციო გაფურსქვნის ფაზაში შედის, უჩგო ანაბრების, ხა'ნგო ან ნაღდი ფულის ანაბრებზე გადაყვანა, თუ მის კომპენსირებას არ მოვახდენთ, გაამდიდრებს საინფლაციო დაწოლას. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთმა გადაყვანამ შესაძლოა გაამჩედოს ხელმძღვანელი საკრედიტო-ფულადი დაწესებულებების მი-

ერ ფულის მიწოდებისა და გეონომიკური აქტიურობის დონის კონკრეტული ამოცანა.

3. ფულის ამა თუ იმ განმარტების მიღებას განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს ფულადი პოლიტიკის მოხერხებისათვის. მაგალითად, ფულის მიწოდება, რომელიც  $M1$  -ით იზომება, შეიძლება შედამივი დარსეს, მაშინ როცა ფულის მიწოდება, რომელიც განისაზღვრება როგორც  $M2$  : შეიძლება გაიზარდოს. ამასთან, თუ ხელმძღვანელი საკრედიტო-ფულადი დაწესებულებები საჭიროდ ჩაივლიან ფულის მიწოდების გაფართოებას, მაშინ  $M1$  -ის ვიწრო განმარტების მიღება მოითხოვს კონკრეტულ ქმედებებს ნაღდი ფულისა და საჩუქო ანაბრების გადისების მიმართულებით.  $M2$  -ის უკრო ფართო განმარტების მიღება კი იმის მანიშნებელი იქნება, რომ ფულის მიწოდების სასურველი გაფართოება უკვე წარმოებს და არავითარი განსაკუთრებული ღონისძიება არაა საჭირო.

## საკრედიტო ბარათები

თქვენ შეიძლება იკითხოთ, ნენს დისკუსიაში ფულის განმარტების შესახებ რაღომ იყო უგულებელყოფილი საკრედიტო ბარათები ვიზა, მასტერკარდი, ამერიკან ექსპრესი და ა.შ. ბოლოსდაბოლოს, საკრედიტო ბარათები ნავაჭრის შექმნის მოხერხებული საშუალებაა. პასუხი ისაა, რომ საკრედიტო ბარათები სინამდვილეში ფული არაა, არამედ უწინარეს ყოვლისა, იმ კომერციულ ბანკში ან სხვა ფინანსურ დაწესებულებაში მოკლევადიანი სესხის მიღების საშუალებაა, ვინც ბარათი გასცა. როდესაც თქვენ იძენთ, დაფუშვით, კასეტების ყუთს საკრედიტო ბარათით, მისი გამოშვები ბანკი თანხას მალაზიას აუნაზღაურებს, ხოლო შემდგომ თქვენ ამ თანხას აუნაზღაურებთ ბანკს. თქვენ ყოველწლიურ შესატანს შეიტანთ გაწეულ მომსახურებაზე, ხოლო თუ ამჯობინებთ ბანკს განვადებით გადაუხადოთ, მაშინ სარგებლის გადასახდელებს შეიტანთ მნიშვნელოვანი მოკვლობით. აღნიშნულის შეჯამებით, შეიძლება გეკეთდეს დასკვნა - საკრედიტო ბარათები გამოსწულია იმისათვის, რომ გადავადებული იქნეს ანაზღაურება რაიმე დროით. კასეტების შექმნა-სინამდვილეში მანამ არ დამთავრდება, მანამ არ აანაზღაურებთ საკრედიტო ბარათების თქვენს ანგარიშს. ის, რომ საკრედიტო ბარათები-ბი-ბი-ბი სინამდვილეში კრედიტის ყველა სხვა ფორმებიც რომ იხდ-

ვიღუპიყბსა და ხაწარმოებს ფუღის გამოყენების „ეკონომიის“ საშუაღე-  
ბას აბღეყენ, ეს არაფერს ნიშნავს. საკრედიტო ბარათები საშუაღებას  
ბღღევა ნაკლები ნაღდი ფუღი და საჩეკო ანგარიშები ვიქონიბთ გარი-  
გებბთა დასაღებად. სხვანბორად რომ ვთქვათ, ბსბი შეგბოსაღღებბსა და  
გასაღღებბს ხინქრონბებბბში გვეგბორებბან, ამქარებენ რა ბბბი ნაღდი  
ფუღისა და საჩეკო ანგარიშებბს შენახვის ბეღღებღბბბს.

## რა შღბვს საფუბკლად ფუღის ბიწოღებბს?

ეს საბუბი საკბბბა: ნებბბბერი, რამღენაღმე სრული მასუბი უფ-  
რო წინააღმღღებბბში ბბეღღევა ფუღის შესახებ ყბველი ნეენობგანბს  
წარბბღგენებბბან.

## ფუღი რ(ბ)ბ(რ)ც კალი

უწინარეს ყბვებსა უნდა შეგებნობ, რომ ფუღის ბიწოღებბს ბბრი-  
ბბბი კბმბბინეწებბ - ქაღაღბბს ფუღი და საჩეკო ანაბრები - ვაღბს  
ანუ გაღაბბბის დაბორებბას წარბბბღღეგენს. ქაღაღბბს ფუღი - ფუღერაღღე-  
რა სარეწებბე კბ ბანკებბს ბბბბეღღეგბბში მყოფი ვაღბს ვაღღებბუღებბბბა.  
საჩეკო ანაბრები - კბმბრეღღეღი ბანკებბს ან შექნახეღღე დაწესებბუღე-  
ბბბა ვაღბს ვაღღებბუღებბებბა.

გარდა ბბბსა, ქაღაღბბს ნაღდი ფუღს და საჩეკო ანაბრებს ნამღევილი  
ღბრებბუღებბა არ გაბწბბბ. სუბბღღებბბბბბი ბბბბსუქები უბრბბღღე  
ქაღაღბბს ნაფღეღბბბ, ხბბბი საჩეკო ანგარიშბი მხბბღღე საბუღაღღერბ  
წბგნბს ხანაწერი. რაც შეგებბა ღბბბბბს ფუღს, რბგბრ(ც ვიქბბ, მბბბ  
ნამღევილი ღბრებბუღებბა წბმბნაღღურსე ნაკლებბა. ბბბბან სახეღმწბფბ  
არ ფბქრობს ბქვენს ხეღბი არსებუღი ქაღაღბბს ფუღი გაღღებბბს  
რბბე უფრო შესამწნეგ, მაგაღბბბბღღე ბქრობუ.

ბბბს შეღეღეგად ნეენ გაღაღვწკვრეწი ფუღის ბიწოღებბა „გმბრბბბბ“  
საქმბბანი ბქეიბრობბს განსახღღერუღი ბბეღღებბბს უბრუნეღღესაყბფად  
ბბბბეღღეგბბში ფუღბს საჩბბი რბბღენბბბს შენარწუნებბბ, რაც ხეღს  
შეწწკობს სრულ დასაქმებბს, ფასებბს ღბნბს სწბბღღურბბბს და ეკო-  
ნბმბკური ზრდბს ჯანსაღ ტემპებს. ეკონბმბბსყბბა უმეწეწბბბს მბსახრე-  
ბბბი ფუღბს ბიწოღებბს მბრბბვა უფრო კყბბღღეღბბბბბა, ვაღრე ბგი

ოქროს ან სხვა საქონელის დაგუჯავმით, რომელთა მიწოდება თვითნებურად და ჭირვეულად იცვლება(იხ.მე-17 თავის ბოლო შერხი). ქვეყნის ოქროს მარაგის არსებით გადიდებას ახალ საბადოთა აღმოჩენით ან ოქროს მოპოვების პრინციპულად ახალი ხერხების გამოყენებით ხომ შეეძლო ფულის მიწოდება ამ ზომამდე, რაც ბევრად აჭარბებს ფულის იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა საქმიანი აქტიურობის ისეთი დონის მიღწევასათვის, რაც სრულ დასაქმებას შეესაბამება, და ამით იწვევდა გამომწვევს. და პირაქით, ოქროს მოპოვების შემცირებას, რასაც ადგილი აქონდა ისტორიაში, შეეძლო ფულის მიწოდების შემცირება ქვეყანაში იმ წერტილამდე, სადაც ეკონომიკური აქტიურობა იფულება. წარმოიშობა უმუშევრობა და ზრდის ტემპები ნულდება. მნიშვნელოვანია, რომ ქალაქის ფული არ გარდაიქმნება ოქროსა და სხვა ძვირფასი ღირებულების განსახლვრულ რაოდენობად, ისინი შეიძლება მხოლოდ გააცვალოს სხვა ქალაქის ფულზე. სახელმწიფო 5 დოლარიან კუპონურას შეცვლის ზუსტად ისეთივეზე, მაგრამ სხვა სერიალი ნომრით. ეს ერთადერთია, რისი მიღებაც ოქვენს შეეძლოთ თუ კი სახელმწიფოს მიმართავდით ოქვენს ხელთ არსებული ფულის გამოსყიდვის თხოვნით. ანალოგიურად, საჩუკო ფულებზე იცვლება არა ოქროსზე, არამედ მხოლოდ ქალაქის ფულზე, რისთვისაც, როგორც ეს-ესაა ვნახეთ, სახელმწიფო არაფერ მარცრიადღუსს არ ისჯის.

## ფულის ღირებულება

თუკი ნაღდ ფულსა და საჩუკო ანაბრებს არ გაანწიათ შინაგანი თვისება, რაც მათ ღირებულებას ანიჭებს, და თუ ისინი არ ემიჯნებიან ოქროსა და სხვა ძვირფას ღირებულებებს, მაშ რატომ წარმოადგენენ ისინი ფულს? რა ანიჭებს 20 დოლარიან ბანკნოტს ან 100 დოლარიან საჩუკო ანგარიშს სწორედ ამ ღირებულებას? ამ კითხვის მეტ-ნაკლებად სრული პასუხი სამ მომენტს მოიცავს.

**1. მისაღებობა.** ნაღდი ფული და საჩუკო ანგარიშები ფულს იმ უზრალო მისჯებით წარმოადგენენ, რომ ადამიანები მათ ფულის სახით ღებულობენ. ბიზნესის კარგა ხნის წინათ ჩამოყალიბებული პრაქტიკის ძალიან ნაღდი ფული და საჩუკო ანაბრები ფულის ძირითად ფუნქციებს ასრულებენ; ისინი მიიღებთან მიმოქცევის საშუალების სახით. დაგუშვით, ოქვენს ტანსაცმლის მაღაზიაში 20 დოლარიან კუპონურას ცვლით პერანგზე. რატომ ღებულობს ვაჭარი ამის სანაცვლოდ ქალაქის ნაგ-

ლევს? პასუხა კურორტულია: გამყიდველმა ქალაქის ფული მიიღო იმიტომ, რომ იგი დარწმუნებულია სხვებიც მზად იქნებიან საქონელსა და მომსახურებასე მის გასაცვლელად. გამყიდველმა იცის, რომ ფულის დახმარებით შეიძლება კლერკის მომსახურების შექმნა, პროდუქტის ყიდვა, მაღაზიის საიჯარო გადასახადის შექმნა და ა.შ. ყოველი ჩვენგანი ფულს დებულობის რაიმეს სანაცვლოდ, რამდენადაც დარწმუნებულია, რომ ისინი ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაიცვალოს რეალურ დოვლათსა და მომსახურებაზე.

**2. ბაღახდის კანონიერი საშუალება.** ქალაქის ფულის მიხედვითავე ხეკო გულდაჯერებულობა ნაწილობრივ კანონსა დაიყარება: სახელმწიფომ ქალაქის ფული გამოაცხადი გადახდის საშუალებად. ეს ნიშნავს, რომ ქალაქის ფული მიღებული უნდა იქნას ვაღის გადახდის დროს, წინააღმდეგ შემხვევაში კრედიტორი კარგავს ხარვეზისა და გადაუხდელობის შემთხვევაში მოვალის სისხლის სამართლის კანონის წესით დევნის უფლებას. უხეზად რომ ვთქვათ, ქალაქის დოლარების მისაღებობა იმ ფაქტს ემყარება, რომ სახელმწიფო აცხადებს: ეს დოლარები ფულია. ეკონომიკაში ქალაქის ფული, არსებითად დეკრეტირებული ფულია, იგი ფულია იმიტომ რომ, ასე თქვა სახელმწიფომ, და არა იმიტომ, რომ იგი რომელიმე ძვირფასი ლითონით შეიძინება. ნაღდი ფულს საერთო მისაღებობა იმითაცაა უზრუნველყოფილი, რომ სახელმწიფო მზადაა მიიღოს იგი გადასახადების და სხვა ვალდებულებების გადახდის დროს მასთან ურთიერთობაში.


გადაჭარბებით რომ არ შევაფასოთ სახელმწიფოს შესაძლებლობები, უნდა აღვზარდოთ, რომ ქალაქის ნაღდი ფულის გაცვლაში ფართო აღიარების ფაქტი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ქალაქის ამ საგლეჯკრებისათვის ფულის ფუნქციის მინიჭებისათვის, ვიდრე სახელმწიფო დეკრეტი გადახდის კანონიერი საშუალების შესახებ. მართალია, სახელმწიფოს ხეკები (რომლებიც ასევე დეკრეტირებული ფულია) არ გამოუცხადებია გადახდის კანონიერ საშუალებად, მაგრამ მოუხედავად ამისა, იგი წარმოკლებით ემსახურება საქონელთა მომსახურებისა და რესურსების გაცვლის მნიშვნელოვან მოცულობას. ის, რომ სახელმწიფო სააგეჯკრები დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია და გამსესხებელ-შემნახველ ასოციაციებში ანგარიშების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია შესაბამისად, კომერციული ბანკებისა და გამსესხებელ შემნახველ ასოციაციათა ანაბრებს ახლევს, უდაოდ ზემოქმედებს ცალკეულ ადამიანთა და საწარმოთა

სურვილზე სანჯო ანაბრები მიმოქცევის საშუალების სახით გამოიყენონ.

**3. შედარებითი იშვიათობა.** უფრო ფუნდამენტურ დონეზე ფულის ღირებულება არსებითად მოიხივნა მიწოდების ფუნქციონა. ანუ ფულის ღირებულება განისაზღვრება მათი იშვიათობით, მათ სარგებლობასთან შედარებით. ფულის სარგებლიანობა, ცხადია, საქონელსა და მომსახურებაზე გაცვლის მის უნიკალურ უნარში მდგომარეობს როგორც ეხლა, ისე მომავალში. ამრიგად, ფულზე მოიხივნა კონომიკაში დამოკიდებულია გარიგებათა ხერხით დოლარულ მოცულობაზე, პლუს ფულის ის რაოდენობა, რომელიც სურთ ქონდეთ ინდივიდუუმებსა და საწარმოებს თავიანთი განკარგულებაში, მომავალი გარიგებისათვის. ფულის მოცემული მექანიკლები მოთხოვნის პირობებში ფულადი ერთეულის ღირებულება ანუ „მსყიდველობითი უნარი“ განისაზღვრება ფულის მიწოდებით. ვნახათ, რაქომაა ეს ასე?

## ფული და ფასები

ფულის რეალური ღირებულება ანუ მსყიდველობითი უნარი - საქონელსა და მომსახურების ის რაოდენობაა, რომელიც შეიძლება შექცნილი იქნას ფულის ერთეულით. ცხადია, რომ საქონელთა და მომსახურების რაოდენობა, რომელიც დოლარით შეიძინება, ფასების დონის უკუპროპორციულად იცვლება; სხვანაირად რომ ვთქვათ, არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება ფასების ხერხით დონესა და დოლარის ღირებულებას შორის. 15-1 ნახაზი შესაძლებლობას იძლევა თვალნათლივ წარმოედგინათ ეს უკუპროპორციული დამოკიდებულება. როდესაც სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ანუ „ცხოვრების ღირებულების“ ინდექსი იზრდება, დოლარის მსყიდველობითი უნარი აუცილებლად ეცემა, და პირიქით. რაც უფრო მაღალია ფასები, მით დაბალია დოლარის ღირებულება, რამდენადაც ეხლა მეტი დოლარი იქნება საჭირო მოცემული რაოდენობის საქონელთა და მომსახურების გასაყიდად. და პირიქით, ფასების შემცირება გაზრდის დოლარის მსყიდველობითი უნარს, რამდენადაც ეხლა თქვენ ნაკლები დოლარები დაგჭირდებათ მოცემული რაოდენობის საქონელთა და მომსახურების შესაძენად. თუკი ფასების დონე 2-ჯერ გაიზრდება, მაშინ დოლარის ღირებულება სანახევროდ ანუ 50%-ით შემცირდება თუ ფასების დონე სანახევროდ, ანუ 50%-ით შემცირდება. დოლარის მსყიდველობითი უნარი ორჯერ გაიზ-



### ნახ.15-1. ფასების დონე და ფულის ღირებულება

ფასების საერთო დონეა და დოლარის მსყიდველობითი უნარის შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება (ნახაის ეწოდება „პროპორციის“ დაგრაფა. ანუ „ნახევრადლოგარითმიული დაგრაფა“, რასდენადაც ტოლი ვერტკალური მონაკვეთები ტოლ პროცენტად და არა აბსოლუტურ ცვლილებებს ასახვენ).

რდება.<sup>1</sup> მე-10 თავში ჩვენ ავხსენით რამდენიმე სატუაცია, რომელშიც

1. ამ დამოკიდებულების არითმეტიკა რამდენადმე უფრო რთულია, ვიდრე მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება. თუ ჩვენ P-თი აღვნიშნავთ ფასების დონეს ინდექსურ გამოსახულებაში, ხოლო D-თი დოლარის ღირებულებას, მაშინ ჩვენი უკუდამოკიდებულება იქნება:  $D=1/P$  თუ  $P=100$  მაშინ D. ბუნებრივია უდრის 1,00 მაგრამ თუ ფასების დონე აიწევს 1,20-მდე, მაშინ D-ს დონე 83 1/3 იქნება. მაშასადამე, ფასების დონის 20%-იანი გადიდება გამოიწვევს დოლარის ღირებულების 16 2/3% -ით დაცემას.

ეროვნული ვალუტა უფასურდება და მიმოქცევაში არ მიიღებოდა. მკორე გამოაკლისის გარდა ეს იყო სიჭუბუჩები, როცა სახელმწიფო უშვებდა ქალაქის იმდენად ბევრ ფულს, რომ ყოველი ფულადი ერთეულის ღირებულება სათიქმის მოღიაანად ქრებოდა. გერმანიის (ჩრდილი ინფლაცია პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ამის თვალნათლივი მაგალითია. 1919 წლის დეკემბერში მიმოქცევაში იყო 50 მლრდ მარკა. ოთხი წლის შემდეგ ეს (ყოფი გაიზარდა 496 585 345 900 მილიარდამდე! რა შედეგი მოჰყვა ამას? გერმანული მარკის ღირებულება 1923 წელს შეადგენდა 1919 წლის მისი ღირებულების უმნიშვნელო ნაწილს. ინფლაცია, როგორც გახსოვთ, ჩვეულებრივ იმის გამო წარმოიშობა, რომ სასოგადოების დანახარჯები ჭარბობენ მის წარმოებრივ შესაძლებლობებს. ხსენ თანაბარ პირობებში ფულის მიწოდების სრულ იწვევს ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას. როგორც კი მიიღწევა სრული დასაქმება და წარმოების საერთო მოცულობა ფაქტობრივად მუდმივი გახდება, ამ დამატებითაა ერთობლივმა მოთხოვნამ შესაძლოა მხოლოდ ასწიოს ფასები. პერანგი, რომელიც ჩვენს მაგალითში 20 დოლარად იყიდებოდა, მკაცრი ინფლაციის შემდეგ შესაძლოა 200 დოლარი ღირდეს. ეს ნაშნავს, რომ დოლარი, რომელიც ადრე პერანგის ღირებულების 1/20-ს შეადგენდა, ახლა მხოლოდ 1/200-ს შეადგენს. ინფლაციამ დოლარის ღირებულება, ანუ მსყიდველობითი უნარი მისი თავდაპირველი ღირებულების 10%-მდე დაიკვნა.

როგორ ახდენს ზეგავლენას ინფლაცია და დოლარის ღირებულების მისი თანხლები შემცირება ქალაქის დოლარების მისაღებობაზე ფულის სახით? საოჯახო მეურნეობები და საწარმოები შხად არიან ქალაქის ნაღდი ფული მიმოქცევის საშუალების სახით მანამ მიიღონ, სანამ მათ იციან, რომ თავის მხრივ ფულს დახარჯავენ მსყიდველობითი უნარის შესამინევი დანაკარგების გარეშე. მაგრამ შხარდი ინფლაციის პირობებში საქმე სხვაგვარად არის. მონაცარდე ინფლაციას, იმის მსგავსად, რამელსაც გერმანია წააწყდა 20-იანი წლების დამდეგს, შეუძლია არსებითად გააუფასუროს ფულის ღირებულება მისი მიღებიდან დახარჯვამდე პერიოდში. ფული „ცხელ“ ფულად იქცევა. სახელმწიფო, თითქოსდა მუდმივად ბეგრავს ფულის მსყიდველობით უნარს. ფულის ერთეულის ღირებულების შხარდმა გაუფასურებამ შეიძლება ის გამოიწვიოს, რომ მან ვეღარ შეასრულოს მიმოქცევის საშუალების ფუნქცია. საწარმოებსა და საოჯახო მეურნეობებს შეუძლიათ გაცვლის დროს უარი თქვან ქალაქის ფულის მიღებაზე, რადგანაც არ უნდათ გაუფასუ-



რებისაგან დაზარალება, რაც მისი ფლობის პერიოდში მოხდება. (ყოველთვის ეს იმის საწინააღმდეგოა, რომ სახელმწიფო გადახდის კანონიერ საშუალებად აცხადებს ქალაქის საღებავ ფულს). აღარ ექნება რა მიმოქცევის მისაღები საშუალება, ეკონომიკა დაუბრუნდება არაეფექტიან ბარჯერულ გაცვლას.

ანალოგიურად, ადამიანები მზად არიან ფული გამოიყენონ დასოგვის საშუალების სახით მანამ, სანამ დახოცილი ფულის ღირებულება ზომაზე მეტად არ შემცირდება ინფლაციის შედეგად. ეკონომიკას შეუძლია ეფექტიანად გამოიყენოს ფულის ერთეული ღირებულების საზომის სახით მისი მსყიდველობითი უნარის შედარებითი სტაბილურობის შემთხვევაში. ღირებულების საზომის მკვეთრი შემცირება მყიდველებსა და გამყიდველებს ვაჭრობის მკაფიო წესების დამკარების შესაძლებლობას ართმევს. როდესაც ფულის ერთეულის ღირებულება მკვეთრად ეცემა, გამყიდველებმა არ იციან რამდენი მოთხოვნი, ხოლო მყიდველებმა არ იციან რამდენი გადაიხადონ სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე.

## ფულის კონტროლი

ფულის ღირებულებაზე ჩვენი მსჯელობის ქვეყნის შემდეგში მდგომარეობს: ქალაქის ფულის მთავარი „საქონელი“ სახელმწიფოს მიერ ფულის ღირებულების შედარებითი სტაბილურობის შენარჩუნება. ეს თვალისწინებს, ჯერ ერთი, შესაბამის ფისკალურ პოლიტიკას, რაც მე-14 თავში განვიხილეთ; მეორე, ფულის მიწოდების გონივრულ კონტროლს ანუ რეგულირებას. საწარმოები და საოჯახო მეურნეობები საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ ქალაქის ფულს მანამ იღებენ, სანამ იგი მომავალში თავის მხრივ, დახარჯვის შედეგად, დაიხლოებით თანაბარი რაოდენობის საქონელსა და მომსახურებას მიიტანს. ამერიკულ ეკონომიკაში საკანონმდებლო ღონისძიებებს, სახელმწიფო პოლიტიკისა და სოციალური პრაქტიკის შეხამება დაბრკოლებას წარმოადგენს ფულის მიწოდების წინდაუხედავი გაფართოებისათვის, რამაც შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ფულის გაცვლითი ღირებულებას.

ის, რაც ჩვენ ქალაქის ფულზე ვთქვით, მამდინარე ანგარიშზე მყოფ ფულსაც შეეხება. ამ შემთხვევაში ფული წარმოადგენს კომერციული ბანკების ან შემნახველი დაწესებულების ვალს. თუ თქვენ გაქვთ 2(X) დოლარის ოდენობის საჩუქო ანგარიში, ეს ნიშნავს, რომ ბანკს ან

შემნახველ დაწესებულებას თქვენი მართებს დოლარების აღნიშნული რაოდენობა. თქვენ შეგიძლიათ ვალის მიღება ორიდან ერთი ხერხის მეშვეობით. ან წახვიდეთ ბანკში (შემნახველ დაწესებულებაში) და მოითხოვოთ თქვენს საჩეკო ანაბარზე ქაღალდის ნაღდი ფული. ამით თქვენ უბრალოდ გადაიტანთ თქვენს კუთვნილ ვალს ბანკის ან შემნახველი დაწესებულების საგალო ვალდებულებიდან სახელმწიფოს საგალო ვალდებულებებზე. ანდა, ეს უფრო შესაძლოა, „მიიღოთ“ ბანკის შემნახველი დაწესებულების ვალი თქვენი ანგარიშის ვინმეზე გადაცემით. მაგალითად, მაღაზიაში 200 დოლარიანი პალკოს ყიდვისას თქვენ ანგარიშის გასწორება შეგიძლიათ ჩეკის გამოწერით, რომელიც თქვენს უფლებას ბანკში ვალის მიღებაზე გადასცემს მაღაზიას. ახლა ბანკი მაღაზიის მოვალეა იმ 200 დოლარით, რომელიც ადრე თქვენ გმკუთვნოდათ. მაღაზია ამ დავალიანების გზავნილს (ჩეკს) იღებს მიმოქცევის საშუალების სახით, იმიტომ, რომ მას შეუძლია თავისი არჩევანით იგი ნაღდ ფულად გადააქციოს ან მორიგი ყიდვით, თავის მხრივ, ეს ვალი სხვას გადასცეს. ამგვარად, ჩეკი როგორც ბანკებისა და შემნახველი დაწესებულებების ვალის გადაცემის საშუალება, მიიღება ფულის სახით, რადგანაც ბანკებსა და შემნახველ დაწესებულებებს შეუძლიათ ვალდებულების აღსრულება.

თავის მხრივ, ბანკებისა და შემნახველი დაწესებულებების მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების უნარი დაფუძნებულია იმაზე, რომ ისინი ძალზე ბევრ ასეთ ვალდებულებას არ იძლევიან. ჩვენ ძალე დავინახავთ, რომ კერძო ბანკების დეკლარირებული სისჯემა, რომელიც მოგებისაკენ მიისწრაფვის, საკმაოდ გარანტირებული არ არიან საჩეკო ფულის ზომაზე მეტი რაოდენობის გამომწვებით. ამისათვის არსებობს ცენტრალიზაციისა და სახელმწიფო კონტროლის მაღალი დონე, რომელიც ამერიკის საბანკო და ფინანსურ სისჯემას მიმდინარე ანგარიშების წინდაუხედავი გახსნისაგან იცავს.

მაგრამ გაურთხილებთ: ეს შენაშენა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნაღდი და დეპოზიტური ფულის მიწოდება ყოველთვის გონივრული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, რაც ეკონომიკური სტაბილურობის მაღალი დონის მიღწევის საშუალებას იძლეოდა. სინამდვილეში, როგორც ამას მრავალი ეკონომისტი ამტკიცებს, უმეტესი ინფლაციური პრობლემა, რომელსაც ისტორიაში ვაწყდებით, ფულის მიწოდების წინდაუხედავი გაზრდის შედეგია.


# დასკვნა

მოდით შევაჯამოთ ამ განყოფილებაში განხილული ძირითადი დებულებები:

1. აშშ-სა და სხვა განვითარებული ქვეყნების კონსოლიდირებულ სახელმწიფოს, კომერციული ბანკებისა და შემნახველი დაწესებულებების ვალის ვალდებულებას წარმოადგენს.

2. ვალის ეს ვალდებულებანი წარმატებით მანამ ასრულებენ ფულის ფუნქციებს, სანამ მათი ღირებულება ან მსყიდველობითი უნარი, შედარებით სწავილურია.

3. ფულის ღირებულება უკვე არ ეფუძნება ძვირფასა ლითონების მკაცრად განსაზღვრულ რაოდენობას (როგორც ეს ადრე იყო), იგი



## ნახ 15-2. ფულზე მოთხოვნა და ფულის ბაზარი

ფულზე საერთო  $D_m$  მოთხოვნა განისაზღვრება პორიფორტალურ ღირებულ აქტივების მხრივ  $D_2$  მოთხოვნის წრფის გადაადგილების გზით,  $D_1$  გარიგებისათვის ფულზე მოთხოვნის ტოლია სადღიას, გარიგებისათვის ფულზე მოთხოვნის სწორი ხაზი ვერტიკალურია, რამდენადაც იგულისხმება, რომ იგი დაზოკიდებულია ნონისალური ეკონომიკისა და არა სარგებლის განაკვეთისაგან, აქტივების მხრივ ფულზე მოთხოვნა იცვლება სარგებლის ნორმის უკუპროპორციულად, რამდენადაც არსებობს სადღი ფულისა და სანკო ანაბრების ფლობის ალტერნატიული ხარჯები, რამდენადაც სარგებელი არ მოაქვთ. ფულის  $S_m$  მიწოდებას შეეერთება ფულზე საერთო  $D_m$  მოთხოვნასთან, ფულის ბაზრის სურათს იძლევა და განსაზღვრავს სარგებლის  $r$  წონასწორობითი ნორმისა.

უფრო მეტად განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების რაოდენობით, რომელიც შეიძლება ფულისი შეყიდვით ბაზარზე.

4. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ფულის ეროვნული ღირებულების სტაბილიზაციისათვის ითვალისწინებს:

- (1) შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის გატარებას.
- (2) ფულის მიწოდების ეფექტიან კონტროლს.

## ფულზე მოთხოვნა

აქამდე ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით იმას, თუ რისგან შედგება და რას ეფუძნება ფულის მიწოდება. ახლა ჩვენ განვიხილავთ ფულზე მოთხოვნის საკითხს. ფულის ფუნქციების შესახებ ჩვენი უწინდელი მსჯელობა ითვალისწინებდა იმის ორ ძირითად მისჯესს, რომ არსებობს ფულზე მოთხოვნა.

## ბარიბეზისათვის საჭირო

### ფულზე მოთხოვნა, $D_1$

პირველი მიზეზი, უკუველია, ისაა, რომ ადამიანს ფული სჭირდება როგორც მიმოქცევის საშუალება. ე.ი. საქონელთა და მომსახურების შექმნის გარიგებათა დადების მოხერხებულობისათვის. საოჯახო მეურნეობებს მათ ანგარიშზე მორიგ ფულად შემოსულობათა მიღებამდე ხელზე უნდა აქონდეთ საკმარის რაოდენობის ფული საბაკალეოთი საქონელთა შესაძენად, საგირავნო და კომუნალური მომსახურების გადასახდელად. საწარმოებს ფული სჭირდებათ შრომის, მასალების, ენერჯის და ა.შ., ასანაუზღაურებლად. ყველა ამ მიზნისათვის საჭირო ფულს უბრალოდ გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნა ეწოდება. გასაკვირი რიგია, რომ გარიგებათა დასადებად საჭირო ფულის რაოდენობა ძირითადად განისაზღვრება საერთო ფულადი მდგომარეობით ან ნომინალური ეკ-ით. რაც უფრო მეტია საქონლისა და მომსახურების გაცვლაში არსებული საერთო ფულადი ღირებულება, მით მეტი ფულია საჭირო გარიგებათა დასადებად. გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნა იცვლება ნომინალური ეკ-ის პროპორციულად. მთაქციეთ ყურადღება, რომ ჩვენ გამოვიყენეთ ფულად, ანუ ნომინალურ ეკ-ს. საოჯახ-

ხო მეურნეობებს ან ფირმებს მეტი ფული დასჭირდებათ ან ფასების ზრდის ან წარმოების მოცულობის გადიდების შემთხვევაში. ორივე შემთხვევაში დადებულ გარიგებათა დოლარული მოცულობა დიდი იქნება.

15-2 ა ნახახზე ჩვენ გრაფიკულად გამოვსახეთ დამოკიდებულება გარიგებისათვის საჭირო ფულზე  $D_1$  მოთხოვნასა და სარგებლის განაკვეთს შორის. რადგანაც გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნა დამოკიდებულია ნომინალური ექპ-ის დონეზე და არ არის დამოკიდებული სარგებლის განაკვეთზე, იგი გამოსახულია ვერტიკალური წრფის სახით. სიმარტივისათვის ჩვენ ვვარაუდობთ, რომ გარიგებისათვის საჭირო ფულის რაოდენობა დაკავშირებული არაა სარგებლის განაკვეთის ცვლილებასთან. ე.ი. სარგებლის განაკვეთის ცვლილება არ შეამცირებს გარიგებისათვის საჭირო ფულის რაოდენობას. რაც კი განესახლდრეთ ჩვენ ფულზე მოთხოვნა გარიგებისათვის 100 მლრდ დოლარით?

მოუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ციფრი შეირჩეულია თვისანებურად, არსებობს მისი უბრალო ახსნა. მაგალითად, თუ გარიგებისათვის საჭირო თითოეული დოლარი საშუალოდ 3-ჯერ გამოიყენება წელსა და შემდეგ, ხოლო ნომინალური ექპ უდრის 300 მლრდ დოლარს, მაშინ ადამიანებს დასჭირდებათ 100 მლრდ დოლარი ექპ-ის საყიდლად.

## ფულის მოთხოვნა აქტივების მხრივ, $D_u$

მეორე მიზეზი, რის გამოც ფულს ინახავენ, მისი როგორც დაზოგვის საშუალების ფუნქციიდან გამომდინარეობს. ადამიანებს შეუძლიათ თავიანთი საფინანსო აქტივები სხვადასხვა ფორმით - მაგალითად, კორპორაციის აქციების, კერძო ან სახელმწიფო ობლიგაციის ან  $M1$  ფულის სახით აქონდეთ. მაშასადამე, არსებობს ფულზე მოთხოვნა აქტივების მხრიდან.

რა განსახლდრავს ფულზე მოთხოვნას აქტივების მხრივ? პასუხის მისაღებად ჩვენ უნდა გავფიქროთ, რომ ფინანსური აქტივების მრავალ სხვადასხვა ფორმათაგანს, რომელშიც შეიძლება იგი იმყოფებოდეს, თა-

---

1. ეს გამარტივებაა. ხინაშდელიეში ფულის რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია საოჯახო მეურნეობებისა და საწარმოებისათვის გარიგებების დასაღებად იცვლება სარგებლის განაკვეთის უკუპროპორციულად. როდესაც სარგებლის განაკვეთები მაღალია, იმპიხარებლები და საწარმოები ცდილობენ შეაქციონ გარიგებებისათვის საჭირო რაოდენობა. იმისათვის, რომ მეტი ფონდები აქონდეთ აქტივებში დასაბანდებლად, რომელსაც სარგებელი მოაქვს.

ესი უპირატესობები და ნაკლოვანებები გაანჩია. სიმარტივისათვის ერთმანეთს შევადაროთ ფორმები ფულისა და ობლიგაციების სახით. ფულის ფლობის უპირატესობას წარმოადგენს მისი ლიკვიდობა. ე.ი. ფულის გამოყენება დაუკონებლივ შეიძლება საყიდლების შესაძენად. როგორც აქტივების ფლობის ფორმა, ფული განსაკუთრებით მიმხიდველია როდესაც მოსალოდნელია საქონელზე, მომსახურებაზე, აგრეთვე სხვა საფინანსო აქტივებზე ფასების დაკემა. როდესაც ობლიგაციებზე ფასები ეკემა, მისი მფლობელი ზარალს განიცდის იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციები უნდა გაყიდოს გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ.

ფულის, როგორც აქტივების სახით ფლობის ნაკლოვანება ობლიგაციების ფლობასთან შედარებით ისაა, რომ მას არ მოაქვს შემოსავალი სარგებლის სახით, ან არ იძლევა ისეთ სარგებელს როგორსაც ობლიგაციები ან უვადო ანაბრები. ზოგიერთი ბანკი და შემსახველი დაწესებულება მენაბრზე სარგებლის გაცემას უზრუნველყოფს სანჯო ანაბრების რაიმე მინიმალური სიდიდით. იმ შემთხვევაში, თუ ანაბრები მინიმალურ სიდიდეს არ მიაღწევენ, მათ არ მოაქვთ სარგებელი. სანჯო ანაბრის სარგებელი, რომელიც აქარბებს დადგენილ მინიმუმს, იმაზე ნაკლებია, რასაც იხდიან ობლიგაციებიდან და სხვადასხვა უვადო ანაბრებიდან.

ამ ინფორმაციას საფუძველზე უნდა გადავწყვიტოთ, თუ რამდენი ფინანსური აქტივი ვიქონიოთ, დაუწევათ, ობლიგაციების სახით და რამდენი - ფულის სახით. გადაწყვეტილება, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია სარგებლის განაკვეთზე. მოდიოთ, ვიმსჯელოთ შემდეგნაირად: ფლობს რა ფულს, საოჯახო მეურნეობა ან საწარმო ფარულ ხარჯებს ეწევა (თაყი-2). ე.ი. ფულის ყოველი მფლობელი თავს ეკავებს ან შემოსავალს სწირავს სარგებლის სახით. თუ ობლიგაციას მოაქვს 10 პროცენტური შემოსავალი, მაშინ 100 დოლარის ფლობა ნაღდი ფულის ან სარგებლის არმქონე სანჯო ანგარიშის სახით თქვენ დაგიჯდებათ 10 დოლარის წლიური შემოსავლის დაკარგვა. გასაკვირი როდია, რომ ფულზე მოთხოვნა აქტივების მხრივ იკვლება სარგებლის განაკვეთის უპროპორციულად. როდესაც ფულის, როგორც აქტივების ფლობის სარგებლის განაკვეთი ანუ ფარული დანახარჯები დაბალია, ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ უფრო მეტი რაოდენობის ფულის ფლობას აქტივების სახით. პირიქით, როდესაც სარგებელი მაღალია, მნიშვნელოვანი ლიკვიდობის ფლობა არახელსაყრელია, და აქტივების რაოდენობა ფულის ფორმით მცირე იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც ფულის, როგორც აქტივის ფლობა არახელსაყრელია, ადამიანები მას


მცირე ოდენობით ინახავენ. იმ შემთხვევაში, როდესაც ფულის ფლობა ხელსაყრელია, ადამიანებს იგი ბევრი აქვთ. უკუდამოკიდებულება სარგებლის განაკვეთისა და ფულის ოდენობას შორის, რომელიც ადამიანებს უნდა აქონდეთ აქტივების სახით, ნაჩვენებია 15-2 ბ ნახაზზე  $D_2$  წრფის სახით.

## ფულზე საერთო მ(ო)თხოვნა, $D_m$

როგორც 15-2 გ ნახაზზეა ნაჩვენები, ფულზე საერთო  $D_m$  მოთხოვნა შეიძლება განისაზღვროს ფულზე აქტივების მხრივ მოთხოვნის წრფის პირისპირკალურ ღერძზე გადაადგილების გზით გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნის ოდენობით. (15-2 გ ნახაზზე დახრილი ხაზი აღნიშნავს გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნის ოდენობას, რომელსაც მიემატა 15-2 ბ ნახაზზე გამოსახული ფულზე მოთხოვნის ოდენობა აქტივების მხრიდან).

ამის შედეგად მიღებული დაღმავალი წრფე აღნიშნავს ფულის საერთო რაოდენობას, რომელიც ადამიანებს სურთ აქონდეთ გარიგებისათვის და აქტივების სახით სარგებლის განაკვეთის ყოველი შესაძლო სიდიდის პირობებში. შემდეგ ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ნომინალური ეკ-ის ცვლილება, განხილული, გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნის თავისთავად, გამოიწვევს ფულზე საერთო მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას.

მარტივად რომ ვთქვათ, ნომინალური ეკ-ის გადაღება ნიშნავს, რომ ადამიანებს მოუნდებათ მეტი ფული აქონდეთ გარიგებისათვის, ეს კი ფულზე საერთო მოთხოვნის მრუდს მარჯვნივ გადასწევს. მაგალითად, თუ ნომინალური ეკ გაიზარდა 300-დან 450 მლრდ დოლარამდე და ძალას ინარჩუნებს ვარაუდით, რომ გარიგებისათვის საჭირო თითოეული დოლარი საშუალოდ 3-ჯერ იხარჯება წელიწადში, მაშინ გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნის წრფე გადაადგილდება 100-დან 150 მლრდ დოლარამდე. ამის შედეგად ფულზე საერთო მოთხოვნის მრუდი, სარგებლის განაკვეთის ყოველი შესაძლო სიდიდის პირობებში, განლაგდება 50 მლრდ-ით მარჯვნივ წინა შემთხვევასთან შედარებით. და პირაქით, ნომინალური ეკ-ის დაქვემდებარება გამოიწვევს ფულზე საერთო მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას მარცხნივ.



**ნახ.15-3 ნონასწორობის აღდგენა ფულის ბაზარზე**

ფულის მსაწოდების შესწორება ქმნის ფულის დროებით უქნარსობას ფულის ბაზარზე. ადამიანები და დაწესებულებები ცდილობენ მეტი ფულის მსაღებას ობლიგაციების გაყიდვის გზით. ამიტომ ობლიგაციების მსაწოდება გაიზარდა, რაც შეაქცირებს ობლიგაციების ფასს და გაზარდის სარგებლის განაკვეთს. სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთის პირობებში ფულის რაოდენობა, რომელიც ადამიანებს სურთ ხელში შეიჭიდონ, შესწორდება. მაშასადამე, მსაწოდებელი და საჭირო ფულის რაოდენობა სულაღმა გაუტოვდება ერთმანეთს სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთის პირობებში. ფულის მსაწოდების გადამება ქმნის მის დროებით სიჭარბეს, რის შედეგადაც ისრდება მათიონა ობლიგაციებზე და მათი ფასი მაღლა იქვს. სარგებლის განაკვეთი ეცემა და ფულის ბაზარზე წონასწორობა აღდგება.

**ფულის ბაზარი**

წინასწარ ვარაუდის რისკის ფასად ჩვენ შეგვიძლია გავაერითინოთ ფულზე მოთხოვნა და მიწოდება იმისათვის, რომ აღვქეროთ ფულის ბაზარი და განვსაზღვროთ სარგებლის წონასწორობითი განაკვეთი. ამისათვის 15-2 გ ნახაზზე გავავლეთ ვერტიკალური  $S_m$  წრფე, რაც აღნიშნავს ფულის მიწოდებას. ფულის მსაწოდების გამოსახვა წრფის სახით გამარტივებულ წანამძღვრებს ემყარება, რომლის თანახმადაც ხელმძღვანელი ფულად-საკრედიტო ორგანოები და საფინანსო დაწესებულებები ეკონომიკას ამაგრებენ ფულის რაღაც განსაზღვრული მოცულობით, ისეთით როგორცაა  $M1$  საერთო მოცულობა, რომელიც ნაწი-



ნების 15-1 ნახაზზე. ისევე როგორც პროდუქტების ან რესურსების ბაზარზე (თავი 4), აქაც ფულზე მოთხოვნისა და ფულის მიწოდების გადაკვეთა განსაზღვრავს წონასწორობის ფასს. მოცემულ შემთხვევაში „ფასი“ სარგებლის წონასწორობითი განაკვეთია, ე.ი. ფულის გამოყენებისასთვის გადახდილი ფასია.

რა მოხდება უწონასწორობის დროს ფულის ბაზარზე? როგორ შეძლებს ფულის ბაზარი წონასწორობის მიღწევას? განვიხილოთ ნახაზი 15-3, რომელზედაც აისახება 15-2 გ ნახაზი და დამატება ფულის მიწოდების ორი ალტერნატიული მრუდი.

თავდაპირველად დავუშვათ, რომ ფულის მიწოდება აღნიშნული როგორც  $S_{10}$  შემცირდა 200-დან, 150 მლრდ-მდე, რაც აღნიშნულია  $S_{11}$ -ით. შევნიშნავთ, რომ საჭირო ფულის რაოდენობა მის მიწოდებულ რაოდენობას 50 მლრდ-ით პარობობს სარგებლის უწინდელი წონასწორობითი განაკვეთის პირობებში, რომელიც 5-ს უდრიდა. როგორ მოქსრიგდება ფულის ბაზარი? მოცემულ შემთხვევაში ადამიანები შეეცდებიან შეეგუონ ფულის უკმარისობას მათ ხელთ არსებული ფინანსური აქტივების ნაწილის გაყიდვის გზით (ხიმარტივის ათვისდაკუშვათ, რომ ეს აქტივები ობლიგაციებია). მაგრამ ფულის შექმნა ობლიგაციების გაყიდვის საშუალებით ერთისათვის ნიშნავს ფულის დაკარგვას ამ ობლიგაციების სხვების მიერ შექმნის შედეგად. მიუხადავად იმისა, რომ ფულის ხახია გვაქვს მხოლოდ 150 მლრდ დოლარი. ფულის დიდი რაოდენობის მიღების კოლექტიური მცდელობა ობლიგაციების გაყიდვით, გახრდის მის მიწოდებას ობლიგაციების ბაზარზე მოთხოვნასთან შედარებით და შეამცირებს ობლიგაციების ფასს.

საერთო წესი: ობლიგაციებზე ფასების შემცირება ადიდება სარგებლის განაკვეთს (ბოლო შერხი, თავი 7). მაგალითად, ობლიგაცია, რომელიც 1000 დოლ. ნომინალური ღირებულებით იყიდება და სარგებლის მუდმივი გადასახდელის 50 დოლარის მიწოდება, იძლევა ყოველწლიურ განაკვეთს 5%-ის ოდენობით. ე.ი.

$$\frac{50 \text{ დოლ.}}{1000 \text{ დოლ.}} = 5 \%$$

მაგრამ დავუშვათ, რომ ამ ობლიგაციის ფასი მისი მიწოდების გადადების გამო დაეცა 667 დოლარამდე. ობლიგაციის მყიდველებისათვის, სარგებლის განაკვეთი წლიური 50 დოლარი მუდმივი პროცენტული გადასახდელის პირობებში ახლა შეადგენს 7,5%

$$\frac{50 \text{ დოლ.}}{667 \text{ დოლ.}} = 7.5 \%$$

რამდენადაც ეკვლია მოხესხემ კონკურენტულ ბრძოლაში კრედიტორებს უნდა შესთავაზოს სარგებლის ისეთი განაკვეთი, რაც ახლოსაა ობლიგაციების მიერ მოქანილითან, ხდება სარგებლის საერთო განაკვეთის ზრდა. 15.3 ნახაზზე ნვენ ვხედავთ, რომ სარგებლის განაკვეთი იზრდება 5%-დან ყულადი მიწოდების 200 მლრდ დოლარის პირობებში, 7,5 %-მდე. მაშინ როდესაც ყულადი მიწოდება 150 მლრდ დოლარია. სარგებლის ეს უფრო მაღალი განაკვეთი ზრდის ყულის შენახვის ფარულ ხარჯებს და ამცირებს ყულის რაოდენობას, რომლის ხელზე შენარსენება სერთი ფირმებსა და საოჯახო მეურნეობებს. მარჯვად რომ ვთქვათ, საჭირო ყულის რაოდენობა 200 მლრდ-დან, მერყევი 5% სარგებლის განაკვეთის პირობებში ეყმა 150 მლრდ-მდე 7,5%-იანი სარგებლის განაკვეთის დროს. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ყულის ბახარი დაუბრუნდა წინასწორობას. ყულის როგორც საჭირო, ასევე მსაწოდებელი რაოდენობა უდრის 150 მლრდ დოლ. სარგებლის 7,5%-იანი განაკვეთის პირობებში.

და პირიქით, ყულის მიწოდების გაზრდა 200 მლრდ-დან (S100) მაგალითად, 250 მლრდ დოლარამდე (S125) გამოიწვევს ყულის საჭარბებს 50 მლრდ დოლარის ოდენობით. სარგებლის თავდაპირველი 5%-იანი განაკვეთის პირობებში, ადამიანები შეეცდებიან ყულის თავიდან მოცილებას და შეისყენ მერო რაოდენობის ობლიგაციებს. მაგრამ, ერთის მიერ ყულის დახარჯვა, ნაშნებს სხვების მიერ მის შექენას. ამიტომ ობლიგაციების შექენის კოლექტიური მცდელობა ზრდის მათზე მოთხოვნას და მაღლა სწევს ობლიგაციების ფასს.

შედეგი: ობლიგაციებზე ფასის გაზრდა სარგებლის განაკვეთის ამცირებს. ნვენა შემოსევის თვალსაზრისით, ობლიგაციებზე 50 დოლარისანი სარგებლის გადასახდელი, რომელიც ახლა დროს, მაგალითად, 2 ათასი დოლარი, ობლიგაციის მყიდველს მხოლოდ 2,5 % - ის ოდენობის სარგებლის გააკვეთს აძლევს.

$$\frac{50 \text{ დოლ.}}{2000 \text{ დოლ.}} = 2,5 \%$$

იმის კვალობაზე თუ ადამიანები როგორ უშედეგოდ ცდილობენ თავისი ყულადი ნაშნების რაოდენობის შემცირებას (ნვენს მაგალითში 250 მლრდ დოლარი ნაშნულის ქვევით დაწევა), სარგებლის განაკვეთი, როგორც წესი, ეყმა. მოკემულ შემოსევაში სარგებლის განაკვეთი დაეყმა წინასწორობის ახალ 2,5 % დონემდე. რადგანაც ყულის შენახვის ფარული ხარჯები ახლა უფრო ნაკლები გახდა - ლიკვიდობა გაიყვდა,- მომხმარებლები და საწარმოები ზრდიან ნაღდი ყულისა და

სანეკო ანაბრების რაოდენობას და მზად არიან ხელზე შეინარჩუნონ 200-დან 250 მლრდ დოლარამდე, ასეთ შემთხვევაში წონასწორობა ფულის ბაზარზე კვლავ აღსდგება; როგორც საჭირო, ასევე მოწოდებული ფულის რაოდენობა უდრის 250 მლრდ დოლარს სარგებლის 2,5%-იანი განაკვეთის პირობებში.

განვახიზავთ და შევჯამოთ: (1) ობლიგაციის ფასები და სარგებლის განაკვეთები უკუფარდობით ანუ საპირისპირო დამოკიდებულებაში იმყოფებიან; (2) ფულის ბაზარზე მერყევი მოვლენები (კლილებს იწვევს ობლიგაციების ფასებში და ამის შედეგად - სარგებლის განაკვეთებში); (3) სარგებლის განაკვეთის (კლილებები შემოქმედებას ახდენს ადამიანთა მზადყოფნაზე ფულის შენახვაში; (4) ადამიანთა მიერ ფულის შენახვის მზადყოფნის (კლილებები აღადგენს წონასწორობას ფულის ბაზარზე); (5) სარგებლის წონასწორობითი განაკვეთი ათანაბრებს საჭირო და მოწოდებული ფულის რაოდენობას.

მე-17 თავში ჩვენ დავინახავთ ფულადი პოლიტიკის დახმარებით ფულის მოწოდების შეცვლის მკვლელობას, რათა ამავლდეს ან შეიქცარდეს სარგებლის განაკვეთი. სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთი ამკარებს ინვესტიციებსა და სამომხმარებლო ხარჯებს, ხოლო უფრო დაბალი განაკვეთი - სრდის, ამასთან, როგორც ერთი, ისე მეორე სიჩქარეა, საბოლოო ანგარიშით, შემოქმედებს წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონეს.

## შეერთებული შტატების წინანსური სისტემა

უკანასკნელი 10 წლის (ან მასთან მიახლოებული) განმავლობაში ეკონომიკის ფინანსურ სფეროში მიმდინარეობდა სწრაფი (კლილებები და სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური სისტემა დღემდე კლილებს განიცდის. ადრე არსებული კანონმდებლობა საკმაოდ მკაცრად განსაზღვრავდა სხვადასხვა ფინანსურ დაწესებულებათა საქმიანობის სახეებსა და ამოცანებს. მაგალითად, კომერციულ ბანკებს უნდა გაეხსნათ მიმდინარე ანგარიშები და სესხები მოწოდებინათ საწარმოებისა და მომხმარებლებისათვის. გამსესხებელ-შემნახველი ასოციაციების ფუნქცია შემნახველი ანაბრების მიღებისა და ამ დანახვების იპოთეკური დაკრედიტებისათვის გაცემაზე დაიყვანებოდა. მაგრამ უკანასკნელ წლებში კონკურენციის გაძლიერებულმა დაწოლამ, აგრეთ-

ვე დერეგულირებამ და სიახლეებმა, ერთად აღებულია, გააფართოვეს სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტების ფუნქციები და ტრადიციული განსხვავებები წაშალეს მათ შორის. ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, თუ როგორი გამჭირავებით ჩაერთვნენ შემნახველი დაწესებულებები კომერციული ბანკების საბანკო ოპერაციებში, ფლობდნენ რა მენაბრებისათვის სარგებლის გადახდის უპირატესობას. ამას კომერციულმა ბანკებმა ტრანსფერული მომსახურების ავტომატური ანგარიშების გამოყოფით უპასუხეს, რამაც შესაძლებლობა მისცა მათ გვერდი აეველოთ სანჯო ანგარიშებზე სარგებლის გადახდის იურიდიულ აკრძალვებზე. ბანკები და შემნახველი დაწესებულებები ასევე შეიჭრნენ სამაკლერო ფირმებისა და სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის სფეროში. თავის მხრივ, არასაფინანსო ფირმებმა, ისეიებმა, როგორიცაა „სირსი“, თავისი აქტივობა გააერთიანეს საბანკო და საფინანსო სფეროზე. იქმნებოდა საბანკო პოლიდინგ-კომპანიები, რომლებიც მართავდნენ რამდენიმე, ფორმალურად დამოუკიდებელ ბანკს როგორც ერთი მთლიანს, და ამგვარად გვერდს უვლიდნენ ბანკების ფილიალების სისტემის იურიდიულ შეზღუდვებს.

დეპოზიტური დაწესებულებების დერეგულირებისა და მონეტარული კონტროლის (DIDMCA) შესახებ 1980 წელს მიღებული კანონი შეეცადა ამ რეალიების მოწესრიგებას კომერციულ ბანკებსა და სხვადასხვა შემნახველ დაწესებულებებს შორის არსებული ისტორიულად ჩამოყალიბებული მრავალი სხვაობის შემცირების ან გამორიცხვის გზით. უნდა ითქვას, რომ DIDMCA საბანკო კანონმდებლობის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც მიღებულია 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ დროიდან. ჩვენ მოკლედ შევირდებით ამ დოკუმენტის ზოგიერთ კონკრეტულ დებულებებზე, როდესაც განვიხილავთ ფედერალური სარეზერვო სისტემის სხვადასხვა კომპონენტს. ამ ანალიზის მიზნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ DIDMCA -ამ შესაძლებლობა მისცა ყველა დეპოზიტურ დაწესებულებას გაეხსნა მიმდინარე ანგარიშები. მაგრამ, სთავაზობდა რა შემნახველ დაწესებულებებს ასეთ შესაძლებლობებს, ამასთან ერთად მათ სანჯო ანგარიშების შექმნაზე ისეთი შეზღუდვები დაადო, რომლებიც გამოიყენებოდა კომერციული ბანკების მიმართ. ამ შესავალი შენიშვნების გათვალისწინებით, მოდიოდა დაეუბრუნდეთ საფინანსო სისტემის საერთო სქემის ანალიზს.<sup>1</sup>

---

1. ფინანსური სექტორის დერეგულირების სხვადასხვა ასპექტების შესახებ მსჯელობა მოცემულია: *Economic Report of the President, 1984, Chapter 5.*

## ცენტრალიზაცია და რეგულირება

მოუხედავად ფინანსური სისჯემის დერეგულირების თანამედროვე ტენდენციებისა, ცენტრალიზაციისა და სახელმწიფო კონტროლის დონე მნიშვნელოვანია. ცენტრალიზაციასა და რეგულირებას ისტორიული ფესვები გააჩნია. ამერიკის ისტორიაში ტანჯვაში დაამკვიცა, რომ ცენტრალიზაცია და საზოგადოებრივი კონტროლი, მოსწონს თუ არა იგი ვინმეს, ევექტიანი საბანკო სისტემის აუცილებელ წინამძღვარს წარმოადგენს. XX საუკუნის დასაწყისში კონგრესმა სულ უფრო მეტად დაიწყო ამის შეგნება. საბანკო საქმის დეცენტრალიზება ქალაქის ფულის სხვადასხვაობის, ცუდი ფულადი რეგულირებისა და ფულის მიწოდების გამო, რაც არ შეესაბამება ეკონომიკის მოთხოვნილებებს მოუხეხებელია და უწყესრიგობას იწვევს.

ფულის სიჭარბეს შეუძლია გაართულოს სახიფათო ინფლაციური პრობლემები, ფულის უკმარისობამ შეიძლება დაამუხრუჭოს ეკონომიკის ზრდა, რაც დააბრკოლებს წარმოებას და დოვლათისა და მომსახურების გაცვლას. აშშ და ბევრი სხვა ქვეყანა მწარე გამოცდილებით დარწმუნდა, რომ დეცენტრალიზაციამ, არარეგულირებადმა საბანკო სისტემამ საექვრო უზრუნველყოს ფულის მიწოდება, რაც ბევრად უწყობს ხელს მოლიანად ეკონომიკის კეთილდღეობას.

1907 წლის არნახული პანიკა უკანასკნელი წვეთი გახდა, რომელმაც კონგრესის მოთმინების ფიალა აავსო. ფულადი და საბანკო პრობლემების შესწავლისა და კონგრესის მოქმედების მიმართულების შემუშავებისათვის შექმნა ფულის ეროვნული კომისია. მისი მუშაობის საბოლოო შედეგი გახდა 1913 წლის კანონის მიღება ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ.

# ფედერალური სარეზერვო

## სისტემის სტრუქტურა

მონეტარული კონტროლის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა ფედერალური სარეზერვო სისტემისა და DIDMCA -ს შესახებ კანონის მრავალგზის დაზუსტების შედეგად, სქემურად გამოსახულია 15-4 ნახაზზე. დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო სისტემის ბუნების, ფუნქციებისა და მისი სხვადასხვა ნაწილების ურთიერთკავშირის გაგებას.

**მმართველთა საბჭო.** ამერიკის ფულადი და საბანკო სისტემის ღერძს ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭო წარმოადგენს. საბჭოს შვიდი წევრი პრეზიდენტის მიერ ინიშნება კონგრესის მოწონებით. მათ უწევდათ უფლებამოსილების ხანგრძლივი ვადა - 14 წელი, მაგრამ ამასთან ერთად, ყოველ ორ წელსწინ საბჭოს ერთი წევრი იცვლება. ეს იმისათვის კეთდება, რომ საბჭოს შესაძლებლობა მიეცეს იმოქმედოს თანმიმდევრულად, ჰყავდეს კომპეტენტური წევრები, იყოს დამოუკიდებელი და სარგებლობდეს ავტონომიით. საბჭოს შემადგენლობის დანიშვნა და არა არჩევა მიზნად, ისახავს საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის გამოიყენებას პარტიის პოლიტიკისაგან.

მმართველთა საბჭო პასუხს აგებს ქვეყნის ფულადი და საბანკო სისტემის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლზე. აღიარებულია, რომ საბჭოს თავმჯდომარე (ენერალური ბანკის ყველაზე გავლენიანი ხელმძღვანელია მსოფლიოში. საბჭოს ღონისძიებათა ეფექტიანობა, რაც უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს და ხელს უწყობდეს საერთო ეკონომიკურ კეთილდღეობას, მიიღწევა ფულის მართლების მართვის გარკვეული ტექნიკის დახმარებით. მართვის ამ მექანიზმების ხასიათის და მოქმედების ანალიზი მოქმედებდა მე-17 თავში.

საბანკო პოლიტიკის საფუძვლების ფორმირებაში მმართველთა საბჭოს ორი მნიშვნელოვანი ორგანო ეხმარება. პირველი ღია ბაზრის კომიტეტი, რომელიც შედგება საბჭოს სკადი წევრის და ფედერალური სარეზერვო ბანკების ხუთი პრეზიდენტისაგან, განსახლვრავს ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკას ღია ბაზარზე სახელმწიფო ობლიგაციების ყიდვისა და გაყიდვის სფეროში. ეს ოპერაციები ხელმძღვანელი საკრედიტო-ფულადი დაწესებულებების მიერ ფულის მიწოდებაზე ხელმძღვანელების მეტად მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს. მეორე - ფედერალური საკონსულტაციო საბჭო შედგება კომერციული ბანკების 12 ცნობილი ხელმძღვანელისაგან, რომლებსაც ირჩევენ

ღია ბაზრის  
კომიტეტი

მმართველთა  
საბჭო

ფედერალური  
საკონსულტაციო  
კომიტეტი

თორმეტი საკონსულტაციო  
ბანკი  
(25 განყოფილება)



კომერციული ბანკები  
(13753)


საშემსახველო  
დაწესებულებები:  
სესხის შემნახველი -  
ასოციაციები (3024)  
ურთიერთშემსახველი  
ბანკები (399)  
საკრედიტო კავშირები (15808)



საზოგადოებრიობა: საოჯახო მეურნეობები და საწარმოები

**ნახ.15-4. ფედერალური სარეზერვო სისტემისა და საზოგადოებრიობასთან მისი ურთიერთობის სქემა**

ღია ბაზრის კომიტეტი და ფედერალური საკონსულტაციო საბჭოსთან თათბირისა და კონსულტაციების შესწავლა მმართველთა საბჭო იღებს ძირითადად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უსრულდებათ აშერიკის ფულადი და საბანკო სისტემის მონიტორინგ კონტროლს. ეს გადაწყვეტილებანი ხორციელდება 12 ფედერალური სარეზერვო-ბანკის მიერ.



### ნახ.15-5. თორმეტი ფედერალური სარეზერვო ოლქი

ფედერალური სარეზერვო სისტემის შეერთებულ შტატებს ეყოფს 12 ოლქად. რიანკლავიან თა-  
ოიუულ მსოფიანს აქვს ერთი ცენტრალური ბანკი, ზოგიერთა შესახებეკაში ერთი ან რახდენაზე  
განყოფილება. ასეი და აღიასკა ჩარაუღლა მეთაორმეტე ოლქში (Federal Reserve Bulletin).

ყოველწლიურად თითო წევრის ოდენობით თორმეტივე ფედერალური  
სარეზერვო ბანკიდან. პერიოდულად საბჭო აკარებს შეხვედრებს მმარ-  
ოველითა საბჭოსთან და გამოიქვამს თავის შეხედულებებს საბანკო პო-  
ლიტიკაზე. მაგრამ საბჭო, როგორც ამას მისი სახელწოდება გუღო-  
სხმობს, წმინდა საკონსულტაციო ორგანიოა, მას არა აქვს პოლიტიკის  
ჩამოყალიბების უფლებამოსილება.

დიდი მნიშვნელობა აქვს კიდევ ერთხელ იმის ხაზგასმას, რომ ფე-  
დერალური სარეზერვო სისტემა არსებითად დამოუკიდებელი ორგანიზა-  
ციაა. იგი არ შეიძლება გაუქმდეს ან მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული  
პრეზიდენტის ახირების შედეგად; კონგრესსაც არ შეუძლია მისი რო-  
ლისა და ფუნქციების შეცვლა სპეკიალური საკანონმდებლო აქტის მი-  
ღების გარეშე. როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოს წევრების უფლებამო-  
სილების ხანგრძლივი ვადების მიზანია მათი დაცვა და ოსოღირება  
პოლიტიკური ზეგავლენისაგან.

ფედერალური სარეზერვო სისტემის დამოუკიდებლობა ისევ და ისევ  
კამათის მიხეზს წარმოადგენს. დამოუკიდებლობის მომხრეები ფიქრობენ,  
რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა უნდა იყოს დაცული პოლიტი-



კური ზეგავლენისაგან, რადგანაც მას ევალება ფულის მიწოდების ეფექტიანი მართვის რთული და უპირატესად ტექნიკური ამოცანა. ისინი ამტკიცებენ, რომ კონგრესის და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის პოლიტიკურად სასარგებლოა ფისკალური პოლიტიკის გაფართოებისაკენ მიწოდება (გადასახადების შემცირებას და დოტაციებზე დანახარჯებს მოაქვს ამომრჩეველთა ხმები), გარდა ამისა, მისგან გამოწვეული ინფლაციისაგან დასაცავად აუცილებელია დამოუკიდებელი საკრედიტო-ფულადი ორგანოს არსებობა.

დამოუკიდებელი ფედერალური სარეზერვო სისტემის მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ ყოველისშემძლე დაწესებულების არსებობა, რომლის წევრებიც უშუალოდ ხალხის ნებას არ ემორჩილებიან, აბსოლუტურად არადემოკრატიულია. ისინი ამტკიცებენ, რომ რადგანაც ერის ეკონომიკური კეთილდღეობის პასუხისმგებლობა საბოლოო ანგარიშით საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოებს ეკისრება, ამ ორგანოებს ხელთ უნდა ჰქონდეს ყველა პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაზე ზემოქმედება. კონგრესი და ადმინისტრაცია რატომ უნდა აგებდეს პასუხს იმ პოლიტიკის შედეგებზე, რასაც ისინი ვერ აკონტროლებენ მოლიანად. კრიტიკოსებს მოჰყავთ ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ გატარებული საკრედიტო - ფულადი ღონისძიებების მაგალითები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ფისკალური პოლიტიკის მიზნებს.

ამ საკითხზე თქვენ შეგიძლიათ ნათელი მოჰფინოთ საკუთარ პოზიციას მას შემდეგ, როდესაც წვენს მიერ განხილული იქნება საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მოქმედების პრინციპები მე-17 თავში.

**თორმეტი ვეფერალური სარეზერვო ბანკი.** თორმეტი ფედერალური სარეზერვო ბანკი სამი მთავარი განმასხვავებელი თვისება გააჩნია. ისინი არიან (1) ცენტრალური ბანკები, (2) კვაზისაზოგადოებრივი ბანკები და (3) ბანკთა ბანკები.

**1. ცენტრალური ბანკები.** ქვეყნების უმრავლესობას ერთი ცენტრალური ბანკი გააჩნია, მაგალითად ინგლისის ბანკი დიდ ბრიტანეთში ან ბუნდესბანკი გერმანიაში. შეერთებულ შტატებში მათი რაოდენობა 12-ია! ნაწილობრივ ეს ასახავს ამერიკის გეოგრაფიულ მასშტაბებს, ეკონომიკურ მრავალფეროვნებასა და ბევრი კომერციული ბანკის არსებობას. გარდა ამისა, ეს ცენტრალიზაციის მომხრეებსა და დეცენტრალიზაციის დამკველებს შორის პოლიტიკური კომპრომისის შედეგია. 15-5 ნახაზზე გამოსახულია 12 ფედერალური სარეზერვო ბანკის განლაგება და აღნიშნულია მათი მოქმედების რაიონები. ცენტრალური

ბანკების მეშვეობით ხორციელდება მმართველთა საბჭოს ძირითადი პოლიტიკური დირექტივები. მათ შორის ყველაზე მთავარი - ქალაქ ნიუ-ორკის ფედერალური სარეზერვო ბანკია. მიმოსვლის თანამედროვე საშუალებათა და ტრანსპორტის განვითარების შედეგად გეოგრაფიული აუცილებლობა რეგიონალური ბანკების სისტემაში უდაოდ შემცირდა.

**2. კვაზისაზოგადობრივი ბანკები.** თორმეტი ფედერალური სარეზერვო ბანკი კვაზისაზოგადობრივი ბანკებია. ისინი გამოხატავენ კერძო საკუთრებისა და საზოგადობრივი კონტროლის საუკეთესო სიმბიოზს. ფედერალური სარეზერვო ბანკები იმყოფება შესაბამისი ოლქების მონაწილეთა კომერციული ბანკების საკუთრებაში. ფედერალურ სარეზერვო სისტემაში შესასვლელად კომერციული ბანკები ვალდებული არიან შეიძინონ თავისი რაიონის ფედერალური სარეზერვო ბანკის სააქციო კაპიტალში მონაწილეობის წილი. მაგრამ ფედერალური სარეზერვო ბანკების მიერ გასატარებელი პოლიტიკის პრინციპები დგინდება სახელმწიფო ორგანოს მმართველთა საბჭოს მიერ. ამერიკული კაპიტალისტური ეკონომიკის ცენტრალური ბანკები კერძო საკუთრებაში იმყოფება, მაგრამ სახელმწიფოს მიერ იმართება. შესაკუთრებები არ აკონტროლებენ არც ხელმძღვანელობის შემადგენლობას, არც ცენტრალური ბანკების პოლიტიკას!

ის ფაქტი, რომ ფედერალური სარეზერვო ბანკები არსებითად წარმოადგენენ საზოგადობრივ ორგანიზაციებს, მეტად მნიშვნელოვანია მათი საქმიანობის გასაგებად. უნდა აღინიშნოს, რომ კერძო საწარმოებისაგან განსხვავებით ფედერალური სარეზერვო ბანკები არ ხელმძღვანელობენ მოგებისაკენ ლტოლვით. ცენტრალური ბანკები მიჰყვებიან პოლიტიკას, რომელიც, მმართველთა საბჭოს თვალსაზრისით, აუმაჯობებს ეკონომიკის მდგომარეობას მთლიანად. მაშასადამე, ფედერალური სარეზერვო ბანკების საქმიანობა წინააღმდეგობაში მოდის მოგებისადმი ლტოლვასთან.<sup>1</sup> ამავე დროს ფედერალურ სარეზერვო ბანკებს საქმე აქვს არა ადამიანებთან, არამედ სახელმწიფოსა და კომერციულ ბანკებთან.

**3. ბანკირთა ბანკი.** ფედერალური სარეზერვო ბანკები დეპოზიტური დაწესებულებებისათვის არსებითად იგივეს აკეთებენ, რასაც დე-

---

1. თუმცა მოგებისადმი ლტოლვა არ წარმოადგენს ფედერალური სარეზერვო ბანკების მთავარ მიზანს, მაგრამ სინამდვილეში მათ საქმიანობას მოგება ძირითადად მოაქვს მათ ხელში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების მეშვეობით. ამ მოგების ნაწილი იხარჯება აქციების დივიდენდებზე, რომლებიც მონაწილე ბანკებს ეკუთვნის. ხოლო დარჩენილი მოგების დიდი ნაწილი მიდის შერთებული შტატების სახელმწიფო ხაზინაში.

პოზიტიური დაწესებულებები ადამიანისათვის. სწორედ ამიჯომ უწოდებენ ფედერალურ სარეზერვო ბანკებს „ბანკთა ბანკებს“. იმის მსგავსად, როგორც ბანკები და შემნახველი დაწესებულებები იღებენ ადამიანთა ანაბრებს და სესხებს სთავაზობენ, ცენტრალური ბანკები ღებულობენ ბანკებისა და შემნახველ დაწესებულებათა ანაბრებს და სესხებს სთავაზობენ მათ. მაგრამ ფედერალურ სარეზერვო ბანკებს გააჩნიათ მესამე ფუნქცია, რომელიც არ ასრულებენ ბანკები და შემნახველი დაწესებულებები: ნაღდი ფულის გამოშვების ფუნქცია. კონგრესმა უფლებამოსილება მისცა ფედერალურ სარეზერვო ბანკებს მიმოქცევაში გაუშვას ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკოტები, რომლებიც ქმნიან ქალაქის ფულის მიწოდებას ეკონომიკაში.

**კომერციული ბანკები.** ამერიკის ფინანსური სისტემის „მუშა ცხენების“ როლს თამაშობს მისი 13753 კომერციული ბანკი. მათი დაახლოებით 2/3 წარმოადგენს შტატების ბანკებს, ე.ი. კერძო ბანკებს, რომლებიც მოქმედებენ შტატის ჩარტერის შესაბამისად. დანარჩენი მესამედი ჩარტერს იღებს ფედერალური მთავრობისაგან, ე.ი. წარმოადგენენ ნაციონალურ ბანკებს. DIDMCA -ს მიღებამდე ეს განსაზღვრა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც კანონი ავალდებულებდა ნაციონალურ ბანკებს ფედერალურ სარეზერვო სისტემაში შესვლას, მაშინ როდესაც შტატების ბანკები თვითონ წყვეტდნენ მასთან შეერთების თუ არ შეერთების საკითხს.

1970-იან წლებში ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრთა რიცხვი საკმაოდ მკვეთრად შემცირდა. ამ პერიოდში მასში შედიოდა კომერციული ბანკების 40%-ზე ნაკლები. ასეთი შემცირების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ფედერალურ სარეზერვო სისტემაში შემავალი კომერციული ბანკები ვალდებულები იყვნენ ფედერალურ სარეზერვო ბანკებში პქონიდათ ანაბრები, ან „რეზერვები“, საიდანაც სარგებელი არ გადაიხდებოდა. 1970-იანი წლების სარგებლის მაღალმა განაკვეთებმა მნიშვნელოვნად გაზარდა წევრთა ფარული ხარჯები (სარგებლის სახით მიუღებელი შემოსავალი). ამის გამო ბევრი ბანკი გამოვიდა ფედერალური სარეზერვო სისტემიდან, რის შედეგადაც მისი უნარიანობა საბანკო სისტემისა და ფულის მიწოდების მართვის საქმეში შემცირდა. DIDMCA -მ ამ პრობლემაზე რეაგირება მოახდინა ყველა კომერციული ბანკის (როგორც ეროვნული, ასევე შტატების ბანკების) და სხვა დეპოზიტური დაწესებულებების რეზერვების უნიფიკაციის მოთხოვნით, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ფედერალური სარეზერვო სისტემის ოფიციალური წევრები. კანონმა ყველა დეპოზიტურ დაწესებულ-

ბას ასევე ნება დართო ისარგებლონ ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხებით და მისი მომსახურებით კლირინგული ანგარიშსწორების პირობებში. 80-იან წლებში ამ იურიდიული ცვლილების ძალაში შესვლის კვალობაზე ადრე არსებული განსხვავებები ფედერალურ სარეზერვო სისტემაში შემაჯავალ კომერციულ ბანკებსა, კომერციულ ბანკ-აუქსიადერებსა და სხვადასხვა შემნახველ დაწესებულებას შორის თანდათანობით იშლებოდა.

**შემნახველი დაწესებულებები.** შემნახველ დაწესებულებებს დამოუკიდებელი და ჩმართველთა საბჭოსა და ფედერალური სარეზერვო ბანკებისაგან განცალკევებული საკონტროლო ორგანოები გააჩნიათ. ასე, მაგალითად, გამსესხებელ-შემნახველი ასოციაციების საქმიანობა რეგულირდება და მოწმდება საბინაო მშენებლობის დამკრედიტებელი ფედერალური ბანკის მიერ. მაგრამ, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ DIDMCA -მ გააფართოვა ყველა შემნახველი დაწესებულების საკრედიტო უფლებამოსილებანი, ასე რომ ახლა გამსესხებელ-შემნახველ ასოციაციებს და ურთიერთშემნახველ ბანკებს შეუძლიათ სესხების გაცემა მომხმარებლებსა და საწარმოებზე. გარდა ამისა, DIDMCA -მ გამსესხებელ-შემნახველი ასოციაციები და სხვა დემოზიტური დაწესებულებები სარეზერვო სისტემის კონტროლს დაუმორჩილა. კერძოდ, ამჟამად შემნახველ დაწესებულებებზე ვრცელდება კომერციული ბანკებისადმი წაყენებული სარეზერვო მოთხოვნები, რისი წყალობითაც საკრედიტო-შემნახველ დაწესებულებებს შეუძლიათ ფედერალური სარეზერვო სისტემისაგან სესხის აღება. მე-17 თავში ჩვენ ვნახავთ, რომ სარეზერვო მოთხოვნებისა და პირობების შეცვლა, რომლებითაც დემოზიტურ დაწესებულებებს შეუძლიათ ფედერალური სარეზერვო სისტემისაგან სესხის მიღება, წარმოადგენს ჩმართველთა საბჭოს მხრივ ფულის მიწოდების კონტროლის ორ ძირითად საშუალებას. აქედან გამომდინარე, 15-4 ნახაზზე პუნქტიორული ისრების დახმარებით ჩვენ აღვნიშნეთ ის, რომ შემნახველი დაწესებულებები იძყოფებიან მმართველთა საბჭოსა და ცენტრალური ბანკების ნაწილობრივი კონტროლის ქვეშ იმ ზომით, რა ზომითაც გადაწყვეტილებანი ფულადი პოლიტიკის საკითხებზე კომერციულ ბანკებთან ერთად შემნახველ დაწესებულებებსაც ეხება.

კომერციული ბანკები და შემნახველი დაწესებულებები ორ ძირითად ფუნქციას ასრულებენ. ჯერ ერთი, ისინი ინახავენ საწარმოებისა და საოჯახო მეურნეობების ანაბრებს. მეორე, ისინი ადამიანებს სთავაზობენ სესხებს და ამით ადიდებენ ფულის მიწოდებას ეკონომიკაში. ამ ფუნქციების დაწვრილებით ანალიზს ეძღვნება მე-16 თავი.

# ფედერალური სარეზერვო სისტემის ფუნქციები და ფულის მიწოდება

ფედერალური სარეზერვო სისტემა ასრულებს მრავალ სხვადასხვა ფუნქციას.<sup>1</sup>

ჯერ ერთი, ფედერალური სარეზერვო სისტემა ინახავს ბანკებისა და შემნახველი დაწესებულებების ანაბრებს, რომლებსაც სარეზერვო ეწოდებათ. მე-17 თავში ჩვენ შევიტყობთ, რომ ამ ანაბრებს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ ფულის მიწოდების სამართავად.

მეორე, ფედერალური სარეზერვო სისტემა უზრუნველყოფს ჩეკების ინკასაციის მექანიზმს. თუ სარა, სალემის ბანკში ჩეკს გამოწერს სემას სახელწიფე, რომელიც მის დეპონირებას ახდენს სან დიეგოს ბანკში, მაშინ როგორ მიიღებს ფულს სან დიეგოს ბანკი სალემის ბანკის ჩეკის მიხედვით? პასუხია: ფედერალური სარეზერვო სისტემა ამ პრობლემას წყვეტს ორი-სამი დღის განმავლობაში ორივე ბანკის ხსენებული რეზერვების რეგულირების გზით. DIDMCA -მ ეს მომსახურება შესთავაზა ყველა დეპოსიტურ დაწესებულებას: ადრე ამით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ ფედერალური სარეზერვო სისტემის ოფიციალურ წევრებს.

მესამე, ფედერალური სარეზერვო სისტემა გამოიღის ფედერალური მთავრობის ფისკალური აგენტიის როლში. სახელმწიფო იღებს უდიდეს თანხებს გადასახადით დაბეგრვიდან, მაგრამ ასეთივე ასტრონომიული რაოდენობის ფულს ხარჯავს ობლიგაციების ყიდვაზე. ყველა ამ ოპერაციის ჩასატარებლად სახელმწიფო იყენებს ფედერალური სარეზერვო სისტემის სახსრებს.

მეოთხე, ფედერალური სარეზერვო სისტემა ახორციელებს ზედამხედველობას მასში შემავალი ბანკების საქმიანობაზე. პერიოდული შემოწმებები წარმოებს ბანკი-წევრების მომგებიანობის განსაზღვრისათვის ბანკების მიერ მათთვის დადგენილი უამრავი წესების შესრულებაში

---

1. ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკების ფუნქციების უფრო დეტალური გაცნობისათვის იხ: Board of Governors of the Federal Reserve System. The Federal Reserve System: Purposes and Functions. 7 th ed. 1984. Chapters. 1, 2, 7.

დასარწმუნებლად, საეჭვო ოპერაციების ან თაღლითობის გამოსავლენად.<sup>1</sup>

მეხუთე, და ეს ყველაზე მთავარია, ფედერალური სარეზერვო სისტემა საბოლოო ანგარიშით პასუხს აგებს ფულის მიწოდების კონტროლზე. ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელობის ძირითადი ამოცანა, მთლიანად ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად ფულის მიმოქცევის რეგულირებაში მდგომარეობს. ეს ამოცანა ითვალისწინებს ფულის არსებული რაოდენობის, წარმოებისა და დასაქმების მაღალ და მზარდ, აგრეთვე ფასების შედარებით სტაბილურ დონესთან შესაბამისობაში მოყვანას. თუ ყველა დანარჩენი ფუნქცია მეტ-ნაკლებად რუტინულ ან სამსახურებრივ ხასიათს ატარებს, ფულის მიწოდების სწორი მართვა მოითხოვს საერთო და კერძო პოლიტიკურ არაშაბლონურ გადაწყვეტილებათა მიღებას. მე-17 თავში განხილულია ფედერალური სარეზერვო სისტემის საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა და მისი ეფექტიანობა. მაგრამ სანამ ამ საკითხზე გადავალთ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ბანკები როგორ ქმნიან ფულს(თავი 16).

## რეზიუმე

1. ყველაფერი ის, რაც: ა) მიმოქცევის საშუალების, ბ) ღირებულების საზომის, გ) დაზოგვის საშუალების ფუნქციას ასრულებს, არის ფული.

2. ფედერალური სარეზერვო სისტემა ცნობს ფულის მიწოდების სამ „ოფიციალურ“ განმარტებას. M1 შედგება ნაღდი ფულისა და საჩეკო ანაბრებისაგან; M2 უდრის M1-ს პლუს არასაჩეკო შემნახველი ანაბრები და მცირე ოდენობის (100 ათას დოლარზე ნაკლები) ვადიანი ანაბრები; M3 უდრის M2-ს

---

1. ზედამხედველობის ამოცანას ახორციელებს არა მხოლოდ ფედერალური სარეზერვო სისტემა. ცალკეული შტატები აკონტროლებს ყველა ბანკს, რომელსაც მიღებული აქვს ჩარტერი. ფულის მიმოქცევის კონტროლიორი ინსპექციას უწევს ყველა ეროვნულ ბანკს დაბოლოს, დეპოზიტების დაზღვევის (FDIC) ფედერალურ კორპორაციას აქვს ყველა ბანკის შემოწმების უფლებაამოსილება, რომელთა ანაბრებსაც ის აზღვევს. მაშასადამე, დეპოზიტების დაზღვევის ფედერალურ კორპორაციაში შემავალი ეროვნული ბანკი - ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრი სამი მაკონტროლებელი ორგანოს - ფედერალური სარეზერვო სისტემის, ფულადი დანაზოგების კონტროლიორისა და დეპოზიტის დაზღვევის ფედერალური კორპორაციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.

კლუს მსხვილი(100 ათას დოლარზე მეტი) ვადიანი ანაბრები. ანალიზში ჩვენ დავეყრდნობით M1 -ს, რადგანაც მისი კომპონენტები უფრო ლიკვიდურია, ე.ი. შესაძლებელია მათი გადაუღებელი დახარჯვა.

3. ფულს, რომელიც არსებითად სახელმწიფოსა და დეპოზიტური დაწესებულებების(კომერციული ბანკებისა და შემნახველი დაწესებულებების) ვალის ვალდებულებას წარმოადგენს, ღირებულება გააჩნია იმის გამო, რომ ბაზარზე ფულით ხდება საქონელისა და მომსახურების შეძენა. ფულის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფულის მიწოდების სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობაზე.

4. ფულზე საერთო მოთხოვნა შედგება გარიგებებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნის და ფულზე აქტივების მხრივ მოთხოვნისაგან. გარიგებებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნა იცვლება ნომინალური ვექს-ის პროპორციულად, ფულზე მოთხოვნა აქტივების მხრივ იცვლება სარგებლის განაკვეთის უკუპროპორციულად. ფულის ბაზარი აერთიანებს ფულის მოთხოვნასა და მიწოდებას სარგებლის წონასწორობითი გაჩაყვების განსაზღვრისათვის.

5. ფულის ბაზრის უწონასწორობა აღმოიფხვრება ობლიგაციებზე ფასების ცვლილების შედეგად. ობლიგაციებზე ფასების შეცვლით, სარგებლის განაკვეთი უკუმიმართულებით შეიცვლება. სარგებლის წონასწორობითი განაკვეთის პირობებში ფასები ობლიგაციებზე მუდმივია, ხოლო ფულზე მოთხოვნა და მიწოდება თანაბარია.

6. ამერიკული საბანკო სისტემა შედგება: ა) ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს, ბ) 12 ფედერალური სარეზერვო ბანკისა და გ) 13753 კომერციული ბანკისაგან. მმართველთა საბჭო წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად ორგანოს მთელი საბანკო სისტემის მიმართ. საბჭოს დირექტივები ხორციელდება 12 ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ, რომლებიც ერთდროულად წარმოადგენენ: ა) ცენტრალურ ბანკებს, ბ) კვაზისაზოგადოებრივ ბანკებს, გ) ბანკთა ბანკებს. 1980 წ.დეპოზიტური დაწესებულებებისა და მონეტარული კონტროლის დერეგულირების კანონის მიღების დროიდან შემნახველი დაწესებულებები ასევე ემორჩილებიან მმართველთა საბჭოს იმ დადგენილებებს, რომელთა მიზანია ფულის მიწოდე-

ბის შეცვლა. ბანკებისა და შემნახველი დაწესებულებების ამოცანებში შედის ფულადი ანაბრების მიღება და სესხის გაცემა.

7. ფედერალური სარეზერვო სისტემის მთავარ ფუნქციებს წარმოადგენს: ა) კომერციული ბანკებისა და სხვა დეპოზიტური დაწესებულებების ანაბრებისა ან რეზერვების შენახვა, ბ) მომსახურების შეთავაზება ჩეკების სწრაფი ინკასაციისათვის, გ) ფედერალური მთავრობის ფისკალური აგენტის როლის შესრულება, დ) ზედამხედველობა ბანკი-წევრების საქმიანობაზე, ე) ფულის მიწოდების რეგულირება, მთლიანად ეკონომიკის ინტერესებისათვის.

## ტერმინები და ცნებები

მიმოქცევის საშუალება

ღირებულების საზომი

დაზოგვის საშუალება

M1, M2, M3

სიმბოლური ფული

ნამდვილი ღირებულება

ფედერალური სარეზერვო ბანკის ბანკნოტა

საჩეკო ანაბრები

შემნახველი დაწესებულებები

გამსესხებელ-შემნახველი ასოციაციები

ურთიერთშემნახველი ბანკები

საკრედიტო კავშირები

შემნახველი ანაბრების საბრუნავი ანგარიშები

„შეირ დრაფტის“ ანგარიშები

ტრანსფერტული მომსახურების ავტომატური ანგარიშები

კანონი დეპოზიტური დაწესებულებების და მონეტარულ

კონტროლის დერეგულირების შესახებ(DIDMCA)

„თითქმის ფული“

უნეკო შემნახველი ანგარიშები

ვალიანი ანაბრები



კანონიერი საგადასახდელი საშუალება

დეკრეტული ფული

გარიგებისათვის საჭირო ფულზე მოთხოვნა, მოთხოვნა  
ფულზე აქტივების მხრივ და მასზე საერთო მოთხოვნა  
ფულის ბაზარი

მმართველთა საბჭო

ღია ბაზრის ფედერალური კომიტეტი

ფედერალური საკონსულტაციო კომიტეტი

ფედერალური სარეზერვო ბანკები

კომერციული ბანკები

შტატების ბანკები

ეროვნული ბანკები.

## კითხვები და სასწავლო დავალებები

1. აღწერეთ თუ როგორ შეუძლია ძლიერ ინფლაციას ძირი გამოუთხაროს ფულის მიერ  
სამი ძირითადი ფუნქციის შესრულებას.

2. რაში მდგომარეობს საქონლური ფულის ნაკლოვანებები? რაში მდგომარეობს აქა-  
დალდის ფულის და ბ) საკრედიტო ფულის უპირატესობა საქონლურ ფულთან შედარებით?

3. „ფული - ეს მხოლოდ ცოტა ქაღალდი ან ლითონია, რომელიც მის მფლობელს კანონიერ  
„ფულებას აძლევს მრავალ სხვადასხვა საქონელზე. ჩვენ არ შეგვიძლია ფულის ჭაბა ან  
დალეკა, ჩაცმა. მაგრამ ფულით შეგვიძლია საქონლის შექენა“. I როგორ და რატომ ხდება ეს  
ასე? 4. მოგვეცით შემდეგი მტკიცების სრული შეფასება და ახსნა:

ა) „ფულის გამოგონება - კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, რადგანაც მის  
გარეშე ეჭვრობის გაფართოებით გამოწვეული კეთილდღეობის ზრდა შეუძლებელი იქნებო-  
და“.

ბ) „ფული - ეს არის ის, რასაც საზოგადოება გამოაცხადებს ფულად“

გ) „ფასების ზრდა იმის გამო კი არ ხდება, რომ ყველაფერი ძვირდება არამედ იმის გამო,  
რომ დილარი უფრო იაფდება“.

დ) „ქაღალდის ფულის არსებობა რთულ საკითხებს აყენებს, არა მარტო მისი ეკონომი-  
ურობის, მოხერხებულობის ან სწრაფი მიმოქცევის, არამედ ქაღალდის ფულის რაოდენობის  
შესახებაც, რომლის გამოშვებაც გონიერული იქნებოდა, და იმ მძლავრი შერყევების შესაძ-  
ლებლობის შესახებაც. თუ ეს რაოდენობა გადაატარებდა დასაშვებ საზღვრებს“. I

ე) „მსოფლიოს ყველაზე თანამედროვე სამრეწველო ეკონომიკურ სისტემებში სახელმწი-  
ფოსა და კომერციული ბანკების ეალის ეალდებულებები ფულის როლს ასრულებენ“.

5. რა ელემენტებისგან შედგება M1 ფულის მიწოდება?

M1 ფულის მიწოდების რომელი კომპონენტია მნიშვნელოვანი? რატომ აჭარბებს ლითონის ფუ-  
ლის ნომინალური ღირებულება მის ნამდვილ ღირებულებას? გვიჩვენეთ სხვაობა M2 და M3

შორის, რა არის „თიხის ფული“? როგორია მისი მნიშვნელობა? როგორი არგუმენტების მოყვანა შეგიძლიათ შექნახველი ანაბრების ჩასართველად ფულის განმარტებაში?

6. რა არის ფულის მიწოდების საფუძველი შეერთებულ შტატებში? რით განისაზღვრება ფულის ღირებულება? რატომაა მნიშვნელოვანი ფულის მიწოდების შეცვლის შესაძლებლობების არსებობა? რას ნიშნავს „სრულფასოვანი ფული“? ბ) „52 ცენტანი, დოლარი“?

7. რომელი ძირითადი ფაქტორი განისაზღვრავს ა) ფულზე მოთხოვნას გარეგნობისათვის და ბ) ფულზე მოთხოვნას აქტივების მხრივ? აგვისონით, როგორ შეიძლება გრაფიკულად შევუთავსოთ ერთმანეთს მოთხოვნის ეს ორი სახე ფულზე საერთო მოთხოვნის განსასაზღვრავად? როგორ განისაზღვრება სარგებლის წონასწორობითი განაკვეთი ფულის ბაზარზე? როგორ შეუძლია იმოქმედოს ა) საკრედიტო ბარათების გამოყენების გაზარდვით, ბ) მუშებზე ხელფასის მორიგ გაცემაში შორის შუალედების შემცირებამ და გ) რომინალური ეკონომიკის გაზრდამ გარეგნობისათვის საჭირო ფულის მოთხოვნაზე და სარგებლის წონასწორობით განაკვეთებზე?

8. წარმოადგინეთ, რომ ობლიგაციის ნომინალური ღირებულება 10 ათას დოლარია და მას მოაქვს 800 დოლარის სარგებელი ყოველწლიურად, გამოიანგარიშეთ და ცხრილში ჩაწერეთ ან სარგებლის განაკვეთი, რომლის მიღებაც შეუძლია ობლიგაციის პატრონს აღწერს ფასების მიხედვით. ან ობლიგაციის ფასი სარგებლის მითითებული განაკვეთის პირობებში, ჩამოაყალიბეთ დასკვნა, რომლის საშუალებასაც იძლევა შევსებული ცხრილი.

ობლიგაციის ფასი(ათასი დოლ.)	სარგებლის განაკვეთი(%)
8	-
-	8,9
10	-
11	6,2

9. დაეშვათ, რომ ფულის ბაზარი თავიდან იშოვებოდა წონასწორობის მდგომარეობაში, ხოლო შემდეგ გაიზარდა ფულის მიწოდება. ახსენით, როგორ დადგინდება სარგებლის ასახული წონასწორობითი განაკვეთი. გასარდება თუ შემცირდება ფასები ობლიგაციებზე სარგებლის ახალი წონასწორობითა, განაკვეთის პირობებში? როგორი იქნება, თქვენა აზრით, სარგებლის განაკვეთის ცვლილების შემოქმედება წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონეზე? უკასურებო რასეუ კითხვებს ფულის მიწოდების შემცირების შემთხვევისას.

10. როგორია მმართველთა საბჭოს მთავარი მოვალეობანი? განიხილეთ ფედერალური სარესერვო ბანკის ძირითადი დამსახურებელი ნიშნები. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ფედერალური სარესერვო ბანკები არიან კვასისაზოგადობრივები? თელით თუ არა თქვენ, რომ ფედერალური სარესერვო სისტემა უნდა იყოს დამოუკიდებელი დაწესებულება?

11. რაში მდგომარეობს კომპერციული ბანკებისა და შექნახველი დაწესებულებების ორი ძირითადი ფუნქცია? დაასახელეთ და მოკლედ გაარჩიეთ ფედერალური სარესერვო სისტემის მთავარი ფუნქციები.

# ბოლო შტრიხი

## ანგოლაში ნამდვილი ფული - ლუდია<sup>1</sup>

ლუდი ანგოლის ეკონომიკაში ფულია. იგი ასრულებს მიმოქცევის საშუალების, ღირებულების საზომისა და დაზოგვის საშუალების ფუნქციას.

დაივიწყეთ ოქროს სტანდარტის შესახებ და კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ანგოლაში, სადაც ყველას აქვს რაიმე დამატებითი შემოსავალი და ფულის სტაბილურობა მიიღწევა კათხა ლუდის ზეგავლენით.

„აქ ლუდი-ეროვნული ვალუტაა“, თქვა პორტუგალიელმა მასწავლებელმა, რომელიც ლუანდაში მუშაობდა.

რამდენადაც ეკონომისტები მთელი მონდომებით ეძებენ მორყეული მსოფლიო ფულადი სისტემისათვის უფრო მყარ საფუძველს, შესაძლოა მათ ხელს არ შეუშლის მტკიცე ანალოგიური მოდელისათვის თვალყურის მიდევნება, სადაც შავ ბაზარზე 24 კილიანი შეფუთული ყუთი იმპორტული ევროპული ლუდი ურყევად დგას 28000 ანგოლური კუანზის ღონეზე.

ოფიციალური გასაცვლელი კურსის მიხედვით ეს შეადგენს 931 დოლარს სახელმწიფო მოსამსახურის საშუალო თვიური ხელფასის ექვივალენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლუდი და-

1. Oakland Ross. Angolan Economy Tied to Beer//The Globe and Mail. Toronto. December 12. 1987

უშვებელი ფუფუნებაა ბევრისათვის, გარდა ყველაზე მდიდარი ანგოლელებისა.

მაგრამ, სინამდვილეში, ანგოლაში არავის შეუძლია მხოლოდ ხელფასით ცხოვრება. გარდა ამისა, ოფიციალურ გასაცემელ კურსს ნაკლები წონა აქვს ანგოლაში. რასაც იქ წონა გააჩნია - იმპორტული ლუდია.

„ყველაფერი, ასე თუ ისე ეთანაზომება მას“, თქვა არგენტინელმა ტექნიკურმა სპეციალისტმა, რომელსაც ანგოლის მთავრობა ქირაობს. „გასულ წელთან შედარებით ლუდი თითქმის იგივე ღირს“.

იმპორტული ლუდი ეკონომიკაში სხვადასხვა გზებით ხვდება. მაგალითად, ყველა ევროპულ და ამერიკულ ნავთობის მონოპოლიას, რომელიც ანგოლაში მუშაობს, მაღაზიები აქვს, სადაც მათ მოსამსახურეებს მტკიცე ვალუტაზე შეუძლიათ იმპორტული საქონლის, მათ შორის ლუდის შექმნაც და თვით ანგოლის მთავრობას ცალკორივი ვაჭრობის უზარმაზარი უბაჟო ცენტრი გააჩნია დიპლომატებისა და სხვა ადამიანებისათვის რომელთაც უცხოური ვალუტა გააჩნიათ.

ლუანდის ზღვისგან მოშორებულ ნაწილში გადაშლილია ცნობილი მაღაზია ჯამბოუ, რომელიც სავსეა იმპორტული სასურსათო და სამომხმარებლო საქონლით, შოტლანდიური ვისკის 10 სხვადასხვა მარკის და იმპორტული ლუდის 7 სხვადასხვა სახის ჩათვლით.

სწორედ ლუდი იტაცებს აქ ყურადღებას გერმანული, დანიური, ბელგიური მსუბუქი ლუდი გეგონება არასდროს გათავდება.

ოფიციალური კურსით ერთი შეფუთვა (24 ქილა) ლუდი აქ 395 კუანზა ანუ 13 დოლარი ღირს. ჯამბოუს 15 სალონში რიგები სავსეა ხალხით, რომლებსაც 7 ან 8 შეფუთვა ლუდით პირთამდე დატვირთული ურიკები მიაქვთ.

მაღაზიის კარებს იქით ლუდი სწრაფად გაიყიდება შავ ბაზარზე - მას „კანდონგუა“ ეწოდება -28 000 კუანზად თითოეული შეფუთვა. მას, შემდგომ შლიან და ცვლიან, ან ისევ გადაყიდნიან 1500 კუანზად თითოეულს.

როგორც წესი, ლუანდაში მცხოვრები უცხოელი შინა მოსამსახურეს ლუდით ისტუმრებს(უხდის). ორი წუთვა ლუდით ანგოლურ ოჯახს შეუძლია ერთი თვე იცხოვროს, მართალია

ეკონომიურად. ლუდის გაცვლა ან გაყიდვა ყოველთვის შეიძლება.

ასეთი საოცარი ფულადი სისტემა ჩამოყალიბდა უწინარეს ყოვლისა ცენტრიდან მართვადი ოფიციალური ეკონომიკის კრიზისის შედეგად.

კრიზისი სავსებით ცხადი ხდება, ლუანდის ნებისმიერ სახელმწიფო მაღაზიაში ვიზიტის შემდეგ - სადაც რიგითი ანგოლელი, თეორიულად, თვის განმავლობაში სამყოფ სურსათს იძენს.

სინამდვილეში 10 ძირითადი ნორმირებული საქონლიდან, რომლითაც მხოლოდ ერთი ცენტრალური მაღაზია ვაჭრობს უკანასკნელ თვეებში იყო მხოლოდ ორი-ღობიო და შაქარი.

ეს დეფიციტი გამოწვეული იყო ომით და ანგოლის ეკონომიკის დაბალი ეფექტიანობით. მაგრამ, მაშინაც კი როცა ძირითადი საქონლები წარმოებულია, ისინი განწირულია მოსაპარავად და შავ ბაზარში დასაკარგავად, მანამ სანამ ცალობრივი ვაჭრობის ოფიციალურ საწარმოთა დახლებს მიღწევს.

მიზეზი მარტივია. ოფიციალური ფასები ანგოლაში დაკავშირებულია ოფიციალურ გასაცვლელ კურსთან და აბსოლუტურად ხელოვნურ სამყაროს ასახავენ, რომელიც ანგოლაში არ არსებობს 70-იანი წლების დასაწყისიდან.

მეორე მხრივ, შავი ბაზრის ფასები ეყრდნობიან ლუდის ფასს. ეს ნიშნავს, რომ ისინი 60-70 ჯერ მაღალია ოფიციალურ ფასზე. ისინი ასახავენ სამყაროს, სადაც უმეტესობა ანგოლის ქალაქელები ცხოვრობენ, ან უკიდურეს შემთხვევაში ვისაც ფული ან ლუდი აქვს.

როკი სანტეროზე - ლუანდის ერთ-ერთი ყველაზე დიდ შავ ბაზარზე - შეუძლიათ 10000 კუანზის ან თითქმის ექვსი ქილა ლუდის გადახდა ერთ ლიტრ მცენარეულ ზეთში, მკაფიოდ დაბეჭდილი ინფორმაციით, რომ „შემოთავაზებულია აშშ ხალხთა მიერ“, რომელიც არც კი იფიქრებდა, რომ იგი მოგების მიზნით გაიყიდებოდა.

პროდუქტები, რომლებიც საერთაშორისო დახმარების წესით შემოდის, ხშირ შემთხვევაში ასეთნაირად ხვდება გაყიდვაში.

ასეთმა მჩქეფარე ეკონომიკურმა საქმიანობამ, რომელსაც უწინრად იტანს სახელმწიფო, შეიძლება აგვიხსნას თუ რატომაა სახელმწიფოებრივი ჯამბოუს საწყობები მუდამ გატენილი.

„ისინი ეძებენ რძეს - თქვა არგენტინელმა ტექნიკურმა სპეციალისტმა. - მაგრამ ლუდი? ისინი არასოდეს ეძებენ ლუდს“.

# თავი მეექვსე

## როგორ ქმნიან ბანკები ფულს

წინა თავიდან ჩვენ გავიგეთ, რომ საჩეკო ანაბრები წარმოადგენს ფულის მიწოდების ძირითად ნაწილს M1-ის ვიწრო გაგებით. საჩეკო ანაბრები (კომერციული ბანკების უვადო ანაბრები კლუს შემნახველი ანაბრების საბრუნავი ანგარიშები და შემნახველ დაწესებულებათა “შეირ დრაფტ” ანგარიშები) ამერიკის ეკონომიკაში უმეტეს გარიგებათა დასაღებად გამოიყენება. რამდენადაც ყველა საჩეკო ანაბრის დიდი ნაწილი კომერციული ბანკების ანაბრებია, ამ თავში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ იმის ახსნაზე, თუ როგორ შეუძლიათ კომერციულ ბანკებს დეპოზიტური ფულის შექმნა. ჩვენ შევეცდებით ავხსნათ და შევადართო ფულის შექმნის შესაძლებლობები, რომლებიც გააჩნიათ (1) სხვადასხვა ბანკთა სისტემაში შემავალ ცალკეულ კომერციულ ბანკებს, და (2) მთლიანად კომერციულ ბანკთა სისტემას.

განხილვის მსვლელობაში თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ შემნახველი დაწესებულებები ასევე ხსნიან მიმდინარე ანგარიშებს და ამიტომ ტერმინი “დეპოზიტური დაწესებულება”, ტერმინ “კომერციული ბანკის” სრული ექვივალენტია. ზუსტად ასევე, ტერმინი “საჩეკო ანაბარი”, შეიძლება შეიცვალოს ტერმინით “უვადო ანაბარი”.

## კომერციული ბანკის საბალანსო ანგარიში

ამ თავს ჩვენ მიუძღვნით კომერციული ბანკის საბალანსო ანგარიშის შესწავლას. საბაზრო გარიგებათა შედეგად მისი ძირითადი ელემენტებისა და მათი ცვლილებების ხასიათის გაგება ფასდაუდებელ ანალიტიკურ ინსტრუმენტს მოგვცემს ფულადი და საბანკო სისტემის მუშაობის გასაცნობად.

რას ნიშნავს საბალანსო ანგარიში? ეს აქტივებისა და ფირმისადმი - მოცემულ შემთხვევაში კომერციული ბანკისადმი - მოთხოვნის უბრალო ჩამონათვალია, რაც მის ფინანსურ მდგომარეობას ასახავს დროის რაღაც კონკრეტულ მონაკვეთში. საბალანსო ანგარიშს ერთი მოკრძალებული ღირსება გააჩნია: განმარტების თანახმად იგი წონასწორობაში უნდა მოდიოდეს. რატომ? იმიტომ, რომ აქტივი, რომელსაც ფლობს, როგორც ცნობილია, ყველა და იითოთეული, ეკონომიკურ ფასეულობას წარმოადგენს და მასზე წაყენებული იქნება მოთხოვნა. შეგიძლიათ თუ არა ოქვენ წარმოიდგინოთ აქტივი, რომელსაც ფულადი ღირებულება გააჩნია, - არავის უნდოდეს? საბალანსო ანგარიში გამოთანაბრდება იმდენად, რამდენადაც აქტივები მათზე წაყენებული მოთხოვნების ტოლია. საბალანსო ანგარიშში შეტანილი მოთხოვნები ორ ჯგუფად იყოფა: ფირმათა მესაკუთრეების მიერ მისი აქტივებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რასაც საკუთარი კაპიტალი ეწოდება, და არამესაკუთრეთა მოთხოვნები, რომლებსაც ვალდებულებები ეწოდება. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საბალანსო ანგარიში წონასწორობაში იმყოფება, ე.ი.

აქტივები = ვალდებულებებს + საკუთარი კაპიტალი

საბალანსო ანგარიშის დახმარებით კომერციული ბანკების მიერ ფულის შექმნის უნარის შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია ორი თვალსაზრისით. ერთი მხრივ, ბანკის საბალანსო ანგარიში ჩვენ ათვლის წერტილს გვაძლევს, რომლიდან დაწყებითაც ჩვენ შეგვიძლია შემოვიღოთ ახალი ტერმინები მეტნაკლებად სისუბიექტური თანმიმდევრობით. მეორე მხრივ, საბალანსო ანგარიშების გამოყენება საშუალებას გვაძლევს რაოდენობრივად გამოვსახოთ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ცნება და დამოკიდებულება, რომლებიც სიროულებს იწვევენ, მათი მხოლოდ ვერბალურად განხილვის შემთხვევაში.



## ისტორიული კროლობი: ოსტატის ოქროს საქმეები

ჩვენ მივადექით საბალანსო ანგარიშების გამოყენებას ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემის მოქმედების ახსნისათვის. ამ სისტემის დამახასიათებელი ნიშნები და ფუნქციები შეიძლება გამოვიცნოთ და სრულად გავიგოთ, თუ მოკლე ხნით შევიწერდებით და ეკონომიკურ ისტორიას მივმართავთ. სულ მალე, მას შემდეგ, რაც ანტიკურ ეპოქაში გარიგებებში ოქროს გამოყენება დაიწყო, ცხადი გახდა, რომ, როგორც მყიდველისათვის, ისე ვაჭრებისათვის მხერხებული და უსაფრთხო როდი იყო ოქროს გადატანა, აწონვა და სიჭინდის გასინჯვა ყოველი გარიგების დროს. ამიტომ პრაქტიკაში შემოვიდა ოქროს გადაცემა შესანახად ამ საქმის ოსტატებისათვის, რომლებსაც სარდაფები და სპეციალური სანახები გააჩნდათ და მზად იყვნენ გარკვეული საზღაურით შეეთავაზებინათ მათთვის. მთლებდა რა ოქროს ანაბარს, ოქროს საქმეთა ოსტატი მენაბრეს ქვითარს აძლევდა. მალე საქონელთა გაცვლა დაიწყო ამ ქვითრებზე და ქვითრები ქალაქის ფულის ადრეულ ფორმად იქცა.

ამასთან, ოქროს საქმის ოსტატები, რომლებიც ბანკირთა პროტოკოლები გახდნენ, სარეზერვო სისტემის 100%-ს იყენებდნენ, ანუ დანახოვის სახით არსებული მათი ქალაქის ფული (ქვითრები), მთლიანად ოქროთი იყო უზრუნველყოფილი. ხედავდნენ რა ადამიანთა მზადყოფნას ქალაქის ფულის ნაცვლად ქვითრების მიღებაში, ოქროს საქმის ოსტატებმა იწყეს იმის შეგნება, რომ მათ მიერ შენახულ ოქროზე მოთხოვნა ნაკლებია და აქედან გამომდინარე ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად შენახული ოქროს რაოდენობა აჭარბებს ამოდებული ოდენობას. ერთ მშვენიერ მომენტში ოქროს საქმის გონიერ ოსტატს მოუვიდა იდეა, რომ ქალაქის ფულის გამოშვება შეიძლება არსებულ ოქროს აჭარბებდეს. ეს ჭარბი ქალაქის ფული მან მიმოქცევაში გაუშვა, სესხს სარგებლით აძლევდა რა ვაჭრებს, მეწარმეებსა და მომხმარებლებს. ასე ჩაისახა ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა. თუ მაგალითად, ჩვენი ოქროს საქმის გამჭრიახი ოსტატი შესანახად არსებული ოქროს რაოდენობის ტოლ თანხას გასცემდა სესხად, მაშინ ქალაქის ფულის საერთო ჯამი მიმოქცევაში ორჯერ მეტი იქნებოდა ოქროს ღირებულებაზე და რეზერვები 'კი' გამოშვებული ქალაქის ფულის 50 % იქნებოდა.

ნაწილობრივი რეზერვების თანამედროვე ამერიკული საბანკო სისტემა ორი დამახასიათებელი ნიშნით გამოირჩევა.

1. **ფულისა და რეზერვის შექმნა.** ასეთ სისტემაში ბანკებს შეუძლიათ ფულის შექმნა, როდესაც ოქროს საქმის ოსტატი სესხად გასცემდა ფულს, რაც ოქროს რეზერვებით მილიანად არ იყო უზრუნველყოფილი, მიმდინარეობდა ფულის შექმნა. ბუნებრივია, ამ ფულების რაოდენობა, რომლის შექმნაც ოქროს საქმის ოსტატს შეუძლია, დამოკიდებულია რეზერვის სიდიდეზე, რომელსაც იგი გონივრულად ჩაოვლიდა. რაც უფრო ნაკლებია რეზერვების თანხა, მით უფრო მეტი ფულის შექმნა შეუძლია ოქროს საქმის ოსტატს. თუმცა ოქროს უკვე აღარ გამოიყენება ფულის მიწოდების (თავი 15) "შეზღუდვების" მიზნით, მაგრამ საბანკო დარეგულირება (ფულის შენახვა) დღეს ძალზედ რეზერვების რაოდენობით, რომელსაც ბანკი აუქციონებდად ოქროს ან ოქროდიულ ვალდებულებას კონსერვაციის მიზნით იყენებს.

2. **საბანკო პანიკა და რეგულირება.** ბანკები, რომლებიც მოქმედებენ ნაწილობრივი რეზერვების საფუძველზე, სუსტი ადგილია საბანკო პანიკისათვის, ან "მოთხოვნათა მოხდევებისათვის". ოქროს საქმის ოსტატი, რომელმაც ოქროს რეზერვებზე ორჯერ მეტი ქაღალდის ფული გამოუშვა, ცხადია, ვერ შესძლებს მთელი ეს ფული ოქროდ აქციოს ამ საბანკო შემთხვევაში თუ აღმოჩნდება, რომ ქაღალდის ფულის ყველა მფლობელი ერთდროულად მოითხოვს ოქროს. ამ სამწუხარო გარემოებებში ევროპული და ამერიკული ბანკების დაღუპვის უიკავადე მთავალითი მართლაც არსებობს. მეორე მხრივ, საბანკო პანიკა ძალზე საეჭვოა, თუ ბანკს გონივრული სიდიდის რეზერვი გააჩნია და იგი დარეგულირების ფორმალ პოლიტიკას ატარებს. სინამდვილეში, ბანკში მოთხოვნათა მოხდევების თავიდან აცილება-საბანკო სისტემის მკაცრი კონტროლის მთავარი მიზანია.

## ცალკეული კომერციული ბანკი

### საბანკო სისტემაში

იხლა ჩვენ უნდა გავიგოთ მრავალი ბანკის სისტემაში შემავალი ცალკეული ბანკის მიერ ფულის შექმნის შესაძლებლობები. რა მუხლებისაგან შედგება კომერციული ბანკის საბანკო ანგარიში? რანაირად ქმნის და რანაირად ანაღურებს ცალკეული

კომერციული ბანკი ფულს? რა ფაქტორები ზემოქმედებენ ასეთი ბანკების მიერ ფულის შექმნის უნარზე?

## კომერციული ბანკის აბაზალება

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა ვიცოდეთ კომერციული ბანკის საბალანსო ანგარიშის შემოსავლისა და გასავლის მუხლები და გავიგოთ თუ როგორ აისახება საბალანსო ანგარიშში ზოგიერთი საკმაოდ მარტივი გარიგებები. დავიწყოთ ადგილობრივი კომერციული ბანკის ორგანიზებით.

**გარიგება 1. ბანკის აღმოცენება.** დავიწყოთ თავიდან. ვთქვათ, ნებრასკას შტატის ქალაქ უოხუს რამდენიმე გამჭრიახმა მოქალაქემ გადაწყვიტა, რომ ქალაქს სჭირდება კომერციული ბანკი მხარდი მისახლეობის საბანკო მომსახურებით უსრუნველსაყოფად. დავუშვათ, ამ გურგულიანმა ადამიანებმა შტატის ხელისუფლებისაგან ან ფედერალური მთავრობისაგან მიიღეს თანხმობა ბანკის გახსნაზე. შემდგომ ისინი შეკვდნენ აქციის გაყიდვას, ვთქვათ 250 ათასი დოლ. თანხით, როგორც ქალაქის მისახლეობაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ფინანსური ძალისხმევა წარმატებით დამთავდა. უოხუს სავაჭრო და ფერმკერული ბანკი ამიერიდან არსებობს-გუიდეურეს შემთხვევაში, ქალაქს. როგორ დგება უოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში?

ახალი ბანკის შესჯერებმა გაყიდეს 250 ათასი დოლ. თანხის

### უოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში 1

აქციები (ათასი დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი(ათასი დოლ.)
ნაღდი ფული 250	აქციები 250

ბანკის აქციები. აქციების ნაწილი მათ სავითონ შეიყიდეს, მეორე ნაწილი კი მიყიდეს სხვადასხვა პირს. ამის შედეგად ბანკს ეხლა გააჩნია 250 ათასი დოლ. ნაღდი ფული და 250 ათასი დოლ. თანხის გაყიდული აქციები. ბუნებრივია, ნაღდი ფული ბანკის აქციებს წარმოადგენს. ბანკში არსებულ ნაღდ ფულს ხოვ შემთხვევაში საკასო ნაღდ ფულს, ანუ საღაროს ნაღდ ფულს უწოდებენ, ე.ი. აქციები ბანკის

საკუთარი კაპიტალია, თუმცა აქციათა მფლობელთათვის ისინი აქტივებს წარმოადგენენ.

ბანკის საბალანსო ანგარიშს ასეთი სახე ექნება:

**გარიგება 2: საწარმოს ჩამოყალიბება.** ახლახან შექმნილმა დირექტორთა საბჭომ ახალი ბანკი ახლა პროექტების სფეროდან (კოცხალი რეალობის სფეროში უნდა გადაიტანოს. პირველი ნაბიჯი იქნება საკუთრების და მოწყობილობის შექმნა. დაეუშვათ, დიუოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში 2:

აქტივები (ათასი დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი(ათასი დოლ.)
ნაღდი ფული * 10 საკუთრება * 240	აქციები 250

რექტორები რომლებიც დარწმუნებული არიან თავიანი საწარმოს წარმატებაში, 220 ათას დოლარად იქნენ შენობას და 20 ათას დოლარად საკანცელარიო მოწყობილობას. ეს მარტივი გარიგება შეცვლის მხოლოდ ბანკის აქტივების სტრუქტურას. ახლა ბანკს ნაღდი ფული შეუმცირდა 240 ათასი დოლარით და გაუნდა აქტივები ახალი საკუთრების სახით 240 ათასი დოლ. ვარსკვლავით (\*) თუ აღვნიშნავთ ყოველ მუხლს, რომელსაც გარიგება ეხება, დავინახავთ, რომ მეორე გარიგების ბოლოს საბალანსო ანგარიში შემდეგ სახეს მიიღებს:

მიაქციეთ ყურადღება, რომ ბალანსი უწინდებურად წონასწორობაში იმყოფება, როგორც სინამდვილეში უნდა იყოს.

**გარიგება 3: ანაბრების მიღება.** ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კომერციულ ბანკს ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნია: ფულადი ანაბრების მიღება და სესხების გაცემა. რახან ჩვენი ბანკი მოქმედებს, მიიღით დაეუშვათ, რომ უოხუს საწარმოებმა და მაცხოვრებლებმა გადაწყვიტეს

უოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში 3:

აქტივები (ათასი დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი(ათასი დოლ.)
ნაღდი ფული * 110 საკუთრება * 240	უვადო ანაბრები 100 აქციები 250

100 ათასი დოლ. დააბანდონ სავაჭრო და ფერმერულ ბანკში. რა მოუვა ბანკის საბალანსო ანგარიშს?

ბანკი მიიღებს ნაღდ ფულს, რომლებიც როგორც ალენიშნეთ, ბანკის აქტივებია. დავუშვათ, ეს ფული მოთავსებულია ბანკში უვადო ანაბრების (საჩუკო ანგარიშების) ფორმით და არა ვადიანი ანაბრების ან შემნახველი ანგარიშების სახით. ეს, ხელახლა შექმნილი უვადო ანაბრები, მოთხოვნებია, რომლებსაც მენაბრეები წარუდგენენ უოხუს ბანკის აქტივებს. ამრიგად, ფულის ბანკში დაბანდება, წარმოქმნის ვალდებულებათა ახალ მუხლს-უვადო ანაბრებს. ეხლა ბანკის ანგარიშს შემდეგი სახე ექნება:(იხ.ანგარიში 3:).

თქვენ ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ მართალია ფულის საერთო მიწოდება უშუალოდ არ შეიცვალა, მაგრამ მესამე გარიგების შედეგად შეიცვალა ფულის მიწოდების სტრუქტურა ეკონომიკაში. საბანკო ფული, მიმოქცევაში შემცირდა 100 ათასით. როგორც თქვენ გახსოვთ (თავი 15, შენიშვნა-4), ბანკში არსებული ნაღდი ფული არ ითვლება ეკონომიკაში ფულის მიწოდების ნაწილად.

ცხადია, რომ ნაღდი ფულის ამოღება ამცირებს ბანკის ვალდებულებებს უვადო ანაბრების მიხედვით და მისი ნაღდი ფულის მარაგს, ამოღებული თანხით. ამ შემთხვევაში ასევე შეიცვლება სტრუქტურა და არა ფულის მიწოდების საერთო მოცულობა.

**გარიგება 4. სარეზერვო დაბანდებები ფედერალურ სარეზერვო ბანკში.** ყველა კომერციულ ბანკსა და შემნახველ დაწესებულებას, რომლებიც მიმდინარე ანგარიშებს ხსნიან, კანონით დაწესებული რეზერვები ანუ უბრალოდ რეზერვები უნდა გააჩნდეთ. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, რეზერვების დაწესებული ნორმა წვერი ბანკისთვის ანაბრების მიხედვით ვალდებულებათა განსაზღვრული პროცენტის ტოლია, რომელიც უნდა ჰქონდეს მას ანაბრის სახით თავისი შტატის ფედერალურ სარეზერვო ბანკში, ან საკასო ნაღდი ფულის სახით. მსჯელობის გასამარტივებლად, დავუშვათ, რომ ჩვენს ბანკს კანონით დადგენილი რეზერვები გააჩნია, თავისი შტატის ფედერალურ სარეზერვო ბანკში, ანაბრების სახით. მაგრამ თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ სინამდვილეში საკასო ნაღდი ფულიც რეზერვებად ითვლება და ბანკები თავისი რეზერვების მნიშვნელოვან ნაწილს ამ ფორმით ინახავენ.

ანაბრების მიხედვით ვალდებულებათა „განსაზღვრული პროცენტი“, რომელიც რეზერვში უნდა ჰქონდეს კომერციულ ბანკს, ცნობილია სარეზერვო ნორმის (სარეზერვო შეფარდების) სახელწოდებით. რატომ?

იმიტომ, რომ მოცემული ნორმა არის შეფარდება, კომერციული ბანკის რეზერვების სიდიდესა და ანაბრების მიხედვით გაცემულ ვალდებულებებს შორის. ეს შეფარდება ასეთია:

$$\text{სარეზერვო ნორმა} = \frac{\text{კომერციული ბანკის სავალდებულო რეზერვები}}{\text{კომერციული ბანკის ვალდებულებები უვადო ანაბრების მიხედვით}}$$

შესაბამისად, თუ 1/10 ანუ 10% სარეზერვო ნორმის პირობებში ჩვენი ბანკი მოსახლეობის ანაბრებს იღებს 100 ათასი დოლ. თანხით, იგი ვალდებულია რეზერვში აქონდეს 10 ათასი დოლ. 1/5 ანუ 20 % ნორმის პირობებში საჭიროა 20 ათასი დოლ. რეზერვი. 1/2 ანუ 50 %-ის დროს 50 ათასი და ა.შ.

თავის დროზე მმართველთა საბჭოს უფლება აქონდა დაედგინა სხვადასხვა სარეზერვო ნორმა, კონგრესის მიერ იურიდიულად დაწესებულ ფარგლებში. ეხლანდელ დროში სარეზერვო ნორმის წარჩობები განსაზღვრულია DIDMCA<sup>1</sup>-ს მიერ, ისინი ნაჩვენებია 16-1 ნახაზზე. სახელდობრ, დაწესებულების მიერ უვადო და სხვა საჩუქო ანაბრების აღებისას, რომელიც 41, 5 მლნ. დოლ. ტოლია, საჭიროა 3 %-იანი რეზერვის არსებობა. იმ დაწესებულებათა რეზერვები, რომელთა ანაბრები 41, 5 მლნ. დოლ. აჭარბებს, დღეისათვის 12% შეადგენს, თუმცა მმართველთა საბჭოს შეუძლია შეცვალოს ეს ციფრი 8-დან 14%-მდე. 3% უნდა გადაირიცხოს ასევე არასაჩუქო ნაღდ დანახოვთა (საწარმოთა დანახოვები) და ვადიანი ანაბრებს რეზერვში. ეს ნორმა იცვლება 0-დან 9%-დე. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს რომ კონგრესის შესაბამის კომისიებთან კონსულტაციების შემდეგ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ შეიძლება 16-1 ცხრილში მითითებული სარეზერვო მოთხოვნები გაზარდოს 180 დღით.

ანალიზის რამდენადმე გასამარტივებლად, დავუშვათ, რომ კომერციული ბანკების სარეზერვო ნორმა 1/5 ანუ 20% შეადგენს. და ეს მოთხოვნა ეხება მხოლოდ უვადო ანაბრებს. თუმცა (ციფრი 20% რამდენადმე მაღალია, მაგრამ იგი მოხერხებულია შემდგომი გამოთვლებისათვის და რამდენადაც ჩვენ გვაინტერესებს საჩუქო (რომელიც შეიძლება დახარჯო) უვადო ანაბრები, ჩვენს მსჯელობებში დაშ-

1. DIDMCA — კანონი დეპოზიტურ დაწესებულებათა დერეგულირებისა და მონეტარული კონტროლის შესახებ

ვებულია რეზერვების უზრუნველყოფა არასანგეგმიური შემსახველი და ვალიანი ანაბრებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ სარეზერვო მოთხოვნები ნაწილობრივია, ანუ 100%-ზე ნაკლებია. ამ მომენტს დიდი მნიშვნელობა აქვს. სარეზერვო მოთხოვნები დეპოზიტური დაწესებულებებისადმი

ანაბრების სახეები	მოთხოვნა ახლანდელი პერიოდისათვის (%)	ოურიდიულად დასაშვები საზღვრები (%)
სანგეგმიო ანაბრები 0-დან 41,5 მლნ დოლ.-მდე	3	3
41,5 მლნ-ზე უფრო	12	8-14
არასანგეგმიო ნაღდი საშემსახველი და ვალიანი ანაბრები	3	0-9

წყარო: Federal Reserve Bulletin, 1989 წლის მინიკვლევა

ენცილობა იქნება საბანკო ხისტიების კრედიტუნარიანობის ანალიზისას. უიხეს ბანკი უზრუნველყოფს 20%-იანი თანაფარდობის მოთხოვნას ფედერალურ სარეზერვო ბანკში მის ანაბრებსა და ანაბრების მიხედვით საკუთარ ვალდებულებებს შორის, თუ ფედერალურ სარეზერვო ბანკში მოთხოვნილი იქნება 20 ათასი დოლარი. ამ ანაბრების, მოსახლეობისა და კომერციული ბანკების ანაბრებისაგან გამოსარჩევად წვეს რეზერვებს დაკავშირებით ფონდებს, რომლებსაც კომერციული ბანკები მოითხოვებენ ფედერალურ სარეზერვო ბანკში. მაგრამ, მოდით ვიფარაუდოთ, რომ უიხეს დირექტორები მოკლიან მოსახლეობის უკიდო ანაბრების ზრდას. მაშინ, მინიმალური 20 ათასი დოლ. ნაკლებად იხიან გადარიცხვენ კიდევ 90 ათას დოლ., რაც ჯამში 110 ათას დოლ. შეადგენს. ამით ბანკი თავიდან აიცილებს უხერხულბებს, რაც დაკავშირებულია ფედერალურ სარეზერვო ბანკში დამატებითი რეზერვების გადარიცხვასთან. როდესაც გაიზრდება მისი ვალდებულებები უკიდო ანაბრებზე, და მალე წვეს გაფიქვით, რომ სწორედ ქარბი მარაგებით ბანკებს შეუძლიათ კრედიტების შეთავაზება, და მაშასადამე, სარგებლისაგან შემოსავლის მიღება.

მართლაც, ბანკები ნაღდ ფულს არ აბანდებენ ფედერალურ სარეზერვო ბანკში. მაგრამ, თუ კი (1) ბანკებს, როგორც წესი, საკასო ნაღდი ფული გააჩნია აქტივების საერთო თანხის 1 1/2, ანუ 2% -ის სახით და (2) საკასო ნაღდი ფული რეზერვად ითვლება, ჩვენ დავუშუოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში 4:

აქტივები (ათასი დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი(ათასი დოლ.)
ნაღდი ფული * 0 რეზერვები * 110 საკუთრება 240	უვადო ანაბრები 100 აქციები 250

ვებთ, რომ ბანკის ნაღდი ფულები ბანდდება ფედერალურ სარეზერვო ბანკებში და ამიტომაც კომერციული ბანკების საერთო რეზერვებს წარმოადგენს. ამრიგად, ორი სახის აქტივების “ნაღდი ფულისა“ და “ფედერალური სარეზერვო ბანკების ანაბრების“ შეკრების უზარმაზარი პროცედურა-“რეზერვების“ განსაზღვრისათვის ზედმეტი გახდება.

ამ ოპერაციის შედეგად უიხუს სავაჭრო და ფერმერული ბანკის საბალანსო ანგარიში შემდეგ სახეს მიიღებს:

ამ გარიგების ზოგიერთ მომენტს კომენტარი უნდა გაუკეთდეს:

1. ჭარბი რეზერვები. ტერმინოლოგიური შენიშვნა: სიდიდე, რომლითაც ბანკის ფაქტობრივი რეზერვები აჭარბებენ მის სავალდებულო რეზერვებს, ჭარბ საბანკო რეზერვებს წარმოადგენს.

ანუ:

ჭარბი რეზერვები = ფაქტობრივი რეზერვები — სავალდებულო რეზერვები

მოცემულ შემთხვევაში

ფაქტობრივი რეზერვები (ათასი დოლ.) 110

სავალდებულო რეზერვები (ათასი დოლ.) - 20

ჭარბი რეზერვები (ათასი დოლ.) 90

ჭარბი რეზერვების განსაზღვრის ერთადერთი საიმედო ხერხია უვადო ანაბრების მიხედვით საბანკო ვალდებულების გამრავლება სარეზერვო ნორმაზე, სავალდებულო რეზერვების სიდიდის მისაღებად



(100 ათასი დოლარის 20% შეადგენს 20 ათას დოლ.), ხოლო შემდგომ ამ ციფრის გამოკლება ნამდვილი რეზერვებიდან, რომელიც ნაწერილია ბანკის საბალანსო ანგარიშის აქტივების ნაწილში.

ამ პროცედურის გაგებისათვის მკითხველმა უნდა განსაზღვროს დამატებითი საბალანსო ანგარიშში, მეოთხე გარიგების დამთავრებისთვის სარეზერვო ნორმის ა) 10%, ბ) 33 1/3%-სა და გ) 50%-ის პირობებში.

რამდენადაც კომერციული ბანკის კრედიტის შეთავაზება დამოკიდებულია ჭარბი რესურსების არსებობაზე, იგი ერთობ მნიშვნელოვანია საბანკო სისტემის მიერ ფულის შექმნის უნარის გასაგებად.

2. კონტროლი. რით აიხსნება წვერი-ბანკებისადმი მოთხოვნა რეზერვები შეინახონ თავიანთი ოლქის ფედერალურ სარეზერვო ბანკში? შეიძლება შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ რეზერვების ძირითადი დანიშნულება ლიკვიდობის გადიდებასა, და ამრიგად, კომერციული ბანკების მენაბრეთა დაკარგვის თავიდან აცილებაში მდგომარეობს; სხვა სიტყვებით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ რეზერვები ყოველთვის წარმოადგენენ ფონდების შვა წყაროს, რომლის დახმარებითაც ბანკებს შეუძლიათ აინაზღაურონ მენაბრეთა მიერ ნაღდი ფულის დიდი და მოულოდნელი ამოღება. მაგრამ მსჯელობათა ასეთი მსვლელობა მალე უსაფუძვლო აღმოჩნდება. თუმცა თავის დროზე რეზერვები ლიკვიდობის წყაროდ, და მაშასადამე, მენაბრეთა დაცვის კანონით დაწესებულ საშუალებად ითვლებოდა, ანუ სავალდებულო რეზერვები არ შეიძლება გამოყენებული იქნას ნაღდი ფულის მოულოდნელი ამოღების ასანაზღაურებლად. თუ კი ბანკირის საშინელი სიზმარი ახდება, ე.ი. თუ ერთ მშვენიერ დილას აღმოჩნდება, რომ უკუადო ანაბრების ყველა მფლობელი ბანკში ერთდროულად მოითხოვს ნაღდ ფულს-ბანკირი ვერ შეძლებდა ესარგებლა სავალდებულო რეზერვებით საბანკო პანიკის შესაწყვეტად, კანონით დაწესებული სარეზერვო ნორმის დაურღვევლად და ამით თავის თავზე ფედერალური სარეზერვო სისტემის რისხვასა და სასჯელსაც ვერ აიცდენდა. პრაქტიკაში, კანონით დაწესებული რეზერვები ლიკვიდობის ფონდს არ წარმოადგენს, რომელზეც ბანკირს შეუძლია დაყრდნობა კრიტიკულ სიტუაციაში<sup>1</sup>. მართლაც, თუკი კანონით დაწე-

1. აუცილებელია შემდეგი შენიშვნა. კომერციული ბანკებიდან მენაბრეთა მიერ ნაღდი ფულის ამოღებით, მისი ვალდებულებები უკუადო ანაბრების სახით მცირდება. ეს ამცირებს სავალდებულო რეზერვებს აბსოლუტურად, რაც ბანკმა უნდა შეინახოს, ამით შესაძლებლობას მისცემს რა ფაქტობრივი საბანკო რეზერვების ნაწილი გამოიყენონ მენაბრეთა ამოღებული ნაღდი ფულის ასანაზღაურებლად. მოვიტანოთ მაგალითი: დაუშვათ, კომერციული ბანკის რეზერვები 20 დოლარია, ხოლო უკუადო ანაბრების მიხედვით, ვალდებულებანი — 100 დოლ. 20% სარე - (სქოლიოს გაგრძელება იხ. მომდევნო გვერდზე)

სებულო რეზერვები ხელმისაწვდომი იქნებოდა კომერციული ბანკებისათვის, ისინი მანც არ იქნებოდა საკმარისი ბანკში მოთხოვნათა სერიოზული მოზღვაგების შემთხვევაში. რატომ? იმიტომ, რომ, როგორც უკვე ითქვა, რეზერვები ნაწილობრივია, ე.ი. უვადო ანაბრებმა შეიძლება 10 ან 20-ჯერ გადააჭარბოს ბანკის სავალდებულო რეზერვებს.

გასაკვირი როდია, რომ კომერციული ბანკების შენაბრებმა სხვა სახისრებით იკავენ თავს. როგორც მე-15 თავში აღინიშნა, პერიოდული საბანკო შემოწმებები კომერციული ბანკების მოქმედებაში სიფრთხილის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ხოლო საბანკო კანონმდებლობა ზღუდავს ბანკების მიერ ზოგადერთი ხაზის ქონების შექმნას. მაგალითად, ბანკებს, როგორც წესი, ცერძალებათ სეკულუბრივი აქციების შექმნა. გარდა ამისა დეპოზიტების ვალდებულებათა დაზღვევისათვის არსებობს გამსესხებელ-შემნახველ ასოციაციებში ანგარიშების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია (FDIC), რომელიც ანალოგიურად იკავს გამსესხებელ-შემნახველი ასოციაციების შენაბრებებს, ვისი ანაბრებიც 100 ათას დოლ. აღწევს<sup>1</sup>.

თუ რეზერვების მიზანს არ წარმოადგენს კომერციული ბანკებისათვის ლიკვიდობის შეთავაზება, მაშინ რაში მდგომარეობს მისი ფუნქცია? უწინარეს ყოვლისა, კონკროლში. კანონით დაწესებული რეზერვების დახმარებით მმართველთა საბჭოს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობაზე. შემდგომ თავში დაწვრილებით იქნება ახსნილი, თუ რანაირად შეუძლია მმართველთა საბჭოს განსაზღვრული პოლიტიკის გატარება, რომელიც ან გაზრდის ან შეამცირებს კომერციული ბანკის რეზერვებს და ამით ზეგავლენას მოახდენს ბანკების მიერ კრედიტის შეთავაზების უნარზე.

---

<sup>1</sup> სერუო ღონისძიებებში, ბანკის ცველა რეზერვი სავალდებულოა. იგი შენაბრებები. მაგალითად ამოიღებთ თავანათი ანაბრებიდან 50 დოლ. (აღედ უფლის, ბანკის დასტურება მხოლოდ 10 დოლარი სავალდებულო რეზერვი, უვადო 50 დოლარი ანაბრის ვალდებულებათა დარჩენილი ასანის უსრუცელასყოფად. ამრიგად, 110 დოლარი, ბანკის ფაქტობრივი რეზერვების 20 დოლარიდან უკვე არ წარმოადგენს სავალდებულოს. ბანკს შეუძლია გააიჯინოს ეს 10 დოლარი, რათა ხელი შეუწყოს შენაბრება ამოღებული ფულის ანაწილურებას. და, ცხადია, ბანკი გაკორტრებულიად ცრობის თავს, მისი რეზერვები დაიხარჯება შენაბრება ვალდებულებების მსხვედით ფულის გასაცემად და სხვა პირებზე რეზერვითაც მოთხოვნა წამოაყენეს.

1. როგორთი ეკონომისტური მამოხმალველი თვალს, რომ ანაბრების დაზღვევას თანამდევი ეფექტის სახით შეიძლება აქონდეს ბანკრთა წახალისება რისკიანი გადაწყვეტილება მიიღოს სესხების მიწოდებისა და ქონების შექმნის თვალსაზრისით. მოკლებულ სფეროში ერთ-ერთი შემთავაზებული რეზერვა ისაში მდგომარეობს, რომ ყოველი ბანკის სადადევეო პრეზის სიდიდე უშუალოდ დაზოკადებულუბაში იქნეს დაყენებული მისი ქონების რისკთან. ამრიგად, წარმოიშობა უსარგებლო რისკისაგან უარის თქმის მნიშვნელოვანი ფინანსური სტრუქტურა.

ამის მიზანი საბანკო კრედიტის სიჭარბისა და თუ უკმარისობის თავიდან აცილებაა. იმ ზომით, თუ რამდენად ზემოქმედებს ეს პოლიტიკა კომერციული ბანკის კრედიტის მოცულობაზე, მმართველთა საბჭოს შეუძლია ეკონომიკას დაეხმაროს თავიდან აცილოს საქმიანი აქტიურობის მერყეობები, რომლებიც იწვევს ბანკებში მოთხოვნათა მოხლეკეობას, ფულადი ხისტიების გაკორტირებას და კრახს. სწორედ ისეთი არაპირდაპირი გზით, როგორცაა კომერციული ბანკის კრედიტის კონტროლის, და მაშასადამე, ეკონომიკის სრული საკუთარ შუალეობა-ეს რეზერვები იცვენ მკანაბრებს და არ წარმოადგენენ დიკვილობის წყაროს. როგორც ჩვენ მალე დავხანახავთ, რეზერვების მეორე ფუნქცია ინკასაციის, ანუ ჩეკების „აღრიცხვის“ შემოუბრუნებაში მდგომარეობს.

**3. აქტივი და პასივი.** მოდიო შევხერდეთ, რათა ყურადღება მივაქციოთ საკმაოდ აშკარა ბუნდღერულ კითხვას, რომელიც აყენებს მე-4 გარიგებას. სახელდობრ, მე-4 გარიგების მსვლელობისას რეზერვები აქტივებს წარმოადგენს კომერციული ბანკისათვის, რომელიც აბანდებს მათ, მაგრამ პასივს წარმოადგენს მათი მოძღები ფედერალური სარეზერვო ბანკისათვის. უთხეს ბანკისათვის რეზერვი-აქტივი? რატომ? იმიტომ რომ იგი წარმოადგენს მოთხოვნას, რომელსაც კომერციული ბანკი წარადგენს სხვა დაწესებულების-ფედერალური სარეზერვო ბანკის-ქონებაზე. ფედერალური სარეზერვო ბანკისათვის ეს რეზერვი -პასივია, ე.ი. მოთხოვნა, რომელსაც მეორე დაწესებულება-უთხეს ბანკი წარუდგენს მას. მგავსად იმისა, როგორც მიმდინარე ანგარიში, რომელსაც თქვენ კომერციულ ბანკში ფულის დაბანდებით ღებულობთ, თქვენს აქტივს და კომერციული ბანკის პასივს წარმოადგენს; ანაბარი ანუ რეზერვი რომელსაც კომერციული ბანკი ქმნის ბანკითა ბანკში ფულის მოთავსებით, კომერციული ბანკის აქტივია და ფედერალური სარეზერვო ბანკის პასივი. ამ ურთიერთდამოკიდებულების ცოდნა აუცილებელია მე-5 გარიგებისას.

**გარიგება 5:** ჩეკი გამოწერილია ბანკზე. მოდიო ახლა მივმართოთ მნიშვნელოვან და რამდენადმე უფრო რთულ გარიგებას. დავუშვათ, რომ კლემ ბრედში, უთხველი ფერმიერი, რომელმაც მიმდინარე ანგარიშზე მნიშვნელოვანი თანხა-100 ათასი დოლარი მოათავსა, რაც უთხეს ბანკში მე-3 გარიგებისას მიიღო, სოფლისმეურნეობრივი მოწყობილობის კომპანია “აი-ქსისაგან“ ბიკერ-კროსინგში

კანზას-სიტის ფედერალური სარეზერვო ბანკი

აქტივები		ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	
		უოხუს ბანკის რეზერვები - 50000 დოლ (ბ)	
(ბ) განაღდებული ჩეკი უბრუნდება უოხუს ბანკს		ბივერ-კროსინგის ბანკი ავზაენის ჩეკს ასანაზრად უბრუნებლად	
უოხუს ბანკი		ბივერ-კროსინგის ბანკი	
აქტივები	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	აქტივები	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი
რეზერვები - 50000 დოლ (ბ)	უვადო ანაბრები - 50000 დოლ (ბ)	რეზერვები + 50000 დოლ (ბ)	უვადო ანაბრები + 50000 დოლ (ა)

(ა) ბრედშო აიაქსის კომპანიას ჩეკით უნაზღაურებს

ნახ. 16-1 ჩეკების აღრიცხვა ფედერალური სარეზერვო ბანკის მეშვეობით

ბანკი, რომელსაც ჩეკია გამოწერილი უარაღს ანაზღაურებს როგორც რეზერვებით, ისე ანაბრებით; ბანკი, რომელშიც ჩეკია დაბანდებული, იძენს რეზერვებს და ანაბრებს.

(ნებრასკას შტატი) შეიძენს 50 ათასი დოლ. სასიოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

1. სინამდვილეში ასეთი ჩეკის აღრიცხვის პროცესი კანზას-სიტის ფედერალური სარეზერვო ბანკის ომახის განყოფილების ხელში იმყოფება.

ბრედშო ბუნებრივად გადაიხდის ამ ტექნიკისათვის კომპანია "აი-აქსზე" უოხუს ბანკში საკუთარი ანგარიშიდან 50 ათას დოლ. ჩეკის გამოწერით. ჩვენეუ გეინდა განვსაზღვროთ (1) თუ როგორ ხდება ამ ჩეკის ინკასაცია, ანუ აღრიცხვა და (2) რა ზეგავლენას ახდენს ჩეკის აღრიცხვა გარიგებაში მონაწილე ბანკების საბალანსო ანგარიშებზე. ამისათვის ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ უოხუს ბივერ-კროსინგის (კომპანია "აი-აქსისბანკი") და კანზას-სიტის ფედერალურ სარეზერვო ბანკს<sup>1</sup>. მაგალითი რაც შეიძლება უფრო გასაგები რომ გავხადოთ, ჩვენ საქმე გვექნება მხოლოდ იმ ცვლილებებთან, რაც ამ კონკრეტულ ანგარიშებში წარმოებს და მოცემულ გარიგებას ეხება.

მოდით, განვიხილოთ ეს გარიგება, როგორც სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ნაბიჯი, რაც შეესაბამება ა, ბ და გ ასოებს 16-1 ნახაზზე.

ა) ბაჭონი ბრედშო კომპანია "აი-აქს" გადასცემს ჩეკს 50 ათას დოლარზე, რომელიც გამოწერილია უოხუს ბანკში. თავის მხრივ კომპანია "აი-აქსი" ჩეკს მოათავსებს თავის ანგარიშზე ბივერ-კროსინგის ბანკში. ჩეკის დეპონირებით, ბივერ-კროსინგის ბანკი გაზრდის კომპანია "აი-აქსის" მიმდინარე ანგარიშს 50 ათ. დოლარით. კომპანია "აი-აქსმა" უკვე მიიღო ჯილდო. ბრედშო კმაყოფილია ტექნიკით, რისთვისაც მან გადაიხადა.

### უოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში 5:

აქტივები (ათასი დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი(ათასი დოლ.)
რეზერვები * 60 საკუთრება 240	უვადო ანაბრები *50 აქციები 250

ბ) ეხლა ბივერ-კროსინგის ბანკს თავის განკარგულებაში გააჩნია ბრედშოს ჩეკი. ეს ჩეკი სხვა არაფერია, თუ არა უფლება უოხუს ბანკის აქტივებზე. რანაირად მოახდენს ბივერ-კროსინგის ბანკი ამ უფლების რეალიზებას? ამ ჩეკის-სხვა ბანკებზე გამოწერილ ჩეკებთან ერთად კანზას-სიტის ფედერალურ სარეზერვო ბანკში გაგზავნით. აქ ბრივერ-კროსინგის ბანკის მოსამსახურე აღრიცხავს ამ ჩეკს ანუ მის ინკასირებას მოახდენს რეზერვის გადიდების გზით ფედერალურ სარეზერვო ბანკში 50 ათასი დოლარით, და ამავე თანხით

უოხუს ბანკის რეზერვის შემკირებთი, ჩუკი აღორცილება მხოლოდ ბუღალტრული აღნიშვნით, რაც ნიშნავს, რომ უოხუს ბანკის პრეკენზიები ფედერალური სარეზვო ბანკისადმი 50 ათასი დოლ. შემკირდა, ხოლო ბივერ-კროსინგის ბანკის პრეკენზიები შესაბამისად გაიხარდა. თვალყური მიადევნეთ ამ ცვლილებებს 16-1<sup>1</sup> ნახა'სზე გამოსახულ საბალანსო ანგარიშებში.

გ) დაბოლოს, აღორციული ჩუკი უკან უბრუნდება უოხუს ბანკს, და უოხუს ბანკი პირველად გაიგებს, რომ მისმა ერთ-ერთმა მენაბრემ გამოიწერა ჩუკი 50 ათასი დოლარის ოდენობით თავისი მიმდინარე ანგარიშიდან. შესაბამისად, უოხუს ბანკი შეამკირებს ბა'კონ ბრედ-შოს მიმდინარე ანგარიშს 50 ათას დოლ. და ცნობად მიადებს, რომ ამ ჩუკის აღორცივამ გამოიწვია ფედერალურ სარეზვო ბანკში მისი რეზერვების შემკირება 50 ათასი დოლ. მიადკითე ყურადღება, რომ სამი ბანკის საბალანსო ანგარიშები უწინდებურად წონასწორობაში იქნება. უოხუს ბანკმა შეამკირა 50 ათ.დოლ. როგორც თავისი აქციეები, ისე ვალდებულებებიც. ბივერ-კროსინგის ბანკს მიემატა 50 ათასი დოლ. რეზერვებშიც და მიმდინარე ანგარიშებშიც. ფედერალურ სარეზვო ბანკში შეიცვლება რეზერვების მესაკუთრე, მაგრამ რეზერვების საერთო ჯამი იგივე დარჩება.

ჩუკნი დასკვნა ასეთია: ყოველთვის, როდესაც ჩუკი გამოიწერება ერთ ბანკში და ბანდება მეორეში, ამ ჩუკის აღორცივა გამოიწვევს როგორც რეზერვების ისე მიმდინარე (სანეკო) ანგარიშების დაკარგვას ბანკის მიერ, რომელსედაც იწერება ჩუკი. და პირიქით, თუ ბანკი ღებულობს სხვა ბანკში გამოწერილ ჩუკს, მაშინ ჩუკის მიმღები ბანკი მისი აღორციხვის პროცესში გახრდის თავის რეზერვებს და ანგარიშებს ჩუკზე აღნიშნული თანხით. ჩუკს მაგალითში, უოხუს ბანკმა 50 ათასი დოლ. დაუთმო ბივერ-კროსინგის ბანკს, როგორც რეზერვებში, ისე მიმდინარე ანგარიშებში. მაგრამ დანაკარგი მთლიანად საბანკო

---

1. აქ არის ხაქის კიდე ერთი საინტერესო მხარე: ბრედშოს ჩუკის აღორციხვა ბრივერ - კროსინგის ბანკის მიერ ფედერალური სარეზვო ბანკის დახმარებით, მოიცავს ოსვე პროცედურის, რასაც ორი ინდივიდუალის ჩუკების აღორციხვა, რომელთაც აბარებთ ერთ კომერციულ ბანკში გააჩნიათ. დაუქვიათ, თქვენი საჩუკი ანგარიშები გაქვთ უოხუს ბანკში, მე მაქვს თქვენი ვალდი 10 დოლარი და ვიხდი ამ ვალს ჩუკით. აქ ბანკში მოსაქსაქვრე თქვენთვის აღორციხვის ჩუკს თქვენს ანგარიშში "10 დოლარს", და "10 დოლარის" ჩუკს ანგარიშში ჩაწეროთ. ეს არის და ეს იგივე ხდება კანასის სიტის ფედერალურ სარეზვო ბანკში, როდესაც ბივერ-კროსინგის ბანკი აღორციხავს უოხუს ბანკის 50 ათას დოლარის ჩუკს ბანკროთა ბანკი ბივერ-კროსინგის ბანკის ანაბარს ადიდებს ფედერალურ სარეზვო ბანკში ე.ი. მის რეზერვებს - 50 ათას დოლარით და ამავე თანხით ამცირებს უოხუს ბანკის რეზერვებს. ასეთ შემთხვევაში ჩუკი აღორციხულია.

სიძველესობის არ არის არც რეზერვებში და არც ანგარიშებში. ის, რასაც ერთი ბანკი კარგავს, სხვა იძენს.

თუ დაგუბრუნდებით აქციებისა და ვალდებულებების ქველა სხვა სახეს, მაშინ მე-5 გარიგების ბოლოს უოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში შექმნევა სხეს მიიღებს: (იხ. ანგარიში 5).

თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ 20%-იანი სარეზერვო მოთხოვნის პირობებში ბანკის ჭარბი რეზერვები ახლა 50 ათას დოლ. შეადგენს. გარიგება მე-5 შექცევადია. თუ სხვა ბანკში გამოწერილი იქნა ბანდლება უოხუს ბანკში, უოხუს ბანკი მიიღებს რეზერვებს და ანგარიშებს იქვე აღნიშნული თანხით, როგორც კი იგი აღრიცხული იქნება.

## დასკვნები

მიოთა, მოკლედ გადმოვიკეთ პირველი ხუთი გარიგების ანალიზის ძირითადი დასკვნები:

1. როდესაც ბანკი ანაბრებს ნაღდი ფულით დებულებას, ფულის მიწოდების შედეგად იცვლება, მაგრამ ფულის საერთო მიწოდება უშუალოდ არ იცვლება.

2. კომერციული ბანკები და სხვა დეპოზიტური დაწესებულებები ნაღდი ფულის ან დეპოზიტების სახით თავისი ოლქის ფედერალურ სარეზერვო ბანკში უნდა ინახავდნენ ანაბრებს, კანონით დაწესებულ რეზერვებს, ანუ უბრალოდ რეზერვებს, რაც ანაბრების მსხედვით თავისთავად ვალდებულებათა განსაზღვრული ნაწილის ტოლია. სარეზერვო ნორმა განსაზღვრავს ამ განსაზღვრული ნაწილის სიდიდეს. რეზერვები, უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელი ფულად-საკრედიტო დაწესებულების მიერ კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობის შესაძლებლობათა კონტროლის საშუალებაა.

3. რაოდენობას, რომლითაც ბანკის ნამდვილი რეზერვები აჭარბებენ მოთხოვნილ რეზერვებს, “ჭარბ რეზერვებს” უწოდებენ“.

4. კომერციული ბანკის რეზერვები აქტივია კომერციული ბანკისათვის, მაგრამ იგი პასივს წარმოადგენს იმ ფედერალური სარეზერვო ბანკისათვის, რომელსაც იგი უჭირავს.

5. ბანკარომელზეც იქნა გამოწერილი, მისი აღრიცხვის შემდეგ თმობს როგორც რეზერვებს, ისე მიმდინარე ანგარიშებს, რომელიც ამ ბანკის ჩვეის ღირებულების ტოლია, რომელიც ამ ჩვეს დებულობს.

# კომერციული ბანკის ფულის შემქმნელი ბარიბებები

შემდეგი სამი გარიგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი ხსნის, (1) თუ ცალკეულ კომერციულ ბანკს პირდაპირი გაგებით როგორ შეუძლია ფულის გაკეთება სესხის შეთავაზებით, (2) თუ როგორ ისპობა ფული სესხის დაფარვის შემდეგ და (3) თუ როგორ ქმნის ბანკი ფულს მოსახლეობისაგან სახელმწიფო ობლიგაციების შექმნით.

**გარიგება 6: სესხის გაცემა.** როგორც თქვენ გახსოვთ, ანაბრების მიღებასთან ერთად კომერციული ბანკების ძირითადი ფუნქციაა სესხის გაცემა მოსესხეებისათვის. როგორია კომერციული ბანკის მიერ სესხის გაცემის ზეგავლენა მის საბალანსო ანგარიშზე?

დაეუშვათ, უოხუს ხორცის შემფუთავი კომპანია “გრიზლიმ” გადაწყვიტა, რომ დროა გაზარდოს წარმოებრივი სიმძლავრეები. დაეუშვათ ასევე, რომ ამ პროექტის დასაფინანსებლად კომპანიას სჭირდება ზუსტად 50 ათასი დოლ., რაც შემთხვევით აღმოჩნდა სწორედ უოხუს ბანკის ჭარბი რეზერვების ტოლი.

კომპანია მიმართავს უოხუს ბანკს და თხოვს ამ თანხის სესხს. უოხუს ბანკმა იცის კომპანია „გრიზლის“ ბრწყინვალე რეპუტაციისა და ფინანსური საიმედოობის შესახებ და დარწმუნებულია სესხის დაფარვის მის უნარში. ამგვარად, სესხი უკვე გაცემულია. კომპანია “გრიზლის” პრეზიდენტი უოხუს ბანკს გადასცემს უმაღლესი კლასის ვალის ვალდებულებას. კომპანია “გრიზლი” თავისი ვალდებულებების დაფარვის მოხერხებულობას და უსაფრთხოებას ჩეკის დახმარებით ამჯობინებს. ამიტომ ბანკში ნაცვლად ფულით სავსე კალათას აღებისა, კომპანია “გრიზლი” თავის მიმდინარე ანგარიშს 50 ათასი დოლარით ადიდებს უოხუს ბანკში. უოხუს ბანკისათვის ეს ნიშნავს სარგებლის მომტანი აქტივის (ვალის ვალდებულების) მიღებას და მიმდინარე ანგარიშის (ვალდებულების) გახსნას ამ აქტივის “ასანაზღაურებლად”. მოკლედ რომ ვთქვათ, კომპანია „გრიზლიმ“ გაცვალა ვალის ვალდებულება, უოხუს ბანკში თავისი მიმდინარე ანგარიშიდან 50 ათასი დოლ. თანხის დამატებითი ჩეკების მიღების უფლებაზე. ორივე მხარე კმაყოფილია ერთმანეთით. უოხუს ბანკი ახლა ახალ აქტივებს ფლობს, რასაც სარგებელი მოაქვს ვალის ვალდებულებით, რომელიც რეგისტრირდება საერთო სათაურით სესხი“.



უოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში ნა: (როდესაც სესხი გაცემულია)

აქტივები (ათასი დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი(ათასი დოლ.)
რეზერვები 60 სესხები * 50 საკუთრება 240	უვადო ანაზრები *100 აქტივები 250

კომპანია "გრიზლი" კვლავ უბრუნებს მიმდინარე ანგარიშის გამდიდრებო და შეუძლია გააფართოოს თავისი საქმიანობა.

უოხუს ბანკის მდგომარეობა სესხის გაცემის მომენტში ხასიათდება ნა საბალანსო ანგარიშით.

კვლევაფერი ეს საკმაოდ მარტივად გამოიყურება. მაგრამ უოხუს ბანკის საბალანსო უწყისის უფრო საფუძვლიანი განხილვით ამოინდება გასაოცარი ფაქტი: როდესაც ბანკი სთავაზობს სესხს, იგი ქმნის ფულს. კომპანია "გრიზლის" პრეზიდენტი მიდის ბანკში რაღაცათ, რაც ფულს არ წარმოადგენს - მისი ვალის ვალდებულებებით და ბრუნდება რაღაცათ, რაც ფულს წარმოადგენს — მიმდინარე ანგარიშით. შედარეო ეს სიტუაცია მე-3 გარიგებას, რომელშიც მიმდინარე ანგარიში იხსნება, მაგრამ მხოლოდ მიმოქცევიდან ნაღდი ფულის ამოღების გზით. მაშასადამე, აქ მოხდა ფულის მიწოდების შედგენილობის შეცვლა. მაგრამ არ მოხდარა ფულის საერთო მიწოდების შეცვლა. როდესაც ბანკები გასჯემენ სესხებს, ისინი ქმნიან მიმდინარე (სარეკო) ანგარიშებს, რომლებიც ფულს წარმოადგენს. კრედიტის გაფართოებით უოხუს ბანკი ვალის ვალდებულებას ფულის ფორმას აძლევს კომპანია "გრიზლიმ" და უოხუს ბანკმა შექმნის მოთხოვნები და შემდეგ გაცვალეს ისინი. მოთხოვნა, რომელიც შექმნა კომპანია "გრიზლიმ" და გადასცა ბანკს-ფული როდია, რამდენადაც ინდივიდუუმის ვალის ვალდებულება არ წარმოადგენს მიმოქცევის საზოგადოოდ მიღებულ საშუალებას. მაგრამ მოთხოვნა, რომელიც შექმნა ბანკმა და გადასცა კომპანია "გრიზლის"-ფულია, ჩვეო, რომელიც გამოწერილია მიმდინარე ანგარიშიდან და მიმოქცევის საშუალებათა სახით მიიღება. სწორედ კომერციული ბანკების კრედიტის გაფართოების მეშვეობით იქმნება ფულის დიდი ნაწილი, რაც ამერიკის ეკონომიკაში გამოიყენება. როგორც წინა თავში აღვნიშნეო, ეს საკრედიტო ფულები შეიძლება განხილული იქნას კომერციული ბანკების და შემნახველ

დაწესებულებათა „ვალდების“ სახით. ჩეკები „ვალს“ წარმოადგენს, იმ გაგებით, რომ ისინი ვალდებულებებია, რომელთა გადასახადსაც ბანკები და შემნახველი დაწესებულებები კისრულობენ „მოთხოვნის მიხედვით“.

მაგრამ არსებობს პირობები, რომლებიც ზღუდავენ კომერციული ბანკის შესაძლებლობას, გახსნას მიმდინარე ანგარიშები-ე.ი. შექმნას „საბანკო ფული“-სესხის გაცემის გზით. მოცემულ შემთხვევაში უოხუს ბანკი შეიძლება მოელოდეს, რომ ხელახლა შექმნილი უვადო 50 ათასი დოლ. ანაბარი ძალზე აქტიური დეპოზიტური ანაბარი იქნება. კომპანია „გრიზლი“ არ ისესხებდა 50 ათას დოლარს სარგებლის არსებული, ვთქვათ 9,12 ან 15%-იანი განაკვეთის პირობებში, უბრალოდ იმ სიამოვნებისათვის, რომ სკოდნოდა აუცილებლობის შემთხვევაში იგი ისარგებლებდა ამ ფონდებით. დაეუშვათ, რომ კომპანია „გრიზლი“, კონტრაქტს დებს ქ. ომახის სამშენებლო კომპანია „კუიკბაკი“ 50 ათასი დოლ. ოდენობით. თავისი სახელწოდების ერთგული „კუიკბაკი“ („კუიკ-ბაკი“-სიტყვა სიტყვით „სწრაფი ირემი“ ანუ „სწრაფი დოლარი“- მთარგმნელის შენიშვნა), სიმძლავრეთა გაფართოების შეკვეთას ასრულებს და ჯილდოს სახით იღებს ჩეკს 50 ათასი დოლ. ოდენობით, რაც გამოწერილია კომპანია „გრიზლის“ მიერ თავისი მიმდინარე ანგარიშიდან უოხუს ბანკში. კომპანია „კუიკბაკი“, რომლის შტაბ-ბინა ქ. ომახაშია, ამ ჩეკს არ წარადგენს უოხუს ბანკში, არამედ მას მოათავსებს ომახის მეოთხე ეროვნულ ბანკში. ახლა მეოთხე ეროვნულ ბანკს გააჩნია 50 თასი დოლარის მოთხოვნა უოხუს ბანკისადმი. ეს ჩეკი აღორცილება მე-5 გარიგებაში აღწერილი წესით. ამის შედეგად, უოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში ნბ: (მას შემდეგ რაც სესხზე გამთნერილი ჩეკი წარდგანილია გადასახდელად)

აქტივები (ათასი დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი(ათასი დოლ.)
რეზერვები * 10 სესხები 50 საკუთრება 240	უვადო ანაბრები * 50 აქციები 250

ხუს ბანკი კარგავს, როგორც რეზერვებს, ისე ანაბრებსაც, ჩეკის თანხით; მეოთხე ეროვნული ბანკი იძენს 50 ათას დოლარის რეზერვებს და ანაბრებს. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ მოსესხე გამოსწერს ჩეკს სესხის მთელ თანხაზე (50 ათასი დოლარი) და გადასცემს მას სხვა

ბანკში მის წარმდგენ ფორმას, უოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში, მას შემდეგ რაც მისი ჩვეი წარმოდგენილი იქნება გადასახდელად, შემდეგ სახეს მიიღებს:

თქვენ მაშინათვე შეამჩნევთ, რომ გადასახდელად ჩვეის წარდგენის შემდეგ უოხუს ბანკის სარეზერვო ნორმა ძლივსძლივობით აღწევს მოთხოვნილ 20%. ბანკს არ გააჩნია ჭარბი რეზერვები. ამასთან დაკავშირებით დგება საინტერესო კითხვა: შეეძლო თუ არა უოხუს ბანკს ესესხა თანხა, რომელიც გადააჭარბებდა 50 ათას დოლარს (ჭარბი რეზერვები) და ისევ შეესრულებია არსებული 20%-იანი სარეზერვო მოთხოვნა იმ შემთხვევაში, როცა გადასახდელად წარმოდგენილია ჩვეი სესხის მთელ თანხაზე? პასუხი: “არა”. მაგალითად, დაუშვათ, რომ უოხუს ბანკმა კომპანია “გრიზლის” ასესხა 55 ათ.დოლარი. უოხუს ბანკისადმი გადასახდელად ჩვეის წარდგენა მის რეზერვებს შეამცირებდა 5 ათას დოლარამდე (60 ათ. დოლ. — 55 ათ.დოლარი), ხოლო უვადო ანაბრები ისევ 50 ათ.დოლარს შეადგენენ (=105000—55000). ნამდვილი რეზერვების შეფარდება ანაბრებთან იქნებოდა 5 ათ.დოლ./50 ათ.დოლ., ანუ სულ 10%. უოხუს ბანკი ვერ შეძლებდა 55 ათ.დოლარის სესხებას.

სხვა ციფრების განხილვით, რომლებიც 50 ათ.დოლარს აჭარბებს, მკითხველი გაიგებს, რომ მაქსიმალური თანხა, რომლის გასესხებაც უოხუს ბანკს მე-6 გარიგების დასაწყისში შეეძლო, 50 ათასი დოლარის ტოლია, ეს ციფრი შესაბამება ჭარბ რეზერვებს, რომლებიც ბანკს გააჩნია ნაღდი ფულის სახით სესხის გაცემის მომენტში. ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ცალკეულ კომერციულ ბანკს მრავალბანკიან სისტემაში შეუძლია გაასესხოს მხოლოდ ის თანხა, რომელიც სესხის გაცემის მომენტამდე არსებული თავდაპირველი ჭარბი რეზერვების ტოლია. რატომ? იმიტომ, რომ, როდესაც იგი სესხს გასცემს, იმის აღბათობასაც აწყდება, რომ შეიძლება გამოწერილი და გადასახდელად მისთვის წარდგენილ იქნა ჩვეი სესხის მთელ თანხაზე. გამსესხებელმა ბანკებმა შეიძლება წინასწარ განჭვრიტოს რეზერვების დაკარგვა სხვა ბანკების სასარგებლოდ, მისი სესხის ტოლი თანხით<sup>1</sup>.

გარიგება 7. სესხის დაბრუნება. თუ კომერციული ბანკები სესხის შეთავაზებით ქმნიან მიმდინარე ანგარიშებს, ე.ი. ფულს, ლო-

---

1. დათქმა: თუ ზოგიერთი ჩვეი, რომელიც სესხზე გამოიწერა, უკანვე დაბანდდა მის გამცემ ბანკში, მაშინ ამ ბანკს შეუძლია ვალში გასცეს თანხა, რომელიც რამდენადმე მეტია თავდაპირველ ჭარბ რეზერვებზე.

უოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში 7: (სესხის დაბრუნების შემდეგ)

აქტივები (ათასი დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი(ათასი დოლ.)
რეზერვები 10 სესხები * 0 საკუთრება 240	უვადო ანაბრები * 0 აქციები 250

გვყურია ვიკითხოთ, ნადგურდება თუ არა ფული სესხის გადახდისას. პასუხი: „დიახ“. მოდით მე- 6 და მე- 7 საბალანსო ანგარიშების დანხარებით განვიხილოთ, რა მოხდება მაშინ, როდესაც კომპანია „გრიზლი“ დააბრუნებს ნასესხებ 50 ათას დოლარს.

სიმარტივისათვის ჩვენ (1) დაფუშვით, რომ სესხი გადაიხდება არა განვადებით, არამედ ერთდროულად, მიღებიდან ორი წლის შემდეგ, და (2) აბსტრაქტირება მოვახდინოთ სესხზე სარგებლის გადასახდელისაგან. კომპანია „გრიზლი“ გამოწერს ჩეკს 50 ათას დოლარზე თავისი მიმდინარე ანგარიშიდან, რაც სესხის მიღებამდე შეადგენდა, დაფუშვით, 50 ათას დოლარს. ამის შედეგად უოხუს ბანკის ვალდებულებები დეპოზიტებზე შემცირდება 50 ათასი დოლარით, კომპანია „გრიზლი“ უარს ამბობს თავის 50 ათას დოლარიან პრეჩენსივებზე ბანკის აქტივებზე. ბანკი თავის მხრივ უარს ამბობს კომპანია „გრიზლის“ ვალის ვალდებულებაზე, რომელიც გულდასმით ინახებოდა მიყვლი ეს თვეები. ბანკმა და კომპანიამ ისევე გაცვალებს მოთხოვნები. მაგრამ მოთხოვნა, რომელზეც უარი თქვა კომპანია „გრიზლი“, ფულს წარმოადგენს, ხოლო მოთხოვნა, რომელიც მან გამოისყიდა-საკუთარი ვალის ვალდებულება-არ წარმოადგენს. ამიტომ ფულის მიწოდება შემცირდა 50 ათასი დოლარით. მიმდინარე ანგარიშთა ეს თანხა განადგურებული იქნა, რასაც თან ახლდა ფულის მიწოდების გადიდება რომელიღაც სხვა ადგილზე. კომპანია „გრიზლის“ ფულადმა ვალდებულებამ დაკარგა ფულადი ფორმა. ეს ფაქტი ასახულია მე-7 საბალანსო ანგარიშში, სადაც ჩვენ აღვნიშნეთ, რომ როგორც მიმდინარე ანგარიშები, ისე უოხუს ბანკის სესხები ნულს დაუბრუნდნენ. თქვენ შეამჩნევდით, რომ მიმდინარე ანგარიშების შემცირება გაზრდის ჭარბ რეზერვებს, რაც ბანკს უჭირავს; ეს ახალი სესხების შეთავაზების საფუძველს იძლევა.

კომპანია „გრიზლის“ მიერ სესხის ნაღდი ფულით ერთობ საეჭვო გადახდის შემოხვევაშიც კი ფულის მიწოდება შემცირდება 50 ათასი დოლარით. ასეთ შემთხვევაში კომპანია „გრიზლი“ გამოიხდებოდა თავისი ვალის ვალდებულებას ბანკისათვის 50 ათასი დოლარი ნაღდი ფულის გადაცემით. ეს გამოიწვევს სესხების შემცირებას ბანკის საბალანსო ანგარიშში 50 ათასი დოლარით და ნაღდი ფულის გადიდებას 50 ათასი დოლარით. გახსოვდეთ, რომ ჩვენ სპეციალურად გამოვირჩიეთ ბანკების ხელთ არსებული ნაღდი ფული, ვინაიდან ამ ნაღდი ფულის შეტანა ორმაგი ანგარიში იქნებოდა; ცხადია, რომ ეს შეადგენს ფულის მიწოდების 50 ათასიან შემცირებას.

**გარიგება 8. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შექენა.**

როდესაც კომერციული ბანკი სახელმწიფო ობლიგაციებს მოსახლეობისაგან იძენს, ეფექტი, არსებითად იგივეა, რაც დაკრედიტების პრობებში. იქმნება ახალი ფული. ილუსტრაციისათვის დავეშვათ, რომ

**უოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში 8:**

აქტივები (ათასი დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი (ათასი დოლ.)
რეზერვები 60 სესხები * 50 საკუთრება 240	უვადო ანაბრები * 100 აქციები 250

უოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში თავდაპირველად ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც მე-5 გარიგების ბოლოს ახლა დავეშვათ, რომ ნაცვლად 50 ათასი დოლარი სესხის შეთავაზებისა, ბანკი დილერებისაგან იძენს 50 ათასი დოლარის ფასიანი ქაღალდებს. ბანკი ვალდებულია სარგებლის მომტან ობლიგაციებს, რაც მის საბალანსო ანგარიშში გამოიხდება აქტივის-“ფასიანი ქაღალდები“-სახით და ადიდებას დილერის უვადო ანაბრების ანგარიშს. უოხუს ბანკის საბალანსო ანგარიში შემდეგნაირად გამოიყურება:

მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშები ანუ ფულის მიწოდება გაიზარდა 50 ათასი დოლარით, ისევე როგორც მე-6 გარიგებაში. კომერციული ბანკების მიერ მოსახლეობისაგან ობლიგაციების შექენა ადიდებას ფულის მიწოდებას იგივენაირად, როგორც სესხის გაკება მოსახლეობისათვის. ბანკი იღებს სახელმწიფო ობლიგაცი-

ებს, რაც ფულს არ წარმოადგენს და ზრდის დილერის მიმდინარე ანგარიშებს, რომლებიც ფულს წარმოადგენს.

ცხადია, როდესაც დილერი ფასიანი ქაღალდების ოპერაციების მიხედვით გამოწერს 50 ათასი დოლარის ჩეკს და ასანაზღაურებლად წარუდგენს უოხუს ბანკს, ბანკი კარგავს, როგორც რეზერვებს, ისე ანაბრებს, რომელიც ამ თანხის ტოლია და ამიტომ უნდა შეასრულოს კანონით დაწესებული სარეზერვო მოთხოვნები. მისი საბალანსო ანგარიში ეხლა ზუსტად ისეთივე იქნება, როგორც 6 ბ, მიხლოდ იმ განსხვავებით, რომ აქტივების ნაწილში “სესხი” შეიცვლება “ფასიანი ქაღალდებით”.

დაბოლოს, როგორც თქვენ, უდაოდ, მიხვდით, კომერციული ბანკის მიერ მოსახლეობაზე ობლიგაციების მიყიდვა-სესხის გადახდის მსგავსად შემამცირებს ფულის მიწოდებას ფასიანი ქაღალდების მიყიდველი იხდის ჩეკით, და როგორც “ფასიანი ქაღალდები”, ისე “მიმდინარე ანგარიშებიც” (უკანასკნელი ფულს წარმოადგენს) მცირდება გაყიდვის თანხით.

## მომგება და ლიკვიდობა

კომერციული ბანკის საბალანსო ანგარიშის სხვადასხვა პუნქტების შეფარდებითი მნიშვნელობა იმის შედეგია, რომ ბანკირი ისახავს ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიზანს. ერთი მიზანია მოგება. კომერციული ბანკები, ისევე როგორც სხვა საწარმოები, მოგებისაკენ ისწრაფვიან. ამიტომ ისინი ცდილობენ კრედიტის მიწოდებას და ნაკლები ფასიანი ქაღალდების შექმნას. ეს ორი პუნქტი ძირითადი აქტივებია, რომელთაც შემოსავალი მოაქვთ კომერციული ბანკებისათვის. მეორე მხრივ, კომერციული ბანკი უნდა ცდილობდეს უსაფრთხოებას. ბანკებისათვის უსაფრთხოება გარანტირებულია ლიკვიდობით, კერძოდ ისეთი სალიკვიდო აქტივებით, როგორიცაა ნაღდი ფული და ჭარბი რეზერვები. ბანკებმა თვალყური უნდა ადევნონ რათა შეანაბრებმა თავიანთი მიმდინარე ანგარიშები ნაღდი ფულში არ გადაიყვანონ. ანალოგიურად არსებობს შესაძლებლობა, რომ გადასახდელად ბანკზე წარდგენილი ჩეკები მეტი იქნება, ვიდრე თვით მათ მიერ გადასახდელად წარდგენილი, რის შედეგადაც მოხდება რეზერვების გადენა. ამიტომ ბანკირები ცდილობენ ბალანსის დამყარებას სიფრთხილესა და მოგებას შორის.

მიღწეული კომპრომისი განსაზღვრავს შემოსავლის მომტანი აქტივების შეფარდებით სიდიდეს, რაც მაღალლიკვიდურ აქტივებს უპირისპირდება.

## საბანკო სისტემა:

### მრავალდეკოზიტური გაფართოება (მრავალჯერადი ანაბრების მიშვეობით გაფართოება)

ამრიგად, ჩვენ ავხსენით, რომ საბანკო სისტემაში ცალკეულ ბანკს, სესხის გაცემა შეუძლია დოლარი-დოლარზე მოცულობით, ჭარბ რეზერვებთან შეფარდებით. მაგრამ როგორია ერთად აღებული კომერციული ბანკების დაკრედიტების უნარი? დასკვნების გათვალისწინებით ჩვენ შევნიშნავთ, რომ კომერციულმა საბანკო სისტემამ შეიძლება სესხი გასცეს, ე.ი. შექმნას ფული, თავისი ჭარბი რეზერვების გაფართოებით. ეს მრავალრიცხოვანი დაკრედიტება ხორციელდება მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სისტემის ყოველ ცალკეულ ბანკს სესხის შეთავაზება შეუძლია მხოლოდ დოლარი-დოლარზე მოცულობით, მის ჭარბ რეზერვებთან შეფარდებით. პირველრიგოვანი ამოცანაა ავხსნათ საიდან მოდის ეს თითქოსდა პარადოქსული დასკვნა.

ამისათვის აუცილებელია მაქსიმალურად გავამარტივოთ ჩვენი გამოკვლევა. ჩვენ გამოვალთ სამი გამარტივებული წანამძღვრიდან. ჯერ ერთი, დავეუშვათ, რომ ყველა კომერციული ბანკის სარეზერვო ნორმაა 20% , მეორე: დასაწყისში დავეუშვათ, რომ ყველა ბანკი ზუსტად ასრულებს ამ 20%-იან მოთხოვნას. ჭარბი რეზერვები არ არსებობს; ყველა ბანკმა სესხად გასცა რაც კი გააჩნდა. მესამე, ჩვენ იქიდან გამოვალთ, რომ თუ ბანკი, ჭარბი რეზერვების შექმნით შეძლებს თავისი სესხების გადიდებას, ამ ჭარბი რეზერვების ტოლი თანხა მიეცემა ერთ მოსესხეს, რომელიც ჩვეს გამოწერს მთელ თანხაზე და მას კიდევ ვინმე სხვას გადასცემს, რომელიც ჩვეს სხვა ბანკში მოათავსებს. ეს მესამე წანამძღვარი ნიშნავს, რომ ჩვენ ვუშვებთ ყველაზე უარესს, რაც შეიძლება შეემთხვეს სესხის გამ-

კემ ყოველ ბანკს-ჩვეუ სესხის მთელ თანხაზე გამოიწერება და წარედგინება მას სხვა ბანკისათვის გადასახდელად.

## საბანკო სისტემის სასესხო კოტენციალი

თავდაპირველად დაუშვათ, რომ სანაგვეს მფლობელმა, ავტომანქანის დაშლისას, რომელიც წლობით ეგდო სანაგვეზე, იპოვა 100-დოლარიანი კუპიურა. იგი ამ 100 დოლარს აბანდებს ა ბანკში, რომელიც კომერციული ა ბანკის საბალანსო ანგარიში

აქტივები (დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი(დოლ.)
რეზერვები +100 (ა1) -80 (ა3)	უვადო ანაბრები + 100 (ა1) + 80 (ა2)
სესხები + 80 (ა2)	- 80 (ა3)

ამ თანხას უმატებს თავის რეზერვებს. რამდენადაც ჩვენ სხვადასხვა კომერციული ბანკების საბალანსო ანგარიშებში მხოლოდ ცვლილებებს ვწერთ, ა ბანკის საბალანსო ანგარიში ახლა ხასიათდება ჩანაწერებით, რომელიც აღნიშნულია (ა1)-ის მეშვეობით.

როგორც მე-3 გარიგებიდან გამომდინარეობს, ნაღდი ფულის ეს 100 დოლარიანი ანაბარი არ ცვლის მიწოდებას; მიმდინარე ანგარიშზე 100 დოლარის გამოჩენით, მიმოქცევიდან ამოიღება სხვა 100 დოლარი ნაღდი ფული. ამის შედეგად ა ბანკი მიიღებს 80 დოლ. ჭარბ რეზერვს. ახლადშექმნილი 100 დოლარიდან რეზერვი 20% ანუ 20 დოლარი უნდა გადაიხადოს ახალი 100 -დოლარიანი ანგარიშის გასაწონასწორებლად, ხოლო 80 დოლარი შეადგენს ჭარბ რეზერვს. იმის დამახსოვრებით, რომ ცალკეულ კომერციულ ბანკს, ისეთს როგორცაა ა ბანკი, სესხის გაცემა შეუძლია მხოლოდ ჭარბი რეზერვების თანხით, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მაქსიმალური სესხი, რომელიც შესაძლოა ა ბანკმა გასცეს — 80 დოლარია. როცა სესხი ამ თანხით გაცემულია, ა ბანკის სესხი გაიზრდება 80 დოლარით, ხოლო მოსესხე მიიღებს 80 დოლარს მიმდინარე ანგარიშის სახით.



დავუმატოთ ეს ციფრები - რომლებიც აღნიშნულია ა2-ის მეშვეობით ა ბანკის საბალანსო ანგარიშს.

მაგრამ ახლა ჩვენ უნდა მივმართოთ მესამე წანამძღვარს: მოსესხე გამოწერს ჩეკს 80 დოლარზე —სესხის მთელ თანხაზე — და გადასცემს მას ვინმეს, ვინც მოათავსებს მას სხვა ბანკში, მაგ. ბ ბანკში. როგორც მე-6 გარიგებამ გვიჩვენა, ა ბანკი კარგავს, როგორც რეზერვებს, ისე ანგარიშებს, რომლებიც ა3 სესხის ქოლია. ყველა ამ გარიგებათა საბოლოო შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ა ბანკის რეზერვები ეხლა 20 დოლარია ( = 100-80 დოლ.), სესხი = 80 დოლარს, ხოლო მიმდინარე ანგარიშები = 100 დოლარს ( = 100 + 80 დოლ.—80 დოლ.). ჩაინიშნეთ, რომ საბოლოოდ ა ბანკს გააჩნია კომერციული ბ ბანკის საბალანსო ანგარიში

აქტივები (დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი(დოლ.)
რეზერვები +80 (ბ1) —64 (ბ3 ) სესხები + 64 (ბ2)	უვალ ანაბრები + 80 (ბ1) + 64 (ბ2) - 64 (ბ3)

სწორედ 20%-იანი სარეზერვო ნორმა.

როგორც თქვენ მე-5 გარიგებიდან გახსოვთ, ბ ბანკი იძენს როგორც რეზერვებს, ისე ანგარიშებს, რაც დაკარგა ა ბანკმა. ბ ბანკის საბალანსო ანგარიში შემდეგნაირად გამოიყურება (ბ1):

როცა ჩეკი გამოწერილია და წარდგენილია გადასახდელად, ბანკი ა კარგავს 80 დოლარს რეზერვებსა და ანგარიშებში, ხოლო ბ ბანკი მიიღებს 80 დოლარს რეზერვებსა და ანგარიშებში. მაგრამ 20% ანუ 16 დოლარი ბ ბანკის მიერ ხელახლა შექმნილი რეზერვებიდან უნდა შენარჩუნებულ იქნას სავალდებულო რეზერვების სახით, რაც უზრუნველყოფს ახალ 80 დოლარიან მიმდინარე ანგარიშებს. ეს ნიშნავს, რომ ბ ბანკს გააჩნია 64 დოლარი ( = 80 დოლ.—16 დოლ.) ჭარბი რეზერვები. მაშასადამე , მას შეუძლია გასცეს სესხი 64 დოლარი (ბ2). როდესაც მოსესხე გამოიწერს ჩეკს მთელ თანხაზე და მოათავსებს მას ბ ბანკში, ბ ბანკის რეზერვები და ანგარიშები შემცირდება 64 დოლარით (ბ3). ამ გარიგებათა შედეგად ბ ბანკის რეზერვები ახლა შეადგენენ 16 დოლარს (=80—64 დოლ.) სესხები —64 დოლარს

და მიმდინარე ანგარიშები = 80 დოლარს. (80 დოლ. + 64 დოლ. — 64 დოლ.). მიაკციეთ ყურადღება, რომ ყოველივე იმის შედეგად რაც მოხ-  
კომერციული ბ ბანკის საბალანსო ანგარიში

აქტივები (დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი(დოლ.)
რეზერვები +64,00 (გ1) —51,20 (გ3)	უვადო ანაბრები + 64,00 (გ1) + 51,20 (გ2)
სესხები + 51,20 (გ2)	- 51,20 (გ3)

და, ბ ბანკი ზუსტად ასრულებს 20%-იან სარეზერვო მოთხოვნას. ვაგ-  
რძელებთ ჩვენს ანალიზს. ბანკი გ იღებს 64 დოლარს, იმ რეზერვებსა  
და ანგარიშებს, რაც დაკარგა ბ ბანკმა. მისი საბალანსო ანგარიში  
შემდეგ სახეს მიიღებს:

საჭირო გახდება ამ ახალი რეზერვების ზუსტად 20% ანუ 12,8  
დოლარის გადადება. დარჩენილი 51,20 დოლარი კი ჭარბი რეზერ-  
ვები იქნება. მაშასადამე, ბ ბანკს შეუძლია უშიშრად გასცეს  
სესხი მაქსიმუმ 51,2 დოლარის ოდენობით. დაფუშვით, იგი ასეც მო-  
იქცა. და დაფუშვით, რომ მოსესხებ გამოწერა ჩეკი მთელ თანხაზე და

კომერციული ლ ბანკის საბალანსო ანგარიში

აქტივები (დოლ.)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი(დოლ.)
რეზერვები +51,20 (დ1) —40,96 (დ3)	უვადო ანაბრები + 51,20 (დ1) + 40,96 (დ2)
სესხები + 40,96 (დ2)	- 40,96 (დ3)

გადასცა სხვას, რომელმაც იგი სხვა ბანკში დააბანდა (ბ3).

ლ ბანკი, რომელმაც 51,2 დოლარი მიიღო რეზერვებსა და  
ანგარიშებში — ეხლა ამ ცვლილებებს აღნიშნავს თავის საბა-  
ლანსო ანგარიშში (დ1):

ახლა მას შეუძლია გასცეს სესხი 40,96 დოლ. (დ2). მოსესხე გამო-  
წერს ჩეკს მთელ თანხაზე და ათავსებს მას სხვა ბანკში (დ3).


**ცხრილი 16-2 ფულის მიწოდების გაფართოება კომერციული ბანკების სისტემის მიერ**

ბანკი	(1) მოიღებული რესურსები ანგარიშები (დოლ.)	(2) სავალდებულო რესურსები (დოლ.)	(3) ჭარბი რესურსები, ანუ (1)-(2) (დოლ.)	ფულის რაოდენობა რომლის გასესხება ბანკს შეუძლია, ახლადშექმნილი ფული=(3) (დოლ.)
ბანკი ა	100,00 (ა1)	20,00	80,00	80,00 (ა2)
ბანკი ბ	80,00 (ა3 ბ1)	16,00	64,00	64,00 (ბ2)
ბანკი გ	64,00(ბ3 გ1)	12,80	51,20	51,20 (გ2)
ბანკი დ	51,20(გ3 დ1)	10,24	40,96	40,96 (დ2)
ბანკი ე	40,96	8,19	32,77	32,77
ბანკი ვ	32,77	6,55	26,22	26,22
ბანკი ზ	26,22	5,24	20,98	20,98
ბანკი თ	20,98	4,20	16,78	16,78
ბანკი ი	16,78	3,36	13,42	13,42
ბანკი კ	13,42	2,68	10,74	10,74
ბანკი ლ	10,74	2,15	8,59	8,59
ბანკი მ	8,59	1,72	6,87	6,87
ბანკი ნ	6,87	1,37	5,50	5,50
ბანკი ო	5,50	1,10	4,40	4,40
სხვა ბანკები	21,97	4,40	17,57	17,57
შექმნილი ფულის საერთო რაოდენობა				400,00

საერთოდ, განსაკუთრებული კირკიტა რომ გვედომოდა ამ პროცედურას გავაგრძელებდით ამ პროცესში ე, ვ, ზ, თ ... ბანკების ჩართვით, მაგრამ წვენ მხოლოდ გაანგარიშებებს გთავაზობთ ე, ვ და ზ ბანკებისათვის, რათა დარწმუნდეთ, პროცედურის მტკიცედ ათვისებაში.

ამ ანალიზის არსი რეზიუმირებულია 16-2 ცხრილში. ე-დან თ-მდე ბანკების მონაცემები მოტანილია ისეთნაირად, რომ თქვენ შესაძლებლო-

ბა გეძლევათ შეამოწმოთ საკუთარი გაანგარიშებები. ჩვენი დასკვნა რამდენადმე გასაოცარია: 80 დოლარი ჭარბი რეზერვების საფუძველზე (რომელიც საბანკო სისტემის მიერ არის მიღებული, როდესაც ვიღაცამ 100 დოლარი ნაღდი ფული დააბანდა ა ბანკში) კომერციული ბანკების სისტემას მთლიანად შეუძლია სესხად გასცეს 400 დოლარი. მაშასადამე, ბანკების სისტემას შეუძლია გასცეს ხუთმაგი სესხი 20%-იანი სარეზერვო ნორმის პირობებში! მაგრამ, იქონიეთ მხედველობაში, რომ საბანკო სისტემის ყოველი ცალკეული ბანკი სესხს გასცემს მხოლოდ საკუთარი ჭარბი რეზერვების ზომით. როგორ ავსხნათ თითქოსდა ეს წინააღმდეგობრივი დასკვნა? რატომ შეუძლია საბანკო სისტემას მის ჭარბ რეზერვებზე რამდენჯერმე მეტი სესხის გაცემა, მაშინ როცა ყოველ ინდივიდუალურ ბანკს



### ნახ. 16-2 ფულის გადიდების პროცესის შედეგები

(საჩუკო ანგარიშზე 100 დოლარი ნაღდი ფულის მოთაქსება ქმნის თავდაპირველ 100- დოლარიან მიმდინარე ანგარიშს. მაგრამ თუ სარეზერვო ნორმა 20%-ის ტოლია, კანონი მოითხოვს მხოლოდ 20 დოლარიან რეზერვებს 100 დოლარიანი მიმდინარე ანგარიშის შესანარჩუნებლად. 80 დოლ. ჭარბი რეზერვო საბანკო სისტემას საშუალებას აძლევს სესხის გაცემის დახმარებით შექმნას 400 დოლარი მიმდინარე ანგარიშზე. ამრიგად, 100 დოლ. რეზერვი ინარჩუნებს 500 დოლარის თანხის ფულს (100 დოლ. + 400 დოლ.).

შეუძლია გაასესხოს თანხა მხოლოდ მისი ჭარბი რეზერვების-დოლარი დოლარზე შეფარდებით?

პასუხი ისაა, რომ რეზერვები, რასაც ცალკეული ბანკი კარგავს, არ არის დაკარგული საბანკო სისტემისათვის მთლიანად. ა ბანკის მიერ დაკარგული რეზერვები ბ ბანკის მიერ შეიძინება. ის, რასაც დაკარგავს ბ, მიიღებს გ. გ-მ დაუთმო დ-ს, დ-მ დაუთმო ე-ს, ე-მ ე-ს და ა.შ. მაშასადამე, თუცა რეზერვები შეიძლება დაიკარგოს და მართლაც იკარგება საბანკო სისტემის ინდივიდუალური ბანკების მიერ, მაგრამ მთლიანად საბანკო სისტემას არ შეიძლება ჰქონდეს დანაკარგი. ამრიგად, ჩვენ საინტერესო დასკვნამდე მივედით იმის შესახებ, რომ ინდივიდუალურ ბანკს შეუძლია გაასესხოს მხოლოდ მისი ჭარბი რეზერვების ტოლი თანხა, მაგრამ კომერციულ ბანკთა სისტემის სესხი შეიძლება რამდენჯერმე აღემატებოდეს მის ჭარბ რეზერვებს.

ჩვენს წინაშეა კერძოს თვისების მთელზე გადატანის (თავი 1) მცდელობის შესანიშნავი მაგალითი. კომერციული ბანკების შესაძლებლობები, როგორც ფულის დაკრედიტებით შემქმნელი ჯგუფისა, მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ინდივიდუალური ბანკების ანალოგიური შესაძლებლობებისაგან სისტემაში.

## ფულადი მულტიპლიკატორი

მიმდინარე ანგარიშების მულტიპლიკატორი ანუ ფულადი მულტიპლიკატორი შემოსავლის მულტიპლიკატორის მსგავსია, რომელიც მე-13 თავში განვიხილეთ. შემოსავლის მულტიპლიკატორის საფუძველია ის ფაქტი, რომ ერთი საოჯახო მეურნეობის ხარჯები სხვათა შემოსავლის სახით მიიღება; ანგარიშების მულტიპლიკატორი იმას ემყარება, რომ ერთი ბანკის მიერ დაკარგული რეზერვები სხვების მიერ მიიღებიან. და მსგავსად იმისა, როგორც შემოსავლის მულტიპლიკატორი განსაზღვრავს ღმ-ს, ანუ დანაზოგებში გადადენის შებრუნებული სიდიდე, რომელიც ყოველ დასახარჯ ციკლში სწარმოებს, ანგარიშების  $m$  მულტიპლიკატორი არის  $R$  სავალდებულო სარეზერვო ნორმის ანუ სავალდებულო რეზერვებში ამოღებული თანხის შებრუნებული სიდიდე, რომელიც დაკრედიტების პროცესის ყოველ საფეხურზე სწარმოებს. მოკლედ:

$$\text{ფულადი მულტიპლიკატორი} = \frac{1}{\text{საჭირო სარეზერვო ნორმა}}$$

ანუ,

$$\text{სიმბოლურად: } m = \frac{1}{R}$$

ამ ფორმულაში  $m$  ნიშნავს ახალი საკრედიტო ფულის მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც შეიძლება შეიქმნას ჭარბი რეზერვების ერთი დოლარით  $R$ -ის მოცემული სიდიდის პირობებში. მიმდინარე ანგარიშზე ახალი ფულის მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრისათვის, რომელიც შეიძლება შეიქმნას საბანკო სისტემის მიერ ჭარბი რეზერვების ნებისმიერი მოცემული რაოდენობის საფუძველზე, ჩვენ ჭარბ რეზერვებს უბრალოდ ვამრავლებთ ფულად მულტიპლიკატორზე.

ე.ი.

$$\begin{array}{l} \text{ფულის მაქსიმალური} \\ \text{გადიდება მიმდინარე} \\ \text{ანგარიშზე} \end{array} = \begin{array}{l} \text{ჭარბი} \\ \text{რეზერვები} \end{array} \times \begin{array}{l} \text{ფულად} \\ \text{მულტიპლიკატორზე} \end{array}$$

ანუ უფრო მარტივად:

$$D = E \times m$$

ამრიგად, ჩვენს მაგალითში 16-2 ცხრილიდან: 400 დოლ. = 80 დოლ. X 5.

მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მიუხედავად საერთო მიზეზის მსგავსებისა, რაც საფუძველად უდევს შემოსავლისა და ანგარიშების მულტიპლიკატორებს, პირველს საქმე აქვს შემოსავლის ცვლილებებთან, მეორეს კი ფულის მიწოდების ცვლილებებთან.

**რეზიუმე-დიაგრამა.** ნახ. 16-2 საბოლოოდ აჯამებს ფულის მიწოდების გაფართოების ჩვენეულ მაგალითს ანაბრების მულტიპლიკატორის მეშვეობით. ჩვენ ვხედავთ, რომ ბანკში თავდაპირველი შენატანი 100 დოლ. ნაღდი ფულის სახით (ქვედა ბლოკი) ასეთივე სიდიდის თავდაპირველ მიმდინარე ანგარიშს (ზედა მარცხენა ბლოკი) ქმნის. მაგრამ, ჩვენი 20%-ანი სარეზერვო ნორმის პირობებში, ამ 100 დოლარის „დასაყრდენად“ ნიმდინარე ანგარიშზე საჭიროა რეზერვების მხოლოდ 20 დოლარი ნაღდი ფულის სახით. ჭარბი 80 -დოლარიანი რეზერვები სინამდვილის შესაფერისი მიწოდების პირობებში, რო-

ცა ფულადი მულტიპლიკატორი 5-ის ტოლია, წყვეტეს 400 დოლარის შექმნას მიმდინარე ანგარიშზე, მიწოდების მეშვეობით. ამრიგად, 100 დოლარი ახალი რეზერვები ინარჩუნებენ საერთო მიწოდებას 500 დოლარის დონეზე, 100 დოლარი თავდაპირველი მიმდინარე ანგარიში პლუს 400 დოლარი მიმდინარე ანგარიშებზე, რომელიც დაკრედიტებით შეიქმნა.

მკითხველმა შეიძლება ივარჯიშოს საბანკო სისტემის მიერ კრედიტების მრავალჯერადი გაფართოების შესახებ თავისი მოსაზრების შესამოწმებლად ქვემოთ მოტანილი თავსატეხის დახმარებით.

1. ხელახლა ჩაატარეთ 16-2 ცხრილის ანალიზი (გაიარეთ, თუნდაც სამი ან ოთხი მისი საფეხური); იმ წანამძღვრებიდან გამომდინარე, რომ სარეზერვო ნორმა 10-ის ტოლია. როგორია ფულის მაქსიმალური როდენობა, რომელიც საბანკო სისტემას შეეძლო შეექმნა, მიიღებდა რა 100 დოლარს ახალი რეზერვებისა და ანგარიშების სახით? (არა, პასუხი 800 დოლარი არაა!).

2. ახსენით, როგორ შეიძლება ვაიძულოთ საბანკო სისტემა, რომელმაც მოილიანად ამოწურა სასესხო პოტენციალი და წააწყდა 20%-იან სარეზერვო ნორმას, 400 დოლარით, შეამციროს გაცემული სესხები მიმდინარე ანგარიშიდან 100 დოლარი ნაღდი ფულის მოხსნით, რაც ბანკს რეზერვებს 100 დოლარით შეამცირებინებს.

## ზოგიერთი მოღიჯიკაცია

კრედიტის გაფართოების ჩვენეული გამოკვლევა რამდენადმე განმუხტულ აქმოსფეროში ტარდებოდა. არსებობს განსაზღვრული დამატებითი ფაქტორები, რომლებსაც შეეძლოთ სახე ეცვალოთ ჩვენეული ანალიზის რაოდენობრივი განსაზღვრულობისათვის.

**სხვა ამოღებები.** სავალდებულო ამოღების პარალელურად დაკრედიტების ყოველ საფეხურზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფულის ორი სხვა სახის ამოღებასაც, რომლებიც თავიანთი არსებობით ამცირებენ საბანკო სისტემის მიერ ფულის შექმნის უნარს.

1. **ნაღდი ფულის გადენა.** მოსესხებ შეიძლება მოიხზოვოს, რომ მისი სესხის ნაწილი გადახდილი იქნეს ნაღდი ფულით. ან ჩეკის მიღებმა, რომელიც მოსესხის მიერაა გამოწერილი შეიძლება იგი ბანკში წარადგინოს ნაღდი ფულის მთლიანი ან ნაწილობრივი გადახდისათვის, ნაცვლად მოსესხის ანგარიშისათვის მიმატებისა. მაგალი-

თად, თუ ჩვენს მაგალითში ადამიანი, რომელმაც ისესხა 80 დოლარი ა ბანკში, ითხოვს 16 დოლარს ნაღდი ფულის სახით, ხოლო დარჩენილ 64 დოლარს მიმდინარე ანგარიშის სახით, ბანკი ბ მიიღებს მხოლოდ 64 დოლ. ახალ რეზერვს (რომელთაგან 51,20 დოლ. ჭარბი იქნება). ჭარბი რეზერვების ასეთი დაცემა შესაბამისად შეამცირებს საბანკო სისტემის საკრედიტო პოტენციალს. მართლაც, თუ პირველი მოსესხე 80 დოლარ ნაღდ ფულს აიღებდა და ეს ფული მიმოქცევაში დარჩებოდა, მრავალჯერადი გადიდების პროცესი მაშინათვე შეჩერდებოდა. მაგრამ მიმდინარე ანგარიშების მოხერხებულობა და უსაფრთხოება ამას საეჭვოს გახდის.

2. ჭარბი რეზერვები. დაკრედიტების მეშვეობით კომერციული ბანკების სისტემის მიერ ფულის მიწოდების გადიდების შესაძლებლობის ჩვენეული ანალიზი იმ ვარაუდს ემყარებოდა, რომ კომერციული ბანკები მხად არიან ზუსტად შეასრულონ კანონით გათვალისწინებული სარეზერვო მოთხოვნები. რაც უფრო მეტ ჭარბ რეზერვებს შეინარჩუნებენ ბანკირები, მით ნაკლები იქნება საბანკო სისტემის მიერ კრედიტის გაფართოების ჯამობრივი პოტენციალი. მაგალითად, დავეუშვათ, რომ ა ბანკი, მიიღო რა თავდაპირველი 100 დოლ. ახალი ნაღდი ფული, გადაწყვეტს თავის რეზერვებს დაუმატოს 25 დოლარი, და არა კანონმდებლობით დაწესებული მინიმუმი 20 დოლარი. მაშინ იგი სესხად გასცემს 75 დოლარს, ნაცვლად 80-ისა, და შესაბამისად, შემცირდება ფულადი მულტიპლიკატორი<sup>1</sup>. მართლაც, ჭარბი რეზერვების ის რაოდენობა, რომელიც ბანკებს ეჭირათ უკანასკნელ წლებში, პრაქტიკულად მინიმალური იყო. ამის ახსნა ძალზე მარტივია: ჭარბ რეზერვებს ბანკისათვის არ მოაქვს სარგებელი, ხოლო სესხებსა და ინვესტიციებს მოაქვს შემოსავალი. მაშასადამე, ჩვენი დაშვება, რომ ბანკი მიაწოდებს კრედიტს მისი ჭარბი რეზერვების სიდიდით, დასაბუთებულია, და საერთოდ, საკმაოდ ზუსტია.

---

1. კონკრეტულად ჩვენს მულტიპლიკატორში  $m = \frac{1}{R}$  ჩვენ ეხლა R-ს, სავალდებულო სარეზერვო ნორმას ეუმატებთ დამატებით ჭარბ რეზერვებს, რომლის შენარჩუნებას ამჯობინებს ბანკირი: მაგალითად, თუ ბანკირს სურს პქონდეს დამატებითი ჭარბი რეზერვები, რომელიც ყოველი ხელახალი შექნილი უეადო ანაბრის 5%-ის ტოლია, მაშინ მნიშვნელო 25% იქნება. (20% სარეზერვო ნორმას პლუს 5%-იანი დანამატი სარეზერვო ნორმაზე. ფულადი მულტიპლიკატორი შემცირდება 5-დან 1/25-მდე, ანუ 4%-მდე.



## ფულზე კონტროლის აუცილებლობა

საბანკო სისტემის მიერ ფულის შექმნის უნარის ჩვენეული ილუსტრაცია ემყარება იმ ვარაუდს, რომლის თანახმადაც კომერციული ბანკები მზად არიან გამოიყენონ ფულის შექმნის საკუთარი შესაძლებლობები დაკრედიტების დახმარებით, ხოლო საოჯახო მეურნეობები და საწარმოები მზად არიან ისეხონ. სინამდვილეში, ბანკების მზადყოფნა ჭარბი რეზერვების საფუძველზე სესხების გასაცემად, ციკლურად იცვლება, და სწორედ ამამია ფულის მიწოდებისადმი სახელმწიფოებრივი კონტროლის აუცილებლობა, ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

აყვავების პერიოდში შეიძლება ველოდოთ, რომ ბანკები გააფართოვებენ კრედიტს, თავიანთი შესაძლებლობათა მაქსიმუმამდე. რატომაც არა? სესხები სარგებლის მომტანი აქტივებია და ნორმალურ პირობებში დიდი როდია იმის საშიშროება, რომ მოსესხებები ვერ დაიბრუნებენ სესხს. მაგრამ, როგორც ჩვენ შემდგომში დავინახავთ, ფულის მიწოდება არსებით ზეგავლენას ახდენს ერთობლივ მიწოდებაზე. დაკრედიტებით და ამით მაქსიმალურად შესაძლო ფულის შექმნით, კომერციულ ბანკებს აყვავების პერიოდში შეუძლიათ ხელი შეუწყონ მეტსიმეტ ერათობლივ მოთხოვნას და ინფლაციის შენელებას.

პირიქით, როდესაც ეკონომიკურ პორიზონტზე დეპრესიის ღრუბლები გამოჩნდება, ბანკირებს სწრაფად გააქვთ უკან თავიანთი მოთხოვნა სესხზე, კდლობენ რა უსაფრთხო ლიკვიდობას (ჭარბ რეზერვებს), ამისათვის თუნდაც სარგებლის პოტენციური შემოსავლის შეწირვით. ბანკირები შეიძლება შიშობდნენ მოპანიკე მოსახლეობის მიერ ანაბრების მსხვილმასშტაბიან ამოღებას და ეჭვობდნენ მოსესხეთა მიერ სესხის დაფარვის შესაძლებლობებზე. გასაკვირი როდია, რომ 30-ანი წლების "დიდი დეპრესიის" წლებში ბანკებს მნიშვნელოვანი ჭარბი რეზერვები გააჩნდათ, მაგრამ დაკრედიტება ღრმა დაცემის მდგომარეობაში იმყოფებოდა. საზოგადოდ ცნობილია, რომ დაცვეითების დროს ბანკებს შეუძლიათ შეამცირონ ფულის მიწოდება, დაკრედიტების შემცირებით. ფულის მიწოდებისადმი ასეთ საპირისპირო მოქმედებას ერთობლივი მოთხოვნის შემცირებისა და დაცვეითების გაძლიერების ტენდენცია გააჩნია. ფულის მიწოდების მნიშვნელოვანმა შემცირებამ ხელი შეუწყო 30-ანი წლების „დიდი დეპრესიის“ განვითარებას.

ჩვენი საბოლოო დასკვნა ისაა, რომ მოგებას გამოდეკნე-  
ბული ბანკორებისაგან შეიძლება ცუდოდით ფულის მიწოდების  
ისეთ ცუდილებებს, რომლებიც გააძლიერებს ციკლურ მერყეობებს.  
სწორედ ამ მიზეზით ფედერალურ სარეზერვო სისტემას თავის გან-  
კარგულებაში უნდა აქონდეს განსაზღვრული პოლიტიკური საშუ-  
ალებები, რაც გამოიხრული იქნება ფულის მიწოდების სამართავად ანტი-  
ციკლური და არა პროციკლური სუბსიკვეიებით. ახლა სწორედ  
ახეთი პოლიტიკური ინსტრუმენტების ანალიზზე გადავალოთ.

## რეზიუმე

1. კომერციული ბანკის საქმიანობა შეიძლება გავიგოთ  
საბალანსო ანგარიშის დახმარებით, რომელშიც აქტივები  
უტოლდება ვალდებულებებს პლუს საკუთარი კაპიტალი.

2. თანამედროვე საბანკო სისტემა დამყარებულია კერძო რე-  
ზერვებზე.

3. კომერციულმა ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ სავალდებუ-  
ლო რეზერვები ფედერალურ სარეზერვო ბანკში ანაბრების ან  
საკასო ნაღდი ფულის სახით. ეს რეზერვი უვადო ანაბრების  
მიხედვით კომერციული ბანკების ვალდებულებათა განსაზ-  
ღვრული პროცენტის ტოლია. ჭარბი რეზერვები ტოლია ფაქ-  
ტობრივი რეზერვებს მინუს სავალდებულო რეზერვები.

4. ბანკები კარგავენ როგორც რეზერვებს, ისე მიმდინარე  
ანგარიშებს მათზე ჩეკების გამოწერისას.

5. კომერციული ბანკები ქმნიან ფულს-ე.ი. მიმდინარე ანგა-  
რიშებს ანუ საბანკო ფულს-როცა ისინი სესხს გასცემენ. საჩე-  
კო ანაბრების შექმნა საბანკო დაკრედიტების დახმარებით  
ამერიკის ეკონომიკაში ფულის ყველაზე მნიშვნელოვანი წყა-  
როა.

6. ცალკეული კომერციული ბანკის მიერ დაკრედიტების მეშ-  
ვეობით ფულის შექმნის უნარი, დამოკიდებულია მისი ჭარ-  
ბი რეზერვების სიდიდესთან. საერთოდ რომ ვთქვათ, კომერცი-  
ულ ბანკს შეუძლია სესხი გასცეს მხოლოდ იმ თანხით, რაც  
ისინი ჭარბი რეზერვების ტოლია. ამრიგად, იგი შეზღუდუ-  
ლია, რამდენადაც მოსესხის მიერ გამოწერილი ჩეკები მოთავ-  
სებული იქნება სხვა ბანკში, რაც გამოიწვევს დამკრედიტებე-

ლი ბანკის რეზერვებისა და ანგარიშების დაკარგვას მის მიერ გაცემული სესხის სიდიდით.

7. კომერციული ბანკების სისტემას მთლიანად, შეუძლია მის ჭარბ რეზერვებზე რამდენჯერმე მეტი სიდიდის სესხის გაცემა რამდენადაც საბანკო სისტემას არ შეუძლია დაკარგოს რეზერვი, თუმცა ინდივიდუალურ ბანკებს შეუძლიათ რეზერვები სისტემის სხვა ბანკებს დაუთმონ. რიცხვი, რომელიც საბანკო სისტემის სესხს ადიდებს, სარეზერვო ნორმის უკუპროპორციულია. დაკრედიტების მრავალჯერადი გაფართოების პროცესი შექცევადია.

8. ის ფაქტი, რომ მოგებას გამოდევნებულ ბანკებს ფულის მიწოდების პროციკლური ხულისკვეთებით შეცვლის ტენდენცია გაანნიათ, განაპირობებს ფულის მიწოდებისადმი კონტროლის აუცილებლობას ფედერალური სარეზერვო სისტემის მხრივ.

## ტერმინები და ცნებები

საბალანსო ანგარიში

ნაწილობრივი რეზერვის სისტემა საბანკო საქმეში

საკასო ნაღდი ფული

კანონით დაწესებული რეზერვები

სარეზერვო ნორმა

ფაქტობრივი, სავალდებულო და ჭარბი რეზერვები

ფულადი მულტიპლიკატორი

ამოღება

## კითხვები და სასწავლო

### დავალებები

1. საბალანსო ანგარიში კოეფიციენტის რატომ იხსოვება წონასწორობაში? როგორია კომერციული ბანკის საბალანსო ანგარიშის ძირითადი აქტუები და მთიხეიქენა?

2. რატომ არიან კავლებულა კონტრციული ბანკები სქინდუს რეზერვები? ახსენია რატონა რეზერვები აქტუსი კონტრციული ბანკისათვის, სკერას კავლებულება ფედერალური სარეზერვო ბანკისათვის. რა არის ჭარბი რეზერვები? როგორ გაფართოროსო ბანკის ჭარბი რეზერვების სიდიდე? როგორია მათი მნიშვნელობა?

3. "როდის თავსდება ნაღდი ფული ბანკში, ამოიღება იგი მიმოქცევიდან და ამის შედეგად

აქტივები (ათასი დოლ.)	(1)	(2)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი (ათასი დოლ.)	(1)	(2)
რეზერვები 22			უცადო ანაბრება 100		
ფასიანი ქვადლები 38					
სესხები 40	-	-			

ფულის მიწოდება მცირდება". ეთანხმებით თუ არა თქვენ? ახსენით?

4. "როდესაც კომერციული ბანკი გასცემს სესხს, იგი ქაჩის ფულს; როდესაც სესხი ბრუნდება, ფული ისაზბა". ახსენით.

5. ახსენით, რატომ შეუძლია ცალკეულ კომერციულ ბანკს სესხად გასცეს მხოლოდ ის თანხა, რაც მისი ჭარბი რეზერვების ტოლია, ხოლო კომერციული ბანკების სისტემის კი შეუძლია რამდენჯერმე შეხიაჯაოს სესხად თავისი ჭარბი რეზერვები. რატომაა საბანკო სისტემის სესხის გადღების რიცხვი სარეზერვო ნორმის უკუპროპორციული?

6. დაუშვათ, ჯონსმა 500 დოლ. ნაღდი ფული შეიტანა პირველ ეროვნულ ბანკში თავის მიმდინარე ანგარიშზე. ნახევარი საათის შემდეგ ამ ბანკში სწიტა მიიღო სესხი 750 დოლ. რამდენად და რა მიმართულებით შეიცვლება ფულის მიწოდება? ახსენით.

7. დაუშვათ, რომ კომერციის ეროვნულ ბანკს გააჩნია 8 ათ. დოლარის ჭარბი რეზერვები და 150 ათ. დოლარის ღია მიმდინარე ანგარიშები. თუ სარეზერვო ნორმა 20%-ია, როგორია ბანკის რეზერვების ფაქტობრივი სიდიდე?

8. დაუშვათ, კონტინენტალურ ბანკს გააჩნია შემდეგი განმარტივებული ანგარიში. სარეზერვო ნორმა-20%.

ა) როგორია ახალი სესხების მაქსიმალური სიდიდე, რომლის გაცემაც ამ ბანკს შეუძლია? პირველ სვეტში უწევთ, როგორ სახეს მიიღებს ბანკის ანგარიში ამ დამატებითი კრედიტის გაცემის შემდეგ?

ბ) რამდენად შეიცვლება ფულის მიწოდება? ახსენით.

გ) როგორ სახეს მიიღებს საბალანსო ანგარიში მას შემდეგ, რაც ჩეკები, რაც გამოიქვრა ახალი სესხის მიუღ თანხაზე. წარდგინილ იქნა ამ ბანკში ასანაღდაურებლად? უწევთ ეს ახალი საბალანსო ანგარიში მეორე სვეტში.

დ) უპასუხეთ ა,ბ,გ კითხვებს 15%-იანი სარეზერვო ნორმის დაშვებით.

9. შესამე-ეროვნულ ბანკს გააჩნია 20 ათ. დოლ. რეზერვები და 100 ათ. დოლ. მიმდინარე ანგარიშებზე. სარეზერვო ნორმა-20%. საოჯახო მეურნეობა ბანკში ათავსებს 5 ათას დოლ. ნაღდი ფულს, რაც რეზერვებს ემატება. რამდენი რეზერვი გააჩნია ახლა ბანკს?

10. ისე დაუშვათ, რომ შესამე ეროვნულ ბანკს გააჩნია 20 ათ. რეზერვები და 100 ათასი დოლარი მიმდინარე ანგარიში. სარეზერვო ნორმა-20%. ბანკი თავისი ოქლის ფედერალურ სარეზერვო ბანკს მიჰყიდის 5 ათ. დოლ. ფასიანი ქვადლებს, რეზერვების 5 ათ. დოლარით გადღების სანაცვლოდ. რამდენი ჭარბი რეზერვი გააჩნია ახლა ბანკს? რატომ განსხვავდება თქვენი პასუხი (იგი მართლაც განსხვავდება) მე-9 კითხვის პასუხისაგან.

აქტივები (ათასი დოლ.)	(1)	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი (ათასი დოლ.)	(1)
რესურსები 52	-	უცხო ანაბრები 200	-
უახიანი კვადრები 48			
სესხები 100	-		

11.: რა არის საბანკო "ამოღებები" როგორ შეუძლიათ მათ ზეგავლენა იქონიონ საბანკო სისტემის მიერ ფულის შექმნის უნარზე? ახსენით კონკრეტულ მაგალითზე.

12. ახსენით, თუ რატომსაა საჭირო ფედერალური სარეზერვო სისტემა ფულის მიწოდების კონტროლისათვის.

13. დაეუქვათ, რომ ბოზმა თავისი საწყო ანგარიშიდან ბანკ "უსაფრთხოებაში" მოხსნა 100 ათ.დოლარი და დახარჯა იგი ჯოსაგან კაპიტლების საყიდლად რომელმაც ეს 100 ათ.დოლარი შოთაბესა თავის საწყო ანგარიშზე, ბანკში "სიმშვიდე". 10%-იანი სარეზერვო ნორმისა და თავდაპირველი ჭარბი რესურსების არარსებობის დაშვებით, განსაზღვრეთ დონე, რომელმაც იდისაც:

ა) ბანკმა "უსაფრთხოებაში" უნდა შეამკიროს სესხები და მიმდინარე ანგარიშები ფულის ამოღების შედეგად და ბ) ბანკ "სიმშვიდეში" შეუძლია უზიარებლად გასარდოს სესხები და მიმდინარე ანგარიშები (საღი ფულის დაბანდების შედეგად. როგორ შეცვლის საღი ფულის ახილება და დაბანდებუ ფულის მიწოდებას?

14. დაეუქვათ, რომ ქვემოთ მოტანილი გამარტივებული საბალანსო ანგარიში შედგენილია კომერციული ბანკების სისტემისათვის. ყველა ციფრი მოტანილია მილიარდებში. სარეზერვო ნორმა-25% ა) რამდენი ჭარბი რესურსი გააჩნია კომერციული ბანკების სისტემას? როგორია სესხის მაქსიმალური სიდიდე, რომლის გაცემაც შეუძლია საბანკო სისტემას? უჩვენეთ პირველ სვეტში, როგორ სახეს მიიღებს საბალანსო ანგარიში მას შემდეგ რაც ეს თანხა გაიცემა.

ბ) უპასუხეთ 14 ა კითხვას იმ შემთხვევაში, როცა სარეზერვო ნორმა უდრის 20%. ახსენით კომერციული ბანკების სისტემის კრედიტუნარიანობის მიღებული განსხვავება.

## ბოლო შტრიხი

### ბანკებისა და შემნახველ დაწესებულებათა გაკოტრება

გასულმა ათწლეულმა გვინვენა ბანკებისა და შემნახველ დაწესებულებათა გაკოტრების ნაკადის გაძლიერება.

ფინანსური სექტორის დერეგულირებამ (თავი 15) გამოიწვია კონკურენციის გაძლიერება ბანკებსა და შემნახველ დაწესებულებებს შორის (გამსესხებელ შემნახველი ასოციაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები). თუმცა კონკურენციის გაძლიერებას დადებითი შედეგი გაანინია, მაგრამ მან ხელი შეუწყო არასასიამოვნო თანამდევ ეფექტსაც: ბანკებისა და შემნახველი დაწესებულებების გაკოტრების გაძლიერებას.

მოცემული ცხრილის გაანალიზებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი მომენტი. ერთი მხრივ, ეს გაკოტრებები წარმოადგენს აშშ 14 ათასი ბანკისა და 19 ათასი შემნახველი დაწესებულების მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტს. მეორე მხრივ, იმ მიზეზის გამო, რომელსაც ჩვენ მალე განვიხილავთ, გაკოტრებათა რიცხვი შეამცირებს იმ პრობლემათა სიმძიმეს, რომელიც დადგა შემნახველი ბიზნესის, კერძოდ გამსესხებელ-შემნახველი ასოციაციების წინაშე.

ბანკებისა და შემნახველ დაწესებულებათა გაკოტრება  
1980-1988 წლებში

წელი	ბანკები	შემნახველი სალაროები
1980	10	3
1981	10	11
1982	10	28
1983	42	71
1984	79	27
1985	124	34
1986	145	49
1987	206	48
1988	22	220

წყარო: Federal Deposit Insurance Corporation and Federal Home Loan Bank Board.

წინათ, 80-იან წლებში სახელმწიფო იძულებული იყო თავ-  
დებად დადგომოდა ორ სამ მთავარი ბანკს, რომლებიც ფი-  
ნანსურ სიძნელეებს განიცდიდა. მაგრამ უკანასკნელ წლებში  
გაკოტრება ეხებოდა ძირითადად წვრილ ბანკებს, რომლებიც  
სასოფლო-სამეურნეო და ენერჯის მაწარმოებელ რაიონებ-  
ში მოქმედებდა. ფასების შემცირება პურსა და ენერჯიაზე  
80-იან წლებში ხშირად იწვევდა ვალდებულებათა შესრულებას  
სესხების მიხედვით, რაც თავის მიხრევ ზოგიერთი ბანკის გა-  
კოტრებით მთავრდებოდა. მიუხედავად ამისა, ბანკები  
მთლიანად, შედარებით მომგებიანი დარჩნენ და საერთოდ მი-  
ღებულნი მოსაზრებით საბანკო საქმემ უკვე გადაიტანა მიმემ  
უბედურებები. მთავარი პრობლემა, რაც ისევე დგას მსხვილი  
ბანკების წინაშე-იმისი შესაძლებლობაა, რომ ზოგიერთი სუს-  
ტად განვითარებული ქვეყანა ვერ შესძლებს დაფაროს საკმაოდ  
მნიშვნელოვანი სესხები.

უფრო ნაკლებოპტიმისტურია პროგნოზები მრავალი შემ-  
ნახველი დაწესებულებისათვის. გამსესხებელ-შემნახველ ასო-  
ციათა უკანასკნელი გაკოტრებები შეეხო დარგის ზოგიერთ უმ-  
სხვილეს საწარმოებს და ფინანსური სიძნელეები მათთვის  
უფრო დამახასიათებელია, ვიდრე ბანკებისათვის. ქვეყნის თით-  
ქმის 1000 გამსესხებელმა ასოციაციამ 3000-დან, იზარალა  
1988 წელს. ამრიგად, უკანასკნელი არეულობები ფინანსების  
სფეროში დაკავშირებულია გამსესხებელ-შემნახველ ასოციაცი-  
ებთან.

საბანკო და შემნახველი საქმის დერეგულირებამ 80-იანი  
წლების დამდეგს სათავე დაუდო გამსესხებელ-შემნახველ ასო-  
ციაციათა კრიზისს, წაართვა მათ წარსულში უნიკალური რო-  
ლი. 80-იან წლებამდე საბანკო კანონმდებლობა გამსესხე-  
ბელ-შემნახველ ასოციაციებს თითქმის მონოპოლიად ხდიდა  
საბინაო იპოთეკების დაკრედიტების სფეროში. როდესაც  
მთავრობამ ასწია ანაბრების სარგებლის განაკვეთის ჭერი ბან-  
კებსა და შემნახველ დაწესებულებებში, კონკურენციამ  
მკვეთრად გაადიდა სარგებლის განაკვეთი. მაგრამ მრავალი  
გამსესხებელ-შემნახველი ასოციაცია შებოჭილი იყო მუდმივი  
სიდიდის ხანგრძლივადიანი გირავნობის სიგელების არსებო-  
ბით, რომელიც გამოდიოდა სარგებლის გაცილებით დაბალი  
პროცენტული განაკვეთით, ვიდრე აუცილებელი იყო არსებუ-

ლი ანაბრების შესანარჩუნებლად და ახალი ანაბრებისათვის საბრძოლველად. გამსესხებელ-შემნახველმა ასოციაციებმა ამ ზარალს თავიანთი კრედიტების კომერციული, სამომხმარებლო სესხების, სამოსამსახურო ნაგებობათა ასაშენებელი და მსგავსი კრედიტების მიმართულებით, დივერსიფიკაციით უპასუხეს უფრო მაღალი სარგებლის დაწესებით.

1980 წელს მთავრობამ გაზარდა ანგარიშებზე დასაზღვევი ანაბრების თანხა, 40 ათასიდან 100 ათ.დოლარამდე, და მრავალი მიმომხილველი დარწმუნებულია, რომ ამან ხელი შეუწყო გამსესხებელ-შემნახველ ასოციაციათა კრიზისს. თავისი საწარმოს გადასარჩენად ფინანსურად მერყევეს გამსესხებელ-შემნახველმა ასოციაციებმა შესთავაზეს სარგებლის უჩულოდ მაღალი განაკვეთები კონკურენტი დაწესებულებიდან ანაბრების მოსაზიდად. ყაირათიანმა ადამიანებმა, იცოდნენ რა, რომ ანაბრები 100 ათას დოლარამდე ჩათვლით მთლიანად FSLIC<sup>1</sup>-ის მიერ იზღვევა, თავიანთი სახსრები ამ შემნახველ დაწესებულებაში გაგზავნეს. როდესაც მათი ანაბრების სარგებლის განაკვეთები გაიზარდა, ასეთმა გამსესხებელ-შემნახველმა ასოციაციებმა მაღალი სარგებლით იწყეს სარისკო სესხის გაცემა, თავიანთი ხელახლა შექმნილი ფონდების ჭარბი ხარჯების დასაფარავად.

ამ დიდად სარისკო სესხის გადაუხდელობამ რამდენიმე მსხვილი გამსესხებელ-შემნახველი ასოციაცია გააღარიბა (არ ჰქონდა რა საკმაო აქტივები, ვალდებულებებთან შედარებით). დანაზოგები და სესხები ტეხასსა და ნავთობის სხვა შტატებში ძალზე მძიმედ დაზარალდა. ამ რაიონებს სესხის მიხედვით ვალდებულებათა შეუსრულებლობა თავს დაატყდა ნავთობზე ფასების შემცირების პასუხად. მრავალი სპეკულაციური სესხი სამსახურებრივი ნაგებობისა და სხვა უძრავი ქონებისათვის არ იქნა გადახდილი. როგორც მოტანილ ცხრილშია ნაჩვენები, 220 გამსესხებელ-შემნახველი ასოციაცია გაკოტრდა მხოლოდ ერთ, 1988 წელს.

გამსესხებელ-შემნახველ ასოციაციათა ანგარიშების დამზღვევეს ფედერალურმა კორპორაციამ მათ გაკოტრებულ მენაბ-

---

1. გამსესხებელ-შემნახველ ასოციაციებში ანგარიშების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია.



რეებს ზარალი აუნაზღაურა, მაგრამ დანაკარგების უზარმა-  
ზარმა მოცულობამ სადაზღვევო ფონდი აბსოლუტურად ზა-  
რალიანი გახადა. 1988 წელს ფედერალურმა მთავრობამ აქ-  
ტიურად იწყო გაკოტრებულ გამსესხებელ-შემნახველ ასო-  
ციაციათა გაყიდვისა და შერწყმისადმი ხელის შეწყობა. ფედე-  
რალური მთავრობის გაანგარიშებით გაკოტრებულ შემნახველ  
დაწესებულებებში დანაკარგებმა დროთა განმავლობაში შეიძ-  
ლება 85-დან 105 მლრდ დოლარს მიაღწიოს. ამ თანხის ნაწილი  
ანაზღაურდება ფინანსური თვალსაზრისით მომგებიანი გამსეს-  
ხებელ-შემნახველი ასოციაციების მიერ FSLIC-ის ფონდში  
სადაზღვევო შენატანების გადიდების მეშვეობით. მაგრამ გა-  
კოტრებული შემნახველი დაწესებულებების დანახარჯთა დი-  
დი ნაწილი, საბოლოო ანგარიშით, გადასახადის გადამ-  
ხდელს აწვება ზურგზე. საქმე ისაა, რომ კანონის თანახმად აშშ  
მთავრობა გამსესხებელ-შემნახველ ასოციაციებში შენახული  
დაზღვეული ანაბრების გარანტად გამოდის. ამ გარანტიამ  
შემნახველ დაწესებულებათა შენახვები უნდა დაარწმუნოს,  
რომ მათი სახსრები უსაფრთხოებაშია, თვით FSLIC-ის „გას-  
კდომის“ შემთხვევაშიც კი. მაგალითად, 1989 წელს ამერი-  
კის მთავრობა წააწყდა გაკოტრებულ გამსესხებელ-შემნახვე-  
ლი ასოციაციის ვალდებულებათა ანაზღაურების აუცილებლო-  
ბას.

# თავი მეჩვიდმეტი

## ფედერალური სარეზერვო ბანკები და ფულადი პოლიტიკა

მე-16 თავში ყურადღება გამახვილებული იყო ცალკეული ბანკებისა და კომერციული ბანკების სისტემის მიერ ფულის შექმნის უნარზე. ჩვენი მსჯელობები საშიშ ნოტაზე დამოკვრდა: კომერციული ბანკების არარეგულირებადმა მოქმედებამ შეიძლება ხელი შეუწყოს საქმიანი აქტიურობის ციკლურ შერყევებს, ე.ი. კომერციული ბანკები ხელსაყრელად თვლიან ფულის მიწოდების გაფართოებას მოთხოვნის ინფლაციის პერიოდებში და ფულის მიწოდების შემცირებას ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად დეპრესიების პერიოდში. ამ თავის ამოცანაა ხელმძღვანელი საკრედიტო ფულადი დაწესებულებების მცდელობათა განხილვა, წინ აღუდგეს საბანკო სისტემის ფუნქციონირების პროციკლურ ტენდენციებს კონტროლის სხვადასხვა ხერხის დახმარებით. აქ, ისე როგორც მე-16 თავში, ჩვენ ვაანალიზებთ კომერციულ ბანკებს, რამდენადაც მათ მთავარი როლი მიეკუთვნება მიმდინარე ანგარიშებში ფულის შექმნაში. მაგრამ მსჯელობის მსვლელობაში ტერმინი “დეპოზიტური დაწესებულება” შეიძლება გამოყენებულ იქნას ტერმინი „კომერციული ბანკის“ ექვივალენტის სახით, ხოლო „საჩინო ანგარიში“ შეიძლება შეცვალოს “უვადო ანაბარმა“.

მოცემული თავის მიზნები შემდეგია: ჯერ ერთი მოკლედ განიხილოს ფულადი პოლიტიკის ამოცანები და მასში მონაწილე დაწესებულებათა როლი. შემდეგ განხილულ იქნას ფედერალური სარეზერვო ბანკების საბალანსო ანგარიშები, რამდენადაც ფულადი პოლიტიკა უპირატესად სწორედ ამ ცენტრალური ბანკების მიერ ხორციელდება. მესამე, საკმაოდ დაწვრილებით გაანალიზებულ იქნას საკრედიტო-ფულადი კონტროლის ხერხები. მეოთხე, შეფასება მიეცეს კეინსურ თვალსაზრისს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა. დაბოლოს, მოკ-

ლედ შეჯამდეს დასაქმების კეინსური თეორიისა და პოლიტიკის ძირითადი დებულებები.

## საკრედიტო - ფულადი პოლიტიკის მიზნები

სანამ გავანალიზებდეთ იმ ხერხებს, რომელთა დახმარებითაც ხორციელდება საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა, მნიშვნელოვანია მკაფიოდ გაავსოთ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მიზნები და ვიცოდეთ ის დაწესებულებები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ პოლიტიკის შემუშავებასა და ცხოვრებაში გატარებაზე. ჩვენი მსჯელობის დასაწყისში მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ საკვანძო დებულებებს, რომელიც აღნიშნულია მე-15 თავში: ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭო პასუხისმგებელია ფულად და საბანკო სისტემათა საქმიანობის ხელმძღვანელობასა და კონტროლზე. სწორედ ეს საბჭო შეიმუშავებს იმ პოლიტიკის საფუძვლებს, რასაც მისდევს საბანკო სისტემა. თუკი ეს საზოგადოებრივი ორგანოა, მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილებები მიმართულია იმის განსახორციელებლად, რასაც იგი საზოგადოების ინტერესებში გეგულობს. ფედერალური სარეზერვო ბანკი ამერიკული კაპიტალისტური სისტემის (ქრისტალური ბანკები) პასუხის აგებენ ამ საბჭოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებაზე. როგორც გახსოვთ, ფედერალური სარეზერვო ბანკები წარმოადგენენ რა კვანძის საზოგადოებრივ ბანკებს, არ ხელმძღვანელობენ მოგებისკენ ლიბერალიზმით, არამედ იმ დონის ძიებებს ატარებენ, რასაც რეკომენდაციას უწევს მმართველთა საბჭო.

მაგრამ, თქმა იმისა, რომ საბჭო ატარებს პოლიტიკას, რომელიც „შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს“, არასაკმარისია. საეჭვოა მოულოდნელად მოგვეჩვენოს, რომ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ფუნქციონირების მიზანია კონომიკისადმი დახმარება წარმოების საერთო დონის მდლწევაში, რომელიც ხასიათდება სრული დასაქმებით და ინფლაციის არარსებობით. საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა მდგომარეობს ფულის მიწოდების შეცვლაში წარმოების ერთობლივი მოცულობის, დასაქმებისა და ფასების დონის სტაბილიზების მიზნით. უფრო კონკრეტულად: საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა იწვევს ფულის მიწოდების გადიდებას დაქვეითების დროს დანახარჯების წასახალისებლად, ხოლო ინ-

ფლაციის დროს, პირიქით, ზღუდავს ფულის მიწოდებას დანახარჯების შესყვეცად.

ფედერალური სარეზერვო სისტემის საბჭო ცვლის ქვეყანაში ფულის მიწოდების მოცულობას, კომერციულ ბანკებში არსებული ჭარბი რეზერვების სიდიდის რეგულირებით. ჭარბ რეზერვებს, როგორც თქვენ გახსოვთ, გადამწვეტი მნიშვნელობა აქვთ საბანკო სისტემის მიერ ფულის შექმნაში. სპეციფიკური ხერხები, რითაც საბჭო ზემოქმედებს საბანკო სისტემის ჭარბ რეზერვებზე, დაწვრილებითი განხილვის საგანია. როგორც კი გავიგებთ თუ როგორ მართავს ფედერალური სარეზერვო სისტემა ჭარბ რეზერვებს და ფულის მიწოდებას, ჩვენ გადავალთ იმის ახსნაზე, თუ ფულის მოცულობის ცვლილებები როგორ ზემოქმედებენ სარგებლის განაკვეთებსა და ერთობლივ დანახარჯებზე.

## ფედერალური სარეზერვო ბანკების ბაერთიანებული საბალანსო ანბარიშემება

რამდენადაც საკრედიტო-ფულად პოლიტიკას აღარებს 12 ფედერალური სარეზერვო ბანკი, სასარგებლოა განვიხილოთ ამ ბანკების საბალანსო ანგარიშის არსი. მათი ზოგიერთი აქტივი და ვალდებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება კომერციული ბანკების აქტივებისა და ვალდებულებებისაგან. ცხრილი 17-1 წარმოადგენს საბალანსო ანგარიშს, სადაც ნაჩვენებია 12 ფედერალური სარეზერვო ბანკის ყველა ძირითადი აქტივი და ვალდებულება 1988 წლის 30 ნოემბრისათვის.

### აქტივები

არსებობს აქტივების ორი ძირითადი სახე, რომლებიც მნიშვნელოვანია შემდგომი ანალიზისათვის.

**ფასიანი ქაღალდები.** ცხრილში ნაჩვენებია ფასიანი ქაღალდები ფედერალური სარეზერვო ბანკების მიერ შექმნილი ობლიგაციებია. ეს ობლიგაციები ძირითადად ვალის ისეთი ვალდებულებებისაგან შედგება, როგორცაა ხაზინის ოამასუქები (მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები) და ხაზინის ობლიგაციები (ხანგრძლივადიანი ფასიანი ქაღალდები, რასაც ფედერალური მთავრობა უშვებს ბიუჯეტის წარსული და ახლან-

ცხრილი 17-1. 12 ფედერალური სარეზერვო ბანკის გაერთიანებული საბალანსო ანგარიში, 1988 წ. 30 ნოემბერი (მლნ დოლ.)

აქტივები	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი
ფასიანი ქაღალდები	232702 კომერციული ბანკების რეზერვები 40012
სესხები კომერციულ ბანკებს	2328 ხაზინის დეპოზიტები 5108
ყველა სხვა აქტივი	49390 ფედერალური სარეზერვო ბანკონტები (მიმოქცევაში გაშვებული) 224535
საერთო თანხა	284420 ყველა სხვა ვალდებულება და საკუთარი კაპიტალი 146775
	ჯამი 284420

წყარო: Federal Reserve Bulletin, February 1989.

დელი დეფიციტის დასაფინანსებლად), ე.ი. ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს საწოვადობრივი ანუ ეროვნული ვალის ნაწილს (იხ.თავი 20). ზოგიერთი ამ ობლიგაციათაგანი შეიძლება ნაყიდი იყოს პირდაპირ ხაზინიდან, მაგრამ მათი უმრავლესობა შეიძინება ღია ბაზარზე კომერციული ბანკებისა და მოსახლეობისაგან. იუშეცა ეს ობლიგაციები წარმოადგენს ფედერალური სარეზერვო ბანკების შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს, მაგრამ მათი გაყიდვისა და ყიდვის უშუალო მიზანია არა შემოსავალი. როგორც დავინახეთ ისინი იყიდებიან და შეისყიდებიან, რათა მათ ხემოქმედება მოახდინონ ძირითადად კომერციული ბანკების რეზერვების სიდიდესა და თვით ამით - მათ უნარზე, შექმნან ფული სესხების გაცემის გზით.

სესხები კომერციულ ბანკებს. იმ მიზეზთა გამო, რომელთაც ჩვენ მალე განვიხილავთ, კომერციული ბანკები დროდადრო სესხებს იღებენ ფედერალური სარეზერვო ბანკებიდან. ვალის ვალდებულებები, რასაც კომერციული ბანკები აძლევენ ამ “ბანკირთა ბანკებს“, აღინიშნება როგორც სესხები კომერციულ ბანკებს. ფედერალური სარეზერვო ბანკების თვალსაზრისით ვალის ეს ვალდებულებები, აქტივებია, ე.ი. კომერციული ბანკისადმი მოთხოვნებია, რომლებმაც სესხი მიიღეს მათგან. კომერციული ბანკებისათვის ეს ვალის ვალდებულებები ვალდებულებას

წარმოადგენს. ამ გზით სესხის მიღებით კომერციული ბანკები აღიღებენ თავიანთ რეზერვებს ვალის ვალდებულებებზე გაცვლით.

## ვალდებულებები

ვალდებულებათა გრაფაში ჩვენ ვპოულობთ სამ ძირითად პუნქტს.

**კომერციული ბანკების რეზერვები.** ამ ანგარიშს ჩვენ უკვე ვიცნობთ. იგი აქტივია წვერი-ბანკების თვალსაზრისით, მაგრამ - ვალდებულება, ფედერალური სარეზერვო ბანკების პოზიციებიდან.

**ხაზინის დეპოზიტები.** საწარმოები და კერძო პირები მოხერხებულად და სასურველად თვლიან თავიანთი ვალდებულებების ჩეკის დახმარებით გადახდას; სწორედ ასევე ექცევა აშშ-ს ხაზინაც. მას გააჩნია ანაბრები სხვადასხვა ფედერალურ ბანკში და მათზე გამოწერს ჩეკებს, თავისი ვალდებულებების გადახდისას. ხაზინისათვის ასეთი დეპოზიტები - აქტივებია, ფედერალური სარეზერვო სისტემისათვის კი ვალდებულებები. ხაზინა ქმნის და ავსებს ამ დეპოზიტებს საგადასახადო შემოსულობათა და ფულის დაბანდებით, რასაც იგი ობლიგაციების მოსახლეობაზე ან ბანკებზე გაყიდვით იღებს.

**ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკნოტები.** ქალაქის ფულის მიწოდება შედგება ბანკნოტებისაგან, რასაც ფედერალური სარეზერვო ბანკი უშვებს. მოხდება რა მიმოქცევაში, ქალაქის ეს ფულები ფედერალური სარეზერვო ბანკების აქტივების ხელიდან ხელში გადასასვლელი მოთხოვნა ხდება და ამიერიდან განხილვა მათ მიერ ვალდებულებათა სახით. იმის მსგავსად, როგორც თქვენი ვალის ვალდებულებები არ წარმოადგენს არც აქტივებს და არც ვალდებულებებს სანამ თქვენს საკუთარ ხელში იმყოფებიან, ფედერალური სარეზერვო ბანკნოტებიც, რომლებიც სხვადასხვა ფედერალური სარეზერვო ბანკების სარდაფებში იმყოფება, არ წარმოადგენს არც აქტივებს და არც ვალდებულებებს. ბანკნოტები მხოლოდ იმ მოქცევაში წარმოადგენენ "ბანკირთა ბანკების" ვალდებულებებს. ის ბანკნოტები, რომლებიც მიმოქცევაში კომერციული ბანკების მფრევილობით შედიან, ფულის მიწოდების ნაწილი არ ხდება მანამ, სანამ მოსახლეობის ხელში არ მოხვდებიან.

# საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტები

ყვედრალური სარესერვო ბანკების საბალანსო ანგარიშის შესახებ "სოფიერთა წარმოდგენის მიღების შემდეგ ჩვენ შეხადლებლობა გვაქვს გამოვიკვლიოთ თუ რა ზეგავლენა შეუძლია მთავრობის ყვედრალური სარესერვო სისტემის მმართველობა საბჭომ საბანკო სისტემის მიერ ფულის შექმნის უნარზე. რა ინსტრუმენტები ან ხერხები შეიძლება იქნას გამოყენებული მმართველობა საბჭოს შეხედულებით კომერციული ბანკის რესერვებზე ზემოქმედებისათვის?

არსებობს საკრედიტო-ფულადი კონტროლის სამი ძირითადი საშუალება:

1. ოპერაციები ღია ბაზარზე,
2. სარესერვო ნორმის შეცვლა,
3. საანგარიშო განაკვეთის შეცვლა.

## ოპერაციები ღია ბაზარზე

ოპერაციები ღია ბაზარზე - ფულის მიწოდების კონტროლის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა. ჩვენსინა "ოპერაციები ღია ბაზარზე" მიეკუთვნება სახელმწიფო ობლიგაციების შესენა-გაყიდვას ყვედრალური სარესერვო ბანკების მიერ ღია ბაზარზე - ე.ი. ობლიგაციების ყიდვას და გაყიდვას კომერციულ ბანკებსა და მოსახლეობაზე მოდიანად. როგორ ზემოქმედებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ეს ყიდვა და გაყიდვა კომერციული ბანკების ჭარბ რეზერვებზე?

ფასიანი ქაღალდების ყიდვა. დაეუშვათ, მმართველობა საბჭომ მოითხოვს მისცა ყვედრალურ სარესერვო ბანკს, სახელმწიფო ობლიგაციები შეიძინოს ღია ბაზარზე. ვისგან შეიძლება ამ ფასიანი ქაღალდების ყიდვა? საერთოდ რომ ვთქვათ, კომერციული ბანკებისა და მოსახლეობისაგან. ნებისმიერ შემთხვევაში საბოლოო შედეგი, არსებითად ერთი და იგივეა - კომერციული ბანკის რესერვები მზრდება.

კომერციული ბანკებისაგან. თვალყურის მივადევნოთ ყვედრალური სარესერვო ბანკის მიერ სახელმწიფო ობლიგაციების ყიდვას პროცესს კომერციული ბანკებისაგან. ეს გასწავლება მარტივია.

ა) კომერციული ბანკები თავიანთი ფასიანი ქაღალდების პორტფელების ნაწილს გადასცემენ ფედერალურ სარეზერვო ბანკებს.

ბ) ფედერალური სარეზერვო ბანკები ანაზღაურებენ ამ ფასიან ქაღალდებს კომერციული ბანკების ნაყიდი თანხით რეზერვების გადიდების გზით.

მსგავსად იმისა, როგორც კომერციულ ბანკს შეუძლია კერძო პირისაგან ნაყიდი ობლიგაციის ანაზღაურება გამყიდველის მიმდინარე ანგარიშის გადიდების გზით ისე, "ბანკირთა ბანკს" შეუძლია ანაზღაუროს კომერციული ბანკებისაგან შეძენილი ობლიგაციები ბანკის რეზერვების გაზრდით. მოკლედ რომ ვთქვათ, კომერციული ბანკების გაერთიანებული საბალანსო ანგარიში ისე შეიცვლება როგორც სქემაზეა ნაჩვენები (იხ.მარჯვენა სვეტი).

### ფედერალური სარეზერვო ბანკები

აქტივები		ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	
+ ფასიანი ქაღალდები (ა)		+ კომერციული ბანკების რეზერვები (ბ)	
ფასიანი ქაღალდები (ა)		რეზერვები (ბ)	
კომერციული ბანკები			
აქტივები		ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	
- ფასიანი ქაღალდები (ა) + რეზერვები (გ)			



ხევით მიმართული ისარი გვიჩვენებს, რომ ფასიანი ქაღალდები კომერციული ბანკებიდან გადავიდნენ ფედერალურ სარეზერვო ბანკებში. შესაბამისად, ჩვენ “ფასიანი ქაღალდების” წინ ვსვამთ მინუს ნიშანს, კომერციული ბანკების აქტივების საბალანსო ანგარიშის სვეტში. იმავე მიხედვით პლუს ნიშანს ვსვამთ ფედერალური სარეზერვო ბანკების აქტივების საბალანსო ანგარიშის “ფასიანი ქაღალდების” სვეტის პირდაპირ. ქვევით მიმართული ისარი ნიშნავს, რომ ფედერალურმა სარეზერვო ბანკებმა რეზერვები შესაძგახეს კომერციულ ბანკებს. ამიტომ, ჩვენ კომერციული ბანკების საბალანსო ანგარიშის “რეზერვების” წინ ვსვამთ პლუს ნიშანს. პლუს ნიშანი ფედერალური სარეზერვო ბანკების საბალანსო ანგარიშის ვალდებულებათა სვეტში ნიშნავს, რომ კომერციული ბანკების რეზერვები გაიზარდა; ფედერალური სარეზერვო ბანკებისათვის ისინი ვალდებულებებს წარმოადგენს.

ამ გარიგების კველახე მნიშვნელოვანი ასპექტი ისაა, რომ როდესაც ფედერალური სარეზერვო ბანკები ფასიან ქაღალდებს კომერციული ბანკებისაგან იძენენ, რეზერვები და ამიტომ დაკრედიტების უნარიც კომერციულ ბანკებს ეზრდებათ.

**მოსახლეობისაგან.** თუ ფედერალურმა სარეზერვო ბანკებმა ფასიანი ქაღალდები უბრალოდ მოსახლეობისაგან უნდა შეიძინონ, კომერციული ბანკების რეზერვებზე ხემოქმედება, არსებითად, იგივე იქნება. დავუშვათ, ხორციის შემეფუთავი კომპანია “გრიზლი” ფლობს რამდენიმე გასასხვისებელ სახელმწიფო ობლიგაციას, რომელთაც იგი ფედერალურ სარეზერვო ბანკებს მიჰყიდის ღია ბაზარზე. გარიგება ასე მიმდინარეობს:

ა) კომპანია “გრიზლი” ფასიან ქაღალდებს მიჰყიდის ფედერალურ სარეზერვო ბანკებს და მის საზღაურად ვალდებულებს ჩეკს, რომელიც ფედერალურმა სარეზერვო ბანკებმა გამოწერეს თავის თავზე.

ბ) კომპანია “გრიზლი” დაუყოვნებლივ შეიტანს ამ ჩეკს თავის ანგარიშზე უოხუს ბანკში.


გ) ბანკი უოხუ ამ ჩეკს ფედერალურ სარეზერვო ბანკებს წარუდგენს ასანაზღაურებლად, გაუგზავნის რა მათ ანგარიშსწორებისათვის. ამის შედეგად უოხუს ბანკი გაზრდის თავის რეზერვებს.

საბალანსო ანგარიში შეიცვლება შემდეგნაირად (იხ. მომდევნო გვ.).

ამ გარიგებაში ნიშანდობლივია ორი ასპექტი. ჯერ ერთი, ისე როგორც ფედერალური სარეზერვო ბანკების მიერ უშუალოდ კომერციული ბანკებისაგან ფასიანი ქაღალდების შექნის შემთხვევაში, იზრდება კომერციული ბანკების რეზერვები და დაკრედიტების შესაძლებლობები. ეს



ფაქტები აღნიშნულია ნიშანი კლუსით "რეზერვების" პირდაპირ, რომელიც გვინვენებს უოხუს ბანკის აქტივების სრდას. მეორე, მოცემულ მაგალითში, ფულის მიწოდება უშუალოდ გაზრდილია (ენერგულური ბანკების მიერ სახელმწიფო ობლიგაციების შექენით, ფულის მიწოდების გაფართოებისაგან დამოუკიდებლად, რომელიც შეიძლება მოხდეს კომერციული ბანკის რეზერვების გადიდების შედეგად. ფულის მიწოდების უშუალო გადიდება სახალხო მეურნეობაში სანეკო ანგარიშზე ფულის

### ფედერალური სარეზერვო ბანკები




ახალი რეზერვები


ფედერალური სარეზერვო სისტემა კომერც. ბანკები-საგახ იქნეს 1000 დოლ. ღირ. ობლიგაციას



ფულის მიწოდების საერთო გადიდება (500 დოლ.)



200 დოლ. (საჯალდ რეზერვი)



ფედერალური სარეზერვო სისტემა მოსახლეობისაგან იქნეს 1000 დოლ. ღირებულების აქციას

ახალი რეზერვები

**ნახ. 17-1. ფედერალური სარეზერვო ბანკების მიერ ობლიგაციების შექმნა და ფულის მიწოდების გაფართოება**

თუ ყველა ბანკი თავდაპირველად საკრედიტო შესაძლებლობაა ამოწურვის მდგომარეობაში იმყოფება, მაშინ ფედერალური სარეზერვო ბანკების მიერ კომერციული ბანკებისაგან ან მოსახლეობისაგან 1000 დოლარის ობლიგაციის შექმნა 20%-ანი სარეზერვო ნორმის პირობებში გაზრდის ფულის მიწოდებას 5000 დოლარით, დიპარამის ზედა ნაწილი გვიჩვენებს, რომ კომერციული ბანკებისაგან 1000 დოლარითა, ობლიგაციის შექმნა კომერციული ბანკებს შეუქმნის 1000 დოლარის ჭარბ რეზერვს, რაც ხელს შეუწყობს მამდინარე აგარიშების გაფართოებას 5000 დოლარამდე. სესხის გაცემის შედეგად, ქვედა ნაწილში ჩვენ ვაჩვენებთ, რომ 1000 დოლარითა, ობლიგაციების შექმნა მოსახლეობისაგან შექმნის მხოლოდ 800 დოლარ ჭარბ რეზერვს, ერთიდან 200 დოლარი რეზერვი საჭიროა საბანკო სისრქების ახალი მამდინარე აგარიშის "შესანარჩუნებლად". მაშასადამე, კომერციულ ბანკებს შეუძლიათ დაკრედიტების გზით გაფართოებონ ფულის მიწოდება 4 ათასი დოლარით, ან 4 ათასი დოლარ საბანკო აგარიშს კლეს 1000 დოლარით ახალი მამდინარე აგარიშით, ერთად შეადგენს 5000 დოლარ ახალ ფულს.

რაოდენობის გადიდების ფორმა მიიღო. ამასთან დაკავშირებით მიაქცი-  
ეთ ყურადღება პლუს ნიშანს უოხუს ბანკის უვადო ანაბრების წინ.  
რამდენადაც ეს უვადო ანაბრები კომპანია "გრიზლის" მიერ განიხილება  
როგორც აქტივები, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ამ კომპანიის საბალანსო ანგა-  
რიშზე უვადო ანაბრები გაიზარდა (ნიშანი პლუსი).

თქვენ შეიძლება უმნიშვნელო განსხვავება შეამჩნიოთ ფედერალური  
სარეზერვო ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების შექმნაში კომერციული  
ბანკის სისტემასა და მოსახლეობისაგან. თუ ყველა კომერციული ბანკი  
თავდაპირველად საკრედიტო შესაძლებლობათა ამოწურვის მდგომარე-  
ობაში იმყოფება, ფედერალური სარეზერვო ბანკების მიერ ობლიგაცი-  
ების კომერციული ბანკებისაგან შექმნა გაზრდის კომერციული ბანკის  
ფაქტობრივ რეზერვებსა და ჭარბ რეზერვებს შექმნილი ობლიგაციების  
მოელი თანხით. ამრიგად, როგორც 17-1 ნახაზზეა ნაჩვენები, 1000  
დოლარიანი ობლიგაციების შექმნა კომერციული ბანკებისაგან გაზრდის  
კომერციული ბანკის როგორც ფაქტობრივ , ისე ჭარბ რეზერვებს 1000  
დოლარით. სეორე მხრივ, ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ ობლი-  
გაციის შექმნა მოსახლეობისაგან, გაზრდის ფაქტობრივ რეზერვებს, მაგ-  
რამ კომპლექსურად გაადიდებს მიმდინარე ანგარიშებსაც. ამრიგად,  
1000 დოლარიანი ობლიგაციის შექმნა მოსახლეობისაგან გაზრდის სა-  
ბანკო სისტემის ფაქტობრივ რეზერვებს, რომელმაც ამოწურა საკრედი-  
ტო შესაძლებლობები 1000 დოლარით, მაგრამ 20%-ინი სარეზერვო  
ნორმის პირობებში საბანკო სისტემის ჭარბი რეზერვები მხოლოდ 800  
დოლარს აღწევს. ობლიგაციის შექმნა მოსახლეობისაგან ამ შემთხვევა-  
ში იმის ტოლფასია, რომ კომერციული ბანკების სისტემამ უკვე გამო-  
იყენა ხელახლა შექმნილი რეზერვების 1/5 ანუ 20%, 1000 დოლარი  
ახალი ფულის შესანარჩუნებლად მიმდინარე ანგარიშებში.

მიუხედავად ამისა, ორივე გარიგებაში საერთო, შედეგი ერთნაირია:  
როდესაც ფედერალური სარეზერვო ბანკები ფასიან ქაღალდებს ღია  
ბაზარზე იძენენ, კომერციული ბანკების რეზერვები იზრდება. თუ  
ბანკები სესხად გასცემენ თავის ჭარბ რეზერვებს, ქვეყანაში ფულის  
მიწოდება იზრდება. 17-1 ნახაზზე ნაჩვენებია, რომ ფედერალური სარე-  
ზერვო ბანკის მიერ 1000 დოლ. ობლიგაციის შექმნა გამოიწვევს 5000  
დოლ. დამატებითი ფულის გამოჩენას, მიუხედავად იმისა ეს ობლიგაცი-  
ები შექმნილი იქნება კომერციული ბანკებისაგან თუ უბრალოდ მოსახ-  
ლეობისაგან.

ფასიანი ქაღალდების გაყიდვა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ ობლიგაციების გაყიდვა ამცირებს კომერციული ბანკის რეზერვებს. ვნახოთ ასეა თუ არა ეს.

კომერციულ ბანკებზე. დავეუშვათ, ფედერალური სარეზერვო ბანკები ფასიან ქაღალდებს ღია ბაზარზე კომერციულ ბანკებზე ყიდის.

ა) ფედერალური სარეზერვო ბანკები ფასიან ქაღალდებს თმობენ, რომლებსაც კომერციული ბანკები ყიდულობენ;


ბ) კომერციული ბანკები ამ ფასიან ქაღალდებს ანაზღაურებენ, გამოწერენ რა ჩეკებს თავიანთ ანაბრებზე, ე.ი. თავიანთ რეზერვებს ფედერალურ სარეზერვო ბანკებში. ფედერალური სარეზერვო ბანკები აღრიცხავენ ამ ჩეკებს, შესაბამისად ამცირებენ რა კომერციული ბანკების რეზერვებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ცვლილებები საბალანსო ანგარიშში შემდეგნაირად გამოიყურება:

ფედერალური სარეზერვო ბანკები

აქტივები	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი
- ფასიანი ქაღალდები (ა)	- კომერციული ბანკების რეზერვები (ბ)
↓	↑
ფასიანი ქაღალდები (ა)	რეზერვები (ბ)
↓	↓
კომერციული ბანკები	
აქტივები	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი
- რეზერვები (ბ) + ფასიანი ქაღალდები (ა)	

ფედერალური სარეზერვო ბანკები



განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ კომერციული ბანკების რეზერვების შემცირებას.

**მოსახლეობას.** თუ კი ფედერალური სარეზერვო ბანკები ფასიანი ქაღალდებს მოსახლეობაზე გაყიდდნენ, საბოლოო შედეგები არსებითად იგივე იქნებოდა. კომპანია "გრიზლი" დაგაყენით სახელმწიფო ობლიგაციათა მყიდველის ადგილზე, რომელსაც ფედერალური სარეზერვო ბანკები ყიდიან.

ა) ფედერალური სარეზერვო ბანკი ყიდის “გრიზლის“ სახელმწიფო ობლიგაციებს, რომელიც უოხუს ბანკში გამოქვრილი ჩეკით იხდის;

ბ) ფედერალური სარეზერვო ბანკები აღრიცხავენ ამ ჩეკს, შეამკირებენ რა უოხუს ბანკის რეზერვებს;

გ) უოხუს ბანკი კომპანია “გრიზლის“ უბრუნებს მის ჩეკს, სათანადო თანხით ამკირებს რა კომპანიის მიმდინარე ანგარიშს.

საბალანსო ანგარიშის ცვლილებები მოკეშულია 278-ე გვერდზე.

მათქციყო ყურადღება, რომ ფედერალური სარეზერვო ბანკების მიერ 1000 დოლ. ობლიგაციების გაყიდვა კომერციული ბანკების სისჯემისათვის ამკირებს მის ფაქობრივ და ჭარბ რეზერვებს 1000 დოლარით. მაგრამ 1000 დოლარიათი ობლიგაციების მიყიდვა მოსახლეობისათვის ამკირებს ჭარბ რეზერვებს 800 დოლარით, რამდენადაც 1000 დოლარის გაყიდვის შედეგად შემკირდა ფულის რაოდენობა მიმდინარე ანგარიშზე. ამ შემთხვევაში ობლიგაციის გაყიდვა მოსახლეობაზე იმის როდენობა, რომ კომერციული ბანკების სისჯემამ მიმდინარე ანგარიშებზე მყოფი 1000 დოლ. შეამკირა, რათა შეერბილებინა ჭარბი რეზერვების 200 დოლარამდე შემკირება.

მაგრამ ორივე შემთხვევაში ფედერალური სარეზერვო სისჯემის მიერ ობლიგაციების გაყიდვის მთავარი შედეგები ერთნაირია: როდენაც ფედერალური სარეზერვო ბანკები ფასიან ქალაქებს ღია ბასარზე ყლიან, კომერციული ბანკების რეზერვები მკირდება. თუ თავდაპირველად მიიღო ჭარბი რეზერვები დახარჯული იქნა სესხებზე, კომერციული ბანკის რეზერვების ეს შემკირება გადავა ქვეყანაში ფულის მიწოდების შემკირებაზე. ჩვენს მაგალითში სახელმწიფო ფასიანი ქალაქების გაყიდვა 1000 დოლარად, გამოიწვევს ფულის მიწოდების 5000 დოლარიან დაკეშას, მოუხედავად იმისა ობლიგაციები მიეყიდებოდა კომერციულ ბანკებს თუ უბრალოდ მოსახლეობას. თქვენ საკუთარ თავს უნდა დაამალოთ ამ ფაქტში დარწმუნება, 17-1 ნახაზის ხელახალი შესწავლის და ფედერალური სარეზერვო ბანკების მიერ 1000 დოლარიანი ობლიგაციის კომერციულ ბანკებზე ან მოსახლეობაზე გაყიდვის სეგავლენაზე თვალყურის მიდევნებით.

კითხვა: რა აიძულებს კომერციულ ბანკებს ან მოსახლეობას სახელმწიფო ფასიანი ქალაქები შეიძინონ ან გაყიდონ ფედერალურ სარეზერვო ბანკებზე? მე-15 თავიდან ჩვენ ვიცით, რომ ფასები და ობლიგაციის სარგებლის განაკვეთები უკუფარდობით დამოკიდებულებაშია. როცა ფედერალური სარეზერვო სისჯემა გადაწყვეტს სახელმწიფო ობლიგაციის შექენას, მათზე მოთხოვნა იზრდება. მაშასადამე, სახელმწიფო

ობლიგაციების ფასები აიწევს, ხოლო მათი სარგებლის განაკვეთები დაეცემა. ობლიგაციათა გაზრდილი ფასები და სარგებლის შემცირებული განაკვეთები შეაგულბანებს ბანკებსა და მოსახლეობაში სახელმწიფო ობლიგაციების მფლობელებს გაყიდონ ისინი ფედერალურ სარეზერვო ბანკებზე. და პირიქით, როცა ფედერალური სარეზერვო სისტემა გადაწყვეტს სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვას, ბაზარზე მათი დამატებითი მიწოდება შეამცირებს ობლიგაციის ფასს და გაზრდის მათ სარგებლის განაკვეთებს, ამით მიზნადეულ შენაძენად გახდის ობლიგაციებს ბანკებისა და მოსახლეობისათვის.

## სარეზერვო ნორმა

ცხრილი 17-2. სარეზერვო ნორმის ზემოქმედება კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობაზე (ციფრები პირობითია)

(1) კანონით დაწესებული სარეზერვო ნორმა	(2) უვადო ანაბრები (აიასი დოლ.)	(3) უაქტობრივი რეზერვები (აიასი დოლ.)	(4) სავალდებულო რეზერვები (აიასი დოლ.)	(5) კარბი რეზერვები არე (3)-(4) (აიასი დოლ.)	(6) კალკულირებული ბანკის მერ უვალის შექმის უნარი = (5) (აიასი დოლ.)	(7) საბანკო სისტემის მერ დღის შექმის უნარი (აიასი დოლ.)
(1) 10	20	5	2	3	3	30
(2) 20	20	5	4	1	1	5
(3) 25	20	5	5	0	0	0
(4) 30	20	5	6	-1	-1	-3,333

როგორ შეუძლია მმართველთა საბჭოს კანონით დადგენილი სარეზერვო ნორმით მანიპულირების მეშვეობით ზეგავლენა მოახდინოს კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობაზე? ამ კითხვაზე პასუხს მარტინი მაგალითით იძლევა. განვიხილოთ 17-2 ცხრილის მეორე სტრიქონი და ვივარაუდოთ, რომ საბალანსო ანგარიშის თანახმად, რეზერვები 5000 დოლარია, ხოლო უვადო ანაბრები - 20 აიასი. თუ რეზერვების კანონით დადგენილი ნორმა 20%-ია, ბანკის სავალდებულო რეზერვები 4000 დოლარია. რამდენადაც ფაქტობრივი რეზერვები 5000 დოლარია, ცხადია,



რომ ბანკის ჭარბი რეზერვები 1000 დოლარია. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ 1000 დოლარი ჭარბი რეზერვების საფუძველზე (კალკულულ ბანკს შეუძლია გასცეს სესხი 1000) დოლარი, მაგრამ საბანკო სისჯემას მოლიანად შეუძლია დაკრედიტების გზით შექმნას 5000 დოლარი.

სარეზერვო ნორმის გადიდება. რა მოხდება თუ მმართველთა საბჭო ასწევს იურიდიულად დაწესებულ სარეზერვო ნორმას 20-დან 25%-მდე? (იხ. ცხრილი 3). სავალდებულო რეზერვები გაიზრდება 4000-დან 5000 დოლარამდე, ჭარბი რეზერვების 1000-დან ნულამდე შემცირებისა. ცხადია, რომ სარეზერვო ნორმის ზრდა გაადიდებს საყალბეზულ რეზერვების რაოდენობას, რომელიც უნდა შეინარსეოს ბანკებმა. ან ბანკები დაკარგავენ ჭარბ რეზერვებს, დაკრედიტების გზით ფულის შექმნის საკუთარი უნარის შემცირებისა, ან ისინი თავის რეზერვებს არასაკმარისად ჩათვლიან და იძულებული იქნებიან შეამცირონ თავიანთი სასჯეო ანგარიშები და ამით ფულის მსწოდება. მოქანალ მაგალითში ჭარბი რეზერვები სავალდებულო რეზერვებზე გადაიქცევიან და კალკულული ბანკის მიერ ფულის შექმნის შესაძლებლობა 1000 დოლარიდან ნულამდე დაეკუმბა. საბანკო სისჯემის მიერ ფულის შექმნის შესაძლებლობა კი 5000 დოლარიდან ნულამდე ეკუმბა.

რა მოხდება თუ მმართველთა საბჭო გამოაცხადებს კანონით დაწესებული სარეზერვო მოთხოვნის მომავალი გადიდების შესახებ 30%-მდე? (იხ. სკრიქონი 4). კომერციული ბანკი ამ მოთხოვნის შესრულების შეუძლებლობის პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდება. შექმნილი სირუაციაიდან გამოსასვლელად ბანკი იძულებული იქნება შეამციროს მიმდინარე ანგარიშები და იმავდროულად გაზარდოს რეზერვები. თავისი მიმდინარე ანგარიშების შესამცირებლად ბანკი მიიღებს გადაწყვეტილებას დააწესოს სესხის დაფარვის ვადა და მათი ანაზღაურება მიიღოს ახალი კრედიტების გაუცემლად. რეზერვების გაზიდებლად ბანკს შეუძლია გაყიდოს ფასიანი ქაღალდების პორტფელის ნაწილი, მოუმარჯებს რა ამონაგებს თავის რეზერვებს. ასეთი ქმედების შედეგად ფულის მიწოდება შემცირდება (იხ. თავი 16, გარიგებები 6 და 8).

სარეზერვო ნორმის შემცირება. როგორი იქნება მმართველთა საბჭოს მიერ სარეზერვო ნორმის ამოსავალი 20%-დან 10%-მდე შემცირების ეფექტი? (იხ. სკრიქონი 1). ამ შემთხვევაში სავალდებულო რეზერვები შემცირდება 4000-დან 2000 დოლარამდე, ხოლო ჭარბი რეზერვები გაიზრდება 1000-დან 3000 დოლარამდე. ამის შედეგად კალკულული ბანკის დაკრედიტების შესაძლებლობები გაიზრდება 1000-დან 3000 დოლარამდე და საბანკო სისჯემის მიერ ფულის შექმნისა 5000-დან 3000

დოლარამდე. შეიძლება გაკუთვნეს დასკვნა, რომ სარეზერვო ნორმის შემცირება სავალდებულო ნორმებს გადაიყვანს ჭარბ ნორმად და ამით გაზრდის ბანკების შესაძლებლობას შექმნან ახალი ფული დაკრედიტების გზით.

როგორც 17-2(პირილი გვინვიენებს, სარეზერვო ნორმის ცვლილება "შემოქმედებს საბანკო სისტემის მიერ ფულის შექმნის შესაძლებლობაზე ორი გზით:

1. იგი შემოქმედებს ჭარბი რეზერვების სიდიდებზე.
2. ცვლის ფულადი მულტიპლიკატორის მოცულობას.

ახე, მაგალითად, კანონით დაწესებული სარეზერვო ნორმის 10-დან 20% -მდე გადიდების შემთხვევაში ჭარბი რეზერვები შემცირდება 3000-დან 1000-დოლარამდე, და იმავდროულად მიმდინარე ანგარიშების მულტიპლიკატორი შემცირდება 10-დან 5-მდე. შესაბამისად, საბანკო სისტემის მიერ ფულის შექმნის შესაძლებლობა ე(ყმა 30 ათასიდან (=3 ათასი დოლ. X 10) 5 ათას დოლარამდე (=1000 დოლ. X 5).

თუმცა სარეზერვო ნორმის შეცვლა მძლავრი პოტენციალის მქონე ხერხია, მაგრამ სინამდვილეში იშვიათად გამოიყენება.

## საანბარი(შ) ბანაკვითი

ქვეყნალური ბანკის ერთ-ერთი ტრადიციული ფუნქციაა "სესხის უკიდურეს შემთხვევაში მიმცემის" როლი. ე.ი. ქვეყნალური ბანკი კომერციულ ბანკებს სთავაზობს სესხებს, რომლებსაც მკცივე ფინანსური მდგომარეობა გაანწიათ, მაგრამ მოულოდნელად აწკეებიან დამაწებიით სახსრების საწრაფო მიღების აუკლებლობას. ახე, მაგალითად, ყოველი ფედერალური სარეზერვო ბანკი მოკლევადიან სესხებს სთავაზობს თავისი ოლქის კომერციულ ბანკებს.

როდესაც კომერციული ბანკი იღებს სესხს, იგი ფედერალურ სარეზერვო ბანკს გადასცემს თავის თავზე გამოწერილი ვალის ვალდებულებებს, რომელიც გარანტირებულია დამაწებითი უზრუნველყოფით ჩვეულებრივ, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით. იმის მსგავსად, როგორც კომერციული ბანკები სარგებლის გადასახდელს ახდევინებენ თავიანთი სესხებისათვის, ფედერალური სარეზერვო ბანკები გადასახდელს ახდევინებენ კომერციული ბანკებისათვის შემთავაზებულ სესხებზე.

კომერციული ბანკისადმი მოთხოვნის სახით, მოსესხე — ბანკი ვალის ვალდებულება წარმოადგენს სესხის მიმწოდებელი ფედერალური

## ფედერალური სარეზერვო ბანკები

აქტივები	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი
+ სესხები კომერციულ ბანკებს	+ კომერციული ბანკების რეზერვები (ბ)
ვალის ვალდებულებები  კომერციული ბანკები	+ რეზერვები  
აქტივები	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი
+ რეზერვები	+ ფედერალური სარეზერვო ბანკების სესხები

სარეზერვო ბანკის აქტივს და მისი საბალანსო ანგარიშის გრაფაში აღინიშნება როგორც “სესხები კომერციულ ბანკებს”. კომერციული ბანკისათვის ვალის ვალდებულება, ვალდებულებაა, რომელიც კომერციული ბანკის საბალანსო ანგარიშში ასახულია სათაურით “ფედერალური სარეზერვო ბანკებისაგან მიღებული სესხები”. სესხის მიცემით, ფედერალური სარეზერვო ბანკი ადიდებს კომერციული ბანკი მოსესხის რეზერვებს. იუ ფედერალური სარეზერვო ბანკებისაგან მიღებული სესხების შენარჩუნებისათვის საჭირო არაა სავალდებულო რეზერვები, მიუხედავად იმისა, რომლებიც ფედერალური სარეზერვო ბანკებისაგან მიღებული სესხებითაა შექმნილი, ჭარბი რეზერვებია. ეს კვლიდებები ასახულია კომერციული ბანკების და ბანკირთა ბანკების საბალანსო ანგარიშებში, რომელიც ქვემოთაა მოტანილი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს გარიგება კომერციულ ბანკში (ვალკული პირის მიერ მიღებული სესხის ანალოგიურია (იხ.თავი 16, გარიგება 6).

ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ კომერციული ბანკი, რომელიც სესხებს ფედერალურ სარეზერვო ბანკებში დებულობს, კომერციული ბანკების რეზერვებს ადიდებს და ამით მოსახლეობისათვის კრედიტის შეთავაზების შესაძლებლობებს გაზრდის.

ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს უფლება აქვს დაადგინოს და შეცვალოს საანგარიშო განაკვეთი, რომლის მიხედვითაც კომერციულ ბანკებს შეუძლიათ სესხი აიღონ ფედერალურ სარეზერვო ბანკებში. კომერციული ბანკების თვალსაზრისით საანგარიშო განაკვეთი წარმოადგენს დანახარჯებს, რომლებიც გამოწვეულია რეზერვების შექმნით. შესაბამისად, საანგარიშო განაკვეთის დაკლება სტიმულს აძლევს კომერციულ ბანკებს შეიძინონ დამატებითი რეზერვები ფედერალური სარეზერვო ბანკებისაგან სესხების გზით. კომერციული ბანკების კრედიტები, რომლებიც ამ ახალ რეზერვებს ეყრდნობა, ადიდებს ფულის მიწოდებას. და პირიქით, საანგარიშო განაკვეთის ზრდა ამცირებს კომერციული ბანკების მიერ დამატებითი რეზერვების მიღების ინტერესს (კენჭრალური ბანკებიდან სესხების გზით. ამიტომ, საანგარიშო განაკვეთის გადიდება შეესაბამება ხელმძღვანელ საკრედიტო დაწესებულებათა მისწრაფებას, შეხლუდოს ფულის მიწოდება.

## წინასწარი შეხედულება: იაფი და კვირი ფული

დავუშვათ, ეკონომიკა წააქვდა უმუშევრობას და ფასების შემცირებას. ხელმძღვანელი საკრედიტო-ფულადი დაწესებულებები დებულობენ გადაწყვეტილებას ფულის მიწოდების გადიდების აუცილებლობის შესახებ ერთობლივ დანახარჯთა სტიმულირებისათვის, თავისუფალი რესურსების შთაჩიქმის მიზნით. ფულის მიწოდების გასაადვილებლად მმართველთა საბჭომ უნდა იზრუნოს კომერციული ბანკების ჭარბი რეზერვების ზრდაზე. რა კონკრეტული ღონისძიებები უზრუნველყოფს მას?

1. მმართველთა საბჭომ განკარგულება უნდა მისცეს ფედერალურ სარეზერვო ბანკებს, რათა შეიძინონ ფასიანი ქაღალდები ღია ბაზარზე. ობლიგაციების ეს შექმნა ანაზღაურებული იქნება კომერციული ბანკების რეზერვების გადიდებით,

2. უნდა შემცირდეს სარეზერვო ნორმა, რაც ავტომატურად გადაიყვანს სავალდებულო რეზერვებს ჭარბ რეზერვებში და გაზრდის ფულადი მულტიპლიკატორის სიდიდეს,

3. უნდა შემცირდეს საანგარიშო განაკვეთი, რათა სრულყოფილი მიეცეს კომერციულ ბანკებს გაადიდონ თავიანთი რეზერვები ფედერალური სარეზერვო ბანკებისაგან სესხების საშუალებით.

პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ასეთ ანაკრებს იაფი ფულის პოლიტიკა ეწოდება. მისი ამოცანაა კრედიტი იაფი და ადვილად ხელმისაწვდომი გახადოს, რათა გაზარდოს ერთობლივ დანახარჯთა მოცულობა და დასაქმება.

ეხლა დავუშვათ, რომ ხედმეტი დანახარჯები ეკონომიკას საინფლაციო სპირალისაკენ უბიძგებს. მმართველთა საბჭო უნდა ეცადოს შეამციროს საერთო დანახარჯები ფულის მიწოდების შეზღუდვის ანუ შემცირების გზით. ამ პრობლემის გადაჭრის გასაღებია კომერციული ბანკების რეზერვების შემცირება. როგორ კეთდება ეს?

1. ფედერალურმა სარეზერვო ბანკებმა სახელმწიფო ობლიგაციები უნდა გაყიდონ ღია ბაზარზე. კომერციული ბანკების რეზერვების შესაკვებად,

2. სარეზერვო ნორმის გადიდება ავტომატურად ასაივსოვლებს კომერციულ ბანკებს ჭარბი რეზერვებისაგან და ამცირებს მულტიპლიკატორის როლს,

3. საანგარიშო განაკვეთის აწვევა ამცირებს კომერციული ბანკების ინტერესს გაზარდოს საივსო რეზერვები ფედერალური სარეზერვო ბანკებისაგან სესხების მეშვეობით.

ასეთმა მიდგომამ ძვირი ფულის პოლიტიკის სახელწოდება მიიღო. მისი მიზანია ფულის მიწოდების შეზღუდვა. იმისათვის, რათა შემცირდეს დანახარჯები და შეჩერებული იქნას საინფლაციო დაწოლა.

## შეღარებითი მნიშვნელობა

ფულადი კონტროლის სამ სახეობას შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მარეგულირებელი მექანიზმი, რა თქმა უნდა. ღია ბაზარზე ოპერაციებია. განვიხილოთ ამის მიზეზი.

ორ ურთიერთდაკავშირებულ გარემოებათა გამო საანგარიშო განაკვეთი ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე ოპერაციები ღია ბაზარზე. აქვრ ერთი, კომერციული ბანკების რეზერვების რაოდენობა ჩვეულებრივ

ძალზე უმნიშვნელოა. საშუალოდ საბანკო რეზერვების მხოლოდ 2-3% შეიძინება ასეთი გზით. სანამდევნელში, ხშირად სწორედ ღია ბაზარზე ოპერაციების ეფექტიანობა ავღლიანებს კომერციულ ბანკებს აიღონ სესხი ფედერალური სარეზერვო ბანკებისაგან. თუ კი (ყურადღებურ ბანკის მიერ ობლიგაციების გაყიდვა განაპირობებს რეზერვების დროებით უკმარისობას კომერციული ბანკებისათვის, მათ სჭამული მიეცემათ ისეხონ ფედერალურ სარეზერვო ბანკებში. მაშასადამე, წარმოადგენს რა საკრედიტო - ფულადი პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტს, ფედერალური სარეზერვო სისტემისაგან კომერციული ბანკების მიერ სესხების მიღება უმეტეს შემთხვევაში საკრედიტო - ფულადი პოლიტიკისადმი პასუხია, რომელიც ღია ბაზარზე ოპერაციის მეშვეობით ტარდება.

მეორე მოსახრება იმაში მდგომარეობს, რომ, თუ კომერციული ბანკის რეზერვებით მინიშნულია ღია ბაზარზე ოპერაციებისა და სარეზერვო მოთხოვნათა (კვლავლების მეშვეობით ფედერალური სარეზერვო სისტემის ინიციატივით) ხორციელდება, საანგარიშო განაკვეთების გამოყენება დამოკიდებულია კომერციული ბანკების ინიციატივაზე. მაგალითად, თუ საანგარიშო განაკვეთი მკარდება მაშინ, როცა ძალზე ცოცხალი ბანკები (კლიენტებს სესხის მიღებას ფედერალურ სარეზერვო ბანკებში, უფრო დაბალი განაკვეთით ძალზე სუსტ) სებაგდენას მოახდენს ან სავსებით არ იმოქმედებს ბანკის რეზერვებზე, ან ფულის მიწოდებაზე.

მოუხელავად ამისა, სოგიერთი ეკონომისტი აღნიშნავს, რომ საანგარიშო განაკვეთის (კვლილებას შეიძლება მნიშვნელოვანი "საინფორმაციო ეფექტი" აქონდეს", ე.ი. შეიძლება ფინანსისტებისა და მოლიანად ეკონომიკის ინფორმირების მკაფიო და გასაგებ ხერხს წარმოადგენდეს დასახული საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის შესახებ. სხვა ეკონომისტები ეჭვს გამოთქვამენ ამის თაობაზე და ამტკიცებენ, რომ საანგარიშო განაკვეთების შემცირება ხშირად "პასიურ" ხასიათს აქარებს იმ თვალსაზრისით, რომ განაკვეთი იცვლება უფრო, მისი, სარგებლის სხვა მოკლევადიან განაკვეთებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ვიდრე პოლიტიკაში (კვლილებების გაღობა) ეფესათვის. როგორაა საქმე სარეზერვო მოთხოვნის მიმართ?

ფედერალური სარეზერვო სისტემა თავის უფლებებს მოითხოვს შესაკვლელად იშვიათად იქნება. კერძოდ, ძირითადი ფულის პერიოდებში, როდესაც საქარია სარეზერვო მოთხოვნა ზრდა .

სარეზერვო მოთხოვნის გადიდების არასასურველობა, უქვეყნად და-  
კავშირებულია იმ ფაქტთან, რომ რესერვში არსებულ ფულს როდი  
მოაქვს სარგებელი, მაშასადამე, უფრო მაღალი სარეზერვო მოთხოვნები  
შეიძლება მნიშვნელოვანწილად ნეგატიურად დაუქცოს ბანკის მოგებას.  
სინამდვილეში, სწორედ ფარულ დანახარჯთა გადიდება, რომელიც და-  
კავშირებული იყო სარგებლის მაღალ განაკვეთებთან 70-იან წლებში,  
ბანკების უმრავლესობა აძულდა გამოსულიყო ფედერალური სარეზერვო  
სისტემიდან, შეასუსტა რა ამით საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ეფექ-  
ტიანობა. გავისხენოთ, რომ დეპოზიტურ დაწესებულებათა დერეგული-  
რებისა და მონეტარული კონტროლის შესახებ 1980 წლის კანონმა ამ  
პრობლემაზე რეაგირება მოახდინა ყველა კომერციული ბანკისა და სხვა  
დეპოზიტური დაწესებულებებისადმი — მოუხედავად იმისა არიან თუ  
არა, ფედერალური სარეზერვო სისტემის წევრები - რეზერვები იქონი-  
ონ ცენტრალურ ბანკებში (იხ. ცხრილი 16-1). ეს ნიშნავს, რომ ახლა  
სარეზერვო მოთხოვნების შეცვლა საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის  
უფრო მძლავრ საშუალებასაც კი წარმოადგენს, ვიდრე წარსულში.

მაგრამ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი საფუძველი, რომ ოპერაცი-  
ები ღია ბაზარზე საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მოაგარიწო-  
რებულ ნაკოვანობით. საკრედიტო-ფულადი რეგულირების ამ მექანიზმს გა-  
აჩნია მოქნილობის უპირატესობა — სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები  
შეიძლება გაყიდვად და შექცნილი იქნას მეტი ან ნაკლები რაოდენობით  
- და მისი ხემოქმედება ბანკის რეზერვებზე საკმაოდ სწრაფად ხორცი-  
ელდება. გარდა ამისა, სარეზერვო მოთხოვნათა ცვლილებებთან შედა-  
რებით, ოპერაციები ღია ბაზარზე ხემოქმედებს უფრო დახვეწილად და  
გაშუალებულად. შემდეგ, რაოდენობრივი თვალსაზრისით არ წამოიჭრე-  
ბა საკაიხი ფედერალური სარეზერვო ბანკების პოლიტიკური შესაძლებ-  
ლობის თაობაზე, ხემოქმედება მოახდინოს კომერციული ბანკების რე-  
ზერვებზე, ობლიგაციების გაყიდვისა და შექცნის მეშვეობით. როგორც  
ფედერალური სარეზერვო ბანკების გაერთიანებული საბალანსო ანგარი-  
ში გვჩვენებს (ცხრილი 17-1), მათ სახელმწიფო ობლიგაციების ძალზე  
დიდი პორტფელი (233 მლრდ დოლ.) გააჩნიათ, რომელთა გაყიდვას  
თეორიულად კომერციული ბანკების რეზერვების 40 მლრდ დოლარადან  
ნულამდე დაწვეა შეუძლია.

# მეორეხარისხოვანი შერჩევითი რეპულირება

საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის სამი ძირითადი ინსტრუმენტი პერიოდულად იცვება კონკროლის სოგიერთი ნაკლებმნიშვნელოვანი საშუალებებით, შერწყმით რეგულირების ფორმით, რომელიც ეხება საფონდო ბირჟას, განვადებით ყიდვასა და შეგონებას.

კანონით დაწესებული მარჯა.<sup>1</sup> საფონდო ბირჟის 1929 წლის უდიდესი "კრახის" გაკეცილი ისაა, რომ შეუჩერებელმა სპეკულაციამ შეიძლება კონსომიკას სერიოზული პრობლემები გაუჩინოს. მაგალითად, აქციების კურსის დაკეცილ შეიძლება გაანადგუროს კერძო პირების ან მნიშვნელოვანი რაოდენობის აქციების მქონე საწარმოთა ქონება. ეს აიძულებს მათ შეამცაორონ თავიანთი სამომხმარებლო და საინვესტიციო დანახარჯები, რაც კონსომიკას დაქვეითების თუ დეპრესიისკენ უბიძგებს. ანალოგიურად, გაფართოების მოსურნე საწარმო დაინახავს, რომ აქციის შემცირებული ფასები გააძნელებს საჭირო სახსრების მიღებას. საფონდო ბირჟაზე მერისმეტი სპეკულაციის და შესაძლო კრახის საწინააღმდეგო ღონისძიებათა სახით, ფედერალური სარეგულაციო სისტემის მმართველთა საბჭოს უფლება აქვს დაადგინოს კანონით დაწესებული მარჯა, ანუ აქციის მყიდველის თავდაპირველი შენატონების მინიმალური პროცენტი. მაგალითად, ეხლანდელი კანონით დაწესებული 50%-იანი მარჯა ნიშნავს, რომ ფასიანი ქაღალდის შესასყიდი ფასის მხოლოდ 50% შეიძლება გადახდილ იქნეს ნახესხები სახსრებით, დანარჩენ 50%-ზე კი საჭირო იქნება „ნაღდი ფულის გადმოღება“. ეს ნორმა შეიძლება გადიდდეს, როდესაც სასურველია აქციების სპეკულაციური შესყიდვის შეზღუდვა და შემცირდეს — მოდუნებული ბაზრის გამოსაკოცხლებლად.

---

1. მარჯა ნიშნავს განსხვავებას ორ მანუენტულს შორის, მაგალითად ფასიანი ქაღალდების შექმნისას - განსხვავება მყიდველის ფასსა და გამყიდველის ფასს შორის.  
2. შტოთხელისათვის საინტერესო იქნება შემდეგი წიგნები: Gordon Thomas. Max Morgan - Witts The Day the Bubble Burst. Garden City, N. Y.: Doubleday & Company Inc., 1979; John Kenneth Gelbraith. The Great Crash 1929. London: Hamish Hamilton.




**სამომხმარებლო კრედიტი.** დროდადრო კონგრესი მმართველთა საბჭოს უფლებას აძლევს განსახლებული შეზღუდვები დააღოს სამომხმარებლო კრედიტს. მაგალითი: მის ხელთ არსებული ძალაუფლების გამოყენებით პრეზიდენტმა კარტერმა 1980 წელს ფედერალურ სარეზერვო სისტემას უბრძანა შემოეღოთ ახალი შეზღუდვები მომხმარებლების მიერ სესხის მიღებაზე, რაც მისი ანტიინფლაციური პროგრამის ნაწილი იყო. სახელდობრ: კრედიტორები ვალდებულდნენ იღებდნენ "სპეციალური ანაბრები" შეეცანათ ფედერალურ სარეზერვო ბანკებში, რომელიც კრედიტის საერთო რაოდენობის ნებისმიერი გადიდების 15%-ის ტოლი იქნებოდა და რომელიც გაკეპული იყო საკრედიტო ბარათების ან კრძალ პირებზე არაუზრუნველყოფილი სესხების სახით. რამდენადაც ამ სპეციალურ ანაბრებს სარგებელი არ მოჰქონდა, ისინი ადრეუდნენ კრედიტორთა დანახარჯებს და მათ სამომხმარებლო კრედიტის შემდგომი გადიდების სტიმულს უარგავდნენ.

**შეგონება.** ხელმძღვანელი საკრედიტო-ფულადი დაწესებულებები ხანდახან დარწმუნების ნაკლებად შესამჩნევ ხერხებს იყენებენ კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკაზე ზემოქმედებისათვის. შეგონება უბრალოდ ნიშნავს ხელმძღვანელი საკრედიტო-ფულადი დაწესებულებების მიერ "შეგობრული დარწმუნების" - პოლიტიკური განცხადების, სახიჯადოებრივი გადაწყვეტილების, საბანკო კრედიტის გაფართოების ან შემცირების დაუშვებლობისაკენ მოწოდების გამოყენებას, რომელსაც შეიძლება სერიოზული შედეგები ჰქონდეს საბანკო სისტემისა და მოლიანად ეკონომიკისათვის. მაგალითი: ინფლაციასთან ბრძოლის მიზნით ფედერალური სარეზერვო სისტემა 1980 წელს ბანკებს "დაეინებით ურჩევდა" შეზღუდათ კრედიტის ყოველწლიური გადიდება 6-8%-მდე, რაც გაკრძალის დაბალია სავარაუდო 20%-იან ზრდაზე.

## **საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა.**

### **წონასწორობითი წეს და შესხების ღონე**

თუმცა ყველა ერთსულოვანია იმაში, რომ ფედერალურ სარეზერვო სისტემას ფულის მიწოდების შეცვლის ინსტრუმენტები გააჩნია, მაგრამ მნიშვნელოვანი უთანხმოება არსებობს იმის თაობაზე, ფულის მიწოდების ცვლილებები რა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ახლა ჩვენ მივმართავთ ეკონომიკური პოლიტიკის ინტერპრეტაციას, რომელიც ჭარბობს კეინსურ ეკონომიკურ თეორიაში. მე-18 თავში დავწვრთვებით იქ-



### ნახ. 17-2. საკრედიტო ფულადი პოლიტიკა და წონასწორობითი წყ: კეინსური შეხედულება

იაფი ფულის პოლიტიკა ამცირებს სარგებლის განაკვეთს, ზრდის ერთობლივი დანახარჯების საინვესტიციო კომპონენტს და ამით ადიდებს წმკ-ის წონასწორობით დონეს. ასეთი ფულის პოლიტიკა, პირიქით, ადიდებს სარგებლის განაკვეთს, ამცირებს ერთობლივი დანახარჯების საინვესტიციო კომპონენტს და ზღუდავს მოთხოვნის ინფლაციას.

ნება განხილული მონეტარისტული შეხედულება ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

### მიზეზ-შედეგობრივი კავშირი: კეინსური შეხედულება

სახელდობრ, როგორ მუშაობს ეკონომიკური პოლიტიკა სრული დასაქმებისა და საფასო სტაბილურობის მისაღწევად? ძირითადი ფაქტორები და თანაფარდობანი ნაჩვენებია 17-2 ნახაზზე.

იაფი ფულის პოლიტიკა ამცირებს სარგებლის განაკვეთს, ზრდის ერთობლივი დანახარჯების საინვესტიციო კომპონენტს და ამით ადიდებს წმკ-ის წონასწორობით დონეს. ასეთი ფულის პოლიტიკა, პირიქით, ადიდებს სარგებლის განაკვეთს, ამცირებს ერთობლივი დანახარჯების საინვესტიციო კომპონენტს და ზღუდავს მოთხოვნის ინფლაციას.

**ფულის ბაზარი.** ნახაზზე გამოსახულია ფულის ბაზარი  $D_m$  მოთხოვნის და  $M_m$  მიწოდების შეერთებული მრუდებით. მე-15 თავიდან<sup>1</sup> თქვენ გახსოვთ, რომ ფულზე საერთო მოთხოვნა შედგება გარიგებისათვის ფულზე მოთხოვნის და აქტივების მხრივ ფულზე მოთხოვნისაგან. გარიგებისათვის ფულზე მოთხოვნა ეკონომიკური გარიგების დონის პირდაპირპროპორციულია, რომელიც ხასიათდება ნომინალური  $V_{M1}$ -ის სიდიდით. მოთხოვნა აქტივების მხრივ უკუდამოკიდებულებაში იმყოფება სარგებლის განაკვეთთან. თქვენ ასევე გახსოვთ, რომ სარგებლის განაკვეთი წარმოადგენს აქტივების სახით ფულის ფლობის ფარულ დანახარჯებს; რაც უფრო მაღალია დანახარჯები, მით ნაკლები ფული უნდათ ხელზე.  $M_{17-2}$  ნახაზზე ფულზე საერთო მოთხოვნა იცვლება სარგებლის განაკვეთის უკუპროპორციულად. ამ ნახაზზე ნომინალური  $V_{M1}$ -ის გადიდება  $D_m$ -ს გადაადგილებს მარჯვნივ, ნომინალური  $V_{M1}$ -ის შემცირება კი  $D_m$ -ს გადაადგილებს მარცხნივ.

ფულის ბაზრის გამოსახვას ჩვენ ვამთავრებთ ფულის  $M_m$  მიწოდების დამატებით. ფულის მიწოდება წარმოდგენილია ვერტიკალური წრფით, იმ წანამდგრებიდან გამომდინარე, რომ იგი ისეთი მუდმივი სიდიდის ტოლია, რომელიც მმართველთა საბჭოს პოლიტიკით განისაზღვრება, სარგებლის განაკვეთისაგან დამოუკიდებლად. სხვა სიტყვებით, თუ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა (ფულის მიწოდება) ხელს უწყობს სარგებლის განაკვეთის დადგენას, სარგებლის განაკვეთი თავის მხრივ ზეგავლენას არ ახდენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე. 17-2ა ნახაზი გვიჩვენებს, რომ თუ ფულზე მოცემული მოთხოვნის პირობებში ფულის მიწოდება 150 მლრდ დოლარია, სარგებლის წონასწორობითი განაკვეთი 8-ის ტოლი იქნება. როგორც თქვენ მე-12 თავიდან გახსოვთ, სწორედ სარგებლის რეალურ და არა ნომინალურ განაკვეთს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საინვესტიციო გადაწყვეტილებისათვის. მაშასადამე, ჩვენ აქ გამოვდივართ ფასების მუდმივი დონიდან და ვვარაუდობთ, რომ 8%-იანი განაკვეთი, რომელიც 17-2ა ნახაზზეა გამოსახული, სარგებლის რეალური განაკვეთია.

**ინვესტიციები.** ეს 8%-იანი განაკვეთი განსაზღვრავს 17-2ბ ნახაზზე ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდს. ჩვენ ვხედავთ, რომ 8%-ის ტოლი სარგებლის განაკვეთის პირობებში საწარმოებისათვის ხელსაყრელია 20 მლრდ დოლარის ინვესტირება. კაპიტალდაბანდებები მეტი იქნება სარგებლის განაკვეთის 8%-ზე დაბალი დონის პირობებში და ნაკლები

1. შესაძლოა თქვენთვის სასარგებლო იყოს კვლავ გადაიკითხოთ მე-15 თავის განყოფილება „ფულზე მოთხოვნა“.

აღმოჩნდება 8%-ზე მეტი განაკვეთის დროს. ეკონომისტები ერთიან მოსაზრებად მივიდნენ იმის შესახებ, რომ საერთო დანახარჯების საინვესტიციო კომპონენტზე ზეგავლენას ახდენს უწინარეს ყოვლისა, სარგებლის განაკვეთის ცვლილება, ვიდრე მოხმარებაზე დანახარჯების შეცვლა. ცხადია, აბსოლუტურად სწორია, რომ მომხმარებლის მიერ ავტომობილების შესყიდვის რაოდენობა, რომელიც დიდადაა დამოკიდებული განვადებით დასაფარავი კრედიტისაგან, მგრძობიარეა სარგებლის განაკვეთისადმი. მაგრამ მოლიანად სარგებლის ნორმა არ განსაზღვრავს იმას, თუ როგორ ანაწილებენ საოჯახო მეურნეობები მათ ხელს არსებულ შემოსავალს მოხმარებასა და დაზოგვას შორის.<sup>1</sup>

კაპიტალური მოწყობილობის, საწარმოო ნაგებობების, სასაქონლო მარაგების და ა.შ. შექმნის დიდი მოცულობისა და ხანგრძლივადიანობის გამო სარგებლის ცვალებადი განაკვეთის ზეგავლენა საინვესტიციო დანახარჯებზე ძალზე მნიშვნელოვანია. ასეთი შესყიდვებისათვის მიღებული სესხების სარგებლის გადასახადების აბსოლუტური მოცულობა ძალზე დიდია. სარგებლის დანახარჯები სახლის შექმნის ხანგრძლივადიანი კონტრაქტის მიხედვით ასევე ძალზე დიდია: სარგებლის განაკვეთის ნახევარმა პროცენტმა შესაძლოა შეადგინოს ათასობით დოლარები სახლის შექმნის საერთო დანახარჯებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ სარგებლის განაკვეთის ცვლილებებმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს საინვესტიციო დანახარჯებზე, ასევე კაპიტალური მოწყობილობისა და ობლიგაციების შექმნის შედეგებითი მიზიდველობის შეცვლის მეშვეობით. თუ სარგებლის განაკვეთი ობლიგაციებზე აიწვეს, მაშინ წარმოების საშუალებათა შექმნისაგან მოსალოდნელი მოგების პირობებში საწარმოები ამჯობინებენ დაგროვება გამოიყენონ ფასიანი ქაღალდების შესაძენად, ვიდრე კაპიტალური მოწყობილობის ყიდვისათვის. და პირიქით, საინვესტიციო დანახარჯებიდან მოსალოდნელი მოგების პირობებში სარგებლის ნორმის დაცემა წარმოების საშუალებათა შექმნას უფრო მიზიდველს გახდის, ვიდრე ობლიგაციების შექმნას. მოკლედ, რომ ვთქვათ, სარგებლის ცვალებადი განაკვეთის ზეგავლენა თავს იჩენს პირველ რიგში საინვესტიციო დანახარჯებ-

1. ნაძვილად გაუგებარია სარგებლის განაკვეთის შემცირება ახდებს იუ აქტივებს მოხმარების დონეს. ერთი მხრივ, სარგებლის უფრო დაბალი განაკვეთის შეიძლება შეაგულონოს ზოგიერთი საოჯახო მეურნეობა. რომლებიც მცირე ბიზნესითაა დაკავებული. ნაკლები დაზოგვის უნაიდან სესხის აღება ეხლა იაფი ჯდება. მეორე მხრივ, მათივის, ვინც ზოგავს რათა უზრუნველყოს თავისთვის განსასღეროული შემოსავალი პენსიასე გასვლის შემდეგ, ან სახსრება დააგროვოს შეიძლების განათლების მიზნით, უფრო დაბალი სარგებლის განაკვეთი ნიშნავს, რომ საჭირო შემოსავლის მიხედვად აუცილებელი იქნება უფრო მეტი დანახარჯი.

ში, ხოლო ამ არხის მეშვეობით წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონეში. უფრო კონკრეტულად, საინვესტიციო დანახარჯები, როგორც 17-2ბ ნახაზზე ნაჩვენებია, უკუპროპორციული დამოკიდებულებით იცვლება სარგებლის განაკვეთის მიმართ.

წონასწორობითი წმკ. და ბოლოს, 17-2გ ნახაზზე 20 მლრდ დოლარი 17-2ბ ნახაზიდან გადატანილია კერძო, დახურული ეკონომიკის შემოსავალ-გასავლის მარტივ მოდელში წმკ-ის წონასწორობითი დონის განსახლდრისათვის. ჩვენ ვხედავთ, რომ  $I_{HI}$  უდრის დანახარჯებს წმკ-ის 470 მლრდ დოლარის დონის პირობებში.

## ი ა შ ი ფ უ ლ ი ს კ ო ლ ი ტ ი კ ა

თუ წონასწორობით წმკ-ს - 470 მლრდ დოლარის დონეზე, რომელიც გამოსახულია 17-2გ ნახაზზე, შეესაბამება მნიშვნელოვანი უმუშევრობა და წარმოებრივ სიმძლავრეთა არასრული გამოყენება, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ უნდა გამოიყენოს იაფი ფულის პოლიტიკა. გავიხსენოთ, რომ იაფი ფულის პოლიტიკა კრედიტს იაფსა და ადვილად ხელმისაწვდომს ხდის. ფულის მიწოდების გადიდებისათვის ფედერალური სარეზერვო ბანკები განსახლდრული კომბინაციით მიმართავენ შემდეგ ქმედებებს: (1) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შექენა ღია ბაზარზე ბანკებისა და მოსახლეობისაგან, (2) სარეზერვო წირმის კანონით დაწესებული შემცირება და (3) საანგარიშო განაკვეთის შემცირება. ამის შედეგად გაიზრდება კომერციული ბანკების ჭარბი რეზერვები. თუ კი ჭარბი რეზერვები კომერციული ბანკების მიერ დაკრედიტების გზით ფულის მიწოდების საფუძველია, ჩვენ შეიძლება ველოდოთ, რომ ქვეყანაში ფულის მიწოდება გაიზრდება. ფულის მიწოდების ზრდა შეამცირებს სარგებლის განაკვეთს, გამოიწვევს რა ინვესტიციების გადიდებასა და წონასწორობითი წმკ-ის მატებას. სიდიდე, რომლითაც წმკ გაიზრდება, დამოკიდებულია ინვესტიციის გადიდებასა და შემოსავლების მულტიპლიკატორის სიდიდისაგან.

უფრო კონკრეტულად, თუ წმკ, რომელიც სრული დასაქმებით ხასიათდება, 490 მლრდ დოლარია, მაშინ ფულის მიწოდების გაფართოება 150-დან 175 მლრდ დოლარამდე შეამცირებს სარგებლის განაკვეთს 8-დან 6-მდე, როგორც 17-2ა ნახაზზე აღნიშნულია, და გაზრდის ინვესტიციების მოცულობას 20-დან 25 მლრდ დოლარამდე, როგორც 17-2ბ

ნახაზება ნაწვენები. ინვესტიციების გრაფიკის ზევით გადაადგილება 17-ზე ნახაზზე, I<sub>11</sub>-დან I<sub>12</sub>-მდე 5 მლრდ დოლარის სიდიდით, შესაბამისი მულტიპლიკატორის პირობებში, რომელიც 4-ის ტოლია, წონასწორობით წმკ-ს გაზრდის 470 მლრდ დოლარიდან სასურველ 490 მლრდ ცხრილი 17-3 საკრედიტო პოლიტიკა: კეინსური ინტერპრეტაცია

(1). იაფი ფულის პოლიტიკა	(2) ძვირი ფულის პოლიტიკა
<u>პრობლემა</u> : უმუშევრობა და დაქვეითება	<u>პრობლემა</u> : ინფლაცია
ფედერალური სარეზერვო სისტემა ყიდულობს ობლიგაციებს, ამცირებს სარეზერვო ნორმას	ფედერალური სარეზერვო სისტემა ყიდის ობლიგაციებს, ზრდის სარეზერვო ნორმას ან ადიდებს საანგარიშო განაკვეთს
ფულის მიწოდება იზრდება	ფულის მიწოდება მცირდება
სარგებლის განაკვეთი ეცემა	სარგებლის განაკვეთი იზრდება
საინვესტიციო დანახარჯები იზრდება	საინვესტიციო დანახარჯები მცირდება
რეალური წმკ-ი იზრდება ინვესტიციების ჯერადი გადიდების თანხით	ინფლაცია მცირდება

დოლარამდე, რომელიც სრული დასაქმებით ხასიათდება.

## ძვირი ფულის პოლიტიკა

პირაქით, თუ თავდაპირველი 470 მლრდ დოლარი მთახოვნის ინფლაციას წარმოშობს, ფედერალური სარეზერვო სისტემა მიმართავს ძვირი ფულის პოლიტიკას, ეს კი, როგორც გახსოვთ, ამცირებს კრედიტის ხელმისაწვდომობას და ზრდის მანახარჯებს. ფედერალური სარეზერვო სისტემის საბჭო ფედერალურ სარეზერვო ბანკებს მითითებას აძლევს რაღაც კომბინაციით მიმართოს შემდეგ ქმედებებს: (1) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ღია ბაზარზე დემონსტრირ დაწე-

სებულებებსა და მოსახლეობაზე, (2) კანონით დაწესებული სარეზერვო ნორმის, ან საანგარიშო განაკვეთის გადიდება. ამის შედეგად ბანკები და ინახვენ, რომ მათი რეზერვები ძალზე (ჯოჯა კანონით დადგენილი სარეზერვო ნორმის დასაკმაყოფილებლად, ე.ი. მათი მიმდინარე ანგარიშები ძალზე დიდია მათ რეზერვებთან შედარებით, როგორ შეუძლიათ დეპოზიტურ დაწესებულებებს სარეზერვო ნორმის მოთხოვნათა შესრულება, როცა საკპარისო რეზერვები არ გააჩნიათ? პასუხი იმაშია, რომ მათ თავიანთი მიმდინარე ანგარიშები უნდა შეამკვირონ ახალი სესხების გაკემისაგან თავის შეკავებით, მას შემდეგ რაც ძველები გასკუმრებულა. ამის შედეგად ფულის მიწოდება შემცირდება და გამოიწვევს სარგებლის განაკვეთის შემცირებას, სარგებლის განაკვეთის ხრდა შეამკვირებს ინვესტიციებს, შეამკვირებს რა ერთობლივ დანახარჯებს და შეხლუდავს მოთხოვნის ინფლაციას.


ნაოცლევით აღნიშნული. თუ წმკ-ის დონე, რომელიც სრული დასაქმებითა და ინფლაციით ხასიათდება 450 მლრდ დოლარია, მაშინ არსებობს საინფლაციო გარღვევა 5 მლრდ დოლარი. ე.ი. წმკ-ის 470 მილიარდიანი დონის პირობებში დაგეგმილი ინვესტიციები გადააჭარბებს დანახოებს, და მაშასადამე, ერთობლივი დანახარჯებიც გადაამეტებენ წარმოების საერთო მოცულობას 5 მილიარდით. ფულის მიწოდების შემცირება 150-დან 125 მლრდ დოლარამდე, გაზრდის სარგებლის განაკვეთს 8-დან 10%-მდე, როგორც 17-2ბ ნახახუა ნახევენები, და შეამკვირებს ინვესტიციათა დონეს 20-დან 15 მლრდ დოლარამდე, როგორც 17-2ბ ნახახუა ნახევენები. ინვესტიციების გრაფიკის შექდგამში გადაადგილება ქვევით 17-2გ ნახახუე  $I_{111}$  -დან  $I_{113}$ -სკენ 5 მლრდ დოლარით გასითათანებრებს დაგეგმილ ინვესტიციებს და დანახოებს, და მაშასადამე, ერთობლივ დანახარჯებსა და წარმოების საერთო მოცულობას ქვექანში წმკ-ის 450 მილიარდიანი დონის პირობებში, მოსპობს რა ამით თავდაპირველ საინფლაციო გარღვევას.

17-3 ცხრილში მოცემულა საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მქცანის მის ძველი, ტრადიციული ინკურპორაცია. გირსეით ყურადღებით შეისწავლოთ ეს ცხრილი.

## დახუსტიბები და უკუკავშირი

17-2 ნახაზის გრაფიკები საშუალებას იძლევა (1) შევაფასოთ ზოგიერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობას და (2) ყურადღება მივაქციოთ „უკუკავშირს“ ან „წრიულობის“ პრობლემის არსებობას, რაც ართულებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

**პოლიტიკის ეფექტიანობა.** 17-2 ნახაზზე აღნიშნულია სარგებლის განაკვეთის, ინვესტიციების და წონასწორობითი  $WPI$ -ის სიდიდეები, რომლებიც გამოწვეულია იაფი ან ძვირი ფულის პოლიტიკით. ეს სიდიდეები დამოკიდებულია ფულზე მოთხოვნისა და ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდთა განსაზღვრულ ფორმაზე. თქვენ შეგიძლიათ დახაზოთ სხვა მრუდები, რათა დარწმუნდეთ, რომ რაც უფრო ციკაბოა  $D_{100}$  მრუდი, მით მეტი



ნახ.17-3 საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა და  $AD-AS$  - მოდელი

ერთობლივი მაწოდების მრუდის თითქმის პორი-ლინტალურ, კეისისურ მონაცემიზე იაფი ფულის პოლიტიკა ძირითადად შემოქმედებს წარმოების რეალური მოცულობას და დასაქმებაზე, ხოლო ფასების დონეზე არ შემოქმედებს. თითქმის ვერტიკალურ, კლასიკურ მონაცემზე იაფი ფულის პოლიტიკა მოვლადელია, რამდენადაც იგი გამოიწვევს ინფლაციას და მოგვცემს წარმოების რეალური მოცულობის და დასაქმების ძალზე უწინ-წინდელ სიჩქარეს ან სრულყოფილ არ გაზრდის მას. ძვირი ფულის პოლიტიკის შემოქმედება ეკონომიკასე რთულდება მოუქნელობით. ფასების და ხელფასის განაკვეთების შეცვლების თვალსაზრისით.



იქნება ფულის მიწოდების ყოველი მოცემული ცვლილების ზემოქმედება სარგებლის წონასწორობით განაკვეთზე შემდგომ, სარგებლის განაკვეთის ყოველი მოცემული გადადება, მით უფრო ძლიერ ზეგავლენას მოახდენს ინვესტიციათა მოცულობაზე (და მაშასადამე, წონასწორობით წ'პ-ზეც), რაც უფრო დამრეკია ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი. სხვა სიყვებით, ფულის რაოდენობის მოცემულ ცვლილებას ყველაზე მეტი ეფექტი ექნება მაშინ, როდესაც ფულზე მოთხოვნის მრუდი შედარებით ციკაბოა, ხოლო ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი კი შედარებით დამრეკია. და პირიქით, ფულის მოცემული ცვლილება, შედარებით არაეფექტიანი იქნება, მაშინ, როდესაც ფულზე მოთხოვნის მრუდი დამრეკია, ხოლო ინვესტიციებზე მოთხოვნისა კი ციკაბოა. როგორც ჩვენ მე-18 თავში გავიგებთ, სერიოზული უთანხმოება არსებობს ამ მრუდთა ზუსტი ფორმი, და მაშასადამე, საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობის თვალსაზრისით.

უკუკავშირის ეფექტი. ყურადღებიანმა მკითხველმა შეიძლება შეამჩნია კიდევაც 17-2 ნახაზზე უკუკავშირის პრობლემა, რომელიც ართულებს საკრედიტო-ფულად პოლიტიკას და ზემოქმედებს მის ეფექტიანობაზე. ამ პრობლემის არსი შემდეგშია: 17-2 ნახაზის მარცხნიდან შეხედვით (რაც ჩვენ გავაკეთეთ კიდევ) დავინახეთ, რომ სარგებლის განაკვეთი, რომელიც ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის მეშვეობით მოქმედებს, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს წონასწორობით წ'პ-ს. ახლა, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს მიხეხობრიობის სხვა მიმართულებაც. წ'პ-ის დონე განსაზღვრავს სარგებლის წონასწორობით განაკვეთს. ეს კავშირი არსებობს, რამდენადაც ფულზე მოთხოვნის მრუდის კომპონენტი, რომელიც გარიგებებისათვის ფულზე მოთხოვნას მიეკუთვნება, პირდაპირ დამოკიდებულია ნომინალური წ'პ-ის დონეზე.

როგორ ზემოქმედებს 17-2გ და 17-2ა ნახაზებს შორის უკუკავშირი საკრედიტო-ფულად პოლიტიკაზე? წ'პ-ის გადიდება, რომელიც გამოწვეულია იაფი ფულის პოლიტიკით, თავის მხრივ, გაზრდის მოთხოვნას ფულზე, ნაწილობრივ დაამუხრუჭებს და შეასუსტებს რა იაფი ფულის პოლიტიკის ძალისხმევას სარგებლის შემცირების მიმართულებით. და პირიქით, ძვირი ფულის პოლიტიკა შეამცირებს წ'პ-ს. მაგრამ ეს თავის მხრივ, ამცირებს მოთხოვნას ფულზე და ასუსტებს ძვირი ფულის პოლიტიკის თავდაპირველ შედეგს, რაც სარგებლის მომატებაში მდგომარეობს. ეს უკუკავშირი როგორც შემდგომ ვნახავთ, პოლიტიკური დილემის დედაარსს წარმოადგენს.

# საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა:

## AD-AS - მოდელი

ჩვენ შეგვიძლია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესახებ წარმოვდგინოთ გარმაკება ერთობლივი მოთხოვნა- ერთობლივი მიწოდების მოდელის დახმარებით. ფულადი პოლიტიკა, ფისკალურის (თავი 14) მსგავსად, მიწოდების მრუდში მოთავსებული ფაქტორებითაა შეხლუდული. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, 17-2 ნახაზსა და 17-3 ცხრილში წარმოვდგინოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იქიდან გამომდინარე, რომ საკრედიტო- ფულადი პოლიტიკა ზეგავლენას ახდენს უწინარეს ყოველისა, საინვესტიციო დანახარჯებზე, და ამით წარმოების რეალურ მოცულობასა და ფასების დონეზე. AD-AS მოდელი, და, კერძოდ, ერთობლივი მიწოდების მრუდი გვიხსნის, თუ როგორ ნაწილდება ინვესტიციების ცვლილებები წარმოების რეალური მოცულობის ცვლილებებსა და ფასების დონის ცვლილებებს შორის.

განვიხილოთ 17-3 ნახაზი. მე-11 თავში, როგორც თქვენ გახსოვთ, ერთობლივი მოთხოვნის მოცემული მრუდის მდებარეობის განსაზღვრისას ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ფულის მიწოდება ფიქსირებულია. ფულის მიწოდების გაზარდობა ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ. ფულის დიდი მიწოდება ეკონომიკას საშუალებას მისცემს მიაღწიოს წარმოების დიდ რეალურ მოცულობას, ფასების ნებისმიერი მოცემული დონის პირობებში. ფულის მიწოდების შემცირება, პირიქით, გადაადგილებს ერთობლივი მოთხოვნის მრუდს მარცხნივ.

ამრიგად, 17-3 ნახაზის მიხედვით ჩვენ ვამჩნევთ, რომ თუ ეკონომიკა დაქვეითების მდგომარეობაში იმყოფება და ხასიათდება ერთობლივი მოთხოვნის თითქმის პორიზონტალური, კუინსური მრუდის მონაკვეთით, იაფი ფულის პოლიტიკა ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაადგილებს  $AD_1$  -დან  $AD_2$  -კენ და დიდ გავლენას მოახდენს წარმოების რეალურ მოცულობასა და დასაქმებაზე, მაგრამ სუსტად ან საერთოდ არ მოახდენს გავლენას ფასების დონეზე.

მაგრამ, თუ ეკონომიკამ უკვე მიაღწია სრულ დასაქმებას ან ახლოსაა მასთან, ერთობლივი მოთხოვნის გადიდება სუსტ, ან არავითარ გავლენას არ მოახდენს წარმოების რეალურ მოცულობასა და დასაქმებაზე. თუმცა, იგი გამოიწვევს ფასების დონის არსებით გადიდებას. 17-3 ნახაზზე, ეს ნაჩვენებია ერთობლივი მოთხოვნის გადაადგილებით  $AD_3$  -დან,  $AD_1$  -კენ ერთობლივი მიწოდების მრუდის კლასიკურ ანუ ვერტიკალურ

მონაკვეთზე. თავისთავად იგულისხმება, რომ იაფი ფულის პოლიტიკა აშკარად მიუღებელია, როდესაც ეკონომიკა მიაღწევს ან ახლოსაა სრულ დასაქმებასთან. 17-3 ნახაზი მიუთითებს მიზეზს: იგი გამოიწვევდა მაღალ ინფლაციას.

მკითხველს შეუძლია თვითონ გააანალიზოს (1) იაფი ფულის პოლიტიკა შუალედურ მონაკვეთზე და (2) ძვირი ფულის პოლიტიკა, ყველა სამივე მონაკვეთზე. ძვირი ფულის პოლიტიკის გაანალიზებით, თქვენ უნდა განასხვავოთ ის შემთხვევა, როდესაც ფასები მოქნილად ითვლება შექცირების თვალსაზრისით და შემთხვევა, როდესაც ფასები მოქნილი არაა (გაიხსენეთ “მბრუნავის“ ეფექტი, ნახ.11-7). სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ფასები მოუქნელია მოკლევადიან პერსპექტივაში, უფრო მოძრავი ხდებიან დროთა მსვლელობაში. ძვირი ფულის პოლიტიკის მოკლევადიანი და ხანგრძლივადიანი შედეგები შეიძლება საკვებით განსხვავებული აღმოჩნდეს.

## საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ემპირიანობა

რამდენად წარმატებულია საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა? ახლანდელი საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობა დიდი კამათის საგანია.

## საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ძლიერი მხარეები

ეკონომისტთა უმეტესობა საკრედიტო-ფულად პოლიტიკას იხილავს ეროვნული, მასტაბილიზებული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილის სახით. მართლაც, საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის სასარგებლოდ შეიძლება მოვიტანოთ რამდენიმე კონკრეტული მოსაზრება.

1. სისწრაფე და მოქნილობა. ფისკალურ პოლიტიკასთან შედარებით საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა შეიძლება სწრაფად შეიცვალოს. ჩვენ ვიცით (თავი 14), რომ შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის გამოყენება შეიძლება დიდი ხნით გადაიდოს კონგრესში განხილვის გამო. სხვანაირადაა საქმე საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მიმართ. ფედერა-

ლური სარეზერვო სისტემის საბჭოს ღია ბაზრის კომპიტივი ყოველდღიურად დებულობს გადაწყვეტილებებს ფასიანი ქაღალდების ყიდვისა და გაყიდვის შესახებ და ამით ზემოქმედებს ფულის მიწოდებაზე და სარგებლის განაკვეთზე.

2. პოლიტიკური დაწოლისაგან იზოლირება. ფედერალური სარეზერვო სისტემის საბჭოს წევრები, როგორც გახსოვთ, 14 წლიანი ვადით ინიშნებიან. ამიტომ საბჭოს წევრები ძლიერ დაწოლას არ განიცდიან “ლობის” მხრივ და თანამდებობის დაკარგვისა არ ეშინიანო. ამრიგად, საბჭოსთვის უფრო ადვილია ვიდრე კონგრესისათვის პოლიტიკურად არაპოპულარული ღონისძიებების გატარება, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკის განვანსაღებისათვის ხანგრძლივ პერსპექტივაში. გარდა ამისა, თავისი ბუნებით საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა უფრო რბილი და კონსერვატიულია პოლიტიკური თვალსაზრისით, ვიდრე ფისკალური პოლიტიკა. სახელმწიფო ხარჯების ცვლილებები უშუალო ზეგავლენას ახდენს რესურსების განაწილებაზე, ხოლო საგადასახადო ცვლილებებს, უდაოდ, შორს მიმავალი პოლიტიკური შედეგები უნდა აქონდეს. საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა კი, პირიქით, მოქმედებს უფრო ფაქტობად და ამიტომ უფრო მისაღებად გვეჩვენება პოლიტიკური თვალსაზრისით.

3. მონეტარიზმი. შემდგომ თავში, ჩვენ დაწვრილებით გავანალიზებთ საკრედიტო-ფულადი და ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის მოსაზრებებში განსხვავებებს. აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ თუმიცა ეკონომისკოა უმრავლესობა, როგორც ფისკალურ, ისე საკრედიტო-ფულად პოლიტიკას სტაბილიზაციის ქმედით ინსტრუმენტად მიიჩნევენ, არსებობს ავტორიტეტულ ეკონომისკოთა ჯგუფი, რომლებიც მონეტარიზმებად იწოდებიან, და რომლებიც თვლიან, რომ ფულის მიწოდების შეკვლა - ეკონომიკური აქტიურობის დონის განსაზღვრის საკანონო ფაქტორია და ფისკალური პოლიტიკა შედარებით არაეფექტიანია.

## ნაკლოვანებები და პრობლემები

უნდა ვაღიაროთ, რომ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა განსაზღვრული შეზღუდულობით ხასიათდება და რეალურ სინამდვილეში რიგ სირთულეებს აწყდება.

1. ციკლური ასიმეტრია. ძვირი ფულის პოლიტიკას, თუ მას ენერგიულად გავატარებთ, ნამდვილად შეუძლია შეამციროს კომერციული ბანკების რეზერვების იმ წერტილამდე დაწვეა, რომელზედაც ბანკები

იძულებული არიან შეზღუდონ კრედიტების მოცულობა.ეს ნიშნავს ფულის მიწოდების შეზღუდვას. მაგრამ იაფი ფულის პოლიტიკა აწყდება პრობლემას,რომელიც გამოიხატება არდაზით: “თქვენ შეგიძლიათ ცხენი წყალთან ჩაიყვანოთ,მაგრამ ვერ შეძლებთ დააძალოთ მისი დაღვევა“. იაფი ფულის პოლიტიკას შეუძლია უზრუნველყოს კომერციული ბანკები საჭირო რეზერვებით, ე.ი. სესხების შეთავაზების შესაძლებლობა. მაგრამ მას არა აქვს იმის გარანტია,რომ ბანკები ნამდვილად გასცემენ სესხებს და ფულის მიწოდება გაიზრდება.თუ კი ლიკვიდობის მქონე ბანკებს არ სურთ კრედიტის შეთავაზება,იაფი ფულის პოლიტიკის გატარებისათვის მმართველთა საბჭოს ძალისხმევა ნაკლებეფექტიანი გამოდგება. მოსახლეობასაც შეუძლია ჩაფუშოს ფედერალური სარეზერვო სისტემის 'ხრახვები,ჭარბი რეზერვების სესხად აღებაზე უარის თქმით. გარდა ამისა, ის ფული,რომელსაც ფედერალური სარეზერვო ბანკები წარმართავენ ეკონომიკაში, შეიძენენ რა მოსახლეობისაგან ობლიგაციებს, შეიძლება მოსახლეობის მიერ გამოყენებული იქნას არსებული სესხების დასაფარავად.

დაზუსტება: ეს ციკლური ასიმეტრია საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის სერიოზული ხელშეშლელია ღრმა დეპრესიის პერიოდში.უფრო ნორმალურ პერიოდებში,ჭარბი რეზერვების მოჩვენება იწვევს დამატებითი კრედიტების მიწოდებას და ამით ფულის მიწოდების გაზრდას.

**2. ფულის მიმოქცევის სინქარის შეცვლა.** ფულადი მიმოქცევის თავლასაზრისით საერთო დანახარჯები შეიძლება განხილული იქნეს როგორც ფულის მიწოდება, გამრავლებული ფულის მიმოქცევის სინქარზე, ანუ, იმდენჯერ, რამდენჯერაც ჩვეულებრივი დოლარი იხარჯება საქონელსა და მომსახურებაზე წლის განმავლობაში.მაშასადამე,თუ ფულის მიწოდება - 150 მლრდ დოლარია, მაშინ საერთო დანახარჯები 600 მლრდ დალარს შეადგენს ფულის მიმოქცევის სინქარის 4-ის ტოლობის შემთხვევაში და მხოლოდ 450 მლრდ-ს ფულის მიმოქცევის სინქარის 3-ის ტოლობის შემთხვევაში.

თუმცა პრობლემა სადისკუსიოა, მაგრამ-ზოგიერთი კენისელი აღნიშნავს,რომ ფულის მიმოქცევის სინქარეს ფულის მიწოდების საპირისპირო მიმართულებით შეცვლის ტენდენცია გააჩნია,ამით ამუხრუჭებს ან საბოზს ფულის მიწოდების პოლიტიკით გამოწვეულ ცვლილებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინფლაციის დროს, როცა ფულის მიწოდება პოლიტიკით აზღუდება, ფულის მიმოქცევის სინქარეს ზრდის მიდრეკილება გააჩნია. და პირიქით, დაქვეითების პერიოდში ფულის მიმოქცევის

სინქარე შესაძლოა დაეცეს ფულის მიწოდების გასადიდებლად პოლიტიკურ ღონისძიებათა მიღებით.

წვრილმანების მეთვრამეტე თავამდე გადადებით უნდა აღინიშნოს, რომ ფულის მიმოქცევის სინქარე შეიძლება ასეთი იყოს აქტივების მხრივ ფულზე მოთხოვნის გამო. ჩვენ ვიცით, რომ იაფი ფულის პოლიტიკა, მაგალითად იწვევს ფულის მიწოდების გადიდებას, მაშინ მოთხოვნასთან შედარებით, და ამრიგად, სარგებლის განაკვეთის შემცირებას (ნახ. 17-2(ა)). მაგრამ ახლა, როცა სარგებლის განაკვეთი აქტივების სახით ფულის ფლობის ზღვრული დანახარჯები შემცირდა, მოსახლეობას მეტი რაოდენობის სახსრები ექნება ხელთ. ეს ნიშნავს, რომ დოლარები გადავლენ ხელიდან ხელში - საოჯახო მეურნეობებიდან საწარმოებზე, და პირიქით, უფრო ნაკლები სისწრაფით. სპეციალური ტექნოლოგიის გამოყენებით, ფულის მიმოქცევის სინქარე შემცირდა. მოვლენათა საპირისპირო მსვლელობის შემთხვევაში ძვირი ფულის პოლიტიკა, ალბათ, გამოიწვევს ფულის მიმოქცევის სისწრაფის გადიდებას.

3. ინვესტიციების ზეგავლენა. ზოგიერთი ეკონომისტი ეჭვობს, რომ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა ინვესტიციებზე იმდენად ძლიერ ზემოქმედებდეს, როგორც ეს 17-2 ნახაზზეა გამოსახული. როგორც აღინიშნა, ფულზე მოთხოვნის შედარებით დამრეცი მრუდის შეხამება ინვესტიციებზე მოთხოვნის შედარებით ციკაბო მრუდთან ნიშნავს, რომ ფულის მიწოდების მოკემული ცვლილება არ გამოიწვევს ინვესტიციათა ძალზე დიდ ცვლილებებს, და მაშასადამე, ცვლილებებს წონასწორობით წმკ-ში (ნახ. 17-2). გარდა ამისა, საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მოქმედება შეიძლება გართულდეს და დროებით დაბუხრულდეს კიდევ ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის მდებარეობის არახელსაყრელი ცვლილების შედეგად. მაგალითად, ძვირი ფულის პოლიტიკამ, რომელიც მიმართულია სარგებლის განაკვეთის გადიდებისაკენ, შეიძლება სუსტი ზეგავლენა მოახდინოს საინვესტიციო ხარჯებზე, თუ ერთდროულად ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი, საკმიანი ოპტიმიზმის ტექნიკური პროგრესის ან მომავალში კაპიტალზე უფრო მაღალი ე. ს. ბის მოლოდინის შედეგად გადაინაცვლებს მარჯვნივ (იხ. ნახ. 17-2b). ასეთი პირობებში საერთო ხარჯების ეფექტიანი შემცირებისათვის საკრედიტო-ფულადმა პოლიტიკამ სარგებლის განაკვეთები უნდა გაზარდოს ძალზე მნიშვნელოვნად, და პირიქით, სერიოზულმა დაქვეითებამ შეიძლება ძირი გამოუთხაროს მეწარმეობას, მკვეთრად გადაადგილოს ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი მარცხნივ და ამით იაფი ფულის პოლიტიკა უაზრობად აქციოს.

## მიზანთა ღილემა

ამას მიყვავართ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემასთან. რის გაკონტროლებას უნდა (ჯდილობდეს ფედერალური სარეზერვო სისტემა - ფულის მიწოდებისა თუ სარგებლის განაკვეთისას)? მიზანთა ეს ღილემა წარმოიშობა იმის გამო, რომ ხელმძღვანელ საკრედიტო-ფულად დაწესებულებებს არ შეუძლიათ ორივეს ერთდროულად სწავლიზება.

**პოლიტიკის ღილემა.** ამ ღილემის ნათელსაყოფად ისევე მივმართოთ ფულის ბაზრის დიაგრამას 17-2ა ნახაზე. დავუშვათ, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის მიზანია სარგებლის განაკვეთის სწავლიზაცია, რამდენადაც სარგებლის განაკვეთის მერყეობა საინვესტიციო ხარჯების დესტაბილიზებას იწვევს, და შემოსავლების მულტიპლიკატორის ზემოქმედებით მას ეკონომიკის დესტაბილიზაციამდე მიყვავართ. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ეკონომიკის ზრდის შესაბამისად, იზრდება  $M_2$ , რომელიც, თავის მხრივ, გაზრდის ფულზე მოთხოვნას გარიგებებისათვის, და მაშასადამე, ფულზე საერთო მოთხოვნას. ამის შედეგად სარგებლის წინასწორობითი განაკვეთი აიწვეს. სარგებლის განაკვეთის სწავლიზებისათვის - ე.ი. მის თავდაპირველ დონემდე შემცირებისათვის მმართველთა საბჭო ვალდებულია გაზარდოს ფულის მიწოდება. მაგრამ ამან შეიძლება უანსალი აღმავლობა საინფლაციო ბუზამ გადააქციოს, რის თავიდან აცილებასაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ცდილობს.

ანალოგიური სკენარი მისაღებია დაქვეითებისათვის.  $M_2$ -ის შემცირების, კლებულობს ფულზე მოთხოვნა და სარგებლის განაკვეთებიც ფულის მიწოდების უცვლელობის პირობებში. მაგრამ სარგებლის განაკვეთის შემცირების თავიდან ასაცილებლად მმართველთა საბჭომ უნდა შეამციროს ფულის მიწოდება. ფულის მიწოდების შემცირება ხელს შეუწყობს საერთო ხარჯების შემდგომ შეკვეცას და გააძლიერებს დაქვეითებას.

რა მოხდება თუ ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის მიზანია ფულის მიწოდება და არა სარგებლის განაკვეთი? ასეთ შემთხვევაში ფედერალური სარეზერვო სისტემა უნდა შეურიგდეს სარგებლის განაკვეთის მერყეობას, რომელიც ხელს შეწყობს ეკონომიკის არასტაბილურობას. გამარჯვებული ახსნა: ავიღოთ ნახ. 17-2ა და დავუშვათ, რომ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მიადღია საწადელ მიზანს, დაადგინა რა ფულის მიწოდება 150 მლრდ დოლარის დონეზე. ჩვენ

ვიცი, რომ ეპკ-ის ზრდა ადიდებს ფულზე მოთხოვნას და ასწევს სარკებლის განაკვეთს. სარგებლის განაკვეთის ეს გადიდება შეამცირებს საინვესტიციო ხარჯებს და ჩააქროდს ჯანსაღ ზრდას, რომელსაც ადგილი ექნებოდა წინააღმდეგ შემთხვევაში. ერთხელ კიდევ ხაზი უნდა გაეუსვით, რომ ხელმძღვანელ საკრედიტო-ფულად დაწესებულებებს უნარი არ შესწევთ ერთდროულად მოახდინონ ფულის მიწოდების და სარგებლის განაკვეთის სტაბილიზება.

ამასწინანდელი ისტორია. რამდენადაც ერთდროულად შეუძლებელია სარგებლის განაკვეთებისა და ფულის მიწოდების სტაბილიზება, სხვადასხვა აზრი არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მიზანია უმჯობესი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მნიშვნელოვანი პერიოდის მანძილზე ფედერალური სარეზერვო სისტემა ეყრდნობოდა სარგებლის განაკვეთების სტაბილიზებას. მაგრამ 60-იანი და 70-იანი წლების ბოლოს ასეთი საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა სერიოზულად იქნა გაკრიტიკებული, რამდენადაც ითვლებოდა, რომ იგი ხელს უწყობდა ინფლაციას, რომელმაც გასაქანი მიიღო იმ პეიოდში. კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ იმ ზომით, რა ზომითაც ინფლაციით გამოწვეული ნომინალური ეპკ-ის ზრდა ადიდებდა ფულზე მოთხოვნას და სარგებლის განაკვეთებსაც, ფედერალური სარეზერვო სისტემა სხვადასხვა ქმედებებს მიმართავდა ფულის მიწოდების გაფართოებისათვის, სარგებლის განაკვეთის აღმავლობისათვის ხელის შეშლის მიზნით. მაგრამ ფულის მიწოდების გაფართოება თითქოსდა ასაზრდოებდა ფასების დონის ზრდას, იწვევდა რა მიწვეული პროცესის განმეორებას. სხვა სიტყვებით, ითვლებოდა, რომ საკრედიტო-ფულად პოლიტიკას საინფლაციო მიდრეკილება გააჩნია.

ამის საფუძველზე 1979 წელს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება. მმართველთა საბჭომ გამოაცხადა, რომ ამერიიდან მისი პოლიტიკის მიზანი იქნება ფულის მიწოდების კონტროლი, რომელიც სარგებლის განაკვეთების მერყეობას შესაძლებლად მიიჩნევს გაცილებით უფრო ფართო ჩარჩოებში. ასეთი პოლიტიკა ბატონობდა სამი წლის მანძილზე და წარმატებით შეწყვეტა განმეორებითი სტიმულირების პროცესი, რომელიც ზემოთაა აღწერილი. ამასთან, სარგებლის განაკვეთები და მასთან ერთად რეალური ეპკ და დასაქმება არსებითად მერყეობდა.

1982 წლის ოქტომბერში პოლიტიკაში მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა - ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ უფრო პრაგმატული, ზომიერი პოზიცია დაიკავა, რომლის თანახმადაც განსაზღვრული ყურად-



დება ეთიოპია, როგორც სარგებლის განაკვეთის, ისე ფულის მიწოდებას, მაგრამ აშკარა უპირატესობა არც ერთ ამ მიზანს არ ეძლევა. ეს უფრო მოქნილი მიდგომა იყო. იგი გამოვილინდა, მაგალითად, საფონდო ბირჟის 1987 წლის ოქტომბრის კრახის შემდეგ, როდესაც ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ სწრაფად მიაზარა საბანკო სისტემა რეზერვების მნიშვნელოვანი რაოდენობით, რათა ხელი შეეწყო ფინანსისტთა გადაუდებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის და თავიდან აეცილებინა მომხმარებელთა და საწარმოთა ხარჯების შესაძლო შემცირება. ასეთი ფულადი გადასხმა (ფულის მიწოდების გადიდება) მოხდა მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა სრულ დასაქმებას უახლოვდებოდა.

გარდა ამისა, ახლახანს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მოქნილობა გამოავლინა თავისი საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის სიმკაცრის ან ღმობიერების განსაზღვრაში. 80-იან წლებში შემნახველმა დაწესებულებმა და ბანკებმა შექმნეს სარგებლის მომტანი საჩუქო დეპოზიტები, რომლებიც შეტანილია M1-ში. მაგრამ ფონდების გადატანამ უჩუო ანაბრებიდან, ე.ი. M2-დან M3-სკენ სარგებლის მომტან ამ ანგარიშზე, გამოიწვია M1-ის გაბერვა. რამდენადაც ადამიანები M1-ის ნაწილს, უწინარეს ყოვლისა, დაზოგვისთვის იყენებდნენ, ვიდრე გარიგებებისათვის, ურთიერთკავშირი M1-ის და ნომინალური წმკ-ის ცვლილებებს შორის სერიოზულად მოიშალა. ამიტომ M1 საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ნაკლებმნიშვნელოვანი მიზანი გახდა. 1988 წელს ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ზემოქმედების ობიექტების შერჩევისას ფულის მასის ზრდის უზრუნველსაყოფად ყურადღების ცენტრი M1-დან M2 და M3-ზე გადაიტანა (იხ. თავი 15).

მოკლედ რომ ვთქვათ, უკანასკნელ პერიოდში ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკას უდაოდ “ჭორებით თამაშის“ ხასიათი აქვს. საკრედიტო-ფულადი პოლიტიკისადმი ასეთი მიდგომა დაამტკიცებს თუ არა დიდ ეფექტიანობას სხვა მიდგომებთან შედარებით, ჯერჯერობით გაუგებარია. და ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მიზანთა დილემას ჩვენ ისევ შევხვდებით მე-18 თავში.

# საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა და საერთაშორისო ეკონომიკა

მე-14 თავში ჩვენ დავადგინეთ, რომ მსოვლითი სხვადასხვა ქვეყნის სახალხო მეურნეობებს შორის კავშირები ართულებენ საშინაო ფისკალურ პოლიტიკას. იგივე შეძლება ითქვას საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის შესახებ.

წმინდა ექსპორტის ეფექტი. როგორც იქვენ მე-14 თავიდან გახსოვთ, ექსპანსიონისტური (დეფიციტური) ფისკალური პოლიტიკა ადიდებს ფულზე მოთხოვნას და მალე სწევს სარგებლის განაკვეთის ქვეყანაში. სარგებლის განაკვეთის გადიდება ზრდის უცხოურ საფინანსო ინვესტიციებს აშშ-ში, აძლიერებს დოლარებზე მოთხოვნას უცხოურ სავალუტო ბაზარზე და ადიდებს დოლარის საერთაშორისო ფასს. კალუტის ღირებულების გადიდება იწვევს წმინდა ექსპორტის შემცირებას, და შესაბამისად, ასუსტებს ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედებას (ნახ. 14-6).

გაანია თუ არა იაფი ფულის პოლიტიკას მსგავსი ეფექტი? როგორც 17-4 ცხრილის პირველ სვეტშია ნაჩვენები, ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითია. იაფი ფულის პოლიტიკას, ანუ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია დაქვეითების შესუსტებისაკენ, ნამდვილად გაანია წმინდა ექსპორტის ეფექტი, მაგრამ მისი ზემოქმედების მიმართულება იმის საპირისპიროა, რაც ექსპანსიონისტური ფისკალური პოლიტიკის დროს ხდება. იაფი ფულის პოლიტიკა ამცირებს სარგებლის განაკვეთს ქვეყნის შიგნით და არ ადიდებს მას. სარგებლის განაკვეთის დაკლება ამცირებს ფინანსური კაპიტალის მოდენას აშშ-ში. მაშასადამე, მოთხოვნა დოლარებზე უცხოურ სავალუტო ბაზარებზე ეცემა, იწვევს რა დოლარის ღირებულების გაუფასურებას. მარტივად რომ ვთქვათ, უფრო მეტი დოლარი იქნება საჭირო ვოქვათ, იენის ან ფრანკის საყიდლად. ეს ნიშნავს, რომ უცხოური საქონელი გაძვირდება ამერიკელებისათვის, და პირიქით, ამერიკული საქონელი უფრო იაფი გახდება უცხოელებისათვის. რა ხდება ამის შედეგად? აშშ იმპორტი შემცირდება, ხოლო ექსპორტი გაფართოვდება, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, აშშ წმინდა ექსპორტი გაიზრდება. ამით საერთო დანახარჯები და წონასწორობითი წიკ აშშ-ში გაიზრდება.

დასკვნა: ექსპანსიონისტური ფისკალური პოლიტიკისაგან განსხვავებით, რომელიც ამცირებს წმინდა ექსპორტს, იაფი ფულის პოლიტიკა ადიდებს წმინდა ექსპორტს. სარგებლის განაკვეთების ცვლილებებით

ცხრილი 17-4. საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა და წმინდა ექსპორტის ეფექტი

(1) იაფი ფულის პოლიტიკა	(2) ძვირი ფულის პოლიტიკა
პრობლემა: დაქვეითება, ნელი ზრდა	პრობლემა: ინფლაცია
იაფი ფულის პოლიტიკა (სარგებლის უფრო დაბალი განაკვეთი)	ძვირი ფულის პოლიტიკა (სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთი)
შემკარებელი მოახონა დოლარებზე საზღვარგარეთ	შხარდი მოახონა დოლარებზე საზღვარგარეთ
დოლარი უფასურდება	დოლარის ღირებულება იზრდება
წმინდა ექსპორტი ფართოვდება (ფარსიოვდება ერთობლივი მოთხოვნა)	წმინდა ექსპორტი მკირდება (ერთობლივი მოახონა მკირდება)

გამოწვეული საერთაშორისო ფინანსური კაპიტალის ნაკადები აშშ-ში აძლიერებენ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ქვეყნის შიგნით ამასთან დაკავშირებით თქვენ დამოუკიდებლად უნდა გააკეთოთ 17-4 ცხრილის მე-2 სვეტის ანალიზი.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა და სავაჭრო ბალანსი. ახლა დაეუბრუნდეთ 17-4 ცხრილს და დავეუშვათ, რომ საშინაო მაკროეკონომიკური სტაბილურობის პარალელურად მნიშვნელოვან ამოჯანდალ ითვლება აშშ-ს მიერ დოლარული ბალანსის მიღწევა მის ექსპორტსა და იმპორტს შორის, ანუ საერთაშორისო სავაჭრო ბალანსის მიღწევა.

ისევ განვიხილოთ 17-4 ცხრილის პირველი სვეტი, მაგრამ ახლა დავუშვათ, რომ აშშ საერთაშორისო სავაჭრო ბალანსის დიდი დეფიციტი გააჩნია, რაც იმპორტის, ექსპორტზე არსებით გადამეტებას ნიშნავს პირველ სვეტში მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისათვის თვალყურის მიდევნებით, ჩვენ დაეინახავთ, რომ იაფი ფულის პოლიტიკა ამცირებს დოლარის საერთაშორისო ღირებულებას იმ დონემდე, როცა ექსპორტი ფართოვდება და იმპორტი იკვეცება. ეს გადიდება გაასწორებს სავაჭრო

ბალანსის დეფიციტს, რაც, როგორც ჩვენ ვივარაუდეთ, თავიდან არსებობდა.

დასკვნა: იაფი ფულის პოლიტიკა, რომელიც უმუშევრობის შესარბილებლად და უნიათო ზრდის დასაჩქარებლად გამოიყენება, ეთავსება სავაჭრო ბალანსის დეფიციტის კორექტირების ამოცანას. პირიქით, თუ თავიდანვე ექსპორტი ჭარბობდა იმპორტს, ე.ი. აშშ-ს სავაჭრო ბალანსი დიდი აქტიური სალდო ექნებოდა - იაფი ფულის პოლიტიკა გაზრდიდა აქტიურ სალდოს.

ახლა განვიხილოთ 17-4 ცხრილის მე-2 სვეტი და კიდევ ერთხელ დავუშვათ, რომ თავდაპირველად აშშ-ს სავაჭრო ბალანსის დიდი დეფიციტი გააჩნია. ინფლაციის შესაზღუდად, თუ ძვირი ფულის პოლიტიკას მივმართავთ, დავინახავთ, რომ წმინდა ექსპორტი შემცირდება, ანუ, სხვა სიტყვებით, ექსპორტი შემცირდება, ხოლო იმპორტი გაიზრდება. ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს სავაჭრო დეფიციტის ზრდას.

დასკვნა: ძვირი ფულის პოლიტიკა, რომელიც ინფლაციის შესარბილებლად ტარდება, ეწინააღმდეგება სავაჭრო ბალანსის დეფიციტის კორექტირების ამოცანას. თუ ჩვენი თავდაპირველი პრობლემა ვაჭრობის აქტიურ სალდოში მდგომარეობდა, ძვირი ფულის პოლიტიკა გამოიწვევს ამ აქტიური სალდოს ლიკვიდაციას.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ იაფი ფულის პოლიტიკა ამსუბუქებს სავაჭრო დეფიციტს და ამძიმებს ვაჭრობის აქტიური სალდოს პრობლემას. ანალოგიურად, ძვირი ფულის პოლიტიკა ამსუბუქებს ვაჭრობის აქტიური სალდოს პრობლემას და ამძიმებს სავაჭრო დეფიციტს. საქმე ისაა, რომ განსაზღვრულ გარემოებათა გამო წარმოიშობა კონფლიქტი, ანუ ალტერნატივა ქვეყნის შიგნით ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისათვის საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის გამოყენებასა და მის საერთაშორისო ვაჭრობაში წონასწორობის დამყარებას შორის.

## **დასაქმების კინსური თეორია და პოლიტიკა**

ახლა დადგა დრო შევაჯამოთ და სინთეზირება მოვახდინოთ დასაქმების კინსური თეორიისა და სტაბილიზაციის პოლიტიკისა, რომელიც მასში ასოცირდება. უნდა ჩავუღრმავდეთ, თუ როგორ ერთიანდებიან მაკროეკონომიკური თეორიის მრავალი ანალიტიკური და პოლიტიკური ასპექტები, რომლებიც ამ და წინა თავებში განიხილება. 17-4 ნახაზი სწორედ იმ "დიდ სურათს" წარმოადგენს, რაც ჩვენ გვჭირდება. ამ დიაგრამა-

მის მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი გვინიშნებს თუ როგორ ეფარდებიან ერთმანეთს მრავალი ცნება და პრინციპი, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ და ქმნიან რესურსების გამოყენების დონის განსაზღვრის თეორიას საბაზრო ეკონომიკაში. მიაქციეთ ყურადღება, რომ ის ფაქტორები, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის ობიექტია ან მისი ძლიერ ზეგავლენაში იმყოფება, კურსითაა გამოყოფილი.

შევახსენებო 17-4 ნახაზის შინაარსს. თუ ვიმოძრავებთ მარცხნიდან მარჯვნივ, ჩვენ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ წარმოების, დასაქმების, შემოსავლის და ფასების დონეები პირდაპირ დამოკიდებულია ერთობლივ დანახარჯებთან. მეწარმეობით ფირმათა გადაწყვეტილება, რომ აწარმოონ საქონელი და შესაბამისად, გამოიყენონ რესურსები, დამოკიდებულია ფულის საერთო რაოდენობაზე, რაც დახარჯულია ამ საქონელზე. ერთობლივ დანახარჯთა დონის განსაზღვრისათვის, ჩვენ უნდა შევისწავლოთ მისი ოთხი კომპონენტი.

## $C_u + I_n + X_n + G$

სამომხმარებლო ხარჯების აბსოლუტური დონე დამოკიდებულია მოხმარების მრუდის მდებარეობაზე და  $W_{M3}$ -ის დონესა და არსებულ შემოსავლებზე. ეკონომისტთა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ მოხმარების გრაფიკი საკმაოდ სტაბილურია. ამიტომ დასაშვებია, რომ სამომხმარებლო დანახარჯთა აბსოლუტური დონე ჩვეულებრივ იცვლება წმინდა ეროვნულ პროდუქტში ცვლილებების პასუხად, რომლებიც განსაზღვრავს ერთობლივ დანახარჯთა დონეს. გარდა ამისა, მოხმარების მრუდის დახრილობას, რომელიც დამოკიდებულია  $M_{3M}$ -ისაგან (მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება), გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მულტიპლიკატორის სიდიდის განსაზღვრაში.

საინვესტიციო ხარჯები ერთობლივი დანახარჯების ძალზე ცვალებადი კომპონენტია და, ალბათ, ამიტომ წარმოადგენს წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონეთა მერყეობის მიზეზს. მიაქციეთ ყურადღება, რომ, როგორც ფისკალური პოლიტიკა (განსაკუთრებით გადასახადები), ისე საკრედიტო-ფულადიც ზემოქმედებს საინვესტიციო ხარჯებზე.

ჩვენ ვიცით, რომ წმინდა ექსპორტის ხარჯები განისაზღვრება ექსპორტის მოცულობისაგან იმპორტის გამოკლებით. იმპორტი და ექსპორტი განიცდის სავალუტო კურსის ზეგავლენას, მაგრამ იმპორტზე ზემოქმედებს საკუთარი ქვეყნის  $W_{M3}$ -ის დონე. ხოლო ექსპორტზე, სხვა


ქვეყნების წმკ-ის დონე. თავის მხრივ საეკლუტო კურსი დამოკიდებულია ფახების დონესა და სარგებლის განაკვეთებზე სხვადასხვა ქვეყანაში. ზემოქმედებს რა ქვეყნის ფახების დონესა და სარგებლის განაკვეთზე. საშინაო ფისკალური და საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა ზეგავლენას ახდენს ვალუტის კურსზე.

ერთობლივი ხარჯების ისეთი კომპონენტოროგორიც სახელმწიფო შესყიდვებია, მოხმარების ინვესტიციებისა და წმინდა ექსპორტისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი უშუალოდ სახელმწიფო პოლიტიკით განისაზღვრება. მოხმარების, ინვესტიციებისა და წმინდა ექსპორტის თაობაზე გადაწყვეტილებები მიიღება საოჯახო მეურნეობათა და საწარმოთა ინტერესებით. სახელმწიფო ხარჯების შესახებ გადაწყვეტილებები კი, უკიდურეს შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც, მიიღებიან საზოგადოების ინტერესების - წარმოებისა და დასაქმების მაღალი დონის და ასევე ფახების სტაბილური დონის რეალიზებისათვის.

## ფისკალური და საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა

ფისკალური პოლიტიკა გადასახადების შედეგად სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების ცვლილებებს იყენებს არაწონასწორობის მოვლენების გამოსარიცხავად. როგორც გამოწვეულია დაქვეითებითა და ინფლაციით. 17-4 ნახაზი საქმიად თვალნათლივ გვიჩვენებს სახელმწიფოს მასშტაბილიზებული როლის პოტენციალს; სახელმწიფო ხარჯები, როგორც ერთობლივი ხარჯების ოთხიდან ერთი კომპონენტიაგან, უშუალოდ ზემოქმედებს წარმოებაზე, დასაქმებასა და ფახების დონეზე. მეორე მხრივ, საგადასახადო პოლიტიკა გაშუალებით ტარდება ერთობლივი ხარჯების სამომხმარებლო და საინვესტიციო კომპონენტების მეშვეობით.<sup>1</sup> კერძოდ, გადასახადის შემცირება პირად შემოსავალზე გამოიწვევს მოხმარების გრაფიკის ზევით გადაადგილებას; გადასახადის გადიდება მას გადაადგილებს ქვემოთ, კორპორაციათა მოგების გადასახ-

1. კონონიკის წინა მოდელზე მაროქლებსაც წარმოადგენილი აქვს ცხრილისა (ცხრ. 14-2) და გრაფიკის (ნახ. 14-2) სახით. ჩვენ მივიღეთ მარტივი დაშვება, რომ ყველა გადასახადები მოსახლეობიდან გადასახადებს წარმოადგენდა და ამიტომ საგადასახადო ცვლილებები ესება მხოლოდ მოხმარებას.



**ცხრილი 17-4. დასაქმების კენისური თეორია და მასტაბილიზებული პოლიტიკა**

ამ სახაზისე გაეროიანებულა დასაქმების კენისური თეორიისა და მასტაბილიზებული პოლიტიკის სხვადასხვა კომპონენტები. მათეკივი ყურადღება, რომ ფაქტორები, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის ობიექტებია ან მათი ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებიან, კურსისუთაა გაბიყოფილი.

დღელების ან მეწარმეთა სხვა გადასახადების შემცირება აძლიერებს მოგების მოლოდინს, ინვესტიციებზე მოთხოვნის მრულს გადაადგილებს მარჯვნივ და სტიმულს აძლევს კაპიტალდაბანდებებს. გადასახადების გადიდება ასუსტებს მოგების მოლოდინს და ინვესტიციების სურვილს.

არსებობს დისკრეტული და ავტომატური ფისკალური პოლიტიკა. ავტომატური ანუ “ნაშენებული” სტაბილიზატორის პოლიტიკა წმინდა დაბეგვრის პროგრესული შკალა - გადასახადების ცვლილებას პირდაპირ შესაბამისობაში მოიყვანს ეროვნული შემოსავლის დონესთან. დისკრეტული პოლიტიკა დანახარჯების დონის ცვლილებასა და საგადასახადო განაკვეთებით ანუ გადასახადით დაბეგვრის სტრუქტურით მანიპულირებაში მდგომარეობს. ოფიციალურად მას კონგრესი ატარებს ეკონომიკის სტაბილიზებისათვის. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სახელმწიფო ხარჯების და გადასახადით დაბეგვრის პოლიტიკა გამოიყენება არა მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად, არამედ ასევე რესურსებისა და შემოსავლების გადასანაწილებლად. საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მოქმედება ეს-ესაა დეტალურად იქნა გაანალიზებული 17-2 ნახაზისა და 17-3 ცხრილის განხილვისას. ჩვენ დავინახეთ, რომ, როგორც ფისკალურმა ისე საკრედიტო-ფულადმა ღონისძიებებმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ წმინდა ექსპორტზე, სარგებლის ნორმასა და ფასების დონეზე ზემოქმედების მეშვეობით ქვეყნის შიგნით.

თუმცა ჩვენ განვიხილეთ ფისკალური და საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა ცალ-ცალკე, მაგრამ სინამდვილეში ისინი ურთიერთდაკავშირებული არიან და კოორდინირებული უნდა იქნან. ეს შეიძლება ილუსტრირებული იქნას უკუკავშირით, რომელიც ასახულია 17-2 ნახაზზე. ვთქვათ, სახელმწიფო ხარჯების განსაზღვრული გადიდების რაოდენობრივი მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, ახლავს თუ არა მას ფულის მიწოდების “შემგუებლური” ცვლილება. დავუშვათ, დადგენილია, რომ სრული დასაქმების დონის მისაღწევად ფაქტობრივ წეპ-ს არ ყოფნის 25 მლდრ დოლარი, და, რომ მულტიპლიკატორი 5-ის ტოლია. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში სახელმწიფო შესყიდვების 5 მილიარდიანი გადიდება ეკონომიკას სრულ დასაქმებამდე მიიყვანს. მაგრამ სინამდვილეში არ შეიძლება ველოდოთ, რომ სხვა პირობები - განსაკუთრებით სარგებლის განაკვეთი - უცვლელი დარჩება, როცა ეკონომიკა დამატებითი ხარჯების ზეგავლენით ზრდას დაიწყებს (ნახ. 17-2გ). წარმოებისა და წეპ-ის გაფართოებით, იზრდება მოთხოვნა ფულსა და გარიგებებზე და ფულის მოცემული მიწოდების პირობებში აიწვევს სარგებლის განაკვეთები (ნახ. 17-2ა). სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთები იწვევენ ზოგიერთ ინვესტიციათა “შენაცვლებას” (ნახ. 17-2ბ) და ამით ნაწილობრივ ასუსტებენ სახელმწიფო ხარჯების ზეგავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. მანამ, სანამ ფულის მიწოდების გადიდება არ მოახდენს სარგებლის განაკვეთის



სტაბილიზებას, შემოსავლების მულტიპლიკატორის ეფექტი, რაც განხილულია მე-13 და მე-14 თავებში, შემცირდება, რამდენადაც ფულის ბაზრის უკუზემოქმედება ამცირებს ინვესტიციებს და დანახარჯებს წმინდა ექსპორტზე. საკმე ისაა, რომ ფისკალური და საკრედიტო-ფულადი ღონისძიებები არ ტარდება იზოლირებულად. მასწავლებლებელი პოლიტიკის ეფექტიანობა გულისხმობს მათ მკაფიო კოორდინაციას.

## რ ე ზ ი უ მ ე

1. ფისკალური პოლიტიკის მსგავსად, საკრედიტო-ფულადი პოლიტიკაა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ეკონომიკაში წარმოების საერთო დონის ჩამოყალიბებას, რომელიც სრული დასაქმებით და ინფლაციის არარსებობით ხასიათდება.

2. საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის გატარებისას ფედერალური სარეზერვო ბანკების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი აქტივებია ფასიანი ქაღალდები და კომერციული ბანკების სესხები. ძირითადი ვალდებულებებია წევრი-ბანკების რეზერვები, ხაზინის დეპოზიტები და ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკნოტები.

3. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტებია: ა) ოპერაციები ღია ბაზარზე; ბ) სარეზერვო ნორმის ცვლილება და გ) საანგარიშო განაკვეთების ცვლილება.

4. შერჩევითი კონტროლის შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი საშუალებაა ზღვრული მარჟა, სამომხმარებლო კრედიტი და შეგონება.

5. კეინსელთა თვალსაზრისით საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა ხორციელდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების რთული ქსელის მეშვეობით: ა) პოლიტიკური გადაწყვეტილებები ზემოქმედებს კომერციული ბანკების რეზერვებზე; ბ) რეზერვების ცვლილებები ზემოქმედებს ფულის მიწოდებაზე; გ) ფულის მიწოდების ცვლილება ცვლის სარგებლის განაკვეთს; დ) სარგებლის განაკვეთის ცვლილება ზემოქმედებს ინვესტიციებზე, წონასწორობით წმკ-სა და ფასების დონეზე. 17-3 ცხრილში ყველა უშუალოდ დასაბუთებული დებულება, რომლებიც ეხება იაფი და ძვირი ფულის გამოყენების პოლიტიკას, გაერთიანებულია.

6. საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის უპირატესობები მის მოქნილობასა და პოლიტიკურ მიზანშეწონილობაში მდგომარეობს. გარდა ამისა, მონეტარისტები ფულის მიწოდებას ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად თვლიან, რომელიც განსაზღვრავს წარმოების დონეს ქვეყანაში.

7. საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა რიგ შეზღუდვებსა და პრობლემებს აწყდება ა) ჭარბი რეზერვები, რომლებიც გამოჩნდებიან იაფი ფულის პოლიტიკის შედეგად, შესაძლოა ბანკების მიერ არ იქნას გამოყენებული ფულის მიწოდების გასაფართოებლად; ბ) საკრედიტო-ფულადი პოლიტიკით გამოწვეული ფულის მიწოდების ცვლილება შეიძლება ნაწილობრივ კომპენსირებულ იქნას ფულის მიმოქცევის სინქარის ცვლილებით; გ) საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ზეგავლენა შესუსტდება, თუ ფულზე მოთხოვნის მრუდი დამრეცია, ხოლო ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი კი ციცაბო. ამასთან, ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი შეიძლება გადაადგილდეს საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ნეიტრალიზებით.

8. ხელმძღვანელი საკრედიტო-ფულადი დაწესებულებები პოლიტიკურ დილემას აწყებიან მათ შეუძლიათ სარგებლის განაკვეთის ან ფულის მიწოდების სტაბილიზება, მაგრამ არა ორივესი, ერთდროულად. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მიმართულება გადატანილი იქნა სარგებლის განაკვეთების სტაბილიზაციიდან ფულის მიწოდების კონტროლზე. ამის შემდგომ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა უფრო პრაგმატული გახდა.

9. იაფი ფულის პოლიტიკის ზეგავლენა ვშპ-ზე ძლიერდება წმინდა ექსპორტის თანამდევნი გაფართოებით, რომელიც თავის მხრივ ჩქარდება სარგებლის განაკვეთის შემცირებით ქვეყანაში. ანალოგიურად, ძვირი ფულის პოლიტიკა ძლიერდება წმინდა ექსპორტის შეკვეცით. განსაზღვრულ პირობებში შეიძლება წარმოიშვას ალტერნატივა - საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა გამოყენებულ იქნას დოლარის ღირებულებაზე ზემოქმედებისათვის და ამით ვაჭრობის დისბალანსის აღმოფხვრისათვის, ან საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა გამოყენებულ იქნას ეკონომიკური სტაბილიზებისათვის ქვეყნის შიგნით.

10. მიკითხველმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს 17-4 ნახაზი, რომელიც შეკუმშული ფორმით ასახავს დასაქმების კეინსურ თეორიას და პოლიტიკას.

## ტერმინები და ცნებები

საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა  
ოპერაცია ღია ბაზარზე  
სარეზერვო ნორმა  
საანგარიშო განაკვეთი  
იაფი და ძვირი ფულის პოლიტიკა  
შერჩევითი კონტროლი  
ზღვრული მარჯა  
შეგონება  
ფულის ბაზარი  
ფულის მიმოქცევის სინქარე  
მიზნების დილემა  
წმინდა ექსპორტის ეფექტი.

## კითხვები და სასწავლო დავალებები

1. კონსერვატიული ბანკისა და ფედერალური სარეზერვო ბანკის საბაღალისო ანგარიშების გამოქვეყნებას, შექვეყნის კონსერვატიული ბანკის რეზერვებზე შექვეყნებულ ოპერაციასა ზეგაუქვეყნა:

ა. ფედერალური სარეზერვო ბანკები ოქვენ უახსან ქადაღლებს კრძალი სარეზერვებისაგან და მოსარეზერვებისაგან.

ბ. კონსერვატიული ბანკები ხესხს ოღებენ ფედერალური სარეზერვო ბანკებისაგან.

გ. მსარეზერვო საბაღო აქციონებს სარეზერვო ნორმას.

2. წარსოუდინეთ ოქვენი საფი ფედერალური სარეზერვო სისტემის მსარეზერვო საბაღოს წევრად ეკონომიკაში ოქლიერო და ხანგრძლივი ოქლიეროა. რა ცვლილებებს შესოგოქოქავსებდოი ოქქენი: ა) სარეზერვო ნორმაში; ბ) საანგარიშო განაკვეთში და გ) ღია ბაზარზე ოქერაციებში? ახსენით რა ზეგაუქვეყნას ოქოხდენს ყოქველი ცვლილება კონსერვატიული ბანკების რეზერვებზე ფულის მოწოდებაზე, სარგებლის განაკვეთებსა და ერთობლო დანახარჯებზე.

3. ქვემოთ მოტანულ ცხრილში ოქქენ ნახეთ კონსერვატიული ბანკების სისტემისა და 12 ფედერალური სარეზერვო ბანკის გასარტაქებულ საბაღალისო ანგარიშებს უქვენეთ როგორ გამოქვეყნებთ საბაღალისო ანგარიშების პარველი. შელორე და მესანე სვეტებისას შექვეყნე, რა ცვლილებებს შექვეყნებთ სანი ოქერაცია. გაეცით ამოწურავი პასუხი ე.ი. გააანალოსეთ ცალ-ცალკე ოქოქოქვეყნა ოქერაცია. ციფრობრთი მონაცემებთან გამოდინარე. ყველა მოსაკვირ - ღლორდ დოღარებშია.

გაერთიანებული საბალანსო ანგარიში:  
ყველა კომერციული ბანკი

აქტივები:	(1)	(2)	(3)
რეზერვები	33		
ფასიანი ქაღალდები	60		
სესხები	60		
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი: უვადო ანაბრები	150		
ფედერალური სარეზერვო ბანკების სესხები	3		

გაერთიანებული საბალანსო ანგარიში:  
12 ფედერალური სარეზერვო ბანკი

აქტივები:	(1)	(2)	(3)
ფასიანი ქაღალდები	60		
სესხები კომერციულ ბანკებს	3		
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი: კომერციული ბანკების რეზერვები	33		
ხაზინის დეპოზიტები	3		
ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკონოტები	27		


ა) დაეუშვათ, საანგარიშო განაკვეთის შესწორება შეაგუიანებს კომერციულ ბანკებს ფედერალურ სარეზერვო ბანკებში დამატებითი სესხი აიღონ 1 მლრდ დოლ. შეესეთ სვეტი-1 საბალანსო ანგარიშების ციფრებით.

ბ. ფედერალური სარეზერვო ბანკები ყიდნან ფასიან ქაღალდებს მოსახლეობაზე 3 მლრდ დოლარის ოდენობით. რომლებსაც ანაზღაურებს ობლიგაციების შექმნა ჩეკებით. შეესეთ სვეტი -2 ახალი საბალანსო ანგარიშების ციფრებით. ფედერალური სარეზერვო ბანკები იძენენ

კომერციული ბანკების 2 მლრდ დოლარის ღირებულების ფაქტად ქაღალდებს. შეავსეთ ცეტი-3 ახალი საბაღიანო ანგარიშის ციურებით.

დ. ახლა ისევ მიმართეთ ამ სა) ოპერაციას და საკუთარ თავს დაუსვით კოხეა: (1) შეიცვალა თუ არა ყოველი ოპერაციის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სემოქმედებით ფულის მიმოქცევა, თუ დაახლოებით როგორ? (2) როგორ იყო კომერციული ბანკების რესურსების გადღეობა ან შესწორება ყოველი ოპერაციის შეჯამ. ევაში? (3) როგორ შეიცვალა კომერციული ბანკების სისტემის შერ ფულის შექმნის უნარი ყოველი ოპერაციის შედეგად. თუ სარესურსო სორმა შეადგენდა 20%?

4. რაში მდგომარეობს საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მოხარო მიზანი? აწერეთ მიზნულ-შედეგობრივი კავშირების ჯაჭვი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა. 1-7-2 ნახაზის ამოსავალ წერტილად გამოიყენებთა ახსენით თუ როგორ მოქმედებს საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობა ა) აუულსა და ინფლაციებზე მოთ-



ხივის მრედიტა ფორსები და ბ)ღის-ის სილადე. საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობაზე რა შეგავლენას ახდენს უკუკავშირის ეფექტი?

5. თანდართულ დაგრაფსზე წარჩენება სარგებლის განაკვეთების ცვლილება 1977-1988 წწ. პერიოდში. შეგიძლიათ თუ არა ფედერალური სარესურსო სისტემის პოლიტიკაში ან ხნის განსაზღვრაში მისი დახარ. ცვლილებების გახსენებით. ეკონომისური ანალიზის დახსენებით ახსენით სარგებლის განაკვეთის ცვლილებების მატალი ხარისხი, რომელიც 1977-1982 წწ. შეინიშნებოდა?

6. შეაფასეთ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობა მაღალანად. რატომ გახდა ოპერაციები ღია ბაზარზე კომერციული ბანკების რესურსების კონტრაქტის ძირითადი საშუალება? ახსენით რა კონკრეტულ შესაზღვევებს აწედა საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა.

7. ახსენით ის ფაქტორი, რომ ფედერალურ სარესურსო სისტემას უნარი არ შესწევს ერთდროულად მოახდინოს სარგებლის განაკვეთისა და ფულის მიწოდების სტაბილიზება. ახსენით, რატომ უწყობს ხელს გაქონებულმა ინფლაციამ სარგებლის განაკვეთების სტაბილიზების პროცესს?

8. მიკლედ გადმოეცით დასაქმების თეორია და დაწეროვებით აწერეთ, თუ როგორ შეგავლენას ახდენს საკრედიტო-ფულადი და ფისკალური პოლიტიკა ერთობლივ დანახარჯთა სხვადასხვა კომპონენტებზე.

9. დაუშვით, ფედერალური სარესურსო სისტემა გადაწყვეტს გამოიყენოს ძვირი ფულის პოლიტიკა მოახოვნის ინფლაციის შესაზღვევად. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელის დახმარებით უწერეთ ამ პოლიტიკის არსი დახურულ ეკონომიკაში. შემდგომ. განიხილეთ ღია ეკონომიკის შემთხვევა და ახსენით, თუ როგორ სემოქმედებენ საერთაშორისო ფინანსური კაპიტალის ნაკადები ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მდებარეობაზე.

10. შემოკვთავსეთ დაქვეითების წინააღმდეგ მიმართული მასტაბილიზებელი პოლიტიკის გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც ფისკალურ, ისე საკრედიტო-ფულად ღონისძიებებს, რომლებიც შეიასებება ა) სახელმწიფო სექტორის შეფარდებით შემსწორებასთან; ბ) შემოსავლების უფასო თანბარ განაწილებასთან და გ) ეკონომისური ზრდის მაღალ ტემპთან.

ახსენით თქონით: „ეუკლიტის მსტაბილიზებული პოლიტიკა ნაძველად გულახიზობს ფისკალურ და საკრედიტო-ფულად დონის სიგებათა კოორდინაციას.“

11. ახსენით მტკიცება: „ფულის მისოქცევის ხისწრაფე სარგებლის განაცევის პარდაპირ პროპორციულად და ფულის მისწოდების უკპროპორციული“.

## ბოლო შტრიხი

### ოქროს სტანდარტისადმი მიბრუნება?

როგორია საკრედიტო-ფულადი სისტემის სამარაულეო უპირატესობები და ნაკლოვანებები, რომელიც ოქროს ემპარება?

უკანასკნელ ათწლეულში გაზარდა ინტერესი ოქროს სტანდარტზე დაბრუნებისადმი. რესპუბლიკური პარტიის 1980 წლის საარჩევნო პლატფორმა შეიცავდა მინიშნებას ოქროს სტანდარტისადმი დაბრუნების მიზანშეწონილობის შესახებ. ხოლო 1981 წელს პრეზიდენტმა რეიგანმა შექმნა ამ საკითხის განმხილველი კომისია ოქროს დარგში. რას წარმოადგენს ოქროს სტანდარტი? ოქროს სტანდარტი ფულის მიწოდებას “მიიბამს“ ოქროს ფულის რაოდენობა უშუალოდ დაკავშირებულია ქვეყნაში ოქროს ოფიციალურ მარაგზე და მთავრობა ვალდებულია ოქრო შეიძინოს და გაყიდოს ფიქსირებული ფასით. თუ ოქროს ფასი შეადგენს, ვთქვათ 350 დოლარს უნციაზე, მაშინ ფულის მიწოდება 350 დოლარით მოიმატებს სახელმწიფოს მიერ უნცია ოქროს შესყიდვით და 350 დოლარით შემცირდება უნცია ოქროს გაყიდვის შემთხვევაში.

ოქროს სტანდარტის მრავალი მომხრე აცხადებს, რომ სახელმწიფო ჩარევისგან თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ისეთი, როგორცაა აშშ-ს ეკონომიკა, თავისი არსით სტაბილურია, მისთვის დამახასიათებელია დასაქმების მაღალი და ფასების სტაბილური დონე. ისინი ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური არასტაბილურობა, რომელსაც ჩვენ წლიდან წლამდე ვაწყდებით, უმეტესწილად ფისკალური და საკრედიტო-ფულადი ხელმძღვანელი დაწესებულებების მიერ ეკონომიკის მართვის მცდარი და დაგვიანებული მცდელობის შედეგია. ოქროს სტანდარტის მომხრეები თვლიან, რომ შედერალურ ბიუჯეტსა და ფულის მიწოდებაში კეთილი ზრახვებით მიმდინარე ცვლილებები უფრო გააძლიერებენ, ვიდრე შეარბილებენ ციკლურ მერყეობებს. მათ მი-

ანაიათ, რომ ოქროს სტანდარტი მოქმედებს როგორც მადისციპლინებელი ძალა, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს მკდელობას "აწარმოოს" იმდენი ფული, რამდენის დახარჯვასაც მოისურვებს. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ოქროს სტანდარტს იმ წმინდა სახით შეუძლია ხაზინას საშუალება არ მისცეს ეკონომიკას ძალზე ბევრი ფული მოახმაროს. ფულის ჭარბი მიწოდების შემთხვევაში, მაგალითად, ფასების საერთო დონე აიწევს. მაგრამ ოქროს სტანდარტის დროს ოქროს ფასი ფიქსირებულია, ამიტომ ოქრო უფრო იაფი ხდება სხვა საქონელსა და მომსახურებასთან შედარებით. ოქროზე მოთხოვნა, შესაბამისად, იზრდება და ადამიანები ხაზინისაგან იძენენ მას. ამ შესყიდვების შედეგად დოლარები მიმოქცევის სფეროს ტოვებენ, ფულის მიწოდება მცირდება და ინფლაცია სუსტება. ოქროს სტანდარტის პირობებში ფულის მიწოდების ზრდა იზღუდება ოქროს მიწოდებით. რამდენადაც ოქროს მიწოდება იზრდებოდა საკმაოდ ნელა, დაახლოებით 2%-ით წელიწადში, სავსებით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ფულის მიწოდება აშშ-ში ნელა გაიზრდება. კერძო პირებსა და საწარმოებს შეუძლიათ როგორც მოკლე, ისე ხანგრძლივად იანი კაპიტალდაბანდების განხორციელება დოლარებით, რადგან იციან, რომ ფულის ჭარბი ზრდა არ გამოიწვევს ინფლაციას და არ შეცვლის დოლარის ღირებულებას.

მიწოდების სტაბილურობა ფასების თვალსაზრისით ხელს უწყობს, თავის მხრივ, სარგებლის განაკვეთების შემცირებას, საინვესტიციო პროცესების სტიმულირებას და ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებას.

ოქროს სტანდარტის კრიტიკოსებს - ისინი კი ბევრია მოაქვთ შემდეგი მტკიცებები. ჯერ ერთი, ისინი იმ წანამკდვრებიდან გამოდიან, რომელიც ეწინააღმდეგება იმას, რასაც ოქროს სტანდარტის მომხრეები ემყარებიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ამერიკის ეკონომიკა თავისი ბუნებით არასტაბილურია და ხელმძღვანელ საკრედიტო-ფულად დაწესებულებებს უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობები გააფართოონ ან შეამცირონ ფულის მიწოდება წარმოების რეალური მოცულობის, ფასებისა და სარგებლის განაკვეთების მერყეობათა შესამცირებლად. ოქროს სტანდარტის დაწესება გამორიცხავს ასეთ მასტაბილიზებელ ქმედებას. მეორე, არ არსებობს არავითარი საფუძველი დავრწმუნდეთ, რომ ოქროს მსოფლიო მარაგის ზრდა და შესაბამისად, ფულის მიწოდება

უდაოდ ნელი და სტაბილური იქნება. მაგალითად, ოქროს მსხვილი საბადოების აღმოჩენამ, ან ტექნოლოგიის პროგრესმა, რომელიც დაბალხარისხიანი წიაღისეულის ეკონომიურ მოპოვებას ითვალისწინებს, შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციის ახალი ტალღა, თუკი აშშ დოლარებს გაცვლის ახლადმოპოვებულ ოქროზე, ფიქსირებული ფასებით. გარდა ამისა, თუ საბჭოთა კავშირი დაიწყებდა ოქროს გაყიდვას ამერიკული მარცვლის საყიდლად, მაშინ ოქროს შესაბამისი რაოდენობის შექმნა ოქროს სტანდარტის პირობებში გაადიდებდა ფულის მიწოდებას და გამოიწვევდა ინფლაციას. გვინდა თუ არა ჩვენ გვკონდეს საკრედიტო-ფულადი სისტემა, რომლის დროსაც ამერიკის ფულის მიწოდება და ფასების დონე განისაზღვრება მარცვლეულის საბჭოური მოსავლიანობის დონით? ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ოქროს მსოფლიო მარაგის სტაბილური გადიდება 2%-ით, თუ ასეთი მოხდება, არასაკმარისია რეალური ეკპ-ის ჯანსაღი ზრდისათვის 3-ან 5%-ით წელიწადში.

დასასრულს, და ეს ყველაზე მთავარია, ამტკიცებენ, რომ ოქროს სტანდარტის პირობებში ეკონომიკა არასტაბილურია, ე.ი. ფიქსირებული ფასი დროთა განმავლობაში გადაიხრება ბაზრით განსაზღვრული ანუ წონასწორობითი ფასისაგან. თუ ოქროს მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთკავშირი საბაზრო ფასს ფიქსირებულზე დაბლა აწევებს, ოქრო მიეყიდება ხაზინას, ფულის მიწოდება უარყოფდება და ინფლაცია შეინიშნება. პირიქით, თუ საბაზრო ფასი აჭარბებს ფიქსირებულს, ოქრო შეისყიდება ხაზინისაგან, ფულის მიწოდება მცირდება, ხოლო ეკონომიკა დეფლაციისა და დაქვეითებისაკენ მიდის. ამიტომ გასაკვირი როდია, აღნიშნავენ კრიტიკოსები, რომ ოქროს სტანდარტის პერიოდის ისტორიული ფაქტები აშკარად არა ეკონომიკური სტაბილურობის სასარგებლოდ ლაპარაკობენ. როგორ მიმდინარეობდა ეკონომიკის განვითარება ოქროს სტანდარტის კლასიკურ ხანაში 1913 წლამდე?

ფასების დონე აშშ-ში წლიდან წლამდე, ათწლეულიდან ათწლეულამდე არასტაბილური იყო. 1913 წელს იგი შენარჩუნებული იყო დაახლოებით ისეთივე, როგორც 1882 წელს, მაგრამ ეს იყო სტაბილურობის მაცდური მოჩვენებითობა. 1882-1886 წლებში ფასები საქონელსა და მომსახურებაზე დაეცა 47%-ით, ხოლო შემდგომ 1896-1913 წლებში, აიწია 41%-ით. ნამდვი-



ლი ეკონომიკური ცხოვრება ოქროს სტანდარტის პირობებში უფრო ცვალებადი იყო, ვიდრე უკანასკნელ პერიოდში. 1879-1913 წლების დაქვეითებები საშუალოდ გრძელდებოდა ორჯერ უფრო დიდხანს, ვიდრე 1945-1980 წლებში, ხოლო აღმავლობა და გამოცოცხლება უფრო ხანმოკლე იყო ერთი მესამედით. რეალური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე მნიშვნელოვნად ნელა იზრდებოდა. ყველაზე უფრო საიმედო მონაცემები გვიჩვენებს, რომ წარუმატებელ 70-იან წლებში რეალური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე რამდენამდე უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ოქროს სტანდარტის დროს 1913 წლამდე.

შეიძლება მოველოდეთ, რომ ოქროს სტანდარტის შედარებითი ღირსებები დისკრეტულ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკასთან შედარებით განხილული იქნება მომავალში. მე-18 თავში ჩვენ გავიგებთ, რომ კამათი რთულდება კიდევ ერთი პოზიციით - "მონეტარული წესის" არსებობით, რაც ფედერალურ სარეზერვო სისტემას ავალდებულებს გაზარდოს ფულის მიწოდება რეალური ი.პ.ს-ის პოტენციური ზრდის წლიური ტემპით.

პოსტსკრიპტუმი: ოქროს შესახებ საპრეზიდენტო კომისიამ რეკომენდაცია არ მისცა ოქროს სტანდარტზე დაბრუნებას.

# ნაწილი მეოთხე

## მაკროეკონომიკის პრობლემები და წინააღმდეგობები

### თავი მეოთვრამეტე

ალტერნატიული შეხედულებები:  
მონეტარიზმი და რაციონალური  
მოლოდინი

დასაქმებისა და მასტაბილიზებული პოლიტიკის კეინსური კონცეფცია, რაც სქემატურად გამოსახულია 17-4 ნახაზზე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დომინირებდა საბაზრო ინდუსტრიული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომისტთა უმრავლესობის მაკროეკონომიკურ შეხედულებებში. შეერთებულ შტატებში როგორც დემოკრატიების, ისე რესპუბლიკელების ადმინისტრაციები კეინსურ რეკომენდაციებს ღებულობდა, თუ ოფიციალურად არა, არსებითად მაინც. მაგრამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ეს თეორია ბრძოლაში გამოიწვია ალტერნატიულმა მაკროეკონომიკურმა კონცეფციებმა, კერძოდ მონეტარიზმმა და რაციონალური მოლოდინის თეორიამ. ყოველი ამ სკოლის სათავეში დგას გამოჩენილ ეკონომისტთა საკუთარი ჯგუფი. ნობელის ხუთი ლაურიატი - პოლ სამუელსონი, ფრანკო მოდილიანი და რობერტ სოლოუ მკა-დან; ჯეიმს ტობინი იელიდან და ლორენს კლეინი პენსილვანიიდან - კეინსელთა უფროსი თაობის წარმომადგენლებია. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის 1976 წლის (იხ.დანართი) ლაურეატმა მილტონ ფრიდმენმა, მონეტარული სკოლის ინტელექტუალურმა ლიდერმა, სათავე დაუდო ემპირიულ და თეორიულ გამოკვლევებს,

რომლებმაც გვჩვენა, რომ ფული გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური აქტიურობისა და უახსების დონის განსაზღვრაში, ვიდრე კენისური თეორია ვარაუდობდა. რაციონალური მოლოდინის თეორიის (რმთ) წამყვანი შემმუშავებლები არიან ე.წ. ახალი კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები - რობერტ ლიუკსი ჩიკაგოდან, ტომას სარჯენტი და ნეილ უოლესი მინესოტადან.

ამ თავის ძირითადი ამოცანაა მკითხველს გააცნოს მონეტარიზმი და რმთ და შეადაროს ისინი კენისელობას. მე-19 თავში ჩვენ განვაგრძობთ კენისელების, მონეტარისტებისა და რმთ-ს შეხედულებათა განხილვას ინფლაციისა და უმუშევრობის ერთდროულად არსებობის პირობებში. მე-20 თავში გაანალიზებულა ბიუჯეტის დეფიციტსა და სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული საკითხები. მე-4 ნაწილი მთავრდება მნიშვნელოვანი თავით, რაც მიძღვნილია ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების პრობლემისადმი.

## ძირითადი განსხვავებები

დავიწყოთ კენისური თეორიისა და მონეტარიზმის შედარებით. შედარებათა ოვალსაჩინოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კენისელობისა და მონეტარიზმის ჩვენებას მათი პოლარული ფორმებით. სინამდვილეში თანამედროვე კენისელებისა და მონეტარისტების გამყოფი ხაზი არც ისე მკაფიოა. მაგრამ უკიდურეს გამოვლინებებში კენისური და მონეტარისტული შეხედულებები არსებითად სცილდებიან ერთმანეთს კაპიტალისტური ეკონომიკის შინაგანი სტაბილურობის საკითხში. მათ მნიშვნელოვანი იდეოლოგიური განსხვავებებიც განიათ, რაც შეეხება, კერძოდ, სახელმწიფოს როლს. ეს განსხვავებანი ჩვენ ახლაც უნდა ავხსნათ.

## კეინსელები: არასტაბილურობა და სახელმწიფოს ჩარევა

კეინსელები გვარწმუნებენ, რომ კაპიტალიზმს და განსაკუთრებით თავისუფალ საბაზრო სისტემას თანდაყოლილი მანკიერება გააჩნია. ჩვენი ანალიზისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია კეინსური მტკიცება, რომ კაპიტალიზმი მოკლებულია ეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფელ მექანიზმს. შეუსაბამობა გეგმიან ინვესტიციებსა და დანახოებს შორის ნამდვილად არსებობს და საქმიანი აქტიურობის მერყეობას იწვევს, რაც პერიოდულად ინფლაციასა და უმუშევრობაში გამოიხატება. კერძოდ, მრავალი ბაზარი კონკურენტული არაა, რაც ფასებისა და ხელფასის განაკვეთების მოუქნელობას იწვევს, შემცირების თვალსაზრისით. მაშასადამე, ერთობლივ დანახარჯთა მერყეობები პირველ რიგში ზემოქმედებს წარმოებისა და დასაქმების და არა ფასების დონეზე. ამიტომ სახელმწიფოს კეინსელთა თვალსაზრისით, შეუძლია და კიდევაც უნდა შეასრულოს აქტიური როლი ეკონომიკის სტაბილიზაციაში; დისკრეტული ფისკალური პოლიტიკა და საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა აუცილებელია მკვეთრი ეკონომიკური აღმავლობისა და დაკევიანების შესარბილებლად, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტალიზმის განვითარების თანხლები იქნება.

## მონეტარისტები: სტაბილურობა და თავისუფალი კონკურენცია

მონეტარისტული მიდგომა იმაშია, რომ ბაზრები საკმაოდ კონკურენტულია და საბაზრო კონკურენციის სისტემა უზრუნველყოფს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მაღალ დონეს. მონეტარიზმის იდეური ფესვები მე-12 თავში განხილულ კლასიკურ ეკონომიკურ თეორიამდე მიდის, რომლის თანახმადაც, საბაზრო კონკურენციით უზრუნველყოფილი ფასებისა და ხელფასის განაკვეთების მოქნილობა გამოიწვევს ერთობლივ დანახარჯთა მერყეობის ზემოქმედებას პროდუქციისა და რესურსების ფასებზე და არა წარმოებისა და დასაქმების დონეზე. ამრიგად, საბაზრო სისტემა, თუკი იგი არ ექვემდებარება სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკის ფუნქციონირებაში, უზრუნველყოფს მნიშ-

ენელოვან მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. მონეტარისტების თვალსაზრისით პრობლემა ისაა, რომ კანონი ხელფასის მინიმალური განაკვეთის შესახებ, საკანონმდებლო საქმიანობა პროფკავშირთა ინტერესებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების შენარჩუნება, კანონმდებლობა მონოპოლიების შესახებ ბონენის ინტერესებისათვის და სახელმწიფოს სხვა ღონისძიებები სტიმულს აძლევს და აძლიერებენ ფასების და ხელფასის მოუქნელობას შემცირების თვალსაზრისით. თავისუფალი ბაზრის სისტემას შეუძლია უზრუნველყოს მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მაგრამ სახელმწიფოს ჩარევა, თავისი კეთილი ზრახვების საწინააღმდეგოდ, ძირს უთხრის ამ შესაძლებლობებს. გარდა ამისა, მონეტარისტები თვლიან, რომ სახელმწიფო, ეკონომიკის სტაბილიზების თავისი მოუქნელი და მოუფერებელი მკდელობით, დისკრეტული ფისკალური და საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის დახმარებით ხელს უწყობს სისტემის არასტაბილურობას, აძლიერებს ციკლურ მერყეობებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გასაკვირი როდია, რომ მონეტარისტები *Laisser faire*-ს, ანუ თავისუფალი ბაზრის თავგამოდებული მომხრეები არიან. სახელმწიფოებრივი მართვა ბიუროკრატიულ, არაეფექტიან, ინდივიდუალური ინიციატივისათვის საზიანოდ ითვლება და ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურ შეცდომებს შეიცავს, რომლებიც ეკონომიკის დესტაბილიზაციას იწვევს. გარდა ამისა, ცენტრალისტული სახელმწიფოებრივი მმართველობა თრგუნავს ადამიანის თავისუფლებას. სახელმწიფო სექტორი რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს. ამრიგად, კეინსელებისა და მონეტარისტების შეხედულებები კერძო და სახელმწიფო სექტორებზე თითქმის ღიაშეტრულად საწინააღმდეგოა. კეინსელების თვალსაზრისით, კერძო ინვესტიციათა არასტაბილურობა განაპირობებს ეკონომიკის არასტაბილურობას. სახელმწიფო დადებით როლს ასრულებს შესაბამისი მასშტაბილიზებელი საშუალებების გამოყენებით. მონეტარისტების თვალსაზრისით სახელმწიფო მანერ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე. სახელმწიფო მოუქნელია, რომელიც ასუსტებს საბაზრო სისტემის სტაბილურობას; იგი ატარებს ფისკალურ და საკრედიტო-ფულად ღონისძიებებს, რომლებსაც თუმცა კეთილი მი-

---

1. ფრიდმენის ფილოსოფია გადმოცემულია მის ორ წიგნში: Milton Friedman. *Capitalism and Freedom*. Chicago: The University of Chicago Press. 1962; Milton Friedman, Rose Friedman. *Free to Choose*. New York: Harcourt Brache Jovanovich, 1980.

ხანი გაანინა, მაგრამ იმავე არასტაბილურობას იწვევს, რომელიც წინააღმდეგ საბრძოლველადაც ისინი არის შექმნილი.

## ფუქიმდებლური ბანტოლებები

როგორც კეისური თეორია, ისე მონეტარიზმიც თავის ანალიზს სვეტილურ განტოლებებზე ამყარებენ.

## ერთობლივ დანახარჯთა ბანტოლება

როგორც წინა თავებში აღინიშნა, კეისური თეორია ერთობლივ დანახარჯებსა და მათ კომპონენტებს ეყრდნობა, გაიხსენეთ ფუქიმდებლური კებსური განტოლება:

$$C_a + I_n + X_n + G = \text{წეკ} \quad (1)$$

ამ თეორიის არსი ისაა, რომ შეიძლება დანახარჯების ერთობლივი მიჯნულობა გაყიდულ საქონელთა და მომსახურების რაოდენობაზე. წინასწარობის მდგომარეობაში  $C_a + I_n + X_n + G$  (ერთობლივი დანახარჯების) წეკ-ის ტოლია (ქვეყნის წარმოების მოცულობის).

## ბაცვლის ბანტოლება


მონეტარიზმი, როგორც მისი სახელწოდებებიდან გამომდინარეობს, ფულს ეყრდნობა. მონეტარიზმის ძირითადი განტოლებაა ბაცვლის განტოლება:  $MV = PQ$ , სადაც  $M$ -ფულის მიწოდებაა,  $V$ -ფულის მიმოქცევის სიჩქარე, შემოსავლების წრებრუნვაში, ე.ი. საშუალო რაოდენობა რამდენჯერაც დოლარი ისარჯება მზა საქონლისა და მომსახურების შესაძენად წლის განმავლობაში;  $P$ -ფასების დონე, უფრო ხუხუხად, საშუალო ფასი, რომელიც წარმოების ფიზიკური მოცულობის ყოველი ერთეული იყიდება; და  $Q$ - მოხმარების ფიზიკური მოცულობა. „ბაცვლის განტოლების“ სახელწოდება სავსებით გასაგებია. გან-

ქოლებს მარცხენა ნაწილი (MV) შეადგენს დანახარჯების საერთო რაოდენობა წარმოებული დოვლიანის მოცულობის შესაძენად, მაშინ როცა მარჯვენა ნაწილი (PQ) შეადგენს ამ მოცულობის საერთო ამონაგებია.


ორ მდგომარეობის შორის განსხვავება შეიძლება შევადაროთ წყლის ნაკადზე ორ შეხედულებას, რომელიც საკანალიზაციო მიწაში გადის, ვთქვათ, სააბაზო 6 ათასი გალიონის მოცულობით. ნეოკონსტრუქციებს შეუძლიათ თქვან, რომ სააბაზო 6 ათასი გალიონის ნაკადი შედგება 3 ათასი გალიონისაგან, რომელიც ქადალდის ყაბრისკენან შემოიდას 2 ათასი გალიონისაგან, რომელიც ავტოქარისნიდან შემოიდას და 1 ათასი გალიონისაგან სააბაზო, რომელიც სვაპტრო ტენკრიდან შემოიდას. მონეტარისტებს შეუძლიათ თქვან, რომ ეს საკანალიზაციო რესერვუარის ავსებს საშუალოდ ერთჯერ, ამის გათვალისწინებით, რომ წყლის სრული შეცვლა რესერვუარში 30-ჯერ სწარმოებს ყოველ სააბაზო.

ამაოითვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კონსერვა, ისე მონეტარისტული მდგომებია სასარგებლოა და გვეხმარებათ მარკოეკონომიკური თეორიის გაგებაში. მართლაც, კონსერვა განყოლება შეიძლება „გადავიცინოთ“ მონეტარისტულ ენაზე. მონეტარისტული მდგომის თანახმად, საერთო დანახარჯები სხვა არაფერია, თუ არა ფულის მიწოდება, გახრავლებული მისი მნიშვნელობის სინქრეზე. მიკლედ,  $MV = C_a + I_n + X_n + G$  -ის მონეტარისტული ექვივალენტია. რამდენადაც  $MV$  წელიწადში შია საქონელზე დანახარჯთა საერთო ჯამია, თუ ნომინალური წმინდა ერთეული პროდუქტის (წეპ) ტოლი უნდა იყოს შემდგომ, როგორც ნვენის მე-9 თავიდანაა (წმინდა ნომინალური წმინდა ერთეული პროდუქტი სხვადასხვა საქონელთა და მომსახურების წარმოების ფიზიკური მოცულობის ჯამია (Q), გამრავლებული მათ შესაბამის (P) ფასზე. ე.ი.  $წეპ = PQ$ . ამოგად, ნვენ შეგვიძლია  $C_a + I_n + X_n + G = წეპ$  კონსერვა განყოლება ნომინალური გამოსახულებით შევვალთ გაცვლის მონეტარულ  $MV = PQ$  განყოლებებზე. ყველაზე პირდაპირი გაგებით, ორი მდგომია ორი სხვადასხვა შეხედულებაა ერთსა და იმავეზე. მიუხედავად ამისა, უწინდებურად დგას პრინციპული კითხვა: რომელი მარკოეკონომიკური

L ტექნიკური შენიშვნა: ყრადღება უნდა შევაქვიოთ ამას, რომ კონსერვა განყოლების მარცხენა მხარეს  $C_a + I_n + X_n + G$  და გაცვლის განყოლების მარცხენა მხარეს შორის არსებობს შიშენულიაქთა კონტრაქტულიაქთა განსხვავება. სახელუობარ კი: თუ პირველი გვიჩვენებს დაგეგნილ არე  $MV$  საერთოაქთა დანახარჯებს, მეორე ასახავს ნამდვილ დანახარჯებს.



(ა) ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კეინსური გადამცემი მექანიზმი



(ბ) ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მონეტარისტული გადამცემი მექანიზმი

### ნახ. 18-1 ალტერნატიული შეხედულებები საკრედიტო- ფულადი პოლიტიკის გადამცემ მექანიზმზე

ნომინალურ წახრდა ეროვნულ პროდუქტზე ფულადი მიწოდების ცვლადუბის ზეგავლენის ახსნათ კეინსულები(ა) ხაზს უსვამენ სარგებლის განაკვეთების და საინვესტიციო დანახარჯების როლს მათგან განსხვავებით მონეტარისტები (ბ) თეილიან, რომ ფულადი მიწოდების ცვლადუბა უშუალოდ ზეპოქმედებს ერაობლუე მოთხოვნაზე, და მასასჯდნე ნომინალურ წეპ-ზე.

თეორია უფრო ზუსტად ასახავს სინამდილეს, და მაშასადამე, წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის საუკეთესო საფუძველს?

## ყურადღების ცენტრშია ფული

კეინსური განტოლება ფულს მეორეხარისხოვან როლს აკუთვნებს. მართლაც, რიგორც გახსოვთ (თავი-17), საკრედიტო- ფულადი პოლიტიკის კეინსური კონკეფცია მოიცავს საკმაოდ გრძელ გადამცემ მექანიზმს, რაც გამოსახულია 18-1ა ნახაზზე. თქვენ ხედავთ, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მერყეობა ცვლის ფულის მიწოდებას ქვეყნაში. თავის მხრივ ფულადი მიწოდების ცვლილება ზემოქმედებს სარგებლის განაკვეთზე და ამით ინვესტიციათა დონეზე. თუ თავდაპირველად ეკონომიკა არასრული სიმძლავრით მუშაობს, ცვლილებები ინვესტიციებში ზეგავლენას ახდენს ნომინალურ წეპ-ზე



(=PQ) წარმოების რეალური მოცულობის (Q) ცვლილების მეშვეობით „მულტიპლიკატორის ეფექტის დახმარებით. თუ კი ეკონომიკა სრულ დასაქმებას მიაღწევს, ცვლილებები ინვესტიციებში ზემოქმედებს ნომინალურ წემაზე ფასების დონის (P) ცვლილების მეშვეობით.

როგორც კეინსელები ამტკიცებენ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამ ჯაჭვში მრავალი სუსტი რგოლია, რის შედეგადაც საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა ფისკალურთან შედარებით სტაბილიზაციის არასაიმედო და ნაკლებქმედითი საშუალება აღმოჩნდება. გაიხსენეთ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ზოგიერთი ნაკლოვანება, რომელიც აღნიშნული იყო მე-17 თავში. მაგალითად, როგორც 12-2 ნახაზიდან გამომდინარეობს, საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა შეფარდებით არაეფექტიანი იქნება თუ ფულზე მოთხოვნის მრუდი შედარებით დამრეკია, ხოლო ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი კი შედარებით კრიკაბო. შემდგომ, შესაძლოა, ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდის არასტაბილური გადაადგილება, რომლის დროსაც სარგებლის განაკვეთის ცვლილების ზეგავლენა საინვესტიციო დანახარჯებზე არ გამოვლინდება ან შესუსტდება. იაფი ფულის პოლიტიკა იმ შემთხვევაშიც არ იქნება განსაკუთრებით ეფექტიანი, თუ ბანკები და სხვა დეპოზიტური დაწესებულებები არ მოინდომებენ სესხის გაცემას ან მოსახლეობა არ გამოავლენს სესხის აღების სურვილს.

მონეტარისტები დარწმუნებული არიან, რომ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკა ეკონომიკური აქტიურობის დონეს უფრო მეტი ზომით განსაზღვრავს, ვიდრე კეინსელები თვლიან. მონეტარისტები ფულის მიწოდებაში ხელავენ ერთადერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რაც განსაზღვრავს წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონეს. ისინი, კეინსურ მოდელში არსებულისაგან განსახვევებით, გთავაზობენ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ჯაჭვს ფულის მიწოდებასა და ეკონომიკური აქტიურობის დონეს შორის. ნაცვლად ფულადი მასის ზრდის ზეგავლენის, ობლიგაციების ყიდვით და სარგებლის განაკვეთის შემდგომი დაცემით შეხლუდვისა, მონეტარისტების თეორიული მსჯელობები იქიდან გამომდინარეობს, რომ ფულის მიწოდების გაფართოება ადიდებს მოთხოვნას აქტივების ყველა სახეობაზე - რეალურსა და ფინანსურზე - და ასევე წარმოების მიმდინარე მოცულობაზე. მაშასადამე, სრული დასაქმების პირობებში ფასები ყველა ფაქტორზე გაიზრდება. გარდა ამისა, მონეტარისტები ფულის მიმოქცევის სინქარეს სტაბილურად თვლიან იმ გაგებით, რომ მისი მერყეობანი მცირეა და არ იცვლება თვით მისი მიწოდების ცვლილების პასუხად. ამრიგად, ფულის მიწოდების ცვლილებები წინასწარგანჭკრეტად ზეგავლენას ახ-

დენენ ნომინალური წეპ-ის (=PQ) დონეზე. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, M-ის გადიდება გამოიწვევს P ან Q-ს გადიდებას, ან როგორც P-ს ისე Q-ს გადიდებას განსაზღვრული კომბინაციათ; M-ის შემცირება მოგვცემს საპირისპირო შედეგს.

მონეტარისტები ვარაუდობენ, რომ თუმა M-ის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მოკლევადიანი ცვლილებები წარმოების რეალურ მოცულობაზე და დასაქმებაში, რამდენადაც ბასარი ვეგება ამ ცვლილებებს, მაგრამ ხანგრძლივ პერსპექტივაში M-ის ცვლილება ზემოქმედებს ფასების დონეზე. როგორც გახსოვთ, მონეტარისტები კერძოწარმოებრივ ეკონომიკას შინაგანად ხეობილურად მიახვეწენ, რომელიც წარმოების მოცულობასავე მისწრაფვის სრული დასაქმების დონეზე. წარმოების ამ მოცულობის კონკრეტული დონე სრული დასაქმების პირობებში დამოკიდებულია ისეთ არეალურ ფაქტორებზე, როგორიცაა შრომის, კაპიტალის, მიწისა და ტექნოლოგიის (თავი 21) რაოდენობა და ხარისხი. აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუ სიმძლავრეთა სრული გამოყენების შეუძლებლობაში Q მუდმივად მაშინ P-ს ცვლილებები გამოიწვევენ ზ-ს შეცვლას.

მონეტარისტმა იქიდან გამომდის, რომ გადასცემს მექანიზმი უფრო მარტივი და ნათელია, ვიდრე კეისური მოდელი ვარაუდობს. მონეტარისტული გადამცემი მექანიზმი სემპარურად გამოსახულია 18-19 ნახაზზე. დაგრამაზე ნახებია, რომ ფულის მიწოდების მერყეობა მონეტარისტების მიერ ერთობლივი მითხოვნის ცვლილებათა უშუალოდ ზემოქმედი ფაქტორის სახით განიხილება რომელიც ცვლის ნომინალურ წეპ-ს. როგორც წინა ანალიზიდან ვიცით, მონეტარისტები თვლიან, რომ ფულის მიწოდების ცვლილებები ზეგავლენას ახდენენ ერთობლივი მითხოვნის ცვლად კომპონენტზე, და არა მხოლოდ ინვესტიციებზე. გარდა ამისა, მონეტარისტების თვალსაზრისით ერთობლივი მითხოვნის ცვლილება ზეგავლენას ახდენს ნომინალურ წეპ-ზე ხანგრძლივ პერსპექტივაში ფასების დონის შეცვლით, და არა წარმოების რეალური დონის შეცვლის მეშვეობით.

## ფულის მიმოქცევის სტაბილური თუ არასტაბილური სიჩქარე?

კამათი კეინსელებსა და მონეტარისტებს შორის V-ს მიმოქცევის სინქარის სტაბილურობის საკითხის შესახებ, პრინციპული თეორიული პრობლემაა. უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „სტაბილურობა“ ამ გაგებით რა გაგებითაც იგი აქ იხილება, არაა სიტყვა „მუდმივობის“ სინონიმი. მონეტარისტებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ფულის მიმოქცევის სინქარე დღეს უფრო მაღალია, ვიდრე 1945 წელს ხელფასის გაცემებს შორის დროის პერიოდის შესწორებამ, საკრედიტო ბარათების უფრო ფართო გამოყენებამ, გადასახადის გადახდის დანქარების საშუალებათა გამოყენებამ გასარდეს ფულის მიმოქცევის სინქარე 1945 წელთან შედარებით, სხვათაშორის რომ ვთქვათ, დროთა მსვლელობაში ამ ფაქტორებმა ადამიანებს შესაძლებლობა მისცეს ნომინალური წებ-ის სიდიდესთან შედარებით შეემცირებინათ თავიანთი ნაღდი ფული ანუ სანეო საშუალებები.

მაშინ რა აქვთ მხედველობაში მონეტარისტებს, როცა ამტკიცებენ, რომ ფულის მიმოქცევის სინქარე სტაბილურია? მათი პოსტკუბიტანის ფაქტორები, რომლებიც ფულის მიმოქცევის სინქარეზე სემიქსედებენ, თანდათანობით და წინასწარ გათვალისწინებით იცვლებიან. მაშასადამე, ფულის მიმოქცევის სინქარის შეცვლა წლიდან წლამდე შეიძლება თვლად გაეთვალისწინათ. გარდა ამისა, ფულის მიმოქცევის სინქარე არ იცვლება ფულის მიწოდების (ცვლილების) საპასუხოდ.

თუკი ფულის მიმოქცევის სინქარე სტაბილურია, მაშინ გაცვლის განქოლებიდან გამომდინარეობს, რომ მონეტარისტები სინამდვილეში სწორი არიან, ფულის მიწოდებასა და ნომინალურ წებ-ს ( $=PQ$ ) შორის უშუალო და წინასწარ გათვალისწინებული დამოკიდებულების აღიარებაში. მარტივი მაგალითი: დავუშვათ, რომ  $M=100$ ,  $V=1$ , ხოლო ნომინალური წებ  $= 100$ . დავუშვათ, ასევე, რომ ფულის მიმოქცევის სისწრაფის ზრდის ყოველწლიური ტემპი სტაბილური 2%-ია. განქოლების დახმარებით ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფულის მიწოდების 5%-იანი ზრდის ტემპი გამოიწვევს ნომინალური წებ-ის 7%-იან გადიდებას. ე.ი.  $M$  გაიზრდება 100-დან 105-მდე,  $V$  გაიზრდება 1-დან 1,02-მდე და ნომინალური წებ-ი გაიზრდება 100-დან 107-მდე ( $=105 \times 1,02$ ). მაგრამ თუ  $V$  არასტაბილურია, მაშინ ფულის მიწოდების სიზოვანი როლის შესახებ კეინსური მტკიცება მაკრო-

ეკონომიკაში სამართლიანია. ე.ი. თუ V ამ პერიოდიდან იმ პერიოდამდე წინასწარ გათვალისწინებულად იცვლება, მაშინ კავშირი M და PQ-ს შორის სუსტი და განუსაზღვრელი აღმოჩნდება. კერძოდ, M-ის მყარი ზრდა აუცილებელი როდია ნომინალური წყ-ის მყარ ზრდაში გადავიდეს. (მოცემული თავის ბოლო შპრიხი წარმოადგენს ამ საკითხის გარშემო მოკლე კამათს).

## მონეტარისტები: V სტაბილური

რით განამტკიცებენ მონეტარისტები თავიანთ თეზისს სტაბილურობის შესახებ? ისინი ამტკიცებენ, რომ ადამიანები ფულს საკმაოდ სწაბილურ მოთხოვნას უყენებენ მიმდინარე წარმოების მოცულობის შესაძენად, სხვა ფინანსურ და რეალურ აქტივებთან და ხარჯებთან შედარებით. ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს ფულის რაოდენობას, რომელიც სურათ პქონდეთ კერძო პირებს და საწარმოებს ყოველ მოცემულ მომენტში, დამოკიდებული არაა ფულის მიწოდებაზე და რაც მოავარიაა ფულის რაოდენობა, რომელიც მოსახლეობას სურს პქონდეს, განსაზღვრება ნომინალური წყ-ის დონით.

ავიღოთ მარტივი მაგალითი. დაუშვათ, რომ, როცა წყ = 400 მლრ დოლ. ფულის რაოდენობა, რაც მოსახლეობას სურს პქონდეს წარმოების ამ მოცულობის შეძენისათვის, 100 მლრდ დოლარია (ეს გულისხმობს, რომ V უდრის 4). თუ შემდგომ, დავუშვებთ, რომ ფულის ფაქტორივი მიწოდება 100 მლრდ დოლარია, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ეკონომიკაში დამყარდა წონასწორობა.ე.ი. ფულის მიწოდების ფაქტორივი მოცულობა ფულის იმ რაოდენობის ტოლია, რაც მოსახლეობას სურს პქონდეს.

მონეტარისტების პოზიციებიდან ფულის მიწოდების გაფაროება, ვთქვათ, 10 მლრდ. დოლარით დაარღვევს ამ წონასწორობას, ვინაიდან მოსახლეობას ახლა მეტი ფული ანუ ლიკვიდობა გააჩნია, ვიდრე მას სურს პქონდეს; არსებული ფულის ფაქტორივი რაოდენობა ჭარბობს სასურველ რაოდენობას. რა ხდება? მოსახლეობის ბუნებრივი რეაქციაა (დოლარისებრისა და მეწარმეების) - აღდგეს სასურველი თანაფარდობა ფულსა და სხვა ისეთ პოზიციებს შორის, როგორიცაა აქციები და ობლიგაციები, ფაბრიკები და მოწყობილობები, სახლები და ავტომანქანები, ტანსაცმელი და სათამაშოები. მოსახლეობას მეტი ფული გააჩნია, ვიდრე უნდა; ფულისაგან თავის დაღწევის

საშუალებაა ყიდვა. მაგრამ ერთის ფულადი გასაღები ზრდის მეორის ნაღდი ფულის რაოდენობას მიმდინარე ანგარიშზე ანუ სანიუო წიგნაკზე. ეს ადამიანიც (კლიობის დახარჯოს ზედმეტი ნაღდი ფული. ცხადია, რომ ნაღდი ფულის მოკულობის შემცირების კოლექტიური მკდელობა გააფართოვებს ერთობლივ მოთხოვნას რაც, თავის მხრივ, გაზრდის სომინალურ წემ-ს. რამდენად გაიზრდება წემ? ვინაიდან მიმოქცევის სისქარე საშუალოდ 4-ის ტოლია, ე.ი. დოლარი საშუალოდ 4-ჯერ იხარჯება წელიწადში - ნომინალური წემ 40 მლრდ დოლარით უნდა გაიზრდოს რაცა ნომინალური წემ 440 მლრდ დოლარს მიაღწევს, ფაქტობრივი ფულადი მიწოდება 110 მლრდ დოლარი, ფულის ის რაოდენობა გახდება, რომელიც მოსახლეობას სურს აქონდეს, და განმარტების თანახმად წონასწორობა, აღსდგება. მთავარი ისაა, რომ დანახარჯები საქონელსა და მომსახურებაზე მანამ გაიზრდება, სანამ ნომინალური წემ იქამდე არ გაიზრდება, რაც საშუალებას მისცემს აღადგინოს თავდაპირველი წონასწორობა წემ-სა და ფულის მიწოდებას შორის მართლაც, თანაფარდობა წემ/M განსახდვრავს V-ს. წემ-სა და M-ს შორის თანაფარდობის სტაბილურობა ნიშნავს V-ს სტაბილურობას.

## კენსელები: V არასტაბილურობა

კენსელების აზრობა ფულის მიმოქცევის სისქარე ცვალებადი და წინასწარგანუტყერეკელია. ეს თვალსაზრისი ადვილი გასაგებია, თუ გავიხსენებთ: ფულზე მოთხოვნის კენსურ კონცეფციას<sup>1</sup>. კენსური პოზიცია, როგორც გახსოვთ, ისაა, რომ ფული საჭიროა არა მხოლოდ გარიგებათა დასადებად, არამედ ასევე აქტივების სახით მათი მფლობელისათვის. ფული, რომელზედაც წაყენებულია მოთხოვნა გარიგებისათვის, „აქტიური“ ფული იქნება, ე.ი. ისეთი ფული, რაც ხელიდან ხელში გადადის და მიმოქცევა შემოსავალ-გასაღების ნაკადში. სხვა სიტყვებით, დოლარებს გარიგებისათვის მიმოქცევის რაღაც დადებითი სისქარე გააჩნია; მაგალითად, დოლარი გარიგებისათვის შეიძლება დაეხარჯოს, დაუშვავთ ნაჯერ წელიწადში და ამრიგად, დაედოთ გარიგება 6 დოლარზე. ასეთ შემთხვევაში გარიგებათა ყოვე-

1. ამასთან დაკავშირებით იქნებ ღირდეს მე-15 თავის განყოფილების „ფულზე მოთხოვნა“ — გადაკითხვა.

ლი დოლარის V, 6-ის ტოლია. მაგრამ ფულზე მოთხოვნის წაყენება ხდება აქტივების სახითაც; ფული, რომელიც აქტივების სახით უჭირავთ, „უმოქმედო“ ფულია; ეს დოლარები არ შეიქმნება შემოსავალ-გასაღების ნაკადში, და, მაშასადამე, მათი მიმოქცევის სინქარე ნულის ტოლია. აქედან გამომდინარეობს, რომ მთელი ფულადი მიწოდების საერთო სინქარე დამოკიდებულია იმ პროპორციაზე, რომელითაც იგი იყოფა ჭარბებისათვის საჭირო ფულსა და აქტივების სახით არსებულ ფულს შორის. ცხადია, რომ, რაც უფრო მეტია „აქტიური“ ფულადი სახსრების შედარებითი მნიშვნელობა, რომლებიც გარბებისათვის გამოიყენება, მით მეტია V. და პირიქით, რაც მეტია „მკვდარი“ ფულადი სახსრების შეფარდებითი მნიშვნელობა, რომლებიც აქტივების სახით გამოიყენება, მით ნაკლებია V.

ამის საფუძველზე კენსელები უარყოფენ მონეტარისტულ გადაწყვეტ მქანისმს, რაც გულისხმობს მიზეზობრივ დამოკიდებულებას M-ისა და წვპ-ის ცვლილებას შორის ამტკიცებენ რა, რომ ფულადმა სახსრებმა, რომლებიც აქტივების სახით გამოიყენება, შეიძლება შეთანქვას ფულადი მიწოდების ნამატის მნიშვნელოვანი ნაწილი, გამოწვევს რა V-ს დაქვმას. დაუშვათ, ქველახე უკიდურესი შემთხვევა, როცა მოსახლეობა დამატებით აქტივებში მოაქცევს ფულადი მიწოდების მთელ ნამატს. ე.ი. მოსახლეობა უბრალოდ ინახავს დამატებით ფულს და სავსებით არ იყენებს მათ გარიგებისათვის. ფულის მიწოდება იზრდება, მაგრამ მიმოქცევის სინქარე იმდენად დაქვმა, რომ ნომინალური წვპ-ის მოცულობაზე აბსოლუტურად არავითარ ზეგავლენას იგი არ მოახდენს.

კენსური პოზიცია შეიძლება წარმოვიდგინოთ (კონკრეტული უფრო გაშლილი სახით, თუ დაუბრუნდებით 15-2 ნახაზს. ჩვენ ვხედავთ, რომ ფულზე მოთხოვნის შეფარდებითი მნიშვნელობა აქტივების მხრიდან იცვლება სარგებლის განაკვეთის უკუპროპორციულად. აქედან გამომდინარე, ფულის მიწოდების გაფართოება შეამცირებს სარგებლის განაკვეთს. თუკი ეხლა ნაკლებ საზარელია უფრო მეტი ფულის ფლობა აქტივების სახით, მოსახლეობა მეტ ფულად აქტივებს შეინახავს მიმოქცევის ნულოვანი სინქარით. ამიტომ ფულის მიწოდების საერთო სინქარე ეცემა. ფულის მიწოდების შემცირება პირიქით, ააძლიერებს სარგებლის განაკვეთს, უფრო საზარალოს გახდის რა ფულის აქტივების სახით ფლობას. ფულადი აქტივების შემდგომი შემცირება გაზრდის ფულის მიმოქცევის საერთო სინქარეს. კენსელებს მოსაზრებით, ფულის მიმოქცევის სინქარე იცვლება (1) სარგებ-

ღის განაკვეთის პირდაპირპროპორციულად და (2) ფულის მიწოდების უქუროპორციულად, თუ ეს ასეა, მაშინ სწავილური კავშირი M-სა და ნომინალურ წებ-ს შორის, რასაც მონეტარული გადაძევი შექანიხში გვთავაზობს, არ არსებობს, ვინაიდან V იცვლება M-ის შეცვლით.


სხვათაშორის, ახლა ჩვენ შეგვიძლია უფრო სრულად შევივახთ ის, რაზედაც ლაპარაკი იყო მე-17 თავის ბოლოს, საკრედიტო- ფულადი პოლიტიკის შესახლო ნაკლოვანებებთან დაკავშირებით. აღნიშნული იყო, რომ V-ს უარყოფითი თვისება გააჩნია, იცვლებოდეხ M-ის ცვლილების საპირისპირო მიმართულებით, ჩვენი ახლანდელი ანალიზი გამთავლებს მისებ-შედგობრაც კავშირების რიგს, რომელთა მეშვეობითაც იგი ხორციელდება.

## ემპირიული მტკიცებები

V-ს სწავილურობა აშკარად ემპირიული საკითხია და „ვაქრებისადმი“ მიმართვა თითქოსდა სავსებით საკმარისია ჭეშმარიტების დასადგენად. მაგრამ, სამწუხაროდ ვაქრების მოძოვება არც ისე ადვილია.

მონეტარისტები ფიქრობენ, რომ ემპირიული დასაბუთების ძალია აშკარად მათ მხარესაა. 18-2 ნახახზე გამოსახულია ფულადი მიწოდება და წარმოების მოცულობა ქვეყანაში (PQ). თუ  $MV=PQ$ , მაშინ ძალიანი კორელაციური დამოკიდებულება M და PQ-ს შორის მიუთითებს V-ს საკმაო სწავილურობის შესახებ. მონეტარისტები ასკვნიან, რომ ფულის მიწოდება ნომინალური წებ-ის განსახლვრის გადაძევევი ვაქრობა; მისებობრიობის მიმართულება მადის M-დან ნომინალური წებ-სკენ.

მაგრამ ეს მონაცემები ვერ არწუნებს კვისილებს. ამის საწინააღმდეგოდ ისინი ორ არგუმენტს იშველიებენ. აერ ერთი, აღნიშნავენ, რომ  $MV=PQ$  -ს უბრალო გარდაქმნით ჩვენ მივიღებთ  $V=PQ/M=წებ/M$ . ე.ი. V შეიძლება ემპირიულად გავიანგარიშოთ, ყოველი წლის წარმოების ნომინალური მოცულობის (წებ) გაყოფით ფულის მიწოდების სიდიდეზე. კვინილები ამტკიცებენ, რომ მიღებული მონაცემები, რომლებიც 18-3 ნახახზეა ნაჩვენები, უარყოფენ მონეტარისტების თუხისს V-ს სწავილურობის შესახებ. ჩაინიშნუთ, მაგალითად, რომ ფულის მიმოქცევის სინქარეში წლიდან წლამდე



### ნახ. 18-2. ფულის მინოდება და ეკპ 1929-1988 წლებში

მონეტარისტები იმოწმებენ ფულის მაწოდებასა და ეკპ-ს შორის მაღალი დადებითი კორელაციური დამოკიდებულების სარისხს თავიანთი დებულების სასარგებლოდ იმის შესახებ, რომ ფული ეკონომიკური აქტიურობისა და ფასების დინამის გადანაწილელი ფაქტორია. ისინი ეარაუდობენ, რომ ფულის მინოდება „ჩისესია“ ხოლო ეკპ - „შედგი“ ამ წინაპიკურებს კეინსელები ეჭვის ქვეშ აყენებენ. გარდა ამისა, მონეტარისტები თვლიან, რომ M-სა და ეკპ-ს შორის კორელაციის მაღალი ხარისხი მიუთითებს ფულის სინქარის სტაბილურობის შესახებ (პრეზიდენტის ეკონომისკური მოხსენება).

შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი მერყეობები, ე.წ. მიმოქცევის სინქარის ზრდის „მყარი“ ტენდენციის პერიოდშიც კი 1945-დან 1982 წლამდე. მიაქციეო ყურადღება ასევე ფულის მიმოქცევის სინქარის ცვლილებებს 1982 წლიდან. მან არა თუ არ შეწყვიტა ზრდა, არამედ ამ პერიოდის ზოგიერთ წელს ფულის მიმოქცევის სინქარე ფაქტობრივად ეცემოდა. გარდა ამისა, კეინსელები აღნიშნავენ, რომ მჭიდრო კორელაცია ფულის მიმოქცევის სინქარესა და სარგებელის განაკვეთს შორის, რომელიც ნაჩვენებია 18-3 ნახაზზე, მიუთითებს მათი თეორიული დასკვნის სასარგებლოდ იმის შესახებ, რომ ფულის მიმოქცევის სინქარე სარგებლის განაკვეთის პირდა-




პირპროპორციულად იცვლება<sup>1</sup>. კეინსელთა მოსაზრებით ფულის მიმოქცევის სინქარე მერყეობს როგორც ციკლის განმავლობაში, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში და ეს მერყეობანი ამცირებენ ფულის მნიშვნელობას წარმოების მოცულობის, დასაქმებისა და ფასების დონის განმსაზღვრელი ფაქტორის სახით.

კეინსელები ასევე გვახსენებენ, რომ ფულის მიწოდების დიდი მოცულობის პირობებში ფულის მიმოქცევის სინქარის უმნიშვნელო ცვლილებებმა შეიძლება არსებითი ზეგავლენა მოახდინონ ნომინალურ წეპ-ზე. მაგალითად, დავუშვათ, რომ  $M$  შეადგენს 300 მლრდ.დოლ., ხოლო  $V=5$ .  $V$ -ს მოკრძალებული ზრდა 10%-ით გამოიწვევს ნომინალური წეპ-ის 150-მილიარდიან გადიდებას. ე.ი.  $MV$ -და მაშასადამე,  $PQ$ -ც თავდაპირველად უდრის 1500 მლრდ. დოლარს ( $= 300 \times 5$ ). თუ ახლა  $V$  გაიზრდება 10%-ით, 5,5-მდე, მაშინ  $PQ$  შეადგენს 1650 მლრდ დოლარს ( $= MV = 300 \times 5,5$ ) შეიძლება შევნიშნოთ, რომ  $V$ -ს ძალზე უმნიშვნელო მერყეობამ შეიძლება შეცვალოს  $P$ -ის დიდი აბსოლუტური ცვლილება.

მეორე, 18-2 ნახაზის საპასუხოდ კეინსელები შენიშნავენ, რომ კორელაცია და მიხეწობრიობა - სავსებით სხვადასხვა რამეა. განა არ შეიძლება დავუშვათ, რომ 18-2 ნახაზზე გამოსახული ნომინალური ეპ-ის ცვლილებები სინამდვილეში გამოწვეული იყო ერთობლივი დანახარჯების ცვლილებებით, ე.ი.  $C_u + I_n + X_n + G$  -ით, როგორც კეინსური მოდელში ივარაუდება? შესაძლოა მეწარმეთა ვარაუდში ხელსაყრელმა ცვლილებებმა გაზარდეს კაპიტალდაბანდებები? და ხომ არ შეიძლება ისე ყოფილიყო, რომ წარმოების ნომინალური მოცულობის აღნიშნულ ზრდას ქვეყანაში იძულებული გაეხადა საწარმოები და მომხმარებლები დროთა განმავლობაში უფრო მეტი ფული ესესხათ კომერციულ ბანკებში ეკონომიკური საქმიანობის მზარდი მოცულობის დასაფინანსებლად? სხვა სიტყვებით, კეინსელები ამტკიცებენ, რომ სინამდვილეში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ჯაჭვი ერთობლივი დანახარჯებიდან წარმოების მოცულობისაკენ ქვეყანაში და ფულის მიწოდებისაკენ მიდის, ვიდრე ფულის მიწოდებიდან ერთობლივ მოთხოვნამდე და წარმოების მოცულობამდე, როგორც აცხადებენ მონეტარისტები. მთავარი მომენტი, როგორც კეინსელები აღნიშნავენ, ისაა, რომ 18-2 ნახაზის მო-

1. ტექნიკური დეტალი: სარგებლის მოკლევადიანი განაკვეთი, რომელზედაც ლაპარაკია, წარმოადგენს ხაზინის სამთვლიანი თამასუქების განაკვეთს.



ნახ. 18მ ფულის მიმოქცევის სიჩქარე და სარგებლის განაკვეთი 1929-1988 წწ.

კეინსელები ამტკიცებენ, რომ ფულის მიმოქცევის სიჩქარე მერყეობს, როგორც ციკლის მანძილზე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. აქედან, ისინი აკვირდებიან დასკვნას, რომ ცვლილებები ფულის მიწოდებასა და წესის შემდგომ ცვლილებას შორის სუსტია და საუკუნოა. კონკრეტულად რომ ეთქვას, კეინსელები თვლიან, რომ ფულის მიმოქცევის სიჩქარე აცვლდება სარგებლის განაკვეთის პირდაპირპროპორციულად. რაზედგადაც სარგებლის განაკვეთის შემცირება ზრდის ფულადი აქტივების მოცულობას მიმოქცევის წელიწადში სიჩქარით, და მამასადაზე, ამტკიცებს ფულის მიმოქცევის საერთო სიჩქარეს.

ნაკვებები შუთავსებადია კეინსურ თვალსაზრისთან იმავე ზომით, რა ზომითაც მონეტარისტულ პოზიციასთან.

## დებატები პოლიტიკის შესახებ

განსხვავება კვინსურ და მონეტარისკულ თეორიებს შორის ვრცელდება მასშაბილიზებული პოლიტიკის სფეროზე.

## კამათი ფისკალური პოლიტიკის შესახებ

თუმცა კვინსელები აღიარებენ საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მნიშვნელობას, მაგრამ ისინი თვლიან, რომ ფისკალური პოლიტიკა უფრო მძლავრი და საიმედო მასშაბილიზებული საშუალებაა. ამასზე მიუთითებს კვინსელთა ძირითადი განცოლება. სახელმწიფო დანახარჯები, სხეებთან ერთად, უშუალოდ შედის ერთობლივ დანახარჯებში. ხოლო გადასახადები მათგან ერთი მოკლე ნაბიჯის მანძილზეა, რამდენადაც ითვლება, რომ გადასახადით დაბეგურის ზემოქმედება მოხმარებასა და ინვესტიციებზე საიმედო და წინასწარგანსჭერულად იქნება.

მონეტარისკები მნიშვნელოვნად ამცირებენ, ან თუ უკიდურეს შემთხვევას ავიღებთ, უარყოფენ ფისკალურ პოლიტიკას, როგორც რესურსების გადანაწილებისა და სტაბილიზაციის საშუალებას. ისინი ყარაულობენ, რომ ფისკალური პოლიტიკის აბსოლუტური უწყობა და უწყობელობა გამოწვეულია შენაცვლების ეფექტით (თავი 14). მონეტარისკები შემდეგნაირად მსჯელობენ: დაეუშვაო, სახელმწიფო ქმნის ბიუჯეტურ დეფიციტს ობლიგაციების გაყიდვით, ე.ი. მისახლეობისაგან ფულის სესხებით. მაგრამ, განაგრძობენ ისინი, სესხეულობის რა ფულს, სახელმწიფო კონკურენტულ ბრძოლაში ერთეობა კერძო ბიზნესთან, ფორდებისასთვის. მაშასადამე, სახელმწიფო სესხები აფართოებენ ფულზე მოთხოვნას, ამადლებენ სარგებლის განაკვეთს და ამრიგად, გამოდევნიან კერძო კაპიტალდაბანდებათა მნიშვნელოვან როდენობას, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში მომგებიანი იქნებოდა. ამრიგად, ბიუჯეტური დეფიციტის ერთობლივ დანახარჯებზე ზემოქმედების საბოლოო შედეგი წინასწარგაუთვალისწინებელი ან, უკეთეს შემთხვევაში, არაარსებითია.

შენაცვლების ეფექტის მოქმედების შესახებ უფრო ზუსტი წარმოდგენა შეიძლება მივიღოთ, თუ დაეუბრუნდებით 17-2 ნახაზს. სახელმწიფო დეფიციტის დაფინანსება აფართოებს მოთხოვნას ფულზე, გადაადგილებს რა  $D_m$  მრუდს მარჯვნივ 17-2ა ნახაზზე. ფულის მო-

კუმული მიწოდების პირობებში, სარგებლის  $M_{III}$  წონასწორობითი განაკვეთი გაიზრდება. სარგებლის განაკვეთის ზრდა მონეტარისკეთა მოსასრებთ შედარებით ნაკლები იქნება, რამდენადაც  $D_{III}$  მრუდი შედარებით ციცაბოა.

გარდა ამისა, მონეტარისკები თვლიან, რომ ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი, რომელიც გამოსახულია 17-2ბ ნახაზზე, შედარებით დამრეკია, ე.ი. საინვესტიციო დანახარჯები ძალზე მგრძობიარეა სარგებლის განაკვეთის ცვლილებებისადმი. მოკლედ რომ ვთქვათ, ფულზე თავდაპირველი მოთხოვნის გაფართოება სარგებლის განაკვეთის შედარებით დიდ ზრდას იწვევს, რაც მნიშვნელოვნად ამკარებს ერთობლივა მოთხოვნის საინვესტიციო კომპონენტს. ამის შედეგად ძლიერი უკუფექტი აუქმებს ბიუჯეტური დეფიციტის ექსპანსიურ ზეგავლენას და საბოლოო ანგარიშით, წონასწორობით წებზე ზეგავლენა არ მოხდება. ამიტომ ფრიდმენი აცხადებს:

„ჩემი გაგებით, თავისთავად ბიუჯეტის მდგომარეობა არსებით ზეგავლენას არ ახდენს ნომინალურ (ფულადი) შემოსავლას დანახაზზე. ინფლაციისა და ციკლურ მერყეობაზე.“

თუ დეფიციტი, როგორც ეს მიღებულია, ახალი ფულის გამოშვებით იფარება, შენაჯვლების ეფექტი შეიძლება გამოირიცხოს და დეფიციტის შემდეგ მოხდეს ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება. მაგრამ აღნიშნავენ მონეტარისკები გაფართოება მოხდება არა ბიუჯეტის დეფიციტის, როგორც ასეთის, არამედ დამატებითი ფულის შექმნის წყალობით.

კეინსელები, საერთოდ, არ უარყოფენ, რომ ზოგიერთი ინვესტიცია შეიძლება შენაჯვლებული იქნას. მაგრამ ისინი შენაჯვლებული ინვესტიციების მოცულობას უმნიშვნელოდ თვლიან და, შესაბამისად, იმ დასკვნამდე მდებან, რომ ბიუჯეტური ექსპანსიის პოლიტიკის წონასწორობით წებზე ზემოქმედების საბოლოო შედეგი მნიშვნელოვანი იქნება. 17-2 ნახაზის ტერმინებში კეინსური თვალსაზრისი იმაშია, რომ ფულზე მოთხოვნის მრუდი შედარებით დახრილია, ხოლო ინვესტიციებზე მოთხოვნის მრუდი კი ციცაბოა (როგორც თქვენ გახსოვთ ასეთი შეხამება იწვევს ფულად-საყრდნით პოლიტიკის შეფარდებით სისუსტესა და არაუფექტიანობას). ამრიგად,  $D_{III}$ -ის გადიდება სარგებლის განაკვეთის ძალზე მოკრძალებულ ზრდას იწვევს, რომელიც თავის თავს აღადგენს რა ინვესტიციებზე მოთხოვნის ციცაბო მრუდზე, იწვევს ერთ-

1. დაწერილებით ამის შესახებ იხ. წიგნი Milton Friedmah, Walter Heller. Monetary vs. Fiscal Policy. New York: W.W. Norton & Company Inc., 1969. გვ. 51

მე-18 თავში წარმოდგენილი იყო მონეტარიზმისა და რაციონალური მოლოდინის თეორიის (რმთ) იდეები და თითოეული მათგანის მიდგომის შედარება კეინსური სკოლის ძირითადი მიმდინარეობის მიდგომასთან. ჩვენ დავინახეთ, რომ არსებობს სხვადასხვანაირი მოსაზრება იმის შესახებ, თუ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკისათვის რამდენად ორგანულადაა დამახასიათებელი არასტაბილურობა; ფულადი პოლიტიკის, ეკონომიკაზე ზემოქმედების ხერხების შესახებ; ფულადი და ფისკალური პოლიტიკის ფუექტიანობის შესახებ. ამ თავში გაგრძელდება დისკუსია ალტერნატიულ მაკროეკონომიკურ თეორიათა შესახებ, კერძოდ, ინფლაციისა და უმუშევრობის ერთდროული წარმოშობის სხვადასხვანაირი ახსნის მეშვეობით. გარდა ამისა, ალტერნატიული შეხედულებების ჩვენეული მიმოხილვა უფრო გაუართვდება: კერძოდ, განვიხილავთ მიწოდების ეკონომიკის თეორიას.

ამ თავის სპეციფიკური ამოცანები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ჯერ ერთი, ჩვენ გამოგვყავს და განვიხილავთ ე.წ. ფილიპსის მრუდს, რომელიც კეინსური მიმართულების ეკონომისტების მიერ უმუშევრობისა და ინფლაციის ეკონომიკაში ალტერნატიული ურთიერთკავშირების ასახსნელად გამოიყენება. მეორე, ალტერნატიული თეორია, რომელსაც ბუნებრივი დონის შიპოთეზის ტიტული გააჩნია, გამოიყენება იმის ასახსნელად, თუ რატომ აწყდება ეკონომიკა სტაგულაციას. ეს თეორია უკავშირდება ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიას. და შემდგომ ჩვენ ვაანალიზებთ თუ როგორ სწარმოებს ნეოკლასიკურ თეორიაში განსხვავების გავლება მოკლევადიან და ხანგრძლივადიან მოთხოვნას შორის. ასეთი განსხვავება საშუალებას გვაძლევს გავაფართოოთ მოთხოვნის ინფლაციისა და დანახარჯთა

ინფლაციის ადრე ჩატარებული ანალიზის უარგლები. და ბოლოს, განხილულია სტაგფლაციის დაძლევის პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტები.

## ფილიპსის მრუდი

მოდი, უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაგვეხმარება თვალყურით ვადევნოთ ფილიპსის მრუდის აღწერას და ანალიზს.

## ანალიტიკური და ისტორიული წინამძღვრები

მე-12 და მე-14 თავებში ჩატარებულ კეინსურ ანალიზში ყურადღება გამახვილებული იყო ერთობლივი ხარჯების, როგორც ეროვნული წარმოებისა და დასაქმების განმსაზღვრელ პრობლემაზე. უმარტავესი კეინსური მოდელი გვინიშნავს, რომ ეკონომიკაში შეიძლება წარმოიშვას ან უმუშევრობა (დაკვეთებით გამოწვეული მოწყვეტა), ან ინფლაცია (ინფლაციით გამოწვეული მოწყვეტა). მაგრამ ინფლაცია და უმუშევრობა არ შეიძლება ერთდროულად წარმოიშვას. მითხვენისა და მიწოდების მოდელების უმარტავესი კეინსური ანალიზი ითვალისწინებს, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდს “შებრუნებული -L-ის” სახე გააჩნია (იხ. ნახ. 12-2ბ). ერთობლივი მოთხოვნის მრუდის პირიზონტალურ (კეინსურ) მონაკვეთზე მოძრაობისას ერთობლივი მოთხოვნის მაქვება გამოიწვევს რეალური წარმოებისა და დასაქმების გადიდებას ფასების დონის უცვლელობის პირობებში მანამ, სანამ, სრული დასაქმების მდგომარეობა არ იქნება მიღწეული. ერთობლივი მოთხოვნის შემდგომი გადიდება ეკონომიკას გადაადგილებს ერთობლივი მიწოდების ვერტიკალურ (კლასიკურ) მონაკვეთზე, სადაც რეალური გამოშვება უცვლელად იქნება შენარჩუნებული, მაგრამ წარმოიქმნება ინფლაცია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთობლივი მოთხოვნის გარკვეულმა “სწორმა” დონემ, რომელიც ერთობლივი მიწოდების მრუდს გადაკვეთს იმ წერტილში, რომელიც ზუსტად სრულ დასაქმებას შეესაბამება, შეიძლება ყველაზე საუკეთესო შესაძლო მაკროეკონომიკური სიწუაყია მოგვეცეს სრული დასაქმება და ფასების სტაბილური დონე (Qf 12-2ბ ნახაზზე).


ეკონომისტთა უმეტესობის თვალსაზრისით, ეს მარტივი კეინსური მოდელი მართლაც უზრუნველყოფდა მთლიანად მაკროეკონომიკური ფუნქციონირების დამაკმაყოფილებელ ახსნას ოთხი ათწლეულის განმავლობაში, 70-იან წლებამდე. ე.ი. "დიდი დეპრესია," მეორე მსოფლიო ომის პერიოდის საინფლაციო ბუმი, მაკროეკონომიკის აღმავლობისა და დაცემის უმეტესობა 50-იან და 60-იან წლებში, შეიძლება ახსნილი და საკმაოდ კარგად გაგებულ იქნა კეინსური ანალიზის კონტექსტის ფარგლებში. მაგრამ 70-იან წლებში ეს მდგომარეობა შეიცვალა. ინფლაციისა და უმუშევრობის თანაარსებობა (ინფლაციისა და უმუშევრობის ერთდროული გადიდება) მუდმივ მოვლენად იქცა და 70-იანი და 80-იანი წლების დასაწყისის მთავარი მაკროეკონომიკური პრობლემა გახდა. კერძოდ, ამ პერიოდში ორჯერ ჰქონდა ადგილი სტაგნაციის აღმავლობას 1973-1975 და 1978-1980 წლებში, რომელთა ახსნაც დანახარჯების კეინსურმა მოდელმა ვერ შესძლო. ეს არანეგატიური მოვლენები შეიძლება უკეთ იქნეს გაგებულს თუ (1) იქიდან გამოვალთ, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდი აღმავალია (ანუ ასეთი მონაკვეთის შივიკავს) და (2) დავუშვებთ ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილების შესაძლებლობას.

## შილიძის მრუდი: კონცეფცია და შაბტები

ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების უფრო რეალური მოდელი ნაჩვენებია 19-1 ნახაზზე. გაიხსენეთ, რომ ერთობლივი მოთხოვნის მრუდს დაქვეითებადი დახრილობა გააჩნია სამდიდრის, სარგებლის განაკვეთებისა და უცხოური შესყიდვების ზემოქმედების გამო. ერთობლივი მიწოდების ანალიზისათვის გაიხსენეთ, რომ მრუდის სახე სამ მონაკვეთზე პორიზონტალურ კეინსურ მონაკვეთზე, აღმავალ შუალედურსა და ვერტიკალურ კლასიკურ მონაკვეთზე - დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოსდის დანახარჯებს რეალური ეროვნული წარმოების ზრდის პირობებში. ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის გადაკვეთის წერტილი განსაზღვრავს რეალური ეროვნული წარმოების მოცულობას (და დასაქმებას), ერთი მხრივ, და ფასების დონეს, მეორე მხრივ.

19-1 ნახაზზე წარმოდგენილია უბრალო აზრობრივი ექსპერიმენტის შედეგები. დავუშვათ, რომ დროის რაღაც მონაკვეთში ერთობლივი მოთხოვნა ფართოვდება  $AD_0$ -დან  $AD_1$ -მდე. ასეთი გადაადგილება შეიძლება მოთხოვნის ნებისმიერი არასაფასო დეტერმინანტის ცვლილებით.





ნახ. 19-1. ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებათა გავლენა ეროვნული წარმოების რეალურ მოცულობასა და ფასების დონეზე

ბის შედეგი ყოფილიყო, რომელიც განხილულია მე-11 თავში. მაგალითად, მეწარმეებს


ერთობლივი მოთხოვნის სხვადასხვა შესაძლო წამაჭრის შედეგების შედარებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ რაც უფრო მეტია ერთობლივი მოთხოვნის წარმატი. მით მეტი იქნება მის მიერ გამოწვეული ინფლაცია და

წარმოების რეალური მოცულობა. რაზედაც წარმოების რეალური მოცულობა და უმუშევრობის დონე უკუბრუნდებიან. შედეგად გავყავდეს ზოგადი დასკვნა, რომ მოცულობა ერთობლივი მოთხოვნის ძარბებში ინფლაციის ჩაჯალი დინებები უნდა იწვევდეს უმუშევრობის დაბალ დონეს.

შეუძლიათ გადაწყვეტილება მაიღონ დიდი რაოდენობის საინფლაციო საქონლის შექმნის თაობაზე, ან მოაერობას შეუძლია გაზარდოს დანახარჯები სასოგადოებრივ საქონელია დიდი მოცულობის უზრუნველსაყოფად. როგორც არ უნდა იყოს ერთობლივი მოთხოვნის გადიდების მიხედვით, ჩვენ ვხედავთ ფასების გადიდებას  $P_0$ -დან  $P_1$ -მდე, მაშინ, როცა რეალური გამოშვება იზრდება  $Q_0$ -დან  $Q_2$ -მდე.

ახლა შევადაროთ თუ რა მოხდა ერთობლივი მოთხოვნის უფრო მეტი გადადიებისას, ვთქვათ,  $AD_0$ -დან  $AD_1$ -მდე. ახალი წონასწორობა იმ წერტილში მიიღწევა, სადაც ინფლაციის დონე და რეალური წარმოების მოცულობა უფრო მეტი იქნებოდა (ხოლო უმუშევრობის დონე, შესაბამისად, ნაკლები). ანალოგიურად, დაუშვათ, რომ ერთობლივი მოთხოვნა მოცემულ წელს მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა -  $AD_0$ -დან  $AD_1$ -მდე. ჩვენ დავინახავთ, რომ  $AD_0$ -დან  $AD_2$ -მდე გადაადგილების თავდაპირველ შემთხვევაშიან შედარებით ინფლაცია (და რეალური პროდუქტის ნამაჭიკ ნაკლები იქნება (ხოლო უმუშევრობის დონე მაღალი). განხილავთ, რომელიც შეიძლება გონებაში გაკეთდეს გატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: რაც უფრო მეტია ერთობლივი მოთხოვნის მატება, მით მეტი იქნება ამის შედეგად წარმოშობილი ინფლაცია და მით მაღალი იქნება რეალური

პროდუქტის ზრდა(და ნაკლები უმუშევრობის დონე). პირიქით, თუ ერთობლივი მოთხოვნა შენელებული ტემპებით იზრდება, მაშინ დაბალი იქნება ამ ზრდით გამოწვეული ინფლაცია და ნაკლები იქნება რეალური პროდუქტის ზრდა (და მეტი უმუშევრობის დონე). მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენი განსოგადებით, ინფლაციის მაღალ ტემპებს, თან უნდა ახლდეს უმუშევრობის დაბალი დონე, და პირიქით. 19-2ა ნახაზზე ნაჩვენებია თუ როგორ უნდა გამოიყურებიდეს მოსალოდნელი თანაფარდობა.



ნახ. 19-2. ფილიპისის მრუდი: კონცეფცია და ფაქტობრივი მონაცემები

ფილიპისის მრუდი გვიჩვენებს მყარ კავშირებს უმუშევრობისა და ინფლაციის დონეებს შორის. რამდენადაც კავშირი ამ მაჩვენებლებს შორის უკუპროპორციულია, საგარეოდ უნდა არსებობდეს ალტერნატიული ურთიერთკავშირი უმუშევრობასა და ინფლაციას შორის. 1960 წლის ემპირიული მონაცემებით აგებული წერტილები ადასტურებენ ფილიპისის მრუდის კონცეფციის სისწორეს.

ფაქტები რამდენად შეესაბამება თეორიას? ემპირიულ გამოკვლევათა საფუძველზე ჩატარებულმა ეკონომისტთა ნოვატორულმა ნამუშევრებმა 50-იანი წლების დასაწყისსა და 60-იან წლებში დაადასტურეს ამ დამოკიდებულების არსებობა, რომელიც ცნობილი გახდა როგორც ფილიპისის მრუდი.<sup>1</sup> ასე, მაგალითად, 19-2ბ ნახაზი გვიჩვენებს კავშირს

1. დარქმეულია ინგლისელი ეკონომისტის ა.ფილიპისის პატივისცემად, რომელმაც შეიმუშავა ეს კონცეფცია (იხ. მისი ნაშრომი "თანაფარდობა უმუშევრობასა და ფულადი ხელფასის ცვლილებებს შორის დიდ ბრიტანეთში 1962-1957 წლებში". // *Ecobomics*. November, 1958. გვ. 283-299

შევრობისა და ინფლაციის დონებს შორის 1961-1969 წლებში. ხაზით, რომელიც აერთებს ემპირიულად მიღებულ წერტილებს, მოსალოდნელ უკუკავშირს გვიჩვენებს. მსგავსი ემპირიული მონაცემების საფუძველზე ეკონომისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უმუშევრობასა და ინფლაციას შორის არსებობს სტაბილური და წინასწარგანჭვრეტადი უკუკავშირი. უფრო მეტიც, ასეთი კავშირის გათვალისწინებით დგებოდა ეროვნული ეკონომიკური პროგნოზები. მოდით, განვიხილოთ ფილაქსის მრუდის ლოგიკური დასაბუთება და განსვსავით, თუ რაქომ დაირღვა აღნიშნული დამოკიდებულება 70-იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში.

## ფილიქსის მრუდის ლოგიკური დასაბუთება

როგორ შეიძლება ავხსნათ ფილაქსის მრუდი? რა იწვევს თვალნათლივ უკუკავშირის სრულ დასაქმებასა და ფასების დონის სტაბილურობას შორის? საერთოდ, არსებობს ურთიერთშემესებ არგუმენტთა ორი ტიპი, რომელიც გვიხსნის თუ რაქომ შეიძლება ინფლაცია წინ უძღოდეს სრული დასაქმების მიღწევას. იქიდან გამომდინარე, თუ როგორ გამოგვყავდა ჩვენ ფილიქსის მრუდი, გასაკვირი როდია, რომ ის ფაქტორები, რომლებიც მას უდევს საფუძვლად, იგივე აღმოჩნდება, რომლებიც კეინსურ თეორიაში ერთობლივი მიწოდების მრუდის შუალედური მონაკვეთის ასახსნელად გამოიყენება.

1. შრომის ბაზრის დაუბალანსებლობა. ახსნა ნაწილობრივ დაკავშირებულია ზოგიერთ დაუბალანსებლობასთან - ვიწრო ადგილებისა და სტრუქტურული პრობლემებისა, რომლებიც შრომის ბაზარზე წარმოიშობა ეკონომიკის სრული დასაქმების მდგომარეობასთან მიახლოების შესაბამისად. ძირითადი მოტივი აქ ისაა, რომ შრომის ბაზარი აშშ-ში შრომის ინდივიდუალიზებული ბაზრების განსაკუთრებით დიდ რაოდენობას მოიცავს, რომელთაც სემენტირებული ხასიათი გააჩნიათ და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც დასაქმების სტრუქტურით, ისე გეოგრაფიულადაც. შრომის ბაზრების ასეთი მრავალფეროვნება იმის შესაძლებლობას გულისხმობს, რომ ეკონომიკის ზრდის კვალობაზე სრული დასაქმება არ შეიძლება მიღწეულ იქნას ერთდროულად ყველა

ბაზარზე. მაშინ როცა ერთი სპეციალობისათვის (კალკულ გეოგრაფიულ რაიონებში შესაძლებელი იქნება სრული დასაქმება და დაუკმაყოფილებელი მოახლოვანაც კი, უმუშევრობა შენარჩუნებული იქნება სხვა სპეციალობებისა და რაიონებისათვის. ეს შეუსაბამობა ნიშნავს, რომ შხარდ ეკონომიკაში უმუშევრობის საერთო დონის, ვიქცაო, 6,5 ან 7%-ის პირობებში, შრომის ხოგაერთ სახეობაზე მოახლოვან ცალკეულ რაიონებში არ იქნება დაკმაყოფილებული, რაც ბუნებრივია, აქ გამოიწვევს ხელფასის გადიდებას. ხელფასის შხარდი დონე ნიშნავს დანახარჯების ზრდას და იწვევს ფასების გადიდებას. წმინდა შედეგი იქნება ფასების გადიდება, მაშინაც კი, როცა ეკონომიკა მთლიანად ჯერ კიდევ სრული დასაქმების პირობებში არ ფუნქციონირებს.

გონივრულია კითხვა, რაქომ ვერ სსობს ამ ვიწრო ადგილებს შრომის ბაზრის შემგუებელი რეაქცია. რაქომ არ ხდებიან, მაგალითად, უმუშევარი იშვიათ სპეციალობათა მუშები? პასუხი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ასეთი სწრუქურული ძვრები საკმაოდ სწრაფად არ შეიძლება განხორციელდეს ახალი პროფესიის შესწავლა მოითხოვს დროისა და ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან დანახარჯს. უფრო მეტიც, მაშინაც კი თუ მასობრივი სპეციალობის უმუშევარს ახალი კვალიფიკაციის შეძენისა და საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის უნარი, დრო და ფულიც გააჩნია, უმუშევარმა შეიძლება არც იცოდეს რომ კვალიფიკური ხელისნების უკმარისობა არსებობს. გარდა ამისა, მუშათა გადაადგილების ხელიწერი შეხლუდეები ასევე ხელს უწყობს დისპროპორციების შენარჩუნებას. მაგალითად, რახობრივი, ეონიკური თუ სქესობრივი დისკრიმინაციის საფუძველზე შესაძლოა გაძნელდეს კვალიფიკური მუშების მიერ არსებული ვაკანსიების მიღება. ანალოგიურად, დიქსნხიათა მიღების ქვოქები და პროფკავშირული შეხლუდეები ახალ სამოსწავლო ადგილებზე, აძნელებს შრომის კალკულ ბაზრებს შორის დისბალანსის გამოთანაბრებას. ეს ნიშნავს, რომ შრომის ბაზრის შემგუებლური რეაქცია არასაკმაოდ სწრაფი და სრული აღმონდება იმისათვის, რათა შეანეროს წარმოების დანახარჯთა და პროდუქციის ფასების ზრდა, რომელიც მოხდება მანამდე, სანამ მიიღწევა საერთო დასაქმების მდგომარეობა.

2. ბაზარზე ბატონობა. ფილიპის მრუდის დამატებითი, მაგრამ უფრო წინააღმდეგობრივი ახსნა ეყარება ვარაუდს იმის შესახებ, რომ პროფკავშირებს და მსხვილ ბიზნესს მნიშვნელოვანი მონოპოლიური ან საბაზრო ძალაუფლება გააჩნიათ ფასებისა და ხელფასის გადიდებისათვის, და რომ ამ ძალაუფლების რეალიზება ძალზე ადვილია ეკონომიკის სრული დასაქმების მდგომარეობასთან მიახლოების შესაბამისად. მაშასადამე, “წამბიძებლური ხელფასის” ინფლაციის სქემა დაახლოებით

ასე გამოიყურება: ეკონომიკის სრული დასაქმების მდგომარეობასთან მიახლოების კვალობაზე დამკირავებლები სულ უფრო მეტ სიმინელებს განიცდიან ახალი კვალიფიკაციური მუშების მიღების თაობაზე და პროფკავშირები უფრო აგრესიული ხდებიან ხელფასის მომატების მოთხოვნებში. უფრო მეტიც, ეკონომიკაში მხარდ კეთილდღეობას, ამ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად მეწარმეთა მხადყოფნის განმტკიცების ტენდენცია ექნება. ერთი მხრივ, ფირმები მოერიდებიან წინააღმდეგობა გაუწიონ პროფკავშირთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ამის გამო ძვირადღირებულ ელემენტებს რისკს, მაშინ როცა საქმიანი აქტიურობა მეტი სმეტად მომგებიანი ხდება. მეორე მხრივ, ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოფს ხელსაყრელ გარემოს, რომელშიც მონოპოლიური ძალაუფლება შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელფასის მომატების შესახებ მოთხოვნის დანახარჯების მომხმარებლებზე გადასაცანად, საქონლის უფრო მაღალი ფასების ფორმით. ამის შედეგა კი ხდება ფასების მხარდი დონე დამატებითი ერთობლივი მოთხოვნის არარსებობის პირობებში.

## მასტაბილიზებული პოლიტიკის დილემა

თუ ფილიპსის მრუდი 19-2 ნახაზის მდგომარეობაში დარსება, ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელთა წინაშე დადგება დილემა. ფულადი და ფისკალური პოლიტიკის ტრადიციული ღონისძიებები შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის გადანაწილებით. ეს ღონისძიებები არავითარ ზეგავლენას არ ახდენდნენ შრომის ბაზრის დისპროპორციებსა და ბაზარზე ბაქონობის სისტემაზე, რომლებიც ინფლაციას იწვევდნენ სრული დასაქმების მდგომარეობის მიღწევამდე. კერძოდ, ფულადი და ფისკალური ღონისძიებების მეშვეობით ერთობლივი მოთხოვნით მანკულირების შედეგი იყო ეკონომიკის უბრალო გადაადგილება ფილიპსის მოცემული მრუდის გასწვრივ. მაშასადამე მასტაბილიზებული ფისკალური პოლიტიკა და იაფი ფულის პოლიტიკა, რომელთაც ერთობლივად აქტიურად უნდა შეუქმონ ხელი ერთობლივი მოთხოვნის და მიაღწიონ უმუშევრობის დონის შემცირებას, იმავდროულად ინფლაციის უფრო მაღალი დონის გენერირებას გამოიწვევს. და პირიქით, შეზღუდული ფისკალური და ძვირი ფულის პოლიტიკა შეიძლება გამოყენებული იქნას ინფლაციის დონის შესამცირებლად, მაგრამ მხო-


ლოდ უმუშევრობის დონის გადიდებისა და წარმოების დაკარგული მოცულობის ფასად. ერობლივი მოახოვნის რეგულირების პოლიტიკა შეიძლება გამოიყენებულ იქნას იმისათვის, რომ ფილიპსის მრუდსე რომელადაც წერტილის ასარჩევად, მაგრამ ასეთ პოლიტიკას არ შეუძლია გააუმჯობესოს აღწერნაწყოული კავშირი "უმუშევრობის დონე - ინფლაციის დონე", რომელიც ფილიპსის მრუდშია მოთავსებული. იმ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების არსებობის პირობებში, რაც ფილიპსის მრუდითაა გამოხატული, შეუძლებელია "სრული დასაქმების მიღწევა ინფლაციის გარეშე."

## სტაბილაცია:

### ბაღააღბილგადი მრუდი?

განმკიცებული იყო თუ არა ფაქტებით ფილიპსის სტაბილური მრუდის კონცეფცია 70-იან და 80-იან წლებში? სენ შეიძლება ვამჩქიკოთ რომ 70-იანი და 80-იანი წლების მოვლენები უბრალოდ ეწინააღმდეგებოდნენ "ინფლაციის დონე-უმუშევრობის დონე" აღწერნაწყოული კავშირის იდეას, რომელიც ფილიპსის მრუდშია ჩადებული. 19-3 ნახახს აფართოებს 19-2ბ ნახახის სქემას 1970-1988 წლების მონაცემთა შეტანის ხარჯზე. აშკარა უკუპროპორციული კავშირი, რომელსაც ადვილი აქონდა 1961-1969 წლებში, ახლა სავსებით გაუგებარი და მეტისმეტად საეჭვო ხდება. მთავრით ყურადღება 19-3 ნახახის სქემას. სენ ვხედავთ, რომ 70-იანი წლების განმავლობაში ეკონომიკაში ინფლაციისა და უმუშევრობის ერთდროული გადიდება შეინარსებოდა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოიშვა სტაგნაცია. ჩანისწინთ, მაგალითად, წერტილები, რომლებიც 1972-1974 წლებს შეესაბამება. ეს მონაცემები თავადისწინებს, რომ უკეთეს შემთხვევაში ფილიპსის მრუდი გადაადგილდა მარჯვნივ. ან ნაკლებად სასურველ მდგომარეობაში, სადაც უმუშევრობის ყოველი მოკეშული დონე ინფლაციის უფრო მაღალი დონით აღინიშნება, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ინფლაციის ყოველ დონეს თან ახლავს მხარდი უმუშევრობა. შუა და მარჯვენა ხახები 19-3 ნახახსე თავადისწინებს ასეთ გადაადგილებას. უარეს შემთხვევაში მონაცემები გვაძლებენ ვთქვათ, რომ უმუშევრობასა და ინფლაციას შორის არ არსებობს აშკარა უკუკავშირი.

ნახ. 19-3.  
ინფლაციისა და  
უმუშევრობის  
დონეები



1901-1988 წლების ემპირიული მონაცემების მიხედვით აგებული წერტილები გულისხმობს ინფლაციისა და უმუშევრობის დონეს შორის არსებულ კავშირის არარსებობას. მკვლევარმა აღინიშნა, რომ ინფლაციისა და უმუშევრობის დონეს შორის არსებული კავშირი არსებობს, მაგრამ ის არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. უმუშევრობის დონის 70-იანი წლებში და 80-იანი წლების დასაწყისში მრუდი გადაადგილდა მარჯვნივ, რაგონი დასაშვად განიხილოს.


მიწოდების შოკები

რა გამოიწვია სწავლავლის შეცვლებმა 70-იან და 80-იანი წლების დასაწყისში? კანისური მიმართულების კონსონანსები მომხდარს მიწოდების შოკების არს საფასო შოკების სერიებით ხსნიან. გავიხსენოთ, რომ ინფლაციისა და უმუშევრობის დონეს შორის უკუპროპორციული დაბოკადებულება, რაც 19-2 ა ნახაზზე ნახვენები, გამოიყვანებოდა ერთობლივი მითითების დონის ცვლილებების საფუძველზე. ერთობლივი მიწოდების მრუდის შუალედურ მონაკვეთზე 19-1 ნახაზზე. ახლა, მოდით, განვიხილოთ ინფლაციის 19-4 ნახაზზე გამოხატული მიდგომა, რაც და ნახარჯთა გადადებითაა წახალისებული. აქ წვენ ვხედავთ, რომ ერთობლივი მიწოდების შემცირება (გადაადგილება მარჯვნივ) გამოიწვევს უმუშევრობისა და ფასების დონის პროპორციულ ცვლილებებს ანუ იხრდება ორივე მანვენებელი, რომელიც შედეგად სწავლავლის გვაძლევს. ეს, როგორც კანისელები აქხადებენ, არსებითად იგეგვა, რაც მოხდა 1973-1975 და შემდგომ განიხიორდა 1978-1980 წლებში.

მიღიით განვიხილოთ შოკების მექანიკლებად შემთხვევითი სერიები, რომელიც გახარდეს წარმოების ხვედრი დანახარჯები და ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილეს მარცხნივ ( $AS_1$ -დან  $AS_2$ -საკენ

### ნახ.19-4 ერთობლივი მიწოდება და სტაგფლაცია

ძირითადი ეკონომიკური თეორიის ინტერპრეტაციის შესაბამისად 1973-1975 წლებში მიწოდების შოკების სერია, რომელსაც მოიკავის ენერჯიას მხარედ დანახარჯებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების უფრო მაღალ ფასებს უფრო მაღალ მპორტულ ფასებს, წარსებდებდნენ. ამის შედეგად, და საჩუქრად, ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდეს მარცხნივ. ამის შედეგად გახდა სტაგფლაცია - ფასების უფრო მაღალი დონე, რომელსაც თან ახლავს წარმოების რეალური მოცულობის შესუსრება. 1978-1980 წლების მოვლენები ანალოგიური სტაგფლაციის საჩუქრებია.



19-4 ნახაზზე), რათა გამოიწვიოთ 1973-1975 წლების "დიდი დეპრესია". ტექნიკური ერთობლივი მიწოდების ზოგადი დეტერმინანტის ცვლილებებმა, რომლებიც ფასების დონესთან არაა დაკავშირებული (თავი 1) სტაგფლაციას.

1. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები (ნეპო) და ენერგომატარებლების ფასები. ჯერ ერთი, ნავთობის კარტელის ეფექტიანმა ფუნქციონირებამ გამოიწვია ნავთობზე ფასების დრამატული ომხმაგი მომატება. ამის შედეგად პრაქტიკულად ყველა საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის დანახარჯები მკვეთრად გაიზარდა.

II. სოფლისმეურნეობრივი დეფიციტი. 1972-1973 წლებში წარმოიშვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დიდი დეფიციტები, განსაკუთრებით აზიასა და საბჭოთა კავშირში. ამის საპასუხოდ მკვეთრად გაიზარდა ამერიკული სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი, მნიშვნელოვნად შეზღუდა რა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდება აშშ საშინაო ბაზარზე. ამის შედეგად სოფლის მეურნეობის ნედლეულზე გაზრდილი ფასები ნიშნავდა უფრო მაღალ დანახარჯებს მრეწველობის სექტორში.



რისათვის, რომელიც სურსათსა და ნაჭურალურ ბოჭკოს აშხადებდა. ეს შხარდი დანახარჯები შხარდ ფასებში გადავიდნენ და ანახლადურდა მომხმარებელსა მიერ.

**III. გაუფასურებული დოლარი.** 1971-1973 წლებში საერთაშორისო ვაჭრობისა და ფინანსების უფრო მეტი დაბალანსების მიღწევის მიხნით შემცირებული იქნა დოლარის ღირებულება. დოლარის გაუფასურება ნიშნავს, რომ ახლა უფრო მეტი დოლარია საჭირო ერთი უცხოური ვალუტის შესაძენად. ეს თავის მხრივ იწვევს ამერიკული იმპორტის გაძვირებას, ანუ გაუფასურებული დოლარი გამოიწვევს ამერიკური იმპორტული ფასების მკვეთარ ზრდას. იმ ზომით, რა ზომითაც იმპორტი წარმოების დანახარჯს წარმოადგენს, წარმოების ხვედრი დანახარჯები იზრდება და ერთობლივი მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაიწვეს.

**IV. ხელფასზე და ფასებზე კონტროლის გაუქმება.** 1971-1974 წლებში ნიქსონის ადმინისტრაციამ შემოიღო ფასების და ხელფასის დონის კონტროლი, რასაც გეონომიკაში საინფლაციო ტენდენციების შეზღუდვის ეფექტი გაანდა. ამ სიძველის გაუქმების შემდეგ მეწარმეებმა სწრაფად მოუმატეს ფასებს იმ დანაკარგთა საკომპენსაციოდ, რომელიც განიცადეს კონტროლის მოქმედების დროს. ამ მომაცემებმა დაიქარა ხვედრი დანახარჯებისა და საქონელთა ფასების ზრდა.

**V. მწარმოებლურობის შემცირება.** 70-იანი წლებისა და 80-იანი წლები დასაწყისის სწრაფულაციური მომენები განაპირობებული იყო არა მარტო მიწოდების ამ თხიხა საკმაოდ დრამატული შოკით, რომელიც სემით იყო აღწერილი. მოქმედებდა უფრო მოქნილი ფაქტორები, რომლებიც მთიკავდა მწარმოებლურობისა და მილოდინის ტენდენციებს. როგორც ჩვენ 21-ე თავში დაყინახათ, შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპმა, ე.ი. შრომის ეფექტიანობამ დაკვეთება იწყო 60-იანი წლების შუახანებში და მისი მერნაკლებად მყარი დაკვეთა შეინაშნებოდა მოელი 70-იანი წლების მანძილზე. შრომის მწარმოებლურობის ტემპების ეს შემცირება - ანუ ერთი კაც-საათში გამომუშაების შემცირება - ასევე იწვევდა წარმოების ხვედრი დანახარჯების გადიდებას.

რაჭომ მოხდა ასე? პასუხი ისაა, რომ ხვედრი შრომითი დანახარჯების მატება (ანუ პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯების) დაახლოებით ხელფასის ნომინალური განაკვეთის ნამატსა და შრომის მწარმოებლურობის გადიდებას შორის განსხვავების ტოლფასია. უფრო ზუსტად:

ხვედრი		ნომინალური		შრომის	
შრომითი		ხელფასის		მწარმოებელ	
დანახარჯების	≈	განაკვეთის	—	ურობაში	(1)
პროცენტი		კვლილების		კვლილების	
		პროცენტი		პროცენტი	

მაგალითად, თუ ხელფასის საათობრივი ნომინალური განაკვეთი 5 დოლარია და მუშები საათში 10 ერთეულ პროდუქციას აწარმოებენ, მაშინ ხვედრი შრომითი დანახარჯები შეადგენს 0,5 დოლარს. ახლა, თუ ხელფასის ნომინალური განაკვეთი იზრდება 10%-ით საათში 5,5 დოლარამდე და მწარმოებლურობა ასევე 10%-ით იზრდება, საათში 11 ერთეულამდე, მაშინ ხვედრი შრომითი დანახარჯები უცვლელი დარჩება. ე.ი.  $5 \text{ დოლ} / 10 = 0,5 \text{ დოლ} / 11 = 0,5 \text{ დოლარს}$ . ჩვენი განყოფილების ჩემბინებში 10% (ნომინალური ხელფასის (კვლილება) მიწის 10% (შრომის მწარმოებლურობა) უდრის შრომითი დანახარჯთა ნულთან სრდება. ანალოგიურად, თუ ნომინალური ხელფასი უნდა გაზრდილიყო 10%-ით და შრომის მწარმოებლურობა უწინდელ დონეზე დარჩებოდა, ხვედრი შრომითი დანახარჯები 10% -ით აიწვედა. ანუ, თუ ხელფასის განაკვეთები თავდაპირველად 5 დოლარს შეადგენდა და გამომუშავება საათში - 10 ერთეულს, შრომითი დანახარჯები 0,5 დოლარი იქნებოდა. მაგრამ ახლა საათში 5,5 დოლარი ხელფასის პირობებში, და ერთ საათში პროდუქციის გამომუშავების 10 ერთეულის დონეზე შენარჩუნებით ხვედრი შრომითი დანახარჯები 5,5 დოლარს შეადგენდა, რაც ნაშნავს მათ 10%-იან გადიდებას. ჩვენს განყოფილებაში 10% მიწის 0% უდრის ხვედრი შრომითი დანახარჯების 10% -ით გადიდებას. რამდენადაც შრომითი დანახარჯები შეადგენს საერთო წარმოებრივი დანახარჯების 70-იდან 80%-მდე, გასაკვირი რაღაცაა, რომ საქონელთა ფასები პრაქტიკულად ხვედრი შრომითი დანახარჯების შესაბამისად იზრდება. ამრიგად, ნომინალური ხელფასის მაჩვენებლის მოკლებული მოცულობის პირობებში, შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტენდენციის შემცირება გამოიწვევს ხვედრი წარმოებრივი დანახარჯების გადიდებას და ხელს შეუწყობს ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილებას.

VI. საინფლაციო მოლოდინი და ხელფასი. 70-იანი წლების ინფლაცია 60-იანი წლების დასასრულის ინფლაციითაა გამოწვეული, რომელიც, თავის მხრივ, ვიეტნამის ომისდროინდელი პერიოდის გაბერძენი სამხედრო ხარჯების შედეგი იყო. შესაბამისად, 70-იანი წლების დასაწყისისათვის მუშები უკვე განსახლვრული დროის მანძილზე იმყოფებოდნენ ინფლაციის ზეწოლის ქვეშ. ამის შედეგად მუშათა მოთხოვნა

ნებში ნომინალური ხელფასის თაობაზე თანდათანობით შეიქმნებოდა ინფლაციის მხარდი დონის მოლოდინი. დამქრავებელთა უმრავლესობას, იმ მოლოდინით, რომ მხარდი ინფლაციის პირობებში მოახერხებდნენ გაზრდილი შრომითი დანახარჯების ფასებში გაღაქანას, წინააღმდეგობა არ გაუწევია მუშათა მოთხოვნისათვის სულ უფრო და უფრო გაღვიძებისათი ნომინალური ხელფასი. მარალიც, მრავალ მომუშავეს კოლექტიურ ხელშეკრულებებში მქონდა პუნქტი ხელფასის კორექტირების შესახებ (ხოვრების ღირებულების ზრდასთან დაკავშირებით, ასე რომ მათი ნომინალური ხელფასის დონეები ავტომატურად აზრდებოდა ფასების მომატებასთან ერთად. ყოველ შემთხვევაში, ხელფასის ნომინალური დონის სულ უფრო მეტი გაღვიძების მოთხოვნებს უნდა გაეღვიძებინა ხვედრი წარმოებრივი დანახარჯები და რქნდენჯა პქონიდა ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაეადგილებინა AS<sub>1</sub>-დან AS<sub>2</sub>-სკენ 19-4 ნახაზის მიხედვით.

ჩაინახეთ, რომ (1) განქალაქების დახმარებით, რომელიც ხვედრი შრომითი დანახარჯებს აკავშირებს ხელფასსა და მწარმოებლურობასთან, შეიძლება დაგვეკავშირებინა საინფლაციო მოლოდინი და შექმნა ბაი მწარმოებლურობა, როგორც სქაგულაციის მახეხება, იუ ნომინალური ხელფასი წაახალისებს ორგანიზებული შრომის დანქრებულ მოთხოვნებს და შრომის მწარმოებლურობის ზრდის რქმქები იმავდროულად ექემა, წარმოიშობა ორმაგი მახეხი, რომლითაც ხვედრი შრომითი დანახარჯები - და საბოლოო ანგარიშში საქონელია ფასები უნდა გაიზარდოს.

რეზიუმე. ყველა ამ ფაქტორს ერთმანეთთან შეხამებით 70-იან წლებში ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილეს ისე, რომ შექმნა შესაძლო მაკროეკონომიკური სიტუაციებიდან ყველაზე უარესი დაქვეითებული წარმოება და მხარდი უმუშევრობა გადაეხლართა ფასების დონის ზრდას (ნახ.19-4). 1973-1975 წლების სქაგულაციის რიქ ხობრივი პარამეტრები ერთობ მნიშვნელოვანი იყო. უმუშევრობის დონემ 1973 წ. 4,9%-დან 8,5%-მდე აიწია 1975 წელს, არსებითი წვლილი შეიქმნა რა რეალური ეკი-ის 49 მლრდ დოლარით შემქრებაში. იმავე დროს, ფასების დონე 21%-ით გაიზარდა. 1973-1975 წლების სქაგულაციის სქემა ძირითადად განმეორდა 1976-1980 წლებში. ამჯერად ფასების გაგანქური გადადება ბარჯლზე 21 დოლარით შემოღებული იქნა ნავთობის ექსპორქსორი ქვექების მექ. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების ზრდასთან შეხამებით ფასების დონე 1978-1980 წლებში 26%-ით გაიზარდა, მაშინ როქა უმუშევრობის დონემ 6,1-დან 7,6%-ს

მაღლია. ამ სამწლიანი პერიოდის მანძილზე ეკი გაიზარდა საშუალოდ  
ძალზე მკრთალი 2%-ით წელიწადში.

სწავლა(კის მსხეულებისაგან დამოუკიდებლად, 70-იანი წლების  
ეკონომისტთა დიდი ნაწილისათვის აშკარა იყო, რომ ფილიპსის მრუდი  
არ გამოხატავს უფრო მყარ კავშირებს. შეინიშნებოდა ერთობლივი მი-  
წოდების მრუდის უკუგადაადგილების (ანუ მარცხნივ) ტენდენცია, რაც  
ალბათ, ყველაზე უფრო ახსნის კიდევაც ინფლაციისა და უმუშევრობის  
დონის ერთდროულ ზრდას. მრავალი ეკონომისტისათვის ის, რაც 70-  
იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში მოხდა, ნიშნავდა, რომ ფი-  
ლიპსის მრუდი გადაადგილება მარჯვნივ და ეკონომიკა აღმოჩნდება  
ინფლაციის უფრო მაღალი დონის პირობებში, ვიდრე უწინ.

## სტატისტიკის დასასრული: 1982-1988 წლები

თუ 19-3 ნახაზის სქემას დავუბრუნდებით, შეიძლება დავინახოთ,  
ინფლაცია - უმუშევრობის წერტილების ერთობ მნიშვნელოვანი ჩავარ-  
დნა 1982 და 1988 წლებს შორის. 1988 წლისათვის 70-იანი წლების და  
80-იანი წლების დასაწყისის სწავლა(კია პრაქტიკულად დახრულდა.  
მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც წინ უძღოდა ასეთი ხელსაყრელი  
ტენდენციის გამოჩენას, 1981-1982 წლების ღრმა დაქვეითება იყო, რო-  
მელიც მნიშვნელოვანწილად მკაცრი ფულადი პოლიტიკით იყო გამოწ-  
ვეული. დაქვეითებამ უმუშევრობის დონის 9,2%-მდე ზრდა გამოიწ-  
ვია 1982 წელს. შრომის ბაზრის ექსტრემალური შემცირების პირობებში  
მუშები იძულებული იყვნენ შერიგებოდნენ ნომინალური ხელფასის ნა-  
მატის შემცირებას - ან ზოგიერთ შემთხვევებში კიდევაც მიეღოთ ხელ-  
ფასის შემცირება სამუშაო ადგილის შენარჩუნების მიზნით. ფირმები  
თავის მხრივ იძულებული იყვნენ შეეზღუდათ ფასების გადიდება თავი-  
ანთი ბაზრის შეფარდებით შემცირებული წილის შენარჩუნების მიზნით.

იმავედროულად მოქმედებდა სხვა, რიგი მნიშვნელოვანი ფაქტორებიც.  
ინტენსიური უცხოური კონკურენცია მთელი 1982-1988 წლების მანძილ-  
ზე აფერხებდა ფასების ზრდას რამდენიმე უმნიშვნელოვანეს დარგში,  
ისეთში, როგორიცაა ავტომშენებლობა და ფოლადსამსხმელო. საავიაციო  
და საავტომობილო გადაზიდვების დერეგულირებას შედეგად მოჰყვა  
ხელფასის შემცირება. ნავთობის ექსპორტითი კვყენების მონოპოლი-  
ური ძალაუფლებისადმი ძირის გამოთხრამ გამოიწვია ნავთობსა და ნავ-

თობპროდუქტებზე ფასების შთამბეჭდავი შემცირება. ყველა ამ ფაქტორ-  
მა გამოიწვია წარმოების ხვედრი დანახარჯების შემცირება, და, შესა-  
ბამისად, ერთობლივი მიწოდების მრუდის მარჯვნივ გადაადგილების  
ტენდენცია გამოავლინა (მაგალითად AS<sub>2</sub>-დან AS<sub>1</sub>-სკენ, 19-4 ნახაზ-  
ზე). იმავდროულად, მშვიდობიანი დროის, ხანგრძლივობით ყველაზე სა-  
რეკორდო ეკონომიკურმა აღმავლობამ 1982-1988 წლებში შექმნა 15  
მლნ. ახალი სამუშაო ადგილი. უმუშევრობის ადრინდელი მაღალი დონე  
მკვეთრად დაეცა, კერძოდ, 1983 წლის 9,6%-დან 6,2%-მდე 1987 წელს  
და 5,4%-მდე 1988 წელს. როგორც 19-3 ნახაზის სქემის ანალიზი  
გვიჩვენებს, 1987 და 1988 წლების წერტილები ინფლაციისა და უმუშევ-  
რობის გრაფიკზე, ძალზე ახლოს იმყოფებიან 60-იანი წლების ფილიპსის  
მრუდის წერტილებთან.

მნიშვნელოვანი ფაქტი: ისე როგორც 1973-1974 და 1979-1980  
წლებში უმუშევრობა და ინფლაცია მოძრაობდა ერთი და იგივე მიმარ-  
თულებით რამდენიმე წლის მანძილზე (1983-1988). ე.ი. უმუშევრობა და  
ინფლაცია არ გადადილებულან საპირისპირო მიმართულებით, როგორც  
იგულისხმებოდა 80-იანი წლების ფილიპსის მრუდით. “დიდი სტაგფლა-  
ციის” პერიოდში 70-იანი წლების შუახანებში ინფლაცია და  
უმუშევრობა ერთდროულად იზრდებოდა; ეკონომიკური აღმავლობის  
რამდენიმე წლის მანძილზე-1983-1988 წწ.- ინფლაცია და უმუშევრობა  
ერთდროულად მცირდებოდა.

## ბუნებრივი ღონის ჰიპოთეზა

ჩვენ დავინახეთ, რომ ინფლაციისა და უმუშევრობის წერტილების 60-  
იანი წლების ფილიპსის მრუდიდან მარჯვნივ ამოგდების სტანდარტული  
კეინსური ახსნა ისაა, რომ მოხდა მიწოდების შოკების სერია, რომელთაც  
მიწოდების მრუდი მარცხნივ გადაადგილეს, და ამგვარად, ფილიპსის მრუ-  
დი გადაადგილდა მარჯვნივ და ზევით, როგორც 19-3 ნახაზზეა ნაჩვენე-  
ბი. თავის მხრივ, ინფლაცია - უმუშევრობის წერტილების მკვეთრი  
გადაადგილება 80-იან წლებში მოხდა ერთობლივი მიწოდების მრუდის  
მარჯვნივ გადაადგილების გამო. ასეთი კეინსური მოსაზრება უწინდე-  
ბურად გულისხმობს, რომ ჯერ კიდევ არსებობს ინფლაციის და უმუშევ-  
რობის ზრდის ალტერნატიულობა. მაგრამ ერთობლივი მიწოდების ცვლი-  
ლებებმა შეიძლება შეცვალონ ინფლაციისა და უმუშევრობის ცვლილე-  
ბების ფარგლები - ე.ი. შეუძლიათ თვით ფილიპსის მრუდის გადაადგი-

ლება განვითარების განსაკუთრებული ფაქტორების მოქმედების სოციალური პერიოდის მანძილზე.

უმუშევრობისა და ინფლაციის უფრო მაღალი ტემპების ერთდროული გამოჩენის მეორე ასხნა ნეოკლასიკური წარმოდგენიდან გამომდინარეობს და ბუნებრივი დონის პიპოთეზა ეწოდება. იგი კითხვის ქვეშ აყენებს თვით ფილიპის დაღმავალი მრუდის არსებობას, იმ სახით როგორც იგი გამოსახულია 19-3 ნახაზზე. ეს მიდგომა საბოლოოდ იმ დასკვნას გვაძლევს, რომ ეკონომიკა სწავილურია ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით უმუშევრობის ბუნებრივი დონის პირობებში. მე-10 თავიდან ცნობილია, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე ის დონეა, რომლის დროსაც შრომის ბაზარზე არ იგრძნობა მეშაბა არც უკმარისობა და არც სიჭარბე. სხვა სიტყვებით, ეს უმუშევრობის ის დონეა, რომელიც ნულოვანი (კვილური) უმუშევრობის დროს არსებობს, და ნულის ტოლია.

ბუნებრივი დონის პიპოთეზის შესაბამისად, მრუდი დასაქმების არასწორად თრენქირებული კონსურსი პოლიტიკა, რომელიც ფილიპის მრუდის არსებობის შესახებ თეზისიდან გამოდის, ინფლაციის დონის ზრდას გამოიწვევს. ბუნებრივი დონის პიპოთეზას თავისი ემპირიული დამტკიცება გააჩნია (სხ. ნახ. 19-3). შეიძლება ითქვას, რომ ვერტიკალური ხაზი, რომელიც გავლებულია უმუშევრობის ბუნებრივი დონის შესაბამის წერტილზე, რომელიც 6%-ის ტოლია, კვეთს ასახავს "ურთიერთკავშირს" ინფლაციისა და უმუშევრობის შორის, ვიდრე ფილიპის ტრადიციული დაღმავალი მრუდი. ბუნებრივი დონის პიპოთეზის შესაბამისად, უმუშევრობის ყოველი მოცემული დონე შეესაბამება უმუშევრობის ბუნებრივ დონეს ეკონომიკაში.

არსებობს ინფლაცია - უმუშევრობის გრავიტიკე წერტილების ინტერპრეტაციის ორი ვარიანტი, რომელიც ნაჩვენებია 19-3 ნახაზზე ბუნებრივი დონის პიპოთეზიდან: ადაპტიური მოლოდინისა და რაციონალური მოლოდინის თეორია.

## ადაპტიური მოლოდინის თეორია

ბუნებრივი დონის პიპოთეზის ერთ-ერთი ვარიანტია ადაპტიური მოლოდინის თეორია. მოცემულ თეორიას ასე იმიტომ ეწოდება, რომ მისი ლოგიკით, მომავალი ინფლაციის მოლოდინი ყალიბდება მეურნეობრივი სექტორების მიერ ინფლაციის წინამორბედი და ახლანდელი დონეების

საფუტკეკლზე, ამასთან, როგორც გამოცდილება გვჩვენებს, ამ მოლოდინის ცვლილებები ძალზე სელა მიმდინარეობს. ადაპტიური მოლოდინის თეორია წამოყენებული და პოპულარისებულ იქნა მთლიან ფროდმენის მიერ და ტრადიციული მონეტარული და აღმოცენებადი ნეოკლასიკური კონცეფციების კვლამორწიში ძეკს.

ადაპტიური მოლოდინის თეორია გულისხმობს, რომ მოკლევადიანი თვალსაზრისით შეიძლება არსებობდეს ინფლაციისა და უმუშევრობის აღტერნატიულობა, მაგრამ ხანგრძლივვადიანი თვალსაზრისით ასეთი აღტერნატივა არ არსებობს. უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე დაბლა დაწევს ეოველგვარი მცდელობა ააბიძრავებს ძალებს, რამელები; გამო-  
ოწვევენ ფილიპის მრუდის დეგრადილიზაციას და მარჯვნივ გადასწევს მას. მაშასადამე, თოგორც ჩვენ მაშინათვე დავსახავთ, ადაპტიური მოლოდინის კონცეფციას შენობის განსხვავება ფილიპის "მოკლევადიან" და "გრძელვადიან" მრუდის შორის.

ფილიპის მოკლევადიანი მრუდი. განვიხილოთ ფილიპის PC1 მრუდი 19-5 ნახაზზე. დავეუშვათ, რომ ეკონომიკას თავდაპირველად გაან-  
ნია ინფლაცია 3% და უმუშევრობის ბუნებრივი დონე, 6%. ადაპტიური მოლოდინის თეორიის თანახმად ისეთი მოკლევადიანი მრუდი, როგორცაა PC1, არსებობს, რამდენადაც ინფლაციის ნამდვილი დონე ეოველთვის როდი ემთხვევა მოსალოდინელს. ფილიპის მრუდზე დამ-  
ტებით PC1 წერტილის აღნიშვნით, ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ ეს ვარა-  
უდი. ჩვენ ვაწევთ A1 წერტილიდან, სადაც ნომინალური ხელფასი დგინდება იმ ვარაუდის საფუტკეკლზე, რომ შენარჩუნებული იქნება 3%-  
ანი ინფლაცია. მაგრამ, ასევე დავეუშვათ, რომ მთავრობამ შეცდომით შე-  
ავსა სრული დასაქმების უმუშევრობის დონე, რომელიც უდრის 4%. ნაკვლად ნამდვილი 6%-ისა. ეს შეცდომა შეიძლება წარმოიშვას იმიტომ, რომ ეკონომიკამ წინა პერიოდში მაღლია უმუშევრობის 4%-ს. ახლა დავეუშვათ, რომ ინფლაციის ამ მიხნობრივი 4%-ის მსაღწევად მთავრობა შექმნილებს მასკომულებელ ფისკალურ და ფულიად პოლიტიკას.

ამის შედეგად წარმოშობილი ერთობლივი მოიხიფნის ხნდა ინფლაციის ასწევს 6%-მდე. რეალური და ნომინალური ხელფასის მოქმეული დონის პირობებში, რომელიც დადგენილი იყო იმ მოლოდინით, რომ ინფლაციის დონე 3%-ს მაღაწევს, საკონელია უფრო მაღალი ფასები გაზრდიან მეწარმეთა მოგებას. ფირმები მოგებათა გადილებას უპასუხებენ პროდუქციის გამოშვების გაზრდით, და მაშასადამე, დამატებით მუშა-  
თა დაქირავებით. მოკლევადიანი თვალსაზრისით ეკონომიკა გადაინაწ-

ვლებს წერტილში, რომელსაც A1-თან კონტრასტით, უმუშევრობის უფრო დაბალი დონე (4%) და ინფლაციის უფრო მაღალი დონე (6%) გაან-  
ნია. ეს გადაადგილება A1-დან B1-სკენ, როგორც შეამჩნიეთ, ზოგადი  
სახით შეესაძება ფილიპსის მრუდის ადრინდელ ინტერპრეტაციას. შესაძ-  
ლოა ეკონომიკამ რაღაც ზომით ინფლაცია მიიღოს უმუშევრობის შემ-  
ცირებული დონის "საფასურად". მაგრამ ბუნებრივი დონის კონცეფციის  
მიმდევრები A1-დან B1-სკენ გადაადგილებას სავსებით სხვანაირად  
ხსნიან. ისინი მას განიხილავენ როგორც შემდეგი პრინციპის მოკლევად-  
დიან გამოვლენას: როდესაც ინფლაციის ნამდვილი დონე უფრო მაღა-  
ლია, ვიდრე მოსალოდნელი, უმუშევრობის დონე დაეცემა.

**ფილიპსის ხანგრძლივგადაიანი ვერტიკალური მრუდი.** წერტი-  
ლი B1 არ წარმოადგენს სტაბილური წონასწორობის მდგომარეობას,  
ადაპტივური მოლოდინის თანახმად. სკეჩი ისაა, რომ მუშები შეიგნებენ  
რომ მათი რეალური ხელფასი და შემოსავალი დაეცა, ანუ მათი ნომი-  
ნალური ხელფასი უფრო ნელა გაიზრდება, ვიდრე ინფლაცია. მაშასა-  
დამე, მუშები მოითხოვენ და მიიღებენ კიდევაც ნომინალური ხელფასის  
გადიდებას დაკარგული მსყიდველობითი უნარის აღსადგენად. მაგრამ  
თუ ნომინალური ხელფასი იმისთვის იზრდება, რომ აღდგენილი იქნას  
რეალური ხელფასის ადრინდელი დონე, რომელიც A1 წერტილზე არ-  
სებობდა, მეწარმეთა მოგება უწინდელ დონემდე დაეცემა. მოგებათა ეს  
შემცირება ნიშნავს, რომ ქრება თავდაპირველი მოტივები, რომელიც  
მეწარმეებს აგულიანებდა დაექორაგებინათ მუქი მუშა და გაეზარდათ  
წარმოება. შედეგები? უმუშევრობა უზრუნდება თავის ბუნებრივ დონეს  
A2 წერტილში. ჩაინიშნეთ ამასთან, რომ ეკონომიკა ახლა აქცდება ინ-  
ფლაციის უფრო მაღალ ფაქტობრივ და მოსალოდნელ დონეს - 6%-ს,  
ნაცვლად 3%-ისა. ე.ი. ერთობლივი მოთხოვნის უფრო მაღალი დონე,  
რომელმაც ეკონომიკის მოძრაობა გამოიწვია A1-დან B1-სკენ, აქვრ კი-  
დეც არსებობს. შესაბამისად, შენარჩუნებულია ამ მოთხოვნით წარმოშო-  
ბილი ინფლაცია.


მოსალოდნელი 6%-იანი უფრო მაღალი ინფლაციის პირობებში ფი-  
ლიპსის მოკლევადიანი მრუდი გადაიწვეს ზევით PC1-დან PC2-კენ.  
მოკლედ რომ ვთქვათ, „ფილიპსის მრუდზე“ A1 - B1 ტიპის მოძრაობა  
PC1 მრუდზე, მხოლოდ მოკლევადიანი, გარდამავალი მოვლენაა. ხან-  
გრძლივგადაიანი თვალსაზრისით, მას შემდეგ, რაც ნომინალური ხელფასი  
ფასების ზრდას დაეწევა, უმუშევრობა დაუზრუნდება ბუნებრივ დონეს  
A2 წერტილში და ფილიპსის ახალი მოკლევადიანი PC2 მრუდი იარსე-  
ბებს ინფლაციის უფრო მაღალი მოსალოდნელი დონის პირობებში.



შესაძლოა პროცესის განმეორება. მთავრობას შეუძლია გადაწყვიტოს, რომ განსაზღვრულმა საგარეო შემთხვევითმა მოვლენებმა ჩაფუჭეს მისი მასტიმულბელი პოლიტიკა, და კიდევ ერთი წამოწყების ცდა. პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებები ამ შემთხვევაში მიმართულია ერთობლივი მოთხოვნის გადიდებისაკენ, რის შედეგადაც პროცესი განახლდება. ფასები მომენტალურად იზრდება, გაუსწრებს რა ნომინალური ხელფასის გადიდებას, იზრდება მოგება, წარმოება და დასაქმებაც (A2-დან B2-მდე). მაგრამ თავის დროზე მუშები მოითხოვენ და აღწევენ კიდევაც ნომინალური ხელფასის გადიდებას, თავისი რეალური ხელფასის აღსადგენად. მოგება, მაშასადამე, ეცემა თავდაპირველ დონემდე, იწვევს რა დასაქმების შემცირებას მის ნორმალურ დონემდე A3-ის პირობებში. დასაქმების ფაქტობრივი დონის მის ბუნებრივ დონეზე დაბლა დადგენის მცდელობისათვის მთავრობის „ჯილდო“ იქნება ინფლაციის კიდევ უფრო მაღალი დონის (9%) დამყარება.

თუ ჩვენ A1, B1, A2, B2, A3, B3 და ა.შ. მივიღებთ როგორც ფილიპსის მოკლევადიანი მრუდების მიმდევრობას, ადაპტიური მოლოდინის თეორია შეიძლება ინტერპრეტირებული იქნას ისე, რომ მთავრობის მისწრაფებები სხვადასხვა პოლიტიკური ღონისძიებების დახმარებით გადაადგილოს ეკონომიკა ფილიპსის მოკლევადიანი მრუდის გასწვრივ (A1,-დან B1-სკენ PC1 მრუდზე), გამოიწვევს თვით მრუდის გადაადგილებას ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში (PC2, შემდგომ PC3 და ა.შ.). სხვა სიტყვებით, ფილიპსის სტაბილური მრუდი უმუშევრობისა და ინფლაციის დონეთა ალტერნატიული კავშირების საიმედო სერიებით უბრალოდ არ არსებობს. სინამდვილეში, არ არსებობს ინფლაციის სტაბილური დონე (როგორც 6% B1 წერტილში), რომელიც მიღებული იქნებოდა შემცირებული უმუშევრობის „საზღაურის“ სახით ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით. უმუშევრობის სასურველი 4%-ის დონეზე შესანარჩუნებლად მთავრობამ თანმიმდევრულად უნდა გააფართოვოს ერთობლივი მოთხოვნის მოცულობა. უმუშევრობის 4%-იანი დონის „საზღაურია“ არა ინფლაციის მუდმივი 6%-იანი დონე B1 წერტილში, არამედ უწინარეს ყოვლისა ინფლაციის მზარდი დონე, ე.ი. ინფლაციის საშუალო წლიური მზარდი დონე, რომელიც 6%-იდან (B1) 9%-მდე (B2) და 12%-მდე (B3) და ა.შ. იზრდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხანგრძლივადიანი კავშირი უმუშევრობასა და ინფლაციას შორის ნაჩვენებია ვერტიკალური წრფით, რომელიც A1, A2, და A3 წერტილებს აერთებს. 19-2 ნახაზზე ადრე ნაჩვენები ფილიპსის მრუდის ალტერნატივები არ არსებობს.

ნახ. 19-5 ადაპტი-  
ვური მოლოდინის  
თეორია



ერთობლივი მოთხოვნის გა-  
დიდებას შეუძლია რაღაც  
დროით გასარდოს ზოგება და  
შესაბამისად პროდუქციის  
გამოსყებაც და დასაქმებაც (  
-A1 და B1-სდე). საგრამ სოხ-  
ნაღურს ხელფასს უფრო მა-  
ღე გაიზრდება. შეამცირებს  
რა ზოგებას და მოსაძობს, მაშ-  
სადასე. წარმოებისა და და-  
საქმების პროდუქციადიან სტი-  
მულის (B1-დან A1-სდე). მა-  
შასადასე, ხანგრძლივადიანს  
მრუდს კერძო, კაპიტალი წრუდს  
საქე გააჩნა. ეს გულის-  
ხიობს, რომ კონსომიკა მასტო-  
მულებელი პოლიტიკა გააზო-  
იქვეს მზარდ ინფლაციას  
უზუსტეობის დონის შესწო-  
რების ნაცვლად. უფრო მაკო-  
რულ სოტსე ეს სქესა გულის-  
ხიობს, რომ კონსომურსა (სასტა-  
ბილარ) ებღებს პოლიტიკა  
შეიხლება შეიკლდოს ინ-  
ფლაცია უზუსტეობის მუდ-  
მიუ ღრდის გარეშე.

**დეზინფლაცია.** შეიძლება თუ არა ადაპტივური მოლოდინის ეს  
სკენარი გამოყენებული იქნას დეზინფლაციის ასახსნილად, რომელშიც  
ინფლაციის დონის შემცირება ან მისი შეწყვეტა აგულისხმება? ამ კი-  
პოთეზის მიმდევრები დადებით პასუხს იძლევიან. დაგუშვათ, რომ 19-5  
ნახაზის სქემით ეკონომიკა A3 წერტილზე იმყოფება, სადაც ინფლაციის  
დონე 9%-ის ტოლია და უზუსტეობისა კი 6%-ის. შეიძლება ველო-  
დოთ, რომ ერთობლივი მოთხოვნის ისეთი მნიშვნელოვანი შემცირება,  
რომელიც 1981-1982 წლების დაქვეითებით იყო გამოწვეული, შეამცი-  
რებს ინფლაციას მოსალოდნელ 9%-ზე დაბლა, ვთქვათ, 6%-მდე. საწარ-  
მოთა ზოგება დაეკრება, იმიტომ, რომ საკონელსა ფასები უფრო ნელა  
იზრდება, ვიდრე ხელფასი. დაიხსოვ. ა, რომ სოხინალური ხელფასის ნამა-  
ტი დგინდებოდა იმ ვარაუდით, რომ, რომ ეკონომიკაში შენარჩუნდება  
ინფლაციის დონე 9%. ზოგების შემცირების საპასუხოდ ფირმები შეამ-  
ცირებენ დასაქმებას, და მაშასადამე, გაიზრდება უზუსტეობის დონე.

ეკონომიკა დროებით A3 წერტილიდან C2-ზე დაეშვა ფილიპის PC3 მოკლევადიანი მრუდის გასწვრივ. ბუნებრივი დონის თეორიის თანახმად, თუ ინფლაციის ფაქტობრივი დონე მოსალოდნელზე დაბალია, უმუშევრობის დონე გაიზრდება.

ფირმებისა და მუშების მოლოდინი ბოლოსდაბოლოს შეეგუება ინფლაციის ახალ 6%-იან დონეს, და ამრიგად, ხელფასის ახლად დათქმული ნამაჩქვც შეფარდებით დაბალი აღმოჩნდება. მაშასადამე, მოგებები აღსდგება, დასაქმება გაიზრდება და უმუშევრობის დონე თავის ბუნებრივ (6%) დონეს დაუბრუნდება A2 წერტილზე. რამდენადაც ინფლაციის მოსალოდნელი დონე ახლა მხოლოდ 6% შეადგენს ფილიპის მოკლევადიანი PC3 მრუდი მარცხნივ გადაინაცვლებს PC2 წერტილისაკენ. თუ ერთობლივი მოთხოვნა შემდგომშიც მცირდება, მოვლენები ისევე განმეორდება. ინფლაცია შემცირდება, ვაქვათ, 3%-მდე, ეკონომიკას გადაადგილებს რა A2 წერტილიდან C1 წერტილამდე PC2 მრუდის გასწვრივ. ამის მიზეზი, როგორც უკვე ითქვა, ისაა რომ ინფლაციის მოსალოდნელმა დონემ (უფრო დაბალი ფასები) შეამცირა მოგებები და დასაქმება. მაგრამ ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით შეიძლება მოველოდეთ, რომ ფირმები რეაგირებას მოახდენენ უფრო დაბალ მოგებაზე, ნომინალური ხელფასის შემცირებით. ამრიგად აღდგენილი იქნება მოგებები და უმუშევრობა თავის ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნდება A1 წერტილში, ფილიპის მოკლევადიანი მრუდის პირობებში, რომელიც გადაადგილდება PC2-დან PC1-კენ. ფილიპის ხანგრძლივადიან მრუდს ვერტიკალური წრფის სახე გაანინა ორდინატთან, უმუშევრობის ბუნებრივი დონის წერტილში.

ვამეორებთ: ადაპტიური მოლოდინის თეორიის თანახმად ინფლაციის ნებისმიერი მოცემული დონე ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით ეხამება უმუშევრობის ბუნებრივ დონეს.

## რაციონალური მოლოდინის თეორია

ადაპტიური მოლოდინის თეორია გულისხმობს, რომ ნომინალური ხელფასის ცვლილებები ჩამორჩებიან ფასების დონის ცვლ ლებებს. სწორედ ეს დროითი გარღვევა შესაძლებელს ხდის მოგების დროებით გადიდებას, რაც, თავის მხრივ, როებით სტიმულს აძლევს დასაქმებას.

რაციონალური მოლოდინის თეორია, რომელიც მე-18 თავ-შია განხილული ბუნებრივი დონის ჰიპოთეზის მეორე ვარიანტია. ეს თეორია ამტკიცებს, რომ მეწარმეები, მომხმარებლები და მუშები ჩვეულებრივ შეიგნებენ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა და საკმაოდ ეფექტიანად იყენებენ არსებულ ინფორმაციას თავიანთი ინტერესების დასაცავად, ან განამტკიცებენ კიდევაც თავიანთი მდგომარეობას. კერძოდ, ადამიანები გებულობენ თუ როგორ ზემოქმედებს სახელმწიფო პოლიტიკა ეკონომიკაზე და ითვალისწინებენ ამ ზემოქმედებას საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებისას. მოცემულ კონტექსტში, დავუშვათ, რომ თუ სახელმწიფო შემოიღებს მასტიმულებელ პოლიტიკას, მუშები მოელიან ინფლაციის ზრდას და რეალური ხელფასის შემდგომ შემცირებას. მაშასადამე, მუშები ამ მოსალოდნელ ინფლაციას ნომინალური ხელფასის მომატების თავიანთი მოთხოვნებში შეიტანენ. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ მუშები სრულად და სწორად იყენებენ საფასო ინფლაციას და კორექტირებას უკეთებენ ნომინალური ხელფასის თავიანთი მოთხოვნებს, თავისი რეალური ხელფასის შესანარჩუნებლად, მაშინ მოგების, წარმოებისა და დასაქმების დროებით გადიდებასაც არ ექნება ადგილი. ამ შემთხვევაში დასაქმების დროებითი გადიდების ნაცვლად, რომელიც A1-დან B1-მდე გადაადგილებითაა ნაჩვენები 19-5 ნახაზზე, გადაადგილება წავა პირდაპირ A1-დან A2-მდე. თუ მუშების მიერ მსილიანადაა გათვალისწინებული ინფლაცია, მაშინ არ ექნება უმუშევრობის არავითარი მოკლევადიანი შემცირება. საფასო ინფლაცია, რომელიც მოლიანად იქნება გათვალისწინებული ნომინალური ხელფასის მომატების შესახებ მუშათა მოთხოვნებში, შექმნის ვერტიკალურ წრფე A1, A2 და A3 წერტილების გავლით 19-5 ნახაზზე.

დასკვნები პოლიტიკისათვის: კენისური დონისძიებები, რომლებიც უმუშევრობის არასწორად განსაზღვრული დონის მიღწევაზეა ორიენტირებული, რომელსაც სრული დასაქმების დონეს უწოდებენ, გამოიწვევენ ინფლაციის დანქარებას, მაგრამ სრულებით არ შეამცირებენ უმუშევრობას. ჩაინიშნეთ ამასთან, რომ ადაპტიური და რაციონალური მოლოდინის თეორიები განამტკიცებენ კონსერვატიულ შეხედულებას იმის შესახებ რომ მთავრობის მკდელიობები აკეთოს კეთილი საქმეები, ჩვეულებრივ წარუმატებლად სრულდება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი დანახარჯებით. მოცემულ შემთხვევაში დანახარჯები წარმოიშობა ინფლაციის დანქარების ფორმით. აქტიური ფისკალური პოლიტიკა ნამდვილად არა ეფექტიანი იქნება ამ მიზნის მიღწევაში.

ვაჯამებთ: უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში ფილიპსის მრუდის განხილვა რადიკალურად შეიცვალა. უმუშევრობისა და სტაბილური ინფლაციის ალტერნატიულობის თავდაპირველმა იდეამ ადგილი დაუთმო ადაპტივური მოლოდინის მიდგომას, რომლის თანახმად მსგავსი ალტერნატიული კავშირი შესაძლოა მხოლოდ მოკლევადიანი თვალსაზრისით, მაგრამ ხანგრძლივადიანში იგი არ არსებობს. უფრო მოგვიანებით აღმოცენებული რაციონალური მოლოდინის თეორია ამტკიცებს, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკა არაეფექტიანი აღმოჩნდება, რამდენადაც მისი შედეგები წინასწარ გაითვალისწინება მუშების მიერ. მაშასადამე, ეკონომიკა დასვენა იმის შესახებ, რომ არ არსებობს მოკლევადიანი ალტერნატიული კავშირიც კი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის. ბუნებრივი დონის ჰიპოთეზები, ერთად აღებული (ადაპტივური და რაციონალური მოლოდინის თეორიები), იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ მოთხოვნით მანევრირების პოლიტიკამ შეიძლება ზეგავლენა ვერ მოახდინოს რეალური გამოშვებისა და დასაქმების მოცულობებზე ხანგრძლივადიან პერსპექტივაში, მაგრამ გავლენას მოახდენს მხოლოდ ფასების დონეზე. ეს დასკვნა აშკარად ეწინააღმდეგება ფილიპსის მრუდის თავდაპირველ დასკვნებს (იხ. ნახ. 19-2ბ).

ამ შეხედულებებიდან რომელია სწორი? არსებობს თუ არა უკუდამოკიდებულება უმუშევრობისა და ინფლაციის დონებს შორის როგორც ფილიპსის მრუდი ვარაუდობს? ანუ ასეთი კავშირი ხანგრძლივ ვადიანი თვალსაზრისით არსებობს, როგორც ვარაუდობს ბუნებრივი დონის კონცეფცია? ალბათ ყველაზე არაწინააღმდეგობრივი მტკიცება ამ პირობებში შეიძლება ის იყოს, რასაც ეკონომისტთა უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევს უმუშევრობისა და ინფლაციის ალტერნატიულობის ვარაუდს მოკლევადიანი თვალსაზრისით, მაგრამ ასეთი კავშირის ალბათობა ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით ბევრად ნაკლებია.

## ერთობლივი მოთხოვნის პრობლემისადმი მიბრუნება

ფილიპსის მოკლევადიან და გრძელვადიან ვერტიკალურ მრუდებს შორის განსხვავების არსებობა, სტიმულს აძლევდა ახალ მნიშვნელოვან გამოკვლევებს ერთობლივი მოთხოვნის ბუნების თაობაზე.

ისევ დავუბრუნდეთ 19-1 და 19-2ა ნახაზებს, სადაც ფილიპსის მრუდი მიიღებოდა ერთობლივი მოთხოვნის მარჯვნივ გადაადგილებას, ესე-

თობლივი მიწოდების სავარაუდოდ სტაბილური მრუდის გასწვრივ. ფირმები ფასების გადიდებას წარმოების ზრდითა და დასაქმების გადიდებით პასუხობენ. ამრიგად, უმუშევრობის დონე ეკემა ფასების დონის გადიდების შესაბამისად.

ბუნებრივი დონის თეორია სამართლიანად ვარაუდობს, ამასთან, რომ ერთობლივი მიწოდების მრუდი 19-1 ნახაზზე სტაბილურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნომინალური ანუ ფულადი ხელფასი არ იცვლება ფასების დონის ზრდის საპასუხოდ. როგორც კი მუშები გაიგებენ, რომ ფასების ზრდა რეალური გახდა, ისინი მოიხიზნებიან და ლებულობენ კიდევაც უფრო მაღალ ფულად ხელფასს, თავისი რეალური ხელფასის შესანარჩუნებლად. ნომინალური ხელფასის ზრდა სხვა თანაბარ პირობებში გამოიწვევს ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილებას. ე. ი. ნომინალური ხელფასის შეცვლა ერთობლივი მიწოდების ერთ-ერთი არასაფასო დერეჟმინანტი (ცხრილი 11-2).

დასკვნა: ერთობლივი მიწოდების გამარტოებული მრუდი - კეინსურ, შუალედურ და კლასიკურ მონაკვეთებში - ისეთნაირად უნდა გაიწმინდოს, რომ გაითვალისწინოს ნომინალური ხელფასის ცვლილებები, რომელიც გამოიწვეულია ფასების დონის ცვლილებებით. სხვა სიტყვებით, ნეოკლასიკური მიმართულების ეკონომისტები ხაზს უსვამენ, რომ პრაქტიკული განსხვავება უნდა გაკეთდეს მოკლევადიან და ხანგრძლივადიან ერთობლივ მიწოდებას შორის.

## ბანმარტეპანი

მოკემულ კონკრეტულ კონტექსტში გამოსაყენებლად მოკლევადიანი პერიოდი ის პერიოდია, რომლის განმავლობაშიც დახარჯულ ფაქტორთა ფასები-განსაკუთრებით ნომინალური ხელფასი-ფიქსირებული რნება ფასების საერთო დონის შეცვლის დროსაც კი არსებობს ორი ძირითადი მიზეზი, რომლითაც დახარჯულ ფაქტორთა ფასები შეიძლება ფიქსირებული დარჩეს დროის განსაზღვრული პერიოდის მანძილზე, ფასების დონის საერთო შეცვლის დროსაც კი. ჯერ ერთი, შესაძლებელია, რომ მუშებმა მაშინვე ვერ გაიგონ ფასების დონის შეცვლა. თუ ეს ასეა, მუშებს ასევე ინფორმაცია არ ექნებათ იმის შესახებ, რომ მათი რეალური ხელფასი შეიცვალა. აქედან ცხადია, რომ ისინი თავიანთი მოიხიზნების კორექტირებას არ მოახდენენ ნომინალური ხელფასის წამოყენებული დონის მიმართ. მეორე, მრავალი მომუშავე, ქირავნობის კონტრაქტების

პირობებით ფიქსირებულ ხელფასს იღებს. მაგალითად, პროფესიულ კავშირებში გაერთიანებული მომუშავეები კოლექტიური ხელშეკრულებით დათქმულ ნომინალურ ხელფასს ღებულობენ. გარდა ამისა, მმართველთა უმეტესი ნაწილი და მრავალი სპეციალისტი ხელფასის ფიქსირებულ განაკვეთს ღებულობს, რომლებიც ყოველწლიურად განახლებადი კონტრაქტებით განისაზღვრება.

ამ ორ ფაქტორთა შედეგი (ინფორმაციის უქონლობა მოქმედი ფასების დონის თაობაზე და შრომითი კონტრაქტების არსებობა) ისაა, რომ ფასების დონის ცვლილებები ჩვეულებრივ უმაღლვე აისახებიან ნომინალურ ხელფასში.

მეორე მხრივ, გრძელვადიანი პერიოდი ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დახარჯულ ფაქტორთა ფასები (ხელფასი) სრულად რეაგირებენ ფასების დონის ცვლილებაზე. საკმაო დროის არსებობის შემთხვევაში მუშებს შეუძლიათ სრული ინფორმაცია მიიღონ ფასების დონის შეცვლის შესახებ, და მაშასადამე, იგრძნონ ამ ცვლილებათა ზეგავლენა თავიანთ რეალურ ხელფასზე. გარდა ამისა, და ეს უფრო მნიშვნელოვანია, მუშები და მეწარმეები ხანგრძლივადიან პლანში თავისუფალი არიან მოქმედი შრომითი შეთანხმებისაგან და შეუძლიათ მოილაპარაკონ ნომინალურ ხელფასსა და განაკვეთებში ცვლილებების შესახებ.

ამ განსაზღვრებათა გათვალისწინებით, გაავარძელოთ ერთობლივი მიწოდების მე-11 თავში დაწყებული განხილვა.

## **ერთობლივი მიწოდება მოკლევადიანი თვალსაზრისით**

განვიხილოთ ერთობლივი მიწოდების მრუდი მოკლევადიანი თვალსაზრისით. იგი ნაჩვენებია  $ASP_1$  ხაზით 19-ნა ნახაზზე. ეს მრუდი აგებულია ორი ვარაუდის საფუძველზე: (1) რომ ფასების თავდაპირველი დონე  $P_1$ -ის ტოლია და (2) რომ ნომინალური ხელფასი დგინდება ფასების  $P_1$  დონეზე შენარჩუნების მოლოდინის პირობებში. ამ ორი ვარაუდის შესახებ თქვენთვის შეხსენების მიზნით ფრჩხილებში ერთობლივი მიწოდების (AS) მრუდის აღნიშვნას დავუმატეთ ნიშანი ( $P_1$ ). ჩაინიშნეთ, რომ  $A_1$  წერტილზე ეკონომიკა ფუნქციონირებს გამომშვების  $Q_p$  პოტენციურ დონეზე და ფასის  $P_1$  დონეზე. ეს პოტენციური რეალური გამომშვება შეესაბამება პროდუქციის იმ

რაოდენობას, რომელიც შეიძლება მიღებული იქნას, თუ ეკონომიკა ფუნქციონირებს უმუშევრობის ბუნებრივი დონის პირობებში.

ახლა, მოდით განვსაზღვროთ ფასების დონის ცვლილებათა მოულოდნელი შედეგი, უწინარეს ყოვლისა, ფასების დონის P1-დან P2-მდე გადიდების განხილვით. იმის გათვალისწინებით, რომ ნომინალური ხელფასი ფიქსირებულია მოკლევადიანი თვალსაზრისით, ბუნებრივია, საქონელთა უფრო მაღალი ფასები, რომელიც განპირობებულია P2-ით, გამოიწვევს მოგებათა გადიდებას. უფრო მაღალი მოგების პასუხად მეწარმეები გაზრდიან გამოშვებას Q<sub>1</sub>-დან Q<sub>2</sub>-მდე, რაც ნაჩვენებია მოძრაობით A<sub>1</sub>-დან A<sub>2</sub>-სკენ AS(P<sub>1</sub>) ხაზზე. ჩაინიშნეთ, რომ Q<sub>2</sub>-პირობებში ეკონომიკა ფუნქციონირებს თავის პოტენციურ გამოშვებაზე დაბლა. რატომაა ეს შესაძლებელი? პასუხი: ეს შესაძლებელი ხდება იმ ადამიანთა სამუშაო დროის გახანგრძლივებით, რომლებიც დასაქმებული არიან სრული ან არასრული სამუშაო დღით, სამუშაო ძალის შემადგენლობაში შინ მომუშავეთა და პენსიონერთა მოზიდვით, კირავნობის გაფართოებით და სტრუქტურულ უმუშევართა გადაშადგებით. მაშასადამე, უმუშევრობის ეროვნული დონე შემცირდება მის ბუნებრივ დონეზე დაბლა.


როგორ რეაგირებას მოახდენენ მწარმოებლები ფასების დონის შემცირებაზე P1-დან P3-მდე? ამ შემთხვევაში ფირმები დაინახვენ, რომ მათი მოგება ან შემცირდა ან საერთოდ გაქრა. საბოლოო ანგარიშით საქონელთა ფასები დაეკა, მაშინ როცა ნომინალური ხელფასი უწინდელ დონეზე დარჩა. მაშასადამე, მწარმოებლები შეკვეცავენ წარმოებას და დასაქმებას, და როგორც A3 წერტილის კოორდინატები ნათლად გვჩვენებენ, რეალური გამოშვება დაეცემა K3-მდე. რეალური გამოშვების ამ შემცირებამ შეიძლება უმუშევრობის ბუნებრივი დონის ზრდა გამოიწვიოს.

## ერთობლივი მიწოდება

### ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით

იგულისხმება, რომ განმარტების თანახმად ნომინალური ხელფასი მთლიანად მგრძობიარე უნდა იყოს ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით ფასების დონის ცვლილებებისადმი. რას ნიშნავს ეს ვარაუდი ერთობლივი მიწოდებისათვის?





ნახ.19-6 ერთობლივი მიწოდება მოკლევადიანი და ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით

მოკლევადიანი თვალსაზრისით (ა) დახარჯულ ფაქტორთა ფასები, ისე როგორც ნომინალური ხელფასი ფიქსირებულად იცვლის/სხვა ფასების  $P_1$  დონის საფუძველზე. მაშასადამე, ფასების დონის ზრდა გამოიწვევს ფასების გადღებას და ფარჩებს წარმოების რეალური მოცულობის გადღებებსაც უზამტებს. პირიქით, ფასების დონის დაქვეითება შეამცირებს მოცულებას და წარმოების რეალურ მოცულობას. ამიტომ  $AS$  მრუდი მოკლევადიანი თვალსაზრისით აიწვევს წვეთით. ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით (ბ) ფასების დონის ზრდა გამოიწვევს ნომინალური ხელფასის გადღებას, და მაშასადამე,  $AS$  მრუდის მარცხნივ გადაადგილებას მოკლევადიანი თვალსაზრისით. პირიქით, ფასების დონის შემცირება გამოიწვევს ნომინალური ხელფასის შემცირებას და  $AS$  მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას მოკლევადიანი თვალსაზრისით. მაშასადამე, შეიძლება წავთვალოთ, რომ  $AS$  ხანგრძლივადიან მრუდს ვერტიკალის სახე აქვს.

19-6 ნახაზზე ჩვენ ისევ ვგულისხმობთ, რომ ეკონომიკა თავდაპირველად  $A_1$  წერტილზე იმყოფება ( $P_1$  და  $Q_1$  პირობებში). წინასწარმა ანალიზმა გვჩვენა, რომ ფასების დონის ზრდა  $P_1$ -დან  $P_2$ -მდე გამოიწვევს ეკონომიკის გადაადგილებას  $A_1$  წერტილიდან  $A_2$  წერტილამდე მოკლევადიანი მიწოდების  $AS(P_1)$  მრუდზე. ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით მუშები დაინახავენ, რომ რეალური ხელფასი შემცირდა ფასების ამ გადღებების შედეგად. მაშასადამე, ისინი სავარაუდოდ მოითხოვენ და მიიღებენ კიდევაც უფრო მაღალ ნომინალურ ხელფასს, რეალური ხელფასის უწინდელი დონის აღსადგენად. რას მივიღებთ ამის შედეგად? მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარცხნივ  $AS(P_1)$ -დან  $AS(P_2)$ -მდე. ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი  $AS(P_2)$  მრუდი ახლა გამოხატავს ფასების უფრო მაღალ ( $P_2$ )

დონეს და იმის მოლოდინს, რომ მომავალში იგი შემცირდება. ნახ. 19-66 გვისვენებს, რომ ერთობლივი მიწოდების გადაადგილება მარცხნივ AS(P<sub>2</sub>) მრუდისაკენ ეკონომიკას გადაიყვანს A<sub>2</sub> წერტილს და B<sub>1</sub> წერტილში. რეალური გამოშვება დაეცემა თავის პოტენციურ დონემდე, ხოლო უმუშევრობა დაუბრუნდება თავის ბუნებრივ დონეს.

პირიქით, ფასების P<sub>1</sub>-დან P<sub>3</sub> დონემდე შემცირების შემთხვევაში მოვლენები შებრუნებული სქემით განვითარდებიან. როგორც ადრე აღინიშნა ეკონომიკა თავდაპირველად გადაადგილდება A<sub>1</sub>-დან A<sub>3</sub> წერტილზე, მოხდება მოგების შემცირება ან სრული გაქრობაც კი, რამდენადაც ფასები ამ წერტილზე დაეცა, ხოლო ნომინალური ხელფასი იმავე დონეზე დარჩა. მაგრამ ეს უბრალო მოკლევადიანი რეაქციაა. დროის დიდ მონაკვეთში ფასების უფრო დაბალი P<sub>3</sub> დონე გამოიწვევს რეალური ხელფასის ზრდას და უფრო მაღალ უმუშევრობასთან ერთად, რომელიც რეალური გამოშვების შემცირებიდან გამომდინარეობს, შეამცირებს ნომინალურ ხელფასს. ჩვენ ვიცით, რომ საკმაოდ დაბალი ნომინალური ხელფასი ერთობლივი მიწოდების მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ AS(P<sub>1</sub>)-დან AS(P<sub>3</sub>)-კენ და რეალური გამოშვება დაუბრუნდება Q<sub>1</sub> დონეს C<sub>1</sub> წერტილში. ხანგრძლივადიანი წონასწორობის B<sub>1</sub>, A<sub>1</sub> და C<sub>1</sub> წერტილებს შორის ხაზის გავლებით შეიძლება გამოვიყვანოთ ხანგრძლივადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი. გაიხსენეთ, რომ მას ვერტიკალური წრფის ფორმა აქვს გამოშვების Q<sub>1</sub> პოტენციური დონის პირობებში.

## კენისური და ნეოკლასიკური დასკვნები პოლიტიკისათვის

ერთობლივი მიწოდების, 19-6 სქემაზე გამოსახული კონკრეტული გულისხმობს, რომ ფასებისა და ხელფასის მოქნილობა ეკონომიკას სრული დასაქმების მდგომარეობამდე მიიყვანს. ამ მიზნით ეს მოდელი უშუალოდ უკავშირდება ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიას.

ნეოკლასიკური მიდგომის შესაბამისად ფასების დონის ცვლილებები, რომლებიც მთლიანად შეესაბამებიან მოლოდინს, არ ცვლიან რეალური გამოშვების დონეს, რამდენადაც მინიმალური ხელფასი უმაღლეს იც-

ვლება იმავე მიმართულებით და იმავე პროპორციით, რითაც ფასების დონე შესაბამისად, ფასების შეცვლის წინასწარი მოლოდინის შემთხვევაში, რეალურ სოციალისტურ სწორად ასახავს მხოლოდ ხანგრძლივვადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი. ამ მიხედვით, სამთავრობო მასშტაბიზე ბელ პოლიტიკას თითქოსდა არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს რეალური გამოშვების სიდიდეზე. ეს გამომდინარეობს რაციონალური მოლოდინის თეორიიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ფასების დონის ცვლილებები, რომლებიც მოლოდინს არ შეესაბამებიან — ე.წ. ფასების დონის სუბპარიზები — ნამდვილად იწვევენ გამოშვების რეალური მოცულობის მოკლევადიან შერყევებს. წარმოების რეალური მოცულობის ეს დროებითი ცვლილებები, აცხადებენ ნეოკლასიკური სკოლის ეკონომისტებს, წარმოებს მოთხოვნისა და მიწოდების გაუოვალისწინებელი შერყეობის გამო. სხვა სიტყვებით, რეალური გამოშვების დროებითი ცვლილებები დამოკიდებულია ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების შოკებზე. მაგალითი: დაუშვათ, რომ ამერიკულ საქონელზე უცხოური მოთხოვნის მოულოდნელი გადიდება გაზრდის ამერიკული ფასების დონეს. ამის შედეგად ეკონომიკა გადაადგილდება ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი მრუდის გასწვრივ რეალური გამოშვების უფრო მაღალი დონისაკენ. მაგრამ ხანგრძლივვადიანი თვალსაზრისით ნომინალური ხელფასი და სხვა დახარჯულ ფაქტორთა ფასები გაიზრდება ფასების უფრო მაღალი დონის პასუხად. ეკონომიკა დაუბრუნდება რეალური გამოშვების თავის პოტენციურ მოცულობას.

ნეოკლასიკური თეორიის ზოგადი დასკვნა: თუმიცა ფასების დონის აუცილებელ შერყევებს შეუძლიათ გამოიწვიონ მოკლევადიანი მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, მაგრამ, ეკონომიკა სტაბილური რიგით ხანგრძლივვადიანი თვალსაზრისით, სრული დასაქმების დონის შესაბამისი გამოშვების მოცულობის პირობებში.

თანამედროვე კეინსელები უარყოფენ ვარაუდს სრულყოფილ ინფორმაციასა და პერსპექტივაზე ორიენტირებული ქვეყნის შესახებ, რომლებიც ნეოკლასიკოს ეკონომისტთა რაციონალური მოლოდინის თეორიის საფუძველია. მაგრამ თანამედროვე კეინსელები ეჭვქვეშ როდი აყენებენ მოკლე და გრძელვადიანი ერთობლივი მიწოდების განსხვავებათა არსებობას. პირიქით, დღევანდელი კეინსელები მიაჩნევენ, რომ ნომინალური ხელფასის შეგუება, რომელიც ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური ხანგრძლივვადიანი მრუდის პირობაა, გამოცდილებით თუ ვიმსჯელებით, უადრესად ნელი აღმოჩნდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მანამ სანამ ეკონომიკა  $A_3$  წერტილიდან  $C_1$  წერტილზე (იხ. ნახ. 19-6ბ) გადაადგილ-

დება, შეიძლება წლები გავიდეს, რამდენადაც ნომინალურ ხელფასს დაბალი უარყოფითი ელასტიურობა გააჩნია. ამიტომ, კენისელები მოუწოდებენ მასტაბილიზებელი პოლიტიკის აქტიურ გამოყენებაზე, მაღალი დანახარჯების შესამცირებლად, რომელსაც მაღალი უმუშევრობა ან ინფლაცია წარმოშობს. მეორე მხრივ, ნეოკლასიკური მიმართულების ეკონომისტები, ხანგრძლივადიანი პლანის ამ პროცესებს განიხილავენ, როგორც გადაუდებელი ეფექტის მქონეს, ან ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალში გამოვლინებადს; მაშასადამე, ისინი მთავრობის ჩაურევლობის პოლიტიკის მომხრეებად გამოდიან, რაც ეკონომიკას საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად მიუახლოვდეს რეალური გამოშვების მოცულობას, რომელიც სრული დასაქმების დონეს შეესაბამება.

## **ჭარბი მოთხოვნით ან დანახარჯთა გადიდებით გამოწვეული ინფლაცია**

მოდით ახლა ჩვენი მიდგომა, რომელიც განახსვავებს მოკლევადიან და გრძელვადიან ერთობლივ მიწოდებას, გამოვიყენოთ ინფლაციის მიმართ რომელიც გამოწვეულია ჭარბი მოთხოვნით, ან დანახარჯთა გადიდებით.

## **მოთხოვნის ინფლაცია**

ჭარბი მოთხოვნით გამოწვეული ინფლაცია იმ შემთხვევაში შეინიშნება, თუ ფასების დონე იზრდება ერთობლივი მოთხოვნის საერთო გადიდების ზეგავლენით. ამ ტიპის ინფლაცია ჩვენ ადრე გამოვსახეთ, ერთობლივი მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილებით ერთობლივი მიწოდების უძრავი მრუდის გასწვრივ (ნახ. 11-6ბ და 11-6გ). მაგრამ ერთობლივი მიწოდების ჩვენს უფრო რთულ სქემაში ფასების დონის ზრდა საბოლოო ვაშში გამოიწვევს ნომინალური ხელფასის გადიდებას, და ამრიგად მოხდება ერთობლივი მიწოდების თვით მოკლევადიანი მრუდის მარცხნივ გადაადგილება. ეს გარემოება ნაჩვენებია 19-7 ნახაზზე. თავდაპირველად დაუშვათ, რომ ფასების დონე  $P_1$ -ის ტოლია და იგი განისაზღვრება ერთობლივი მოთხოვნის  $AD_1$  მრუდისა და ერთობლივი მიწოდების  $AS(P_1)$  მრუდის გადაკვეთით. ერთობლივი მიწოდების

AS(P<sub>1</sub>) მრუდს მოკლევადიანი ხასიათი გააჩნია და ნომინალურ ხელფასს ემყარება, რომელიც ფასების P<sub>1</sub> დონეს შეესაბამება. ეს ნომინალური ხელფასი დგინდება ფასების P<sub>1</sub> დონის უკვლევლობის მილოდინში. შევნიშნავთ, რომ ეკონომიკა გამოშვების Q<sub>1</sub> პოტენციურ დონეს აღწევს.

ახლა განვიხილოთ ერთობლივი მოთხოვნის ზრდის შედეგები, რომლებიც შეესაბამება მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას AD<sub>1</sub>-დან AD<sub>2</sub>-სკენ. ერთობლივი მოთხოვნის ასეთი გადაადგილება შეიძლება გამოწვეული იყოს რიგი ფაქტორებით, ფულის მიწოდების გადიდებისა და საინვესტიციო დანახარჯთა ზრდის ჩათვლით და ა.შ. (იხ. ცხრ. 11-1). როგორც არ უნდა იყოს მიზეზი, ერთობლივი მოთხოვნის ზრდა იწვევს ფასების დონის გადიდებას P<sub>1</sub>-დან P<sub>2</sub>-მდე და განსაზღვრავს გამოშვების გადიდებას Q<sub>2</sub>-მდე. ამ მომენტამდე ჩვენ ახალი არაფერი გეიტკვამს. მაგრამ ახლა უნდა ვიკითხოთ, რა მოუვა ერთობლივი მიწოდების მოკლევადიან მრუდს, როდესაც მუშები თავიანთი შრომითი ხელშეკრულებების ვადის დამთავრებისთანავე შეიგნებენ, რომ მათი რეალური ხელფასი დაეცა? პასუხი ისაა, რომ ნომინალური ხელფასი აიწვეს და მისი ზრდის შესაბამისად, მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილდება მარცხნივ — AS(P<sub>1</sub>) -დან AS(P<sub>2</sub>)-მდე. მაშასადამე, ფასების დონე კიდევ გაიზრდება P<sub>3</sub>-მდე და გამოშვების წონასწოებითი დონე გამოშვების Q<sub>1</sub> პოტენციურ წერტილს დაუბრუნდება.

დასკვნა: მოკლევადიანი თვალსაზრისით ქარბი მოახივნათ განპირობებული ინფლაცია გამოიწვევს ფასების დონის ზრდას და რეალური გამოშვების გადიდებას. ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით მხოლოდ ფასების დონე გაიზრდება. ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით ერთობლივი მოთხოვნის ზრდამ შეიძლება ეკონომიკა გადაადგილოს ერთობლივი მიწოდების ვერტიკალური ASLR მრუდის გასწვრივ.

## დანახარჯების ინფლაცია


დანახარჯების გადიდებით გამოწვეული ინფლაცია წარმოიშობა იმ ფაქტორთა მოქმედებით, რომლებიც წარმოების დანახარჯებს ადიდებს ფასების ნებისმიერი დონის პირობებში - ე. ი. ერთობლივი მიწოდების მრუდს გადაადგილებს - და , მაშასადამე, გამოაწვევს ფასების დონის ზრდას (ნახ. 11-8). მაგრამ წინა ანალიზში ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ

ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი ცვლილება. ახლა უნდა განვიხილოთ დანახარჯების ზრდის თეორია ხანგრძლივადიან კონტექსტში.

განვიხილოთ 19-7 ბ ნახაზი, სადაც იგულისხმება, რომ ეკონომიკა ფუნქციონირებს ფასების  $P_1$  და გამომშვების  $Q_2$  დონის პირობებში.

ახლა დავუშვათ, რომ თავისი მონოპოლიური ძალაუფლების რეალიზებით პროფიკავშირებს შეუძლიათ უზრუნველყონ ნომინალური ხელფასის გადიდება შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე ხევიით. ასევე ვივარაუდოთ, რომ მრავალი დამქირავებელი, რომლებიც პროფიკავშირებში გაერთიანებულ მუშებს ქირობს, ამაზე თავიანთ საწარმოებში ნომინალური ხელფასის განაკვეთის გადიდებით პასუხობს. ხელფასის ზრდის შესაბამისად, ერთობლივი მიწოდების მრუდი გადაადგილება მარცხნივ  $AS(P_1)$ -დან  $AS(W_2)$ -მდე. როგორც ამისი შედეგი, ფასების დონე გაიზრდება  $P_1$ -დან  $P_2$ -მდე. ჩაინიშნეთ, რომ ერთობლივი მიწოდების ახალ მრუდს  $AS(W_2)$  აღნიშვნა გააჩნია და არა  $AS(P_2)$ .  $AS(W_2)$ , ხელფასის დონის ზრდის შედეგი გახდა და ამიტომ ფასების  $P_1$ -დან  $P_2$ -მდე ზრდის მიზეზს წარმოადგენს. ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილება  $AS(P_1)$ -დან  $AS(W_2)$ -მდე არ წარმოადგენს ფასების ზრდაზე რეაქციას, როგორც ეს იყო მოკლევადიანი და ხანგრძლივადიანი ერთობლივი მიწოდების წინამდებარე განხილვისას.

დანახარჯთა ზრდით გამოწვეული ინფლაცია ეკონომიკური პოლიტიკის ავტორებს დილემის წინაშე აყენებს. თუ ერთობლივი მოთხოვნა 19-7 ბ ნახაზზე  $AD$  დონეზე რჩება, რეალური გამომშვება შემცირდება  $Q_2$ -დან  $Q_1$ -მდე. მოაზრობას შეუძლია ამ დაქვეითებას და მის თანამდევ უმუშევრობას მასწავლებლობითი პოლიტიკა დაუპირისპიროს, რომელიც მამართულია ერთობლივი მოთხოვნის გადიდებაზე  $AD'$  დონემდე. მაგრამ აქ მასწავლებლობითი პოლიტიკა შეიძლება ჩიხში მოექცეს, რამდენადაც ერთობლივი მოთხოვნის  $AD'$  -მდე გადიდება კიდევ უფრო გაამწვავებს ინფლაციას ფასების დონის  $P_2$ -დან  $P_3$ -მდე გაზრდით. და როგორც ჩანს, ფასების ზრდა  $P_2$ -დან  $P_3$ -მდე ეროდროული არ იქნება. რატომ? მიზეზი იმაშია, რომ ჩვენ შეიძლება ვაფიქროთ, რომ ხელფასის მიმდებნი მის შემცირებას ნომინალური ხელფასის მომატების მოთხოვნით შეხვდებიან. თუ იგი განხორციელდება, უფრო მაღალი ნომინალური ხელფასი გამოიწვევს წარმოების დანახარჯთა შემდგომ გადიდებას. ეს ერთობლივი მიწოდების მოკლევადიან მრუდს  $AS(W_2)$  მრუდისაგან მარცხნივ გადაადგილებს. ამ შემთხვევაში ერთობლივი მიწოდების მოკლევადიანი მრუდის მარცხნივ გადაადგილება ფასების უფრო მაღალი  $P_3$  დონის



### ნახ.19-7 მოთხოვნისა და დანახარჯთა ინფლაციის კიდევ ერთი განხილვა

(ა) შეისხვევაში  $AD$  ერთობლივი მოთხოვნის ზრდა გამოიწვევს ფასების დინის ზრდას და წარმოების რეალური მოცულობის გადღებას მოკლევადიან თვალსაზრისში. სგრძლივადანა თვალსაზრისით ნომინალური ხელფასი გაიზრდება და  $AS$  ერთობლივი მოთხოვნა გადაინაცვლებს მარცხნივ. ისასადახე. წარმოების რეალური მოცულობა დაუბრუნდება თავის თავდაპირველ დონეს. ოა ფასების დონე კიდევ უფრო იზღადა აიწევს. (ბ) შეისხვევაში ადგილი აქვს დანახარჯების ზრდას. წვეულ ინფლაციასადაც ერთობლივი  $AS$  მოთხოვნა გადაადგილდება მარცხნივ. ოა მთავრობა წარმოების რეალური მოცულობის შესწორებას დაეპირისპირება ერთობლივი  $AD$  მოთხოვნის გადღებას წვეულ სასაფ. ფასების დონე კიდევ უფრო აიწევს. მეორე მხრივ, ოა მთავრობა დაუშვებს დაქვითების გაფართოებას, საბოლოო ჯამში ნომინალური ხელფასი დაეცემა და  $AS$  მრუდი დაბრუნდება მარჯვნივ. უკან თავის თავდაპირველ მდგომარეობისკენ. აქედან გამომდინარე,  $AS$  ხანგრძლივადან მრუდი ირრე შეისხვევაში (ა) და (ბ) ვერტიკალური სახე გაანაა.

პასუხად სწარმოებს, რომელიც გამოიწვეულა იყო ერთობლივი მოთხოვნის მარჯვნივ გადაადგილებით  $AD'$  მდგომარეობაში. ოქვენ შესაძლოა ასევე მოგიხდეთ  $AS$  მრუდის მარცხნივ გადაადგილების გამოსახება, იმისათვის, რათა დარწმუნდეთ, რომ ერთობლივი მოთხოვნის მარცხნივ გადაადგილება მხოლოდ ადადგენს სწავფლაციის პრობლემას. მოკლედ რომ

ვთქვათ, მთავრობა ვალდებული იქნება კიდევ ერთხელ გაზარდოს ერთობლივი მოთხოვნა, რათა აღადგინოს წარმოების  $Q_p$  დონე. მაგრამ თუ მთავრობა ამ გზას აირჩევს, მოვლენათა განვითარება უბრალოდ კიდევ ეროვნულ წავა უკვე ნაცნობი სკენარით.

მნიშვნელოვანი საკითხი ისაა, რომ ერთობლივი მიწოდების მოკლევადიან მრუდთა გადაადგილება შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, როდესაც მთავრობას მოთხოვნის გაბერვის მასტიმულბელი პოლიტიკა შემოაქვს, გამოშვების დაკუმის საწინააღმდეგოდ, რომელიც დანახარჯთა ინფლაციითაა გამოწვეული. მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდების ეს გადაადგილებები ძირს გამოუთხრიან სრული დასაქმების მიღწევას.

აღტერნატივის სახით ვივარაუდოთ, რომ მთავრობა შეიგნებს ზემოთაღნიშნულ ნიხში მოხვედრის საფრთხეს ეკონომიკური პოლიტიკისათვის და გადაწყვეტს ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას  $AD$  -დან  $AD'$  -მდე. ე.ი. ვივარაუდოთ, რომ მთავრობა არაპირდაპირი გზით გადაწყვეტილებასღებულობს ხელი არ შეუშალოს დანახარჯთა ზრდით გამოწვეულ დაქვეითებას. ამის შედეგი იქნება მრავალრიცხოვანი განთავისუფლებები, საწარმოთა დახურვა და გაკოტრება. შესაბამისად, შრომის ბაზრის შეკუმშვა საკმარისი იქნება ნომინალური ხელფასის შესამცირებლად და ერთობლივი მოკლევადიანი მიწოდების თავდაპირველი მარცხნივ გადაადგილების მოსასპობად. ძლიერ დაქვეითებას შეუძლია დროულად გადაადგილოს ერთობლივი მიწოდება  $AS (W_2)$  -დან თავდაპირველი  $AS (P_1)$  -სკენ. შესაბამისად, ფასები დაუბრუნდებიან  $P_1$  დონეს, ხოლო გამოშვების პოტენციური დონე აღდგება ხანგრძლივადიანი  $ASLR$  ერთობლივი მიწოდების დონეზე.

ამ მსჯელობებიდან შეიძლება ორი დასკვნის გაკეთება:

1. თუ მთავრობა შეეცდება სრული დასაქმების შენარჩუნებას დანახარჯთა ზრდით გამოწვეული ინფლაციის პირობებში, სავსებით შესაძლებელია საინფლაციო სპირალის წარმოშობა.

2. თუ მთავრობა არ ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს დანახარჯთა ზრდით გამოწვეულ ინფლაციაზე, სავსებით შესაძლებელია დაქვეითების გაშლა. თუმცა საბოლოო ანგარიშით შეიძლება ველოდით, რომ დაქვეითება მოსპობს წარმოების თავთდაპირველ დანახარჯთა ზრდას, მაგრამ ეკონომიკაში განსახლვრული დროის მანძილზე შესამინვეი იქნება ინფლაციის მაღალი. დონე და რეალური გამოშვების დანაკარგები.



# რეკომენდაციები პოლიტიკისათვის

ჯერ ერთი, სწავლა-ცოდნის უკანასკნელი ორი ათწლეულის გამოცდილებიდან და, მეორე, სწავლა-ცოდნის ბრძოლაში მოთხოვნის რეგულირების პოლიტიკის გამოყენების სიროულეების გათვალისწინებით (ნახ. 19-7ბ), გასაკვირი როდია, რომ აშშ და შერეული ეკონომიკის სხვა ქვეყნები, ცდილობდნენ მოექმნათ ეკონომიკური პოლიტიკის ახალი ალტერნატივები. 19-7 ბ ნახაზის სქემის ტერმინებში ეს პოლიტიკა გამოსხული იყო თავიდან აცხადებინა ერთობლივი მიწოდების მრუდის მარჯხნივ გადაადგილება  $AS(P1)$ -დან  $AS(W2)$ -მდე. ან, პირიქით, თუ ეკონომიკა უკვე იყო სწავლა-ცოდნის მდგომარეობაში და  $AD$  და  $AS(W2)$ -ის გადაკვეთის წერტილზე იმყოფება, მიზანი ერთობლივი მიწოდების მრუდის მარჯხნივ  $AS(P1)$  მრუდისაკენ გადაადგილება უნდა ყოფილიყო. ანალოგიურად, ფილიპინის მრუდის ტერმინებში (რომელსაც დახრილი მრუდის ან ვერტიკალის სახე გააჩნია) პოლიტიკის მიზანია მრუდის მარჯხნივ გადაადგილება, იმისათვის რათა უზრუნველყოფილი იქნას საზოგადოებისათვის უფრო ხელსაყრელი ალტერნატიული თანაფარდობა ინფლაციისა და უმუშევრობის დონეებს შორის. კერძოდ, ეკონომისკები, რომლებიც 19-3 ნახაზის ემპირიულ მონაცემებს 70-იან და 80-იან წლებში, ფილიპინის მრუდის მარჯხნივ გადაადგილებით ხსნიდნენ, მრუდის უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში უწყადაადგილების საშუალებას ეძებდნენ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 60-იანი წლებში.

ზოგადი სახით შემოთავაზებული იყო პოლიტიკის სამი ვარიანტი: (1) ბაზარზე ზემოქმედების პოლიტიკა (2) ხელფასისა და ფასების ანუ შემოსავლების პოლიტიკა და (3) ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა ანაკრები, რომელმაც „მიწოდებაზე ორიენტირებული ეკონომიკური თეორიის“ სახელწოდება მიიღო. მოდიოთ ამ თანმიმდევრობით განვიხილოთ მოცემული ალტერნატივები.

## ბაზარზე ზემოქმედების პოლიტიკა

შეიძლება გამოვყოთ ბაზარზე ზემოქმედების პოლიტიკის ორი ტიპი. დასაქმებისა და კვალიფიკაციის გამოცვლის პოლიტიკა მიმართულია შრომის ბაზარზე დისბალანსებისა და ვიწრო ადგილების შემცირე-

ბასა და სრულ აღმოფხვრას. კონკურენციისადმი ხელის შეწყობის პოლიტიკის მიზანია პროფკავშირებისა და მსხვილი კორპორაციების საბაზრო ძალაუფლების შესლუდვა. გავიხსენოთ, რომ შრომის ბაზრის დისბალანსი და საბაზრო ძალაუფლება წარმოადგენს ტრადიციულ ლოგიკურ პოსტულატებს, რომლებიც უილამსის მრუდის საფუძველია.

დასაქმების პოლიტიკა და კვალიფიკაციის გამოცვლა. დასაქმებისა და კვალიფიკაციის გამოცვლის პოლიტიკის მიზანია შრომის ბაზრების ეფექტიანობის ისე ამაღლება, რომ ერთობლივი მოთხოვნის ნებისმიერი მოცემული დონის პირობებში უმუშევრობის დონე მინიმალური იყოს. სხვა სიტყვებით, დასაქმებისა და კვალიფიკაციის გამოცვლის პოლიტიკამ ის უნდა გამოიწვიოს, რომ სამუშაო ძალა ეყვლება უფრო შეესაბამებოდეს არსებულ სამუშაო ადგილებს, და ამრიგად, აღმოფხვრილი იქნას დისბალანსები და ვიწრო ადგილები სამუშაო ძალის ბაზარზე. არსებობს პროგრამების სხვადასხვა ტიპები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ამოცანის რეალიზებას. ეს სამი პროგრამა შემდეგია: - პროფესიული მომზადება, ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ და ანტი-დისკრიმინაციული პროგრამები.

**1. პროფესიული მომზადება.** პროფესიულად ორიენტირებული განათლებისა და მომზადების პროგრამები ხედმეც, გამოდევნილ მუშებს საშუალებას აძლევს რაც შეიძლება მალე მიიღოს სამუშაო. სხვადასხვა სამთავრობო პროგრამები უზრუნველყოფს მომზადებას, როგორც სამუშაო ადგილზე, ისე სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში, რომელთა გამოცდილება დროთა განმავლობაში არასაკმარისი და მოცელებული აღმოჩნდა.

**2. ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ.** დასაქმებისა და კვალიფიკაციის გამოცვლის პოლიტიკის მეორე სახესხვაობა დაკავშირებულია სამუშაო ადგილების არსებობის შესახებ ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებასთან, რომელსაც უმუშევრები დამქირავებლებისაგან ღებულობენ, და მუშაობა გეოგრაფიული მიგრაციის უზრუნველყოფასთან. მაგალითად, უკანასკნელ წლებში აშშ-ში არაერთხელ სკადეს დასაქმების სამსახურის სრულყოფა, რასა ამაღლებულიყო მისი ეფექტიანობა უმუშევართა და დამქირავებელთა შეერთების პრობლემის გადაჭრაში.

**3. არადისკრიმინაცია.** დასაქმებისა და კვალიფიკაციის გამოცვლის კიდევ ერთი პოლიტიკა დაკავშირებულია დასაქმების ზრდის ხელოვნურ დაბრკოლებათა შემცირების ან ლიკვიდაციის პრობლემასთან. ცრურწმენები და დისკრიმინაცია დიდი დაბრკოლება იყო მომუშავეთა და სამუშაო ადგილების შეერთების გზაზე. დისკრიმინაცია იმის

მოავარი მიხეზია, რომ უმუშევრობის დონე ფერადკანიანი მოსახლეობისათვის თითქმის 2-ჯერ მაღალია, ვიდრე თეთრკანიანისათვის. სამოქალაქო უფლებების შესახებ 1964წ. მიღებული კანონი აუმჯობესებს შრომითი რესურსების გამოყენებას დიკრიმინაციის მოსპობის გზით რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური (კრურწმენების ან სქესის პრინციპით - როგორც დასაქმების ან პროფკავშირის წევრობის დაბრკოლება.

კონკურენციის ხელშეწყობის პოლიტიკა. უმუშევრობისა და ინფლაციის დონეებს შორის თანაფარდობის გაუმჯობესების მეორე ძირითადი მიმართულებაა პროფკავშირებისა და მწარმოთა მონოპოლიური ან საბაზრო ძალაუფლების შეზღუდვა. ასეთი პოლიტიკის დახმარებით პროფკავშირების მონოპოლიური ძალაუფლება ისეთიანად იზღუდება, რომ მათ ვერ შეძლონ ხელფასის დონის მომატების ხელის შეუწყობა შრომის მწარმოებლურობის საშუალო ნიშნულზე ზევით. ანალოგიურად, საკონკურენციო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციის გაძლიერება შეზღუდავს მსხვილ კორპორაციათა ლეჟალვას ფასების გადიდებისაკენ.

როგორ შეიძლება ეკონომიკა უფრო კონკურენტული გაეხადოს? მთავარი რეკომენდაცია ისაა, რომ არსებული ანტიტრესტული (ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობა უფრო ენერგულად იქნას გამოყენებული მსხვილი ბიზნესის მიმართ და ლიკვიდირებულ იქნას ცალკეულ რეგულირებად დარგებში, მათ შორის კავშირგაბმულობაში, ტრანსპორტსა და ელექტროენერჯის გამოშუშავებასა და განაწილებაში შესვლის დარჩენილი საკანონმდებლო დაბრკოლებები. ანალოგიურად, უცხოურ იმპორტზე ტარიფებისა და სხვა შეზღუდულობათა ლიკვიდაცია ხელს შეუწყობს ამერიკული ბაზრების კონკურენტუნარიანობის ზრდას. რაც შეეხება შრომის ბაზარს, პერიოდულად გამოითქმება არგუმენტები იმის სასარგებლოდ, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა გამოყენებული იქნას პროფკავშირების მიმართ, ანუ შრომითი ხელშეკრულებების დადების პროცესის (ენერჯალიზაციის შემცირების სასარგებლოდ. გაიხსენეთ ასევე მე-2 თავის ბოლო შტრიხში მოცემული წინადადება ხელფასის ნაწილის მოგებასთან დაკავშირების შესახებ, რათა ხელფასი უფრო ელასტიური გახდეს ქვემოთ მერყეობისაღმდეგ. ამის მიზანია შემცირებადი მოთხოვნის ტვირთის უმუშევრობიდან ხელფასზე გადაკისრება.

# ხელფასისა და ფასების პოლიტიკა (შემოსავლების პოლიტიკა)

მეორე უმნიშვნელოვანესი მიდგომა იმაშია, რომ აღიარებულია შრომის ბაზრის მონოპოლიური ძალაუფლებისა და დისბალანსების, როგორც ეკონომიკური ცხოვრების მეტაკლუბად აუცილებელი ფაქტების არსებობა და ბევრი რამ კეთდება შრომისა და პროდუქტების ბაზრებზე მონოპოლისტების ქცევის იმდაგვარად შესაცვლელად, რომ მათი გადაწყვეტილებები ხელფასისა და ფასების დონის შესახებ უფრო ადეკვატური გახდეს სრული დასაქმებისა და ფასების დონის სტაბილურობის ორიერთიანი ამოცანისადმი. თუმცა განსხვავება ძირითადად სისხტის ხარისხში არსებობს, მაგრამ უნდა განვასხვაოთ ხელფასისა და ფასების ორიენტირები და ხელფასისა და ფასის კონტროლი. არსებობს, ორიენტირები და კონტროლი იმით გამოირჩევა, რომ ორიენტირების დაწესებისას ეკონომიკური პოლიტიკა იმედს ამყარებს მეწარმეთა ნებაყოფლობით დახმარებაზე. მაშინ, როცა კონტროლს კანონის ძალა გააჩნია.

ხელფასისა და ფასების ორიენტირებს და ხელფასისა და ფასების კონტროლს ზოგ შემთხვევაში შემოსავლების პოლიტიკას უწოდებენ. ამის მიზეზი ისაა, რომ ინდივიდის რეალური შემოსავალი ანუ საქონელთა და მომსახურების რაოდენობა, რომლის შეძენაც მას შეუძლია თავისი ნომინალური ხელფასით, - დამოკიდებულია ნომინალური შემოსავლებისა და ფასების, საქონელთა და მომსახურების სიდიდეზე, რომელსაც იგი იძენს. ორიენტირები და კონტროლი მოწოდებულია შეზღუდოს მინიმალური შემოსავლებიც და გადახდილი ფასიც. ამრიგად, ისანი ზემოქმედებენ რეალურ შემოსავალზე.

ჩვენს ამასწინანდელ ისტორიაში იყო ხუთი პერიოდი, როდესაც აამოქმედეს შემოსავლების პოლიტიკა:

1. ყოველმხრივი კონტროლი მეორე მსოფლიო ომის დროს.
2. შერჩევითი კონტროლი კორეის ომის დროს, 50-იანი წლების დასაწყისში.
3. ორიენტირები, რომელიც შემოდებულ იქნა 60-იანი წლების დასაწყისში კენედისა და ჯონსონის ადმინისტრაციათა მიერ.
4. ხელფასისა და ფასების კონტროლი, რომელიც ნიქსონის ადმინისტრაციამ 1971-1974 წლებში შემოიღო.
5. კარტერის ადმინისტრაციის მიერ შემოღებული 1978 წლის ორიენტირები.

ჩვენ განვიხილავთ 60-იანი წლების დასაწყისის ორიენტირების პოლიტიკას და 1971-1974 წლებში გატარებულ კონკროლის პოლიტიკას.

**ორიენტირების კენედი-ჯონსონის პოლიტიკა.** 1962-დან 1966 წლამდე პერიოდში კენედისა და ჯონსონის ადმინისტრაციებმა წამოაყენეს "ხელფასისა და ფასების დადგენაში არასაინფლაციო ქცევის ორიენტირების" პოლიტიკა. ორიენტირები, არსებითად წარმოადგენს ხელფასისა და ფასების ანაკრებს, რომელთა გათვალისწინებაც პროფკავშირებისა და საწარმოთა ხელმძღვანელობის მიერ იმის რწმენას შექმნიდა, რომ ეკონომიკის სტიმულირების სამთავრობო გეგმები რეალიზებულიყო რეალური ეროვნული პროდუქტისა და დასაქმების გადიდებაში და ის არ გათქვეფილიყო ფასების გადიდებაში,

**1. ხელფასის დაწესების ორიენტირი.** ხელფასის დაწესების ძირითადი ორიენტირი ის იყო, რომ ნომინალური ხელფასის განაკვეთები ყველა დარგში გაზრდილიყო შრომის მწარმოებლურობის ზრდის შესაბამისად ეკონომიკაში მთლიანად. თუ დაუზრუნდებთ(1) განყოფილებას, მწარმოებლურობის შემცირების პრობლემის განხილვისას, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნომინალური ხელფასის განაკვეთის ნამატები, რომლებიც შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების ტოლია, თავისი ხასიათით არაინფლაციური იქნება. ე.ი. სამუშაო ძალაზე მეწარმეთა ხვედრი დანახარჯები უცვლელი დარჩება და მეწარმებს არ ექნებათ ფასების მომატების სტიმული.

ესადაა, შრომის მწარმოებლურობის ზრდა ზოგიერთ დარგში გადააჭარბებს, ხოლო 'ზოგიერთში, ნაკლები იქნება ეკონომიკაში მწარმოებლურობის საერთო ან საშუალო ნამატზე. მაშასადამე, იმ დარგებში, სადაც მწარმოებლურობა ნელა იზრდება, უფრო მეწარმოებლურობა მოლიანად ეკონომიკაში, სამუშაო ძალის ხვედრი დანახარჯები გაიზრდება. მაგალითად, თუ მწარმოებლურობა ქვეყანაში 3%-ით გაიზარდა, ხოლო X დარგში მწარმოებლურობა გადიდა მხოლოდ 1%-ით, მაშინ ნომინალური ხელფასის 3%-ით გადიდებისას, ამ დარგში მოსალოდნელი იქნება სამუშაო ძალაზე ხვედრი დანახარჯების თითქმის 2%-იანი ზრდა. პირაქით, თუ Y დარგში მწარმოებლურობა გაიზარდა 5%-ით, მაშინ ნომინალური ხელფასის 3%-იანი გადიდება გამოიწვევს სამუშაო ძალის ხვედრი დანახარჯების თითქმის 2%-ით შემცირებას.

**2. ფასების დადგენის ორიენტირი.** ფასების დადგენაში ძირითადი ორიენტირია ფასების ისეთი შეცვლის აუცილებლობა, რომ მათ სამუშაო ძალაზე ხვედრი დანახარჯების ცვლილებების კომპენსირება შეეძლოს. ეს ნიშნავს, რომ იმ დარგებში, სადაც მწარმოებლურობის ზრდის ტემპი საშუალო ეროვნულს უტოლდება, ფასები უცვლელი

უნდა იყოს, რამდენადაც სამუშაო ძალის ხვედრი დანახარჯები ასევე უცვლელი რჩება.იმ დარგებში,სადაც მწარმოებლურობა უფრო ნელა იზრდებოდა,ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში,ფასები შეიძლება იმდენად გაზრდილიყო,რომ დაეფარა სამუშაო ძალის ხვედრი დანახარჯების ნა-მატი. X დარგში, რომელიც ზემოთ ვახსენეთ,ფასები 2%-ით გაიზარ-და.იმ დარგებში,სადაც მწარმოებლურობის ზრდა საერთო ეროვნულს აჭარბებდა,ფასები უნდა შემცირებულიყო სამუშაო ძალის ხვედრი და-ნახარჯების კვალდაკვალ. Y დარგს ფასები 2%-ით უნდა შეემცირებინ-ა.ფასების ეს მომატებები და შემცირებები შიანსაქავდნენ ერთმანეთს და ფასების საერთო დონეს უცვლელს დარკოვებდა.

ნიქსონის ადმინისტრაციის მიერ ხელფასისა და ფასების კონტროლი. 1971 წელს ნიქსონის ადმინისტრაციამ შემოიღო ხელფა-სისა და ფასების კონტროლი. სტაგფლაციის პირობებში გადასახადები შემცირდა 7-8 მლრდ დოლარით,ერთობლივი მოსახუნის სტიმულირები-სა და, როგორც ვარაუდობდნენ, წარმოებისა და დასაქმების სტიმული-რების მიზნით. მაგრამ პრობლემა უწინარეს ყოვლისა ის იყო,რომ თა-ვიდან აგვეცილებინა ამ მასტიმულებელი ფისკალური პოლიტიკის, ინ-ფლაციის დამატებით სტიმულად გადაქცევა.ნაცვლად იმისა,რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით წახალისებულიყო დასაქმებისა და რე-ალური წარმოების ზრდა,ნიქსონმა გაყინა ხელფასი,ფასი და რენტის დონე.უფრო ზუსტად,პრეზიდენტის აღმასრულებელმა ბრძანებულებამ უკანონოდ გამოაცხადა: (1) ხელფასისა და ჯამაგირის გადიდება;(2) საქონელზე ისეთი ფასის დაწესება,რომელიც გადააჭარბებდა მაქსიმა-ლურ ფასს,რაც ფიქსირებული იყო ამ ბრძანებულებამდე 3() დღით ად-რე;(3) მოიჯარეების მიერ მესაკუთრებზე გადასახდელი რენტის გაზ-რდა.ნიქსონის მიერ შემოღებულ გაყინვას კვალდაკვალ მოჰყვა ხელფა-სისა და ფასების ფორმალური კონტროლი,რომელიც ხელფასისა და ფა-სების გადიდების მაქსიმალურად დასაშვებ ლიმიტს აწესებდა. ეს კონ-ტროლი გაუქმდა 1974 წელს,როცა გაბლიერდა სტაგფლაცია,რომელიც გამოიწვია ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების მოქმედებამ,სოფლის მე-ურნეობის პროდუქტების უმარისობამ და დოლარის გაუფასურებამ.

კამათი ფასებისა და ხელფასის პოლიტიკის შესახებ. აშშ-ში გაცხოველებული და ხანგრძლივი დავა მიმდინარეობდა შემოსავლების პოლიტიკის სასურველობისა და ეფექტიანობის თაობაზე. კამათი კონ-ცენტრირებული იყო ორი საკითხის ირგვლივ.

**1. შესრულებაღობა და არაწინააღმდეგობრიობა.** დასახე-ლებული პოლიტიკის ოპონენტები აცხადებენ,რომ ნებაყოფლობით ორი-ენჭირების სისტემა წარუმატებლობისთვისაა განწირული,რამდენადაც

იგი მეწარმეებისა და პროფკავშირული ლიდერებისაგან მოითხოვს უარი თქვან მაქსიმალური მოგებისა და უფრო მაღალი ხელფასის მიღების თავიანთი ძირითადი ფუნქციებისა და მიზნებზე. პროფკავშირის ხელმძღვანელი ვერ მიიღებს პროფკავშირის რიგითი წევრების მხარდაჭერას, თუ კი იგი უარს იტყვის ხელფასის მომატების მოთხოვნაზე; ანალოგიურად, კორპორაციის მოხელე მის აქციონერებს ვერ დაუახლოვდება, თუ კი უარს იტყვის ფასების პოტენციურად მოშვებიან მომატებაზე. ამ მიზეზით, საექვივა ველიდოთ სერიოზულ ნებაყოფილობით ხელშეწყობას პროფკავშირებისა და მენეჯმენტისაგან, ორიენტირების განხორციელებაში.

ხელფასისა და ფასების კონტროლს კანონის ძალა გააჩნია და, შესაბამისად, კომპანიათა პროფკავშირები და ხელმძღვანელობა მას უნდა დაემორჩილონ. მიუხედავად ამისა, ამ ღონისძიებების განხორციელებისა და მათთან შეთანხმების პრობლემები შესაძლოა ძალზე რთული იყოს, განსაკუთრებით თუ ხელფასისა და ფასების კონტროლი ყოველმხრივი და საქმიან ხანგრძლივია. საკვანძო საკითხი ისაა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ყალიბდება კონტროლის გვერდის ავლის ძლიერი ეკონომიკური სტიმულები. მაგალითად, შესაძლოა ძალზე მოშვებიანი იყოს კონტროლის წესების დარღვევა, განსაკუთრებით იშვიათი პროდუქტებისა და რესურსების ფასების დაწესებაში. ამის მიზეზი ისაა, რომ თავისი მიზნების მისაღწევად კონტროლის სისქვე დააწესებს ოფიციალურად ნებადართულ ფასს, რომელიც თავისუფალი ბაზრის ფასზე ნაკლებია. ამიტომ, გასაკვირია როდია, რომ მიუხედავად ძლიერი პატრიოტული მოტივებისა და ბიუროკრატიული აპარატის მხრივ სერიოზული ზედამხედველობის არსებობისა, მეორე მსოფლიო ომის წლებში გაიფურჩქნა იატაკქვეშა შავი ბაზარი, სადაც ფასები მნიშვნელოვნად ჰარბობდა ოფიციალურად დაშვებულს. უფრო მეტიც, ფარმებს შეუძლიათ წარმატებით აუარონ გვერდი ფასების კონტროლს ხარისხის გაუარესების ან გამოშვებული პროდუქტის მოცულობის შემცირების ხარჯზე. თუ შოკოლადის ბაქონის ფასი გაყინულია 40 ცენტის დონეზე, მისი ფასი შეიძლება წარმატებით გაორკეცდეს მოცულობის ორჯერ შემცირებით.

შემოსავლების პოლიტიკის მომხრეები ხაზს უსვამენ, რომ ინფლაციას ხშირ შემთხვევაში უბიძგებს საინფლაციო პოლიტიკა. მუშები მოითხოვენ ნომინალური ხელფასის უჩვეულოდ მაღალ მომატებას, რამდენადაც ვარაუდობენ, რომ მომავალი ინფლაცია შეამცირებს მათ რეალურ შემოსავლებს. დამკირავებლები უხალისოდ, მაგრამ, მაინც თანხმდებიან ამ მოთხოვნაზე, ვინაიდან ისინი ცელოდებიან ინფლაციას, რომელიც საშუალებას მისცემს უფრო მაღალი დანახარჯები ადვილად გადაეკოს-

როს მომხმარებლებს. ამტკიცებენ, რომ ხელფასისა და ფასების კონტროლის მკაცრმა პროგრამამ შესაძლოა დაფაროს საინფლაციო მოლოდინი პროფკავშირებისა და კომპანიათა ხელმძღვანელობის იმაში დარწმუნებით, რომ მთავრობა არ დაუშვებს ინფლაციის შემდგომ განვითარებას. მაშასადამე, მუშებმა არ უნდა იზრუნონ ხელფასის შემდგომ მომარტებაზე, რომელიც ფასების მომავალი მომარტებისთვისაა გამიზნული. ხოლო ფირმები ხუსტ ინფორმაციას ღებულობენ იმის შესახებ, რომ მათ შესაძლებლობა ექნებათ უფრო მაღალი დანახარჯები მომხმარებლებს გადააკისრონ ფასების მომარტების მეშვეობით. საინფლაციო მოლოდინმა შესაძლოა გამოიწვიოს ინფლაციის აღორძინება; ხელფასისა და ფასების კონტროლმა შეიძლება ძირი გამოუთხაროს ამ მოლოდინს.

**2. წარმოების სფეროებზე რესურსების ბაღანაწილების ეუმპტიანობა და ნორმირების პრობლემა.** შემოსავლების პოლიტიკის გატარების მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ ორიენტირის მომუშავე სისტემა, ანუ ფასების კონტროლის სისტემა ძირს გამოუთხარის საფასო სისტემის ეფექტიანობას რესურსების გადანაწილების ფუნქციაში. ისინი თვლიან, რომ საქონელთა და რესურსების ფასები თავისუფლად უნდა მერყეობდნენ საბაზრო სიტუაციის ცვლილებათა სრული შესაბამისობით - ე.ი. ტექნოლოგიაში ცვლილებების შესაბამისად - იმისათვის, რომ ხანგრძლივადიანი თვალსაზრისით შეინარჩუნოს რესურსების ეფექციანი განაწილება (იხ. თავი 5). ფასებზე კონტროლის მომუშავე ეფექტიანი სისტემა ამ შეგუების საშუალებას არ მისცემს საბაზრო მექანიზმს. მაგალითად, თუ მოთხოვნა რომელიმე პროდუქტზე გაიზარდება, მისი ფასი ვერ შეძლებს აწევას, რათა სიგნალი მისცეს საზოგადოების სურვილს გამოშვების გადიდების შესახებ და, მაშასადამე, რესურსების მეტი რაოდენობა გაგზავნოს წარმოების ამ სფეროში.

ამასთან დაკავშირებული საკითხი ისაა, რომ ფასებზე კონტროლი საბაზრო მექანიზმს განაწილების ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობას ე.ი. იმის უნარს ართმევს, რომ გამოათანაბროს მოთხოვნა წაყენებულ და ბაზრისათვის მიწოდებულ საქონელთა რაოდენობა. ამის შედეგი იქნება საქონლური დეფიციტი, კითხვა: როგორ განისაზღვროს, რომელ მყიდველს ექნება საქონლის შექმნის შესაძლებლობა და რომელს არა? წარმოებული პროდუქტი შეიძლება განაწილდეს, როგორც ვიკით, ცოცხალი რიგის პრინციპით (რაც ადრე მიხვალ, მიღების მით მეტი შესაძლებლობა არსებობს) და ფავორიტიზმის პრინციპით (ნაცნობობის). მაგრამ ეს პრინციპები შემთხვევითობისა და უთანასწორობის დიდ ელემენტს შეიცავს. ის ვინც რიგში პირველი აღმოჩნდება ან მეგობრულ კავშირს დაამყარებს გამყიდველთან, მიიღებს პროდუქტების



ისეთ რაოდენობას, რომელიც მისთვის საჭიროა, მაშინ როცა სხვები არაფერს მიიღებენ. თანასწორუფლებიანობის ინტერესებისათვის მთავრობა შეიძლება იძულებული გახდეს თავის თავზე აიღოს ყველა მომხმარებელსეუ ბარათებით პროდუქტების გაცემის, ნაწილობრივი ჩორმირების ამოცანა. შეგინშნავთ, ამასთან, რომ სახელმწიფო ჩორმირების სისტემის შემოღება წარმოშობს მლიქენულობისა და ბიუროკრატიის პრობლემას, რომლის შესახებაც ზემოთ ითქვა.

შემოსავლების პოლიტიკის დამცველები შემდეგნაირად პასუხობენ: თუ კონკურენციის პრინციპებით ფუნქციონირებად ეკონომიკაში “ნაშენდება” ორიენტირების ან ფასების კონტროლის ეფექტიანად მომუშავე სისტემები, მაშინ, მართლაც, გარკვეული დროის შემდეგ ეკონომიკაში წარმოშობილი სიკაცრე მოშლის წარმოების სფეროების მიხედვით რესურსების განაწილების მექანიზმს. მაგრამ, სწორი იქნებოდა გეფექტრა, რომ რესურსების განაწილება ცალსახად ეფექტიანი იქნება ფასებისა და ხელფასის კონტროლის პოლიტიკის არსებობისას? ბოლოსდაბოლოს, დანახარჯთა ინფლაცია, როგორც ჩანს, წარმოიშობა იმის შედეგად, რომ მსხვილ ბიზნესს და ორგანიზებულ შრომელებს მონოპოლიური ძალაუფლება გააჩნიათ, და შესაბამისად, შეუძლიათ დაამახინჯონ რესურსების განაწილება. მოკლედ რომ ვთქვათ, გაუგებარია, ხელფასისა და ფასების რეგულირების პოლიტიკის გაკორება, კიდევ უფრო მეტად დაამახინჯებს თუ არა რესურსების განაწილებას ეკონომიკაში, უკვე აღნიშნული მონოპოლიით და დარგების მიხედვით რესურსების განაწილების არაეფექტიანობით.

**ეფექტიანობა.** რამდენად წარმატებული იყო შემოსავლების პოლიტიკა? მტკიცებანი არაერთმინიშენელოვანია. ეკონომისტთა უმრავლესობა ესაზნმება იმას, რომ ფასებისა და ხელფასის პირდაპირი კონტროლის გამოყენებამ მეორე მსოფლიო ომის დროს სამდვილად შეაფერხა - ან უკიდურეს შემთხვევაში გადადო სერიოზული ინფლაცია, რომელიც შეიძლება ყოფილიყო წინააღმდეგ შემთხვევაში. მეორე მხრივ, ხელფასისა და ფასების დაწესების 1962 წლის ორიენტირებმა პრაქტიკულად ზეგაფლენა ვერ მოახდინეს 60-იანი წლების შუახანების ინფლაციაზე, რომელიც ჭარბი მოთხოვნით იყო გამოწვეული. გარდა ამისა, ემპირიული ფაქტები მოწმობენ, რომ ფასების და ხელფასის კონტროლმა 1972-1974 წლებში, არა მხოლოდ ვერ შეძლო გადაეწვეტა თავისი მთავარი ამოცანები, არამედ, შესაძლოა, კიდევ უფრო გააძლიერა ინფლაცია, დარგების მიხედვით რესურსების განაწილების არაეფექტიანობის გამოწვევით.

## მიწოდების ეკონომიკის თეორია

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მრავალი ეკონომისტი, მათ შორის ისეთებიც, რომელთაც კონსერვატიული და კლასიკური ეკონომიკური განათლება გააჩნიათ, ხაზს უსვამდა, რომ მიწარმოებლურობისა და რეალური გამოშვების დაბალი ზრდა სტაგულაციისა და ამერიკის ეკონომიკის უშუალო ფუნქციონირების მთავარი მიზეზია 70-იან წლებში. მიწოდების ეკონომიკის თეორიის ეს წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ კეინსური თეორია სტაგულაციას თავს ვერ გართმევს იმიტომ, რომ ამ თეორიის ყურადღების ცენტრშია - ერთობლივი მოთხოვნა. როდესაც კეინსი 39-იან წლებში „დიდი დეპრესიის“ მიზეზების შესახებ ნაშრომებს წერდა, ყურადღება უმუშევრობასა და ჭარბ წარმოებრივ სამძლავრეებზე გაამახვილა. მისი დასკვნით, დაქვეითებები ეკონომიკაში ერთობლივ დანახარჯთა დეფიციტის შედეგია, და შესაბამისად, მოთხოვნის გაფართოება შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებით საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ სრული დასაქმება. წარმოებრივი დანახარჯები და ერთობლივი მიწოდება პასიურ როლს თამაშობს მარტივ კეინსურ მოდელში. გამოუყენებელი რესურსების ხელმისაწვდომობის პირობებში გამოშვების ერთობლივი მოცულობა, რომელიც ბაზარს მიწოდება, ერთობლივ დანახარჯთა ნამატის შესაბამისი იქნება. მიწოდების ეკონომიკის თეორიის წარმომადგენლები მისწინევენ, რომ ცვლილებები ერთობლივ მიწოდებაში ე.ი. ძვრები ერთობლივი მიწოდების მრუდში, აღიარებული უნდა იქნას, როგორც „აქტიური“ ძალა, რომელიც განსაზღვრავს ინფლაციისა და უმუშევრობის დონესაც. ეკონომიკური შეერყევები შეიძლება გამოწვეული იყოს ცვლილებებით, როგორც მიწოდების, ისე, მოთხოვნის მხარესაც. თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ კეინსელები ხაზს უსვამდნენ რა მოთხოვნას, მხედველობიდან გამორჩაო, მიწოდებაზე ორიენტირებული ზოგიერთი სახის პოლიტიკა რომელსაც შეეკლო სტაგულაციის დაძლევა.

საგადასახადო “სოლი“. მიწოდებაზე ორიენტირებული ეკონომიკური თეორიის მომხრეები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს გავლენის ზრდა, რასაც წარსულში აქონდა ადგილი, იწვევდა ქვეყნის საგადასახადო თანხის, გადიდებას როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებითაც, თუ გადასახადების თანხას შევადარებთ ეროვნული შემოსავლის სიდიდესთან. კეინსური თეორიის თანახმად გადასახადების უფრო მაღალი დონე წარმოადგენს ეკონომიკიდან მსყიდველობითი უნარის გადენას, და შესა-

ბამისად, შემაფერხებელი ანუ ანტიინფლაციური ეფექტი გააჩნია (თავი 14). მიწოდებაზე ორიენტირებული თეორიის მომხრეები პირდაპირ საწინააღმდეგოს აცხადებენ: ისინი დარწმუნებული არიან, რომ ადრე თუ გვიან გადასახადების დიდი ნაწილი ტრანსფორმირდება მეწარმეთა დანახარჯებში და მომხმარებლებს გადაეცის უფრო მაღალი ფასების ფორმით. გადასახადები იწვევენ დანახარჯთა ინფლაციის ეფექტს. მიწოდების თეორიის მომხრეები ხაზს უსვამენ, რომ 70-იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში შიკაგოსისა და ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანიზებმა მნიშვნელოვანი დანაშაუნი შემოიღეს ბრუნვის გადასახადსა და აქციზებზე, ხოლო ფედერალურმა მთავრობამ რადიკალურად გაზარდა გადასახადები ხელფასის ფონდიდან (სოციალური დაზღვევიდან). ეს სწორედ ის გადასახადებია, რომლებიც მეწარმეთა დანახარჯებში შეიქცევა და თავის ასახვას ფასების სრულში პოულობს. საკითხი ისაა, რომ მრავალი გადასახადი “სოლს” წარმოადგენს რესურსების დანახარჯთა სიდიდესა და საქონელთა ფასს შორის. ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის შესაბამისად ეს საგადასახადო სოლი იზრდება, ავლენს რა ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილების ტენდენციას.

**საბაღმასახალო ანტიინფლაციური მიწოდების ეკონომიკის თეორიის წარმომადგენლები** ამტკიცებენ, რომ გადასახადებს უფრო ძლიერი ნეკარაქური შედეგებიც გააჩნია. გადასახადების გადაკისრების ამერიკული სისტემის მნიშვნელოვანმა ზრდამ 60-იან და 70-იან წლებში, ცხადია, ნეკარაქური ზეგავლენა მოახდინა მუშაობის სტრუქტურებზე, ინვესტიციებზე, წარმოების განახლებასა და მეწარმეობითი რისკის საკუთარ თავზე აღებაზე. გადასახადების გადაკისრების სისტემა ძირს უთხრის ამერიკის ეკონომიკის მეწარმეობას, ხოლო ეფექტიანობის შემცირება ნიშნავს უფრო მაღალ წარმოებრივ დანახარჯებს და ინფლაციას. არგუმენტი, არსებითად ისაა, რომ უფრო მაღალი გადასახადები შეამცირებს ჯამგირის თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ, რომელსაც მუშები და მეწარმეები ღებულობენ. ამის შედეგად, მუშაობა, სიახლეები, ინვესტირება და საკუთარ თავზე რისკის აღება ბევრად უფრო ნაკლებ მიზიდველი ხდება ფინანსური თვალსაზრისით. ამ თეორიის მომხრეები ხაზს უსვამენ გადასახადის ზღვრული განაკვეთების მნიშვნელობას, ვინაიდან ამ განაკვეთებს უშუალო დამოკიდებულება აქვთ დამატებითი სამუშაოს აღებასთან და დამატებით დაზოგვასა და ინვესტირებასთან.

**შრომის სტიმული.** მიწოდების ეკონომიკის თეორიის მომხრეები თვლიან, რომ ცალკეულ მუშათა შრომის ხანგრძლივობა და ინტენსივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ბევრი დამატებითი შიკა-

სავალი იქნება მიღებული გადასახადების გადახდის შემდეგ ამ დამატებითი მუშაობისაგან. რომ წახალისოთ შრომა - ე.ი. გავზარდოთ შრომის ერთობლივი დანახარჯები - აუცილებელია მიღებულ შემოსავალზე შევამჯიროთ გადასახადის ზღვრული განაკვეთები. სხვა სიტყვებით, გადასახადების უფრო დაბალი ზღვრული განაკვეთები ადიდებს შრომის მიზიდველობას და იმავდროულად ზრდის თავისუფალი დროის ალტერნატიულ დანახარჯებს. შესაბამისად, ინდივიდუუმები უპირატესობას მიანიჭებენ მუშაობას, ვიდრე დასვენებას და გართობას. მწარმოებლური ძალისხმევის ასეთმა ზრდამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს: დღეში ან კვირის განმავლობაში გამომუშავებული სამუშაო საათების გადიდება; მუშათა წახალისება პენსიაზე გვიან გასვლისთვის; უფრო ინტენსიური შრომის წახალისება; უმუშევრობის ხანგრძლივი პერიოდებისადმი წინააღმდეგობის გაწევა და ა.შ.

**ტრანსპარტული ანტისტიმულები:** მიწოდების ეკონომიკის თეორიის წარმომადგენლები ამტკიცებენ ასევე, რომ სახელმწიფო ტრანსპორტული პროგრამების დიდმა მრავალფეროვნებამ ძირი გამოუთხარა შრომის სტიმულებს. მაგალითად, უმუშევრობის დახმარებებმა და უკონფლიქტური მისაცემლებმა შეარბილეს სამუშაოს დაკარგვის სიმძიმე. ადამიანს ახლა ისე არ ეშინია უმუშევრობის, როგორც წინათ და ამიტომ ნაკლებ დისკრიმინაიანია და განსაკუთრებულ ძალისხმევას არ აქსოვს საკუთარი მწარმოებლურობის გადიდებას. ტრანსპორტულ პროგრამათა უმრავლესობა იმნიშობადა აგებული, რომ არსებითად ამცირებს შრომის სტიმულებს. მაგალითად, ტრანსპორტული გადასახდელები სოციალური დაზღვევის ხაზით და ბავშვიან ოჯახებს უმცირდებათ, თუ მათ მიძღვება შემოსავალი გაანინა. ასეთი პროგრამები სამუშაოდან ჩამოაკიდებენ იმათ, ვინც ასეთ მისაცემლებს ღებულობს. რაჭომ? იმიტომ, რომ მომუშავე ადამიანები ფაქტობრივად იბერებიან „გადასახადით“ ტრანსპორტულ გადასახდელოა შემცირების სახით.

**დაზოგვისა და ინვესტირების სტიმული მკვეთრად შემცირდა გადასახადების მაღალი ზღვრული განაკვეთებით.** დაუშვავთ, რომ თქვენ ზოგავთ 1000 დოლარს წლიური 10%-ის პირობებში, რაც თქვენ მოგცემთ 100 დოლ. სარგებლის გადასახდელს წელიწადში. თუ გადასახადის ზღვრული განაკვეთი თქვენთვის შეადგენს, დაუშვავთ, 40%, სარგებლის თქვენი შემოსულობანი გადასახადის გადახდის შემდეგ 60 დოლარამდე დაეცემა და სარგებლის განაკვეთი გადასახადების გადახდის შემდეგ მხოლოდ 6% შეადგენს. თუმცა თქვენ შეიძლება დაგროვების სურვილი გქონდეთ (ე.ი. უარი თქვათ მიმდინარე მომხმარებაზე) თქვენს დანაზოგზე 10%-იანი შემო-

სავლის პირობებში, მაგრამ წლიური 6%-ის შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა უპირატესობა მიანიჭოთ შემოსავლის მომხმარებელზე გამოყენებას. შეგახსენებთ, რომ დაზოგვა ინვესტირების წანამძღვარია. ამრიგად, მიწოდების ეკონომიკის თეორიის მომხრეები ვარაუდობენ გადასახადების ზღვრული განაკვეთების შემცირებას დანახოგებზე. ისინი ასევე მოუწოდებენ უფრო დაბალი გადასახადები შემოიღონ შემოსავლებზე ინვესტიციებიდან, რათა დარწმუნებული იყვნენ ეკონომიკაში მხარდი დაზოგვის სათვის საკმაო საინვესტიციო შესაძლებლობათა არსებობაში. გავიხსენოთ მე-12 თავიდან, რომ საინვესტიციო დანახარჯთა ერთ-ერთ დიქტორ მინანქრს წარმოადგენს ამ დანახარჯების წმინდა მომგებიანობა გადასახადების გადახდის შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადასახადის უფრო დაბალი ზღვრული განაკვეთები ხელს უწყობს დაზოგვას და ინვესტირებას, რამდენადაც მუშები აღჭურვილი იქნებიან ტექნოლოგიურად უფრო სრულყოფილი ტექნიკისა და მოწყობილობის დიდი რაოდენობით. მაშასადამე, გაიზრდება შრომის მწარმოებლურობა, და, ეს, როგორც (1) განტოლება შეგვახსენებს ამ თავის დასაწყისში, შეაფერხებს ხვედრი შრომიანი დანახარჯების და ფასების ზრდას.

**რეგულირება (17).** მიწოდების ეკონომიკის თეორიის მომხრეები ასევე აცხადებენ, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში რეგულირების ფორმით ასევე დამოუკველ გავლენას ახდენდა შრომის მწარმოებლურობასა და დანახარჯებზე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ორი პუნქტი. ჯერ ერთი, მიღებულია, რომ "სტრუქტურულ" რეგულირებას - ე.ი. (კალკული დარგების, სახელმწიფოებრივ რეგულირებას, ისეთების როგორცაა, ტრანსპორტი ან კავშირგაბმულობა, ხშირად, შედეგად მოსდევს რეგულირებად დარგებში ფირმებისათვის ლეგალური მონოპოლიის უფლების მიცემა. ე.ი. სახელმწიფო რეგულირება, მართლაც, (კასეთ ფირმებს კონკურენციას უბედურებებისაგან იცავს და ამის შედეგად მათი საქმიანობა უფრო ნაკლებეფექტიანი ხდება და წარმოების უფრო მაღალი დანახარჯები გააჩნია, ვიდრე ასეთ რეგულირებამდე. მეორე, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში შეინიშნებოდა მრეწველობის "საერთო სოციალური" რეგულირების მკვეთრი ზრდა. მიღებული იქნა ახალი სამთავრობო წესების მთელი პაკეტი, რომელიც არეგულირებს მრეწველობის საქმიანობას, გარემოს გაჭუჭყიანების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის, შრომისა და უსაფრთხოების დაცვის, სხვადასხვა სპეციალობისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობის და მრავალ სხვა სფეროში. მიწოდების ეკონომიკის თეორიის მომხრე ეკონომისტები ხაზს უსვამენ, რომ "საერთო სოციალურმა" რეგულირებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ბიზნესის დანახარჯები. რეგულირების დასახელებული ორი სახესხვა-

ობის საერთო ზემოქმედება ისაა, რომ იზრდება, როგორც ხარჯები, ისე ფასები და ამის შედეგად ყალიბდება სწავლაცის ტენდენცია.

## რეიზანოშიკა: პრობლემა

მიწოდებაზე ორიენტირებული ეკონომიკური თეორიის ელემენტებმა, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ, უზრუნველყვეს რეიგანის ადმინისტრაციის ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი (1981-1988წწ.). რეიგანოშიკა მოიცავდა ეკონომიკური პოლიტიკის შემდეგ ოთხ მიმართულებას:

1. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ზრდა შეეცრდა სოციალურ და ცხოვრების დონის შენარჩუნების პროგრამებზე დანახარჯების შემცირებისა და გაყინვის ხარჯზე. ამასთან, თავდაცვის ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

2. მნიშვნელოვნად შემცირდა კერძო მეწარმეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მასშტაბები.

3. ადმინისტრაცია ფედერალურ სარეზერვო სისტემას სჭიმულს აღიქვდა ფულადი მასის ზრდის ტემპი არაინფლაციურ დონეზე შეენარჩუნებინა, რომელიც საკმარისი იქნებოდა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

4. 1981 წლიდან დაწყებული პირადი საშემოსავლო გადასახადისა და კორპორაციათა მოგების გადასახდელის განაკვეთები მკვეთრად შემცირდა. 1986 წელს საგადასახადო სისტემა რეფორმირებული იქნა იმნაირად, რომ გადასახადის ხელშეწყობით განაკვეთი გადასახადის შეძლებული გადასახდელისათვის დაეცა 50 -დან 28%-მდე.

ჩვეულებრივ მინიშნულია, რომ მიწოდების ეკონომიკური თეორიისა და რეიგანოშიკის ძირითადი კომპონენტია ანტიინფლაციური ღონისძიების სახით გადასახადების შემცირების გამოყენება. სწორედ ახლა ამ მოსახრებას განვიხილავთ.


ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით გადასახადით დაბეგვრის შესახებ 1981 წ. კანონი, საგადასახადო რეფორმის შესახებ 1986 წ. კანონი და ლაფერის მრუდი. გადასახადების შემცირება რეიგანის ადმინისტრაციის მიერ ორ ეტაპად განხორციელდა: 1981 წელს ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით, გადასახადების შესახებ კანონის მიღებისა, და 1986 წლის საგადასახადო რეფორმის შესახებ კანონის მიღებით. 19981 წლის კანონის ძირითადი დებულებები

ბები მოიკავდა:(1) პირადი საშემოსავლო გადასახადის 25%-იან შემცირებას სამი წლის განმავლობაში;(2) კაპიტალის ზრდაზე გადასახადის განაკვეთების შემცირებას და (3) გადასახადებთან შედარებით ახალ შენობებსა და ნაგებობებზე შეწარმეთა დანახარჯების დანიქარებულ ჩამოწრას. ამ ღონისძიებათა მიხანი იყო საგადასახადო "სოლის" შემცირება და , რაც ყველაზე მთავარია, შრომის, დაზოგვისა და ინვესტირების ხალში სკიმულების განმკიცება. თუმცა კანონს საგადასახადო რეფორმის შესახებ ზეგავლენა არ უნდა მოეხდინა საგადასახადო შემოსულობათა თანხაზე, მაგრამ მან შეამცირა საშემოსავლო გადასახადის 'ხღვრული განაკვეთის დონე. განაკვეთების ამ შემცირების გასაწინასწორებლად, საგადასახადო რეფორმის შესახებ კანონმა გააფართოვა საგადასახადო ბაზა (გაზარდა დაბეგრისადმი დაქვემდებარებული შემოსავლის საერთო თანხა). 1981 და 1986 წლის კანონები უნდა გამოხდარიყო 19-4 ნახაზზე ერთობლივი მიწოდების მრუდის AS2 -დან AS1 -სკენ გადაადგილების ძირითადი საშუალება, შეარბილებდა რა ამრიგად ინფლაციას, რეალური წარმოების გაზრდით და უმუშევრობის დონის შემცირებით.

**საკუთრება.** სახელმწიფო ვალის ვალდებულებათა მუდობელების თაოსმის 1/4-ს სამთავრობო დაწესებულებები და ბანკები წარმოადგენენ, ხოლო დარჩენილი 3/4 შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე, კერძო პირებზე, კომერციულ ბანკებზე, სადაზღვევო კომპანიებზე და ა.შ. მოდის. მოელი სახელმწიფო ვალის მხოლოდ 13% მოდის უცხოელებზე. უკანასკნელი ციური ძალზე მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ როგორც ჩვენ ვნახავთ, სესხის მოთხოვნის შედეგები ქვეყნის შიგნით და უცხოელ კრედიტორებს შორის სრულიად განსხვავებულია.

**გაანგარიშების პრინციპები და ინფლაცია.** თემკა 20-1 (ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები სავსებით ერთმნიშვნელოვანი და უკუუარი გვეჩვენება, მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული შთაბეჭდილებაა. ეკონომისტთა ამერიკული ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი რობერტ აისნერი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ გაანგარიშებათა პრინციპები და მეთოდები არ ასახავენ მთავრობის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას. იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ კერძო ფირმებს კაპიტალდაბანდებათა (ვალზე ბიუჯეტი გააჩნიათ, რამდენადაც განსხვავებით შრომის ანაზღაურებისა და ნედლეულზე მიმდინარე დანახარჯებისაგან, კაპიტალური მოწყობილობის დანახარჯები წარმოადგენენ ხელშესახებ აქტივებში დაბანდებას, რომელთაც ფულის გენერირების უნარი გააჩნიათ. ფედერალური მთავრობა ავტოსტრადებზე, პორტებზე, საზოგადოებრივ შენობებში თავის დანახარჯებს ისევე აკვალიფიცირებს, როგორც მაგალითად, სილარობის დახმარების გეგმას, მაშინ როცა სინამდვილეში პირველი ტიპის დანახარჯები უხიკურ აქტივებში დაბანდებას წარმოადგენს აისნერის მოსაზრებით, ფედერალური ბიუჯე-

ტის საანგარიშო დეფიციტი 1962 წლისათვის 2-ჯერ ნაკლები იქნებოდა თუ ფედერალური მთავრობა მოახდენდა კაპიტალდაბანდებათა ბიუჯეტის გაანგარიშებას ამორტიზაციის ჩათვლით.

აისინერი ასევე გვახსენებს, რომ ინფლაცია მოვალეობა სასარგებლოდ მუშაობს. ფასების მზარდი დონე ამცირებს დოლარების რეალურ მსყიდველობით უნარს, რომლითაც მოვალეები კრედიტორებს ისყუამრებენ. თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ ამ „საინფლაციო გადასახადს“, დავინახავთ, რომ დეფიციტის სიდიდე მნიშვნელოვნად შემცირდება. და ბოლოს, შტატებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანიზაციების ბიუჯეტებისა და ინფლაციის გაოვალისწინებით კორექტირებულ ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტზე აისინერმა შესძლო ეჩვენებინა, რომ 1988 წელს ადგილი ჰქონდა სამთავრობო შემოსავლების, დანახარჯებისადმი გადამეტებას 42 მლრდ დოლარით. მაგრამ ყველაფერი ეს ძალზე არაერთმნიშვნელოვანია. მისი არსი ისაა, რომ არსებობს სახელმწიფო ვალის და მთავრობის საერთო საფინანსო მდგომარეობის გახორციელების სხვადასხვა ხერხი. ზოგიერთი ამ ალტერნატიული ხერხთაგანი გვაძლევს ისეთი შედეგებს, რომლებიც სავსებით განსხვავდებიან 20-1 ცხრილში წარმოდგენილი ძირითადი მონაცემებისაგან.

## ეკონომიკური შედეგები: მცდარი (მოჩვენებითი) კითხვები

როგორ ზემოქმედებს სახელმწიფო ვალი და მისი ზრდა ეკონომიკის ფუნქციონირებაზე? შეუძლია თუ არა მზარდ სახელმწიფო ვალს რაღაც მომენტში კრახამდე მიიყვანოს ერი? ვალი დააკისრებს თუ არა რაიმე დაუსაბუთებელ ტვირთს ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს?

ყველა ეს საკითხი არასწორი და მოგონილია. ვალი არ გამოიწვევს მთავრობის და მთლიანად ერის გაკოტრებას. ასევე, განსაკუთრებული სპეციფიკური პირობების გამოკლებით, ვალი ტვირთს არ აკისრებს მთავალ თაობას.

## ბაკოტრეპა?

შეიძლება თუ არა დიდმა სახელმწიფო ვალმა რაღაცნაირად მთავრობა გააკოტროს მისთვის საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის წართმევით? ამ კითხვის პასუხია -- „არა“ და ამ პასუხის ლოგიკა სამ პუნქტს მოიცავს.

1. რეფინანსირება. ჯერ-ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს არავითარი მიზეზი, რომელიც სახელმწიფოს აიძულებდა ვალის შემცირებას, რომ არაფერი ვთქვათ მისი სრული ლიკვიდაციის აუცილებლობაზე. პრაქტიკაში, როგორც კი დადგება ამ ვალის რაღაც ნაწილის გადახდის ყოველთაფური ვადა, მთავრობა, როგორც წესი, არ ამცირებს ხარჯებს და არ ზრდის გადასახადებს, გადასახადის ვადადამდგარი ობლიგაციის დასაფარავი სახსრების მისაღებად (სვენ ვიცი, რომ დეპრესიული ეკონომიკის პირობებში ასეთი ფისკალური პოლიტიკა შეუძლებელი იქნებოდა). მთავრობა თავისი ვალის მხოლოდ რეფინანსირებას ახდენს ე.ი. ჰქიდის ახალ ობლიგაციებს და ამონაგებს დასაფარავი ობლიგაციების მფლობელთა გადახდისათვის იყენებს.

2. გადასახადით დაბეგვრა. მთავრობას, კონსტიტუციის ძალით უფლება აქვს მოსახლეობა გადასახადით დაბეგროს და აკრიფოს ეს გადასახადები. თუ იგი მისაღებია ამომრჩევლებისათვის, გადასახადების გადაიდება ის საშუალებაა რომელიც მთავრობას გააჩნია საკმარისი შემოსავლების მისაღებად სარგებლისა და სახელმწიფო ვალის საერთო თანხის გადასახდელად. კერძო მეურნეობებს და კორპორაციებს, რომლებიც ფინანსურ კრახს განიცდიან, არ შეუძლიათ შემოსავლების მიღება გადასახადების აკრიფის ხარჯზე; სახელმწიფოს კი შეუძლია. კერძო მეურნეობებსა და კორპორაციებს შეუძლიათ გააკოტრდნენ; მთავრობას კი არ შეუძლია.

3. ფულის შექმნა. მთავრობის გაკოტრება ძალზე რთულია წარმოიდგინო, თუნდაც იმიტომ, რომ, მას ფულის დაბეჭდვის უფლება აქვს, რომლისთავე შეიძლება ვალის ძირითადი თანხისა და სესხის სარგებლის გადახდა. სამთავრობო ობლიგაცია მთავრობას ავალდებულებს ეს ობლიგაცია გაცვალოს ფულის განსაზღვრულ თანხაზე მისი დაფარვის ვადისათვის. მთავრობას ასეთი ობლიგაციის დასაფარავად შეუძლია გამოიყენოს ან სხვა ობლიგაციების (როგორც უკვე ითქვა) გაყიდვიდან ამონაგები, ან შექმნას ამისათვის საჭირო ფული. როგორც მოგვიანებით დავინახავთ, ახალი ფულის შექმნას სარგებლის გადასახდელად ან სესხის ძირითადი თანხის დასაფარავად შეიძლება საინფლაციო ეფექტი

გააჩნდეს. მაგრამ აქ განხილული საკითხის არსი ისაა, რომ ძალზე ძნელია დაიჯერო მთავრობის გაკოტრება, როცა მას ახალი ფულის შექმნის შესაძლებლობა და უფლება გააჩნია, უბრალოდ, საბეჭდი დანადგარის ჩართვით.

## ტვირთის სიმძიმის ბაზაპისრება

იწვევს თუ არა სახელმწიფო ვალი რაიმე ტვირთის შექმნას მომავალი თაობისათვის? ადრე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 1988 წელს სახელმწიფო ვალი მოსახლეობის ერთ სულზე 10 586 დოლარს შეადგენდა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ყოველი 1988 წელს დაბადებული ბავშვი სამყაროში შედის ბებიაქალის გალაწუნებით და ძია სემას 10568 დოლარიანი სავალო ვალდებულებით? სრულებითაც არა!

ჯერ უნდა ვიკითხოთ: ვინაა სახელმწიფო ვალის მფლობელი, ვისი ვალი გვაქვს. ამერიკის სამთავრობო ობლიგაციების 87% მოთავსებულია ქვეყნის შიგნით, ე. ი. ისინი მოქალაქეთა და ორგანიზაციების — ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, სამთავრობო დაწესებულებების ხელში იმყოფებიან. ამრიგად, სახელმწიფო ვალი იმავდროულად საზოგადოებრივი აქტივაციაა. მაშინ, როცა სახელმწიფო ვალი წარმოადგენს ვალდებულებათა თანხას ამერიკელ მოქალაქეთა წინაშე (როგორც გადასახადის გადამხდელთა წინაშე), იმავე ვალის დიდი ნაწილი იმავდროულად ამერიკელ მოქალაქეთა აქტივებს წარმოადგენს (როგორც აქციების მფლობელების). სახელმწიფო ვალის დაფარვა გამოიწვევდა ტრანსფერტულ გადასახდელთა გიგანტურ ზრდას, რომლის დროსაც ამერიკელ მოქალაქეებს უფრო მაღალი გადასახადები უნდა გადაეხადათ, ხოლო მთავრობას, თავის მხრივ, ამ საგადასახადო შემოსულობათა დიდი ნაწილი უნდა გადაეხადა იმავე გადასახადის გადამხდელისთვის (კერძო პირებსა და ორგანიზაციებზე) ობლიგაციების დასაფარავად, რომელიც მათ განკარგულებაში იმყოფება. ცხადია, ასეთი გიგანტური ფინანსური ტრანსფერტის შედეგად მოხდებოდა შემოსავლის მნიშვნელოვანი გადანაწილება, რომელიც აუცილებლობით არ გამოიწვევდა ეკონომიკაში სიმდიდრის დაუყონებლივ შემცირებას ან ცხოვრების დონის დაცემას. სახელმწიფო ობლიგაციების დაფარვა, რომელიც მოცემული ქვეყნის რეზიდენტთა განკარგულებაშია, არ გამოიწვევს მსყიდველობითი უნარის არავითარ გაღენას ქვეყნის ეკონომიკიდან მთლიანად.

ახალდაბადებულები, რომელთა შორის თითოეული საშუალოდ სახელმწიფო ვალის 10568 დოლარის ვალდებულებას ღებულობს მეჩვიდრეობით, იმავედროულად ამავე თანხის სამთავრობო ობლიგაციების მეჩვიდრე ხდება.

აღრე ჩვენ აღვნიშნავდით, რომ სახელმწიფო ვალი მკვეთრად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის დროს. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ მეორე მსოფლიო ომის ეკონომიკური რეკონსტრუქციის ნაწილი, მაგალითად, გადაკისრებულ იქნა მომავალ თაობებზე სამხედრო შესყიდვების, სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვის მეშვეობით დაფინანსების გადაწყვეტილებების მიღებით? პასუხი ისევე იქნება — “არა”. წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდის გახსენებით, ჩვენ დავინახავთ, რომ მეორე მსოფლიო ომის ეკონომიკური დანახარჯები სამოქალაქო პროდუქციის წარმოებაზე უარის თქმაში მდგომარეობდა, რომელიც სამხედრო წარმოებით შეიცვალა, როცა შესლუდული რესურსები გადაორიენტირებული იქნა. დამოუკიდებლად იმისა, როგორ ფინანსდებოდა ეს გარდაქმნა — გადასახადების ზრდის თუ ხესხების ხარჯზე — ომის ეკონომიკური რეკონსტრუქციის არსებითად ერთი და იგივე დარჩებოდა. ომის რეკონსტრუქციის თავის თავში თითქმის მთლიანად გადაიქანეს იმათ, ვინც ომის პერიოდში ცხოვრობდა; სწორედ მათ მოუხდათ მრავალ სამომხმარებლო საქონელზე უარის თქმის პირობებში ცხოვრება. იმისათვის რომ აშშ-სა და მისი მოკავშირეებისათვის შეიარაღების საშუალება მიეცათ.<sup>1</sup>

დასკვნები: აქამდე ჩვენ შევეხეთ სახელმწიფო ვალის ეკონომიკური შედეგების მხოლოდ ორ მხარეს: ჯერ ერთი, იმასთან ერთად, რომ მთავრობა (1) ვალდებულია მხოლოდ ვალის რეფინანსირება (და არა დაფარვა) მოახდინოს, (2) გადასახადის აკრეფის უწყობა გაანია და (3) ფულის შექმნის უფლება აქვს, არავითარი საფრთხე არ არსებობს სახელმწიფოს გაკორუებისა. მეორე, სახელმწიფო ვალი არ წარმოადგენს ეკონომიკური რეკონსტრუქციის ნაწილის ერთი თაობიდან მეორეზე გადაკისრების საშუალებას.

---

1. სამხედრო წარმოება შეიძლება ზრდის შეწყვეტისა და ერთი კაპიტალის მოცულობის შემცირების მიზნით კი იყოს, იმის და მიხედვით, თუ როგორ გადაინაცვლებენ რესურსები ხაინუესტიციო საქონელთა წარმოებიდან სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე. ამის შედეგად, მომავალი თაობები მეჩვიდრეობით მიიღებენ ძირითადი კაპიტალის შემცირებულ მარაგს სხვა ქვეყნებთან შედარებით. სწორედ ეს მოხდა აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. მაგრამ დანახარჯების ეს გადაადგილება ისევე წარმოებს მიუხედავად იმისა, თუ როგორ ფინანსდება ომი.

## ეკონომიკური შედეგები: არსებითი კითხვები

ეს დამაიმედებელი შენიშვნა სრულებითაც არ ნიშნავს სახელმწიფო ვალის გამართლებას. მისი არსებობა ნამდვილად აყენებს ზოგიერთ რეალურ და პოტენციურ პრობლემას, თუმცა სხვადასხვა ეკონომისტი არაერთნაირ ყურადღებას აქცევს ამ პრობლემას.

## შემოსავლის განაწილება

საკუთრების განაწილება სახელმწიფო ობლიგაციებზე, რა თქმა უნდა, არამართლზომიერია. ზოგიერთი მოქალაქე იმდენ თანხას ფლობს რომელიც აჭარბებს 10568 დოლარს, რაც მოსახლეობის ერთ სულზე მოდის — სხვები ნაკლებ თანხას ფლობენ, მესამენი — საერთოდ არ ფლობენ ობლიგაციებს. მართალია ჩვენ სახელმწიფო ვალდებულებათა სხვადასხვა ჯგუფებს შორის განაწილების შესახებ არსებული მონაცემები გაგვანია, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კონკრეტირებულია მოსახლეობის ყველაზე უკრო მდიდარი ჯგუფის ხელში. რამდენადაც საგადასახადო სისტემა მხოლოდ უმნიშვნელოდაა პროგრესიული, სახელმწიფო სესხის სარგებლის განაკვეთების გადახდა გაზრდის უთანაბრობას შემოსავლებში. თუ ჩვენი მზანია მეტი სოციალური თანასწორობის მიღწევა, ასეთი გადაჩანაწილებელი ეფექტი, ცხადია, არასასურველია.

## სტიმულები

20-1 ცხრილი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ვალის დღევანდელი, დონე მოითხოვს სარგებლის ყოველწლიური გადასახდელის გადახდას. რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს 150 მლრდ დოლარს. თუ არ გამოვიყენებთ ვალის მოცულობის ნამატს, სარგებლის ეს ყოველწლიური გადასახდელები საგადასახადო შემოსულობებიდან უნდა იქნას გადახდილი. ასეთმა დამატებითმა გადასახადებმა შეიძლება ჩააქროს თავის თავზე რისკის ალების, ინოვაციების მცდელობის, ინვესტიციებისა და თვით მუშაობის სურვილიც კი. მსგავსი არაპირდაპირი სახით დიდი სახელ-

მწიფო ვალის არსებობამ შესაძლოა ძირი გამოუთხაროს ეკონომიკურ ზრდას. როგორც ადრე აღვნიშნეთ, სარგებლის გადასახდელის შეფარდება ეეპ-ის მოცულობასთან გვიჩვენებს გადასახადებით დაბეგვრის იმ დონეს, რომელიც აუცილებელია ვალის სარგებლის გადასახდელად. ამიტომ ზოგიერთი ეკონომისტი შემოთავაზებულია იმ ფაქტით, რომ ეს მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა უკანასკნელ წლებში (იხ. ცხრილი 20-1 სვეტი 6).

## საბარემო ვალი

საგარეო ვალი — აშშ-ს ვალდებულება სხვა ქვეყნების მოქალაქეების ან ორგანიზაციების წინაშე — მნიშვნელოვანი ტვირთია. სახელმწიფო ვალის ეს ნაწილი, რა თქმა უნდა, „არ მართებს ამერიკას“ და რეალურ ტერმინებში სარგებლისა და ძირითადი ვალის თანხის გადახდა მოკემულ შემთხვევაში მოითხოვს პროდუქციის საკუთარი რეალური გამოშვების გადაკუმას სხვა ქვეყნების განკარგულებაში. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ვალის ტვირთის ხვედრი წილი, რომელიც უცხოელ კრედიტორებზე მოდის, გაიზარდა უკანასკნელ წლებში. 1960 წელს მათზე მოდიოდა ვალის საერთო თანხის 5%, დღეს მათ წილად მოდის 13%. მკაცრება იმის შესახებ, რომ თითქოს „ამერიკას აქვს თავისივე ვალი“ და დასკვნა იმის შესახებ, რომ ვალის არსებობა — სერიოზული შემოთავაზების საბაბი არაა, დღეს რამდენადმე არაზუსტია, ვიდრე სამი ათეული წლის წინ.

## შენაცვლების ეშპტი და ძირითადი წარმოებრივი ფონდები

ამას ჩვენ მივყავართ პოტენციურად უფრო სერიოზულ პრობლემასთან. გამონაკლისის სახით წინა კომენტარებიდან შეიძლება დავასახელოთ გზა, რომლითაც სახელმწიფოს შეუძლია ვალის საკუთარი ტვირთი მომავალ თაობებს გადააკისროს. ეს იმაში მდგომარეობს, რომ მომავალ თაობებს ნაკლები სიდიდის ძირითადი წარმოებრივი ფონდები — ასე ვთქვათ, უფრო პატარა „ეროვნული ფაბრიკა“ დაგუტოვოთ. ეს შესაძლებლობა დაკავშირებულია მე-14 თავში განხილულ, შენაცვლების

ეუქატთან, რომელიც, როგორც გახსოვთ, იმით განისაზღვრება, რომ დეფიციტური დაფინანსება ადიდებს სარგებლის განაკვეთს და, შესაბამისად, ამცირებს საინვესტიციო დანახარჯებს. თუ ეს ასე მოხდება, მომავალი თაობები მემკვიდრეობით მიიღებენ ეკონომიკას შემცირებული წარმოებრივი პოტენციალით, და მაშასადამე, სხვა თანაბარ პირობებში ცხოვრების დონეც უფრო დაბალი იქნება, ვიდრე სხვა შემთხვევებში.

როგორ შეიძლება მოხდეს ასეთი რამ? დავუშვათ, რომ ეკონომიკა ფუნქციონირებს სრული დასაქმების ანუ წარმოების პოტენციური დონის პირობებში და რომ ფედერალური ბიუჯეტი თავდაპირველად დაბალანსებულია. ახლა, რაიმე მიზეზით სახელმწიფო გადაიდებს ხარჯების მასშტაბებს. მეორე მსოფლიო ომის ეკონომიკური სიმძიმის განხილვიდან ჩვენ ვიცით, რომ სამთავრობო ხარჯების მატება, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობას დააწეობს, როდესაც მოხდება ეს ზრდა. გაიხსენეთ წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდი, მე-2 თავში, „სამთავრობო საქონლით“, ერთ ღერძზე და „კერძო საქონლით“, მეორეზე. სრული დასაქმების პირობებში მომუშავე ეკონომიკაში სამთავრობო ხარჯების გადიდება ეკონომიკას გადაადგილებს მრუდის გასწვრივ, სამთავრობო საქონელთა ღერძის მიმართულებით, რაც ნათლად გვიჩვენებს, რომ ეკონომიკაში ნაკლებად ხელმისაწვდომი იქნება კერძო საქონელი.

მაგრამ პრობლემა ისაა, რომ კერძო საქონელი შეიძლება იყოს ან სამომხმარებლო ან საინვესტიციო. თუ სამთავრობო საქონელთა მზარდი მოცულობის უზრუნველყოფა ხდება სამომხმარებლო საქონელთა ხარჯზე, მაშინ დღევანდელი თაობა ატარებს მთელ სიმძიმეს ცხოვრების უფრო დაბალი დონის სახით. ინვესტიციათა მიმდინარე დონე, და მაშასადამე „ეროვნული ფაბრიკის“ სიდიდე, რომელსაც მემკვიდრეობით ღებულობს მომავალი თაობები, ხელშეუხებელია. მაგრამ, თუ სამთავრობო საქონელთა გადიდება გამოიწვევს საინვესტიციო საქონელთა წარმოების შემცირებას, მაშინ დღევანდელი თაობის მოხმარების დონე (ცხოვრების დონე) არ იქნება გათვალისწინებული. ამასთან, მომავალში ჩვენი შვილები და შვილიშვილები მემკვიდრეობით მიიღებენ ძირითადი წარმოებითი ფონდების ნაკლებ მოცულობას, და მაშასადამე, შემოსავლის უფრო ნაკლები დონეც ექნებათ.


ორი სცენარი. განვიხილოთ ორი სცენარი, რომლებიც ახლახანს ჩვენს მიერ აღწერილ ორ შედეგს მოგვცემს.

პირველი სცენარი. დავუშვათ, სამთავრობო დანახარჯების ჩვენს მიერ ნაგარაუდვეი გადიდება ფინანსდება გადასახადით დაბეგრის გადიდებით, ვთქვათ, პირადი საშემოსავლო გადასახადის გადიდებით. ჩვენთვის ნათელია, რომ შემოსავლის დიდი ნაწილი მოიხმარება და ამიტომ



სამომხმარებლო ხარჯები თითქმის იმავე სიდიდით დაეცემა, რამდენადაც გადასახადები გაიზრდება. ამ შემთხვევაში სამთავრობო დანახარჯების გადიდების სიმძიმე, უწინარეს ყოვლისა, დღევანდელ თაობას დააწვება საქონელთა მოხმარების შემცირების სახით.

მეორე სკენარი. დავუშვათ, სამთავრობო დანახარჯების გადიდება



ნახ. 20-1 მოთხოვნის ინვესტიციების მრუდი და შენაცვლების ეფექტი

შენაცვლების ეფექტი გულისხმობს, რომ მოთხოვნის ინვესტიციასა (Id1) მოცემული მრუდის პირობებში, როსილაც ბიუჯეტური დეფიციტითაა გაიწვეული, სარგებლის განაკვეთის გადიდება გაიზარდებს კერძო საინვესტიციო ხარჯების შესწორებას, და შესაძარსად, შესწორებს „ეროვნული ფაბრიკის“ მოცულობას, რომელსაც მსუკეულრობით მიიღებს მოსავალი თაობა. ამ შესწორებაში სარგებლის განაკვეთის 6-დან 10%-ზე გადიდება გამოიწვევს 10 მლრდ კერძო ინვესტიციებს. ისგარან, თუ ეკონომიკა თავიდან დაქვეითებას მდგომარეობაში ატოვება, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს შეუძლია გააუჩივრობოს ბიზნესის მოგების მოლოდინი და გადაადგილოს მოთხოვნის ინვესტიციების მრუდი Id1-დან Id2-სკენ. ამ გადაადგილებამ შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანადც კი დაფაროს შენაცვლების ეფექტის მოქმედება.

ფინანსდება სახელმწიფო ვალის გადიდებით, ამ შემთხვევაში მთავრობა ფულის ბაზარზე გამოდის და სახსრებისათვის კონკურენციას ეწევა კერძო მოსიხსებთან. ფულის მოცემული მიწოდების პირობებში ფულზე

მოთხოვნას ეს ნამატი 'ზევით ასწევს სარგებლის განაკვეთს, რომელიც, რა თქმა უნდა, ფულის გამოყენებისათვის გადახდილ „საფასურს“ წარმოადგენს. ნახაზი 20-1:  $Id^1$  მრუდი უბრალოდ აღადგენს მოთხოვნის ინვესტიციების მრუდს 12-6 ნახაზიდან (დროებით დაივიწყეთ  $Id^2$  მრუდის შესახებ). მოთხოვნის ინვესტიციების მრუდი დადამკავლია (ანუ საინვესტიციო დანახარჯები სარგებლის განაკვეთის უკუპროპორციულია).

მოკვებულ მომენტში სამთავრობო ხარჯების დეფიციტური დაფინანსება განაპირობებს სარგებლის განაკვეთის გადიდებას, კერძო ინვესტიციების დაკლებით. მაგალითად, თუ სამთავრობო ნახევრობები გაზრდის სარგებლის განაკვეთს, ვიქვამ, 6-დან 10%-მდე, საინვესტიციო ხარჯები დაეკემა 25-დან 15 მლრდ დოლარამდე. სხვა სიტუაციაში, 10 მლრდ დოლ. კერძო ინვესტიციები შენაცვლებული იქნება. ჩვენი დასკვნა ისაა, რომ სახელმწიფოს მიერ პროდუქციის წარმოების სავარაუდო გადიდება, ალბათ, ყველაზე მეტად, საინვესტიციო საქონელთა ხარჯზე მოხდება, თუ კი ეს წარმოება დეფიციტების გზით ფინანსდება. გადასახადების ხარჯზე დაფინანსებასთან შედარებით მოკვებულ შემოსევებაში მომავალი თაობები მემკვიდრეობით მიიღებენ ნაკლებ „ეროვნულ ფაბრიკას“ და, მაშასადამე, დეფიციტური დაფინანსების პირობებში ცხოვრების უფრო დაბალი დონე ექნებათ.

ორი შეზღუდულობა. მაგრამ არსებობს ჩვენი მსჯელობების ორი ძალზე შეზღუდული გარემოება. მათი განხილვით დავინახავთ, რომ შეიძლება შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც შეამცირებენ ან საერთოდ გამორიცხავენ კიდევაც იმ კონომიკურ სიმძიმეს, რომელიც მომავალ თაობებს გადაეკისრება მოვლენათა მსვლელობის მეორე სტენარის მიხედვით განვითარების შემთხვევებში.

1. სახელმწიფო ინვესტიციები. ჩვენი მსჯელობები არ ეხებოდა სამთავრობო დანახარჯების გადიდების ხასიათს. 'ზუსტად ისევე, როგორც კერძო წარმოება შეიძლება შეიკავდეს მოხმარებას ან ინვესტიციებს, სახელმწიფო ხარჯებსაც შეიძლება სხვადასხვა ხასიათით ქონდეთ. თუ სამთავრობო ხარჯების გადიდება ძირითადად სამომხმარებლო ხასიათის დანახარჯების გადიდებით ხორციელდება — ისეთების, როგორცაა სუბსიდიები სასკოლო საუბმებისათვის ან სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის ლიმუზინების შეთავაზება — მაშინ ჩვენი მეორე სტენარის დასკვნა იმის შესახებ, რომ ვალის გადიდება მის სიმძიმეს გადააქისრებს მომავალ თაობებს, სამართლიანია. მაგრამ რა მოხდება, თუ სამთავრობო ხარჯებს უპირატესად საინვესტიციო ხასიათის დაბანდებათა სახე გააჩნია, მაგალითად, ავტოსტრადების, პორტების, ჰიდრო-

ტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობაზე ან ინვესტირებული არიან „აღმოსავლური კაპიტალიზმი“ განათლების და ჯანდაცვის სამინისტროში?

ისე როგორც კერძო დანახარჯები მანქანებსა და მოწყობილობებზე, სახელმწიფო ინვესტიციებიც განამტკიცებენ ეკონომიკის მომავალ წარმოებრივ პოტენციალს. მაშასადამე, ამ შესთხოვევაში საწარმოო სამძლავრებია, რომლებიც მომავალი თაობების განკარგულებაში აღმოჩნდება, არ შემცირდება, მაგრამ შემცირდება მათი სტრუქტურა, სახელმწიფო კაპიტალის ხვედრი წილის გადიდებისა და კერძოს შემცირების სასარგებლოდ.

2. უმუშევრობა. მეორე შეზღუდულობა ეხება ჩვენს ვარაუდს იმის შესახებ, რომ სამთავრობო ხარჯების თავდაპირველი გადიდება წარმოებს ეკონომიკის სრული დასაქმების პირობებში დაფინანსების გათვალისწინებით. და წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდი ისევ შეგვახსენებს, რომ თუ ეკონომიკა სრული დასაქმების დონეზე დაბლა ფუნქციონირებს ან გრავიტულად, წარმოებრივ შესაძლებლობათა შიდა წერტილზე მოქმედებს, სამთავრობო ხარჯების გადიდება შეიძლება ეკონომიკა მრუდისაკენ გადაადგილოს მიმდინარე მოხმარების ან კაპიტალის დაგროვებისადმი უოველგვარი მსხვერპლის გარეშე. მაშასადამე, თუ უკვე თავიდანვე არსებობს უმუშევრობა, მთავრობის დეფიციტურმა დანახარჯებმა აუცილებლად არ უნდა გამოიწვიოს მომავალი თაობებისათვის რეკრითის გადიდება „ეროვნული ფაბრიკის“ სიდიდის შემცირების სახით.

დავასუხვიოთ და ერთხელ კიდევ შევაფასოთ ეს სიტუაცია. ისევ განვიხილოთ ნახაზი 20-1. ჩვენ უკვე ავხსენით, რომ თუ დეფიციტური დაფინანსება გამოიწვევს სარგებლის განაკვეთის გადიდებას რ-დან 10%-მდე მოხდება 10 მლრდ დოლ. ინვესტიციების შენაცვლება. მაგრამ ეხლა ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სამთავრობო ხარჯების ზრდა მასწიშეუღებელ ეფექტს მოახდენს ეკონომიკაზე. რომელიც დაქვეითების მდგომარეობაშია, მულტიპლიკატორის ეფექტის მეშვეობით, გააუმჯობესებს რა ამგვარად კერძო ბიზნესის მოგებათა მოლოდინს, და საინვესტიციო მოთხოვნას გადაადგილებს მარჯვნივ  $Id_2$ -ის მიმართულებით. ამის შედეგად, როგორც ჩვენ აღვნიშნავთ, განხილულ შემთხვევაში, მოუხედავად სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთისა (10%), საინვესტიციო ხარჯები 25 მლრდ. დოლარის დონეზე დარჩება. რა თქმა უნდა, საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა შეიძლება იმაზე მეტი ან ნაკლები იყოს, რაც აღნიშნულია 20-1 ნახაზზე. პირველ შემთხვევაში შენაცვლების ეფექტის მოელი მოქმედება დაფარული იქნება; მეორე შემთხვევაში მისი მოქმედება ჭარბადაა გადაფარული. ძირითადი იდეა ისაა, რომ

საინვესტიციო მოთხოვნის გადიდება შენაცვლების ნებისმიერი ეფექტის საწინააღმდეგო ფაქტორია.

## დეფიციტები 80-იან წლებში

ფედერალური დეფიციტები და შხარდი სახელმწიფო ვალი ეკონომიკურ პრობლემათა ცენტრში იქნა წამოწეული 80-იან წლებში. ეს ნაწილობრივ იმიტომ მოხდა, რომ დეფიციტებმა უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შეიძინა. დეფიციტთან დაკავშირებული ეკონომიკურ პრობლემათა სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც.

## ამასწინანდელი საშიშროებანი

დეფიციტებისა და სახელმწიფო ვალის საფუძველზე შხარდ საშიშროებებს საფუძვლად უდევს რამდენიმე გარემოება.

1. ჯერ ერთი, ღიად რჩება საკითხი ვალის სიდიდის შესახებ. როგორც 20-2 ცხრილიდან ჩანს, ფედერალური ბიუჯეტის ყოველწლიური დეფიციტის აბსოლუტური სიდიდე, ისევე როგორც სახელმწიფო ვალისა, გიგანტურად გაიზარდა 80-იანი წლების მანძილზე. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის საშუალო წლიურმა სიდიდემ თითქმის 35 მლრდ დოლარი შეადგინა. 80-იან წლებში, წლიური დეფიციტი გაიზარდა საცხრილი 20-2 უკანასკნელი წლების ფედერალური დეფიციტები (ცალკეული წლები; მლრდ. დოლ.)<sup>1</sup>

წლები	დეფიციტი	წლები	დეფიციტი
1970	12	1983	179
1973	6	1984	173
1977	46	1985	197
1979	16	1986	206
1981	64	1987	158
1982	146	1988	142

1. წყარო: Economik Report of the Peesident, 1989 ud&.401.

შუალოდ 5-ჯერ. ამის შედეგად 1980-1988 წლებში სახელმწიფო ვალი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა (იხ, ცხრილი 20-1). უფრო მეტიც, კონგრესის საბიუჯეტო სამმართველოს შეფასებებით დეფიციტები შენარჩუნებულ იქნება 90-იან წლებშიც.

2. მეორე, სარგებლის გადასახდელები, რომლებიც სახელმწიფო ვალთან არის დაკავშირებული, ასევე ძალზე სწრაფად იზრდება. 20-2 ცხრილის მე-4 სვეტის მონაცემები გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ვალის სარგებლის გადასახდელები 1970 წლიდან 10-ჯერ და მეტად გაიზარდა. 1988 წელს მან უკვე 154 მლრდ დოლ. შეადგინა, გადააჭარბა რა იმავე წლის დეფიციტის საერთო სიდიდეს! რამდენადაც სარგებლის გადასახდელები სამთავრობო ხარჯების ნაწილია, ვალი, განსაზღვრული გაგებით თავის თავს აღადგენს სარგებლის გადასახდელების მეშვეობით. ვალის სარგებლის გადახდა სახელმწიფო ხარჯების ერთადერთი მუხლია, რომელიც არ იკვეცება კონგრესის მიერ, ამიტომ ამ გადასახდელების გადიდება ართულებს სამთავრობო ხარჯების კონტროლის პრობლემას, და მაშასადამე, მომავალი დეფიციტების პრობლემასაც.

3. შემდეგი შემაშფოთებელი გარემოება ისაა, რომ ამერიკის მიმდინარე დიდი ყოველწლიური დეფიციტები ჩამოყალიბდა მშვიდობიანი ეკონომიკის პირობებში, რომელიც დღეს სრული დასაქმების დონესთან ახლოს ფუნქციონირებს. გავიხსენოთ, რომ წინა წლებში დეფიციტები — განსაკუთრებით კი დიდი — ასოცირდებოდა სამხედრო ეკონომიკასთან და დაქვეითებებთან. მართალია 1980-1982 წლების დაქვეითებამ ხელი შეუწყო ბიუჯეტის დეფიციტების გადიდებას, მაგრამ, ცხადია ამავე დროს, რომ სამთავრობო ხარჯები არ შემცირებულა დაბალანსებისათვის საჭირო სიდიდით. 14-4 ნახზისადმი მიბრუნებით შეიძლება დავასკვნათ, რომ გადასახადების შემცირებამ 1981 წლიდან გადასახადების ხაზი ქვევით გადაადგილა, რომ წარმოების სრული დასაქმების დონის პირობებშიც კი (ჩრპ-1-ს, დიაგრამაზე) შეიძლება მოველოდეთ დიდი სტრუქტურული დეფიციტების წარმოშობას.

სრული დასაქმების პირობებში არსებული დიდი დეფიციტები რამდენიმე საკითხს აყენებს. ჯერ ერთი, „შენაცვლების“ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ალბათობა წარმოიშობა სრული დასაქმების პირობებში ეკონომიკის ფუნქციონირებისას. მეორე, ასეთი დეფიციტების მასტიმულლებელმა ეფექტმა შეიძლება ჭარბი მოთხოვნის ინფლაცია გამოიწვიოს. და ბოლოს, როგორც ეკონომიკურ კონსულტანტთა საბჭოს მიერაა ფორმულირებული 1987 წელს:

„სტაბილურმა, დიდმა ფედერალურმა დეფიციტმა მთელი ეკონომიკური აღსავლობის პერიოდში შეიძლება მაკროეკონომიკური პოლიტიკა სერიოზული დილემის წინაშე დააყენოს. სერიოზული ეკონომიკური დაქვეითების დროს ფედერალური შემოსავლები ავტომატურად ეცემა და ფაროვდება ტრანსფერტული გადასახდლები. ფედერალური დეფიციტის თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება დაქვეითების განსაჯლობაში შეკვეთად გამოხატული შემსრუდავი ფისკალური პოლიტიკის გამოყენება, ან ეკპ-ში დეფიციტის ხვედრ წილს საშუალება მიეცემა აიწიოს (ა) ღონიშდე, რაც აშშ-ში მშვიდობიან დროს არასოდეს ყოფილა“.

4. შეშფოთების უკანასკნელი მიზეზი ისაა, რომ დიდი ბიუჯეტური დეფიციტი საერთაშორისო ვაჭრობაში ბალანსის მიღწევას აძნელებს. კერძოდ, როგორც ენახავთ, დიდ ყოველწლიურ დეფიციტებს იმპორტის წახალისებისა და ექსპორტის შეფერხების ტენდენცია გააჩნიათ. უფრო მეტიც, ბიუჯეტური დეფიციტები — ორი დაკავშირებული მოვლენის ძირითადი მიზეზია, რომელთა შესახებაც ბევრი ლაპარაკია უკანასკნელ პერიოდში: (1) ჩვენი ახლახანს მიღწეული სტატუსი „უდიდესი ერი — მსოფლიოს მოვალე“ და (2) ე.წ. „ამერიკის დაყიდვა“ უცხოელ ინვესტორებზე.

## დეფიციტთან დაკავშირებული პრობლემები

მოდით განვიხილოთ, როგორ აფასებენ სხვადასხვა ეკონომისტები ამასწინანდელ დიდი დეფიციტის შედეგებს.<sup>2</sup> მიზეზ-შედეგის ეს ჯაჭვი საკმაოდ გრძელია, მაგრამ იგი გვამცნობს მოვლენათა შინაგანი მსვლელობის მდგომარეობას (იხ. ცხრილი 20-2).

პირველი და მე-2 ბლოკების ანალიზი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ თავისი დეფიციტების დაფინანსებისას მთავრობა კაპიტალთა ბაზარზე უნდა გამოვიდეს და კონკურენციაში ჩაერთოს კერძო სექტორისაგან სახსრების მისაღებად<sup>3</sup> სარგებლის განაკვეთის გადიდებას, თა-


---

1. Economic Report of the President, 1987 გვ. 67-68

2. იხ. მაგალითად: Alice r. Bivlin (ed) Economic Choices 1984. Washington: The Brookings institution, 1984.

3. 80-იანი წლების დასაწყისში ამერიკის მასტიმულებულ ფისკალურ პოლიტიკას თან ახლდა მკაცრი ფულადი პოლიტიკა, რომელმაც შეზღუდა ფულის მიწოდება ინფლაციასთან ბრძოლის მიზნით. ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა სწორედ ეს შეხამება სტიმულს აძლევს სარგებლის განაკვეთის გადიდებას. დეფიციტური დაფინანსება ზრდის ფულზე მოთხოვნას, მაშინ როცა ფულადი მიმოქცევის პარეგულირებელი ორგანოები ზღუდავენ მის მიწოდებას.

ვის მხრივ, ასევე ორი მნიშვნელოვანი შედეგი გააჩნია. ჯერ ერთი, როგორც მე-3 ბლოკშია აღნიშნული, იგი ხელს არ უწყობს კერძო საინვესტიციო ხარჯებს, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ განხილული შენაჯვლების ევოქციაა. რამდენადაც ეკონომიკა სრულ დასაქმებასთან ახლოს იმყოფება, შენაჯვლების ევოქცია შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. მამასაღამე, თუშეცა ზოგიერთი ეკონომისტი აღიარებს, რომ დეფიციტების მოკლევადიანი ზემოქმედება თავისი ხასიათით მასკომულეგელია, მაგრამ ისინი შეშუთაებებს გამოიქვამენ, რომ ხანგრძლივი თვალსაზრისით დეფიციტები შეამკორებენ ეკონომიკის ზრდის ტემპებს. ეს



ნახ. 20-2 უკანასკნელი წლების დიდი დეფიციტის შესაძლო შედეგები

ეკონომისტიკა მნიშვნელოვანი საწალი იმარებს, რომ 80-იანი წლების დიდ დეფიციტებს ამ სექტორზე განისახილული შედეგები გააჩნდა. დეფიციტები ადიდება სარგებლის განაკვეთებს საშინაო ბაზარზე. რაც იწყება როგორც კერძო ინვესტიციების შენაკვლებას ისე ამერიკულ ფასთან ქვალდება მოთხოვნის გადიდება. უკანასკნელს გამოიწვია ამერიკის ეალის გადიდება უცხოელებზე და დოლარზე მოთხოვნის ზრდა. დოლარზე ძლიერი მოთხოვნა ზრდადა მის საერთაშორისო ღირებულებას აჩერებდა რა ამერიკის ექსპორტს უცხოელებისათვის. სოლო აიყვებდა იმპორტს ამერიკელებისათვის. წმინდა ექსპორტის ამით გამოწვეულს დატემაზე შესაფერისებელი ზეგავლენა მოახდინა ამერიკის ეკონომიკაზე.

შეკვიცება იმას ეყარება, რომ დეფიციტები გამოიყენება თავდაცვის ხარჯებისა და სამომხმარებლო საჭიროებებისათვის სახელმწიფოს ხარჯების დასაფინანსებლად, საწარმოთა მიდერნიზაციასა და მიწობილობებზე ინვესტიციების შემცირების ხარჯზე. საერთო მოსაზრებით, დეფიციტები ეკონომიკას ხანგრძლივი თვალსაზრისით შენელებულ ზრდაზე უბიძგებენ.

მეორე, როგორც მე-4 ბლოკშია ნაჩვენები, ამერიკული სამთავრობო და კერძო ფასიანი ქაღალდების სარგებლის უფრო მაღალი დონე აწმ-ში ფინანსურ ინვესტიციებს უფრო მიმხიდველს ხდიან უცხოელებისათვის, მაშინ, როცა, ამ საფუძველზე წარმოშობილი უცხოური სახსრების მოდენამ შეიძლება ხელი შეუწყოს, როგორც დეფიციტის, ისე კერძო კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებას. მე-5 ბლოკი გვახსენებს, რომ სახსრების ასეთი მოდენა საგარეო ვალის გადიდებას წარმოადგენს. გავიხსენოთ, რომ უცხოელებისათვის სარგებლის გადახდა და ვალების დაფარვა ამცირებს მომავალი ეროვნული წარმოების მოცულობას, რომელიც შესაძლებელია ამერიკის საშინაო ეკონომიკაში.

ბლოკი 6 გვჩვენებს, რომ მაღალშემოსავლიანი ამერიკული ფასიანი ქაღალდების შესაძენად უცხოელებმა თავიანთ ვალუტაზე თავდაპირველად აწმ დოლარი უნდა შეიძინონ. ეს ხრდის დოლარზე მსოფლიო მოთხოვნას და ადიდებას მის საერთაშორისო ფასს, ანუ დოლარის გასაცვლელ ფასს. მაგალითად, დავუშვათ, რომ ამერიკაში დიდი დეფიციტის წარმოშობამდე დოლარი (\$) და ფრანგული ფრანკი (F) ბაზარზე იცვლებოდა კურსით  $1\$=10F$ . მაგრამ ამერიკის დიდი დეფიციტის დაფინანსებამ ახლა გაზარდა სარგებლის განაკვეთი აწმ-ში და ამრიგად, გაიზარდა მოთხოვნა დოლარზე, რომლითაც შეიძლებოდა ამერიკული ფასიანი ქაღალდების შეძენა. დავუშვათ, რომ ეს გაზრდის დოლარის ფასს, ვთქვათ 11F-მდე.

დოლარის საერთაშორისო ღირებულების ასეთი ზრდა დეპრესიულ ზეგავლენას მოახდენს ამერიკის ექსპორტზე (ბლოკი 7) და გაზრდის იმპორტს (ბლოკი 8), ბიძგს მისცემს რა არახელსაყრელ სავაჭრო ბალანსს. ჩვენ ვიცით, რომ სავალუტო კურსები ერთმანეთთან აკავშირებენ მსოფლიოს ეროვნულ ვალუტათა ფასების დონეს. მაშასადამე, თუ დოლარის ღირებულება გაიზრდება, უცხოელი მყიდველებისათვის ამერიკული საქონელი გაძვირდება. ჩვენს მაგალითში დოლარის კურსის გადიდება 10-დან 11-მდე, გაზრდის ამერიკულ საქონელთა ფასებს ფრანგებისათვის 10%-ით. ამერიკული საქონელი, რომელიც ადრე 10 ფრანკი ღირდა, ეხლა 11 ფრანკი ღირს. რა რეაგირებას მოახდენენ ამანზე ფრანგები? პასუხი: ნაკლები ამერიკული საქონლის შეძენა. სხვა სიტყვებით, მოხდება ამერიკის ექსპორტის შემცირება. და პირიქით, უფრო მაღალი სავალუტო კურსის პირობებში ახლა მიიღებენ 11 და არა 10 ფრანკს დოლარში, მაშასადამე ფრანგული საქონელი გაიფუძება ამერიკელებისათვის. ამის შედეგად, ამერიკელები მეტ ფრანგულ საქონელს იყიდიან; ამერიკის იმპორტი გაიზრდება. ან ამ ორი პროცესის გაერთიანებით,



ამერიკული წმინდა ექსპორტი (ექსპორტს გამოკლებული იმპორტი) შემცირდება. მართლაც, ჩვენ მე-9 თავში დავინახეთ, რომ ამერიკის წმინდა ექსპორტი ანუ სავაჭრო ბალანსი 1988 წელს შედგა 90 მლრდ დოლარის უარყოფითი სალდოთი.

თქვენ შეიძლება გაიხსენოთ მე-11 და მე-13 თავებიდან, რომ წმინდა ექსპორტი ერთობლივი მოთხოვნის კომპონენტია. წმინდა ექსპორტის შემცირება შემაფერხებელ გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე (იხ. ბლოკი 9). ამერიკის ექსპორტის დაკლების შედეგად ექსპორტზე ორიენტირებულ ისეთ დარგებში, როგორცაა სოფლის მეურნეობა და კომპიუტერების წარმოება, იზრდება უმუშევრების დონე. ეს პროცესი შეეხება იმპორტთან კონკურენციაში მყოფ ისეთ დარგებსაც, როგორცაა ავროპეანებლობა და ფოლადის გამოდნობა. დოლარის ღირებულების გადიდება ამ პროდუქტების იაპონურ და გერმანულ იმპორტს აიაფებს და ამერიკელი საავტომობილო და ფოლადსამსხმელო დარგები ჭარბი წარმოებრივი სიმძლავრეებით და ჭარბი მუშა ხელით აღმოჩნდებიან. შევნიშნავთ, რომ 'სემოთაღწმუნული მოსაზრებები განამტკიცებენ ჩვენს მიერ აღრე გაკეთებულ დასკვნას (თავი 14) იმის შესახებ, რომ მასტიმულულებელი ფისკალური პოლიტიკა შეიძლება ეკონომიკისათვის ბევრად ნაკლებ მასტიმულულებელი იყოს, ვიდრე მარტივი კენსური მოდელი ვარაუდობს. ჩვენ, ასევე დავინახეთ, რომ დეფიციტის მასტიმულულებელი 'ხეგავლენა შეიძლება შერბილებული იქნას, როგორც შენაცვლების ეფექტის (ბლოკი 3), ისე წმინდა ექსპორტის უარყოფითი ეფექტის ხარჯზე, რაც დეფიციტითაა გამოწვეული.

ამ ჩახლართულ ისტორიაში კიდევ რამდენიმე საკითხი რჩება.

1. უცხოური სახსრების მოდენა ნამდვილად აღადგებს საშინაო რესურსებს, და შესაბამისად, ამერიკის სარგებლის განაკვეთებს უფრო დაბალ დონეზე ინარჩუნებს, ვიდრე კაპიტალთა ასეთი მოდენის გარეშე იქნებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უცხოური სახსრების მოდენას აშშ-ში შენაცვლების ეფექტის მასშტაბების შემცირების ტენდენცია გააჩნია. საზღვარგარეთელი ერების თვალსაზრისით, რომლებსაც თავიანთი სახსრები აშშ-ში გადააკვთ, მათი კაპიტალდაბანდებანი და ხანგრძლივადიანი ეკონომიკური ზრდა შესაძლოა რამდენადმე შენელებული იყოს.

2. დეფიციტით გამოწვეული სარგებლის მაღალი განაკვეთები აშშ-ში დამატებით სიმძიმეს აკისრებს, ისეთ სავალალო კრიზისში მყოფ დაბალგანვითარებულ ქვეყნებს, როგორცაა მექსიკა და ბრაზილია. დოლარებში გამოხატული მათი ვალები ამერიკული და სხვა განვითარებული ქვეყნების ბანკებისადმი ბევრად უფრო ძვირია და მომსახურები-

სათვის როულია სარგებლის ამერიკული განაკვეთების გადიდების პირობებში. ანალოგიურად, თუ შექცირებადი ამერიკული წმინდა ექსპორტი პროექციკონონაშს გამოიწვევს, ეს ქვეყნები კიდევ უფრო მეტ სიროულეებს წააწყდებიან თავიანთი საქონლის აშშ-ში გაყიდვისას. ეს ნიშნავს, რომ მათთვის გაცდლებით ძნელი იქნება დოლარების მიღება სარგებლისა და თავიანთი ვალის ძირითადი თანხის გადასახდელად. მოკლედ რომ ვთქვათ, ამერიკის დიდი დეფიციტები თავისებურ საკრთხეს უქმნიან საერთაშორისო საკრედიტო ხისჯემას და ამერიკულ ბანკებს — განსაკუთრებით მხარდი დაწოდის მექანიზმის მქმეუობით, რომელსაც ისინი სარგებლის განაკვეთს უქმნიან აშშ-ში.

3. არახელსაყრელი სავაჭრო ბალანსი ნიშნავს, რომ ამერიკის ექსპორტი არასაკმარისია იმპორტის დასაფარავად, როგორ ნახლაურდებოდა ეს განსხვავება? ჯერ ერთი, სვენ განკახორციელებს მახორებული სესხებები, კერძო პირებისა და უცხოური ორგანიზაციებისაგან. 80-იანი წლების ბოლოს აშშ უდიდეს მოვალე ქვეყნად გადაიქცა. მეორე, ისეთი ამერიკული აქტივების დიდი ნაწილი, როგორიცაა ფაბრიკები, სავაჭრო საწარმოები და ფერმები, გაიყიდა უცხოელ ინვესტორებს. ამერიკული ვალების გასასტუმრებლად და ამ აქტივების მომავალში გამოსახყიდად საჭირო იქნება მეტი ექსპორტირება, ვიდრე შემოტანა. სხვა სიტყვებით, მომავალში ამერიკელები იხულებული იქნებიან ნაკლები მოხმარონ და დააბანდონ, ვიდრე აწარმოებენ.

## შესაკლო კოლიტიკური ღონისძიებები

ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი ძალზე მეარი იყო; უკანასკნელ 25 წელიწადში ფედერალური ბიუჯეტი მხოლოდ ერთხელ (1969 წ.) მკდგა შემოსავლების გასავალზე გადამტეებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეფიციტი განსაკუთრებით გაიზარდა 80-იან წლებში. კყინსური მიმართულების მრავალი ეკონომისტი თვლის, რომ უკანასკნელი წლების ამერიკის დეფიციტი მასტიმულებელ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე. მაგრამ კყინსელები სულ უფრო მეტიად არიან შემზოთებული, რომ ეს დეფიციტები, საბოლოო ანგარიშით ჭარბ მოთხოვნას გამოიწვევს.

პირიქით, ნეოკლასიკური მიმართულების ეკონომისტები, პარავარდელი რობერტ ბაროს მეათაურობით, ამტკიცებენ, რომ დეფიციტები უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ისინი თვლიან, რომ აღამიანე-

ბი, როგორც წესი, გრძნობენ, რომ დღევანდელი დეფიციტები აუცილებლად გამოიწვევს უფრო მაღალ გადასახადებს მომავალში, დეფიციტით გამოიწვეული სარგებლის დამატებითი გადასახდელების დანახარჯად. შესაბამისად, იგულისხმება, რომ დანახარჯები საოჯახო მეურნეობებში მკორდება დეფიციტების სრდის პასუხად, ანუ იხრდება დანახარჯები მომავალში გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებული შემოსავლის მოცულობის შემცირების მოლოდინში, რომლის გამოიყენება შესაძლებელი იქნებოდა მიხმარებისათვის. რამდენადაც კერძო დანახარჯების სრდა მილიანად აწინასწორებს სახელმწიფო ხესხების გადიებას, სარგებლის განაცვივის სიდიდე არ იცვლება. ამრიგად, შეიძლება თავიდან ავიცილოთ შენაცვლების ეფექტი და საეპრო დეფიციტი.

მაგრამ ეკონომიქია აბსილურერი უმრავლესობა უარყოფს ასეთ შესეღლებას, იმის აღიარებით, რომ 80-იან წლებში შეხმარებოდა დიდი დეფიციტების მრავალრიცხოვანი და სხვადსხვაგვარი უარყოფითი შედეგები. ასე, მაგალითად, სოგიერთი ეკონომიქია 1987 წ. იქომბრის საბირყო პანიკას (იხ. მე-10 თავის ბოლო შრისხი) მნიშვნელოვანწილად ვეღერალური ბიუჯეტის დიდი დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტისადმი სახელმწიფოს მიახლოების უენარობით ხსნიდა.

ყოველ შემოსევევაში დეფიციტების სიდიდით შემოთავებამ და მხარდმა სახელმწიფო ვალმა მრავალრიცხოვანი სავარაუდო სპსხუხო ღონისიებები წარმოშევეს, რომლის განხიღვახეც ახლა გადავალთ.

**საკონსტიტუციო შესწორება.** შესაძლოა ეკელაზე რადიკალურ წინადადებას საკონსტიტუციო შესწორების მიღების შესახებ საკონსის დაცენება წარმოადგენს, რომელიც კონგრესს დაეავლდებულებოდა ბიუჯეტის ყოველწლიურ დაბალანსებაში. დაბალანსებული ბიუჯეტის შესწორების აუცილებლობა იმით აიხსნება, რომ კონგრესი სისაქის „უმახუხისმგებლოდ“ იქცევა, რამდენადაც სპსიავრობო დანახარჯების გადიება განამრკეცებს, ხოლო გადასახადების გადიება ძირს უოხრის სახელმწიფო მოღვაწეებისადმი სასოგადოებრივ მხარდაჭერას. მაგრამ პოლიტიკური რიტორიკის სპსრისპიროდ, ვეღერალური დეფიციტები, როგორც ჩანს, შენარჩუნებული იქნება, თუ კი საკონსტიტუციო შესწორება არ აიძულებს ბიუჯეტის ყოველწლიური ბალანსით შედგენას. ამასთან, ამ წინადადების კრიტიკოსები გვისხნიდენს, რომ ყოველწლიურ საფუტყელზე დაბალანსებული ბიუჯეტი პროციკლურ ანუ მადესტაბილუზებელ შეგავლენას ახდენს ეკონომიკასზე.

**გრემ-რადმან პოლინგის კანონი.** 1985 წლის დეკემბერში კონგრესმა მიიღო გრემ-რადმან-პოლინგის კანონი, რომელმაც ვეღერალური ბიუჯეტის ყოველწლიური დეფიციტის შემცირება სავალდებუ-

ლო გახადა იმისათვის, რათა 1991 წლისათვის იგი დაბალანსებულიყო. კანონი გადაისინჯა 1987 წელს, მასში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლებიც ბიუჯეტური დეფიციტების უფრო თანდათანობით შემცირებას და 1993 წლისათვის დაბალანსებულ ბიუჯეტზე გასვლას აწესებდნენ. ნავარაუდები იყო 1989 წლის ბიუჯეტური დეფიციტის 146 - დან 110 მლრდ დოლარამდე შემცირება 1990 წელს; ხოლო შემდგომ ყოველწლიურად 35 მლრდ დოლარით შეკვეცა, მანამ, სანამ 1993 წელს იგი არ დაბალანსდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ დეფიციტების შემცირების ეს ღონისძიებები მნიშვნელოვნად უფრო რბილია. ვიდრე ისინი, რომლებიც ნავარაუდები იყო კონგრესის საბიუჯეტო სამმართველოს მიერ გრემ-რადმან-პოლინგსის კანონის მიღებამდე.

თუ პრეზიდენტი და კონგრესი ვერ შეთანხმებთან დანახარჯების საჭირო შემცირების ან გადასახადების გადიდების შესახებ დეფიციტების შემცირების დასახული მიზნების მისაღწევად, აღმოსაყრაცია იძულებული იქნება განახორციელოს ავტომატური შემცირების სერიები. შესამცირებელი სიიდან ამოიღება რამდენიმე პროგრამა -- ისეიბი, როგორცაა სოციალური დახლვევა და ცხოვრების დონის შენარჩუნების ზოგირით ძირითადი პროგრამა. საჭირო შემცირებათა ნახევარი ეროვნული თავდაცვის ხარჯზე უნდა მიხდეს, ხოლო მეორე ნახევარი -- ისეთი საშინაო პროგრამების ხარჯზე, როგორცაა განათლება, სოფლის მეურნეობის სუბსიდიები, უმუშევრობის დახმარებები, ქრანსპორტი, მეტნიერება, კოსმოსის ათვისება და ა. შ.

გადასახადების გადიდება. გრემ-რადმან-პოლინგსის კანონმა დაადგინა ხარჯების შემცირება, თუ კი სხვა ხერხებით შეუძლებელია დეფიციტის შემცირება. კანონი არ ითვალისწინებს გადასახადების არავითარ გადიდებას. მაგრამ მრავალი მკვლევარი თვლის, რომ ბიუჯეტი არ შეიძლება დაბალანსდეს 1993 წლისათვის, მხოლოდ ხარჯების შემცირებით. გამონდა მრავალრიცხოვანი წინადადება ახალი გადასახადების შემოღებაზე. მათ შორისაა -- წინადადება დამატებული ღირებულების გადასახადის შემოღების შესახებ, რომელიც თავისი ბუნებით, როგორც შეიძლება მე-8 თავიდან გაუხსენოთ, გაყიდვებიდან საერთო ეროვნული გადასახადის მსგავსია. სხვები გეთავაზობენ სპეციალური გადასახადის შემოღებას იმპორტირებულ ნავთობზე, რათა მისი ფასების შემცირებით ისარგებლოს ხაზინამ და არა მომხმარებელმა. გარდა ამისა, აქა-იქ გაიშის იმის შესახებაც, რომ ნაწილობრივ ან მთლიანად კი გაუქმდეს 1981 წელს მიღებული საშემოსავლო გადასახადების შემცირებები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დეფიციტების დღევანდელ ზრდას. ამ საკითხებში სრულიად განსხვავებული მოსახროებები ეჯახე-

ბიან ერთმანეთს. ასე, მაგალითად, ამ თავის ბოლო შტრიხში წარმოდგენილია ერთობ წინააღმდეგობრივი მოსახრება იმის შესახებ, რომ გადასახადების გადადება უბრალოდ გამოიწვევს დამაჩეხებას სამთავრობო ხარჯებს და, მაშასადამე, საუკეთესო ხელი შეუწყოს დეფიციტების შემცირებას.

სხვა წინადადებები. ბიუჯეტური დეფიციტების პრობლემებით საერთო შემთავრებაში მრავალი რეკომენდაცია გამოიწვია მათ შესამცირებლად. ყველაზე უფრო საინტერესო წინადადებაა ეკონომიკის დიდი პრივატიზაციისაკენ და რეფორმისაკენ მოწოდება, რომელიც პრეზიდენტის საშუალებას მისცემდა ხარჯებზე ვერო დაედო ბიუჯეტის ცალკეული მუხლებისა და სტრიქონების მიხედვით.

1. პრივატიზება. პრივატიზება ერთობ უხეირო ქვეყანაა, რომელიც შეეხება მთავრობის გამოსვლას ზოგიერთ პროგრამიდან, რაც აქტივებზე უარისთქმას კერძო ფირმებზე მათი მიყიდვით. მდებარე განსახვდურება მოლიანად შეესაბამება კონსერვატიულ წარმოდგენებს იმის შესახებ, რომ კერძო ეკონომიკური ღონისძიებების დიდი ნაწილი შეიძლება ყველაზე უფრო ეფექტიანად განხორციელდეს არა სახელმწიფო, არამედ კერძო სექტორის ფარგლებში. მიმდინარე ამოცანების გადასაწყვეტად უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფო პროგრამებისა და აქტივების კერძო ხელში გადაქცევის შეუძლია უზრუნველყოს შემოსულობანი, რომლებიც საჭიროა გრემ-რადმან-პოლანგის კანონის მისნების მისაღწევად. უკანასკნელ წლებში გამოჩნდა წინადადებები, კალიფორნიასა და ვაიომინგში აწმ სამხედრო სახლვაო ფლორის ნავთობის მარაგების, კომპანია „ამერაკის“, ვაშინგტონის საერთაშორისო და დალესის აერო-პორტების, ფედერალური საბინაო ადმინისტრაციის, ბონევილის ენერგეტიკული სამმართველოს და რიგი სხვა ობიექტის კერძო პირებზე მიყიდვის შესახებ. თუმცა პრივატიზება წინააღმდეგობრივი პროცესია, მაგრამ მას პრევენციული გააჩნია. მარგარეტ ტაჩერის კონსერვატიულმა მთავრობამ დიდ ბრიტანეთში გასულ ათწლეულში დაყიდა სახელმწიფო საწარმოები 25 მლრდ. დოლარზე მეტი თანხით.

2. ვერო, ხარჯების სტრიქონებისა და მუხლების მიხედვით. დანახარჯთა სტრიქონებისა და მუხლების მიხედვით ვერო პრეზიდენტის საშუალებას აძლევს რაბუ დაადოს ასიგნებათა შესახებ კანონპროექტის ცალკეულ მუხლებს. როგორც წესი, ერთი ასეთი კანონპროექტი აერთიანებს ასობით პროგრამას და პროექტს, ერთიან საკანონმდებლო აქტში. დღეისათვის 40 შტატში გუბერნატორებს ვეროს უფლება აქვთ შტატების ბიუჯეტების ხარჯების სტრიქონებსა და მუხლებში, მაგრამ ფედერალური ბიუჯეტის მიმართ ასეთი უფლება პრეზიდენტს არ გააჩნია.

ასეთი რეფორმის შექმნების მომხრენი თვლიან, რომ იგი პრეზიდენტის საშუალებას მისცემს ასიგნებათა შესახებ კანონპროექტიდან ამოიღოს ის პროექტები, რომელთა მიხედვითაც მოგება ადგილობრივ ან რეგიონულ დონეზე ნაკლებია. ვიდრე დანახარჯები ქვეყნის გადასახადების გადამხდელთათვის. შესაბამისად, სწრაფობას და მუხლებს მიხედვით ვერც ხელს შეუწყობს სამთავრობო ხარჯების შემცირებას და ფედერალურ მთავრობას დაეხმარება თავისი ბიუჯეტის დაბალანსებაში. ამ დონისთვის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ვერც უკლებია პრეზიდენტს მეტისმეტ ძალაუფლებას ანიჭებს, რომლის ბიორეალ გამოყენება შესაძლებელია პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

**ვალის პოზიტიური როლი.** მოგონილ და რეალურ პრობლემათა ამ მიმოხილვის დასახრვლს, რომელიც დაკავშირებულია დევიდენტების და სახელმწიფო ვალიან, მთლიან, ჩვენი საუბარი დაგასრულით უფრო ოპტიმისტურ ნოტასზე. ჩვენ უნდა დავივიწყოთ, რომ ვალი სახელმწიფო და კერძო დანებით როლს თამაშობს წარმარებულ და მხარდ ეკონომიკაში. ჩვენ ასევე ვიცით, რომ შემოსავლების ზრდასთან ერთად მაკულობს დანახოვებაც, დასაქმებისა და უსკალური პოლიტიკის კონსურსი თეორია ამტკიცებს, რომ ერთობლივი დანახარჯების სრული დასაქმების პრობების დონეზე შენარჩუნებით დანახოვების მხარდი მოცულობა ან მისი ექვივალენტი უნდა სამთავრობო მომხმარებლების, ბიზნესისა და მთავრობის განკარგულებაში და დახარჯოს მათ მთელ. ვალის შექმნა — ის პროცესია, რომლის მეშვეობითაც დანახოვები გადაეცემა დანახარჯების გამწვევ პირებს. ახლა განვიხილოთ ეს პროცესი სინამდვილეში. მომხმარებლები და ბიზნესი დიდი მასშტაბით ახორციელებდნენ დანახოვების სესხებებს და მათ დახარჯვას. მაგრამ, თუ მომხმარებლებს და ბიზნესს არ გაანიათ ნახესხობებისადმი მდრეკილება, და მათსადამე, კერძო დაგალიანება არასაკმად სწრაფად იხრდება, რათა შთანთქმოს დანახოვების მხარდი მოცულობა, ეს მისია სახელმწიფო ვალის გადიდებას ეკისრება, სხვანაირად ეკონომიკა ასევეება სრული დასაქმების მდგომარეობას და ვერ შეძლებს ზრდის საკუთარი პოტენციალის რეალიზებას.

## რეზიუმე

1. ბიუჯეტის დეფიციტი წარმოადგენს მთავრობის ხარჯების გადამეტებას მისი შემოსავლებისადმი; სახელმწიფო ვალი წარ-

მოადგენს დეფიციტებისა და ბიუჯეტური ნაჭარბის დაგროვილ თანხას.

2. ბიუჯეტის რეგულირების კონცეფციები: 1) ყოველწლიურ საფუძველზე დაბალანსებადი ბიუჯეტი; 2) ციკლურად დაბალანსებადი ბიუჯეტი; 3) ფუნქციონალური დაფინანსება. ყოველწლიურად დაბალანსებადი ბიუჯეტის ძირითადი პრობლემა ისაა, რომ მას უფრო პროცესული ხასიათი გააჩნია, ვიდრე ანტიციკლური. ანალოგიურად, შესაძლოა ბიუჯეტის დაბალანსება ციკლის შედეგებით ვართობ რთული იყოს, თუ აღმავლობას და დაქვეითებას დაახლოებით თანაბარი გაქანება არ ექნება. ფუნქციონალური დაფინანსება ისეთი კონცეფციაა, რომლის თანახმადაც ფედერალური ფინანსების მთავარი ამოცანაა ეკონომიკის სტაბილიზაცია, ხოლო თანმიმდევრული დეფიციტებით ან ნაშტებით გამოწვეულ პრობლემებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნიათ.

3. წარსულში სახელმწიფო ვალის ზრდა, როგორც წესი, დაკავშირებული იყო ომების დეფიციტურ დაფინანსებასთან და ეკონომიკურ დაქვეითებასთან. 80-იანი წლების დიდი დეფიციტი ძირითადად გადასახადების შემცირების შედეგია.

4. 1988 წელს სახელმწიფო ვალის მოცულობამ 2,6 ტრილიონი დოლარი შეადგინა. 70-იანი წლების დასაწყისიდან ვალი და მისგან გამოწვეული სარგებლის გადასახდელები განუზრვლად იზრდებოდა ეკ-თან შედარებით. იზრდებოდა ასევე სახელმწიფო ვალი მოსახლეობის ერთ სულზე.

5. მტკიცება იმის შესახებ, რომ დიდმა სახელმწიფო ვალმა შეიძლება მთავრობის გაკოტრება გამოიწვიოს, ყალბია იმიტომ, რომ 1) საჭიროა ვალის მხოლოდ რევიზინსირება და არა დაფარვა; 2) ფედერალურ მთავრობას უფლება აქვს დააწესოს გადასახადები და შექმნას ფული.

6. თუ არ განვიხილავთ შენაცვლების ეფექტს, სახელმწიფო ვალი არ წარმოადგენს მომავალ თაობებზე ეკონომიკური სიმძიმის გადაკისრების ინსტრუმენტს.

7. სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული უფრო სერიოზული პრობლემები შემდეგია ა) სახელმწიფო ვალის სარგებლის გადასახადელები, როგორც ჩანს, გაზრდიან უთანაბრობას შემოსავლებში; ბ) ვალის სარგებლის გადასახდელები მოითხოვს გადასახადის გადიდებას, რომელთაც შეუძლიათ ძირი გამოუთხარონ ეკონომიკურ სტიმულებს; გ) სარგებლის ან ვალის ძირი-

თადი თანხის უცხოელებისათვის გადახდა გამოიწვევს განსაზღვრული რაოდენობის რეალური პროდუქტის გადატანას საზღვარგარეთ; დ) კაპიტალის ბაზარზე მთავრობის მიერ ვალის რეფინანსირების ან სარგებლის გადახდის მიზნით სესხებმა შეიძლება გაზარდოს სარგებლის განაკვეთი და შეზღუდოს კერძო საინვესტიციო დაფინანსება.

8. ფედერალური ბიუჯეტის 80-იანი წლების დეფიციტი ბევრად მეტი იყო, ვიდრე წინა წლებში. მრავალი ეკონომისტი ვარაუდობს, რომ ამ დიდმა დეფიციტებმა ასწიეს სარგებლის განაკვეთი აშშ-ში, რამაც თავის მხრივ, ა) გამოდევნა კერძო ინვესტირება; ბ) გაზარდა მოთხოვნა ამერიკულ ფასიან ქაღალდებზე უცხოელთა მხრივ. ამერიკულ ფასიან ქაღალდებზე მზარდმა მოთხოვნამ გამოიწვია დოლარის საერთაშორისო ღირებულების გადიდება, რამაც განაპირობა ამერიკული ექსპორტის შემცირება და აშშ-ში იმპორტის გადიდება. წმინდა ექსპორტის შემცირება აფერხებდა ამერიკის საშინაო ეკონომიკის განვითარებას.

9. 80-იანი წლებში დიდ დეფიციტთან და სახელმწიფო ვალის გადიდებასთან ბრძოლის მეთოდები მოიცავს: ა) შემოთავაზებულ საკონსტიტუციო შესწორებებს, რომლებიც კანონმდებლურად ადგენს ყოველწლიურად დაბალანსებულ ბიუჯეტს; ბ) გრემ-რადმან-ჰოლინგის დაზუსტებულ კანონს რომელიც მოითხოვს დეფიციტების ყოველწლიურ შემცირებას ბიუჯეტის დაბალანსების მიღწევის მომენტამდე 1993 წელს; გ) წინადადებებს ახალი ფედერალური გადასახადების დაწესების ან მოქმედი გადასახადების უფრო მაღალი განაკვეთების შემოღების შესახებ; დ) ეკონომიკის პრივატიზების გაძლიერებას სახელმწიფო აქტივების და პროგრამების კერძო სექტორზე მიყიდვით და ე) პრეზიდენტისათვის ბიუჯეტური ხარჯების სტრიქონებისა და მუხლების მიხედვით ვეტოს დადების უფლების მინიჭებას.

## ტერმინები და ცნებები

- ბიუჯეტური დეფიციტი
- სახელმწიფო ვალი
- ყოველწლიურად დაბალანსებადი ბიუჯეტი



ციკლურად დაბალანსებადი ბიუჯეტი

ფუნქციონალური დაფინანსება

საგარეო ვალი

შენაცვლების ეფექტი

სახალმწიფო ინვესტიციები

შესწორებები დაბალანსებული ბიუჯეტის შესახებ

გრემ-რადმინ-ჰოლინგსის კანონი

პრივატიზება

ვეტო დანახარჯთა სტრიქონებსა და მუხლებზე

## კითხვები და სასწავლო დავალებები

1. შეაფასეთ ფისკალური პოლიტიკის გამოყენების შესაძლებლობები სტაბილიზაციის ინსტრუმენტების სახით: ა) ბიუჯეტის დაბალანსებისას ყოველწლიურ საფუძველზე; ბ) ბიუჯეტის დაბალანსებისას ციკლურ საფუძველზე; გ) ფუნქციონალური დაფინანსების განხორციელების პირობებში.

2. როგორი იყო სახელმწიფო ვალის წარმოშობის ძირითადი მიზეზები? დღევანდები 80-იან წლებში რატომ გაჩადა ასე დიდი?

3. განახილეთ სახელმწიფო ვალის გამოწვევის სხვადასხვა ხერხები, რომ განსხვავდება სახელმწიფო ვალი, როგორც მკლავებზეა ქვეყნის რესურსებზე, საგარეო სახელმწიფო ვალისაგან? როგორი იქნება სამართი სახელმწიფო ვალის დაფარვის შედეგები: საგარეო სახელმწიფო ვალისა? ახსენით განსხვავება ვალის რეფინანსირებასა და დაფარვას შორის.

4. ახსენით ან შეაფასეთ ყოველი შეხვედრის მტკიცება: ა) „ეროვნული ვალი წარმოადგენს როგორც მარცხენა ხელის ვალს მარჯვენის მსართს“.

ბ) დიდი სახელმწიფო ვალის ყველაზე ნაკლებ მისაღწევად შედეგი შეიძლება იყოს მთავრობის გაკოტრება.

გ) ახერკის მთავრი სახელმწიფო ვალის მთავარი მიზეზია პოლიტიკური გაბეჭდულების უქონლობა.

5. შენაცვლების ეფექტი უფრო მნიშვნელოვანი იქნება თუ არა დაქვეითების პერიოდში ან იმ დროს როდესაც ეკონომიკა ახლოსაა სრული დასაქმების მდგომარეობასთან? შეგიძლიათ თუ არა გამოაცხადოთ „ეროვნული მთავრობისა და ეროვნული მწიფობის“ მთელი თქვენი პასუხის განსამტკიცებლად?

6. ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ვალის რაოდენობრივი მნიშვნელობა შეიძლება ყველაზე საუკეთესოდ გამოიზომოს ვალის სარგებლის გადასახვედლის სიდიდის შეფარდებით ვეპ-ის სიდიდესთან. შეგიძლიათ თუ არა ახსნათ - რატომ?

7. ახსენით გრემ-რადმინ-პოლინგსის დაუსტებულ კანონის შინაარსი. მხარს დაუჭერთ თუ არა საკონსტიტუციო შესწორებას, რომელიც მოახიბვს, რომ ფედერალური ბიუჯეტი დაბალანსდეს ყოველწლიურ საფუძველზე. მხარს უჭერთ თუ არა „პრივატიზებას“ ან როგორც ბიუჯეტის დეფიციტების შევიკრების საშუალებას, ან როგორც სახელმწიფო სექტორის სიდიდის შემცირების საშუალებას? მხარს უჭერთ თუ არა პრეზიდენტისათვის ასიგნების შესახებ კანონპროექტების სტრიქონებსა და მუხლებზე ვეტოს დადების უფლების მინიჭებას?

8. ახერხის 2.6 ტრადიციონალური ფაქტორი წარმოადგენს იმ არა მისამართულ ტერმინის მოხსენიებას, რომელიც იხილება იმ დოკუმენტში, რომელიც აღწერს დოკუმენტის მისამართს. რატომ უნდა იხილები იმ დოკუმენტს, რომელიც აღწერს დოკუმენტის მისამართს? რატომ უნდა იხილები იმ დოკუმენტს, რომელიც აღწერს დოკუმენტის მისამართს? რატომ უნდა იხილები იმ დოკუმენტს, რომელიც აღწერს დოკუმენტის მისამართს?

9. თუკი იხილები იმ დოკუმენტს, რომელიც აღწერს დოკუმენტის მისამართს, რატომ უნდა იხილები იმ დოკუმენტს, რომელიც აღწერს დოკუმენტის მისამართს? რატომ უნდა იხილები იმ დოკუმენტს, რომელიც აღწერს დოკუმენტის მისამართს? რატომ უნდა იხილები იმ დოკუმენტს, რომელიც აღწერს დოკუმენტის მისამართს?

10. ახერხის ახერხის ეროვნული ბიბლიოთეკის დოკუმენტის მისამართს, რომელიც აღწერს დოკუმენტის მისამართს. რატომ უნდა იხილები იმ დოკუმენტს, რომელიც აღწერს დოკუმენტის მისამართს? რატომ უნდა იხილები იმ დოკუმენტს, რომელიც აღწერს დოკუმენტის მისამართს? რატომ უნდა იხილები იმ დოკუმენტს, რომელიც აღწერს დოკუმენტის მისამართს?

## ბოლო შტრიხი

### ბამონიფიკაცია თუ არა უფრო მაღალი ბადასახადები დევიციტიის ზრდას?

ოპიოს შტატის უნივერსიტეტის ეკონომისტი დოკუმენტი გალაუნი და რინარდ ვედერმა, ახლახანს განაცხადეს, რომ უფრო მაღალი გადასახადები არ ამცირებენ ვედერალური ბიუჯეტის დევიციტის სიდიდეს, პირიქით, უფრო აღიძვრენ მას.

ერთი შეხედვით გვეჩვენება, რომ გადასახადების გადიდება ვედერალური ბიუჯეტის დევიციტების შემცირების ან ლიკვიდაციის ყველაზე უფრო მარტივი მეთოდია. მაგრამ არის ზოგიერთი გარემოებები, რომლებიც გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ მზარდი გადასახადები მხოლოდ გააღიძვრენ დევიციტს. ოპიოსელი ეკონომისტი ამტკიცებენ, რომ თავიანთ მოსტებზე არჩეული ოფიციალური პირები პირველ რიგში დაინტერესებული არიან ხელახალი არჩევით და ამ მიზნის მისაღწევად ყოველთვის გრძნობენ მნიშვნელოვან შეგუიანებას სწორედ იმ პროგრამების დაფინანსების გასაღიძვრებად, რომელსაც მაღალ შეფასებას მისცემენ ამომრჩეველები. ამრიგად, პოლიტიკურ მოღვაწეებს შეუძლიათ დაასაბუთონ გადასახადების გადიდება ისეთი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მიზნით, როგორცაა დევიციტის შემცირება, მაგრამ სინამდვილეში დამატებითი საგადა-

სახადო შემოსულობები წარიმართება იმ პროგრამების დაფინანსებაზე, რომლებიც იმ ჯგუფების ინტერესებს აკმაყოფილებს, ვისი პოლიტიკური მხარდაჭერაც უნდა იქნეს მიღებული.

1966-1986 წლების მონაცემთა განხილვით ეს მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მართლაც არსებობს ფედერალური გადასახადის საშუალო განაკვეთების (გაზომილი როგორც პირად შემოსავლის პროცენტი) და ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის დადებითი კორელაცია (გაზომილი როგორც ექპ-ის პროცენტი). სხვა სიტყვებით, გადასახადის უფრო მაღალი პროცენტი ასოცირდება უფრო მაღალ და არა ნაკლებ დეფიციტებთან. ანალიზის უფრო რთული მეთოდების გამოყენებით ავტორები აფიქსირებენ ისეთ საგადასახადო ფაქტორებს, როგორიცაა უმუშევრობის დონე, მოულოდნელი ინფლაცია და საომარი მოქმედებები, რომლებიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ ფედერალური დეფიციტის სიდიდეზე. ეს ანალიზი ითვალისწინებს, რომ გადასახადების 1 დოლარით გადიდება გამოიწვევს სამთავრობო ხარჯების 1, 58 დოლარით ზრდას, ანუ სხვა სიტყვებით, გაზრდის დეფიციტს 0, 58 დოლარით. თუ ფედერალური მთავრობა დიდ ფინანსურ რესურსებს ღებულობს, კანონმდებლები არა თუ არ წავლენ მთელ დამატებით საგადასახადო შემოსულობათა დახარჯვაზე, არამედ „ცოტათი მეტსაც“ დახარჯავენ. ავტორები მიიჩნევენ, რომ მათი შედეგები „ექვსის ქვეშ აყენებს თეზისს იმის შესახებ, რომ გადასახადების გადიდება დეფიციტების შემცირების ეფექტიანი საშუალება იქნება.“ ისინი ამტკიცებენ, რომ „გადასახადების გადიდებას შეუძლია გააუარესოს და არა შეამსუბუქოს პრობლემა“.

როგორი ალტერნატიული სტრატეგიები შეიძლება შემუშავდეს დეფიციტების შემცირების ან მოსპობისათვის?

ერთ-ერთი მათგანია — „თვითნებურ შეზღუდვათა“ გამოყენება, ისეთები, როგორიცაა კონსტიტუციური შესწორება, რომელიც მოითხოვს ბიუჯეტის ყოველწლიურ დაბალანსებას ან გრემ-რადმან-ჰოლინგსის აქტის ტიპის კანონმდებლობა. მეორე ვარიანტია — კანონმდებელთა თავიანთ პოსტებზე ყოფნის შეზღუდვა, ვთქვათ 6 წლით, იმისათვის, რომ შეიცვალოს კანონმდებელ - ამომრჩევლის ურთიერთდამოკიდებულობის ხასიათი და არსებითად შემცირდეს პოლიტიკურ მოღვაწეთა ლტოლვა ხარჯები გასწიონ ამომრჩეველთა ჯგუფების ინტერესებისათვის.



# თავი ოცდამეერთე

## მ კ ( ო ) ნ ( ო ) მ ი კ შ რ ი ზ რ ღ ა

წინა თავებში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა დასაქმებისა და ფასების ღონის მოკლევადიანი მერყეობის მიზეზებს და ასევე იმ ღონისძიებებს, რომელთაც მსგავსი არასტაბილურობის კომპენსირება შეუძლიათ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის პრობლემა, რომელსაც ახლა განვიხილავთ.

მიუხედავად ციკლური არასტაბილურობის პერიოდებისა, ეკონომიკური ზრდა აშშ-ში ყოველთვის შთამბეჭდავი იყო. მაგალითად, ამ საუკუნის დასაწყისიდან რეალური პროდუქტი გაიზარდა 12-ჯერ, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა მხოლოდ 3-ჯერ. ამრიგად, საქონელთა და მომსახურების რაოდენობა, რომელიც საშუალო ამერიკელს შეხვდება, 4-ჯერ გაიზარდა. ეკონომიკური ზრდის პრობლემები განხილული იქნება შემდეგი თანმიმდევრობით. პირველ რიგში უნდა გავიგოთ, როგორ განისაზღვრება ეკონომიკური ზრდა და რაში მდგომარეობს მისი მნიშვნელობა. ჩვენი მეორე მიზანია ეკონომიკური ზრდის ანალიტიკური პერსპექტივის აგება. მესამე ამოცანაა - გამოვაკლინოთ და შევაფასოთ ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივადიანი ტენდენციები აშშ-ში. მეოთხე, აუცილებელია რაოდენობრივი შეფასება მიეცეს ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა ფაქტორს. მეხუთე, ჩვენ ვეცდებით ავხსნათ 70-იან წლებიდან დაწყებული შრომის მწარმოებლურობის ზრდის შენელება აშშ-ში. და ბოლოს, მოკლედ მიმოვიხილავთ ეკონომიკური ზრდის, ასევე მისი სტიმულირების ღონისძიებებს

## ეკონომიკური ზრდის

### თეორია.

დასაქმების თეორია და ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკა ემყარება სტატიკურ ან მოკლევადიან მიდგომას. მიღებულია, რომ რესურსების ფიქსირებული მოცულობის შემთხვევებში ეკონომიკამ უნდა უზ-

რუნველყოს ეკ-ის განსახლებული დონე სრული დასაქმების პირობებში დასაქმების თეორია აყენებს შემდეგ ძირითად კითხვას: "რა უნდა გაკეთდეს ეკონომიკაში არსებული წარმოებრივი სიმძლავრეების სრული გამოყენებისათვის? რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის თეორიის მისი ძირითადი პრობლემა შემდეგნაირად ფორმულირდება: რანაირად შეიძლება გავზარდოს წარმოებრივ სიმძლავრეთა ან ეკ-ის მოცულობა სრული დასაქმების პირობებში?"

## ორი ბანსაზღვრა

ეკონომიკური ზრდა განსახლებება და იზომება ორი ურთიერთდაკავშირებული ხერხით: როგორც რეალური ეკ-ის ან წეპ-ის გადადება დროის რაიმე პერიოდში (1) ან რეალური ეკ-ისა ან წეპ-ის გადდება დროის რაიმე პერიოდში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (2). შეიძლება გამოყენებულ იქნას ორივე განსახლებვა. მაგალითად, თუ ყურადღების ცენტრში იმყოფება სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის პრობლემები, უფრო მსაღებია პირველი განსახლებვა. მაგრამ ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების დონის შედარებისას აშკარა უპირატესობა მეორე განსახლებვას მიუჩნება. ასე მაგალითად, ინდოეთის ეკ-ი ათათქმის 70%-ით ჭარბობს შვეიცარიისას, მაგრამ ცხოვრების დონით ინდოეთის მოსახლეობა შვეიცარიას 60-ჯერ და მეტად ჩამორჩება. ამ თავში ძირითადი ყურადღება დაეთმება რეალური საზოგადოებრივი პროდუქტის ან შემოსავლების ზრდას მოსახლეობის ერთ სულზე.

ჩვეულებრივ, ამ განმარტებებიდან გამომდინარე ეკონომიკური ზრდა იზომება მაქების წლიური ტემპებით პროცენტებში. მაგალითად, თუ რეალური ეკ-ი გასულ წელს შეადგენდა 200 მლრდ დოლარს, ხოლო მიმდინარე წელს 210 მლრდ. დოლარს, შეიძლება გავიანგარიშოთ ზრდის ტემპები, მიმდინარე წლის რეალური ეკ-დან გასული წლის რეალური ეკ-ის გამოკლებით და სხვაობის გასული წლის რეალური ეკ-ის სიდიდესთან შეფარდებით. მოკემულ შემთხვევაში ზრდის ტემპები შეადგენენ ( 210 მლრდ. დოლ. - 200 მლრდ დოლ) / 200 მლრდ. დოლ = 5%.

## ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობა

რატომ განიხილება ეკონომიკური ზრდა თავისთავად როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიზანი? პასუხი ნათელია. საზოგადოებრივი პროდუქტის გადიდება მოსახლეობის ერთ სულზე ნიშნავს ცხოვრების დონის ამაღლებას. რეალური პროდუქტის ზრდა იწვევს მატერიალურ სიუხვეს და უპასუხებს დანახარჯთა მინიმიზაციის პრინციპებს. პასუხი დასმულ კითხვაზე შეიძლება სხვანაირადაც ჩამოყალიბდეს. შხარდ ეკონომიკას დიდი შესაძლებლობები გააჩნია დააკმაყოფილოს ახალი მოთხოვნები და გადაწყვიტოს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე. განმარტების თანახმად, შხარდი ეკონომიკა ხასიათდება წლიური რეალური პროდუქტის მატებით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შესაბამისი მოთხოვნების ეფექტიანი დაკმაყოფილებისათვის ან ახალი პროგრამების შესაქმნავებლად. რეალური ხელფასის გადიდება აფართოებს შესაძლებლობათა წრეს, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი ოჯახისათვის - ევროპაში მგზავრობა, ახალი სტერეოსისტემა, უმაღლესი განათლება ყველა ბავშვისათვის და ა.შ. სხვა შესაძლებლობებისა და სიკეთისათვის ზიანის გარეშე. ამასთან, ეკონომიკური ზრდა საშუალებას გვაძლევს, მაგალითად, განვახორციელოთ სიღარიბესთან და გარემოს გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის ახალი პროგრამები, მოხმარების არსებული დონის დაცემის, ინვესტიციების მოცულობისა და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების შემცირების გარეშე. ეკონომიკური ზრდა ამსუბუქებს რესურსების შეზღუდულობის პრობლემის გადაწყვეტას. დინამიურად განვითარებადი ეკონომიკა, განსხვავებით სტატიკურისაგან, საშუალებას აძლევს საზოგადოებას აქონდეს ღვეზელი და მიირთვას კიდევაც იგი. არბილებს რა ზემოთაღნიშნულ პრობლემას - წარმოების მოცულობის შეზღუდულობით წარმოშობილ ეკონომიკურ წინააღმდეგობათა მოხსნით, ეკონომიკური ზრდა საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს უფრო სრულად შოახდინოს დასახული ეკონომიკური მიზნების რეალიზაცია და განახორციელოს ახალი ფართო მასშტაბიანი პროგრამები.

## ეკონომიკური ზრდის არითმეტიკა

ხანდახან უცნაურად გვეჩვენება ის მქუხარე რეაქცია, რომლითაც ეკონომისტები ეკონომიკური ზრდის ტემპების თითქოსდა უმნიშვნელო

ცვლილებებს ღებულობენ. მართლა ასე არსებითია განსხვავება ეკონომიკური ზრდის ოთხ და სამ პროცენტს შორის? დიახ, არსებითია და ისიც კრით. აშშ-სათვის მისი რეალური ეკ-ით, რომელიც ეხლა 3995 მლრდ დოლარს შეადგენს, განსხვავება ზრდის ტემპების 3 და 4 % შორის 40 მლრდ დოლარით გამოიხატება წელიწადში. ძალზე ღარიბი ქვეყნის მოსახლეობისათვის ეკონომიკური ზრდის ტემპების ნახევარპროცენტიანი შემცირებაც კი შეიძლება ნიშნავდეს ნახევრად შიმშილიდან, შიმშილით სუკვიდლზე გადასვლას.

გარდა ამისა, რიგი წლების მანძილზე ზრდის ტემპების უმნიშვნელო განსხვავებებმაც კი შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინოს. მაგალითად, ვივარაუდოთ, რომ ქვეყანა ალფანია და ბეტანიას ერთნაირი ეკ-ი გააჩნიათ. მაგრამ ალფანიას ეკონომიკური ზრდის ტემპები 4%-ს შეადგენს წელიწადში, ხოლო ბეტანიასი სულ რაღაც 2%-ს. "70-ის წესის" თანახმად (იხ. თავი 10) ალფანიას ეკ-ი გაორმაგდება სულ რაღაც 18 წელიწადში ( $=70:4$ ); ხოლო ბეტანიაში ამისათვის საჭირო იქნება 35 წელიწადი ( $=70:2$ ). ამრიგად, ეკონომიკური ზრდის ტემპების გადიდების მნიშვნელობა უდავოა.

ცხადია, ასევე, რომ ეკონომიკურ ზრდას უფრო დიდი მნიშვნელობა გააჩნია, ვიდრე სწავილურობას. მაგალითად, ეკონომიკური დაქვეითების თავიდან აცილებით შეიძლება იმავდროულად გაიზარდოს ეროვნული შემოსავალი, ვთქვათ, 6%-ით. თუ ეკონომიკური ზრდის წლიური ტემპი 3%-ს იქნება, ეროვნული შემოსავლის ზრდა 6%-ით მძლველი იქნება 2 წელიწადში; და შემდგომშიც, ეკონომიკური ზრდის იგივე ტემპები უსრუნველყოფენ ეროვნული შემოსავლის გადიდებას 6%-ით ყოველ ორ წელიწადში.

## ეკონომიკური ზრდის შავტორები

როგორია ეკონომიკური ზრდის ფაქტორები? ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება ექვსი ძირითადი ფაქტორით, რომელთაგან ოთხი დაკავშირებულია ეკონომიკის ზრდის ფიზიკურ უნართან. 1. მოვთვალეთ ისინი: 1. ბუნებრივი რესურსების რაოდენობა და ხარისხი, 2. შრომითი რესურსების რაოდენობა და ხარისხი; 3. ძირითადი კაპიტალის მოცულობა; 4. ტექნოლოგია. ეკონომიკური ზრდის ეს ოთხი ფაქტორი შეიძლება გაერთიანდეს მიწოდების ფაქტორების სახელწოდებით. სწორედ ისინი ხდიან წარმოების ზრდას ფიზიკურად შესაძლებელს. მხოლოდ დი-




დი რაოდენობის უკეთესი რესურსების ხელმისაწვდომობა, ტექნიკური პოტენციალის ჩათვლით, იძლევა საშუალებას გადიდდეს რეალური პროდუქციის წარმოება.

მაგრამ, უნდა განვასხვავოთ 'ზრდის შესაძლებლობა და რეალური ზრდა თავისთავად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ორი მოსახრება. აჯერ ერთი, ზრდა დამოკიდებულია მოთხოვნის ფაქტორებზე. მხარდი წარმოებრივი პოტენციალის რეალიზებისათვის ქვეყნის ეკონომიკამ უნდა უზრუნველყოს რესურსების გაფართოებადი მოცულობის სრული გამოყენება. ამისათვის საჭიროა ერთობლივი დანახარჯების დონის გადიდება. მეორე, ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებს განაწილების ფაქტორები. წარმოებრივი პოტენციალის ყველაზე უფრო მიხანშეწონილი გამოყენებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მხოლოდ რესურსების სრული ჩართვა ეკონომიკურ ბრუნვაში, არამედ მათი ყველაზე უფრო ეფექტიანი გამოყენება. წარმოების გადიდების უნარი არასაკმარისაა პროდუქციის საერთო გამოშვების გაფართოებისათვის; საჭიროა ასევე რესურსების მხარდი მოცულობის რეალური გამოყენება და მათი ისეთნაირი განაწილება, რომ მივიღოთ სასარგებლო პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობა.

უნდა აღინშნოს, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებენ, ურთიერთკავშირში არიან. მაგალითად, უმუშევრობა ჩვეულებრივ ანელებს კაპიტალის დაგროვების ტემპებს და ასევე დანახარჯების გადიდებას გამოკვლევაზე, და პირიქით, სიახლეითა და კაპიტალდაბანდებათა დაბალი ტემპები შეიძლება უმუშევრობის ძირითადი მიზეზი გახდეს.

ყველა ამ ფაქტორის ურთიერთზემოქმედებაზე ზოგადი წარმოდგენა შეუძლია მოგვცეს წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდს, რომელიც აღწერილია მე-2 თავში და ნაჩვენებია 21-1 ნახაზზე. ეს მრუდი ყველაზე უფრო კარგად ასახავს სხვადასხვა პროდუქციის ვარიანტთა მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც შეიძლება წარმოებულ იქნას ბუნებრივი რესურსებისა და ძირითადი კაპიტალის მოცემული რაოდენობისა და ხარისხის პირობებში მოცემული ტექნოლოგიური პოტენციალის საფუძველზე. ნებისმიერი ფაქტორის მხრივ პოზიტიური ზემოქმედების გაძლიერება (რესურსების რაოდენობის გადიდება, ხარისხის გაუმჯობესება და ტექნიკური პროგრესი) წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ, რაც მოცემულია როგორც გადაადგილება AB-დან CD-სკენ 21-1 ნახაზზე.



ნახ.21-1 ეკონომიკური ზრდა და წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდი ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდის გადაადგილებით. მარჯვნივ AB -დან CD-სკენ. რესურსების რაოდენობისა და სარისხის გადიდება და ტექნოლოგიის სრულყოფა უზრუნველყოფენ ასეთი გადაადგილების შესაძლებლობას. სრული დასაქმება და რესურსების ოპტიმალური განაწილება არსებითაა მისი რეალიზაციისათვის.

მაგრამ ეკონომიკის შესაძლებლობა, მილიანად გამოიყენოს თავისი წარმოებრივი პოტენციალი, შეზღუდულია მოთხოვნისა და განაწილების ფაქტორებით. წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდი შეიძლება მარჯვნივ გადაადგილდეს. მაგრამ წარმოების ნამდვილი დონე ვერ აღწევს შესაძლებელს. სხვა სიტყვებით, რეალური ეკონომიკური საქმიანობის მრუდი მოხვდება წარმოებრივ შესაძლებლობათა მრუდით შეპოფარგლული ფართობის შიგნით. იგულისხმება, რომ წარმოებრივი პოტენციალის მატება მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ (1) ერთობლივი ხარჯები გაიზრდება სრული დასაქმების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობით, და (2) თუ დამატებითი რესურსები ეფექტიანად გამოიყენებინან, პროდუქციის წარმოების მაქსიმალურად შესაძლო გადიდების უზრუნველსაყოფად.


მაგალითი. სამუშაო ძალის წმინდა ნაშატი აშშ-ში 2 მლნ-ს შეადგენს წელიწადში. თავისთავად ეს ნაშატი ზრდის წარმოებრივ სიმძლავრეს, ანუ ეკონომიკის პოტენციალს. მაგრამ, იმისათვის, რომ ეკონომიკური პოტენციალის გადიდება წარმოების მატებაში გამოიხატოს, აუცილებელია სამუშაო მოვუძებნოთ ყველა ამ 2 მლნ ადამიანს, ამასთან, სწორედ იმ დარგებსა და საწარმოებში, სადაც მათი შესაძლებლობები სრულად რეალიზდებიან. საზოგადოებას არ სჭირდება, არც ახალი უმუშევრები და არც წყალსადენში მომუშავე პედიატრები.

რესურსების მოთხოვნისა და მიწოდების ფაქტორთა დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ეკონომიკური ზრდის ფაქტორების განხილვისას მთა-

ვარი ყურადღება მიწოდების ფაქტორებს ეთმობა. ეკონომიკური ზრდა იმ ფაქტორებით განისაზღვრება, რომლებიც გადაადგილებენ ერთობლივი მიწოდების მრუდს მარჯვნივ (იხ. ცხრილი - 11-2). შესაბამისად, 19-66 წახაზზე ეკონომიკური ზრდა შეიძლება გამოვსახოთ, როგორც ერთობლივი მიწოდების მრუდის მარჯვნივ გადაადგილება. 21-2 წახაზი გვაძლევს ეკონომიკურ ზრდაზე მიწოდების ფაქტორთა ზეგავლენის სქემას.

ეს სქემა გვინიშნებს, რომ რეალური პროდუქტისა და შემოსავლის გადიდება შეიძლება მოხდეს ორი ძირითადი გზით: (1) უფრო მეტი მოცულობის რესურსების მოზიდვით და (2) მათი უფრო მწარმოებლური გამოყენებით. განვიხილოთ, უწინარეს ყოვლისა, შრომითი დანახარჯების ზრდა. შეიძლება ითქვას, რომ რეალური ეკპ-ი ნებისმიერ დროს განისაზღვრება როგორც შრომითი დანახარჯები (კაც-საათებში) გამრავლებული შრომის მწარმოებლურობაზე (რეალური საათობრივი გამომუშავება ერთ დასაქმებულზე), ანუ:

ეკპ = გამომუშავებული კაც-საათები X შრომის მწარმოებლურობაზე



ნახ. 21-2 რეალური პროდუქტის განმსაზღვრელი ფაქტორები  
რეალური ეკპ-ი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც შრომითი დანახარჯებისა და შრომის მწარმოებლურობის გამრავლების შედეგი.

მოვიტანოთ ორი მაგალითი ასეთი ილუსტრაციისათვის. დავუშვათ, რომ მეურნეობაში დასაქმებულია 10 კაცი. ყოველი მათგანი გამოიმუშავებს 2 ათას საათს წელიწადში (50 კვირა, 40 საათიანი სამუშაო კვირით), ასე რომ გამოიმუშავებული კაც-საათების საერთო რაოდენობა 20 ათას შეადგენს. თუ საშუალო გამოიმუშავება ერთ კაც-საათზე 5 დოლარია, პროდუქციის საერთო გამოშვება ანუ რეალური ეკპ-ი 100 ათას დოლარს შეადგენს (=20 ათ. X 5 დოლ.).

რა განსაზღვრავს გამოიმუშავებული საათების რაოდენობას? და რა არის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, რაზეა დამოკიდებული შრომის მწარმოებლურობა? ნახ. 21-2 გვაძლევს ამ კითხვებზე პასუხის სქემას. შრომითი დანახარჯების სიდიდე დამოკიდებულია დასაქმებულთა რაოდენობა-სა და საშუალო სამუშაო კვირის ხანგრძლივობაზე. თავის მხრივ, დასაქ-

**ცხრილი 21-1 რეალური ეკპ-ი და რეალური ეკპ-ი მოსახლეობის ერთ სულზე 1929-1988 წ.**

წელი	ეკპ (მლდრ დოლ. 1982წ. ფასებით)	მოსახლეობა (მლნ კაცი)	ეკპ მოსახლეობის ერთ სულზე 1982წ. ფასებით(2):(3)
1929	710	122	5820
1933	499	126	3960
1940	773	132	5553
1945	1355	140	9679
1950	1204	152	7921
1955	1495	166	9006
1960	1665	181	9199
1965	2088	194	10763
1970	2416	205	11785
1975	2695	214	12593
1980	3187	228	13978
1985	3618	230	15138
1988	3995	246	16240

წყარო: Economic Report of the President, 1989.

მკბულოა რაოდენობა დამოკიდებულია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რაოდენობაზე და საშუალო ძალის წარმოებაში ჩაბმულ ანუ შრომისუნარიანი მოსახლეობის წილზე, რომელიც რეალურად დასაქმებულია წარმოებაში. საშუალო საშუალო კეთილ განისაზღვრება საშროთლებრივი და ინსტიტუციონალური ფაქტორების, ასევე კოლექტიური ხელშეკრულებით.

შრომის მწარმოებლურობაზე ხელშეკიდებენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა ტექნიკური პროგრესი, ფონდშეიარაღება, საშუალო ძალის ხარისხი და განაწილების ეფექტიანობა, სხვადასხვა რესურსების შეხამება და მართვა. სხვა სიტყვებით, შრომის მწარმოებლურობა იზრდება ჯანსრიფლობის, პროფესიული მომზადების, განათლების და დაინტერესებულობის გადიდებასთან ერთად; მანქანებით, მოწყობილობით და ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფით, წარმოების უკეთესი ორგანიზაციითა და მართვით; საშუალო ძალის ნაკლებეფექტიანი დარგებიდან უფრო ეფექტიან დარგებში გადასვლით.

## ეკონომიკური ზრდა შეერთებულ შტატებში

ცხრილი 21-1 მიახლოებით წარმოადგენს გვაძლევს აშშ-ში ეკონომიკური ზრდის შესახებ უკანასკნელ ათწლეულში, ამ ცნების ორივე განმარტების თვალსაზრისით. მე-2 სვეტში ეკონომიკური ზრდა გამოსახულია, როგორც რეალური ეკ-ის ზრდა. მიუხედავად არასტაბილურობისა, ეს ზრდა ერთობ მნიშვნელოვანია. 1940 წლიდან რეალური ეკ-ი გაიზარდა 5-ჯერ და მეტად. მაგრამ, მოსახლეობამაც არსებითად იმატა. ამრიგად, ეკონომიკური ზრდის მეორე განმარტების გამოყენებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ 1988 წელს რეალური ეკ-ი მოსახლეობის ერთ სულზე თითქმის სამჯერ მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს (იხ. სვეტი 4). საერთაშორისო შედარებები გვიჩვენებს, რომ ამერიკული ეკონომიკა შვეიცარულთან ერთად უზრუნველყოფს მოსახლეობის ერთ სულზე ეკ-ის ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს.

რა შეიძლება ითქვას ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების შესახებ? 21-2-ე ცხრილის მონაცემები ნათელყოფენ, რომ ომის შემდგომ პერიოდში ეკ-ის ზრდის საშუალო წლიური ტემპები აშშ-ში 3%-ზე მეტს შეადგენდა, მაშინ როცა მოსახლეობის ერთ სულზე რეალური ეკ-ი საშუალოდ 2%-ით მატულობდა წელიწადში.

ეს რაოდენობრივი მაჩვენებლები დაზუსტებას საჭიროებენ.

ცხრილი 21-2. რეალური ეკპ-ის და მოსახლეობის ერთ სულზე რეალური ეკპ-ის დინამიკა ზოგიერთ ქვეყანაში

ქვეყნები	რეალური ეკპ-ის ზრდის ტემპები		მოსახლეობის ერთ სულზე რეალური ეკპ-ის ზრდის ტემპები (%)	
	1870-1969	1950-1988	1870-1969	1950-1988
აშშ	3,7	3,2	2,0	1,9
იაპონია	4,2	7,1	-	5,9
გერ	3,0	5,0	1,9	4,2
დიდი ბრიტანეთი	1,9	2,6	1,3	2,2
საფრანგეთი	2,0	4,1	1,7	3,3
იტალია	2,2	4,4	1,5	3,9
კანადა	3,6	4,5	1,8	2,7

წყარო: U.S. Department of Commerce, Historical Statistics of the United States: Colonial Times to 1970. Washington, 1975 გვ. 225; Report of the President, 1989. გვ. 227.

შეადგენდა, მაშინ როცა მოსახლეობის ერთ სულზე რეალური ეკპ-ი საშუალოდ 2%-ით მაჩუკლობდა წელიწადში.

ეს რაოდენობრივი მანვენებლები დაზუსტებას საჭიროებენ.

1. 21-1 და 21-2 ცხრილებში მოცანილი მანვენებლები მთლიანად როდი ითვალისწინებენ პროდუქციის ხარისხის გადიდებას, და ამრიგად,

რობრივი მონაცემები შესაძლოა არ იძლევიან მთელი მოცულობითი შევადართო ყინულიანი ყუთების ეპოქა მაცივრების ეპოქას.

2. რეალური ეკპ-ისა და მოსახლეობის ერთ სულზე ეკპ-ის ზრდა, რომელიც მოცანილია 21-1 ცხრილში, ხორციელდებოდა მიუხედავად თავისუფალი დროის მნიშვნელოვანი გადიდებისა. 74 საათიანმა სამუშაო კვირამ შორეული წარსულის სფეროში გადაინაცვლა. ახლა ჩვეულებრივი სამუშაო კვირა 40 საათზე ნაკლებია. კეთილდღეობის რაოდენობრივი გაზომვის შედეგად ჩვენ კვლავ ვაწყდებით კეთილდღეობის რეალური დონის შემცირებას.

3. მეორე მხრივ, ეკონომიკური ზრდის რაოდენობრივი გაზომვა მხედველობაში არ იღებს მის უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე და თვით

მისი კავშირი გარემოს მდგომარეობის გაუარესებასა და წარმოებაში სტრესული დატვირთვების გადიდებასთან.

4. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აშშ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ნაკლებშთამბეჭდავია, ვიდრე სხვა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში. მაგალითად, იაპონიის ეკონომიკური ზრდის ტემპები საშუალოდ უკანასკნელ 40 წელიწადში ორჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე აშშ-ში. კანონზომიერად წარმოიშობა საშიშროება, რომ იაპონია დაიტერს ამერიკის ადგილს მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოს სახით.

## ეკონომიკური ზრდის ახსნა

ედვარდ დენისონმა ბრუკინგის ინსტიტუტიდან თავისი პროფესიული მოღვაწეობის დიდი ნაწილი ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის რაოდენობრივი თანაფარდობის სახით გადმოცემას მიუძღვნა. მისი კონცეპტუალური სქემა საკმაოდ სრულად შეესაბამება 21-1 ნახაზზე მოტანილ ფაქტორებს, ამიტომ პირდაპირი დამოკიდებულება აქვს აქ განსახილველ საკითხებთან. დენისონის უკანასკნელი შეფასებები მოტანილია 21-3 ცხრილში. მისი გაანგარიშებებით. რეალური ეროვნული შემოსავალი 1929-1982 წლებში საშუალოდ 2,92-ით იზრდებოდა წელიწადში. შემდგომი გაანგარიშებები გვიჩვენებენ, თუ ამ ყოველწლიური მატების რა ნაწილი განისაზღვრება ცხრილში მოტანილი თითოეული ფაქტორით.

დენისონის მონაცემები შეიძლება საფუძვლად დაედოთ ეკონომიკური ზრდის ყველა შემადგენელთა მოკლე დახასიათებას აშშ-ში.

## დანახარჯები და შრომის მწარმოებლურობა

დენისონის მონაცემებიდან ყველაზე ბუნებრივი დასკვნა ისაა, რომ შრომის მწარმოებლურობის გადიდება რეალური პროდუქტის და შემოსავლის ზრდის უზურუნველმყოფი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩაინიშნეთ, რომ შრომითი დანახარჯების გადიდება (პუნქტი

1) განსაზღვრავს რეალური შემოსავლის მატების დაახლოებით 1/3-ს.

**ცხრილი 21-3. აშშ რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდაზე  
მოქმედი ფაქტორები (1929-1982 წწ.)**

ზრდის ფაქტორები	ყოველი ფაქტორის წილი (%)
(1) შრომითი დანახარჯების გადიდება	32
(2) შრომის მწარმოებლურობის გადიდება	68
(3) ტექნიკური პროგრესი	28
(4) კაპიტალის დანახარჯები	19
(5) განათლება და პროფესიული მომზადება	14
(6) წარმოების მასშტაბებით გამოწვეული ეკონომია	9
(7) რესურსების განაწილების გაუმჯობესება	8
(8) საკანონმდებლო-ინსტიტუციონალური და სხვა ფაქტორები	-9
	<b>100</b>

წყარო: Edward F. Denison. Trends in American Economic Growth, 1929-1982. Washington: The Brookings Institution, 1985 გვ. 30 (შეჯამებამ შეიძლება 100% არ მოგვეცეს ზოგიერთი ციფრის დამრგვალების გამო.)

ამ პერიოდში, მატების დარჩენილი 2/3 მიიღწევა შრომის მწარმოებლურობის გადიდებით.

### **შრომითი დანახარჯები**

დროთა მსვლელობაში აშშ მოსახლეობა და სამუშაო ძალაც არსებითად გაიზარდა. მაგალითად, დენისონის მიერ განხილულ 1929-1982 წლების პერიოდში მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 122-დან 232 მლნ- მდე, ხოლო სამუშაო ძალისა - 49-დან 110 მლნ-მდე. ისტორიულად სამუშაო კვირის საშუალო ხანგრძლივობის შემცირებამ განსაზღვრა შრომითი დანახარჯების შემცირების ტენდენცია, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროიდან ეს შემცირება ერთობ მოკრძალებული იყო. შობადობის დაცემამ უკანასკნელ 20 წელიწადში გამოიწვია ქვეყანაში 480




დემოგრაფიული ზრდის შენელება. მიუხედავად ამისა, წარმოების პროცესში ძირითადად ქალთა მზარდი ნაბმის წყალობით სამუშაო ძალის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება დაახლოებით 2 მილიონით.

## ტექნიკური პროგრესი

21-3 ცხრილიდან ჩანს, რომ ტექნიკური პროგრესი (პუნქტი 3) ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელია; მისი განსახილვებოდა რეალური ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლის 28% 1929-1982 წლებში. განმარტების თანახმად, ტექნიკური პროგრესი მოიცავს წარმოების არა მხოლოდ სრულიად ახალ მექანიზმებს, არამედ ასევე წარმოების მართვისა და ორგანიზაციის ახალ ფორმებსაც. მაგალითად რომ ვთქვათ, ტექნიკური პროგრესში იგულისხმება ახალი ხერხის აღმოჩენა, რომელიც მოცულობით რესურსების ახლებური კომბინაციის საშუალებას იძლევა პროდუქციის საბოლოო გამოშვების გადიდებით მისთვის.

პრაქტიკაში ტექნიკური პროგრესი და კაპიტალდაზღვევები (ინვესტიციები) მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან: ტექნიკური პროგრესი ხშირად იწვევს ინვესტიციებს ახალ მანქანებსა და მოწყობილობებში. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია აქტიური ელსადგურების შექმნის შემთხვევაში აუცილებლობა აქტიური ენერჯის გამოყენების ტექნოლოგიასთან გამოსაყენებლად. ამავე დროს, თუკა თანამედროვე თესვითარეგები და კონსერვული მიწათმოქმედება უზრუნველყოფენ პროდუქციის მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, მაგრამ ისინი დიდი აუცილებლობით როდი მოითხოვენ ახალ სახეობათა ანუ ძვირადღირებული მოწყობილობის მზარდი მოცულობის მოხილვას.

ერთი შეხედვით ტექნიკური პროგრესის მსველიობა ისტორიულად სიღრმისა და სისწრაფით ხასიათდება. ბუნებრივი გაზისა და ღიზელის საწვავიანი ძრავები; კონვეიერები და სამწყობო ხაზები წარსულის ყველაზე უფრო არსებითი მიღწევად გვეჩვენება. სულ ახლახანს "ტექნოლოგიის ჯადოსნური ნათურა" გამოუშვა "ჯინა ავტომატიზაცია" და ამასთან ერთად ფაბრიკის სხვადასხვა საოცრებებიც, რომლებიც მოძრაობაში მოიყვანება ღილის ერთი დაჭერით. ზებგერიოთი თვითმფრინავები, ტრანზისტორები და ინტეგრალური სქემები, კომპიუტერები, კსეროქსები, კონტინენტული გადახიდეები და ბირთვული ენერჯია, რომ არაფერი ვთქვათ კოსმოსურ გაფრენებზე - ის ტექნოლოგიური მიღწევებია, რომლებიც ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდნენ ჯერ კიდევ ახლო წარ-



ნახ.21-3 ცვლილებები ამერიკის სამუშაო ძალის განათლებაში უკანასკნელ წლებში უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვი გაიჭყვედიდა და ამასვე დროს დაუსაყრებელი საშუალო და დაწყებითი განათლების მქონე პირთა რიცხვი მცირდებოდა. (Statistical Abstract of the United States.)

სულში.21-3 ცხრილის მონაცემები კალსახად ადასტურებენ მსგავს სახელეთა მნიშვნელოვან ზეგავლენას ეკონომიკურ ზრდაზე.

## კაპიტალის ღანაზარჯები

აღნიშნულ პერიოდში რეალური ეროვნული შემოსავლის ნაბაქის დაახლოებით 19% თითქმის 1/5 -განისაზღვრებოდა კაპიტალდაბანდებათა (პუნქტი 4) გადიდებით. გასაკვირი როდია, რომ შრომის მჭარმოებლურობა გაიზრდება, აუ იგი მეტ ძირითად კაპიტალს გამოიყენებს. სახლო რანაირად შეიძლება საინვესტიციო საქონელთა მოცულობის გადიდება ქვეყანაში? გავისხენოთ ცხრილი 21-1, რომლიდანაც ნათელია, რომ კაპიტალის დაგროვება დანახოების გადიდების პროცესის შედეგია.

ჩაზი უნდა გაცხვას, რომ ერთ მომუშავეზე ძირითადი კაპიტალის მოცულობა გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს შრომის მწარმოებლურობის დინამიკას. დროის მოცემულ პერიოდში საცხებით შესაძლებელია კაპიტალის ერთობლივი მოცულობის გაზიდება, მაგრამ თუ საბუქო ძალის რაოდენობა უფრო სწრაფად გაიზრდება, შრომის მწარმოებლურობა დაეცემა, რამდენადაც შემცირდება ცოველი მომუშავის ფონდის შეიარაღება. მართლაც, როგორც ქვემოთ იქნება ნახვენები, მსგავს მთვლენას ადგილი ჰქონდა აშშ-ში 70-იან წლებში რამაც გამოიწვია შრომის მწარმოებლურობის სრდის რემპების შენელება. რამდენად გაიზარდა კაპიტალის ხვედრი მოცულობა ერთ მომუშავეზე? ერთი ხანგრძლივადიანი შევასების თანახმად 1889 წლიდან 1969 წლამდე საინვესტიციო საქონელით მოცულობა გაიზარდა 6-ჯერ, ამასთან, გამომუშავებული კაც-საათების რაოდენობა იმავე პერიოდში გადისდა 2-ჯერ. ამრიგად, 1969 წელს კაპიტალის მოცულობა ერთ გამომუშავეზე კაც-საათზე დაახლოებით 3-ჯერ მეტი იყო ვიდრე 1889 წელს<sup>1</sup>. თუმცა, რაოდენობრივად კაპიტალის მოცულობის აბსოლუტურ გამოსაჩვენებაში განსაზღვრა ძნელია, მაგრამ არსებობს მონაცემები, რომელთა თანახმადაც ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით კაპიტალის მოცულობა (მოწყობილობა და შენობები) შევასებულია 30 ათასი დოლა-

2

აუცილებელია თრი დამატება. ჯერ ერთი, ინვესტიციების წილი ეკონომიკაში უკანასკნელ წლებში აშშ ნაკლები იყო; ვიდრე ინდუსტრიულად განვითარებულ სხვა ქვეყნებში, რაც ნათელიყოფს ამ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შედარებით დაბალ რემპებს (ცხრილი 21-2). მეორე, ამერიკული ინვესტიციები მთიკავენ არა მხოლოდ კერძოს, არამედ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებებსაც. აშშ ინფრასტრუქტურა (საავტომობილო გზები, ხიდები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, წყალგაწმენდის და მუნიციპალური წყალმომარაგების სისტემა, აეროპორტები და ა.შ.) სულ უფრო ხშირად აწყდება ფიზიკური და მორალური ცვეთის პრობლემებს; გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის განვითარება არასაკმარისია მომავალში ეკონომიკური ზრდის ამოცანების გადაჭრისათვის. შესაძლოა საჭირო გახდეს სახელმწიფოს ინვესტიციების არსებითი გაზიდება ამ დარგში, რათა იგი ეკონომიკური ზრდის დაბრკოლება არ გახდეს. მოცემული თავის

1. Solomon Fabricant A Primer on Productivity New-York: Random House, Inc., 1969, ტომი 5

2. David Alan Aschauer. Is The Public Capital Stock Too Low? Chicago Fed Letter. Federal Reserve Bank of Chicago. October 1987 გვ.1

განყოფილება “ბიოლო შტრიხში“ ჩვენ დავეუბრუნდებით ამ პრობლემას, იმისი დაშვებით რომ შრომის მწარმოებლურობის ზრდის შენელება უკანასკნელ 10-20 წელიწადში მნიშვნელოვნად აიხსნება ინფრასტრუქტურის განვითარებაში კაპიტალდაბანდებათა უკმარისობით.

## ბანათლება და პროფესიული მომზადება

ბენუამის ფრანკლინმა როგორღაც თქვა: „ის,ვისაც ხელობა გააჩნია მდიდარია“. ამ ძველ გამოანათქვამში გამოხატულია აზრი, რომ განათლება და პროფესიული მომზადება ამაღლებს შრომის მწარმოებლურობას და ამის შედეგად უფრო მეტი ჯამაგირის მიღების საშუალებას იძლევა. ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში შრომის მწარმოებლურობის გადიდების მნიშვნელოვანი საშუალებაა. დენისონის შეფასებით (იხ. ცხრილი 22-3) სამუშაო ძალის ხარისხის გადიდება (პუნქტი 5) განსაზღვრა აშშ რეალური ეროვნული შემოსავლის გადიდება 14%-ით.

აღბათ, სამუშაო ძალის ხარისხის ყველაზე მარტივი მანივენებელია განათლების დონე. 21-3 ნახაზზე ასახულია ცვლილებები, რომლებიც ამ სფეროში მოხდა უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე.

დღეისათვის ამერიკის სამუშაო ძალის 4/5-ს, უკიდურეს შემთხვევაში საშუალო განათლება გააჩნია. მათ შორის თითქმის 22% დაუმთავრებელი უმაღლესი და უმაღლესი განათლებითაა. მიხლოდ დაწვებითი განათლება აქვს ამერიკელ მშრომელთა 6%-ზე ნაკლებს. (ჩაადია, რომ განათლება მოქალაქეთა სულ უფრო მეტი რაოდენობისათვის ხდება ხელმისაწვდომი.<sup>1</sup>

უნდა დავუმატოთ, რომ მუდმივ შეფიქრიანებას იწვევს განათლების ხარისხი აშშ-ში. როგორც ცნობილია 60-70 -იან წლებში შეინიშნებოდა სასკოლო მომზადების ტენსტების მანივენებელთა შემცირება. უფრო მეტიც, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მათემატიკის სფეროში ცოდნის დონით ამერიკელი მოსწავლეები თავიანთ თანატოლებს ჩამორჩებიან მრავალ სხვა მრეწველურად განვითარებულ ქვეყანაში.

1. აშშ-ში ადამიანსეული ფაქტორის უფრო დრმა ანალიზისათვის იხ:

Victor R. Fuchs. How We Live. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1983.

# წარმოების მასშტაბით გამოწვეული ეკონომიით მიღებული სარგებლობა და რესურსების ბანაწილება

21-3 ცხრილში ნახვენება შრომის მწარმოებლურობის გადიდების ისეთი ფაქტორები (კოორდინაცია წარმოების მასშტაბით გამოწვეული ეკონომია (პუნქტი 6) და რესურსების განაწილების გაუმჯობესება (პუნქტი 7). თავდაპირველად განვიხილოთ უკანასკნელი ფაქტორი.

რესურსების განაწილების გაუმჯობესება უბრალოდ ნიშნავს, რომ რიგა წლების მანძილზე სამუშაო ძალა გადანაწილდებოდა შედარებით დაბალპროდუქტიული დარგებიდან უფრო მაღალპროდუქტიულში. მაგალითად, 1929-1982 წლებში სამუშაო ადგილების დიდმა ნაწილმა სოფლის მეურნეობიდან, სადაც შრომის მწარმოებლურობა შედარებით დაბალია გადაინაცვლა დამამუშავებელ მრეწველობაში შრომის შედარებით მაღალი მწარმოებლურობით. ამის შედეგად, ერთობლივი მომუშავეის შრომის მწარმოებლურობის საშუალო მაჩვენებლები აშშ-ში გაიზარდა. ამასთან, ცნობილია, რომ ქალთა და ეროვნულ უმცირესობათა დისკრიმინაცია ხელს უშლიდა მათ მოზიდვას მეწარმეობითი საქმიანობის იმ სფეროებში, სადაც მათი შრომის გამოყენება შეიძლებოდა ყველაზე უფრო ეფექტურად. დროთა განმავლობაში დისკრიმინაციის მსგავსმა შემცირებამ გამოიწვია შრომის მწარმოებლურობის გადიდება. 39-ე თავში ნახვენები იქნება, რომ ტარიფები, საიმპორტო ქვოტები და საერთაშორისო ვაჭრობის სხვა შეზღუდვები ხელს უწყობენ სამუშაო ძალის გადაადგილებას შრომის გამოყენების შედარებით დაბალპროდუქტიულ სფეროებში. ამრიგად, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ხანგრძლივადიანი ტენდენცია იწვევდა რესურსების განაწილების გაუმჯობესებას და სტიმულს აძლევდა შრომის მწარმოებლურობის ზრდას.

წარმოების მასშტაბით განპირობებული ეკონომიის ფაქტორი უფრო დაწვრილებით იქნება განხილული 24-ე თავში. მანამ ვივარაუდოთ, რომ წარმოებრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესება დამოკიდებულია ბაზრისა და საწარმოს სიდიდისაგან. მაგალითად, მსხვილ კორპორაციას შეუძლია წარმოების დღეისათვის არსებული მეთოდებიდან უფრო ეფექტიანი აირიოს, ვიდრე წვილ ფირმას. ავტომანქანების მწარმოებელ მსხვილ ქარხანას შეუძლია დააყენოს რთული კომპიუტერიზებული საამწყო ბანები, რომლებიც ტექნიკის გამოყენებით, მაშინ როცა წვილი მწარმოებლები იძულებული არიან პრიმიტიული ტექნიკა გამოიყენონ. წარმოების მასშტაბებით გამოწვეული ეკონომიის ფაქტორის ზეგავლენა (იხ. ცხრი-

ლი 21-3) ნიშნავს, რომ გასაღების ბაზრების ქსელის და საწარმოთა სიდიდის გაფართოება საშუალებას მოგვცემს დავინერგოთ წარმოების უფრო უწყობიანი მეთოდები. თავის მხრივ, ეს გამოიწვევს შრომის მწარმოებლურობის გადიდებას.

## ეკონომიკური ზრდის შემაშერხებელი შაბლონები

საძუხაროდ, არსებობს მწარმოებლურობისა და რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდის შექმნის რეალური ფაქტორები. მათ მიეკუთვნება სხვადასხვა საკანონმდებლო საქმიანობა შრომის, გარემოს დაცვის სფეროში და ა.შ. (იხ. პუნქტი 21-3). 1929-1982 წლებში არსებითი ცვლილებები მოხდა მრეწველობის განვითარების სახელმწიფო რეგულირებაში, გარემოს მდგომარეობაში, შრომისა და ადამიანთა რესურსების დაცვაში და ა.შ. რაც უარყოფითად აისახა ეკონომიკური ზრდის ტემპებში. სახელმწიფოებრივი ჩარევის გაძლიერებამ, რომელიც შეეხება გარემოს გაჯეტყიანების საკითხებს, უსაფრთხოების წესებს და ადამიანთა რესურსების დაცვას, დანახარჯების გადიდება მოითხოვა გამწმენდ ნაგებობებზე და შრომის პირობების გაუმჯობესებაზე. ამით სასხრების განზიდება ხდებოდა ძირითად კაპიტალში ინვესტირებიდან, რომელიც საჭიროა შრომის მწარმოებლურობის გადიდებისათვის. თუ ფორმამ I მონ დოლარი უნდა დახარჯოს გაზის გამწმენდის დაყენებაზე, რათა მანვე გამოინაბოლქვს არ. აღემატებოდეს სახელმწიფო სწავლარტების დადგენილ ზღვრულ ნორმას, მას არ შეუძლია ეს I მონ დოლარი დააბანდოს მანქანებსა და მოწყობილობაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ შრომის მწარმოებლურობის გადიდებას.

ეკონომიკური ზრდაზე უარყოფითად ზემოქმედ ფაქტორებს შორის (ისინი შედიან მე-8 პუნქტში) შეიძლება დავასახელოთ შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება და მეურნეობრივი დანაშაულობები, მუშაობის შეწყვეტა შრომითი კონფლიქტების დროს, არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების ზემოქმედება სოფლის მეურნეობრივ წარმოებაზე აქ, ცხადია, ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს. შრომის უსაფრთხოების გადიდება, სუფთა ჰაერი და წყალი - ყველაფერი ეს, რომლებიც ცხოვრების ხარისხს ახასიათებს, სავსებით შეიძლება მიღწეული იქნას შრომის მწარმოებლურობის ზრდის რეკომენდების შენელების ხარჯზე, მაგრამ, ამასთან ერთად შრომის მწარმოებლურობის გადიდება შე-

იძლება გამოიწვიოს დანახარჯების გადადება ისეთ მიზნებზე, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის (მაგალითად, გარემოს დაცვა). აღნიშნულიდან შეიძლება გაგვიკეთოს დასკვნა, რომ შრომის მწარმოებლურობა არ ახახავს საზოგადოების ყველა კეთილდღეობას, არამედ მხოლოდ ხვედრ გამოიმუშავებს ხომავს 1 კაცსაათზე.

## სხვა შაქტორები

არსებობს ეკონომიკური ზრდის ტემპებზე მოქმედი მთელი რიგი სხვა ფაქტორები, რომლებიც ძნელად ექვემდებარებიან რაოდენობრივ შეფასებას. მაგალითად, უსუსუელია, რომ სხვადასხვა ბუნებრივი რესურსების დიდმა მარაგებმა, რაც აშშ-ს გააჩნია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკური ზრდაში. აშშ-ში ნაყოფიერი მიწების დიდი სიუხვეა, აქ ხელსაყრელი კლიმატური და ბუნებრივი პირობებია, სავსებით საკმარისია მინერალური და ენერგეტიკული რესურსების მარაგი. ყველასათვის ცნობილია, რომ ბუნებრივი რესურსების მარაგებისა და მრავალფეროვნებით აშშ ერთ-ერთი ყველაზე უფრო მდიდარი ქვეყანაა მსოფლიოში.

თუმცა ბუნებრივი რესურსების სიუხვე ეკონომიკური ზრდის მძლავრი მოტივური ფაქტორია, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მათი არასაკმარისი მარაგის მქონე ქვეყნები ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპებისათვისაა განწირული. მაშინ, როცა იაპონიის ბუნებრივი რესურსები შეზღუდულია, მისი ეკონომიკური ზრდის ტემპები ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო (ცხრილი 21-2). მეორე მხრივ, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ ეკონომიკურად ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ქვეყანას მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების მარაგი გააჩნია.

გარდა ამისა, არსებობს ეკონომიკური ზრდის ისეთი ფაქტორებიც, რომელთა გაზომვა შეუძლებელია. კერძოდ, აშშ ეკონომიკურ ზრდაზე დიდი დადებითი ზეგავლენა მოახდინა სოციალურმა კულტურულმა და პოლი-

---

1. დენისონი არ განიხილავს მიწის რესურსებს (ბუნებრივ რესურსებს - იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც ზემოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე (ცხრილი 21-3) იმის გამო, რომ შრომისა და კაპიტალის დანახარჯებისაგან განსხვავებით მიწის რესურსების გამოყენებაში არ მომხდარა ცვლილებები, რომლებიც ზეგავლენას მოახდენდნენ რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებზე. ანუ მიწის საეარგულების სიდიდე უცვლელია, ხოლო მათი ხარისხის ცვლილებები არც ისე მნიშვნელოვანი.

ტიკურმა ატმოსფერომ.მასში იგულისხმება მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორები.ჯერ ერთი,სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით აშშ-ში პრაქტიკულად არ არსებობს წარმოების პროცესისა და მატერიალური პროგრესის დამაბრკოლებელი სოციალური ან მორალური აკრძალვები. ამერიკული საზოგადოებრივი აზრი მატერიალური კეთილდღეობის ზრდას განიხილავს როგორც მისაღწევ და განსაკუთრებით სასურველ მიზანს. გამომგონებელი, ნოვატორი ბიზნესმენი პრესტიჟითა და პატივისცემით სარგებლობს ამერიკულ საზოგადოებაში. მეორე, ამერიკელთათვის ტრადიციულად დამახასიათებელია ჯანსაღი დამოკიდებულება შრომისა და მეწარმეობისადმი. ამერიკული საზოგადოება დიდად იგებს იმისაგან,რომ თავის თავში აერთიანებს მეწარმეთა და ადამიანთა დიდ რაოდენობას,რომელთაც მუშაობის სურვილი გააჩნიათ. მესამე, აშშ-სათვის დამახასიათებელია პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა იმაში,რაც შეეხება საშინაო წესრიგს, საკუთრების უფლებას, საწარმოთა სტატუსის შესახებ კანონებს,კონტრაქტების დადების პროცედურებს. მართალია, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობის რაოდენობრივი შეფასება შეუძლებელია, მაგრამუდავოა ,რომ ისინი ეკონომიკური ზრდის საფუძველია აშშ-ში.

## ერთობლივი მოთხოვნა, შემთხვევითი მერყეობები და ეკონომიკური ზრდა

როგორც 21-3 ცხრილშია ნაჩვენები, დენისონის გამოკვლევა ისახავს ნამდვილი და არა პოტენციური (ანუ სრული დასაქმების პირობებში) რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდის ახსნის ამოცანას.ეკონომიკური ზრდის ყოველწლიური 2,9%-იანი ტემპები ნიშნავს რეალური ეროვნული შემოსავლის სიდიდის ცვლილებას ერთობლივი მოთხოვნის მერყეობითი ზეგავლენით. დენისონი აღიარებს, რომ ზრდის ტემპები წელიწადში 3,2%-ზე მეტი იქნებოდა - თუკი ეკონომიკაში ყოველთვისურად მიღწეული იქნებოდა წარმოების პოტენციური დონე. სრული დასაქმებიდან გადახრები არასაკმარისი ერთობლივი მოხმარების გამო იმის მიზეზია, რომ ზრდის ნამდვილი ტემპები პოტენციურად შესაძლოს ჩამორჩებიან. 20-4 ნახაზი გვიჩვენებს, თუ რამდენად არსებითია განსხვავება ეროვნული პროდუქციის ნამდვილ და პოტენციურ სიდიდეს შორის. ისტორიაში ჩახედვით ჩვენ დავინახეთ,რომ 30-იანი წლების,,დიდმა დეპრესიამ“ სერიოზული დარტყმა მიაყენა ეკონომიკური ზრდის ხანგრძლივ-



ვადიან ტემპებს აშშ-ში. 1929-დან 1933 წლამდე ეკპ-ის სიდიდე (1982 წ. ფასებით) ფაქტობრივად დაეცა 710 -დან 499 მლრდ დოლარამდე. 1939 წელს რეალური ეკპ-ის მოცულობა დაახლოებით 1929 წლის დონეზე იყო. ამასწინანდელი შეფასებები გვინიშნებს, რომ 1980-1982 წლების ეკონომიკური კრიზისი აშშ-სათვის 600 მლრდ დოლ. არწარმოებული პროდუქტითა და შემოსავლით განსახვდვებოდა.

მაგრამ ეს სურათის მხოლოდ ნაწილია. ციკლურ უმუშევრობას შეუძლია გამოიწვიოს განსახვდვრული უარყოფითი თანამდევნი ეფექტი, რომელიც სრული დასაქმების წლების ეკონომიკური ზრდის ტემპებში ეკონომიკური ზრდის სხვა ფაქტორებზე არაჩველსაყრელი ზეგავლენით აისახება. მაგალითად, უმუშევრობა ამუხრუქებს ინვესტიციებს კაპიტალის დაგროვების პროცესში. იგივე მოხდის ინვესტიციებს აღამიანისეულ კაპიტალში, ე.ი. ოჯახების ფინანსური შესაძლებლობები შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს დამარტებითი დანახარჯებისათვის განათლებასა და პროფესიულ მოწახლებაზე. უფრო მეტს შეიძლება წარმოშეას კითხვა: "რატომ დაგვარგოთ დრო და ფული განათლებისა და პროფესიის მისაღებად შრომის ბაზარზე მათზე მოდუნებული მოთხოვნის პირობებში?" დანახარჯების გადიდება გამოკვლევებზე ასევე შეიძლება შენეღდეს ეკონომიკური დაქვეითების გამო, რაც ნეგატიურად აისახება ტექნიკურ პროგრესში. შესაძლია გაძლიერდეს პროფკავშირთა წინააღმდეგობა ახალ ტექნოლოგიათა დანერგვაზე და ა.შ. ეველია ეს ფაქტორი, (ხადია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა ამ ზემოქმედების რაოდენობრივი გაზომვა ერთობ რთულია.

## მოკლე დასკვნები

აშშ ეკონომიკური ზრდის პრობლემათა გამოკვლევამ გვინიშნა, რომ შრომის მწარმოებლურობის გადიდება რეალური ეკპ-ის გადიდებაზე უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე შრომითი დანახარჯების გადიდება. მაგრამ, შრომის მწარმოებლურობის გადიდება არც ისე ადვილია. იგი მიიღწევა ტექნიკური პროგრესის, ფონდშეიარაღების ზრდის, სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესების, შრომითი რესურსების დაბალპროდუქტიულიდან მაღალპროდუქტიულ დარგებში გადაადგილებისა და მთელი რიგი სხვა ფაქტორების წყალობით. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შრომის მწარმოებლურობის და რეალური პროდუქტის გადიდება ბუნებრივ პროცესად მივიჩნიოთ. როგორც 23-ე თავში დავინახავთ, მსოფ-

ლათს მრავალი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა მნიშვნელოვან ძალისხმევას ახმარდა ეკონომიკური ზრდის მიღწევას, მაგრამ ძირითადად, უმედეგოდ, რაც შეეხება ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ზრდის ტემპებს, მათი მერყეობანი არსებითად ერთობლივი მოახოვნის არასრული დროებითი განსახლვრება.

## შრომის მწარმოებლშრობის ზრდის ტემპების შენელება

70-იან წლებში და შედარებით ნაკლებად 80-იან წლებში შეინარმნებოდა შრომის მწარმოებლშრობის ზრდის ტემპების შენელება აშშ-ში, რამაც ფართო ეკრადლება მოიქცა. შრომის მწარმოებლშრობის თმისშეკდგომი დინამიკა აშშ -ში ნახვენება 21-4 ცხრილში.

ცხრილი 21-4. შრომის მწარმოებლშრობის და მოსახლეობის ერთ სულზე რეალური ეკპ-ის დინამიკა, 1948-1987 წლებში

წლები	შრომის მწარმოებლშრობის ზრდის ტემპები (%)	მოსახლეობის ერთ სულზე რეალური ეკპ-ის ზრდის ტემპები (%)
1948-1966	3,2	2,2
1966-1973	2,0	2,0
1973-1981	0,7	1,1
1981-1987	1,5	1,8

წყარო: Economic Report of the President, 1988. გვ.67 (ყოველი პერიოდის დასასრული ემთხვევა ეკონომიკური აღმავლობის უმაღლეს წერტილს.)

როგორც მეორე სვეტის მონაკვეთებიდან ჩანს, მეორე მსოფლიო ომისშემდგომი 20 წლის მანძილზე (1948-1966) შრომის მწარმოებლშრობა საკმაოდ მაღალი ტემპებით აზრდებოდა - წელიწადში საშუალოდ 3,2%-ით, მაგრამ 1966-1973 წლებში ეს ტემპები მკვეთრად შემცირდა. შემდგომ შრომის მწარმოებლშრობის დინამიკაში უფრო არახელსაყრელი ექაბი (1973-1981 წწ.) დადგარომლის შემდეგ 80-იან წლებში შრომის მწარმოებლშრობის ზრდის ტემპებს გარკვეული გამოკოცხლება

დაეცეოთ. თუმცა შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების შენელება მსოფლიო მასშტაბით შეიმჩნეოდა, მაგრამ აშშ-ში იცა უფრო მნიშვნელოვანი იყო, სხვა უმსხვილეს ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით. დღეისათვის აშშ-ს მსოფლიოში უწინდებურად ყველაზე მაღალი აბსოლუტური მაჩვენებლები აქვს. მაგრამ სხვა ქვეყნებთან განსხვავება განსაკუთრებულად მცირდება.


## შედეგები

შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების შენელების შედეგები აშშ-ში მრავალმხრივია.

1. ცხოვრების დონე. შრომის მწარმოებლურობის ზრდა რეალური ხელფასის გადიდებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობეს-

ნახ.21-4. ინვესტიციები და შრომის მწარმოებლურობის ზრდა

რაც უფრო დიდად ინვესტიციების წილი ეკუთვნის უფრო მაღალია შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები ქვეყანაში. (Organization for Economic Co-operation and Development, Historical Statistics 1960-1982 Paris : OECD 1984. Tables 1.3, 1.7, 3.7 and 6.8. 1960-1982 წ. მონაცემები.)



სების საფუძველია. ერთ კაც-საათში გამომუშავებული რეალური შემოსავალი მხოლოდ იმ ზომით იზრდება, რა ზომითაც ხვედრი რეალური გამომუშავება. რაც მეტი პროდუქცია იწარმოება კაც-საათში, მით მეტი რეალური შემოსავალი შეიძლება განაწილებული იქნას იმავე ერთ კაც-საათზე კლასიკურია რობინზონ კრუზოს მაგალითი უკაცრიელ კუნძულზე. ერთ საათში დაჭერილი თევზის და იმავე დროში მოგროვილი ქოქოსის კაკალი არის მისი რეალური საათობრივი შემოსავალი ანუ ხელფასი. 21-4 ცხრილის მე-3 სვეტი გვიჩვენებს, რომ ცხოვრების დონის ყველაზე უფრო ზოგადი მაჩვენებელი - რეალური ეეპ-ის ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე, შრომის მწარმოებლურობის დინამიკას მისდევს 1973-1981 წლებში, როცა მწარმოებლურობა სტაგნაციის მდგომარეობაში იმყოფება, რეალური ეეპ-ი მოსახლეობის ერთ სულზე 1,1% -ით იზრდებოდა წელიწადში, ნაცკლად 1948-1966 წლების საშუალო წლიური 2,21%-ისა.

2. ინფლაცია. შემოსავლის პოლიტიკის განხილვით მე-19 თავში ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ შრომის მწარმოებლურობის გადიდებას შეუძლია ნომინალური ხელფასის ზრდის კომპენსირება, და ამით, დანახარჯების გადიდებით გამოწვეული ინფლაციის შედეგების შერბილება. სხვა თანაბარ პირობებში შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების შემცირება გამოიწვევს ხვედრი შრომითი დანახარჯების სწრაფ გადიდებას და საინფლაციო პროცესების დაჩქარებას. მრავალი ეკონომისტის მოსაზრებით შრომის მწარმოებლურობის ზრდის შენელებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ინფლაციის არნახული დონე, რომელიც დამახასიათებელი იყო 70-იანი წლებისათვის.

3. მსოფლიო ბაზარი. აშშ ჩამორჩენა შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებით თავისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორებისაგან გამოიწვევს მსოფლიო ბაზარზე ამერიკულ საქონელზე ფასების შედარებით გადიდებას. ამისი შედეგი იქნება ამერიკელ მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობის დაცემა და პოზიციების შესუსტება მსოფლიო ბაზარზე.

## შენაღების მიზანები

ამერიკელ ექსპერტებს შორის ერთიანი პასუხი არ არსებობს კითხვაზე თუ რატომ შენედა შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპები აშშ-ში და რატომ ჩამორჩა იგი ამ მაჩვენებლით იაპონიას და დასავლეთ ევროპას. სხვათა შორის, ფაქტორთა ასეთი რაოდენობის ზეგავლენა შრო-

მის მწარმოებლურობის დინამიკაზე საშუალებას არ იძლევა მარტივი ახსნა მიეცეს ამ მოვლენას. ამის გათვალისწინებით განვიხილოთ შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების შენელების ზოგიერთი მიზეზი, რომელსაც სხვადასხვა ეკონომისტი გეთავაზობს

